

ქუჩნა ლისტიკის
თაობისა და ისტორიის
საკითხები

VI




თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

Труды, том 201, серия журналистики, 6

В О П Р О С Ы
ТЕОРИИ И ИСТОРИИ
ЖУРНАЛИСТИКИ

VI

Под редакцией проф. Д. М. Гамезардашвили



ფრომეტი, ტომი 201, ჟურნალისტიკის სერია, 6

ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები

VI

პროფ. დ. მ. გამეზარდაშვილის რედაქციით

სარედაქციო კოლეგია:

დოც. ნ. ბასილაია, პროფ. ი. ბოცვაძე, პროფ. დ. გამე-
ზარდაშვილი (რედაქტორი), დოც. მ. ებრაელიძე, პროფ.
ი. ნატროშვილი, დოც. გ. ჯავახიშვილი.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978

70202
B — M 608(06) — 78

რ ე ლ ა ჭ ც ი ი ს ა ბ ა ნ

ქურნალისტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე რთული სფეროა. მის მთავარ დანიშნულებას საზოგადოებრივი აზრის შექმნა და წარმართვა წარმოადგენს. ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, ქურნალისტთა მთელი არმია. დღეს ყველასათვის აშკარაა ის უდიდესი როლი, რომელსაც პრესა, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია ასრულებს ადამიანის იდეურ-პოლიტიკური ფორმირებისა და, საერთოდ, მისი ცნობიერების გაფართოება-გამდიდრების საქმეში; ქურნალისტური სამყაროსაგან მოწყვეტილი თნამედროვე ადამიანი თითქმის წარმოუდგენელია. ამიტომ, ბუნებრივია, მწვავედ ისმის საკითხი, რომ სულ უფრო იხვეწებოდეს ქურნალისტიკა როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ფორმა და ღრმავდებოდეს მისი მეცნიერული საფუძვლები.

ქურნალისტიკის ზემოქმედების დიდ უნარს განაპირობებს ის გარემოება, რომ თავის მოღვაწეობაში იგი თითქმის თანაბრად იყენებს შემოქმედებითი აზრის წარმომადგენელთა (პუბლიცისტთა, მწერალთა, ხელოვნების მუშაკთა, მეცნიერთა) და პრაქტიკოს მუშაკთა ნიჭსა და გამოცდილებას. სწორედ ამ ადამიანთა ცოდნისა და უნარის დროულად და სწორად გამოყენებაზეა დამოკიდებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ქმედითობა.

ქურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა ეყრდნობა და აერთიანებს როგორც შემოქმედებითი აზრის სფეროთა (პუბლიცისტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება) მიღწევებს, ასევე ფართო მასებისათვის მათი გაცნობის ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკულ გამოცილებას.

არც ისაა სადავო, რომ როგორც ისტორიულად, ასევე



ამჟამადაც ჟურნალისტიკურ მოღვაწეობაში არსებით როლს ასრულებდა და ასრულებს პუბლიცისტიკა, რომელიც მოწოდებულია შექმნას თანამედროვეობის ისტორიკული თავისი სისრულით. ამიტომაც, რომ ზოგჯერ ზღვარსაც კი შლიან ხოლმე ჟურნალისტიკასა და პუბლიცისტიკას შორის, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ჟურნალისტიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობაა, რომელსაც თავისი ფორმები და მეთოდები აქვს, ხოლო პუბლიცისტიკა შემოქმედებითი აზრის ერთ-ერთი სფეროა, რომელსაც საკუთარი ქანრები და ქანრული სახეები მოეპოვება.

ჟურნალისტიკას თავისი განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის მეცნიერული შესწავლა, ცხადია, არა მარტოსაჭიროა, არამედ აუცილებელიც, რადგან ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ჟურნალისტიკის შემდგომი განვითარების ინტერესები.

მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, პროგრესული საბჭოთა ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპებია მარქსისტულ-ლენინური იდეურობა, ღრმა პარტიულობა, სიმართლის-მოყვარეობა, ხალხურობა, მასობრიობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა. საბჭოთა ჟურნალისტიკას დიდი ბრძოლა უხდებოდა ბურჟუაზიულ ჟურნალისტიკასთან, რომელსაც თავის მთავარ პრინციპებად გაუსდია ფართო მასების შეცდომაში შეყვანა, კაპიტალისტური სისტემის დაცვა და სენსაციური ინფორმაციების წყალობით ხალხთა ყურადღების ჩამოშორება ცხოვრების არსებითი, საჭირობოროტო საკითხებისაგან.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მძაფრ იდეოლოგიურ ბრძოლაში ჟურნალისტიკა უმნიშვნელოვანესი არენაა. ამიტომ სავსებით გასაგები უნდა იყოს ის დიდი როლი, რომელიც ჟურნალისტიკის ჯეროვან დონეზე დაყენებასა და ჟურნალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ენიჭება. საერთოდ, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის შრომების კრებულის „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხების“ გამოცემის იდეა, რომელსაც 1968 წელს შეესხა სორცი.

შრომების ამ კრებულის მეექვსე წიგნს ვთავაზობთ ჯამჯერად მკითხველს. და თუ მხედველობაში მივიღებთ ისევე, როგორც, რომ ექვსივე წიგნის საერთო მოცულობა ორას საათ-ტორთა თაბასს აღწევს, გასაგები იქნება ის მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით გასწია კათედრამ და, კერძოდ, შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიამ.

შრომების ამ კრებულებში შესულ გამოკვლევათა მეცნიერული ღირსება და მათი აქტუალობა, ბუნებრივია, ერთნაირი არ არის. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი ვერაა დაზღვეული სხვადასხვაგვარი ხარვეზებისაგან. მაგრამ მკითხველი, ალბათ, გაითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ მეცნიერულ კვლევა-ძიებას ჟურნალისტიკის სფეროში მეტად ღარიბი ტრადიცია ჰქონდა ჩვენში. ამ ტრადიციის შექმნაში ყველაზე დიდი როლი სწორედ შრომების ამ კრებულებმა შეასრულეს, რაც მათი მნიშვნელობის უპირველესი საბუთია. მართალია, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხებზე ადრეც ქვეყნდებოდა გამოკვლევები, რომელთაგან ბევრი დღემდეც ინარჩუნებს თავის დიდ მნიშვნელობას, მაგრამ უდავოა ისიც, რომ მათი ავტორები მეცნიერების სხვა დარგთა წარმომადგენლებია, რაც აშკარად ატყუია ამ ნაშრომს.

„ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხების“ მკითხველისათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, რომ თავდაპირველად მასში ჭარბობდა ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხების შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომები, მაგრამ ვითარება თანდათან იცვლებოდა და წინამდებარე, მეექვსე წიგნში ჟურნალისტიკის თეორიის დარგში დაწერილ შრომებს მეტი ადგილიც კი უჭირავს. არც ის უნდა დარჩენილიყო შეუმჩნეველი, რომ გაფართოვდა ავტორთა კოლექტივიც. შრომათა ამ კრებულებში მოთავსებულია არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის, არამედ სხვა კათედრების წევრთა, მათ შორის მოსკოველ და ლენინგრადელ კოლეგათა გამოკვლევებიც.

„ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხებს“ ჰყავს თავისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუდმივი მკითხველი როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე მთელ საბჭოთა

კავშირში. მათ შინაშენებს გულისხმიერებით ეკიდება სა-
რედაქციო კოლეგია.

ჩვენი გულწრფელი სურვილია გაიზარდოს და გაფართოვდეს ამ კრებულის მორიგი გამოცემების ავტორთა წრე, მეტადრე პრაქტიკოს-ჟურნალისტთა ხარჯზე, რაც კიდევ უფრო გაზრდის კრებულის მნიშვნელობას ჟურნალისტური პრობლემების მეცნიერულ შესწავლაში.



ქართული
ლიბრთეკა

გიორგი ჯავახიშვილი

საზოგადოებრივი აზრის სტერეოტიპიზაცია გეგვით სიტყვაში

მასობრივი ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა პროპაგანდა, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად სულ სხვადასხვაგვარ მეთოდებს იყენებს. ამათგან ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მეთოდია სტერეოტიპიზაცია — იგი ხელს უწყობს პიროვნების პოლიტიკური და იდეოლოგიური განწყობის წარმოქმნას.

სტერეოტიპიზაციის პრობლემები აზროვნების ობიექტურ კანონზომიერებებს ემყარება და სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა შესწავლის სფეროს განეკუთვნება.

პრესაში ყოველთვის გამოიყენებოდა სტერეოტიპული განწყობანი, მაგრამ მხოლოდ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში იქნა შემუშავებული ბეჭდვით სიტყვაში მათი გამოყენების თეორიული კონცეფცია.

სოციალურმა ფსიქოლოგიამ კაპიტალისტურ ქვეყნებში თავისი ღონისძიებანი წარმართა იქითკენ, რომ მოეძებნა რაც შეიძლება ეფექტიანი ხერხები და მეთოდები ადამიანთა ურთიერთობის მოსაწამლავად, მასების ყურადღების ჩამოსაშორებლად მათი საარსებო ინტერესებისაგან. ბურჟუაზიულმა ფსიქოლოგებმა სტერეოტიპებზე დამყარებით შეიმუშავეს ფაქტების განზრახ გაყალბების ტექნიკა, ცრუ ხმებისა და პანიკურ განწყობილებათა გავრცელების, შიშის გავივებისა და რასობრივ, ნაციონალისტურ და სხვა ცრურწმენათა განმტკიცების ხერხები.

პოლიტიკური განწყობისა და სოციალური სტანდარტის შესაქმნელად სტერეოტიპები გამოიყენება საბჭოთა პრესაშიც, მაგრამ მათი გამოყენების მიზნები ძირფესვიანად განსხვავდება ბურჟუაზიულ პროპაგანდისტთა მიზნებისაგან. საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, პროპაგანდის ამოცანას შე-

ადგენს მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ განვითარებას, ინტერნაციონალიზმის იდეები, მსოფლიოს მშრომელთა მეგობრობისა და სოლიდარობის იდეები, მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდა ამაღლებს ხალხის იდეურ-პოლიტიკურ და კულტურულ დონეს, ცხოვრებაში ამკვიდრებს კომუნისტური მორალის ნორმებს.

სტერეოტიპიზაციის როგორც მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის საშუალების საკითხი თეორიულად ძალზე ზერეღედ არის შესწავლილი, თანაც სტერეოტიპთა კვლევისადმი მიძღვნილი ლიტერატურა არსებობს მხოლოდ სოციალური ფსიქოლოგიის დარგში. ავტორთა უმრავლესობა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა თეორიის პოზიციებიდან განიხილავს და იფარგლება მხოლოდ იმით, რომ აკრიტიკებს ბურჟუაზიული პრესის სტერეოტიპულ წარმოდგენათა კვლევის მეთოდებს. ამიტომ წინამდებარე სტატიაში მიზნად დავისახეთ წამოვაცუნოთ რამდენიმე დებულება სტერეოტიპიზაციის როგორც სწორედ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა შესახებ.

სინამდვილეზე სქემატიზებულ წარმოდგენას მკითხველთა უმრავლესობას სტერეოტიპები უქმნიან. სტერეოტიპს ორმაგი ბუნება აქვს: ერთი მხრივ, იგი სტანდარტულია, სინამდვილის მიმართ ზოგად დამოკიდებულებაზე დაფუძნებული, ხოლო, მეორე მხრივ, შეიცავს ამ სინამდვილის ემოციურ, ექსპრესიულ შეფასებას. სწორედ ეს ექსპრესიულობა აქცევს სტერეოტიპს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ საშუალებად.

სტერეოტიპს ფსიქოლოგიაში განიხილავენ როგორც ადამიანის ფსიქიკის ელემენტარულ თვისებას. სწორედ საყოველთაოდ მიღებული და ჩვენს მეხსიერებაში მტკიცედ აღბეჭდილი წარმოდგენანი გვაძლულებენ, რომ ყოველი სქელი ადამიანი გულკეთილ პიროვნებად მივიჩნიოთ, ყველა სიდედრი — ჭირვეულად, ჭაბუკები — რომანტიკული შემართებით დაჯილდოვებულად, ხოლო მეცნიერები — თავისებურ გულმაღვიწყ ადამიანებად. სტერეოტიპი — ეს თავისებური წინასწარაკვიატებულობაა, ესაა ადამიანთა და მოვლენათა თვისებებზე სტანდარტული მსჯელობის მიხედვით წინასწარ შემუშავებული აზრი, რომელიც ზოგჯერ სრულიადაც არ ემყარება თითოეული მოვლენის უშუალო ცოცხალ შეფასებას¹.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი უ. ლიპმანი, რომელმაც

¹ И. К о н. Психология предрассудка, журн. «Новый мир», 1966, № 2, стр. 51.

ოციან წლებში საზოგადოებრივი აზრის სტერეოტიპიზაციის თეორია დაამუშავა, ფიქრობს, რომ ადამიანის აზროვნება განუწყობილივ იხლიჩება პირადი გამოცდილების შეზღუდულობის და მასობრივი სოციალური მითებისადმი დამორჩილების ქარიბდას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსჯელობათა სტერეოტიპულობა ადამიანის ფსიქიკის ბუნებრივ კანონზომიერებას წარმოადგენს. იმ ამბებისა თუ მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებულების შემუშავებისას, რომელთა მოწმეც ის იყო, ინდივიდი ახალ შთაბეჭდილებებს ჩვეულ მსჯელობათა ჩარჩოებში აქცევს. მოცემული დებულების გასამაგრებლად უ. ლიბმანს მოჰყავს მაგალითი, რომელიც შემდგომ არაერთგზის გაუმეორებიათ და ქრესტომათიული გახდა. ფსიქოლოგთა ერთ-ერთ კონგრესზე ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი. სხდომათა დარბაზში შემოვარდა კლოუნი. მას მუშტების ქნევით უკან ზანგი მოსდევდა. კლოუნი დაეცა. ზანგმა დასცხო და დასცხო. გაისმა სროლის ხმა. კლოუნი და ზანგი დარბაზიდან გარეთ გაცვივდნენ. მთელ ამ სცენას ოციოდე წამი თუ დასჭირდა.

დარბაზში მყოფთ სთხოვეს აღწერათ მომხდარი ამბავი.

ორმოცი პასუხიდან ოცდაექვს შემთხვევაში ათი პროცენტი გამონაგონი იყო, ათ შემთხვევაში გამონაგონი ათ პროცენტს სჭარბობდა. და მხოლოდ რამდენიმე კაცმა აღწერა სიტუაცია დაახლოებით სწორად.

იმას, რომ საღად მოაზროვნე ადამიანებმა, რომლებმაც ამასთანავე იცოდნენ ფსიქოლოგიის კანონები, ვერ შეძლეს მოეცათ უმარტივესი, მაგრამ ემოციური მოქმედების ობიექტური შეფასება. ლიბმანი იმით ხსნის, რომ თითოეულმა აღწერა არა ის კონკრეტული ეპიზოდი, რომლის მოწმეც სულ ახლახან გახდა, არამედ ჩხუბის საკუთარი სტერეოტიპი. თავის მონათხრობში თითოეულმა ჩააქსოვა ის, რაც მან ოდესღაც იცოდა ან გაგონილი ჰქონდა ჩხუბის შესახებ. საერთოდ მიღებული ცნებები წუთიერ შთაბეჭდილებებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა².

ზუსტად ასევე გაიაზრებს ხოლმე მკითხველი გაზეთში წაკითხულ ფაქტებს. ცნობა, რომელსაც კომენტარი არ ახლავს, სულ სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო რეაქციებს იწვევს. «Прибавление субъективных элементов происходит настолько роковым и правдоподобным образом, что если придумать событие и

² Г. Кондратенко. Об особенностях стереотипизации, — «Вестник Московского университета», серия журналистика, 1968, № 1, стр. 41.

поставить в свидетели его людей с разными, но определенными складами ума, характера или темперамента, то можно наперед предсказать, что один будет оценивать событие так, другой иначе, один будет смеяться, другой чуть ли не плакать, для одного оно будет злом, а для другого — невинной вещью»³.

პროპაგანდისტის ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რომ მკითხველთა რეაქცია რაც შეიძლება ზედმიწევნით მიუსადაგოს არსებული პარტიული თუ კლასობრივი განწყობის პოზიციას. ერთი მხრივ ამას ვაღწევთ ინფორმაციის მიწოდების უნიფიცირებულ მეთოდებით, ხოლო მეორე მხრივ — ექსპრესიის შემცველი სტანდარტული მეთოდებით, ე. ი. სტერეოტიპული წარმოდგენებით.

უ. ლიპმანის შეხედულებით, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, ე. ი. იმისათვის, რომ ტენდენციურად იყოს შეფასებული ესა თუ ის მიმდინარე ამბავი და მოვლენა ან შემუშავდეს განსაზღვრული დამოკიდებულება ამა თუ იმ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის მიმართ, მნიშვნელოვანია არა ნამდვილი გარემოებანი, არამედ სტერეოტიპული რეაქციები, გრძნობები, განწყობილებანი. ეს წარმონასახები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ინდივიდის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში, ისინი იწვევენ „საზოგადოებრივი შეფხების შეზრდას ინდივიდუალურში“.

ლიპმანისეული სტერეოტიპიზაციის თეორია ემყარება ადამიანის აზროვნების ობიექტურ კანონზომიერებებს. ოღონდ ამ თეორიის პრაქტიკული გამოყენება კაპიტალისტური საზოგადოების მასობრივი კომუნიკაციის არხებში ითვალისწინებს სტერეოტიპულ წარმონასახთა მარტოოდენ განსაზღვრული სახეების გამოყენებას. ვისარგებლოთ ლიპმანის ტერმინოლოგიით და ვუწოდოთ მათ „ირაციონალურნი“, თუმცა უფრო ხშირად მათ მართებულად მიაკუთვნებენ განსაზღვრებას „მცდარი“. მცდარი და ჭეშმარიტი სტერეოტიპების დაწვრილებითი დახასიათება მოცემულია ვ. არტემოვის სტატიაში „სტერეოტიპების ობიექტური ბუნება და მათი გამოყენება იმპერიალისტური პროპაგანდის მიერ“, სადაც ვკითხულობთ: «Стереотип, как всякое психическое образование, включает в себя единство двух взаимодействующих начал — знания и отношения, из которых то одно, то другое выступает в качестве преобладающего. В социально-психологическом стереотипе преобладает отношение; это эмоционально-оценочное образование, но оно тесно связано с волей и мышлением, что и перекидывает

³ И. Сеченов. Избранные философские и психологические произведения, 1947, стр. 371.

мостик к единству отношения со знанием как рациональным, сознательным элементом стереотипа.

Степень истинности оценок, которые выводит индивид из стереотипизированных образов, прямо пропорциональна его познаниям в той сфере, из которой взят стереотип. Очень важно, какое содержание скрывается за стереотипом, насколько глубоко он схватывает существенные взаимосвязи явлений, основные, типические черты событий и людей. Если эти связи и черты поверхностны и несущественны, то стереотип далек от жизни, это стереотип ложный. Такие стереотипы легче складываются и усваиваются, поскольку улавливают лишь броское и приметное — то, что производит внешний эффект и сильнее бьет по эмоциям, вызывая в сознании людей наиболее бурную реакцию.

Наоборот, если связи и черты, олицетворяемые стереотипом, являются существенными и определяющими для характеристики явлений, то это стереотип истинный. Такой стереотип складывается медленнее и формируется с участием аппарата логического мышления. Истинный стереотип служит прочным фундаментом сознательного отношения человека к жизни, надежным компасом на пути к цели, соответствующей интересам и потребностям людей.

В зависимости от своих целей пропаганда использует либо ложные, либо истинные стереотипы. Конструирование ложных стереотипов, где чувственно-оценочное начало подавляет рационально-познавательное, — метод буржуазной пропаганды. Сознание истинных стереотипов, вбирающих в себя максимальное число существенных черт и явлений, — метод марксистско-ленинской пропаганды.

Суждения, выведенные из ложных стереотипов, отвлекают человека от истины, толкают на поспешные, необдуманные выводы»⁴.

3. არტემოვი გაუბრალოებულ სტერეოტიპებს „მცდარს“ უწოდებს. ასეთი ნეგატიური განსაზღვრებით ისე გამოდის, თითქოს გაუბრალოებულ სტერეოტიპებს მარტო ბურჟუაზიული პროპაგანდა იყენებდეს. ვფიქრობთ, ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდაც იყენებს მოქმედების მოტივებისადმი ემოციურ დამოკიდებულებას, რადგან გამარტივებული სტერეოტიპების დამახასიათებელი თვისებაა ზემოქმედება უპირატესად ადამიანის ფსიქიკის გრძნობით მხარეზე, ხოლო ზოგიერთი მოვლენა სწორედ ემოციურ რეაქციას მოითხოვს. მხედვე-

⁴ Сб. «Проблемы социальной психологии и пропаганда», Изд. полит литературы, 1971, стр. 96.

ლობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პიოვნებას იდეოლოგიური განწყობა უყალიბდება არა მარტო ნებისყოფის დაძაბვისაგან, ინტელექტისაგან, არამედ გრძნობებისაგანაც. ამიტომ ინდივიდის ბიოტი ორიენტაცია უნდა ხდებოდეს მისი საქმიანობის მთელი და ხასიათის ყოველმხრივი გათვალისწინებით. განწყობის წარმოსაქმნელად, «как состояния мобилизованности необходимых именно в данной ситуации психофизических сил субъекта надо использовать все силы индивида, а не отдельные самостоятельные процессы», — წერს პროფ. რ. ნათაძე⁵.

სხვა საქმეა, თუ რა მიზნით გამოიყენება სტერეოტიპი. დასავლეთის პროპაგანდა ქმნის სტერეოტიპებს, რომლებიც იწვევენ უალრესად პრიმიტიულ ემოციურ გაცდებს: შიშს, სიძულვილს, შურს, თვითკმაყოფილებას. ისინი უფრო ადვილად აღიქვრებიან და ნაკლებად ემორჩილებიან თვითკონტროლს. გამოიყენება მოვლენათა გარეგნული მიმდინარეობა, სხვადასხვაგვარი ჯგუფების წარმომადგენელთა ინტერესების დროებითი დამთხვევა, რაც საშუალებას იძლევა სპონტანურად ხდებოდეს მასობრივი ინტერესებით წინასწარ შემზადებული საზოგადოებრივი აზრის ფაბრიკაცია.

„მცდარი“ უმაღ უნდა ვუწოდოთ ისეთ სტერეოტიპებს, რომლებიც გრძნობებით სპეკულაციას ეწევიან და ქმნიან აშკარად წინასწარალეხულ აზრს ცნობილი, მაგრამ ნაკლებ შესწავლილი მოვლენის შესახებ. საამისოდ კი შეიძლება გამოყენებულ იქნენ ნაირგვარი საშუალებანი, მათ შორის ემოციებზე ზემოქმედებაც. მაგალითად, დასავლეთის პრესა ითვალისწინებს მკითხველთა შესაბამის რეაქციას და დიდ ყურადღებას უთმობს იმის აღწერას, თუ რა იტაცებს და იზიდავს სახელმწიფო მოღვაწეებს. თითქოსდა შემთხვევით გამოქვეყნებული ფოტოსურათი, რომელზედაც გამოხატულია, როგორ ეფერება ძალს გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფი, უფრო მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე ათობით პროპაგანდისტული სტატია. ობივატელი რომ ამ სურათს ნახავს, იგი აშკარა ძალდატანების გარეშე აკეთებს დასკვნას: ადამიანი, რომელსაც ცხოველები უყვარს, არ შეიძლება ბოროტი იყოს. მრავალგზის გამეორებული ტრიუკი დაამკვიდრებს სტერეოტიპს საზოგადოებრივ შეგნებაში.

სტერეოტიპის თანშობილი ნიშანია წინასწარალეხულობა. იგი საშუალებას იძლევა მეორეხარისხოვანი მთავარ რამედ მოგვაჩვენონ, ნაკლებმნიშვნელოვანი — დიდმნიშვნელოვანად. ორმოციან

⁵ Р. Г. Натадзе. Воображение как фактор поведения, Тб., 1972, стр. 7.

წლებში ამერიკის შეერთებული შტატების თეთრკანიანი მრავალ-ობის დიდი უმრავლესობა ძალზე აგრესიულად იყო განწყობილი ზანგებისათვის თანასწორუფლებიანობის მინიჭების მიერ. განწყობილებას იმით ასაბუთებდნენ, რომ თანასწორუფლებიანობის მოპოვებას ზანგები თითქოს მხოლოდ იმისათვის ცდილობდნენ, რათა თეთრკანიან ქალებზე დაქორწინების უფლება მისცემოდათ. ზანგთა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ, პირველ ყოვლისა, ისინი იბრძოდნენ (და დღესაც იბრძვიან) პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, ხოლო ქორწინებაში თანასწორუფლებიანობა აქ სრულიადაც არ იდგა პირველ ადგილზე⁶.

ნებისმიერ ნაცნობ, მაგრამ ზედაპირულად შესწავლილ მოვლენაზე შეიძლება შემუშავებულ იქნეს სტერეოტიპული წარმოდგენა. განსაკუთრებული წინასწარაღებულობით გამოირჩევა წარმოდგენები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა შესახებ. პრინსტონის კოლეჯის სტუდენტებს ორჯერ (1933 და 1951 წწ.) სთხოვეს დაეხასიათებინათ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები. ოთხმოცდაათი სიტყვა-დახასიათებისაგან მათ უნდა შეერჩიათ ხუთი, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე უფრო შესაფერისი იყო მოცემული ჯგუფის ტიპურ თვისებათა გამოსახატავად. სტუდენტებმა ასეთი განსაზღვრებანი შეარჩიეს: „ამერიკელები—ფხიანნი, ნიჭიერნი, ანგარიშიანნი, პატივმოყვარენი, პროგრესულნი. ინგლისელები — სპორტულნი, ნიჭიერნი, იცავენ პირობითობას, უყვართ ტრადიციები, კონსერვატიულნი. ებრაელები — ჭკვიანნი, ხარბნი, ანგარებიანნი, ძუნწნი, ნიჭიერნი. იტალიელები — არტისტულნი, იმპულსურნი, ფიცხნი, მუსიკალურნი. ირლანდიელები — მოჩხუბარნი, ფიცხნი, მახვილგონიერნი, პატიოსანნი, უაღრესად რელიგიურნი“⁷.

დასკვნა ერთია: დამკვიდრებული ცრურწმენა შეიძლება აღმოიფხვრას საკითხის მხოლოდ ძირფესვიანი შესწავლით, კერძოდ, ზემოთ მოტანილ შემთხვევაში — დასახელებულ ხალხთა თავისებურებებისა და ტრადიციების, ე. ი. რეალური ცოდნით, სწორედ რეალური ცოდნა უპირისპირდება მცდარ სტერეოტიპებს საბჭოთა პრესაში. მაგალითად, ადამიანთა შესახებ აქ მსჯელობენ მათი საქმეებისა და იდეური პოზიციების მიხედვით და არა მათი გატაცებისა თუ მიდრეკილების მიხედვით.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ზრდის და ავითარებს ინტერნაციონა-

⁶ И. К о н. Психология предрассудка, журн. «Новый мир», 1966, № 2, стр. 54.

⁷ იქვე, გვ. 56.

ლოზმის ტრადიციებს, ქადაგებს გულისხმიერ და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას მსოფლიოს ყველა ხალხის მიმართ. მცდარ სტერეოტიპთა შარავანდელის გაქარწყლების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ი. ერენბურგის შენიშვნები იაპონიის შესახებ. იგი წერდა: «В двадцатом веке Япония не раз привлекала к себе внимание Запада... Вспоминая все, что мне приходилось читать о Японии, я вижу, насколько многие описания этой страны были условными. И вряд ли справедливыми. Японцам не повезло, как не повезло героям некоторых романов нашей литературы: их изображали только одной краской — или розовой, или черной.

...Описывая японцев, некоторые западные авторы улыбались растроганно и снисходительно. В их рассказах имелось все — и рис, который едят палочками, и раздвижные домики, и свертучивость, и хорошенькие девушки в кимоно с широкими поясами «оби», неизменно щебечущие. Символом розовой Японии была куколка с черными гладкими волосами.

Были и такие западные авторы, которых Япония возмущала. Они не раз писали, что японцы лишены какой-либо индивидуальности; мелькали стереотипные определения: «прусаки Азии», «вечные имитаторы», «муравейник». В книгах этих авторов Япония была страной самураев, жаждущих рубить и крушить, страной харакири и пыток, коварства и жестокости, беспрекословного повиновения и дьявольской хитрости.

Не настало ли время отказаться от чересчур легких определений? Японские куклы очень милы и никому не мешают, но кроме кукол в современной Японии есть выдающиеся ученые — физики, крупные медики, превосходные архитекторы, великолепные конструкторы, талантливые кинорежиссеры»⁸. პუბლიცისტი უარყოფს მცდარ სტერეოტიპებს და ისე აღწერს თანამედროვე იაპონიას. ღრმა და დაკვირვებული დამოკიდებულება ფაქტებისადმი ამ ნარკვევებს ამომავალი მზის ქვეყნის შესახებ საინტერესოს ხდის როგორც ლიტერატურული, ასევე შემეცნებითი თვალსაზრისითაც.

მცდარი სტერეოტიპის ნამდვილი მიმართულება უკუდამოკიდებულებაში იმყოფება სუბიექტის ცოდნის მიმართ. ჭეშმარიტი სტერეოტიპი, პირიქით, სუბიექტის ცოდნასთან პირდაპირი კავშირით არის დაკავშირებული. ჭეშმარიტი სტერეოტიპები ეხებებიან არა იმპულსური რეაქციების სფეროს, არამედ პიროვნების მსოფლმხედველობრივ საფუძველს. მაგრამ იმისათვის, რომ სტერეოტიპმა

⁸ И. Эренбург. Собр. соч., том 6, стр. 266.

ზემოქმედება იქონიოს პიროვნებაზე, შეეხოს მის ემოციურ და ინტელექტუალურ სიმებს, არ კმარა ერთგზის ზემოქმედება. მხოლოდ მაშინ, «когда разовые воздействия наслаиваются друг на друга», образуется последовательная, целенаправленная их ориентация на достижение актуального политического действия»⁹ ყოველგვარი განმეორების მეთოდი არსებით როლს ასრულებს პიროვნების იდეოლოგიური ორიენტაციის შექმნაში. ძნელია გადაჭარბებით იქნეს შეფასებული განმეორებადი სტერეოტიპების მნიშვნელობა საზოგადოებრივი აზრის შექმნაში. სტერეოტიპთა განმეორების მეთოდი უთუოდ დაკავშირებულია გაზეთის ენის სტანდარტიზაციის პრობლემასთან, ლექსიკური შტამების შექმნისა და ინფორმაციის უნიფიცირებულობის საკითხებთან. სტერეოტიპული წარმოდგენის ფორმირების უმარტივესი შემთხვევაა სიტყვის, ფორმულირების, ლოზუნგის, „ქუდის“ დუბლირება. მაგალითად, ათი-თხუთმეტი წლის წინათ ბურჟუაზიულ პრესაში და დასავლეთის რადიოგადაცემებში საბჭოთა კავშირისა და ყოველივე იმის აღსანიშნავად, რაც მასთან არის დაკავშირებული, ხმარობდნენ ტერმინებს „საბჭოები“, „საბჭოთა“. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. ნაციონალიზმის გაღვივება — ესაა სოციალისტური სამყაროს მტრების ერთ-ერთი იმედი. ამიტომ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა რუს ერთან დაპირისპირების მთავარ მუხტად დასავლეთელმა პროპაგანდისტებმა აქციეს მოჩვენებითი „რუსიფიკაციის“ ლოზუნგი. ყოველივე საბჭოურს სახელწოდება „რუსული“ რომ მიანიჭეს, ბურჟუაზიული პროპაგანდისტები ამით ცდილობენ გამოიწვიონ დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინება რუსი მოსახლეობის ერთ ნაწილში და ამასთანავე სსრ კავშირის ეროვნულ უმცირესობებს გონებაში ჩააწვეთონ აზრი მითური „რუსიფიკაციის“ შესახებ. ანტისაბჭოთა პროპაგანდაში, განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ, ამ თემას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს¹⁰.

ამ მაგალითიდან ჩანს, თუ როგორ ხდება ლექსიკური შტამის უნიფიცირებული ფორმით წარმოდგენილი ლოზუნგის განმეორებით პოლიტიკური სტერეოტიპის ფაბრიკაცია. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის, რომ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აუდიტორიაზე სიტყვის ზე-

⁹ В. Учёнова. Гносеологические проблемы публицистики, М., 1971, стр. 40.

¹⁰ Сб. «Проблемы социальной психологии и пропаганда», стр. 107.

მოქმედების მექანიზმთა შესწავლას. ინფორმაციის შინაარსი და მოქმედებულთა მისი მიწოდების ფორმასა და მეთოდზე, ამიტომ სტერეოტიპული მოქმედების ოპტიმალურობა მნიშვნელოვანწილად სოციალური ფსიქოლოგიის პოზიციებიდან.

სოციალური ფსიქოლოგია ითვალისწინებს სტანდარტიზაციისა და სტერეოტიპიზაციის ურთიერთკავშირს, უფრო მეტიც, შტამპს განიხილავს როგორც სტერეოტიპის გამოხატვის ლექსიკურ და კომპოზიციურ ფორმას.

ამგვარი მიდგომა არა მარტო ადასტურებს თანამედროვე საგანგებო ენის ახალი ტენდენციების, სტანდარტისა და ექსპრესიისადმი მისი ორიენტაციის არსებობას, ამასთან ერთად იძლევა ყოველივე ამის ახსნასაც. სტანდარტი და ექსპრესია რთულ ურთიერთშემოქმედებაში იმყოფებიან, რადგან ისინი სტერეოტიპის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ. «Коммуникативные функции языка служат не только для выражения смысла, но и для выражения чувства, — ამტკიცებს ი. გალპერინი. — Логическая речь может иметь эмоциональную окраску, эмоциональная речь может быть строго логически построенной»¹¹.

ინფორმაციის დამუშავებისას ადამიანის ტვინში მიმდინარეობს თითქოს ორი პროგრამის ურთიერთმოქმედება: ინტელექტუალურისა და ემოციურისა, ამასთან თითოეულ ინდივიდში შეინიშნება „აქცენტთა გადაადგილება“¹². იმისათვის, რომ ინფორმაციამ მკითხველთა შორის შესაფერისი გამოძახილი პოვოს, საჭიროა ერთმანეთს გონივრულად ვუნაცვლებდეთ ექსპრესიასა და სტანდარტს, რადგან, თუ მკითხველს მარტოდენ სტანდარტიზებულ მასალებს მივაწოდებთ, შეიძლება ინფორმაციის მთელმა ნაკადმა ფუჭად ჩაიაროს. ურთიერთშევესების მეთოდი განაპირობებს მკითხველთა დამაკავშირებელი არხის საიმედოობას.

სტერეოტიპული სახეების, განწყობითი დებულებების გამოყენება წარმოადგენს როგორც საბჭოთა, ისე დასავლეთელი პროპაგანდისტების მეთოდს. ბეჭდვითი სიტყვის პრობლემების განხილვისას ვ. უჩონოვა აღნიშნავს: «Публицистика—способ политического воздействия и формирования массового сознания. Публицистика способствует регуляции общественных процессов массовым распространением образцов политического поведения. Распространение сопровождается убеждением, иногда нас-

¹¹ И. Гальперин. Речевые стили и стилистические средства языка. М., 1964, стр. 49.

¹² იბ. Н. Амосов. Моделирование мышления и психики. Киев, 1965, стр. 83.

тоичивым «навязыванием» вариантов понимания действительности и отношения к ней. Однако своеобразие «навязывания» в том, что оно не воспринимается как диктат и приказ, как однозначное требование соблюдения норм. Публицистика — всегда «разговор на равных», беседа, а не командование, сплочение единомышленников убеждением, а не приказом»¹³.

მარქსისტულ-ლენინურ პროპაგანდას მდიდარი ტრადიციები მოეპოვება. მისი ძირითადი დებულებანი მუშავდებოდა პარტიული კომუნისტური პრესის არსებობის პირველი დღეებიდანვე. ეს დებულებანი ყოველთვის ემსახურებოდნენ ყველა ქვეყნის მშრომელთა, ყველა ხალხის მშვიდობისა და სოლიდარობის საქმეს. ტყუილბრალოდ კი არ წარმოადგენს საბჭოთა გაზეთების დევიზს მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ძირითადი ფუნქციები საბჭოთა პრესისა — ორგანიზატორისა, პროპაგანდისტისა და აგიტატორისა. ლენინი წერდა, რომ «искусство агитатора в том и состоит, чтобы наилучшим образом повлиять на данную аудиторию, делая для нее известную истину возможно более убедительной, возможно легче усваиваемой, возможно нагляднее и тверже запечатлеваемой»¹⁴.

მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის მიზნებისა და ამოცანების შესადარებლად ბურჟუაზიული „აზრის ლიდერთა“ ამოცანებთან საკმარისია მოვიტანოთ ორი ნიმუში. ამათგან ერთი უბრალოდ გულახდილი გამონათქვამია. იგი ამერიკელ მკვლევარს მ. ჩუკას ეკუთვნის: «Современная пропаганда имеет целью массовое введение в заблуждение и установление с его помощью контроля над людьми. Эффективность пропагандистских усилий определяется тем, в какой степени пропагандисту удалось установить контроль над поведением людей»¹⁵.

მეორე ნიმუში წარმოადგენს მრისხანე მხილებას. ესაა იტალიელი პროფესორის, ცნობილი ფსიქიატრის ენრიკე პენიას გამოხმაურება სტატიაზე „ქცევის მოდიფიკაცია“, რომელიც „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნდა. წერილში ვკითხულობთ: «Современный психофашизм уже немалое время использует технику «психологической войны», стремясь «модифицировать» сознание и поведение людей в массовом масштабе. Террор и убийства в Аргентине направлены не только на то,

¹³ ვ. უჩანოვა, დასახ. წიგნი, გვ. 35.

¹⁴ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 21, стр. 21.

¹⁵ Сб. «Проблемы социальной психологии и пропаганда», М., 1971, стр. 29.

чтобы уничтожать политических противников, но также и па-
то, чтобы запугать, парализовать дух, ум и волю широких на-
родных масс. Для манипуляции умами используются методы
массовой информации, формирующие стереотипные об-
разы «смутьянов» и распространяющие ненависть ко всему
прогрессивному.

Известно, сколь зловещим был контроль со стороны пра-
вых сил над средствами информации во время подготовки
путча в Чили. Ту же роль играет он и в нынешней эскалации
террора в Аргентине»¹⁶.

ძალადობის ესკალაცია, ყალბი ორიენტირება, ყურადღების
ცენტრის გადაადგილება, ცალკეული სოციალური ჯგუფების
გრძნობათა წინ წამოხრა — აი, ის მეთოდები, რომელთა შემწეობით
ბურჟუაზიული იდეოლოგები აწარმოებენ „თავისუფალი საზოგადო-
ების“ სტერეოტიპების ფაბრიკაციას პიროვნებაზე მაქსიმალური ზე-
გავლენის მოსახდენად.

ოციან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა საზო-
გადოებრივი აზრის სტერეოტიპიზაციის თეორია. იგი წარმოადგენდა
აზროვნების სტანდარტიზაციის როგორც მასების კონტროლისა და
დათრგუნვის საშუალების ფორმირების ერთ-ერთ პირველ ცდას. ამ-
ჟამად ამერიკაში იყენებენ „ქეევის მოდიფიკაციას“, რომელიც მოქ-
მედებს გონებაზე, ღირსებაზე, ადამიანის პიროვნების ნიქსა და
უნარზე. თავი იჩინა აგრეთვე ზოგიერთ მეცნიერთა აქტიურმა ჩაბრ-
ვამ ფსიქიკაში. ფსიქიკას ხელყოფს რეკლამა და პროპაგანდა: და-
მონების საშუალებად იქცა ნირო და ფსიქოქირურგიაც.

„ჯერ არასდროს ყოფილა ამდენი მცდელობა დაემყარებინათ
კონტროლი ადამიანის ქცევაზე, როგორც ეს ამჟამად არის. მეც-
ნიერება და ტექნიკა საამისოდ გვაწვდის შესაფერის აღქურვილო-
ბას: ამ თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ არსებობს ქირურგის
სკალპელსა, ნარკოტიკებსა და ტელეხედვას შორის“, — აცხადებს
იტალიელი ქირურგი, პროფესორი ფ. ვიზალინი¹⁷. მსოფლიო სა-
ზოგადოებრიობა გმობს ამერიკელ „ქეევის მოდიფიკატორთა“
ზრახვებს. ცოცხალ ადამიანზე ექსპერიმენტის ჩატარება უნდა აიკ-
რძალოს. პიროვნების ფსიქიკაში შეჭრა და იძულებითი ზემოქმედე-
ბის მოხდენა სისხლის სამართლის დანაშაულია.

საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის დარგში დასავლეთელი
იდეოლოგები იყენებენ „დეიდეოლოგიზაციის“ სხვადასხვაგვარ მე-

¹⁶ «Литературная газета», 19 марта 1975 г., стр. 14.

თოდებს. საბჭოთა პროპაგანდისტების ამოცანაა დაუპირისპირონ/ ანტისაბჭოურ ლოზუნგებს შესაბამისი დაცეითი სტერეოტიპები/ ამას სხვადასხვა მეთოდით ვაღწევთ. ერთ-ერთი ყველაზე გავრცე- ლებული მეთოდია ცილისმწამებლური გამოსვლების განმარტება და მხილება, აგრეთვე ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის შექმნა დასავლეთის რადიოსადგურებისა და გაზეთების მიმართ. მაგალი- თად, წინასიტყვაობის ნაცვლად სტატიას „სილა „თავისუფალ ევრო- პას“¹⁷ ახლავს შემდეგი სარკმელური ჩანართი: „დივერსიული ცენტ- რის ყოფილი თანამშრომელი ამხილებს რადიოსადგურის დანაშაუ- ლებრივ საქმიანობას, ნიღაბს ჰგლვჯს მის ახლანდელ ხელმძღვანე- ლებს — ყოფილ ფაშისტ აგენტებს, პროვოკატორებსა და ჯაშუ- შებს“. ყურადღება მივაქციოთ განსაზღვრებებს: „დივერსიული“, „დანაშაულებრივი“. რადიოსადგურის საქმიანობის მიმართ იქმნება მკვეთრი სტერეოტიპი, რომელსაც აუცილებლად აღვიქვამთ.

მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის საგარეო-პოლიტიკურმა და შიდასაკავშირო დარგებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიმუშავეს განწყობითი სტერეოტიპების მთელი სისტემა, რომელიც ეხება ჩვენი ცხოვრების ყველაზე აქტუალურ საკითხებს.

მსხვილი განწყობითი სტერეოტიპები, როგორც პიროვნების მსოფლმხედველობის მყარი საფუძველი, ყალიბდება უფრო მცირე სტერეოტიპებისაგან. მცირე სტერეოტიპები აშუქებენ სოციალის- ტური საერთო ცხოვრების მხარეებს. მათი დახმარებით პროპაგანდა აკონკრეტებს ძირითად გლობალურ განწყობითს დებულებებს.

ერთი დღის ნიშანდობლივი, დამახასიათებელი ფაქტები განამ- ტიციებენ მიზანმიმართულ იდეოლოგიურ დამოკიდებულებას ჩვენი- დროის — კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის — სულისკვეთები- სადმი.

პროპაგანდისტის იმ უნარზე, რომ მცირეში დაინახოს მთელი პოლიტიკის ტიპური გამოვლინება, დამოკიდებულია შექმნილ სტე- რეოტიპულ წარმოდგენათა მოქნილობა და სისწორე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 9 იანვრის დადგენი- ლებაში „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამო- ცანების შესახებ“ ნათქვამია: «Пропаганда распространения идей коммунистической партии должна быть разностороонней, гибкой и полностью соответствовать современным услови-

¹⁷ გაზ. „იზვესტია“, 1975 წლის 13 მარტი.

რამ»¹⁸. ისეთი ცნებები, როგორცაა, მაგალითად, პატრიოტიზმი, პროეტარული ინტერნაციონალიზმი, სამართლებრივი დემოკრატიკურ-ეკონომიური ნორმები, წელთა განმავლობაში უწყვეტ რჩება. მაგრამ ისინი სულ უფრო ღრმად ინერგებიან საბჭოთა ადამიანების შეგნებაში, წარმოადგენენ ახალი საზოგადოების ადამიანის მორალური კოდექსის ბაზას.

ძირითადი, აქტუალური სტერეოტიპებისაგან განსხვავებით, მცირე სტერეოტიპები შეიძლება მოკლე ხანშიც შეიცვალოს. მათი მოქმედება მიაგავს ტაქტიკურ ცვლილებებს გლობალური სტრატეგიის განხორციელებისას.

საბჭოთა პრესაში მუდამ დიდი ყურადღება ეთმობა ყოველდღიურ საწარმოო ცხოვრებას, მაგრამ ისტორიული მომენტის მიხედვით გამოიყენება და სხვადასხვაგვარად შუქდება ხალხის მიერ გამოჩენილი შრომითი გმირობა. პირველი ხუთწლეულების წლებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა ჯერ მხოლოდ ძალებს იკრებდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ხაზგასმით ყოფილიყო აღნიშნული თავგამოდება, ენთუზიაზმი, სულ სხვადასხვაგვარ სიძნელებებთან ბრძოლის სიმძაფრე. დღეს, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეპოქაში, საზოგადოებისა, რომლის განკარგულებაშია მტკიცე მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა, ყოველნაირად ხაზი გაესმის შრომისადმი ინტელექტუალურ დამოკიდებულებას. მართოდენ ენთუზიაზმი ცოტაა, თანამედროვე მუშას უნდა ჰქონდეს ღრმა და მრავალმხრივი ცოდნა, შემოქმედებითად ეკიდებოდეს თავის საქმეს. ჩვენ უდიდესი მიღწევების ეპოქაში ვცხოვრობთ. მალდება საბჭოთა ხალხის კულტურული და მატერიალური ცხოვრების დონე.

სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ გამოვიდა ნარკვევების წიგნი საბჭოთა ექიმებზე. მასში არის ასეთი სტრიქონები: «За порядком в операционной следит молодая, энергичная старшая сестра Тамара. Она включает вентилятор и, когда замечает, что струя воздуха не доходит до хирурга, поднимает тяжелый вентилятор высоко над головой и стоит так почти до конца операции»¹⁹. ცხადია, ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავს, მკითხველი დღესაც ჯეროვნად დააფასებს მზრუნველ მედლას, მაგრამ აღტაცებას არავინ გამოთქვამს, რადგან გულში გაივლებს „რატომ უნდა იდგეს კვალიფიცირებული უფროსი მედლა როგორც ვენტილატორი“

¹⁸ Сб. «Партийное просвещение в жизнь», М., 1963, стр. 135.

¹⁹ М. Бессараб. Открытое сердце, М., 1967, стр. 30.

რის საყრდენი?! რატომ არ არის საოპერაციოში საკონდენსაციო დანადგარი?!“ საფიქრებელია, დღეს ამ ეპიზოდის აღწერის ტონი უფრო კრიტიკული იქნებოდა. შევადაროთ ეს ეპიზოდი იმ ფიქრებს, რომელიც ამერიკელმა ჭაბუკმა წამოისროლა ვ. პესკოვთან საუბრისას სპოკანში გამართული ბუნების დაცვის მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონში: პავილიონში ცხელა, ხოლო ვენტილაციაზე ეკონომიის გაწევა — ეს ხომ იგივეა, ძვირფასი კოსტიუმი შეიკერო და ღილებზე ფული დაგენანოსო²⁰.

სტატიაში „როგორ ვწერთ მუშებისათვის“ გაზეთ „ტრუდის“ რედაქტორის მოადგილე ვ. ერმოლაევი გამოთქვამს აზრს, რომ ეკონომიურ რეფორმასთან და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ახლებურად ვწეროთ შრომითი პროცესების შესახებ. საქმეს ართულებს ის, რომ ჩვენ სავსებით ჯერ კიდევ ვერ გავთავისუფლებულვართ მოძველებული წარმოდგენებისაგან, ყოველთვის ოპერატიულად ვერ ვეხმაურებით ახალი დროის მოთხოვნებს. ძალიან ხშირად აღვნიშნავთ გეგმის შესრულებას, იმას კი მხედველობაში არ ვიღებთ, რომ სამუშაო იერიშობანათი შესრულდა. საჭიროა ვიბრძოლოთ ასეთ „წარმატებათა“ წინააღმდეგ, ზეგანაკვეთური მუშაობა იწვევს შრომის ნაყოფიერების შემცირებას, ხელფასის ფონდის გადახარჯვას.

მუშების შესახებ დაწერილი სტატიები ვერ ასახავენ დღევანდელი დღის განწყობილებებსა და მოთხოვნილებებს, — განაგრძობს ვ. ერმოლაევი. სოციოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სტატიები, რომლებიც ეკონომიურ თემებს (შრომის თემებს) ეძღვნება, თითქმის ყველაზე ნაკლებად იკითხება. ცხადია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშის ფიქრი და გონება მივაპყროთ წარმოების რაციონალიზაციას, ყურადღება გავამახვილოთ შრომის მორალზე, მუშისა და წარმოების ხელმძღვანელის ეთიკაზე²¹.

უკანასკნელ ათ წელიწადში შეიცვალა საბჭოთა ადამიანის სახის გამოხატვის ტენდენციაც. ისეთი მოვლენების გაშუქების შედეგად, როგორცია სოციალისტური შეჯიბრება და შრომითი ინიციატივა, გაზეთში გამოჩნდა საბჭოთა ადამიანების მყარი, სტერეოტიპული სახეები. ტიპურის ხაზგასმამ, ხუთწლედის გმირთა საერთო თვისებების გამოვლინებამ გამოიწვია ჩვენი თანამედროვეების სახეთა ნიველირება, გამოაცალა მათ ინდივიდუალური მიმზიდველი

²⁰ ვაზ. „კომსომოლსკაია პრავდა“, 1974 წლის 10 სექტემბერი.

²¹ ეურნ. „ეურნალისტი“, 1969, № 12.

თვისებები. გამოჩნდა პორტრეტული ჩანახატები, რომლებიც, ვე-
ლეტონისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაახლოებით ასე იქნებოდა
«Привычной рукой набрасываю портрет: серые глаза, светлые
волосы, слегка вздернутый нос, волевой подбородок — и все
это (да, чуть не забыл, еще белозубая улыбка)... и все это
делает его по внешности типичным передовым рабочим на-
ших дней: такие лица мы часто видим на плакатах». ²²

სტერეოტიპული სახეები უნდა გამოვიყენოთ არა როგორც აღ-
წერის მეთოდი, არამედ როგორც საშუალება პიროვნების მიმართ
დამოკიდებულების შექმნისა. სტერეოტიპი პუბლიცისტურ ქანრებში
უნდა გვეძლეოდეს თავს მოუხვევლად, მოქნილად. ბორის აგაპოვი
წერდა: «Люди ждут от нас мыслей и знаний. А получают
вместо этого изложение собственной жизни, менее правиль-
ное, чем это они сделали бы сами, если бы умели писать, да
еще приправленное сентенциями стандартных образов.
В изложении мы изолируем героев и читателей от истории,
философии, от всей культуры человечества. Мы рассматри-
ваем их в микроскоп в пределах данной клетки, оправдываясь
тем, что в них, как в капле, отражен мир или класс. Это
типично, — провозглашаем мы, общее — в единичном. А не
правильнее ли допустить, что типичным в наших очерках
является скудость мысли, которую мы маскируем то так на-
зываемой оперативностью, то пресловутой точностью фактов?
Да, оперативность усложняет задачу. Что касается фактов,
то вы вправе возразить: «Не могу же я врать, приписывать
герою мысли, которых у него не было». Разумеется, не мо-
жете. Но вы же сами герой, уважаемый автор! Ваше суще-
ство не менее реальное, чем все, что вы изволите описывать.
Вы обязаны говорить от себя. Вы должны иметь собствен-
ные мысли. Ваш герой может быть необразованным чело-
веком, но вы не имеете права быть им. Ваш герой может не
говорит о Шопенгаузере и Тинторетто, но вы обязаны знать
и того, и другого и еще многое, чтобы связать вашу тему
с большими проблемами и большими идеями. От вас тре-
буется богатство ассоциаций, смелость сопоставлений, фи-
лософская глубина». ²³

ფაქტი ხვდება ავტორის ცოდნათა რთულ სისტემაში, გაიაზრე-
ბა, გაანალიზდება, მას დაერთვის, თუ ამას გარემოება მოითხოვს,
კომენტარები და მხოლოდ ამის შემდეგ ვიხილავთ გაზეთის ფურ-
ცლებზე. უნარიანად გამოყენებული შტრიხები დამაჯერებლობას

²² Е. Краснов. Лица с плакатов, журн. «Журналист», 1966, №8, стр. 78.

²³ Б. Агапов. Взбирается разум, М., 1972, стр. 153.

აძლევენ ამბებისა თუ მოვლენების გადმოცემას და ასოციაციის/გზით იწვევენ მკითხველის სტერეოტიპულ განწყობითს ერთ-ერთ სამოგზაურო ნარკვევში ო. ჩეჩოტკინა აღწერს საბჭოთა მეზღვაურებთან შეხვედრას შორეულ სინგაპურის ნავსადგურში²⁴. იგი მოგვითხრობს საბჭოთა ეკიპაჟის სიმამაცესა და გამბედაობაზე. ნარკვევში არის საბჭოთა და ამერიკელი მეზღვაურების ქცევის ურთიერთდაპირისპირება, მაგრამ იგი ყოველთვის ფარული სახით არის წარმოდგენილი. ავტორი თავს არიდებს აშკარა შეფასებას, საშუალებას აძლევს მკითხველს თვითონ გამოიტანოს დასკვნები. იგი მხოლოდ აწვდის მას გულდასმით შერჩეულ ფაქტებს. თუ საბჭოთა მეზღვაურის კაიუტაში ავტორი ხედავს გადაშლილ პუშკინის ტომს, ამერიკელთა აღწერისას იგი ხმარობს ასეთ მკვეთრ გამოთქმებს: „ამერიკელები ბარში ჩაცვივდნენ; ფეხები მაგიდაზე რომ წამოჭიმეს, „თეთრებმა“ ყვირილით მოიხმეს ოფიციანტები, ხოლო „შავებმა“ თავები მაგიდის ცენტრისაკენ დახარეს და ხმადაბლა რაღაც საუბარი გააბეს“.

გამოცდილი პუბლიცისტები ხშირად სარგებლობენ სტერეოტიპული ასოციაციების მეთოდით. ეს ხერხი გვეხმარება წავაქეზოთ მკითხველის აზრი და აღვუძრათ შესაბამისი ემოციური განწყობილება. „კომსომოლსკაია პრავდამ“ და „იზვესტიამ“ თითქმის ერთდროულად, 1975 წლის შემოდგომაზე, დააყენეს ერთი და იგივე პრობლემა — იგი ეხებოდა ტრადიციებსაც და გემოვნებისა და ტაქტის აღზრდასაც. ეს პრობლემა განიხილებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ ფეხი მოიკიდა მისწრაფებამ გაემართათ მდიდრული ქორწილები, მოეწყოთ ქეიფები, რომლებიც ნახევარი საათის შემდეგ გადაიქცეოდა ხოლმე ზერელედ ნაცნობ მთვრალ ადამიანთა თავშეყრად.

„კომსომოლსკაია პრავდამ“ მხედველობაში მიიღო მკითხველთა ასაკობრივი ცენზი და ყოველივე ამის შესახებ წარმოუდგინა მათ სხვადასხვა სპეციალისტთა აზრებისა და გამონათქვამთაგან შერჩეული მასალა. გაზეთის ფურცლებზე გაჩაღდა პოლემიკა, ამასთან თითოეული მოკამათე ინარჩუნებდა თავის შეხედულებებს.

„იზვესტიაში“ საკითხს სხვანაირად მიუდგნენ, ნარკვევით გამოვიდა ტატიანა ტესი: ნარკვევს „ქორწილის დღე“ ერქვა²⁵ და მასში მოთხრობილი იყო რამდენიმე ეპიზოდი, ავტორის ლოგიკური კვანძით გაერთიანებული: ახალდაქორწინებულებზე, რომლებიც შე-

24 О. Чечёткина. Два мира, газ. «Комсомольская правда», 13 сентября 1974 г.

25 Т. Тэсс. День свадьбы, газ. «Известия», 21 января 1975 г.

ქეფებულ სტუმრებს გამოჰქცეოდნენ, მშობელთა ზრუნვაზე, რომლებიც თავს იმტვრევდნენ, როგორ გაემართათ ისეთი ქორწილი, სხვებისაზე ნაკლები რომ არ გამოსულიყო, ბედნიერ ახალგაზრდა წყვილზე, რომელიც მმაჩის შემდეგ დაუყოვნებლივ გაემურა სამოგზაუროდ, და... მერცხლებზე, რომლებიც შემოფრინდნენ აეროპორტის კაფეს დარბაზში, სადაც ახალნაქორწინევი ცოლ-ქმარი ისხდა, და დიდხანს დასტრიალებდნენ თავს ახალგაზრდა წყვილს. ნარკვევს ამ სიტყვებით ამთავრებს ავტორი: «... Пусть летят по улицам нарядные машины, пусть гремит свадебная музыка и звенят бокалы, — пусть, если все это доставляет радость.

Но пусть этот звон не спугнет ласточек, влетевших в ваше окно, — синих птиц простого и чистого счастья».

ტ. ტესი თავს არიდებს დიდაქტიკას, ზნეობრივ დამოძღვრას. იგი ფაქიზად, ძალდაუტანებლად მიმართავს აზრს საჭირო კალაპოტისაკენ, რჩევას იძლევა: დავფიქრდეთ, ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანასო.

ანალოგიურ ხერხს იყენებენ ვ. პესკოვი და ბ. სტრელნიკოვი ნარკვევში „ბულბულები და შოთხვი“²⁶, რომელიც ეკუთვნის პუბლიკაციების სერიას „მიწა ოკეანის გაღმა“. ნარკვევში მოთხრობილია სიყვარულსა და „სექსის ტალღაზე“, რომელმაც ამერიკა მოიცვა. პირველივე ფრაზები ქმნიან ემოციურ ასოციაციას: «...соловьев в Америке нет. Справочник подтвердил — нет. Серая птичка — привилегия Азии и Европы. Ну а кто же поет в Америке о любви?— уточняют вопрос любопытные. Не знаем. Проглядели. Он есть, конечно, в природе, певец, заставляющий замереть влюбленное сердце. Однако не поэзию чувств замечаешь в первую очередь и особенно в больших городах». ეს შესავალი მკითხველს მომდევნო ტექსტის აღსაქმნელად საჭირო „ტალღაზე“ მომართავს, შეამზადებს პირობებს საიმისოდ, რომ მკითხველთა შეხედულება ავტორთა თვალსაზრისს ემთხვეოდეს.

ემოციურად შეფერილი სტერეოტიპების ნიშანდობლივი თვისებაა ის, რომ ისინი ძალიან ადვილად აღიქმებიან.

იმ განწყობათა აღქმის რთულ პროცესში, რომელთაც პროპაგანდას ვუწევთ, წარმატების მოპოვებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ სტერეოტიპის ზემოქმედებას მიზანში მოვახვედრებთ.

²⁶ В. Песков, Б. Стрельников. Соловьи и черемуха, газ. «Комсомольская правда», 24 мая 1973 г.

სტერეოტიპი — ეს არის პოლიტიკური და იდეოლოგიური მოქმედების მეთოდი. მარჯვედ გამოყენებული სტერეოტიპი ასოციაციებს იწვევს და ქმნის ვადაურის ლოგიკურ ბლოკს, რომელიც ესაბამება პროპაგანდის მთელ განწყობითს სისტემას.

უკანასკნელ ხანებში, როგორც კი დააჯამებენ ხოლმე სპორტულ შეჯიბრებათა შედეგებს, ტელე და რადიოკომენტარებსა და პრესაში აუცილებლად ხაზგასმით აღინიშნება, რომ მედლების მეტი რაოდენობა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ერთი შეხედვით, ესაა ფაქტის უბრალო კონსტატაცია, მაგრამ ამასთანავე თავისთავად გამოდის ლოგიკური დასკვნა: მაშასადამე, სოციალისტურ ქვეყნებში სპორტი უფრო მასობრივია, სპორტსმენებს ავარჯიშებენ კარგი მწვრთნელები, მათ განკარგულებაშია სათანადოდ მოწყობილი სტადიონები და სპორტდარბაზები; და თუ ქვეყანაში სპორტის განვითარებაზე ზრუნავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ზრუნავენ ადამიანთა ჰარმონიულ განვითარებაზე.

ემოციური განწყობილების შექმნა, მკითხველის ფიქრებისა და გრძნობებისადმი მიმართვა, „საუბარი ტოლისა ტოლთან“ — ასეთია თანამედროვე პუბლიცისტური ქანრების სტილი. ისინი აღუძრავენ მკითხველს ინტერესს, რომელიც გამოიხატება უამრავი გამოძახილით გამოქვეყნებულ მასალებზე. თუ სტატიამ ინტერესი აღძრა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დროული და საჭირო იყო; ეს იმას ნიშნავს, რომ იდეები, რომლებსაც გაზეთი პროპაგანდას უწევს, აუდიტორიის შეგნებაში შევიდა, ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობაში დამკვიდრდა და მათი ყოველდღიური ცხოვრების ნორმა გახდა.

საბჭოთა პროპაგანდისტები პროგრესული იდეების გავრცელებისათვის იღვწიან. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა და მათ შორის სტერეოტიპთა შემწეობით ისინი იდეოლოგიურად აიარაღებენ ხალხთა მასებს, ეხმარებიან მათ გაიაზრონ საზოგადოებრივი განვითარების კანონები და გახდნენ მსოფლიოს გარდაქმნის პროცესის მონაწილენი.

სტერეოტიპთა გამოყენება საგაზეთო პუბლიკაციებს ქმედითსა და აქტუალურს ხდის, ხელს უწყობს იმას, რომ პროპაგანდა არა მარტო ბიძგის მიმცემი იყოს მოქმედებისათვის, არამედ საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანების პრაქტიკული განხორციელების ხერხების მაჩვენებელიც.

პუბლიცისტიკა — ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სოციალური მართვისა და კონტროლის საშუალება. პუბლიცისტთა ამოცანებს რომ განსაზღვრავდა, ვ. ი. ლენინი წერდა: «...постоянное дело

публицистов — писать историю современности и стараться писать ее так, чтобы наше бытописание приносило пользу и помощь непосредственным участникам движения и героям — пролетариям, там, на месте действий, писать так, чтобы способствовать расширению движения, сознательному выбору средств, приемов и методов борьбы, способных при наименьшей затрате сил дать наибольшие и наиболее прочные результаты»²⁷.

²⁷ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 9, стр. 208.

А. Ш. ИОСЕЛИАНИ

НЕКОТОРЫЕ ЖАНРОВЫЕ И КАЧЕСТВЕННЫЕ ОСОБЕННОСТИ МОЛОДЕЖНОЙ ПУБЛИЦИСТИКИ КАК ФАКТОРА ФОРМИРОВАНИЯ ЛИЧНОСТИ

Анализ практики функционирования комсомольско-молодежных газет свидетельствует, что молодежная публицистика обладает специфическими особенностями и богатыми возможностями комплексного воздействия на процесс формирования социальных и духовных качеств личности молодого строителя коммунизма.

Своеобразие молодежной публицистики как фактора формирования личности проявляется прежде всего в том, что для нее главной, определяющей является социально-педагогическая функция, т. е. именно та функция публицистики, в процессе реализации которой происходит непосредственное воспитательное воздействие этого рода литературы на сознание и поведение личности читателя и зримо обнаруживается органическая связь социального назначения и основной ленинской триединой функции партийно-советской печати с целями и задачами коммунистического воспитания человека.

Эта функциональная специфика публицистики комсомольско-молодежной газеты обусловлена, на наш взгляд, двумя основными факторами:


1) **субъективным фактором** — главными политическими и идейно-воспитательными задачами и целями, которые ставит перед Ленинским комсомолом как политическим воспитателем молодежи Коммунистическая партия, исходя из объективных закономерностей и потребностей исторического развития нашего общества по пути к коммунизму;

2) **объективным фактором** — особенностями объекта пропагандистско-агитационного и воспитательного воздействия молодежной публицистики, т. е. своеобразием социально-демографических и социально-психологических качеств личности молодого читателя, обусловленных «переживанием» самого ответственного и интенсивного этапа социализации индивида — стадии активного становления социальной и духовной структуры личности.

Специфическая социально-педагогическая функция молодежной публицистики в более широком социальном аспекте выступает как функция социализации молодого поколения общества, что обусловлено ее способностью оказывать существенное интегрированное воздействие на процесс формирования социальной структуры личности молодого читателя. Публицистика комсомольско-молодежной газеты, привнося в сознание читателя всесторонние знания о фактах, явлениях, ситуациях социальной действительности и суждения о них, выраженные в общественном мнении, а также знания о закономерностях общественного развития, политически целенаправленно влияет прежде всего на социальную направленность формирующейся личности (т. е. систему социальных потребностей, интересов, ценностных ориентаций, убеждений и идеалов), чем способствует, во-первых, осознанию индивидом коренных потребностей и интересов развития общества и приведению их в соответствие со своими личными, во-вторых, осознанию (интернализации) индивидом своих социальных ролей, определению своего положения в обществе и отношения к этому положению, в-третьих, существенному расширению социальных связей молодого индивида в процессе его «вхождения в общество» и тем самым раскрытию его «действительного духовного богатства».

Таким образом, благодаря особенностям реализации своей главной социально-педагогической функции молодежная публицистика фактически выступает **важным и специфичным фактором социализации молодого человека**, оказывающим двухстороннее воздействие на процесс его социального и духовного созревания: во-первых, она способствует интеграции молодых членов общества на основе выработки у них единого марксистско-ленинского научного мировоззрения, единых социально-политических, нравственных позиций, единой социальной направленности, общественной психологии и, в конечном счете, единых социально-типических качеств нового человека; во-вторых, молодежная публицистика помогает раскрытию и развитию у формирующейся личности индивидуальных способностей и духовных качеств посредством расширения ее социальных связей, возможностей самопознания и «автономного» освоения широкого социально-практического опыта старшего поколения и «общества сверстников».

В практике функционирования комсомольско-молодежных газет проявляют себя две противоположные тенденции: интенсивная дифференциация публицистического потока с целью охвата самых различных социально-демографических, профессиональных групп молодежной читательской аудитории и одновременно его интеграция, т. е. поиск



„ადამიანში ყველაფერი უნდა იყოს მშვენიერი: სახეც, მულობაც, სულიც, აზრებიც“, — წერდა ა. ჩეხოვი და ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. ამ საზოგადოებრივი ეთიკურ-ესთეტიკური ნორმებიდან გადახვევა, ჩაცმულობისადმი აგდებული დამოკიდებულება, ვარცხნილობის არაფრად ჩაგდება, გადაჭარბებული ექსტრავაგანტურობა და სხვ. — მაყურებლის მიერ, როგორც წესი, უარყოფითად აღიქმება. ამიტომ კომუნიკატორის გარეგნულობა და სულიერი სამყაროს გამოვლენა დიალექტიკურ ურთიერთდამოკიდებულებაში უნდა იყოს, ფორმა და შინაარსი ერთმანეთს უნდა ავსებდეს. პოზა, მიმიკასთან ერთად, მოძრაობა და, ბოლოს, ქესტიურთიერთობის კინეტიკური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც გამომსვლელს მეტად რთულ ვითარებაში აყენებს.

ამრიგად, თუ პრესაში კომუნიკატორს შეუძლია ისარგებლოს ნიშნების მხოლოდ ერთი სისტემით, — ლინგვისტურით, თუ რადიოში იგი იღებს კიდევ ერთ დამატებით სისტემას ნიშნებისას, — პარალინგვისტურს, ტელეხედვაში კომუნიკატორს თავის განმგებლობაში ეძლევა ნიშნების სამივე სისტემა: ლინგვისტური, პარალინგვისტური და კინეტიკური. თუ ამას ზედ დავურთავთ პიროვნების გამოსახულებასაც, მაშინ სატელევიზიო გამოსვლის — როგორც ყველაზე ემოციურ-გამოსახვითი საშუალების უპირატესობა, კომუნიკაციის სხვა სახეებთან შედარებით, ნათელი იქნება.

ამიტომაც, რომ ტელემაყურებლის აღიარებას იმსახურებს მხოლოდ ის, ვისაც ღრმად ესმის ტელეხედვის თავისებურება და უპირატესობანი, ძალუძს მათი ოსტატურად გამოყენება, თავის მოღვაწეობას უდგება როგორც მხატვარი და შემოქმედი. ამაზე მეტყველებს სატელევიზიო პრაქტიკაც.

როგორც ცნობილია, მაყურებლამდე საინფორმაციო მასალა ორი გზით მიდის: ფირის საშუალებით (ვიზუალური) და ზეპირი სახით (ვერბალური). ორივე გზა სატელევიზიო სინამდვილისათვის მისაღები და აუცილებელია. ორივე საშუალება საქართველოს ტელეხედვის პრაქტიკაშიც მრავალი ფორმით არის გამოყენებული და, სხვა გადაცემებთან შედარებით, უფრო პროფესიონალური და სტაბილური თვისებებით ხასიათდება.

საქართველოს ტელეხედვის საინფორმაციო გადაცემები ძირითადად თავს იყრის საყურნალო ტიპის პროგრამაში, რომელსაც „მოამბე“ ეწოდება. ეს უკანასკნელი ცენტრალური ტელეხედვის

პროგრამა „ვრემიას“ ანალოგიური ფორმაა და, სამწუხაროდ, ჯერ-
ჯერობით მის ეპიგონურ სახეს წარმოადგენს. „სამწუხაროდ“
ბოლო იმიტომ, რომ რა შესაძლებლობებიც „ვრემიას“ აქვს, რა გლო-
ბალური გასაქანიც მას ეძლევა, იგი ვერასოდეს ვერ ექნება ჩვენს
საინფორმაციო პროგრამას, რის გამოც ამავე ფორმის მასშტაბში მი-
სი მუდმივი ყოფნა გაუმართლებელია და იქმნება იმის საშიშროება,
რომ საბოლოოდ შესაძლებელია იგი გადაიქცეს დაშტამპული პროგ-
რამის „სანიმუშო“ მაგალითად. ინფორმაციის მთავარი რედაქციის
შემოქმედებითა კოლექტივმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათ-
ვის, რომ კარგად მოფიქრებულ სიუჟეტებს, რაც მას საკმაოდ გა-
აჩნია, ახალი, დამოუკიდებელი ფორმა მოუხაზოს.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენ რატომღაც სრულიად დამშვიდებუ-
ლი ვუყურებთ დიქტორებს, როგორც მოვლენასა და მყურებელს
შორის მყოფ პიროვნებებს. მაგრამ ეს მთლად გამართლებული არ
არის. დიქტორი არის არა უბრალო შუამავალი, არამედ ინფორმა-
ტორი, რედაქციათა ოფიციალური წარმომადგენელი, რომელზეც
ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ საჭიროა მუდამდღე ვზრუ-
ნავდეთ სადიქტორო ინსტიტუტის გაუმჯობესებაზე.

საუბარი, ინტერვიუ, რეპორტაჟი ყოველთვის იქნება პირდაპირ-
რი ტელეხედვის ძირითადი ჟანრები, რომელთა ხორცშესხმაზე
ბევრად იქნება დამოკიდებული ტელესტუდიათა ავტორიტეტი;
ცოცხალ სიტყვას მუდამ მეტი დამაჯერებლობის უნარი ექნება,
ვიდრე ჩაწერილს.

ასეთი ცოცხალი სიტყვით, უშუალოდ და აზრიანად გვესაუბ-
რება ხოლმე ზოგიერთი მიმომხილველი და თეატრმცოდნე, მაგრამ
ზოგჯერ, სხვადასხვა რუბრიკით, გამოგვყავს რესპუბლიკის გამოჩე-
ნილი ადამიანები, რომელთა ერთი ნაწილის საუბრები, სამწუხარ-
ოდ, სტერეოტიპული ხასიათისაა და მოქცეულია ტრადიციულ
შტამში, ერთსვლიან სქემაში. ამგვარი გადაცემებით კი ჩვენი ტე-
ლესტუდია არა თუ ავტორიტეტს ვერ უმაღლებს ერთობ საპატიო
პირებს, არამედ მეტად ცუდ სამსახურს უწევს მათ.

ტელესტუდიის ფორმათა არსენალში უხვად მოიპოვება ისეთი
ხერხები, რომლებიც ნებისმიერი გამოსვლისათვის შესაფერის და
სასარგებლო ვითარებას შექმნის, მაგრამ, მონდომებასთან ერთად
საჭიროა რეჟისორების მეტი დაინტერესება და მათი აქტიური
ჩაბმა „სალაპარაკო“ ჟანრების გადაცემათა მაღალ დონეზე მოსამ-
ზადებლად.

დიდ დაფიქრებას საჭიროებს თეატრალური სპექტაკლის ტელე-

ხედვაში ჩვენების საკითხიც, ვინაიდან ამ დროს იგი კარგავს თავის ბევრ თავისებურებასა და სცენურ მიმზიდველობას. მაგრამ მოვიქცეთ ისეთ შემთხვევაში, როცა სპექტაკლი ტელეხედვაში და ვაჩვენოთ? მოძრავი სატელევიზიო სადგურბ, მართალია, გვეხმარება სპექტაკლის უშუალოდ თეატრიდან გადაცემაში, მაგრამ მას მაინც ბევრი ხარვეზი აქვს. ამიტომ შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად ყველაზე კარგი გამოსავალი ის არის, რომ თეატრალური სპექტაკლი ტელეხედვაში გადავცეთ კუპიურებით, რომელსაც პროფესიული კომენტარები დაერთვის. საქართველოს ტელეხედვა სწორად მოიქცა, როცა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან ამ წესით უჩვენა „კავკასიური ცარცის წრე“. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ კომენტატორობა უნდა მიენდოს არა ჩვეულებრივ დიქტორს, არამედ სათანადო სპეციალისტს.

პიროვნების გამოვლინების თვალსაზრისით, ტელეხედვის კომუნიკატორსა და ტრიბუნაზე მყოფ ორატორს შორის, მიუხედავად ბევრი საერთო მომენტისა, არსებობს მთელი პრინციპული ხასიათის განსხვავებანიც. საქმე იმაში როდია, რომ პროპაგანდისტი ტელეხედვაში ვერ გადაიტანს ყველა იმ ორატორულ ხერხსა და მეთოდს, ტრიბუნაზე რომ ესოდენ სასარგებლოდ და აუცილებელ ატრიბუტად მოჩანს; ტრიბუნაზე გამოსული ორატორის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს თავისი სიტყვის ზემოქმედების უკუკავშირისა და რეაქციის შესანიშნავი მომენტები. ტელეხედვა და რადიო, მასობრივი ინფორმაციის ყველა სხვა საშუალების მსგავსად, კომუნიკატორს ართმევს იმ საშუალებას, რითაც მას შეუძლია შეიგრძნოს აუდიტორიის რეაქცია და შესაბამისად უპასუხოს კიდევ მას.

ზოგიერთი ბურჟუაზიული თეორეტიკოსი გუნდრუქს უკმევს საინფორმაციო გადაცემების ცალმხრივ ხასიათს და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს მიიჩნევს რაღაც საიდუმლოებით მოცულ ძალებად, რომლებიც საზოგადოების კონტროლის სფეროს ეთიშებიან და წარმართავენ მას ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადის ხელშეწყობით. მსგავსი აზრების ანტიმეცნიერულობა დღეს ექვს აღარ იწვევს. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი წარმოადგენენ წმინდა საზოგადოებრივ ინსტიტუტს, რომელიც შექმნილია საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; კლასობრივ საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი ატარებენ მკვეთრად გამოხატულ კლასობ-

რივ ხასიათს¹¹. ამასთან, საზოგადოება, როგორც წესი, გავლენას ახდენს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ფუნქციონირებაზე და უკუკავშირით სხვადასხვა სპეციფიკურ ფორმას იღებს. ველოთ წერილები გაზეთში, მსმენელთა — რადიოში, მაყურებელთა — ტელესტუდიაში; საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სხვადასხვა მონაცემები და კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევებიც ამ საქმეს ემსახურებიან.

კომუნიკატორის უმნიშვნელოვანეს ღირსებას, რომელიც ობიექტურად ხელს უწყობს გამოსვლის წარმატებას, წარმოადგენს მისი ავტორიტეტი, მისი პროფესია, დამსახურება. ცნობილია, რომ პიროვნება მით უფრო ახდენს ზემოქმედებას სხვებზე, რაც უფრო ავტორიტეტულია ხალხის თვალში. წინასწარი გამოცხადება ტელეხედვასა და რადიოში გამოჩენილი მოღვაწის გამოსვლის შესახებ აუცილებლად იწვევს საზოგადოების დიდ ინტერესს, ზრდის აუდიტორიას. მსმენელის ნდობა ორატორის მიმართ კი — სიტყვის გამარჯვების საწინდარი და შთაგონების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამიტომაც, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე პარტიის ხელმძღვანელი კადრები მუდამ გამოდიოდნენ მასების წინაშე, უშუალოდ მონაწილეობდნენ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განმარტებაში. ვ. ი. ლენინი საგანგებოდ ზრუნავდა მასებში პარტიისა და მისი წარმომადგენლების იდეური და ფსიქოლოგიური პრესტიჟის ზრდაზე, ამასთან ერთად აუცილებლად მიაჩნდა „მასაში გამოგვეწვია სიძულვილი, ზიზღი, მძულვარება“¹² მენშევიკების მიმართ, რომლებმაც გაწირეს ხალხის ინტერესები.

ბურჟუაზიული პროპაგანდის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს ავტორიტეტით სპეკულაცია. მასობრივი ინფორმაციის თეორიის მრავალ ნაშრომში აღწერილია პანიკა, რომელმაც მოიცვა ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა ერთ-ერთი გავლენიანი რადიოსადგურის ოინბაზობის შედეგად 1938 წლის 30 ოქტომბერს, როცა გამოაცხადეს, რომ დედამიწაზე მარსიდან წამოსული ხალხი შემოიჭრა. რადიოდადგმის წარმატება, როგორც გამოირკვა, აიხსნებოდა არა იმდენად „შემოჭრის ადგილიდან“ ხმის ეფექტების წარმატებით გამოყენებით, არამედ, რაც მთავარია, მთელი რიგი ავტორიტეტული პირების გამოსვლის გონება-

¹¹ А. Яковлев. Телевидение, проблемы, перспективы. Журнал «Коммунист», 1965, № 13, стр. 68—70.

¹² ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამოც., ტ. 12, გვ. 526.

მახვილური იმიტაციით. ამგვარი ფაქტები კი დასავლეთის რადიოსა და ტელეხედვის პრაქტიკაში იშვიათი გამონაკლისები როდია.

ახლა განვიხილოთ აუდიტორიის საკითხი. აუდიტორია ადგენს მთელი მოდელის უმნიშვნელოვანეს რგოლს, ვინაიდან სწორედ მასზე შემოქმედების გამო ხორციელდება ყოველი კომუნიკაციის აქტი. რაც უფრო კარგად იცის კომუნიკატორმა აუდიტორია და შესწევს უნარი ეს ცოდნა გამოიყენოს თავის გამოსვლაში, მით უფრო მაღალია მისი გამოსვლის შედეგი.

ვ. ი. ლენინი მუდამ მოითხოვდა მასებთან უნარიან და დიფერენცირებულ მიდგომას, მათი თავისებურებების ფიზიკურ შეფასებას: ამხანაგებს „უნდა შესწევდეთ უნარი უტყუარად გაარკვიონ ყოველ საკითხსა და ყოველ მომენტში მასის განწყობილება, მისი ნამდვილი მისწრაფებანი, მოთხოვნილებანი, აზრი, შესწევდეთ უნარი, ოდნავი იდეალიზაციის გარეშე, გაარკვიონ მისი შეგნებულობის დონე და ამა თუ იმ ცრურწმენის ძველი დროის ნაშთების გავლენის ძალა“¹³.

აუდიტორიის თავისებურებათა შემეცნებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი სტრუქტურისა და ქცევის ყველაზე არსებითი პარამეტრების ანალიზი. ამასთან ერთად, აუცილებელია თავიდანვე კარგად გავითვალისწინოთ ის პრინციპული განსხვავება, რომელიც არსებობს „ღია“ აუდიტორიასა (ე. ი. საჯარო გამოსვლის მსმენელ აუდიტორიასა) და „დახურულ“ (ე. ი. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა აუდიტორიას) შორის.

ი. ზიმნაია იძლევა საჯარო გამოსვლის მსმენელი აუდიტორიის შემდეგნაირ განმარტებას: „აუდიტორია ეს არის მცირეხნის ურთიერთობა ადამიანებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან 1. არსებული მოტივით, რის გამოც ისინი ლექციაზე მოდიან, და ამ მოტივის შესაბამისი მიმართებით მოქმედების ობიექტთან, ე. ი. ლექციასთან; 2. ერთი და იმავე ინფორმაციის შემოქმედებით (ხედვითი და სმენით); 3. დაკავებული არიან ერთი და იგივე საქმით; 4. არსებული უშუალოდ — გაინდივიდუალურებული ხედვითი და სმენითი კონტაქტებით და 5. ერთ და იმავე ადგილზე ერთდროულად ყოფნით“¹⁴.

სავსებით ნათელია, რომ ეს განმარტება, ყველა პუნქტის მიხედვით, არ შეიძლება გამოვიყენოთ მასობრივი კომუნიკაციის აუ-

¹³ ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 217.

¹⁴ И. А. Зимняя. Психологические особенности восприятия лекции в аудитории, М., «Знание», 1970, стр. 11.

დიტორიის მიმართ. როცა ლაპარაკია პრესის, რადიოსა და სატელევიზიო აუდიტორიაზე, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ აუდიტორიასთან, რომელიც უაღრესად მასობრივი, მაგრამ გაფანტულია¹⁵. თანაც ეს ტენდენცია თანდათანობით უფრო ღრმავდება. მაგალითად, თუ ადრე რადიოს ჯგუფური წესით მოსმენა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადიომიმღებების, განსაკუთრებით ტრანზისტორების, რადიონობის ზრდასთან ერთად იგი სულ უფრო და უფრო ინდივიდუალური მოსმენით იცვლება. თუ ადრე „ტელევიზორის საყურებლად“ თავს იყრიდა რამდენიმე ოჯახი, ახლა სატელევიზიო აუდიტორია იშვიათ შემთხვევაში აჭარბებს ოჯახის პირთა რაოდენობას. მასობრივი კომუნიკაციის აუდიტორიის „ინტიმური“ ხასიათი კი ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავს მასთან დამოკიდებულების სტილისტურ თავისებურებებს.

გაფანტული აუდიტორია უკიდურესად არამუდმივი სოციალური ერთობლობაა, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის ამა თუ იმ საშუალების ზემოქმედების დროს ჩნდება და იშლება ამ ზემოქმედების შეწყვეტისთანავე.

მასობრივი კომუნიკაციის აუდიტორია, რასაკვირველია, სრულიად მოკლებულია კომუნიკატორის ქცევაზე ზემოქმედების შესაძლებლობებს.

აუდიტორიის ყველა სახისათვის დამახასიათებელია „პოლარიზაციის“ მოვლენა, — დამსწრეთა ყურადღების კონცენტრაცია ერთ-ერთ ობიექტზე. უნდა ითქვას, რომ პოლარიზაცია წარმოდგენს აუდიტორიის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს სტიმულს. „პოლარიზაციის“ ყველაზე მეტი უნარი გააჩნია საჯარო სიტყვასა და კინომაყურებელთა დარბაზს. ტელეაუდიტორიის ყურადღება უფრო მეტად კონცენტრირებულია სხვა მიმართულებით: ტელემაყურებელი ნებასურვილისამებრ მოიქცევა, წამოდგება, გაივლ-გამოივლის, გადაცემის რაღაც ნაწილსაც კი გამოტოვებს. კიდევ უფრო მეტი „თავისუფლება“ აქვს რადიომსმენელს: აკუსტიკური აღქმის წყალობით, პარალელურად მას მრავალი სხვა საქმის გაკეთებაც შეუძლია.

ღია აუდიტორიის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორი, როგორცაა ერთსულოვნების სულისკვეთება, აუდიტორიის თითოეული წევრის კონტაქტი დანარჩენებთან. კოლექტივის დიდსა და მცირე ჯგუფში ადამიანი რამდენადმე სხვაგვარად

¹⁵ «Философский словарь», под ред. М. М. Розенталя и П. Ю. Юдина, «ИПЛ», 1968, стр. 204.

მოქმედებს, ვიდრე საკუთარ თავთან განმარტოების დროს. კოლექტივი, როგორც წესი, ააქტიურებს ინდივიდის ნებისა და აქტიურობის პროცესებს, ამაფრებს შეგრძნებებსა და აღქმებს.


ღია აუდიტორიის წინაშე გამოსული ნაცადი ორატორი ყოველთვის ითვალისწინებს აუდიტორიის გაზრდილ აქტიურობას, რასაც მოკლებულია მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა აუდიტორიის წინაშე მყოფი გამომსვლელი.

ღია აუდიტორიის მონაწილე ყოველი ინდივიდი განიცდის ჯგუფურ ზემოქმედებას ანდა „ნორმატიულ კონფორმიზმს“. მისი ინდივიდუალური კრიტიკული დამოკიდებულება მომხდარი მოვლენებისადმი ქვეითდება და ე. წ. „გადამღები რეაქციის“ გავლენის ქვეშ ექცევა. გაიხსენეთ მაყურებელთა დარბაზში, სტადიონზე, მასობრივ მიტინგზე გულიანი სიცილი, აღტაცების შეძახილები, უკმაყოფილების, ანდა სხვა ემოციების გამოვლენის „ჯაჭვური რეაქციები“. ძველთაგანვე ცნობილი „თანაგანცდის“ ეს თვისება ღია აუდიტორიის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, კონფორმიზმის მოვლენას საზღვარგარეთული ლიტერატურა უტრირებული სახით გვთავაზობს და მას არაკლასობრივი პოზიციებიდან განიხილავს.

სოციალისტურ საზოგადოებაში ერთიანი ჯგუფის ქცევის მასტიმულირებელ ძალად გვევლინება არა კონფორმიზმი, არამედ კოლექტივიზმი, რომელიც წარმოადგენს პიროვნების შეგნებულ სოლიდარობას კოლექტივის მიზნებისა და იდეალებისადმი. თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანები, რომლებიც მიტინგზე იმყოფებიან, ისევე განიცდიან როგორც ჩვენ, მაშინ ვასაგებია, რომ მათი შეხედულებები, რწმენაცა და მორალური პრინციპებიც ჩვენს შეხედულებებს, რწმენასა და პრინციპებს შეესაბამებიან.

როცა საჯარო გამოსვლის აუდიტორიას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აუდიტორიას ვადარებთ, ადვილად ვრწმუნდებით, რომ მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა. საჯარო სიტყვა უახლოვდება კომუნიკაციის კოაქსიალურ ტიპს, როცა კომუნიკაციური პროცესი ხორციელდება მკაცრად გამიზნული მისამართებით. მასობრივი კომუნიკაციის პროცესი კი მუდამ იჭნება კომუნიკაციის რეტიალური ტიპი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მაწოდებას სააღბათო ადრესატისადმი.

სავსებით ნათელია, რომ გაფანტული აუდიტორიის შექმნა უნდა ხდებოდეს ე. წ. „მცირე ჯგუფთან“ („პირველად ჯგუფთან“).



მცირე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ოჯახი, სასკოლო სპორტული გუნდი, თვითმფრინავის, ანდა კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი და ა. შ. მცირე, ანდა პირველადი ჯგუფების წარმომადგენლების შესწავლა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ თემას დასავლეთის სოციოლოგიების გამოკვლევებში. მათში ხშირად ვხვდებით მდიდარ ფაქტობრივ მასალას, მაგრამ დასკვნები, რომლებიც ასახავენ ბურჟუაზიული სოციოლოგიის კლასობრივ არსს, მცდარია და თავიდან ბოლომდე მიუღებელი; მათი ყურადღების ცენტრში „შიდა ჯგუფური ურთიერთობის მექანიზმებია მოქცეული. ისინი თვითმყოფ მნიშვნელობას იღებენ, ხოლო არსებობის სოციალური პირობებით მათი კავშირი და დეტერმინიზმი გათვალისწინებული არ არის“ 17. აუდიტორიის ყოველი შესწავლა სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამომდინარეობს ცნობილი მაქსისტული დებულებიდან იმის შესახებ, რომ ადამიანთა ყოველი კოლექტივი, რომელიც წარმოადგენს რეალურ სოციალურ ორგანიზმს, ამავე დროს გარკვეული საზოგადოების, კლასის ნაწილსაც შეადგენს.

აუდიტორიის შემეცნების პროცესი შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ფაზად: კომუნიკაციამდელი და კომუნიკაციური.

კომუნიკაციამდელი ფაზის საყურადღებო თავისებურებას წარმოადგენს „სელექციურობა“, — აუდიტორიის მიერ შერჩევა ისეთი ცნობებისა, რომლებიც მაქსიმალური თვალსაზრისით უპასუხებენ მათი ურთიერთდამოკიდებულებების გამჟღავნებას მოცემულ მომენტში.

„სელექციურობა“ უფრო იმითაა განპირობებული, რომ ადრესატი მართალია ჯერ კიდევ არ იცნობს გადაცემული მასალის არსს, მაგრამ მასზე უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა მას შემდეგ, რაც წაიკითხა სტატიის სათაური, მოისმინა რადიო ანდა სატელევიზიო გადაცემის დასახელება, ან გაეცნო კრიტიკულ სტატიას, რეკლამას და ა. შ. აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ კომუნიკაციამდელი ფაზა, ბევრ შემთხვევაში, გადამწყვეტია: თუ მისთვის, გარკვეული მიზეზების გამო, შეტყობინება საინტერესო არ არის, მაშინ აუდიტორია შესაბამისად მოიქცევა. ამიტომაც, კომუნიკაციამდელ

16 Г. С. Антипина. Проблема «малой группы» в эмпирической социологии США, Философские науки, 1965, № 4, стр. 52.

17 Там же, стр. 54.

პერიოდში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება რეკლამასა და კრიტიკას.

ლიტერატურაში ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა უსუსურ კრიტიკას საწინააღმდეგო ზემოქმედება მოუხდენია. მსგავსმა მოვლენამ უცხოურ ლიტერატურაში დაიმკვიდრა „ბუმერანგის ეფექტის“ სახელწოდება.

საკუთრივ კომუნიკაციური ფაზის ანალიზი მთელ რიგ მნიშვნელოვან სოციალურ-ფსიქოლოგიური და ფსიქო-ლინგვისტური პრობლემების განხილვას ითვალისწინებს.

ბევრი მკვლევარი აღნიშნავს აუდიტორიის აღქმის აქტიურ ხასიათს. ეს აქტიურობა მდგომარეობს იმაში, რომ აუდიტორია ყოველთვის ელის პასუხს მისთვის საინტერესო შეკითხვაზე, შეტყობინებაში გადმოცემულ საერთო ვითარებას უდარებს საკუთარ რწმენასა და აზრებს. ამავე დროს აუდიტორია მოქმედებს ამორჩევით: შეითვისებს იმ ინფორმაციას, რომელიც მის მიზანსა და გემოვნებას შეესაბამება, ხოლო უკუაგდება იმას, რაც მის „შეხედულებებს“ ეწინააღმდეგება. აუდიტორია აქტიურია წმინდა სემიოტიკურ პლანშიც, — ენობრივი ნიშნების აღქმის პროცესშიც.

შეტყობინების ფორმის განსაზღვრისას და მასალის დამუშავების დროს კომუნიკატორი სრულიად დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შერჩეული ენობრივი მასალა ნაცნობი და მისაღებია აუდიტორიისათვის. თუ ეს პირობა დაცული არ იქნება, მაშინ ყველაზე შესანიშნავი პროპაგანდისტული აქტიურობაც გაუგებარი აღმოჩნდება.

სიტყვის შინაარსის აღქმის პროცესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი შეცნობის (понимание) პროცესიც. როგორ ურთიერთობაში არიან აღქმისა და შეცნობის კატეგორიები? პროფ. ნ. ჟინკინის აზრით „აღქმა — ეს არის ანალიზი და სინთეზი ენის ინტერიალური საშუალებებისა: ფენომების, სიტყვების, მარცვლების, წინადადებების, ინტონაციების... შეცნობა ეს არის მთელი ამ საშუალებების სიგნალური ანდა აზრობრივი მნიშვნელობის ანალიზი და სინთეზი“¹⁸.

თუ კომუნიკატორის სიტყვიერი მოღვაწეობის ეფექტიურობას განვსაზღვრავთ სკალის სიდიდით, რომლის მნიშვნელობაც მერყეობს 0-დან 1-მდე, მაშინ ბუნებრივ პირობებში ეს სიდიდე ყოველთვის იქნება ნულს ზევით და ერთიანის ქვევით.

სკალური სიდიდის გათანაბრება ნულთან იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის აქტი საერთოდ არ შემდგარა. ერთიანი კი გვიჩვენებს

¹⁸ Н. И. Жинкин. Психология, М., 1962, стр. 304.

გადაცემულისა და აღქმულის შეტყობინებას შორის არსებულ სრულ შესატყვისობას, რაც პრაქტიკულად ძნელად მიიღწევა¹⁹.

შეცნობა, ეს მეტად რთული მოვლენა დამოკიდებულია როგორც შინაგან, ისე ადამიანთან დაკავშირებულ გარეგან ფაქტორებზე. დავასახელოთ თუნდაც ზოგიერთი ამ ფაქტორთაგანი.

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეცნობა ბევრადაა დამოკიდებული იმ განწყობაზე, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ პირობას აზრების გაცვლისა და ურთიერთობის პროცესის თანხვედნილობის დროს.

ურთიერთობის დროს განწყობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული აუდიტორიის ინტერესის პრობლემა, რომლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება ჯერჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი. პროფ. ა. კოვალიოვი განმარტავს ინტერესს როგორც „მოტივს ანდა ამორჩევით დამოკიდებულებას პიროვნებისას ობიექტთან ცხოვრებისეული მნიშვნელობისა და ემოციური მიმზიდველობის მიხედვით“²⁰. ნათელია, რომ კომუნიკაციის პროცესში ყოველი შეტყობინება უნდა ფლობდეს აუდიტორიისათვის ცხოვრებისეული მნიშვნელობის ძალას, ანდა, თავისი ემოციურობით, უნდა ახდენდეს ინტერესის ფორმირებას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აუდიტორიის სიტუაციური ინტერესი, ასე თუ ისე შეესაბამება მის მუდმივ ინტერესს, რომელიც როგორც სოციალური კატეგორია წარმოადგენს „საგნის ყოფიერებასთან დაკავშირებულ ობიექტურ მოვლენას და არ ემორჩილება ცნობიერებასა და ნებისყოფას“²¹.

2. შეცნობა და მისი ხასიათი ყოველთვის დაკავშირებულია აპერცეპციასთან — აუდიტორიის ადრე მიღებული გამოცდილების გავლენასთან, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ კომუნიკაციური აქტის დაგეგმვის დროს.

3. აღქმასა და შეცნობაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის ყურადღება, რომელიც ასევე წარმოადგენს კვლევის მეტად მნიშვნელოვან ცალკე დარგს. პროფ. ს. რუბინშტეინის თქმით, „ყურადღება — ეს შემეცნების პროცესის რეგულატო-

¹⁹ М. А. Балабан. Эвристическая модель коммуникативной деятельности. Семинар по психоллингвистике, М., 1965, стр. 29.

²⁰ А. Г. Ковалев. Психология личности, М., «Просвещение», 1970, стр. 41.

²¹ Г. М. Гак. Общественные и личные интересы и их сочетание при социализме Вопросы философии, 1955, № 4, стр. 19.

რია“ 22. ფსიქოლოგიის მიერ ამ სფეროში დაგროვილი დიდი მასალა კომუნიკაციის თეორიაში ნაკლებად არის გამოყენებული.

4. შეცნობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული აზრობრივი მოღვაწეობის ისეთი პროცესიც, როგორცაა მახსოვრობა. როცა აღვიქვამთ შეტყობინებას, უბრალოდ კი არ გადავდივართ ერთი ფრაზის აზრობრივი დატვირთვიდან მომდევნოზე, არამედ ინფორმაციის თანდათანობითი დაგროვებით გამოვხატავთ თითოეულ შემდგომ ფრაზაში წინას აზრს.

5. ზეპირი შეტყობინების შეცნობას აძნელებს დროის სიმცირისა და სმენითი რეცეპციის ერთჯერადობის ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ, რომ ყოველად დაუშვებელია ორატორის გამოსვლა „ქაღალდის“ საშუალებით. წერილობითი ანდა ბეჭდვური ტექსტი, თავისი ბუნებით, ყოველთვის გათვალისწინებულია ხედვით აღქმაზე. აუდიტორია რთულ ვითარებაშია, როცა იძულებულია მოისმინოს ხმამაღალი კითხვა, რასაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მსმენელი მიჰყავს ნაადრევი გადაქანცვისაკენ.

6. ზეპირი შეტყობინების შეცნობას დიდად უწყობს ხელს ლაპარაკის ტემპი. ლაპარაკის ტემპის აჩქარება ყოველთვის იწვევს მისი შეცნობის პროცესის აჩქარებასაც. ზედმეტად სწრაფი ტემპის დროს გადაცემული ინფორმაციის რაოდენობა, დროის ერთეულში, აჭარბებს ადამიანური ფსიქიკის „გამტარუნარიანობას“, რის გამოც შეცნობის ხარისხი უარესდება. როცა სალაპარაკო ტემპის ყველაზე მისაღებ ვარიანტს განვიხილავთ, უნდა გვახსოვდეს, რომ სმენის ანალიზატორის გამტარუნარიანობა, როგორც ცდები გვიდასტურებენ, გაცილებით დაბალია (30-ჯერ) სიტყვაწარმოქმნის არხის გამტარუნარიანობაზე.

მეორეს მხრივ, ძალზე ნელი ტემპი, სიტყვებს შორის ინტერვალების გაზრდა იწვევს ინფორმაციულ სიცარიელებებს, რის შედეგადაც მსმენელების რეპროდუქციულ-აზრობრივ დინამიკაში წარმოიქმნება უჩვეულო ასოციაციები, რომლებიც აძნელებენ შეცნობას და იწვევენ აუდიტორიის გადაღლას.

7. შეცნობა დამოკიდებულია ზეპირი შეტყობინების გარკვეულ გრამატიკულ და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ პარამეტრებზეც. ზეპირი შეტყობინების შეცნობა ხშირად უარესდება გრამატიკული სტრუქტურის სირთულის გამო. იმისათვის, რომ მსმენელმა შეითვისოს ფრაზის შინაარსი, ამ რთული სტრუქტურის უფრო მარტივი

22 С. Л. Рубинштейн. Бытие и сознание, М., Изд-во АН СССР, 1957, стр. 270.

დეკოდირებისათვის უნდა ჩაატაროს გარკვეული ანალიტიკური-სინთეზური სამუშაო²³. მთელმა რიგმა დაკვირვებებმა ცხადყოფს, რომ ზეპირი შეტყობინების შეცნობა მცირდება მისი აბსტრაქტულობის ზრდის მიხედვით და პირიქით, რაც უფრო კონკრეტული და სახიერია ზეპირი შეტყობინება, მით უფრო სრულად აღიქმება აუდიტორიის მიერ.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს „კითხვაუნარიანობის“ პრობლემა, ე. ი. ისეთი ოპტიმალური ენობრივი საშუალებების შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ტექსტების საუკეთესო შეცნობას. „კითხვაუნარიანობის“ განსაზღვრის მეთოდებს შორის ყველაზე მეტი წარმატებით სარგებლობს ე. წ. „ფლეშის ფორმულა“.

არსებობს იმის ცდებიც, რომ სატელევიზიო და რადიო ტექსტების უკეთ შეცნობის უზრუნველსაყოფად გამოინახოს ოპტიმალური პარამეტრები.

სამწუხაროდ, ყველა ეს მეთოდი სქემატურ ხასიათს ატარებს და ძირითადი სიმძიმე გადააქვს მოვლენის არა ხარისხობრივ, არამედ რაოდენობრივ მხარეზე.

კომუნიკაციის პროცესის მოდელის გარეთა ბლოკების ამორჩევითი ანალიზის შედეგები შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი სიის სახით:

კომუნიკატორი

1. მსოფლმხედველობა
2. პარტიულობა
3. ცოდნა, უნარი, ჩვევები
4. ხასიათის ნიშნები
5. ფსიქო-ფიზიკური თვისებები
6. ავტორიტეტი

აუდიტორია

1. აუდიტორიის სახე („ღია“, „დახურული“)
2. სოციალურ-დემოგრაფიული შემადგენლობა
3. განწყობა, მოტივები
4. ქცევის თავისებურებანი
 - ა) პოლარიზაცია
 - ბ) გაზრდილი აქტიურობა
 - გ) „ჯგუფური ზემოქმედება“ (კონფორმიზმი და კოლექტივიზმი)

²³ А. Р. Лурья. Курс общей психологии, М., 1965, стр. 55—57.

5. აღქმისა და შემეცნების თავისებურებანი

- ა) აღქმა კომუნიკაციამდელ ფაზაში
- ბ) აღქმა კომუნიკაციურ ფაზაში
- გ) შეცნობის პროცესი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

- 1) ინტერესი
- 2) აპერცეპცია
- 3) ყურადღება
- 4) მახსოვრობა
- 5) ლაპარაკის ტემპი
- 6) გრამატიკული და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური პარამეტრები და ა. შ.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი სია შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაეზარდოს და კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ.

დალი ჩიკვილაძე

ქურნალი „გუთნის-ღედა“ (1861—1876 წწ.)

1850 წელს დაარსდა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“, რომელიც მიზნად ისახავდა ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ამიერკავკასიაში; დაენერგა მაშინდელი ტექნიკური მიღწევები, გაეგრძელებინა აგრონომიული ცოდნა, მოემზადებინა კადრები სოფლის მეურნეობისათვის და სხვ. ასე რომ თავისი საქმიანობით მას ხელი უნდა შეეწყოს მეფის რუსეთისათვის ამიერკავკასიის „ეკონომიურ დაპყრობაში“. „საზოგადოებამ“ მართლაც ბევრი კარგი წამოწყება განახორციელა და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი გახდა. სხვადასხვა დროს ამ საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, ივანე სერგობიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი), ილია ჭავჭავაძე, ილია წინამძღვრიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწენი.

საარქივო მასალებით ნათელი ხდება, რომ 1858 წელს გრ. ორბელიანს, რომელიც იმ დროს „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტი იყო, საზოგადოების გამგეობისათვის წარუდგენია თხოვნა, რათა ქართული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის გამოცემა ეკისრა. მაგრამ იმ წელს ჟურნალის დაარსება ვერ განხორციელებულა. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: ჟურნალის გამოცემა «было обществом отложено, как по немению денежных средств, так и по затруднению в приискании лица на коего можно было возложить редакцию этого журнала».

ამავე დოკუმენტიდან ვტყობილობთ, რომ 1861 წელს თვით საზოგადოებას მიუმართავს გრ. ორბელიანისათვის, რომელიც მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა, მიეცა თანხმობა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის დასაარსებლად: «Ваше сиятельство, в бытность вашу вице-президентом Кавказского общества сельско-

გო ხოზაჲსთა ვ 1858 გ. ივოლილი ვნესთი ნა ობსუდენიე ვოპროს ობ ივდანიი ნა გრუზინსკომ ივკიე სელსკო-ხოზაჲსთენნიოგო ჯურნალა»¹; ამ იდესი განხორციელება მამინ შუქძლებელს ახლა ისეთი პიროვნება, რომელიც უხელმძღვანელებს ჟურნალს, მოიძებნებო. ეს პიროვნება ვახლდათ ივანე სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი), რომელმაც 1859 წელს დაამთავრა მორიგორეცკის (მოგილევის გუბერნია, ორშანსკის მაზრა) სამიწათმოქმედო ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი იმდროინდელ რუსეთში ერთადერთი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იყო, სადაც ამზადებდნენ თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებულ სწავლულ აგრონომებს, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის უფლებით. ივ. ოქრომჭედლიშვილმა (1883—1868) ინსტიტუტი დაასრულა მეცნიერების კანდიდატის ხარისხით, მას მიენიჭა მაგისტრის წოდება ნაშრომისათვის „თამბაქოს მოყვანის შესახებ“, რომელიც დაისტამბა კიდეც რუსეთში².

1862 წელს ივ. სერებრიაკოვსა და ივ. კერესელიძეს შორის დაწყებულა მოლაპარაკება, რათა ივ. კერესელიძეს, ერთადერთი ქართული ჟურნალის რედაქტორს საქართველოში, „ცისკრის“ დამატებად გამოეცა სასოფლო-სამეურნეო ვახეთი. სათანადო შეთანხმების შემდეგ ივ. კერესელიძეს, როგორც ჟურნალის რედაქტორს, თხოვნით მიუმართავს მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელ გრ. ორბელიანისათვის, რომ გამოეყოთ თანხა სტამბის ვასაძლიერებად, რის შემდეგ იგი კისრულობდა სასოფლო-სამეურნეო ვახეთის გამოცემას. გრ. ორბელიანის თანხმობით, ივ. კერესელიძეს მიუღია დახმარება და 1861 წლის 15 დეკემბერს³, ჟურნალ „ცისკრის“ დამატებად, გამოვიდა პირველი სასოფლო-სამეურნეო ორგანო ამიერკავკასიაში „გუთნის-დედა“, რომელსაც ხელს აწერს ნომინალური რედაქტორი ივ. კერესელიძე. ჟურნალის ფაქტიური ხელმძღვანელი კი წლების მანძილზე იყო ივ. სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი). ამის შესახებ თვით ივ. კერესელიძე აუწყებდა მკითხველს „გუთნის-დედის“ პირველსავე ნომერში: „ცისკრის“ რედაქცია ახარებს მკითხველთა, რომ ამ ადგილ-მამულის მართვის, ანუ „გუთნის-დედის“ რედაქციის მართვა ვაკისრებინეთ ერთ გამოჩენილს მაგისტრს, რომელიც დიდად დახელოვნებულია ამ საგანში.

¹ Записки ҚОСХ, № 25, 1861, გვ. 8.

² დაწვრილებით იხ. გრ. თოდუა, ივანე ოქრომჭედლიშვილი, 1963 წ.

³ „გუთნის-დედის“ გამოსვლის თარიღად გ. ბაქრაძეს („ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“) აღნიშნული აქვს 1862 წლის იანვარი.

მხოლოდ სამწუხაროდ ჩვენდა ჰფარავს თავის გვარს და აწერს ყოველს ამგვარ სტატიას იმ წოდებით, რომელსაც ნახავენ მკითხველნი ყოველ ამ გვარს სტატიის ბოლოს“⁴.

ივ. სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) მთლიანად წარმართავდა „გუთნის-დედას“ 1861 წლის 15 დეკემბრიდან 1868 წლის 10 აგვისტომდე, რაც, უწინარეს ყოვლისა, თვით ჟურნალის⁵ შესწავლით დასტურდება. გარდა ამისა, ამ პერიოდის „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ საბჭოს სხდომების ანგარიშებიც ნათელს ჰფენს ივ. სერებრიაკოვის დიდ და თავდადებულ შრომას ჟურნალისათვის. „გუთნის-დედა“ ფაქტიურად ამ საზოგადოების ორგანო იყო და მის საქმიანობას აშუქებდა. „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ საბჭოს ერთ-ერთი სხდომის ჩანაწერში აღნიშნულია, რომ „ყველას იზიდავს კალამი იმ ქართველისა, რომელშიაც შეთავსებულია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ცოდნა ქართული ენის ცოდნასთან ერთად, და ეს გაზეთი, რომელიც შეიცავს ბევრ საქმიან პრაქტიკულ სტატიებს, ფრიად გავრცელებულია საქართველოში წერა-კითხვის მცოდნე სოფლის მეურნეობის მოსახლეობაში“⁶.

„გუთნის-დედა“ გამოდიოდა 1861 წლის 15 დეკემბრიდან 1876 წლის 15 სექტემბრამდე, ორ კვირაში ერთხელ. პირველ ხანებში ეს ორგანო ფართოდ ვრცელდება საქართველოში; მას 420-მდე ხელისმომწერი ჰყავდა, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ გამგეობას. „გუთნის-დედაში“ ამოკითხულ რჩევა-დარიგებას მცენარეთა დარგვის, გამრავლების, შეწამვისა, თუ პირუტყვის მოვლა-პატრონობის შესახებ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი პრაქტიკულად ამოწმებდნენ საკუთარ მამულში და მიღებულ შედეგებზე წერდნენ „გუთნის-დედას“ რედაქციას, მაგრამ ივ. სერებრიაკოვის გარდაცვალების შემდეგ ჟურნალი იმდენად უღიმღამო და უსიცოცხლო გახდა (მას 80 ხელისმომწერიღა შერჩა), რომ „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ“ მას შეუწყვიტა ფულადი დახმარება⁷.

⁴ „გუთნის-დედა“, 1861, № 1.

⁵ „გუთნის-დედას“ რედაქცია გაზეთს უწოდებს, მაგრამ იგი ფორმით, მასალების შედგენილობით და შინაარსით — ჟურნალია. ეს გამოიწვია იმან, რომ ჟურნალ „ცისკრის“ დამატებად გაზეთის გამოცემის ნებართვა უფრო ბუნებრივი იყო.

⁶ Записки КСОХ, № 41, 1865, გვ. 58.

⁷ საქართველოს ც.ს.ს.ა., კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ფონდი, საქმე № 54, ფურც. 365.

„გუთნის-დედა“ თექვსმეტი წლის მანძილზე გამოდიოდა. დროის ამ მონაკვეთში მას რამდენიმე რედაქტორი და გამომცემელი ჰყავდა. 1861—1870 წლებში ჟურნალს ოფიციალურად ხელს: ივ. კერესელიძე (ფაქტიური რედაქტორი კი 1869 წლამდე ივ. ოქრომჭედლიშვილია); 1873 წელს ჟურნალს რედაქტორობდა აგრონომი ა. ვართანოვი და ა. ფურცელაძე. აგრონომ ა. ვართანოვის გარდაცვალების შემდეგ (1874 წლის მარტი), 1874—1876 წლებში „გუთნის-დედის“ რედაქტორია ანტ. ფურცელაძე.

1861—1870 წლებში ჟურნალს ბეჭდავს „ცისკრის“ გამომცემლობა, 1873—1876 წლებში — „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“, სტ. მელიქიშვილისა და ექვთიმე ხელაძის სტამბები.

„გუთნის-დედის“ პირველ ნომერს სათაურქვეშ აწერია: „ადგილმამულის მართვის ფურცელი“; 1862 წლიდან უჩნდება წარწერა: „მამულის პატრონობის ფურცელი“, 1863 წლიდან — „მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი“, 1873 წლიდან — „სამეურნეო გაზეთი“. „გუთნის-დედაზე“ ხელისმოწერის ფასი იყო ორი მანეთი (ვინც „ცისკართან“ ერთად იწერდა გაზეთს, — ერთი მანეთი). ყოველ ნომერს ჰქონდა ცენზურის ნებართვა და დაბეჭდვის თარიღი.

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ჟურნალის სრულ კომპლექტებს; მთელი რიგი ნომრები დაკარგულია.

1871—1872 წლებში „გუთნის-დედა“ არ გამოდიოდა. „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ“ ჟურნალს 1869 წლიდან შეუწყვიტა დახმარება⁸. „ცისკრის“ რედაქტორს გაუჭირდა ორი ორგანოს გაძღოლა როგორც მატერიალურად, ასევე, ორგანიზაციულად, ამაზე მეტყველებს „გუთნის-დედის“ 1869—1870 წლების მოღწეული ნომრებიც. თუ წინა წლებში „გუთნის-დედა“ იბეჭდებოდა ჟურნალის ფორმატის 8—10—12 გვერდზე, 1869 წლებში ივ. კერესელიძე თითოეულ გვერდს ყოფს შუაზე და ისე სტამბავს მცირე ფორმატის რვაგვერდიან ჟურნალს.

„გუთნის-დედა“ გასულ საუკუნეშივე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გამხდარა. ამას მოწმობს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში „ივერიის“ რედაქციასთან სხვადასხვა პირების მიწერ-მოწერის ფონდში დაცული ივ. კერესელიძის

⁸ „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ“ 1869 წლიდან ეს დახმარება, ცოტა ხნით, გამოუყო გ. წერეთლის რედაქტორობით გამოშვებულ „სასოფლო გაზეთს“. იხ. „გ. წერეთელი — დოკუმენტური მასალა“, ა. იოვიძის პუბლიკაცია, ჟურნ. „საისტორიო მთაბე“, 1952, № 6; გაზეთი „დროება“, 1873, № 4.

1886 წლის 27 მაისის ბარათი, რომელიც მას „ივერიის“ რედაქციისათვის გაუგზავნია. ამ ბარათში ვკითხულობთ: „ამ ორი კვირის წინათ გამოგვგზავნე ორი წლის გაზეთი სასოფლო „გუთნის-დედა“⁹ აზრით, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას ეს გაზეთები, როგორც შეეიტყვე არა აქვს, რადგანაც ვერ მოუბოვებია. ადრე ვიცოდი, რომ ერთ სოფელში ზერტში, ერთ საწყალ აზნაურს ჰქონდა ორის წლისა დაკაზმული, იმას მივწერე და ვთხოვე გამოგვგზავნა და ის გაზეთები ერთის კაცის ხელით გამოგვგზავნე საზოგადოებაში. თქვენ გეთქვათ, მოვილაპარაკებთო. თუ მოილაპარაკეთ და სურვილი გაქვთ შეძინებისა, შემატყობინეთ, გამოგვგზავნე და ფასიც შემომითვლია ადრე, თუ არა და მაინც მაცოდინეთ, რომ პატრონსავე დაუბრუნო საწყალი აზნაურიშვილია.

ი. კერესელიძე. 27 მაისი 1886 წ.“

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთა მმართველის — ნ. მთვარელაშვილის ივ. კერესელიძისადმი გაგზავნილ 1886 წლის 29 მაისის პასუხში ვკითხულობთ: „ბატონო ივანე! გთხოვთ ამაზედვე აღნიშნეთ ფასი „გუთნის-დედას“, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იყიდოს და მომავლის შაბათის კრებას მოხსენდება. რასაკვირველია, ფასი უკანასკნელი იქნება“.

თავის გამოცემებზე საოცრად შეეყარებულ ივ. კერესელიძეს შემდეგი საგულისხმო და ცრემლნარევი ბარათი მიუწერია პასუხად: „ღმერთს უნდეთ, მე რომ მქონოდა ფული, მე ვიყიდდი და თქვენ გადმოგცემდით გაზეთებს. ესეც პატრონს ძლივს დავახწივე, ერთი საწყალი აზნაურია, გვარად ქარსიძე, იმას რომ ჰკითხოთ, ის ბევრს თხოულობდა და მე უთხარი, თორმეტ მანეთზედ მეტს ვერ მოგვცემენ მეტქი, ჩემი ინტერესი ის არის, ესეც არ დაიკარგოს და საუკუნოდ ამისი სახელი არ გაწყდეს. არც კი ვინმეს ეცოდინება, „გუთნის-დედა“ გამოდიოდა სადმე თუ არა. ეს გაზეთებიც მომირთმევია და მანდ გახლდეთ თქვენთან. როდესაც გადაწყვეტთ სყიდვას, ფასი მე გამომიგზავნეთ, რომ გადავცე პატრონს.

ი. კერესელიძე“.⁹

როგორც აღვნიშნეთ, „გუთნის-დედა“ პირველი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალია საქართველოში. იგი იმითაც არის საინტერესო,

⁹ ც. ს. ს. ა., წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი 481, საქმე № 119, ფ. 15 (ხაზი ჩვენია — დ. ჩ.)

რომ პირველი ილუსტრირებული ორგანოც არის. „გუთნის-დედა“ 1861 წლის პირველსავე ნომერში დაბეჭდილია ძროხის ^{ეს უფრო} რომელსაც აქვს წარწერა: „ფლამანდის ჯიშის“ ზროხა, რომელიც იქვე ^{გულსა} ველის დღეში ცხრა თუნგამდინ. ამის დაწვრილებით აღწერა იქნება თავის დროზედ“. მართლაც, შემდგომ ნომერებში საუბარია სხვადასხვა ქვეყნის ჯიშთან ძროხებზე და, მათ შორის, ფლამანდრიულ ძროხაზეც; რედაქცია ურჩევს მამულის მეპატრონეთ მოაშენონ ეს ჯიშში. 1862 წლის პირველი ნომერი იხსნება ამერიკული გუთნის ილუსტრაციით, რომელსაც აქვს წარწერა: „გუთანი შუმანისა, რომელიცა ხნავს მიწასა რაც უნდა ყამირი იყოს, ორისა უღლისა ანუ ოთხისა ხარისა საშუალებით“. რედაქცია ასევე ბეჭდავს აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი მოწყობილობის ფოტოს, ხეხილის სასხლავი ხელსაწყოს ილუსტრაციას და სხვ. საჭიროა აღინიშნოს, რომ მასალის დასურათხატება იმხანად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. პოლიგრაფიის დაბალი დონის გამო, კლიშე რუსეთში უნდა დამზადებულიყო, რაც მატერიალურ ხარჯებსაც ზრდიდა. ამის შესახებ ჟურნალში ვკითხულობთ: „გვინდოდა დაგვეხატა ყველა ჭურჭელი და იარაღი, რაც ყველის კეთების პროცესს ჭირდება და დაგვებეჭდა, მაგრამ ჩვენი „გუთნის-დედა“ ჯერ ასეთი სუსტია საშუალებითა, ისეთი უსუსურია, რომ მხატვრობას ფიქრშიაც ვერ გაიტარებს, როცა ღმერთი შეეწევა და წამოიზრდება, როცა ექვსას ათას ქართველთაგან ათასსაც არი მოაწონებს თავსა და გაუხდება სამუდამო მოსაუბრეთა, მაშინ შეეჭველია, რომ ამისთანა მცირე საქმეზედ აღარ დაბრკოლდება“¹⁰.

„გუთნის-დედაში“ გამოქვეყნებული მასალები ჟანრობრივად ერთფეროვანია. ზოგი მათგანი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისაა, უმეტესად კი იბეჭდება ინფორმაციები იმის შესახებ, თუ სად რა მიღწევას სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, ან რომელი მეცნიერი რა აზრს გამოთქვამს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე. ასე რომ, ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა ძირითადად ინფორმაციული ხასიათისაა; ხშირ შემთხვევაში რედაქცია მკითხველს აწვდის ფრანგული, გერმანული, შვეიცარული თუ რუსული ჟურნალ-გაზეთებიდან თარგმნილ წერილებს და მათში გამოთქმულ სასოფლო-სამეურნეო რეცეპტებს სთავაზობს ქართველ მამულის მფლობელთ, რასაც ერთი დიდი ნაკლი ახლავს, — ისინი გათვალისწინებულია გარკვეული ქვეყნებისათვის, გარკვეული კლიმატური პირობებისა და ნიადაგისათვის. ამ მნიშვნელოვანი

¹⁰ „გუთნის-დედა“, 1863, № 13.

მომენტის გათვალისწინება ზოგჯერ ავიწყდება „გუთნის-დედის“ რედაქციას, თუმცა ერთ-ერთ სარედაქციო შენიშვნაში ივ. ლიშვილი აღნიშნავს: „ჩვენ ვაღმოვთარგმნით აქედან რაც გამოსადეგი იქნება ჩვენ მხარეზე და დანაშთენს მიუმატებთ სხვა თხზულებებითგან და ჩვენი საკუთარის გამოცდილებითგან“¹¹.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. როდესაც ახალფეხადგმული ეს სამეურნეო ჟურნალი განთქმული მემამულის სოლომონ ანდრონიკაშვილის გამოცდილების ბეჭდვას იწყებს ხეხილის ბაღის მოშენების შესახებ, ურთავს შემდეგ შენიშვნას: „ჩვენი „გუთნის-დედის“ ფურცელში დაიბეჭდებიან უფრო იმ გუარნი წერილები, რომელნიცა გამოცდილნი იქნებიან. უნდა სწორედ ვაღიაროთ, რომ ესე ჰსწავლას არ დაუწყებთ გამოკიდებას, როგორც გამოცდილება-სა, გამოცდილება ჰსწავლის საზრდო არის. ჩვენ უნდა უფრო გამოცდილებას მივსდიოთ და ეს გამოცდილება თუითონ მოგვცემს ჰსწავლასა“¹², უდავოა, მამულის მოვლა-პატრონობაში მოწინავე გამოცდილების დანერგვისა და განზოგადების პრინციპის წინ წამოწევა მისასაღმებელია, მაგრამ ჟურნალი ყოველთვის ვერ იცავდა ამ პრინციპს მამულის მფლობელ თავად-აზნაურთა ინდიფერენტულობის, თუ გულგრილობის გამო, რამაც ჟურნალის რედაქციას ათქმევინა „შეუძლებელია გაზეთისაგან, რომ სრულებით კმაყოფილ-ჰყოს საჭიროება რომელსამე საზოგადოებისა, თუ ამ საზოგადოებამა არ მიიღო ზნეობითი მონაწილეობა გაზეთის არსებობაში. მეტად-რე ამ გვარის გაზეთისათვის სრულიად მიუცილებელია მონაწილეობა კერძო პირთა, მამულის პატრონთა და ვაჭართა“¹³.

„გუთნის-დედის“ შესწავლა გვარწმუნებს, რომ ჟურნალი მაინც გარკვეული გეგმით აწვდის მკითხველს სასოფლო-სამეურნეო ცოდნას. ამასთან, მართალია, იგი ყველა მკითხველს ესაუბრება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მამულის მფლობელები ჰყავს მხედველობაში. თუმცა იმასაც კარგად ითვალისწინებს, რომ გლეხი, რომელიც მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო ფერმაში მუშაობს, სწავლული აგრონომის ზედამხედველობით, ბევრს შეიძენს და ამ ცოდნას თავისი სარჩოს მოყვანის დროსაც გამოიყენებს. მაგალითად, როდესაც მუხრანის მამულსა და ვარციხეში მოწყობილ პირველ ფერმებზე მოუთხრობს მკითხველს ჟურნალი, აღნიშნავს, რომ „ყოველი გლეხი, ვისაც კი შეხვდება მუშაობა ამ ფერმაში გამოცდილის აგ-

¹¹ „გუთნის-დედა“, 1862, № 4.

¹² „გუთნის-დედა“, 1862, № 7.

¹³ „გუთნის-დედა“, 1863, № 1.

რონომის ზედამხედველობისა ქუეშე, ისწავლის საქმით ჯეროვანსა/ ხენასა, საუკეთესო იარაღების ხმარებასა, კანონიერსა თესვისასა და მცენარეთ მოვლასა, და ყოველს ამ გვარს სწავლასა მოიხმარს თავის მამულში¹⁴, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობდა საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული დრომოჭმული ტრადიციების უკუგდებას და ახალი წესებით მიწის მოვლა-დამუშავებას. უურნალი ხაზს უსვამს მექანიზებული მეურნეობის უპირატესობას მიწათმოქმედების ამადლებისა და მოსავლის გადიდების საქმეში.

„გუთნის-დედა“ პირველსავე ნომრებში მკითხველს აცნობს ამერიკული მარკის შუმანის გუთანს, რომელიც ქართულ გუთანზე უმჯობესი ყოფილა სახმარად: მხოლოდ ორი უღელი ხარი ჭირდება ყამირი მიწის მოსახნავად, ერთი უღელი—რბილი მიწის დასამუშავებლად; მიწას ღრმად ხნავს, ადვილია სამართავად. მოსკოვის 1852 წლის გამოფენაზე ამ გუთანმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ატყობინებს იმასაც, რომ ეს გუთანი თავის მამულში (დილომსა და მუხრანში) გამოუცდია ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის¹⁵. ამ გამოცდას ბევრი გლეხი დასწრებია, რომლებიც განცვიფრებულან კარგად მოხნული მიწით. იგი ქართულ გუთანზე იაფიაო, წერს უურნალი და მისაბაძად მიიჩნევს ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მაგალითს, რომელმაც შეიძინა ეს გუთანი და კიდევ სამი გამოიწერა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ მეშვეობით¹⁶.

უურნალი ურჩევს ქართველ თავადებს შეისყიდონ ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, რათა გააადვილონ მძიმე შრომის პროცესი და, ნაკლები შრომის დახარჯვით, მეტი მოსავალი მიიღონ.

„გუთნის-დედა“ აუწყებდა ქართველ მეურნეებს, რომ თუ საზღვარგარეთული მანქანა-იარაღების შეძენის მსურველი გამოჩნდებოდა, ან ვინმეს რჩევა-დარიგების მიღება ეწადა ევროპიდან, შეეძლო მიემართა ივ. ოქრომჭედლიშვილისათვის, რომელიც ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე მიემგზავრებოდა და ამ დავალებას ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე შეასრულებდა¹⁷.

უურნალიდან ვიგებთ, რომ შუმანის გუთნის შეძენა ბევრს მო-

¹⁴ „გუთნის-დედა“, 1862, № 1.

¹⁵ როგორც ირკვევა, ი. მუხრანსკის მეურნეობაში აწარმოებდნენ ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების პირველ გამოცდას; აქედანვე ვაპქონდათ მოსახლეობაში საუკეთესო ხარისხის თესლი, ნერგები და სხვ.

¹⁶ „გუთნის-დედა“, 1861, № 1.

¹⁷ იქვე.

უსურვებია ქართლ-კახეთში. ივ. მუხრანსკის მიბაძვით, გუთნის
შეძენის მსურველთა რიცხვი 86-მდე გაზრდილა¹⁸.

აგრონომ ნენინგერის წერილით ჟურნალი მკითხველს აცხადებს,
რომ 1862 წლის 25 მარტს თბილისში, ობსერვატორიის ეზოში, გა-
მოიცადა ინგლისიდან გამოწერილი მიწის დასამუშავებელი სხვადა-
სხვა იარაღი: სათიბი მანქანა, სატარებელი წისქვილი და ცხენის შე-
საბმელი ფოცხი. ამ გამოცდას ის მნიშვნელობა ჰქონდა, — წერს
ჟურნალი, — რომ „დაუმტკიცა ამ იარაღების მუშაობითა ჩვენთა
მამულის პატრონთა ის საკვირველი სარგებლობა და შემსუბუქება
ჩვენის მძიმე და საბრალო მიწის შემუშავებისა, რაზედაც ჩვენდა
სამწუხაროდ, ვკარგავთ ძვირფასსა დროსა და ვსწევთ დიდსა ამაგსა
და ჯაფასა“¹⁹. როგორც ვხედავთ, ასზე მეტი წლის წინ, პრიმიტიულ
იარაღებზე სამანქანო ტექნიკის უპირატესობას ახსნა-განმარტება
სჭირდებოდა, რადგანაც ადამის უამიდან მოკიდებული ტრადიცია
მტკიცედ იყო დამკვიდრებული მოსახლეობაში და მანქანურ მე-
ურნეობას უნდობლობით ეკიდებოდნენ.

ამ წერილიდან ირკვევა, რომ ინგლისური სალექი მანქანის გა-
მოსაცდელად გამოიყენეს თავად ი. მუხრან-ბატონის მამულში მოყ-
ვანილი პურის ძნა, რომელიც ნედლი ყოფილა. მანქანის გამოცდისას
დიდი დრო ფუჭად დაკარგულა, რადგან გლეხები, შეუჩვევლობის
გამო, დროულად ვერ აწვდიდნენ ძნას და სალექი თურმე ცარიელი
ბრუნავდა. სალექი მანქანა ცხენებით იმართებოდა, რაც უფრო იაფი
ყოფილა ორთქლის სალექთან შედარებით; ცხენებიანი სალექის და
ცხოველთა ძალით დასაბრუნებელი წისქვილის გამოცდას წარმატე-
ბით ჩაუვლია ობსერვატორიის ეზოში. ასეთი სალექი მანქანა 655
მან. ღირებულა, ხოლო წისქვილი მთელი მოწყობილობით — 1021
მან. როგორც ვხედავთ, ფასი ამ ტექნიკისა ფრიალ ძვირი იყო.

საგულისხმოა, რომ ობსერვატორიის ეზოში გამოცდილი სალექ-
წი მანქანა გენერალ-ფელდმარშალმა ბარიატინსკიმ გადასცა ივანე
კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის თავის მამულში გამოსაყე-
ნებლად. ეს ტექნიკა შემდეგ წყლით აღმუშავებით, რისთვისაც არ-
ხის გაყვანა დასჭირვებიათ. თბილისელი ვინმე იაკობ ხანიველოვის
დახმარებით, ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის გაუმართავს ჩარდახი წყალ-
ზე, რომელიც ერთი ბორბლით სამ მანქანას (სალექს, სანიავებელს
და წისქვილს) ამუშავებდა, რაც ტექნიკის გამოყენების კარგ მაგალი-
თად არის გამოცხადებული.

¹⁸ „გუთნის-დედა“, 1862, № 8.

¹⁹ იქვე.

„გუთნის-დედა“ იტყობინება, რომ სატარებელი წისქვილი მუხრანსკის მამულში გამოუცდიათ. ჟურნალი მხარს უჭერს ასეთი წისქვილის გამართვას საქართველოს მთიანეთში, სადაც წყალმომარაგება და, ხოლო სოფლები შორიშორსაა ერთმანეთისაგან. იგი მკითხველებს ურჩევს, რამდენიმე სოფელმა შეერთებულად შეიძინოს ასეთი წისქვილი საერთო სარგებლობისათვის.

ჟურნალი აღწერს აგრეთვე ქუთაისის მახლობლად, ვარციხეში გამართულ მდიდარი მოსკოველი ვაჭრის — ონანოვის მამულს, რომელსაც სწავლული აგრონომი ხატისოვი განაგებდა. მაგრამ როგორც ჩანს, ი. მუხრანსკის მეურნეობა უფრო დიდი და ძლიერი ყოფილა. მას „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ მეტი მხარდაჭერაც ჰქონდა.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მე-19 საუკუნის 50—60-იანი წლები იყო „კავკასიაში მეაბრეშუმეობის ოქროს ხანა, როდესაც მან მიაღწია ისეთს განვითარებას, როგორსაც არ მოსწრებია არც მანამდე და არც შემდეგ“²⁰. „გუთნის-დედიდან“ ირკვევა, რომ მთავარი მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო მეაბრეშუმეობის სწრაფ აღმავლობას იმხანად, ყოფილა დასავლეთ ევროპაში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის, — პებრინის გაჩენა. ამ დაავადებამ თავი იჩინა ჯერ საფრანგეთში (1845 წ.), საიდანაც მთელ დასავლეთ ევროპას მოედო. „დასავლეთ ევროპაში ეს იყო ინდუსტრიული კაპიტალიზმის აყვავების ხანა, ამ ავადმყოფობის გავრცელებამ მრეწველობას ერთი დაკვრით მოუსპო ადგილობრივი ნედლეული, რაც ისედაც არ იყო საკმარისი საფეიქრო მრეწველობისათვის“²¹.

„გუთნის-დედა“ მკითხველებს აცნობს ევროპაში აბრეშუმის ჭიის დაავადებით შექმნილ ვითარებას და უღვივებს მეაბრეშუმეობისადმი ინტერესს; მოუთხრობს იმ სიკეთეზე, რაც აბრეშუმის პარკის გამოყვანას შეეძლო მიეცა ქართველი მოსახლეობისათვის. იგი აღწერს ორპირში, გომტრაზერისა და კომპანიის მიერ აგებული აბრეშუმის სახვევი ქარხნის სამუშაო პირობებს, ამოსახვევი და ორთქლის მანქანების მოწყობილობას, რითაც ქმნის ინტერესს ამ ქარხნისადმი. წერილიდან ვიგებთ, რომ ამ ახლადშექმნილ ქარხანაში იმერეთიდან, სამეგრელოდან და გურიიდან შემოტანილ აბრეშუმის პარკს ამუშავებდნენ; წელიწადში ქარხანას 4500 კილოგრამამდე აბ-

²⁰ პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX ს. ს., ტ. III, გვ. 688.

²¹ იქვე.

რეზუმის პარკი სჭირდებოდა, მაგრამ ქართლსა და კახეთში აბრეშუმის პარკის მოყვანას არ მისდევდნენ თურმე და მხოლოდ უფროსი ლეთ საქართველოს ნედლეული კი არ ჰყოფნიდა საწარმოს, არც გამოც იგი ხშირად უქმად იდგა. ამ წერილიდან ისიც ჩანს, რომ ქარხნის მეპატრონე სამუშაოდ არჩევდა 15—16 წლის ახალგაზრდა ქალებს, რათა გასამრჯელოდ ცოტა თანხა (5 შაურიდან ორ აბაზამდე) გადაეხადა²². ამ წერლით „გუთნის-დედა“ მკითხველში საფეიქრო წარმოებისადმი ინტერესს აღვიძებს და პოპულარიზაციას უწევს აბრეშუმის ჭიის მოვლაპატრონობით მიღწეულ სიკეთეს. ყურნალის ამ გამოსვლას გარკვეული ინტერესით გამოეხმაურნენ. მომდევნო ნომერში დაიბეჭდა სიღნაღიდან აბრეშუმის მოყვანის მსურველის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „სიღნაღის უეზღში ზოგიერთმა განათლებულმა მამულის მეპატრონემ დაიწყო აბრეშუმის ჭიისა და ყაჭის პარკის მოშენება ევროპულად. ჩვენს უეზღშიც გვაქვს სურვილი გავიჩინოთ აბრეშუმის ჭია, მით უფრო, რომ ალაზნის გაღმა 30 ათასი თეთის ხე დგას“²³. აღნიშნულია ისიც, რომ ამ საქმის კეთილად დაბოლოებისათვის საჭიროა ჭიის კარგი თესლი, ხალხის განსწავლა და მთავრობის დახმარება; კარგი იქნება მთავრობამ სადმე გახსნას სახლი, სადაც ქალები შეისწავლიან ჭიის მოვლას.

როგორც ჩანს, აბრეშუმის პარკის მოყვანის მსურველთა რიცხვი იმხანად თანდათან გამრავლებულა. ამიტომ „გუთნის-დედა“, პარკის დამამუშავებელთათვის დახმარების გაწევის მიზნით, ბეჭდავს აღწერილობას პარკის დასადუღრავი ორთქლის მანქანისას, რომელიც ადვილი დასამზადებელია და მკითხველს დამატების სახით ურიგებს მის სურათს.

აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობის საქმის შესასწავლად ივ. ოქრომჭედლიშვილს საფრანგეთში სპეციალურად დაუთვალეიერებია პარკის ამოსახვევი ქარხნები და ფრანგი ფეიქრებისათვის უთხოვია ჩამოსულიყვნენ თბილისში გამოცდილების გასაზიარებლად. რამდენიმე სპეციალისტ ქალს თანხმობა გამოუთქვამს თბილისში ჩამოსვლაზე საკმაოდ დიდი თანხის საფასურად (ლიონელ სპეციალისტს წელიწადში, გზისა და სმა-ჭამის ხარჯების გარდა, მოუთხოვია 60 თუმანი; ქალბატონ სტელბრანკს, რომელიც თბილისში ნაცხოვრები ყოფილა, გზისა და კვების ხარჯის გარდა, მოუთხოვია 50 თუმანი). ივ. ოქრომჭედლიშვილი აჯამებს თბილისში აბრეშუმის ქარხნის გა-

²² „გუთნის-დედა“, 1862, № 1.

²³ „გუთნის-დედა“, 1862, № 4.

მართვისათვის საჭირო ხარჯებს და დაასკვნის, რომ იგი 26.500 ფრანკი ჯდება²⁴, რომლის გადახდა ქართველ მამულისმფლობელებზე უნდა შეეძლოს.

„გუთნის-დედა“ რამდენიმე ნომერში ბეჭდავს აგრონომ ალ. შანშიაშვილის სტატიას („აბრეშუმის ჭიისათვის“), რომელიც აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოყვანის მეთოდებს აშუქებს.

აბრეშუმის ჭიის მოვლის პროპაგანდას ჟურნალში დადებითი შედეგი მოჰყოლია. 1862 წლის ნოემბრის „გუთნის-დედაში“ ვკითხულობთ: „ძლიერ გვიხარის, რომ უკანასკნელს სამ წელიწადში კახეთში ძრიელ შეიცვალა აბრეშუმის შემუშავება, თუთის ხეები ამ სამის წლის განმავლობაში ჩაყრილან ოცდახუთს გირვანქა ჭიისათვის. ეს წარმატება დიდი რამ არის ამ მოკლე დროში, ამ წარმატებას მოჰყვა იტალიურის ფორმის აბრეშუმის გამოხვევა“²⁵.

ინტერესი აბრეშუმის პარკის მიმართ ჟურნალს არ განელებია წლების მანძილზე. მისი რედაქტორი დიდი გულისყურით სწავლობდა ევროპაში ამ დარგში მომხდარ ცვლილებებს და ამის თაობაზე აუწყებდა მკითხველთა ც. მაგალითად, 1864 წელს „გუთნის-დედა“ წერს, რომ საფრანგეთსა და იტალიაში გაჩენილმა აბრეშუმის ჭიის ჭირმა დიდ საგონებელში ჩააგდო ამ ქვეყნების მთავრობები, მაგრამ ერთმა იტალიელმა სწავლულმა, გვარად ონესტიმ, უკვე გამოიგონა სათანადო წამალი, რომელსაც ახლა ცდიანო²⁶.

1870 წლამდე ჟურნალმა ვერაფერი საიმედო უთხრა თავის მკითხველებს ამის თაობაზე. 1870 წლის მარტის „გუთნის-დედა“ კი იტყობინებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს დადგინდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის მიზეზი; პასტერმა აღმოაჩინა, თუ როგორ ხრავს და აფუჭებს აბრეშუმის ჭიის პარკს პატარა უხილავი მწერი, რომელიც ადვილად გადადის ერთი პარკიდან მეორეზე²⁷.

აღსანიშნავია „გუთნის-დედის“ დაინტერესება შვეიცარული ყველის წარმოებით. 1863 წლის 15 მარტის ნომერში ვკითხულობთ, რომ ამ დღეებში საქართველოში მცხოვრებმა, პრუსიის ქვეშევრდომმა ბარონმა ფონ-კუჩენბახმა შვეიცარიიდან მოიწვია ყველის კეთების საუკეთესო მცოდნე ოჯახი, რომელმაც შვეიცარიიდან ჩამოიტანა ყველა იარაღი, რაც შვეიცარული წესით ყველის მომზადებას ჭირდებოდა. ბარონი ფონ-კუჩენბახი ბორჩალოს მაზრასა და კოჯრის

24 „გუთნის-დედა“, 1862, № 14.

25 „გუთნის-დედა“, 1862, № 22.

26 „გუთნის-დედა“, 1864, № 8.

27 „გუთნის-დედა“, 1970, № 5—6.

მახლობლად (სოფ. ელპში) აპირებდა ყველის დამამზადებელი საარე-
წის გახსნას. ამ ფაქტს ჟურნალი მკითხველს იმიტომაც აცნობდა,
რომ მემამულეებს შეესწავლათ შვეიცარული ყველის წარმოების
წესი.

ბარონი ფონ-კუჩენბახი იყო ერთ-ერთი იმ გერმანელთაგანი,
რომელიც ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში იმ მიზნით გადმოსახ-
ლა, „რომ მათ აქ შემოეტანათ და გაეცრელებინათ სოფლის მეურ-
ნეობის, თუ მრეწველობის ახალი, მანამდე უცნობი დარგები და გა-
ნევითარებინათ ძველი, მაღალი ტექნიკისა და კვალიფიციური შრო-
მის მეოხებით, რისთვისაც ხელისუფლება მათზე ეწეოდა დიდძალ
ხარჯებს“²⁸.

ფონ-კუჩენბახი ამიერკავკასიაში უგროვოდ ჩამოსახლებულა
გერმანიიდან, მაგრამ შემდეგ დიდი შეძლების პატრონი გამხდარა.
შვეიცარიიდან ჩამოყვანილი ოსტატებით მან გამართა ყველის სა-
არეწი. „შვეიცარული ყველის ქება განთქმულია ყველგან, ამის გაკე-
თებას არც ძვირფასი იარაღი ეჭირება, არც შესაზავებელი ძვირი მა-
სალა. ამისთვის დიდის კმაყოფილებით ვაცნობთ მკითხველთ და
ვიმედოვნებთ, ყოველი მამულის მოყვარე შეუდგება ბარონ კუჩენ-
ბახის მეცადინეობის კვალსა“, — წერდა „გუთნის-დედა“²⁹.

ჟურნალი მიუთითებს, რომ შვეიცარული წესით დამზადებული
ყველი უმჯობესია ჩვენებურად შემზადებულ ყველზე. მართალია,
ჩვენებური ყველი გემოთი არ ჩამოუვარდება შვეიცარულს, მაგრამ
დიდი ხნით მისი შენახვა, მარილის გარეშე, არ შეიძლება, ხოლო მა-
რილი ყველს აკარგვინებს არომატულობას. ამასთან, დიდ მანძილ-
ზე ჩვენებური ყველის გადატანა, მარილიანი წყლის გარეშე, ჭირს.
შვეიცარული ყველი კი ხანგრძლივ ინახება და არ ფუჭდება. ჟურ-
ნალი დაწვრილებით აღწერს შვეიცარული ყველის კეთების წესს და
ურჩევს მკითხველებს, შეადგინონ ამხანაგობა, რომელიც ამ წესით
დაამზადებს ყველს. ამასთან მიუთითებს იმაზეც, რომ ამხანა-
გობის შედგენის ტრადიცია საქართველოში უხსოვარი დროი-
დან მომდინარეობს. „გუთნეული საქონელი ყველამ იცის ძვი-
რი საშოვნელია, და სოფლელები თავის თავს უყრიან, ზოგისა
გუთანია, ზოგისა ხარია, ზოგისა მეხრე და ისე ხნავენ ყანეულსა. თუ
კი ეს ამხანაგობა არავის აბრკოლებს და ყველა სოფელში იციან გუ-
თანს რა ერთი ერგება, ხარსა, მეხრესა და ჯამბარასა, რასაკვირვე-

28 პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიურ
განვითარება XIX — XX ს. ს., ტ. I, გვ. 499.

29 „გუთნის-დედა“, 1863, № 12—13.

ლია, იმათ არ დააბრკოლებს გაწირვა ხარჯისა და გამოსავლისა ყველის გაკეთებაში შვეიცარიის წესით“³⁰, — წერს წერილის ავტორი.

გაგონების
საქონლის
საქონლის

ამ ინფორმაციის მიზანია დაინტერესოს ქართველობა შვეიცარული წესით ყველის კეთებაში. დაინტერესებულ პირთ კი ჟურნალი ურჩევდა ენახათ ბარონ ფონ-კუჩინბახის მიერ კოჯრის მახლობლად აგებული ყველისა და ერბოს ქარხანა, რომელშიც იმდენად მაღალხარისხოვანი ყველი მზადდებოდა, რომ 1882 წელს მოსკოვში გამართულ გამოფენაზე ექსპერტებმა არ დაიჯერეს, რომ კავკასიაში შესაძლებელი იყო ესოდენ მაღალხარისხოვანი ყველის დამზადება; ექვი შეიტანეს მასში და არ დაუშვეს გამოფენაზე³¹.

ამ მასალით „გუთნის-დედა“ ქართველობას მოუწოდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში გაერთიანება.

საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებზე ჟურნალი ხშირად მსჯელობდა.

საგანგებო სჯა-ბაასი გამართა ჟურნალმა სასოფლო-სამეურნეო ბანკების საკითხზე და პოლემიკაც კი წამოიწყო, რაც მისი დახურვის მიზეზთაგანი შეიქნა³².

„გუთნის-დედის“ რედაქციას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია გასული საუკუნის 60—70-იან წლებში კავკასიის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომხდარი ძვრები, სასოფლო-სამეურნეო განათლების დასაწერად აღმოცენებული სახელმწიფო სასწავლებლები და სხვ. საყურადღებო ინფორმაციას ვხვდებით, მაგალითად, ჟურნალში სათაურით — „სამაგალითო მარანი კახეთში“, რომელიც მოგვითხრობს ჩობახურის სასწავლებლის მშენებლობაზე კახეთში.

1859 წელს, მეფისნაცვალ ბარიატინსკის განკარგულებით, თელავის მაზრაში, სოფელ კონდოლის სამხრეთ-დასავლეთ მიჯნაზე,

³⁰ „გუთნის-დედა“, 1863, № 12—13.

³¹ დაწვრილებით იხ. პ. გუგუშვილი. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX ს. ს., ტ. I., 1949, გვ. 501.

³² ერთ-ერთ წერილში („რამდენიმე სიტყვა „გუთნის-დედის“ დაგვიანებაზე“) რედაქტორი ა. ფურცელაძე წერდა: „პროგრამაში, რომელიც სამეურნეო საზოგადოებამ დაამტკიცა, ჩვენ არა გვექონდა მოხსენებული და არც პირობით შევკრულვართ ამ საზოგადოებაზე, რომ პოლემიკა ვერ გავბედოთ. ამის გამო ეგ სრული ჩვენი ნება იყო გვექნებოდა ვინმესთან პოლემიკა, თუ არა. მაგრამ სასაცილო ის იყო, რომ ამას გვაყუდრიდნენ ჩვენ ისინი, რომელთა თხოვნით გავმართეთ ეს პოლემიკა სამეურნეო საზოგადოების გამოსასარჩლებლად“. იხ. „გუთნის-დედა“, 1976, № 1.

ჩობახურში, სადაც უსარგებლო ჯაგნარი, რიყე და მცირედი სახნავი მიწა იყო, შარაგზის პირას დაიწყეს მეღვინეობის სასწავლებელი მოწყობა. ამ მიზნით ბევრი თანხა გამოიყო და დაიწყეს სასწავლებლისათვის შენობის აგება, — ევროპული სამაგალითო მარნის, სარდაფისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა. საფრანგეთიდან გამოიწერეს 118 დასახელების 2800 მანეთის ხელსაწყო-იარაღი. სასწავლებლის მოწყობა დაევალა გენერალ როტს, რომელთანაც გააფორმეს სათანადო ხელშეკრულება. იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ კახური ღვინის ხარისხი, შეემუშავებინათ ხანგრძლივად მისი შენახვის წესი, საფრანგეთიდან ხუთი წლით მოიწვიეს ორი მეღვინე (კასტენგი და მონტელი), რომელთაც, ბინებისა და სამგზავრო ხარჯის გარდა, წელიწადში ეძლეოდათ 2500 მანეთი თვითეულს. მონტელიმ იმედი ვერ გაამართლა, კასტენგი კი დაინიშნა ჩობახურის სასწავლებლის ხელმძღვანელად³³.

„გუთნის-დედა“ მკითხველებს აუწყებდა, რომ როდესაც ჩობახურში ევროპული მარნის აშენებას დაასრულებდა მთავრობა, კახური ღვინის ფასი გაიზრდებოდა და მევენახეს სტიმული მიეცემოდა. მართალია, ამ ათ წელიწადში ღვინის ფასმა მოიმატა, მაგრამ, ჟურნალის აზრით, ღვინო მხოლოდ ქალაქში გაძვირდა, სოფელში კი არა, რითაც მხოლოდ სირაჯმა ისარგებლა.

„გუთნის-დედა“ ქართველ მევენახეებს უსაბუთებს, რომ საქართველოში ღვინო იმაზე მეტი მოდის, ვიდრე მომხმარებელი ჰყავს. ამიტომ, ღვინის გასაღების ბაზარი საჭიროა საქართველოს გარეთ ვეძებოთ. ასეთი ბუნებითი მომხმარებელი კი რუსეთი უნდა გახდეს, „აქეთ რომ გზა გაეხსნას საქართველოს ღვინოებსა, არამც თუ აღრინდელი, ერთი ათად რომ კიდევ გამრავლდეს მოსავალი, მაშინაც არ მოაკლდება მუშტარი“³⁴.

კახური ღვინო ნაზია და ადვილად ფუჭდება, იგი ვერ იტანს ტრანსპორტირებას; ლონდონის გამოფენაზე გაგზავნილი კახური ღვინო ისე წამხდარა, რომ ფერის მეტი არა-რა შერჩენოდა, — წერს „გუთნის-დედა“ და დიდ იმედებს ამყარებდა მშენებარე მარანზე, რომლის ბაზაზეც შექმნილ სასწავლებელში კახური ღვინის ევროპულად დაყენების წესს შეისწავლიდნენ. „კახელებმა არ იციან ის წესი, რომელიც საჭიროა ვენახის მოვლისათვის და ღვინის დაყენებისათვის, როცა ღვინო შორს გასაგზავნათ უნდათ, ანდა დიდხანს

³³ დაწვრილებით იხ. გრ. თოდუა, სასოფლო-სამეურნეო განათლება: ისტორიისათვის საქართველოში, 1967, გვ. 33—34.

³⁴ „გუთნის-დედა“, 1863, № 14.

შესანახავად. ამის წინააღმდეგის თქმა ვერავის შეუძლია. ^{კახეთის} სასწავლებელმა უნდა აჩვენოს ეს წესი და მაშასადამე ^{უკაცობრის} ლა გულგრილობა, ანუ კიცხვა ვისგანმე ამ სასწავლებელზე დასძენს წერილის ავტორი.

1863 წლის 1 აგვისტოს ჟურნალმა აუწყა მკითხველს, რომ „წლეულ დასრულდა და ჩაებარა მამულის პატრონობის გამგებლობასა კახური სამაგალითო მარანი თავის შენობებითა და წლეულვე აბირებენ მიჰყონ ხელი ღვინის კეთებასა ევროპულ წესზედა“³⁵.

ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს ვენახის მოვლა-მოშენების საკითხებს. ნომრიდან ნომერში ბეჭდავს ყურძნის დაავადებაზე ფრანგი მეცნიერის — ვიოს სტატიებს, რომლებშიც საუბარია ნაცრის მკურნალობის წესზე, ვაზის დაბალ სარზე მოშენების სიკეთეზე და ა. შ.

ჟურნალში ხშირად იბეჭდება მემამულეთა გამოხმაურება გამოქვეყნებულ რჩევა-დარიგებებზე. მაგალითად, ფოთიდან ვ. გ. იტყობინება, რომ გურიაში, თავად მიხეილ ნაკაშიძის მამულში, ჟურნალში ამოკითხული ჰუდლოს მეთოდით დარგეს ვაზი, რომელმაც უკვე პირველი ყლორტები გამოიღო. კახეთიდან იტყობინებოდნენ, რომ 1864 წელი ცუდი მოსავლიანი წელი იყო. ვენახები წახდა, ზოგ ადგილას საჭმელი ყურძენიც არ მოუხსამს ვაზს, რაც ყინვიანი ზამთრისა და ცხელი ზაფხულის ბრალი ყოფილა; „მაგრამ ღვინო კარგი გამოვიდა და ამასთან ნაცარაც აღარავის უნახავს. იმედია, რომ წლევანდელმა ზიანმა სრულიად ბოლო მოუღოს იმ სნეულებასა, რომელიც ათი წელიწადია ცოტათ თუ ბევრად ყოველ წელიწადს ამცირებდა მოსავალს“, — წერენ „გუთნის-დედის“ რედაქციას კახეთიდან³⁷.

როგორც „გუთნის-დედაშია“ აღნიშნული, კარტოფილი საქართველოში პირველად 1862 წელს დაუთესიათ. 1863 წელს კი ივ. ოქრომჭედლიშვილი უკვე აჯამებს კარტოფილის თესვის პირველ შედეგებს და იძლევა რჩევას, რა წესით ჯობია კარტოფილის თესვა, წელიწადში რომ სამი მოსავალი მიიღონ. ბევრს წერს ჟურნალი საქართველოში თამბაქოს გავრცელებაზე, მის მოვლა-მოყვანასა და ჯიშების შერჩევაზეც.

ასევე ხშირად იბეჭდება წერილები სიმინდის მნიშვნელობაზე. რედაქცია რჩევას აძლევს მამულის მფლობელთ, რომ მოახდინონ

35 „გუთნის-დედა“, 1863, № 14—15.

36 „გუთნის-დედა“, 1963, № 15.

37 „გუთნის-დედა“, 1864, № 19.

სიმინდის თესვის მონაცვლეობა სხვა კულტურებთან, ვინაიდან მინ-
ტო სიმინდის თესვით მიწა იფიტება და მოსავალიც კლებულობს;
ქურნალის 1861—1868 წლების ნომრებში ბევრია მეცნიერულ-პრა-
პულარული მასალა ნიადაგის შემადგენლობის, სასუქის შეტანის აუ-
ცილებლობის, ნიადაგის ბუნებრივი განაყოფიერებისა და თესლთა-
ბრუნვის შესახებ, რაც ქურნალის რედაქტორის მაღალ განსწავლუ-
ლობაზე მეტყველებს.

ხშირად იბეჭდება მასალა ენდროს მოყვანისა და გავრცელების
შესახებ. „გუთნის-დედის“ უბრალო გადათვალიერებაც ნათელს
ხდის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაშინ ენდროს საღე-
ბავ თვისებებს.

საყურადღებოა ქურნალში დაბეჭდილი ივ. ოქრომჭედლიშვი-
ლის სტატია „ცხოვრება და მოზარდობა მცენარისა“, რომელსაც
იმდროინდელი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მოწინავე მილ-
წევები უდევს საფუძვლად. ხშირია მსჯელობა ტყის მნიშვნელობა-
ზე, მის გავლენაზე სითბო-სიცივესა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე
და ა. შ. ქურნალი ურჩევს ხალხს მოერიდოს ტყის ხელაღჭობით გა-
კაფვას, ხე-ტყის გატანას და სათბობად მის გამოყენებას; გააშენონ
ხელოვნური ტყეები, რადგან „დიდრონი ტყეების გარშემო სითბო
ზომიერათ იყოფება ზამთრისა და ზაფხულს შუა. არც ზამთარია
მეტათ ცივი, არც ზაფხული მეტათ ცხელი, ტყიან ადგილას წვიმა
ხშირია და მდინარეები და წყაროები უხვი წყლითა“³⁸. ტყის სიკე-
თის შესახებ სტატიები ძლიერ ეხმიანება დღევანდელობას.

ქურნალი ხშირად ბეჭდავს რჩევა-დარიგებებს მინდვრის კალიის
მოსპობის შესახებაც. საყურადღებოა კავკასიის ექიმთა საზოგადოე-
ბის რჩევა-დარიგებანი, რომელიც ქურნალმა მიაწოდა მკითხველებს
მაშინ, როდესაც ხოლერამ ეგვიპტიდან სტამბულამდე მოაღწია:
„ზღვის ნაპირებზე ხომალდების გზით არ შემოვიდეს ეს ავადმყო-
ფობა ჩვენში“³⁹, — წერს ქურნალი.

ბევრ საყურადღებო რჩევა-დარიგებას აწვდის ქურნალი მკით-
ხველებს აგრეთვე ფუტკრის მოვლა-მოშენებისა და თათლის სამ-
ქურნალო თვისებების შესახებ; პოპულარიზაციას უწევს მეფუტ-
კრეობის განვითარებით მოსალოდნელ სიკეთეს.

„გუთნის-დედა“ სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს მსოფ-
ლიო და მოსკოვის გამოფენებზე.

³⁸ „გუთნის-დედა“, 1863, № 7—8, 9—10—11—12—13—15.

³⁹ „გუთნის-დედა“, 1875, № 12—13—14.

1863 წლის ნოემბერში თბილისში მოწყობილა გამოფენა, რომელზეც 400-ზე მეტი ექსპონატი ყოფილა წარმოდგენილი; დიდი გამოფენის კატალოგი, დიდი საორგანიზაციო მუშაობა წევრთა მიერ, „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას“, რათა გამოფენაში კავკასიის მცხოვრებთ მიეღოთ მონაწილეობა. „საზოგადოებას“ საკუთარი ხარჯით უკისრია ექსპონატების ტრანსპორტირება, რასაც მეტი მონაწილე მიუზიდა. ამ გამოფენებს, — წერს ჟურნალი, — იმ საუკეთესოს გამოჩენა და გამოვლენა სურს, რაც ხალხში არის: „გამოფენა მნახველებს აუწყებს ახალ ხელოსნობასა და მამულის საქმის კეთებაში სად რა არის კარგი და ავი, სად რისი შეძენა შეიძლება და სად რა ქარხნების აშენებაა მიზანშეწონილი“⁴⁰. თბილისის პირველ გამოფენაზე ბევრი ღირსშესანიშნავი ექსპონატი ყოფილა წარმოდგენილი, მათ შორის ჟურნალი გამოჰყოფს თავად ანდრონიკაშვილის ხილს სიღნაღიდან, ბარონ კურჩენბახის მიერ დამზადებულ ყველს, კახურ ღვინოს, მეფუტკრე ჩერნუშევჩის თაფლს, სალომე სულხანიშვილის გემრიელ მწნილს, თავად დონიკე ანდრონიკაშვილის თამბაქოს, თავად გიორგი ანდრონიკაშვილის სპირტს, ნუხიდან გამოგზავნილ აბრეშუმს და ბევრ სხვა ექსპონატს.

„გუთნის-დედამ“ მკითხველს აცნობა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ მიერ ლოჭინის ხეობაში „მამულის შემუშავების სასწავლებლის“, ანუ „პრაქტიკული სასწავლო ხუტორის“ დაარსება⁴¹, რომლის მიზანს შეადგენდა კვალიფიციური კადრების მომზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის.

„ლოჭინის ხუტორი“, თბილისიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა ბარონ ნიკოლაის მამულში, რომელიც მან შეღავათიან ფასებში დაუთმო „საზოგადოებას“. სასწავლებლის გამგებლად „საზოგადოებამ“ მოიწვია თავისი დროისათვის კარგი პრაქტიკოსი ფივეგი, რომელსაც ათი წლის განმავლობაში ძალზე დიდ თანხას უხდიდა. „გუთნის-დედა“ აღნიშნავდა, რომ ამ სასწავლებელში, მამულის მოვლის გარდა, ასწავლიან შემოკლებულ სასოფლო ბოტანიკას, შემოკლებულ სასოფლო ქიმიას, ბუნების ისტორიას, მიწის დამუშავებას, პირუტყვის მოვლას, მეხილეობას, მევენახეობას, მეტყვეობას და სხვ. „ამ მოსწავლეთათვის, — წერს ჟურნალი, — სამი წელიწადი არის დანიშნული კურსის შესრულებისათვის. ყველა მოწაფეს თავისთვის მოზომილი ადგილი ექნება ბოსტნისათვის, ვენა-

⁴⁰ „გუთნის-დედა“, 1864, № 1.

⁴¹ „გუთნის-დედა“, 1870, № 5.

ხისათვის და სხვ., რომ თითონ შეიმუშაოს და ამითი გამოცდილება მიიღოს“⁴².

1873 წელს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე⁴³ კითხულ აგრონომ გეევსკის ანგარიშს რომ აცნობს მკითხველს, „გუთნის-დედა“, სინანულით აღნიშნავს, რომ ლოჭინის სამეურნეო სასწავლებელს, სამწუხაროდ, ის სარგებლობა, რაც უნდა მოეტანა ჩვენი მხარისათვის, ვერ მოაქვს მოწაფეთა სიმცირის გამო. ბევრი მსურველი სასწავლებლის გარეთ რჩება, რადგანაც 30 მოსწავლზე მეტს სასწავლებელი ვერ იღებს. კარგად მოწყობილი სამეურნეო სასწავლებელი კი გააუმჯობესებდა მამულის დამუშავებას და უძველეს წეს-იარაღს ახლით შეცვლიდა: „თუ რომ მივცეთ ამ ყრმათა სწავლა, ისინი დასტოვებენ ძველ ჩვეულებათა და სამეურნეო იარაღთა და შეუდგებიან ახალს, რომლითაც მისცემენ მხარის მეურნეობასა და აღებ-მიცემობას წარმატებას“⁴³. წერილში აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო საშუაოების წარმატება დიდად არის დამოკიდებული სარწყავ წყლებზე. ლოჭინის სასწავლებელი კი ასეთ სარწყავს მოკლებული ყოფილა. ამიტომ ხევში გაუმართავთ დიდი საგუბარი აუზი, რომელშიც წვიმის წყალი გროვდებოდა; ჟურნალი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველს საგუბარის გამართვის ხერხებზე.

1874 წელს ჟურნალი მკითხველებს აუწყებდა, რომ ლოჭინის სასწავლებლის მასწავლებლები სახელმწიფო სამსახურში ჩაურციხავთ, ხოლო სახელმწიფო ხარჯზე მყოფ შეგირდთა რიცხვი ოცდაათამდე გაუზრდიათ, სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა; რამდენიმე გლეხის ბიჭიც მოხვედრილა სასწავლებელში, „თუმცა იმათ ქართულის მეტი არა იცოდნენ რა“⁴⁴. ჟურნალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მომავალში რუსულის უცოდნელ ყმაწვილთ ლოჭინის სასწავლებელში ვერ მიიღებდნენ, რადგან „არ არის იმოდენა ღონისძიება, რომ ესენი გასწვრთნას რუსულს ენაზედ სწავლაში“⁴⁵. ამ წერილს სქოლიოში რედაქტორის შემდეგი შენიშვნა ერთვის: „ჩვენდა სამწუხაროთ აქამდის კიდევ არ არის ამგვარი აზრი გავრცელებული და მიღებული სასწავლებლებში, რომ სწავლას მხოლოდ

42 „გუთნის-დედა“, 1870, № 5.

43 „გუთნის-დედა“, 1873, № 2.

44 „გუთნის-დედა“, 1874, № 7.

45 იქვე.

მაშინ მოაქვს ხალხისთვის სარგებლობა, როდესაც ამ ხალხის შვილები სწავლობენ თავის ბუნებით ენაზედ. ავიღოთ ახლა თუნდაც ლოჭინის სასწავლებელი. იჭვი არ არის, რომ ის არის დაფუძნებული ქართველი სოფელი ხალხის სამეურნეო ცოდნის წარსამატებლად. მაგრამ ასრულებს ეს სასწავლებელი თავის აზრს?—არა! თვით ამ სასწავლებლის მოხელენი აღიარებენ, რომ მხოლოდ მაშინ შესრულდებოდა ეს აზრი, რომ გლეხის უცოდინელი შვილების მიღება შეგვეძლოს და გლეხის შვილებს იმიტომ ვერ ვიღებთ, რომ იმათ რუსული არ იციანო, მაშ, რაღა მნიშვნელობა აქვს ამ შკოლას?! ისა ჰკარგავს თავის უმთავრეს მნიშვნელობასა იმ მიზეზით, რომ არ არის იქ მიღებული ქართული ენა, თქმა აღარ უნდა, რომ რუსულს ენას უნდა ეჭიროს აქ საკმაო ადგილი, მაგრამ რომ საქართველოს შვილების სასწავლებელში არ იყვეს ქართული ენა, ეს ღმერთმა უწყის, ვის სასარგებლო იქნება ამ სასწავლებლის დაფუძნება და არსებობა“⁴⁶; ქართულ ენაზე სწავლების შემოღების ასეთი გაბედული მოთხოვნა და მაშინდელი საგანმანათლებლო პოლიტიკის უშიშარი კრიტიკა, ცხადია, „გუთნის-დედის“ რედაქტორის ანტ. ფურცელაძის დამსახურებაა.

„გუთნის-დედა“ 1873—76 წლებში მკითხველებს ბიბლიოგრაფიულ მასალებსაც აწვდიდა. კერძოდ, მან დიდი გულისხმიერებით განიხილა რაფიელ ერისთავის მიერ შედგენილი „ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი“⁴⁷, რომელიც ავტორისაგან განუზომელ შრომას, დიდ მეცადინეობას და ენერგიას მოითხოვდა, რადგან ასეთი ხასიათის ნაშრომი პირველი იყო ქართულს ენაზე. რედაქცია მადლობას უხდის რაფ. ერისთავს, რომ მან „უყვირლად, უქაქანოდ გააკეთა საქვეყნო საქმე“⁴⁸.

ამრიგად, უურნალი „გუთნის-დედა“ იყო ქართველთა შორის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პირველი გამავრცელებელი, რომელიც სამანქანო ტექნიკისა და ახალი აგროტექნიკური წესების პროპაგანდით ისწრაფვოდა ქართველ მიწისმფლობელთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებში გაერთიანებას. იგი იყო სასოფლო-სამეურნეო ინტელიგენციის აღზრდის პირველი ორგანიზატორი საქართვე-

⁴⁶ „გუთნის-დედა“, 1874, № 7.

⁴⁷ „გუთნის-დედა“, 1873, № 17.

⁴⁸ „გუთნის-დედა“, 1873, № 17.

ლოში. მართალია, გასაგები მიზეზების გამო, იგი, უმეტესწილად, მა-
მულის მფლობელთა ინტერესების დამცველი და მათი ინტერესების
ტორი იყო, მაგრამ, როგორც სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის
განვითარების ხელშემწყობმა გამოცემამ, მაინც ბევრი სიკეთე გაა-
კეთა, რაც მას ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს ქართული ჟურნა-
ლისტიკის ისტორიაში.

ნუნუ გოცვაძე

**ალ. ცაგარელი — კრიტიკოსი გაზეთ „დროების“
ფურცლებზე**

პროფ. ს. ხუნდაძე გ. წერეთლის თხზულებათა პირველი ტომის ერთ-ერთ კომენტარში აღნიშნავდა: გაზ. „დროების“ დაარსება ერთ უშესანიშნავეს ეპოქის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „დროება“ იყო პირველი ევროპული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ხასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა¹.

ამ დემოკრატიულმა მისწრაფებებმა ნათლად იჩინა თავი „დროებაში“ დაბეჭდილ მხატვრულ ნაწარმოებებში და იმ წერილებში, რომელნიც ისტორიის, ფილოსოფიის, ეთიკის, ენათმეცნიერების, ეკონომიკის, განათლების, ლიტერატურათმცოდნეობის, ლიტერატურული კრიტიკის სფეროებს განეკუთვნებოდა.

სამოციანი წლების მეორე ნახევრისათვის, როდესაც გაზეთმა „დროებამ“ დაიწყო გამოსვლა, იდეური ბრძოლა ძველსა და ახალ თაობას შორის ძირითადად უკვე დამთავრებული იყო; კრიტიკულ რეალიზმს მხატვრულ ლიტერატურაში საკმაოდ საიმედოდ ჰქონდა ფესვი გადგმული, რომანტიზმი კრიზისს განიცდიდა, ნადგურდებოდა ანტირეალისტური ტენდენციები, მწერლობაში მძლავრად იჭრებოდა ცოცხალი სასაუბრო ენა, ახალ საფეხურზედ ადიოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიმდინარეობდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბატონყმობის გადმონაშთების წინააღმდეგ, არსებითად იცვლიდა ფერს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

¹ გ. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, 1931 წ. გვ. 404 (რედაქტორის შენიშვნები).

ქველი თაობის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის წარმატებით დამთავრება, რაც „საქართველოს მოამბის“ უდიდესი წარმატებაა, „თერგდალეულებს“ დამშვიდების უფლებას არ უმალავს, რადგან ისინი მშვენივრად ხელადგინენ, რომ „ცისკრის“ პოლემისტი დამარცხება, რაც ლიტერატურული თვალსაზრისით დეკადენტური რომანტიზმის საბოლოო განდევნას ნიშნავდა, იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის დამთავრებას მაინც არ გულისხმობდა. ბრძოლა რეალიზმის პრინციპების თეორიული გაშუქებისა და შემოქმედებით პრაქტიკაში მისი წმინდად დაცვისათვის, ცხადია, კვლავ გრძელდებოდა. ამასთან მოწინავე სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების გავრცელებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებისათვის ზრუნვა კიდევ უფრო ცხოველ ხასიათს იღებდა“².

ჩვენი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების არსებითი ფერისცვალება უკვე ხელშესახებად იგრძნობოდა საზოგადოების ფართო ფენებში, ამ ფერცვლილი ცხოვრების მესიტყვედ ქართველ საზოგადოებას გაზ. „დროება“ მოეკლინა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში „დროების“ რედაქტორს ს. მესხს, როდესაც წერდა: „ხალხი გრძნობდა ახალ დროს, ახალი ცხოვრების მოახლოებას. თვალები და გონება რომ არ ჰქონოდა მაშინდელ ქართველს, მარტო ყნოსვითაც კი შეატყობდა, რომ რაღაც სხვა დრო, სხვა მოთხოვნილება გაჩნდა“³.

იდეური ბრძოლის ყველაზე ხელსაყრელ იარაღს მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენდა, რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მქონე ახალგაზრდობას ხელოვნება საერთოდ და კერძოდ მხატვრული ლიტერატურა მიაჩნდათ არსებული ყოფის გარდაქმნის ერთ-ერთ ღონისძიებად, მეცნიერებასთან ერთად მხატვრულ ლიტერატურას ეპოქალური მნიშვნელობის სიტყვა უნდა ეთქვა, მას „დაუნდობლად უნდა გამოეფინა ჩვენი ცხოვრების ჭუჭყი“ (ილია) და დაესახა მომავლის ნათელი გზა.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის საქმეში უდიდესი როლი ენიჭებოდა ჭეშმარიტ ობიექტურ, პრინციპულ ლიტერატურულ კრიტიკას, ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგარმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ა. ფურცელაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.)

² დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, 2, 1957, გვ. 445.

³ ს. მესხი, თხზულებანი, ტ. 2, 1963, გვ. 188.

ლიტერატურულ კრიტიკაშიც დაიწყეს მუშაობა. მათ მრავალი სხვა-
ლი და უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხი წამოაყენეს
და გადაწყვიტეს იმ პერიოდის მოწინავე ლიტერატურულ-კრიტიკულ
კული აზროვნების მოთხოვნილების დონეზე, რითაც დიდად შეუწყ-
ყეს ხელი ქართული მწერლობის აღორძინებას და კრიტიკული რე-
ალიზმის განმტკიცებას. მაგრამ „მათ არ შეეძლოთ დარჩენილიყვნენ
მხოლოდ კრიტიკოსებად. ცხოვრება მათგან უფრო ფართო მასშტა-
ბის სამსახურს ითხოვდა და ისინიც ამ კანონზომიერებას ემორჩი-
ლებოდნენ“⁴. საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებანი მათ
ხშირად პრაქტიკულ-ადმინისტრაციული საქმიანობისაკენ უბიძგებ-
და და იძულებულს ხდიდა პუბლიცისტიკის და ლიტერატურის სხვა
მრავალფეროვან დარგებშიც ემუშავათ. ამ გარემოებამ კი ლიტე-
რატურული კრიტიკის ჩამორჩენა გამოიწვია. სწორედ ეს გარემოება
ჰქონდა მხედველობაში გაზ. „დროებას“ და კერძოდ მის რედაქტორს
ს. მესხს, როდესაც წერდა: „ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურა არა-
ფერში არ გრძნობს ისეთ ნაკლოვანებას, როგორც კრიტიკაში. რა
გვარი მწერლობაც გნებავთ, მონახავთ ჩვენში: მოთხრობებისა და
რომანების მწერლები, მელექსეები და პოეტები, დრამატურგები და
უბრალო სცენების მწერლები და სხვა ყოველგვარი მწერლები არი-
ან, მაგრამ კრიტიკოსი კი, რიგიანი კრიტიკოსი ჯერ-ჯერობით არც-
ერთი არ მოიპოვება, არავინ არ გამოჩენილა. ეს მოვლენა ძლიერ
სამწუხარო მოვლენაა, მით უფრო, რომ ჩვენს ლიტერატურას ეხლა,
მგონი, ისე არაფერი და არავინ არ ეჭირვება, როგორც ხეირიანი
კრიტიკოსი. როგორც მეფე რიჩარდი ჰყვირის გაჭირვების დროს:
„ცხენი! ცხენი! ნახევარ სამეფოს მოგცემ, ვინც ერთ ცხენს მიშოვ-
ნისო!“ ისე სრულის საფუძვლით ჩვენც შეგვიძლიან დავიყვიროთ:
„კრიტიკოსი! კრიტიკოსი! ნახევარ მწერლობას მოგცემ, ვინც ერთ
კარგ კრიტიკოსს გვიპოვნის“.

ამის შემდეგ სავსებით ნათელი ხდება, თუ რატომ ანიჭებდა
ასეთ დიდ მნიშვნელობას გაზ. „დროება“ ლიტერატურულ-კრიტი-
კულ წერილებს და რატომ უთმობდა მათ საკმაოდ დიდ ადგილს
თავის ფურცლებზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლიტერატურული კრიტიკის
როლისა და მნიშვნელობის გაგების საკითხში გაზ. „დროება“ და მი-
სი თანამშრომლები არსებითად რუსი რევოლუციონერი დემოკრატე-
ბის თვალსაზრისიდან გამოდიან, შემოქმედებითად ავითარებენ მათ

⁴ დ. გამეზარდაშვილი. ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტი-
კოსები, 1965 წ., გვ. 160.

შეხედულებებს და უსადაგებებს საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებას მისი შემდგომი განვითარების მიზნით. მაგრამ „დროების“ ფურცლებზე უკვე ჩნდება ისეთი კრიტიკული წერილები, რომელთა ავტორები გამოჩენილ ევროპელ მოაზროვნეთა გავლენაში იმყოფებიან. მათ შორის უნდა დავასახელოთ შემდეგში ცნობილი მეცნიერი ალ. ცაგარელიც.


70-იანი წლების გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მისმა ვრცელმა წერილმა „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“⁵, რომლის საბაბი გამხდარა მ. ბეთანიშვილის მიერ 1869 წ. პეტერბურგში გამოცემული ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ (რაც სტატიის ქვესათაურშიცაა მინიშნებული). აქედან გამომდინარე სავარაუდებელი იყო, რომ ავტორი მხოლოდ, ან ძირითადად, ამ ნაწარმოებს შეეხებოდა, მაგრამ მან გაათავსოვა მსჯელობის ფარგლები და მიმოიხილა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობა და, საერთოდ, ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობა 70-იან წლებამდე.

ალ. ცაგარლის მეთოდოლოგიური პრინციპი სავსებით გარკვეულია; იგი იზიარებს და ემყარება ლესინგისა და ტენის ლიტერატურულ-ესთეტიკურ თეორიას და მათ შეხედულებებზე დაყრდნობით იძლევა ლიტერატურული მიმართულებებისა და ცალკეული მწერლების ნაწარმოებთა კრიტიკულ მიმოხილვას.

როგორც ცნობილია, ი. ტენის, და განსაკუთრებით ლესინგის, შეხედულებანი საკმაოდ ხელშესახებად მოიცავს იმ წინააღმდეგობებს, რაც დამახასიათებელი იყო განმანათლებლური მოძრაობისათვის გერმანიაში და საფრანგეთშიც. ამიტომ როგორც მატერიალისტური, ასევე იდეალისტური თვალთახედვა იგრძნობა ალ. ცაგარელის წერილიდანაც, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია გაზ. „დროებას“ და სარედაქციო შენიშვნებში წერს: „თუმცა რედაქცია ძნელად დაეთანხმება პატივცემულ ავტორს ზოგიერთა ჩვენი მწერლების დაფასებაზედ და ზოგიერთს კერძო მოსაზრებაზედ, მაგრამ მაინც დიდის სიამოვნებით ბეჭდავს თავის გაზეთში ამ სტატიასა, მით უფრო, რომ ის პირველად შეეხება ძლიერ საინტერესო, მაგრამ ჯერ გაუხილველ საგნებსა. იქნება ამ სტატიამ საფუძვლიანად ვერ დააფასოს და ასწონოს ზოგიერთი ჩვენი მწერლები და ლიტერატურის ნაწარმოები; გაზეთისათვის დაწერილს მოკლე სტატიას ეს არც მოეთხოვება; იმას მაინც იქს, რომ აღძრავს ამ საგანზე სჯას:

5 „დროება“, 1870, №№ 2, 3, 4, 6, 7.

შეიძლება ამ სტატიის გამო გამოჩნდნენ შემდეგში ისეთი პირობები, რომელთაც მოჰკიდონ ხელი ჩვენი ლიტერატურის განხილვასა და უფრო საფუძვლიანათაც განიხილონ“⁶.



ვიდრე ქართული მწერლობის მიმოხილვას შეუდგებოდეს, ალ. ცაგარელი აყალიბებს თავის თვალსაზრისს იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს იგი ლიტერატურისაგან, რა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს მხატვრული ნაწარმოები, რომ იგი მივაკუთვნოთ ქვეშარიტ მწერლობას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას უნდა ემსახურებოდეს.

ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნილება, რომელსაც ალ. ცაგარელი მწერლობას უყენებს, იმაში მდგომარეობს, რომ იგი უნდა იყოს ეროვნული, „ლიტერატურაში უნდა სჩანდეს ნამდვილი სახე ხალხისა, რომელსაც ეკუთვნის. რამდენადაც თხზულება უფრო ნაციონალურია, იმდენად უფრო დიდი ღირსება აქვს, ხელოვნებაშიაც მაღლა სდგას და სარგებლობის მოტანაშიაც“.

ალ. ცაგარლის მართებული რწმენით, ლიტერატურის ნაციონალური ხასიათი არ გამორიცხავს მის მსოფლიო მნიშვნელობას. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „რომელსაც თხზულება მაშინ ექნება საზოგადო მსოფლიო კაცობრიული ინტერესი, როდესაც ნამდვილი ნაციონალური იქნება“. მაგრამ, ცხადია, ლიტერატურული ნაწარმოების მხოლოდ ნაციონალური ხასიათი არ არის საკმარისი, რომ მან „მსოფლიო კაცობრიული ინტერესი“ გამოიწვიოს. აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „დიდი შემოქმედობის ძალას“, როგორც ილია იტყოდა, ე. ი. მხატვრულ ოსტატობას. ი. ჭავჭავაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მსოფლიო გენიოსი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ, რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან, ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება“⁷.

ალ. ცაგარელი ლიტერატურის ხალხურობის პრობლემასაც შეეხო და სავსებით გარკვევით აღნიშნა, რომ ყოველი ეპოქის მწერლობას „საძირკვლათ ხალხის ბუნებითი პოეზია“ უნდა ჰქონდეს, იგი უნდა იყოს ხალხის სულისა და გულის გამომხატველი, მისი სიხარულის, მწუხარების და მიზნების მაჩვენებელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალ. ცაგარელი ხალხურ შე-

⁶ „დროება“, 1870, № 2.

⁷ ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. III, 1958, გვ. 168.

მოქმედებას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მას უწოდებენ „მწიგნობრულ ანუ მწერლობით პოეზიაზედ“ მაღლა აყენებს, რაც ცხადია, სწორი არ არის. მისი აზრით „მწიგნობრული ანუ მწერლობითი პოეზია არის მიბაძვა და შევსება ბუნებითი ანუ ზეპირსიტყვაობითი პოეზიისა“ და მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ „ხელოვნებითი პოეზია უფრო შემუშავებულია, დახლოვებულია გამოცდილებისა და მეცნიერების ნათელით უფრო გამშვენიერებული და გაბრწყინებულია“.

ცხადია, მწიგნობრული ლიტერატურა ხალხური შემოქმედების მიბაძვა და შევსება არ არის; იგი საკმაოდ მაღალი ფენომენია, რომელსაც, რა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირი აქვს ხალხურ შემოქმედებასთან და სწორედ იმიტომ, რომ იგი მაღალი ფენომენია, ხშირ შემთხვევაში გარკვეულ გავლენას ახდენს ხალხურ შემოქმედებაზე.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: ვიდრე ლიტერატურული ნაწარმოებების მიმოხილვას შეუდგებოდეს, ალ. ცაგარელი ახდენს XIX ს. ქართული მწერლობის პერიოდიზაციას. მისი აზრით, „პირველ პერიოდს შეადგენს ა) ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესარიონ გაბაშვილი და ამგვარები. მეორეს ბ) გიორგი ერისთავი ანტონოვით და სხვა. მესამეს გ) ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ.“⁸.

ცხადია, ქართული მწერლობის ამგვარად დაყოფა პერიოდებად მეტად სადავოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სრულიად გაუმართლებელია ბეს. გაბაშვილის შემოყვანა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, მაგრამ ალ. ცაგარლის მიერ შემოთავაზებულ პერიოდიზაციაში მაინც არის გარკვეული რაციონალური მარცვალი. ამავე დროს, ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ეს არის პირველი ცდა XIX საუკუნის ქართული მწერლობის პერიოდებად დაყოფისა.

მეთოდი, რომლითაც ალ. ცაგარელი ქართული მწერლობის მიმოხილვას ახდენს, სავსებით გარკვეულია: „ჩვენ, — წერს იგი, — შევეხებით უმეტესად თხზულების ლიტერატურულ ღირსებასა, ე. ი. ენის სიმდიდრესა, გარეგანი ესთეტიკური ფორმის სისრულესა, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმესა და ძალასა — თვითონ საზოგადოებას კი იმდენად შევეხებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება“.

ალ. ცაგარელის აზრით, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის ერთ-ერთ არსებით ნიშანს ის გარემოება წარ-

⁸ „დროება“, 1870, № 2.

მოადგენს, რომ იგი „უმეტესად სამღერ-სამხიარულო და სატრფილო საგნებზე ლექსობს; აზრათა აქვს კაცს მძიმე სიცოცხლის უღელი შეუმსუბუქოს და მხიარული ლექსით ვითომ დაავიწყოს მომღერალი“. ამ მიზნის მისაღწევად პოეზია უგალობს ბუნების მშვენიერებას, ღვინოს, ქალს და სიყვარულს. ამიტომ ამ პერიოდის ქართული მწერლობა „ანაკრეონული ანუ ჰეროტიკული მიმართულების“ გამომხატველია, რომლის წინამძღოლიც, კრიტიკოსის ღრმა რწმენით, ალ. ჭავჭავაძეა.

საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, თუ რამდენად მცდარი წარმოდგენა აქვს ალ. ცაგარელს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაზე. სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების საფუძველზე ალ. ჭავჭავაძის მიჩნევა ანაკრეონტელად და ქართულ მწერლობაში ამ ლიტერატურული მიმართულების მეთაურად მისი გამოცხადება ყოვლად უმართებულოა. ასევე შეუძლებელია, რომ პოეტის სატრფიალო ლირიკის ნიმუშები სპარსული პოეზიის გავლენით აეხსნათ. ის გარემოება, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში, და კერძოდ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ხელშესახებად შეინიშნება სატრფიალო-სამიჯნურო ჰანგები, რომ პოეტმა „დამღერა ლხინსა და ღვინოზე“, არ იძლევიან საფუძველს ალ. ჭავჭავაძე ანაკრეონტელად გამოვაცხადოთ. ხანგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სიყვარულის გრძნობის გავებაში ანაკრეონტი და ალ. ჭავჭავაძე არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ალ. ჭავჭავაძისათვის უცხოა სქესთა განურჩევლობა და უღარდებლობა სიყვარულის გრძნობის განცდაში, რაც დამახასიათებელია ანაკრეონტისათვის. თუ ანაკრეონტს სატრფოსთან გასაუბრება მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ ცხოვრებით კმაყოფილმა და განცხრომაში მყოფმა კიდევ უფრო გაიმხიარულოს ლხინი და ბედნიერება, „ალ. ჭავჭავაძისათვის სიყვარული, სილამაზე და ქალი ცხოვრების მიმზიდველი მხარეა, რომელსაც შეუძლია სინამდვილით გულდაკოდილ ადამიანს სულიერი მოსვენება აგრძნობინოს. სიყვარულისა და სილამაზის განცდა პოეტს ადამიანის გრძნობის ღირსების საზომად მიაჩნია, ხოლო გრძნობა — ერთ-ერთ უძლიერეს მხარედ ადამიანის ღირსებისათვის“⁹.

მართლაც, ალ. ჭავჭავაძის სიყვარული უნაზესი და უმწიკვლოა, იგი აფაქიზებს და აკეთილშობილებს ადამიანს და თუ, ერთის მხრივ, შვება-ლხენას ჰგვრის მას, მეორეს მხრივ, ტანჯვის შემცვე-

⁹ დ. გამეზარ და შვილი. ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, 1948, გვ. 141.

ლიცაა. „აღ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსების დამახასიათებელი ნიშანია გრძნობის უშუალოება, ბუნებრიობა და გულწრფელობა, ვაჟკაცობასთან შეზავებული სილამაზე, სიფაქიზე და სინაზიზმზე... მისი ლირიკა სათავეს აძლევს ახალ მიმართულებას სიყვარულის გაგებაში, რომელსაც შემდეგ ქართველი რომანტიკოსების მთელი თაობა განავითარებს“¹⁰.

ამრიგად, როგორც ანაკრეონტიანთვის, ასევე სპარსელი ლირიკოსებისათვისაც, უცხოა ის გულწრფელობა, სინაზე, მოკრძალება და თავდაჭერილობა, რაც აღ. ჭავჭავაძეს ახასიათებს სატრფოს წინაშე. აღ. ჭავჭავაძისათვის ხორციელი სიყვარული განყენებულად არ არსებობს, მისთვის „ხორციელი სიყვარული სულიერი სიყვარულის განუყრელი ნაწილია — სულიერი სიყვარული ბუნებრივ დასკვნას ხორციელ სიყვარულში პოულობს, დასაბამი ეძლევა „ცხოვრებისა ერთად დენას“¹¹.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღ. ცაგარელმა მაინც ვერ მოახერხა აღ. ჭავჭავაძის ანაკრეონტელობის დაცვა და იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ პოეტის სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებებიდან გამოსჭვივის ნაზი და კეთილშობილური გრძნობა პოეტისა, იგი არ ეშვება ცინიზმამდე და პირუტყვულ ვნებათა ლელვამდე. „აღ. ჭავჭავაძე, — აცხადებს კრიტიკოსი, — როგორც მაღალ ნიჭიერი პოეტი შორს არის ამგვარ თაღლითობაზე და მკითხველების წაბუყვებაზედ ანუ თვალების აბმაზედ. თავის პოეზიის კილოში და მიმართულებაში ის ისეთივე ზნეობიანი, მაღალი და მამაცია, როგორც სხვა გამოჩენილი მოლექსენი სხვაგვარ პოეზიაში“.

კრიტიკოსის ეს თვალსაზრისი სავსებით მართებულია, მაგრამ გაუგებრობას იწვევს მისი მომდევნო მსჯელობა, რომლის მიხედვითაც აღ. ჭავჭავაძის „ამ ლექსთა წყობას ნაციონალური კილო არა აქვს, ქართული სული არ უდვას. უმეტესი ნაწილი ლექსებისა ფერმკრთალი და სუსტი მიბაძვავა სპარსული ლექსებისა“, როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მხრივაც. უდავოა, რომ აქ საქმე გვაქვს აშკარად მცდარ თვალსაზრისთან.

აღ. ცაგარელის მცდარი მსჯელობა აღ. ჭავჭავაძის პოეზიის მიმართ იმით აიხსნება, რომ მკვლევარს უმართებულო შეხედულება აქვს შემუშავებული საერთოდ ქართული მწერლობის განვითარების მაგისტრალური ხაზის შესახებ, მისი თქმით, ქართული

10 ავ. მახარაძე. ქართული რომანტიზმი, 1967, გვ. 78.

11 ავ. კენჭოშვილი. აღ. ჭავჭავაძე, გვ. 65.

მწერლობა არასოდეს არ ყოფილა ეროვნული, ორიგინალური სახის გამომხატველი; „საზოგადოდ... ჩვენ ძველ ეკლესიურ ლიტერატურას ჰქონდა დედნათა ბერძნულ-ბიზანტიის საეკლესიო ლიტერატურა, ძველ საერო ანუ სამხედროსა ამ საუკუნემდის — სპარსული და არაბული; ამ საუკუნეში დაიწყეს ჩვენმა მწერლებმა რუსისა და სხვა ევროპის ხალხების მიბაძვა, მაგრამ სპარსული კილო ლექსებისა მაინც დარჩა პოეზიაში“¹².

ცნობილია ის ფაქტი, რომ საქართველოს კავშირმა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა. კულტურულ-ლიტერატურულ სფეროზე, მაგრამ თუ ერთის მხრით ქართული ლიტერატურა ითვისებდა შორეულ თუ მახლობელ ხალხთა მოწინავე ლიტერატურულ ტრადიციებს, იგი არ ჰკარგავდა ორიგინალურ, ნაციონალურ სახეს, არამედ უფრო ივსებოდა, ძარღვმაგარი ხდებოდა და სამაგიეროდ, მეორე მხრით, თავის წვლილიც შეჰქონდა საქართველოსთან ურთიერთობაში მყოფ ხალხთა ლიტერატურის განვითარებაში“¹³.

რაც შეეხება საქართველოს ურთიერთობას სპარსეთთან და თურქეთთან, მან არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართული კულტურისა და მწერლობის განვითარებაზე; „დამპყრობლები, კერძოდ სპარსელები გვაძალებდნენ თავიანთ ენას და მწერლობას, თავიანთ იდეოლოგიას. უკულტურო ოსმალებს თავისი არაფერი ჰქონდა და სხვას რას მისცემდა... ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლა სპარსელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ საბოლოოდ ქართველების სასარგებლოდ გადაწყდა, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროში, ისე ენისა და ლიტერატურის სფეროშიც... XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პოეზიაში სპარსული კილოს გამოძახილი თანდათანობით დასუსტდა და ბოლოს სრულიად მიწყდა“¹⁴.

ამრიგად, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ვერ გაიზიარებს ალ. ცაგარელის თვალსაზრისს ქართულ საეკლესიო თუ საერო მწერლობაზე ბერძნულ-ბიზანტიური ან სპარსულ-არაბული მწერლობის გავლენის ხასიათის შესახებ.

მეორე არსებითი მნიშვნელობის შეცდომა, რომელიც ალ. ცა-

12 „დროება“, 1870, № 2.

13 ი. ბოცვაძე. ალ. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1956, გვ. 20.

14 კ. კეკელიძე. ა. ბარამიძე. ძველი ქართული ლიტერატურა, I, გვ. 317.

გარელმა დაუშვა, იმაში მდგომარეობს, რომ, მისი აზრით, ალ. ჭავჭავაძემ ვერ შეძლო გადმოეცა ხალხის გულისწუხილი, მისწრაფებანი და ვერ ასახა დიადი ეროვნული, პატრიოტული გრძნობა. კრიტიკოსის აზრით, ალ. ჭავჭავაძის და მისი დროის ყველა მწერლის ლექსები „სალხინო შესაქცევარი და სამღერნი არიან, ცოტაც არ შეეხებიან და არ გამოხატავენ იმ ხალხის ბედ-იღბალს, სადაც დაბადებულნი არიან. ალ. ჭავჭავაძე მამულის ბედზე ყურმოყრუებულია, არცერთი მისი ლექსი არ მოაგონებს ადამიანს სამშობლოს, მის მდგომარეობას“.

კრიტიკოსის მიერ დაშვებული შეცდომა იმ გარემოებითაა გამოწვეული, რომ მას ხელთ არ ჰქოდა პოეტის ლექსთა თუნდაც ხელნაწერი კრებული¹⁵. თავის შეხედულებებს იგი მხოლოდ იმ სასიმღერო ლექსების მიხედვით იმუშავებდა, რომლებიც ზეპირად ახსოვდა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ეს და ანალოგიური ხასიათის სხვა შეცდომები სავესებით მოსალოდნელი იყო.

ახლა, როდესაც ხელთ გვაქვს ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თითქმის სრული გამოცემა, ნათელია, რომ ეროვნული გრძნობა საკმაოდ ძლიერად არის წარმოდგენილი პოეტის შემოქმედებაში. ისეთი ნაწარმოებნი, როგორიცაა „ისმინეთ მსმენნო“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „ოჰ, წარმავალნო“, „ბყრობილისაგან თანბყრობილთა მიმართ“, „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ და სხვანი მკაფიოდ მიუთითებენ პოეტის ეროვნულ გრძნობაზედ, მისი პოეზიის თპოზიციურ და რადიკალურ დამოკიდებულებაზე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიმართ.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში შემთხვევითი არ არის ისეთი ნაწარმოებებიც, რომელნიც მიმართულია ხალხთა რბევა-აწიოკებისა და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. ალ. ჭავჭავაძის პოლიტიკური ორიენტაციის ნათელი გამომხატველია მისი ვრცელი მოხსენებაც — „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“ და ლექსი „კავკასია“, რომლებშიც ლაპარაკია საქართველოს რუსეთთან შეერთების უდიდეს პროგრესულ მნიშვნელობაზე, მაგრამ, ამავე დროს, მოცემულია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მძაფრი კრიტიკა. ყოველივე ეს ალ. ცაგარელს შეუძმჩნეველი დარჩა.

რაც შეეხება ალ. ჭავჭავაძის ენას, ალ. ცაგარელის მართებული რწმენით, იგი შორს დგას ხალხის სალაპარაკო ენისაგან და მკაც-

15 ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პირველი კრებული მხოლოდ 1881 წ. დაიბეჭდა

რად მწიგნობრულია, „მაგრამ მაინც, როგორც მწიგნობრული საკვირველად არის დახელოვნებული, საკვირველი ცოდნითა და სიღრმე-ლოვნებით არის სიტყვები შერჩეულნი, შეწონილნი გრძნობისა და სხვა მდგომარეობასთან“.

ეს დახასიათება პოეტის ენისა არსებითად სწორია, მაგრამ, სამწუხაროდ, კრიტიკოსმა ვერ შეამჩნია, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში უკვე იგრძნობა ანტონ კათალიკოსის ე. წ. „მაღალი სტილის“ გასადავების ტენდენციაც.

ამრიგად, მართალია, ალ. ცაგარელმა ვერ მოგვცა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების სრული და უნაკლო დახასიათება, მაგრამ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ამ წერილს მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქართველ საზოგადოებაში აღიძრა ინტერესი პოეტის შემოქმედებისადმი და დაიწყო ზრუნვა მისი ნაწარმოების შეკრება-გამოცემისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში ალ. ცაგარელმა ნიკოლოზ ბარათაშვილი მიიჩნია. კრიტიკოსის რწმენით, ნ. ბარათაშვილი სრულიად ორიგინალურ პოეტურ გენიას წარმოადგენს, „რომელიც დგას ჩვენს ლიტერატურაში ერთად-ერთი გაცალკეებული; არც თითონ მისდევდა ვისგანმე დაქნილ ბილიკს და ვერც ვერავინ იმის შემდეგ იმისაგან აღებულ გზაზედ გაიარა, ის არა საჭიროებდა სხვის მიბაძვას და იმას კი ვერავინ მიჰბაძა; თავისთვის თვითონვე გასჭრა გზა და იმის სიკვდილის შემდეგ მისი კვალი ისეთივე უვალი მინდორი შეიქნა, როგორც ადრე იყო“.

ალ. ცაგარელმა, იმ არასრული მასალის საფუძველზეც კი, რომელიც ხელთ ჰქონდა, ხაზგასმით მიუთითა პოეტის მაღალნიჭიერებაზე, ფართო ერუდიციასა და განათლებაზე. მისი აზრით, სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ პოეტს საშუალება მიეცა „გაეგო და ეგრძნო გულისთქმისა და ვნებითა ღელვის ძალაცა, აგრეთვე უმაღლესი წმინდა კაცობრიული ლტოლვაცა — წარმატების სურვილი, რომელიც წარმოადგინა თავისი ხალხის სიყვარულის სახით“.

ალ. ცაგარელი პირველი იყო, რომელმაც ქართულ-სალიტერატურო კრიტიკაში ხაზი გაუსვა ნ. ბარათაშვილის პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობას, მის „უმაღლეს წმინდა კაცობრიულ ლტოლვას“.

ალ. ცაგარელმა ისიც სწორად შენიშნა, რომ თუმცა ნ. ბარათაშვილის ლირიკა ავტორის სულისა და გულის ღელვის გამომხატ-

ველია, რომელსაც ღრმა პესიმიზმი ახასიათებს, მაგრამ ამ გულისწუხილში ისახება პოეტის ირგვლივ არსებული საზოგადოების და მისი სამშობლოს მდგომარეობის ნათელი სურათი.

უდავოდ სწორია ალ. ცაგარელი, როდესაც იგი ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ხასიათს, მის პოეზიაში არსებულ პესიმიზმს XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ინტელექტუალური ვითარებით ხსნის. მაგრამ კრიტიკოსი ამით არ კმაყოფილდება და პოეტის მელანქოლიის სათავეს ეძიებს დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ლიტერატურაში. ბაირონისა და გოეთეს, პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებამ პოხიერი ნიადაგი მოუშადა ბარათაშვილის პოეზიას, დასავლეთ ევროპასა და რუსეთში აბობოქრებულმა „უკმაყოფილების ტალღამ და გაბზარულმა თავის უძლურებისაგან გრძნობამ ჩვენშიაც მოაღწია: ყველა სიტყვა ნ. ბარათაშვილისა ამტკიცებს, რომ ამანაც კარგა ბლომად შესვა ამ ამღვრეული და ამამღვრეველი ტალღის წყალი და იმის მწარე გემო იხმია“.

ალ. ცაგარელი განსაკუთრებულ სიახლოვეს ხედავს ლერმონტოსა და ბარათაშვილს შორის, კერძოდ, მისი თქმით, ბარათაშვილის „სული ბოროტი“ და „მერანი“ ლერმონტოვის „დემონს“ და „მწირს“ ეხმაურებიან. „ყოველივე ეს, — შენიშნავს კრიტიკოსი, — ამტკიცებს, რომ ბარათაშვილი იმათ თხზულებებს იცნობდა. ამ ევროპიდან გადმონაბერ უკმაყოფილების გრძნობაზედ ზედაც საკუთარი ბუნების მიმართულება დაერთო და ამ მიზეზებმა დაჰბადეს ეს, სავსე დარდით და ნაღვლით, მწარე მოთქმა და ჩივილი და თავით ბოლომდი გლოვის ზარით გარემოცული ადამიანი“.

ცხადია, ნ. ბარათაშვილი, როგორც თავისი დროის უაღრესად ინტელექტუალური პიროვნება, კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მწერლობას. შემხვედრი ხაზები ბარათაშვილის პოეზიასა და მოწინავე ხალხთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უდავოდ დაიძებნება; ბარათაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ნაღვლიანი განწყობილება, სევდა და კაეშანი, მაგრამ იგი მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ „თავით ბოლომდე გლოვის ზარით გარემოცულ ადამიანად“. ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, შეგნებულმა მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო, როგორც ამალეებული მორალის და ნათელი მომავლის მომჯადოვებელი სიმღერა. ნ. ბარათაშვილის უდიდესი დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან გმირულად გაარღვია „მსოფლიო სევდის“ რკალი და

ოპტიმისტურად განსჭვრიტა კაცობრიობის ბედნიერი მომავალი. მიიჩნია რა ნ. ბარათაშვილი „მსოფლიო სევდის“ რკალში ჩაშვდილ პოეტად, ალ. ცაგარელმა სწორად ვერ გაიგო ვერც უდიდესი მოტიმიზმით გაუღენთილი ქართული პოეზიის შედეგები — „მერანი“. მისი აზრით, ეპოქის ავბედითობამ პოეტს გულიდან ამოაღებინა უსაყვარლესი „მამული“ თვისი და უსაგნოდ დარჩენილმა გამოსავალი მხოლოდ სიკვდილში ჰპოვა. ამ დებულების დასადასტურებლად კრიტიკოსი ბარათაშვილის „მერანზე“ მიუთითებს.

ცხადია, ალ. ცაგარლის ეს თვალსაზრისიც მცდარია. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში დადგენილია, რომ „მერანი“ პოეტის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, კაცობრიობის მომავალი ბედნიერებისათვის თავის გაწირვის ნათელი გამოხატულებაა და არა ინდივიდუალისტური, ან ეგოისტური გრძნობებით ნაკარნახევი გამოსავალი, — სიმშვიდის ძიება სიკვდილის გზით.

ალ. ცაგარელი პირველი კრიტიკოსია, რომელმაც მოგვცა ნ. ბარათაშვილის ენის სავსებით სწორი, მეცნიერული დახასიათება. მისი აზრით, ენის სიწმინდის, სილალის და ლაკონურობის თვალსაზრისით ნ. ბარათაშვილი შეიძლება მხოლოდ რუსთაველს შეედაროს. ლექსის თავისუფალი, ძალდაუტანებელი მომდინარეობა, „საკვირველ მტკიცედ და ცხადად საგნის გამოხატვა, კაცის გულის მოძრაობის და სულთქმა-ვნებათა გამოთქმა, მცირე სიტყვებით, მაგრამ „ვით მარგალიტი წყობილით“ ბევრის თქმა, სწორეთ იმას აგრძნობინებს მკითხველს, ანუ მსმენელს, რაც პოეტს უნდა აგრძნობინებინა“.

მიუხედავად ამისა, ალ. ცაგარელს ბარათაშვილის ლექსწყობა არ მიაჩნია „ქართულ-ნაციონალურად“. მაგრამ, ვინაიდან კრიტიკოსს არცერთი მაგალითი არ მოაქვს ამ დებულების ნათელსაყოფად, ამიტომ მისი დებულება დეკლარატიული ხასიათის მატარებლად რჩება. სინამდვილეში ნ. ბარათაშვილი გვევლინება რუსთაველისა და გურამიშვილის მიერ დაფუძნებული ლექსწყობის ბრწყინვალე ტრადიციების გამგრძელებლად ახალ ვითარებაში, XIX საუკუნის 30-40-იან წლებში.

ალ. ცაგარელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა ნ. ბარათაშვილის ადგილი ქართულ მწერლობაში და სწორად შეაფასა პოეტის შემოქმედების როლი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. „იმისაგან ჩაგდებული მარცვალი ქართულ ნიადაგში, — წერდა იგი, — სამშობლო ქვეყანაზედ დათესილი არ მომკვდარა, ამის

პოემამ „ბედი ქართლისა“ დაბადა, რამდენადაც გარეშო
ეხამ შეაძლებინა, ნაციონალური — ქართული, ენობრივი
მთელი ახალი ლიტერატურა, ქართული თეატრი, კომედიები ქარ-
თული ცხოვრებიდან“.

აღსანიშნავია, რომ აღ. ცაგარელის შემოხსენებული თვალსაზ-
რისი გაიზიარა ილ. ჭავჭავაძემ და, 90-იან წლებში, თავის ცნობილ
წერილებში ქართულ ლიტერატურაზე მოგვცა ამ შეხედულების
გავრცობილი მეცნიერული დასაბუთება.

ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლი-
სათვის აღ. ცაგარელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ავტორის
სრულყოფილ ბიოგრაფიას. 70-იანი წლებისათვის კი ჩვენ პოეტის
არა თუ სრული, მიახლოვებული ბიოგრაფიაც არ გვქონდა. ამი-
ტომ კრიტიკოსმა მწერლის მიერ განვლილი ცხოვრების გზის აღ-
წერა აუცილებელ და საშურ საქმედ მიიჩნია.

აღ. ცაგარელის წერილმა აამოძრავა ქართული საზოგადოება,
დაიწყო ზრუნვა ბიოგრაფიული მასალების და პოეტის ლექსთა
კრებულის გამოსაცემად, რის შედეგადაც 1876 წ. მკითხველმა მი-
იღო „ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“. ეს იყო დიდი
პოეტის ლექსთა კრებულის პირველი გამოცემა.

აღ. ცაგარელის მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაციის მი-
ხედვით, „ჩვენი ლიტერატურის მეორე პერიოდის დროშის მატა-
რებელი და ბელადი არის გიორგი ერისთავი“.

მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერების თვალსაზრისით გ. ერის-
თავი, რა თქმა უნდა, დაბლა დგას რუსთაველზე და ბარათაშვილზე,
რასაც აღ. ცაგარელიც აღნიშნავს, მისი აზრით სხვებს მაინც არ
ჰქონია „ისეთი დიდი გავლენა მწერლობაზედ, ლიტერატურაზედ
და მთელ ქართველ საზოგადოებაზედ“, როგორც ჰქონდა და აქვს
გ. ერისთავს.

ვფიქრობთ, განსაკუთრებულ მსჯელობას არ საჭიროებს ის გა-
რემოება, რომ საკითხის ამგვარი დაყენება არსებითად მცდარია.
რუსთაველის როლი ქართული მწერლობისა და ქართველი ხალხის
ინტელექტუალურ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების
ისტორიაში სავსებით განსაკუთრებულია და იგი კვლავ რჩება მიუ-
წვდომელ მწვერვალად.

აღ. ცაგარელმა მართებული პარალელი ვერ გაავლო გ. ერის-
თავსა და პუშკინს შორისაც. მისი აზრით „გ. ერისთავს, როგორც
პოეზიის კილოთი და მიმართულებითა, შემოქმედებით, აგრეთვე

თავისი საკუთარი პირადი ხასიათითა, ისეთივე ალაგი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც, მაგალითად, პუშკინსა რუსეთში“.

ცხადია, აქაც უდავო გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე ალ. ცაგარელმა საბოლოოდ მაინც შესძლო სწორი შეფასება მიეცა გ. ერისთავის ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის და აღენიშნა, რომ „გ. ერისთავის ლექსები, დრამები და კომედიები „გაყრის“ გარდა, თუ მალალი ხელოვნებისა და ესთეტიკური კანონებით გავსინჯავთ, სუსტნი არიან, მაგრამ იმის „გაყრა“, როგორც სწორეთ ჩვენი ხალხის მოუცილებელი, ღრმა საკუთარი თავისებური ჩვეულება (საზოგადოთ გაყრა), აგრეთვე, როგორც დიდის ცოდნით და ხელოვნებით შედგენილი ნამდვილი ნაციონალური კომედია, — ძალიან შესანიშნავი და უკვდავია ჩვენ ლიტერატურაში“.

გ. ერისთავის მიმდევრად და უნიჭიერეს მოწაფედ ალ. ცაგარელს ზ. ანტონოვი მიაჩნია და მასაც მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ქართულ მწერლობაში. „იმის პოეზიასაც სწორეთ ის მიმართულება ჰქონდა და იმ კილოზე სწერდა, როგორც გ. ერისთავი, იმის კომედიის საგნებსაც დიდი მსგავსება აქვთ, — იქნება ეს ჭკუიანი მოძღვარი თითონ მოაგონებდა ხოლმე კომედიის საგნებს, — ისეთი თანხმობა არის იმათ პოეზიაში, რომ კაცს თითქმის ერთი კაცის ნამუშევარი ჰგონია იმათი თხზულებები“, რომელთა ღირსებაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ „საკვირველი სიცხადით გამოხატეს თავისი დროების ღრმა წყლული“, იმ პერიოდის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნათელი სურათები. და ეს საგნებით ბუნებრივია, რადგან, როგორც გ. ერისთავის, ასევე ზ. ანტონოვის „ორიგინალური პიესების ჭეშმარიტ წყაროს თვით ცხოვრების სინამდვილე წარმოადგენდა“¹⁶.

ალ. ცაგარელს სურს გაარკვიოს, თუ „რით დაავალა გ. ერისთავმა ჩვენს ხალხსა და რით უჭირავს ასეთი შესანიშნავი მალალი ალაგი ჩვენს ლიტერატურაში“?

ალ. ცაგარელი პირველი იყო, რომელმაც გ. ერისთავი მიიჩნია რეალიზმის დამწყებად ქართულ მწერლობაში. კრიტიკოსის თქმით გ. ერისთავის შემოქმედება „არც ნ. ბარათაშვილისავით სამარის კილოზე დატირის, ბედსა სწყევლის და სოფლის სიმუხთლეს უჩივის და არც ალ. ჭავჭავაძისავით გულისთქმათ და ვნებათ სირინოზებრივ ესალმუნება. არა, იმისი ლექსები, პოეზიის კილო სატი-

¹⁶ დ. ვამეზარდაშვილი. ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, 1953, გვ. 315.

რა არის, კომედიების სახით წარმოდგენილი, მასხრათ აგდება და დაცინვა დაცემული საზოგადოებისა... დაახლოებით ბევრი არა გვაქვს იმისთანა ნამდვილი ქართული თვისებების მქონე ლიც ქართველის მთელ სულსა და გულს, სრულად იმის სიცოცხლეს გამოსთქვამდეს“. ალ. ცაგარელმა ხაზგასმით მიუთითა გერისთავის კომედიების ღრმად ნაციონალურ ხასიათზეც.

გ. ერისთავის მეორე უდიდეს დამსახურებად ალ. ცაგარელმა ის გარემოება მიიჩნია, რომ მწერალი დაეყრდნო შუა ქართლის მეტყველებას და „დაჰქნა ეს მშვენიერი ნამდვილი ქართული სალიტერატურო ენა“, რითაც მწიგნობრული ენა ხალხის მეტყველებას დაუახლოვა და საზოგადოებას შესაძლებლობა მისცა „ისეთივე სიადვილითა და სიამოვნებით სწეროს და იკითხოს, როგორც ლაპარაკობს“.

ალ. ცაგარელს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ის დიდი ამაგი, რაც გ. ერისთავმა ქართულ თეატრს დასდო და იგი მიიჩნია ქართული თეატრის დამაარსებლად. ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს: გ. ერისთავი არ შეიძლება მივიჩნიოთ ქართული თეატრის დამაარსებლად, რადგან ქართული თეატრის ისტორია გაცილებით ადრე იწყება. გ. ერისთავის დამსახურება ისაა, რომ მან აღადგინა ქართული თეატრი და საფუძველი ჩაუყარა პროფესიულ ქართულ დასს. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება გ. ერისთავის ღვაწლი. კრიტიკოსმა ხაზი გაუსვა მის ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც და გ. ერისთავი აღიარა პირველი ქართული ჟურნალის — „ცისკრის“ დამფუძნებლად.

ალ. ცაგარელი შეეხო გ. ერისთავის მცირე ზომის ლირიკულ ლექსებს, დრამებს და თარგმანებს, შეადარა ისინი მის კომედიებს და აღნიშნა, რომ პოეტის არც ლირიკულ ლექსებს და არც დრამებს „ისეთი მაღალი ლიტერატურულ-ხელოვნური მნიშვნელობა არა აქვთ, როგორც ამ პერიოდის კომედიებს. ენა დრამებში ძალიან მწიგნობრული, გაზვიადებული და გაბრტყელებულია — ბუნებითი არ არის და არც გრძნობა არის ღრმა, ან აზრი ნაციონალურ, ნამდვილ ქართულ საფუძველზედ დამყარებული, როგორც კომედიებისა, და თუ შემთხვევა ჰქონია, მაინც ვერ მორევია და ვერ მოუხელებია. მაგ. „ყვარყვარე ათაბაგი“ სამაგალითო, მდიდარი ისტორიულ-ნაციონალური დრამის საგანია, მაგრამ დრამა კი სუსტი გამოსულა. ლირიკულ ლექსებს აკლიათ თავისუფალი მომდინარეობა, ღრმა გრძნობა და აზროვნება; არც დიდი პოლშური პოე-

ტის მიცვევიჩიდან ნათარგმნ ლექსებსა აქვთ დიდი მსგავსება არც გრძნობის ძალით, არც ენის შეწონითა დედანთან“.



პროფ. დ. გამეზარდაშვილმა, რომელმაც ვრცელი მონოგრაფია უძღვნა გ. ერისთავის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, აგრეთვე პროფ. გ. ჯიბლაძემ თავის გამოკვლევაში გ. ერისთავის შესახებ, საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგინეს გ. ერისთავის კომედიების, დრამატული ნაწარმოებების, ლირიკული ლექსების და მწერლის ენის თავისებურებათა საკითხი. ზემოხსენებულ მკვლევართა შეხედულებანი დღეს საყოველთაოდ გაზიარებულია, ისინი არ ეთანხმებიან ალ. ცაგარელის თვალსაზრისს¹⁷.

ამავე წერილში ალ. ცაგარელმა მკაცრად გააკრიტიკა გ. ერისთავის თხზულებათა 1867 წლის გამოცემა, რომელშიც საკმაო რაოდენობით გვხვდება კორექტურული შეცდომები, დაბეჭდილია ცუდ ქაღალდზე, დაუფიქრებლად არის შეტანილი ნაწარმოებნი, „რომლებზედაც შემდეგ „დროებაში“ კამათობდნენ“ — ეკუთვნოდა თუ არა ზოგიერთი მათგანი გ. ერისთავს. აქვე მან სავსებით სამართლიანად მიუთითა ქართველი მწერლების გამომცემლებს, რომ ყველა მწერლის ნაწარმოებთა კრებული გამოეცათ ბიოგრაფიისა და კრიტიკული წერილის დართვით.

ყველაზე ვრცელ ადგილს თავის წერილში ალ. ცაგარელი იღია ჭავჭავაძეს უთმობს.

70-იანი წლებისათვის იღია სავსებით ჩამოყალიბებული და ნათლად გარკვეული მრწამსის გამომხატველი პოეტური ფიგურაა; მას უკვე ვანვლილი აქვს „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ პერიოდი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ალ. ცაგარელს ხელთ ჰქონდა მხოლოდ მცირე ნაწილი ილიას მემკვიდრეობისა, თუმცა, ძირითადად, მაინც სწორი თვალსაზრისი შეიმუშავა მწერლის შესახებ და აღნიშნა, რომ „თუმცა ჯერ მარტო ორიოდე პატარ-პატარა ნიმუშები გვიჩვენა თავისი მოღვაწეობისა და მუშისა ჭაბუკობის ასაკის დროს, მაგრამ ამ ცოტაშიც, როგორც პატარა ცვარში, ცხადად გამოსჭვირს ბედნიერი პოეტიკური ნიჭი,... რომ ი. ჭავჭავაძეს მართლა ტოლი, უღლის გამწევი არა ჰყავს ჩვენს ლიტერატურაში“.

კრიტიკოსზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ლექსმა „გაზაფხული“, რომელშიაც „გარეგანი სახე, ფორმა შინაგან ღირსების ღრმა გრძნობასთან და ჰაზრთან შეწონილნი

¹⁷ დ. გამეზარდაშვილი. ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, ტ. I, 1974, გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, 1958.

არიან, ერთმანეთთან შეთანასწორებულნი და შედარებულნი.../ ეს ლექსი ღირსია ჰეინეს კალმისა“.

აღ. ცაგარელს სურს ობიექტურად შეაფასოს ილიას შემოქმედება, ამიტომ იგი გულწრფელად მსჯელობს ილიას პოეზიის ღირებაზე და, აგრეთვე, იმ ნაკლებზე, რაც მისი აზრით, ამ პოეზიას ახასიათებს.

რა განსაკუთრებული თვისება და ღირსება აქვს ილიას — როგორც პოეტს? კრიტიკოსის მართებული რწმენით, „ილ. ჭავჭავაძის ნიჭი არ არის მარტო ერთგვარი, ერთმხრივი, არამედ დაჰყურებს საგანს ყოველმხრივ და მრავალ სხვადასხვა ფერ და გვარ საგანსა“; ილიას შეუძლიან დიდი გრძნობით სწეროს ლექსები ქალზე, მთვარეზე, მაგრამ ამავე დროს არ დაივიწყოს ზოგადკაცობრიული და უპირატესად ჰუმანური საკითხები, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს პოეტის „მუშა“, „გუთნის დედა“ და „ნანა“.

გარდა ამისა ილიას უდიდესი ღირსება მისი პოეტური სიტყვის მაგიურ ძალაში მდგომარეობს, პოეტს ახასიათებს „გულწრფელობა და გულღიაობა, — აქედან წარმოსდგება იმისი პოეზიის ღრმა გრძნობა და ყოვლის შემოქმედელი ზემოქმედება, რომელიც მკითხველის, ანუ მსმენელის გულს ეტანება და სწვავს, სწორეთ იმას აგრძნობინებს, რაც პოეტს უნდა ეგრძნობინებინა“¹⁸.

აღ. ცაგარელის ეს თვალსაზრისი არავითარ დავას არ იწვევს, ილიას ახასიათებს სიტყვათა შერჩევისა და შეწყობის გასაოცარი უნარი, გრამატიკული ფორმების ოსტატური მომარჯვება, აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება, ანდაზებისა და ხატოვანი გამოთქმების გონივრულად შერჩევა, მხატვრული სახის სრულყოფისათვის შედარებების, ეპითეტების და სხვა პოეტური ხერხების ბრწყინვალე გამოყენება. ყოველივე ეს კი, ცხადია, უდიდეს ემოციურ ზემოქმედებას ახდენდა მკითხველზე.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, აღ. ცაგარელმა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გარკვეული ხარვეზებიც დაინახა და თავის წერილში საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო მათ აღნუსხვას. მის მიერ გაკეთებული ზოგიერთი შენიშვნა საგსებით მართებული და ანგარიშგასაწევიან, ნაწილი კი მცდარი და უსაფუძვლოა, რაც კრიტიკოსს ხშირად გამოუვალ წინააღმდეგობაში აქცევს.

18 „ღროება“, 1870, № 4.

ერთ-ერთი არსებითი ხასიათის ნაკლოვანება ილიას პოეზიაშია. ალ. ცაგარელის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მას ახალი „ენისა და ლექსთ-წყობის შეუმუშავებლობა, ცოტა გრძნობის ქონვა ზოგ ლექსებში და ბევრი მსჯელობის ჩაჩრა, — ნაციონალური კილოს უქონლობა... ი. ჭავჭავაძის ლექსები რუსული ენიდან ნათარგმნსა ჰგავს“¹⁹.

თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ილია ქართულ სიტყვას და რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მან ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, ეს საყოველთაოდ ცნობილია. როგორც პროფ. აკ. შანიძემ შენიშნა, „ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ბრძოლა ქართული ენისათვის ერთი ძირითადი ხაზთაგანია. ეს ბრძოლა სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა სახეს იღებს: ორიგინალურ ბელეტრისტულ ნაწერებში ის ქმნის უკვდავ სახეებს, წარმტაც სურათებს, ჰედს ქართულ სიტყვას, ნათარგმნ რომანში იძლევა მისაბაძავ ნიმუშს იმისას, თუ როგორ უნდა იქმნეს გადმოქართულებული რომელიმე ნაწარმოები; ცისკრელებთან ბრძოლისას ერთი კალმის მოსმით აუქმებს ახალი სალიტერატურო ქართულისათვის ზედმეტად გამხდარ ასოებს; იანოვსკის წინააღმდეგ ბრძოლაში თავგამოდებით იცავს ქართული ენის უფლებას და სხვა და სხვა“²⁰. ამის შემდეგ მეტად უხერხული იქნებოდა ილიასათვის ბრალად დაგვედო „ენის შეუმუშავებლობა“. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ილიას ზოგიერთ ლექსს „გარეგანი ფორმის“ მხრივ დამუშავება არ აკლდეს. რითმის გასამართად პოეტი ზოგჯერ უკანონოდ კუმშავს ან ავრცობს ამა თუ იმ სიტყვას, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის, მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის.

უმართებულოა აგრეთვე ალ. ცაგარელის საყვედური ილიას მიმართ ლექსის ფორმისა და ზომის შესახებაც. მან ვერ შენიშნა, რომ თუმცა ილიას ქართული ლექსის რეფორმა არ მოუხდენია და ამ მხრივ ილიას პოეზიაში რაიმე სიახლე არ შეინიშნება, მაგრამ, როგორც ვ. კოტეტიშვილმა აღნიშნა, „ახალი ის გუნებ-განწყობილება იყო, რომლითაც ილ. ჭავჭავაძემ ეს ძველი ზომა კვლავ სასიცოცხლოდ გამოიწვია, ახალი იყო ის გადახალისება, რომელიც მან ლექსურ მასალას მოუხდინა, ახალი იყო თემები, ბგერათა შერ-

¹⁹ „დროება“, 1870, № 6.

²⁰ ი. ჭავჭავაძე. (საიუბილეო კრებული), 1939 წ., გვ. 1.

ჩევა და სხვა“²¹, რაც იმ პერიოდისათვის უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

დამახასიათებელია თუ არა ილიას პოეზისათვის გრძნობის სიმცირე, როგორც ალ. ცაგარელი ფიქრობს? ამ დებულების უმართებულობის ნათელსაყოფად ჩვენ მრავალი ადგილის ციტირება მოგვიხდებოდა ილიას შემოქმედებიდან, რაც ეჭვმიუტანლად დაადასტურებდა, რომ იგი ჭეშმარიტად უდიდესი განცდის პოეტი იყო, რომელსაც გრძნობის გარეშე ვერ წარმოედგინა პოეზია და საერთოდ შემოქმედება. ამის ნათელ სურათს წარმოადგენს ილიას არაერთი კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილი, მათ შორის მისი ცნობილი „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“, რომელშიც ვკითხულობთ: „პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზემოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკბობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის — თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა... პოეზია ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი“²². ვფიქრობთ, ეს სიტყვებიც საკმარისია ალ. ცაგარელის დებულების უარსაყოფად.

ილიას პოეზიის ხარვეზად ალ. ცაგარელი იმ გარემოებასაც მიიჩნევს, რომ მასში ბევრია მსჯელობა, ილია ნაწარმოების პერსონაჟებს თავს ახვევს საკუთარ აზრებს, „იძულებულია თვითონვე ატაროს ხელით, როგორც ჭოჭინაზე მიყუდებული ყმაწვილი, თავისი მოქმედი პირები და მუდამ ჩასჩურჩხლებდეს რა უნდა თქვან, რომ ყმაწვილები ჭკუით დიდებათ ეჩვენენ და არ აცლის თავიანთ ბუნებით, ჰაზრისა და შეგნებისა გრძნობის შესაფერისად რას იტყოდნენ იმათ ნებაზედ რომ მიეგდოთ“²³. ამ დებულების განსამტკიცებლად ალ. ცაგარელი ასახელებს „გუთნის დედას“ და „მუშას“.

რამდენად მართებულია ალ. ცაგარელის ეს შეხედულება?

ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ძლიერად იგრძნობა აზრის საოცარი სიღრმე, საკმაოდ რთული პრობლემების გადაწყვეტა მკითხველთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომ, ადვილად გასაგებ ფორმაში; მსჯელობა, რომელსაც ზოგჯერ პოეტი მიმართავს, რაც

²¹ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1925, გვ. 126.

²² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 90—91.

²³ „ღრობა“, 1870, № 6.

უნდა რთულ საკითხს ეხებოდეს, უშუალო, სადა და ბუნებრივია და არასოდეს არ ტოვებს ხელოვნურად, ნაძალადევად ჩასმული სტრუქტურის ქონების შთაბეჭდილებას. ილიას ერთ-ერთი მთავარი მიზნისაა, რომ სალი აზრი გასაგებად მიიტანოს მკითხველამდე და ამ მიზნის განსახორციელებლად ყველა საშუალებას იყენებს. ერთ პუბლიცისტურ წერილში იგი გარკვევით აღნიშნავდა, რომ „ბევრს აქამდისინაც ვერ გამოუბერტყენია გონებიდან ის აზრი, რომ მაღალი ფრაზით, მდაბალი ფრაზით და საშუალო ფრაზით წერას სრულიად არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. თხზულებაში საქმე აზრია და მაღალსა და მდაბალს ფრაზას არაფერი ღირსება არა აქვს, თუ ბრწყინვალე აზრი არ გამოსჭვივის სტატიაში“.

მაღალი, პროგრესული აზრის გატანას მასებში ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის და სოციალურ უკუღმართობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

რაც შეეხება „მუშას“ და „გუთნის დედას“, მათში არ გვხვდება „ხელოვნურად ჩაჩრილი“ მსჯელობა, როგორც ეს ალ. ცაგარელს ეჩვენება. ამ ნაწარმოებებში ხელშესახებად არის გადმოცემული ღუბჭირი ცხოვრებისაგან განაწამები გლეხობის გულისტივილი. ეს მძიმე კენესა ისმის ხალხური შემოქმედების არა ერთი ლექსიდანაც, მაგრამ ილიას დამსახურება ამ შემთხვევაში ის არის, რომ მან გუთნისდედის და ტვირთ ქვეშ მგმინავი მუშის უკმაყოფილების გამომხატველ სიტყვებს პოეტური სამოსელი შეუკერა, მათ მიერ პრიმიტიული ფორმით გამოთქმულ აზრს სიმანვილე და გარკვეული გამოხატულება მისცა, რითაც გაამძაფრა მოვლენის სოციალური და პოლიტიკური მხარე ²⁴.

რაც შეეხება „ნაციონალური, ნამდვილი ხალხის ფერისა და კილოს უქონლობას, ანუ ცოტას ქონას, როგორც ლექსებში, აგრეთვე პროზაში“, რასაც ალ. ცაგარელი ილიას უსაყვედურებს, — სავსებით გაუგებარია. თავი რომ დავანებოთ ილიას მთელ შემკვიდრობას, მარტო 70-იან წლებამდე შექმნილი ნაწარმოებებიც საკმარისია ალ. ცაგარელის დებულების უსაფუძვლობის დასადასტურებლად. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად აღინიშნა, რომ ლირიკულ ლექსს წერდა და ოცნებობდა სამშობლო მთებზე, თუ არკვევდა შორეული ირლანდიის ჩაგრული ხალხის ცხოვრებას, ეკამათებოდა ვინმე თავხედს, ვინც აუგად იხსენიებდა ქართველ ერს, თუ არკვევდა რთულ ფილოსოფიურ საკითხებს —

²⁴ ი. ჭავჭავაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, I, 1957, გვ. 49.

ყველგან ილიას თვალწინ ედგა თავისი პატარა, მშვენიერი სამშობლო გმირული წარსულით და დიდი ტრადიციებით, მდიდარი ენით და კულტურით და ღრმად სუნთქავდა მისი ნაციონალური სულით. ასევე არასწორად აქვს გაგებული ალ. ცაგარელს ილიას ლექსი „ჩემო კალამო“, რომელსაც, კრიტიკოსის აზრით, ახასიათებს „რადაც არშიეობისა და სიკეკლუცის კილო გასათხოვარი ქალისა და არა პოეტის შესაფერი“.

როგორც ცნობილია, „ჩემო კალამო“ ილიამ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1861 წლის ოქტომბერში დაწერა. იგი საპროგრამო ხასიათის ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება, რომელშიც ძლიერად იგრძნობა სამშობლოს უანგარო სიყვარული და ბოროტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის ენის, უკეთესი მერმისის ღრმა რწმენა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ალ. ცაგარელი „კაცია ადამიანის“ გარჩევას შეუდგა. მისი აზრით, „ყველაზე დიდი და შესანიშნავი, რაც კი ილია ჭავჭავაძეს დაუწერია, არის „კაცია ადამიანი“. ამ პატარა თხზულებით პოეტმა შიგ ქართველის ცხოვრების გულში ჩაიხედა და გამოხატა ისე ცხადათ ის ფულურო, ფუყი და დამპალი გულ-მუცელი, რომელსაც თუ ცხოველი იმედის, სასოების და მხნეობის უკვდავი ცვარი არ ეპკურა, სხვა საკურნებელი წამალი აღარა აქვს რა და უკანასკნელ განწირულებაშია“²⁵.

ალ. ცაგარელის ეს თვალსაზრისი სავსებით სწორია. ეს ნაწარმოები ბრწყინვალე ნიმუშია ქართული კლასიკური რეალიზმისა; „კაცია ადამიანი“ კრიტიკული რეალიზმის მამხილებელი მოტივები ორგანულად და ოსტატურად დაუკავშირდა განმანათლებლურ იდეებს.

სამწუხაროდ, ალ. ცაგარელმა ვერ შეძლო თავისი სწორი თვალსაზრისის თანმიმდევრული დაცვა; წერილის მომდევნო ნაწილში მან საპირისპირო შეხედულებანი განავითარა და აშკარა წინააღმდეგობაში მოექცა.

ალ. ცაგარელმა გარკვეული მსგავსება დაინახა გოგოლის „მკვდარ სულებსა“ და ილიას „კაცია ადამიანს“ შორის, მაგრამ ეს მსგავსება, მისი აზრით, მხოლოდ გარეგნული ხასიათისაა და არა „შინაგანი აზრის თანხმობა“.

რაში გამოიხატა ეს გარეგნული მსგავსება? ილიას „აქვს აღწერაში ისევ ის სიცხადე და მახვილ-გონიერება, როგორც გოგოლი

25 „ღრობა“, 1870, № 7.

ხმარობს თავის თხზულებაში, მეტადრე „მიცვალებულ სულებში“ ცოტა სიტყვით ბევრის თქმა, ხშირად ძალიან მოსწრებით ხმარებული სიტყვის მასალები, ნამდვილი ქართული სიტყვა მოხდენილი, მკვახე იუმორი, ანდაზების ძალიან უხვით მოყვანა, რომლების გულისთვისაც ხან და ხან ბაასს აგრძელებს, რომ რომელიმე ანდაზა მოაკეროს (მარტო ანდაზებში არა მდგომარეობს პოეზიის ნაციონალური კილო); საბაასო, სალაპარაკო ენას დიდის ცოდნით და ხელოვნებით სწერს; აგრეთვე, როგორც გოგოლი, ძალიან ბედნიერად და მახვილგონივრულად ირჩევს ნამდვილ ნაციონალურ ქართულ სურათებს მომქმედ პირებათ მოთხრობისათვის, მაგრამ ამით თავდება, საუბედუროთ, მსგავსება „მიცვალებულ სულებთან“²⁶.

აღ. ცაგარელმა ამ ორ ნაწარმოებს შორის, სამწუხაროდ, საერთო მეტი ვერაფერი დაინახა.

როგორც ცნობილია, ბელინსკიმ „მკვდარი სულების“ უდიდეს ღირსებად მიიჩნია თანადროული ცხოვრების უარყოფით მოვლენათა ჩვენება, უაღრესად პრინციპული და მამხილებელი ტონი, გოგოლისეული კომიზმი; ხოლო გერცენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მკვდარი სულები“ „ესაა ნატურიდან გადმოდებული პათოლოგიური სურათების წყება, დახატული უზარმაზარი და სრულიად ორიგინალური ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანის მიერ“. ეს სიტყვები შეიძლება უცვლელად გავიმეოროთ ილ. ჭავჭავაძისა და მისი „კაცია ადამიანის“ მიმართაც.

„კაცია ადამიანი“ კომპოზიციურად შეკრული ნაწარმოებია, რომელსაც ცხოვლად ახასიათებს მოქმედება. აღ. ცაგარელმა კი ნაწარმოებში ვერც მოქმედება დაინახა და ვერც მისი კომპოზიციურობა შენიშნა, ამიტომ, მისი აზრით, „კაცია ადამიანი“ ნამდვილი მოთხრობის დანიშნულებას ვერ ასრულებს: ეს არის პატარ-პატარა დიდის ხელოვნებით აღწერილი სცენები და სურათები, სხვადასხვა შემთხვევები, შეკრებილი ერთათ, რომლებსაც ხან სულ არა და ხან ძალიან ცოტა შინაგანი კავშირი აქვთ ერთმანეთთან“²⁷.

აღ. ცაგარელმა ნაწარმოებში მოქმედი პირიც კი ვერ დაინახა, რომელიც იმ აზრს განასახიერებდეს, რომელსაც „მკვდარ სულებში“ განასახიერებენ მისი ავტორი და ჩიჩიკოვი. და ვინაიდან, კრიტიკოსის აზრით, ნაწარმოებში არ არის ერთი გარკვეული აზრის

26 „დროება“, 1870, № 7.

27 იქვე.

თანმიმდევრული განვითარება, ამიტომ „მთელი მოთხრობა არის ალწერა სურათებისა, რომლებიც ვთქვათ, შემოწყობილნი ოთახში და ერთმანეთთან არა ცხოველი კავშირი არა აქვთ...“²⁸ მოთხრობაში ერთი ჰაზრი არ არის გატარებული“.

ამგვარმა წინააღმდეგობებმა თავი იჩინეს წერილის იმ ნაწილშიც, სადაც ალ. ცაგარელი ვაკვრით შეეხა ავ. წერეთლის შემოქმედებას.

ალ. ცაგარელმა აკაკი აღიარა მაღალნიჭიერ პოეტად, რომლის ლექსებიც ადვილსასმენელნი, გრძნობის აღმძვრელნი და ტკბილზმოვანნი არიან. ისინი „მარტივად და ცხადათ გრძნობის გამოთქმით, ხალხური ლექსთწყობის მიბაძვით, ძალდაუტანებელი მიმდინარეობით, აგრეთვე მარცვლის სიტყვით და ზომით, წმინდა ნაციონალურ, თვითონ ხალხის ლექსებს შეადგენენ და მოგვაგონებენ კაცსა შეუთხზავ, ბუნებით პოეზიას“.

ამ უდავოდ მართებულ შეხედულებას იქვე მოსდევს სრულიად საპირისპირო თვალსაზრისი: „საზოგადოთ, — წერს ალ. ცაგარელი, — აკაკის ლექსები ღარიბნი არიან გრძნობით და ჰაზრითა: იმის სიტყვა, რაც უნდა დიდ ღირს საგანზედ სწერდეს, გულიდან არ მოდის, გულწრფელობა არ ეტყობა, თითქოს ეთამაშება თავის ლექსსაც და მკითხველსაცაო; ამიტომ არც გულს ეტანება იმის ლექსი“²⁸.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ აკაკი მაღალნიჭიერი პოეტია, რომლის ლექსები ტკბილზმოვანნი და გრძნობის აღმძვრელნი არიან, თუ ეს გრძნობა ძალდაუტანებლად მომდინარეობს აკაკის პოეზიიდან, მაშ რატომ არ ეტანებიან ისინი მკითხველის გულს? რატომ არიან „ღარიბნი გრძნობითა და ჰაზრით“? და თუ ასეთია აკაკის პოეზია, მაშინ როგორღა არიან ისინი მკითხველში გრძნობის აღმძვრელნი?

ასე წარმოგვიდგინა ალ. ცაგარელმა ქართული მწერლობის სურათი მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებამდე.

როგორც დავინახეთ, კრიტიკოსის შეხედულებებში ბევრი რამ არის პოზიტიური; ამ შეხედულებებმა ხელი შეუწყვეს ქართული მწერლობის შემდგომ განვითარებას, მაგრამ ალ. ცაგარელის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაზრევში ბევრი შეცდომაც შეინიშნება.

ალ. ცაგარელის დიდი ავტორიტეტის შედეგად, მის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა თავი იჩინეს მომდევნო პერიოდის კრიტი-

²⁸ „დროება“, 1870, № 7.

კულ აზროვნებაში, რამაც უარყოფითი როლი შეასრულა ამ ^{თუ} ^{სწორად}
იმ ნაწარმოების, თუ მწერლის მთლიანი შემოქმედების შეფასების საქმეში.

მიუხედავად ამისა, ალ. ცაგარელის წერილს „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მან გამოაცოცხლა იმდროინდელი ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება და მოამზადა ნიადაგი მისი შემდგომი განვითარებისათვის.

ვლადიმერ ყავლაშვილი

გაზეთ „KAUKASISCHE POST“-ის უცხოგი ნომერი

ქართველი ხალხის უანგარო მეგობარმა არტურ ლაისტმა სიცოცხლის ნახევარზე მეტი ჩვენს ქვეყანაში გაატარა. იგი დაუღალავად იღვწოდა იმისათვის, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მდიდარი და თვითმყოფი კულტურა ევროპას გაეცნო.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის არტურ ლაისტს ქართული პოეზიის ევროპაში გატანის საქმეში. მან ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დახმარებით 1890 წელს გერმანულად თარგმნა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ და არაერთი სხვა სახელოვანი ქართველი მწერლის შემოქმედების ნიმუშები. მისი ინიციატივით თბილისში 1909 წლიდან გამოსვლას იწყებს მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთი უცხოური გაზეთი „Kaukasische Post“ („კავკასიური ფოსტა“). გაზეთი გამოდიოდა 1922 წლამდე. იგი ძირითადად განკუთვნილი იყო ამიერკავკასიაში მცხოვრები გერმანელებისათვის.


„ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირის ორგანო“ „Kaukasische Post“ 1918 წლამდე გამოდიოდა კვირაში ერთხელ, ხოლო ამ წლიდან — კვირაში ორჯერ (ოთხშაბათობით და კვირაობით). გაურკვეველია, თუ რამდენი ნომერი გამოვიდა სულ 1909—1917 წლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 1935 წელს დაცული იყო შემდეგი კომპლექტები:

- „1918 წ. № 1 (1/III) — № 91 (28/XII) თით. 2 გვ.
- 1919 წ. № 2 (7/I) — № 6 (23/I) ...? „ “
- 1920 წ. № 28 (8/IV) — № 92 (29/XII) „ “
- 1921 წ. № 1 (2/I) — № 6 (23/II) „ “
- 1922 წ. № 36 (16/IX)—№ 51 (30/XII) „ “¹.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, გაზეთის 1919 წლის მხოლოდ რამ-

¹ გ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამოც., 1947, გვ. 206.

დენივე ნომრის ეგზემპლარები არის შემონახული, სხვები დაკარგულია.



პოეტ ვარლამ რუხაძის პირად არქივში ჩვენ მივაკვლიეთ ნიშნული გაზეთის დაკარგულად მიჩნეული ერთ-ერთი ნომრის ეგზემპლარს (1919 წლის 19 ოქტომბერი, № 82). გაზეთის ეს უცნობი ნომერი მრავალმხრივ საინტერესოა თავისი ისტორიული და ლიტერატურული მასალებით.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს არტურ ლაისტს შესაძლებლობა მიეცა განეახლებინა საქართველოს კულტურული ურთიერთობა ევროპასთან. „საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დახმარებით, — წერს გაზეთი, — არტურ ლაიტი მალე შეძლებს გერმანიის ლიტერატურულ წრეებთან ადრინდელი კავშირის აღდგენას. შემდგომ მას სურს გამოსცეს თავისი დასაბუქდად მომზადებული წიგნები. ერთ-ერთი მათგანის — „ცხოვრების სურათის“ გამოქვეყნება მას განზრახული აქვს „კავკასიურ ფოსტაში“, ამასთან მალე უნდა გამოვიდეს მისი „ქართველი პოეტები“, შედარებით დიდი ტირაჟით. მათ „კავკასიური ფოსტის“ მკითხველები გაზეთის ამ გვერდზე გაეცნობიან“.

იქვე რუბრიკით „სულისა და გულისათვის („ქართველი პოეტები“)“ გამოქვეყნებულია არტურ ლაისტის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი შემდეგი ლექსები: ვარლამ რუხაძის „ვაშა“, აკაკი წერეთლის „უცხო მხარე“, ვაჟა-ფშაველას „მთას ვიყავ“ და „ერთხელც იქნება, მოგვკვდები“. ამ ლექსებით მისი დაინტერესება გამოწვეული იყო იმით, რომ არტურ ლაიტი — ეს „შორეული თავისიანი“, როგორც მას ილია ჭავჭავაძე უწოდებს, — ხედავდა, თუ როგორ გააპარტახეს მენშევიკებმა საქართველო და რა უფსკრულისაკენ მიაქანებდნენ მას.

ლაისტმა არსებული სინამდვილის დასახატავად მოიმარჯვა აკაკი წერეთლის მიერ 1878 წელს დაწერილი ლექსი „უცხო მხარე“, სადაც გადმოცემულია ღრმა პესიმიზმი არსებული სინამდვილის გამო. პოეტი მიილტვის იმ უცხო მხარისაკენ,

„სადაც ყველა თანსწორია,
ერთს მეორის არ აქვს შიში,
სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ
ფარისევლის ანგარიში!“

მაგრამ პოეტი ხედავს, რომ ასეთი „უცხო მხარე“ მხოლოდ ოცნებაშია, სიზმარშია:

„ამისთანა უცხო მხარე
ვიცი მხოლოდ ერთადერთი:
ოცნებისა სამთავროში —
იმას ჰქვია... სიზმარეთი!“



ასეთივე აზრებია ჩაქსოვილი ვაჟა-ფშაველას ლექსში „მთას ვიყავ“. ნიშანდობლივია ამ ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„ეხლა თავ-თავქვე მივდივარ,
ხევში მომელის ბნელია,
თან მიმდევს ფიქრი მწუხარე,
გულის, გონების მწველია“.

ასევე პესიმიზმითაა გაჟღენთილი ვაჟა-ფშაველას მეორე ლექსი „ერთხელაც იქნება, მოვკვდები“.

არტურ ლაისტი საბოლოოდ მაინც ცდილობს უკეთესი მომავლის რწმენა ჩაუნერგოს მკითხველს. მისი აზრით, მართალია, მენ-შევიკების ბატონობა საშინელებაა, მაგრამ კვლავ გამოჩნდებიან გმირები, რომლებიც ხალხს წაიყვანენ ნათელი მომავლისაკენ, დაამხოვენ უსამართლო წყობილებას. ეს შეხედულებაა გამოთქმული ვარლამ რუხაძის ლექსში „ვაშა“. პოეტი აღიღებს იმ გმირებს, ვინც სინათლისაკენ მიილტვის:

„ვაშა სინათლეს, მის სხივებს
სიცოცხლის მოძნაჰვებელსა,
ყინვა-სიცივის დამორგუნველს,
წყვედიადის გამაჭრობელსა!

ვაშა მას, ვინც რომ იმისკენ
მიილტვის, მიეშურება,
თავს წირავს იმის გულისთვის,
ერთგულათ ემსახურება!“

აქვე მოგვყავს ამ ლექსის ლაისტისეული გერმანული თარგმანი, რომელიც გაზეთ „Kaukasische Post“-ის ჩვენ მიერ მიკვლეულ ნომერში დაიბეჭდა:

Hei dem Lichte, dessen Strahlen
Leben bringen in die Nacht.
Das verdrängt die Nebelwolken,
Bis der helle Gag erwacht!

Ruhm den Männern, welche mutig,
Furchtlos folgen seinem Schein
Und, ihr eignes Leben wogend,
Aus der Nacht ihr Volk befrein!

გაზეთში დასტამბულია ნაწყვეტი ელიზავეტ ბაუხის მოთხრობისა „ბავშვი თოვლში“. მასში ავტორი დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით აღწერს მგლოვიარე დედის განცდებს, რომელსაც საყვარელი შვილი გარდაცვლია და მისი მოგონებებითა ცოცხლობს.

თეატრის ისტორიკოსებისათვის გაზეთი იძლევა შემდეგ საინტერესო ცნობას: ზუბალაშვილის სახალხო სახლს ჰქონია გერმანული დრამატული სექცია, რომელსაც 1919 წლის 22 ოქტომბერს გაუმართავს კომედიის დიდი საღამო, წარმოდგენილი ყოფილა გ. კადელბურგისა და ო. ბლუმენტალის კომედია „ორი ღერბი“ ოთხ მოქმედებად მუსიკის თანხლებით.

ახალ ამბებში გაზეთი ხაზს უსვამს ბათუმ-ნატანების რკინიგზის ხაზზე მომხდარ შეტაკებას მუშებსა და ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ გაწვრთნილ თანამდებობის პირებს შორის.

გაზეთის საანალიზო ნომრის უმეტესი ნაწილი დათმობილი აქვს ამიერკავკასიელ გერმანელთა კავშირის დებუტატთა ყრილობის მასალებს, სადაც მიმოხილულია ამიერკავკასიაში არსებული გერმანული სკოლების სავალალო მდგომარეობა მენშევიკების ბატონობის დროს.

ვრცელ საერთაშორისო კომენტარში ყურადღებას იქცევს ლიტვის მთავრობის ნოტა ანტანტელი მოკავშირეებისადმი, რომლებმაც ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ ლიტვა. ფართოდაა მიმოხილული ამ ნოტის მსოფლიო გამოძახილი.

ამრიგად, გაზეთის დღემდე უცნობი ეს ნომერი თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი შედგება ორი გვერდისაგან და ეხება იმდროინდელი ცხოვრების ყველა სფეროს; რეალურად აღწერს იმ ვითარებას, რაც შეიქმნა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს. ამიტომ იგი, ვფიქრობთ, ერთგვარ სამსახურს გაუწევს აღნიშნული პერიოდის ისტორიით დაინტერესებულ პირთ.

ლუიზა ჭუმბურიძე

რუსთველოლოგიური საკითხები გავით „დროებაში“

„ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი ქართველ ხალხს არასოდეს განელებია; ყველა ეპოქაში იგი ახალ ჟღერადობას იძენდა და მკითხველს ახალი ინტერესებით განაწყობდა. მაგრამ პოემისადმი განსაკუთრებული ინტერესი ქართველმა საზოგადოებრიობამ გამოიჩინა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი წვლილი შეიტანა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გავლიერების საქმეში. ამ მოძრაობის მესვეურებმა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.) „თავიანთ საბრძოლო მოწოდებებად რუსთველის ზოგადსაკაცობრიო იდეალები მიიჩნიეს და ქართული ეროვნულ-კულტურის მოწიფულობის საბუთად „ვეფხისტყაოსანი“ აღიარეს“¹.

მიუხედავად პოეტის დიდი პოპულარობისა, ამ საუკუნეში მონოგრაფიული ნარკვევი რუსთველზე არ შექმნილა, მაგრამ ქართული პრესის („დროების“, „ივერიის“, „მოამბის“ და სხვ.) ფურცლებზე უხვადაა წარმოდგენილი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალა, რომლის საფუძვლიანი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გასული საუკუნის რუსთველოლოგიური აზრის განვითარების წარმოსაჩენად და იმ დიდი ინტერესის გასათვალისწინებლად, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ჰქონდა.

თუ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი რუსთველისადმი ინტერესს იმით ავლენდა, რომ პოეტის სახელს შარავანდედით მოსავდა, 60-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები ყურადღებას უკვე რუსთველოლოგიურ პრობლემებზე ამახვილებენ. მათ

¹ ლ. მენაბდე. „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, 1967, გვ. 3.

ინტერესებთ პოემის ტექსტის დადგენის, თარგმნის, გამოცემის, ხელნაწერთა შესწავლის, და სხვა აქტუალური პრობლემები.

რუსთველოლოგიური საკითხების შესწავლისა და პოეტის შემოქმედების ხელის პოპულარიზაციის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა გაზეთმა „დროებამაც“.

„დროების“ რედაქციას, რომელსაც ხელმძღვანელობას უწყევდნენ იმ პერიოდის ცნობილი მოღვაწეები (ს. მესხი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. მაჩაბელი), და რომელშიც თანამშრომლობდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც რუსთველის სახელთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც ამ გაზეთის ფურცლებზე, რუსთველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი წერილი, მოსაზრება თუ შენიშვნა დაიბეჭდა.

„დროება“ სისტემატიურად აქვეყნებდა ქრონიკალურ ცნობებს იმის თაობაზე, თუ რა საქმიანობას ეწეოდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი პოეტის სახელის პოპულარიზაციისათვის. მართალია, „დროებაში“ დაბეჭდილი ამგვარი ცნობები ხშირად ვერაფერს მატებდა რუსთველის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერულ კვლევას, მაგრამ ისინი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც გვამცნობენ პოემის პოპულარობას, ქართველი ხალხის ინტერესს რუსთველისადმი, იმ დიდ გავლენას, რომელიც პოემას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ჰქონდა და, რაც მთავარია, იმას რომ მე-19 საუკუნის 60—80-იან წლებში მომწიფდა ნიადაგი „ვეფხისტყაოსანის“ შესასწავლად.

„დროებაში“ გამოქვეყნებული ცნობები პოეტის პორტრეტის, ბიუსტის, ძეგლის, პოემის იაფფასიანი გამოცემისა თუ რუსთველზე ჩატარებული საჯარო ლექციების შესახებ, უთუოდ საინტერესოა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. ამ ცნობების გათვალისწინება აუცილებელია წარმოსადგენად იმ მზარდი ინტერესისა, რომელსაც ქართველი ხალხი რუსთველის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ავლენდა.

მე-19 საუკუნეში რუსთველისადმი ინტერესი რომ ერთიორად გაიზარდა, იქიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთი პირი, პოეტის სახელის პოპულარიზაციის მიზნით შეეცადა მისი სურათის დაბეჭდვასა და გავრცელებას. „დროებაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ცნობაში აღნიშნულია, რომ ალ. როინიშვილმა რომელიღაც ფრანგული გამოცემიდან გადმოიბეჭდა რუსთველის პორტრეტი; „რუსთველი ზის

ფეხმოკეცილი, ხელში რვეული უჭირავს, რომელზედაც თავის უკვე დაგ პოემას წერს. „ნამდვილი ქართული პოეტური, ალტაცებულის სახეაო“ — წერდა „დროება“ ამ სურათის შესახებ².

ა.ლ. როინიშვილის მიერ დაბეჭდილი რუსთველის პორტრეტი გაგარინის იმ ალბომიდან არის გადმოღებული, რომელიც პარიზში გამოიცა.

ს. ცაიშვილის გამოკვლევით ამ პორტრეტის შესახებ ცნობას გვაწვდის პლ. იოსელიანი მის მიერ გამოცემულ ტ. გაბაშვილის „მომოსვლის“ კომენტარებში და გრ. გაგარინი³. ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ რუსთველის ეს პორტრეტი თავდაპირველად მოთავსებული ყოფილა ერთ ხელნაწერში, რომელსაც მრავალი პირის ხელში გაუვლია და, ბოლოს, ალ. ორბელიანის საკუთრება გამხდარა.

დღეს უკვე საშეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ამ ხელნაწერის მფლობელი ზაზა ციციშვილი იყო⁴.

როგორც გ. ლეონიძე შენიშნავს, „ზაზასეულ ხელნაწერის კუთვნილება ყოფილა ის ცნობილი გაგარინისეული რუსთველის პორტრეტი, რომელიც ოფიციალურად გავრცელებულა საქართველოში⁵, და რომლის პირიც ალ. როინიშვილს დაუბეჭდავს.

ა.ლ. როინიშვილი არა მარტო რუსთველის პორტრეტით იყო დაინტერესებული, არამედ პოემის სურათებიანი ხელნაწერებითაც. მან ნ. დადიანის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი სურათებიანი ხელნაწერი და „დროების“ ფურცლებიდან თხოვნით მიმართა ხელნაწერის პატრონს, ეთხოვებია მისთვის ეს ხელნაწერი, რომელიც უვნებლად დაუბრუნდებოდა სურათების გადმობეჭდვის შემდეგ⁶.

„დროებას“ არც ჯვრის მონასტრის კედლიდან გადმოღებულ პოეტის პორტრეტი დაუტოვებია უყურადღებოდ. მან ქართველ ხალხს აუწყა ალ. ცაგარლის მოგზაურობის შესახებ იერუსალიმში და მის მიერ ჯვრის მონასტრის კედელზე ნანახი პოეტის პორტრეტის აუწერა⁷.

თავადმა მინგრელსკიმ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგად-

2 „დროება“, 1875, № 112.

3 ს. ცაიშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, II, 1970, გვ. 1.

4 გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 187.

5 იქვე, გვ. 192.

6 „დროება“, 1879, № 47.

7 „დროება“, 1883, № 176.

დობას შესწირა რუსთველის სურათი, რომელიც, როგორც „დრო-
ება“ იუწყებოდა, პოეტის ყველა ცნობილ სურათზე დიდი

რუსთველის სურათი ჩვენი სახელოვანი წინაპრების
მოთავსებული ყოფილა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ალ. ბერო-
ძის მიერ შესრულებულ ალბომში, რომელიც მისივე ტექსტით და-
იბეჭდა იტალიაში⁸.

ჯვრის მონასტრის კედელზე არსებული სურათის მიხედვით,
გრ. ჩარკვიანის შეკვეთით, მოქანდაკე შლიტერს თაბაშირისაგან
დაუმზადებია რუსთველის ბიუსტი, რომელიც „დროების“ რედაქ-
ციისათვის უჩუქებია⁹. ასევე პოეტის პორტრეტი, ფოლადზე ამოჭ-
რილი, საზღვარგარეთ დაუმზადებიათ¹⁰, გრ. ტატიშვილს კი ხეზე
ამოუჭრია პოეტის სახე¹¹.

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადოებ-
რიობა დიდი სიყვარულით ხატავდა და აქანდაკებდა, ხეზე თუ ფო-
ლადზე ჭრიდა პოეტის სახეს, რისთვისაც ის იყენებდა ან ჯვრის
მონასტრის კედლიდან გადმოღებულს, ანდა გაგარინისეულ ალბო-
მიდან გავრცელებულ რუსთველის პორტრეტს.

მე-19 საუკუნის 60—80-იან წლებში რომ დიდი მოთხოვნილება
არსებობდა „ვეფხისტყაოსანზე“, ჩანს იმ მრავალრიცხოვანი გამო-
ცემებიდან, რომლებიც ამ პერიოდში განხორციელდა.

ქართველმა მკითხველმა იგრძნო პოემის იაფფასიანი გამოცე-
მის აუცილებლობაც, ვინაიდან დაბალ ფენებს არ შეეძლოთ ძვირ
ფასიანი წიგნების ყიდვა. „დროების“ რედაქცია, რომელიც სიხა-
რულით მიესალმა „ვეფხისტყაოსნის“ იაფფასიან გამოცემებს,
წერდა: „ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში ეს დიდი მოვლენაა და დი-
დი პატივისცემის ღირსნი არიან ის გამომცემლები, რომლებიც
თავიანთი სახსრებით ასეთ საშვილიშვილო საქმეს კიდებენ ხელ-
სო“¹².

იმდენად დიდი იყო მოთხოვნილება პოემაზე, რომ მის გამოცე-
მაზე შეჯიბრიც კი გამართულა. ასეთი ვითარება კი „ვეფხისტყაოს-
ნის“ ერთ-ერთ გამომცემელს, — პ. წულუკიძეს საძრახის საქმედ
მიუჩნევია, რის გამოც „დროების“ რედაქტორი ს. მესხი შენიშნავ-

8 „დროება“, 1883, № 145.

9 „დროება“, 1881, № 17.

10 „დროება“, 1883, № 111.

11 „დროება“, 1869, № 31.

12 „დროება“, 1885, № 54.

13 „დროება“, 1875, № 13.

და: „ნუთუ მარტო იმისათვის, რომ ერთ ვინმეს გამოუცია წიგნი, მეორეს უფლება არა აქვს ამისთანა წიგნები უფრო იაფად გამოეცეს“¹⁴.

ს. მესხი ქართველ მკითხველს განუმარტავდა იაფფასიანი წიგნების მნიშვნელობას და მათი გამოცემის აუცილებლობას. ის აფასებდა იმ პირთა ღვაწლს, რომლებმაც თავიანთი „ოფლით ნაშრონი ფულით“ გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი“.

„დროების“ რედაქციამ, როდესაც წამოჭრა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ხელნაწერების შეგროვების საკითხი, გაიხსენა პოემის ზეპირად მთქმელები: გასპარ ივანეს ძე კობიაშვილი¹⁵ და უსეინბეგი ბეჟანოვი¹⁶, რომლებიც ეროვნული მწერლობის დიდი დამფასებლები იყვნენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მთქმელ გაშპარ კობიაშვილს „დროებამ“ სპეციალური სტატია მიუძღვნა. სტატიის ავტორის დახასიათებით, კობიაშვილი ცხოვრობდა მე-18 საუკუნის ბოლოს, გამოირჩეოდა დიდი ნიჭით, მეხსიერებით. ამასთან, იყო კარგი ვაჟაკაცი, მამაცი მეომარი, რომელსაც არაერთ ბრძოლაში უსახელებია თავი. მართალია, მან წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ თავის მეხსიერების წყალობით შეძლო პოემის მთლიანი ტექსტის ზეპირად დამახსოვრება. ავტორის აზრით, კობიაშვილის სიყვარული „ვეფხისტყაოსნისადმი“ სანიმუშო უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის¹⁷.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იმ პერიოდში ქართველი ხალხის ცხოვრებაში იყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადება, რომლის მეცენატობა გ. ქართველიშვილმა იკისრა. როგორც „დროება“ იუწყებოდა, ეს გამოცემა იქნებოდა ჩასმული ძვირფას ყდაში და მას უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის სურათები დაამშვენებდა.

პოემის ამ გამოცემისათვის შედგა სარედაქციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ იმ დროის ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები (გ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვ. ორბელიანი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ა. უმიკაშვილი, ი. გოგებაშვილი, ნ. დადიანი, ი. მეუნარგია, დ. ერისთავი და სხვა)¹⁸.

14 „დროება“, 1875, № 13.

15 „დროება“, 1881, № 1.

16 „დროება“, 1883, № 60.

17 „დროება“, 1881, № 1.

18 „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის მუშაობის შესახებ იხ. ს. ცაიშვილის წიგნი: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, 1, გვ. 35—59.

პოემის ტექსტის დადგენა სარედაქციო კომისიას გადაუდებელ/ ამოცანად მიაჩნდა, ვინაიდან გადამწერებისაგან ის ძალზე შერყვენილი იყო. შერყვენილი

ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას ქართველი საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით გამოეხმაურა. ალ. სავანელმა, „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიაში — „შ. რუსთველი“, ქართველ ხალხს განუმარტა პოემის ახალი გამოცემის მნიშვნელობა. „ეს საქმე ფრიად კარგია და კეთილი და ღირს მადლობის გადახდა იმ პირთათვის, რომელთაც უკისრიათ შრომა“¹⁹, — წერდა იგი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის თაობაზე.

პოემის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით, ქართველ ხალხში მომწიფდა აზრი პოეტის ძეგლის დადგმის შესახებ.

ალ. სავანელმა, ძეგლის აგების აუცილებლობა რომ ეგრძობინებინა ქართველი ხალხისათვის, რუსთველი ასეთი სიტყვებით შეამკო: „რუსთველი არის ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩვენი წარსული ცხოვრებისა და ლიტერატურისა“²⁰.

წარმოაჩინა რა რუსთველის ღირსება და დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე, ალ. სავანელმა პოეტის ძეგლისათვის ზრუნვა მიიჩნია შთამომავლობის ვალად, რათა მის წინაშე დიდი კრძალვითა და პატივით მუხლი მოედრიკა ყოველ ქართველს.

ალ. სავანელის აზრით, რუსთველის ძეგლი უნდა აღმართულიყო თბილისში და მის ასაგებად უნდა ეზრუნა მწერალთა კომისიას, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემით დიდი ეროვნული და საშვილიშვილო საქმიანობის მეთაურობა იკისრა.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ამ მნიშვნელოვან ფაქტს საზოგადოების ზოგიერთი წევრი უარყოფითად გამოეხმაურა, „ნოვოე თბოზრენიეს“ ერთ-ერთი თანამშრომელი მტკივნეულად წერდა, რომ იმ დროს, როდესაც არაგვისა და ქსნის ხეობაში უმეტრებას დაუსადგურებია, გ. ქართველიშვილს 10000 მან. გაუღია პოემის ახალ გამოცემაზე, რათა ის ძვირფას ყდაში ჩაესვა და ზიჩის ილუსტრაციებით დაემშვენებინა. ასეთი გამოცემა, მისი სიტყვით, არაფერს შემატებდა პოემას. ამ აზრს იგი ასაბუთებდა სახარების სიტყვებით: „ნუ აძლევ ქვას, როცა ხალხი პურს თხოულობსო“²¹.

რა თქმა უნდა, „დროების“ რედაქციამ ასეთი დაუმსახურებელი შენიშვნა ძალზე მტკივნეულად განიცადა. თავის მოწინავე წე-

19 „დროება“, 1880, № 252.

20 იქვე.

21 „დროება“, 1884, № 62.

რილში იგი შეეხო ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობას და პოემის ახალი გამოცემის მომზადება ხელნაწერებთან შედარებით გზით დიდ ეროვნულ საქმედ აღიარა, რაც „ნოვოე ობოზრენიეს“ თანამშრომელს მკითხველისათვის დაუმაღლავს და ყურადღება მხოლოდ ძვირფას ყდაზე და ზიჩის ილუსტრაციებზე გაუმახვილებია²².

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის აუცილებელი იყო პოემის ხელნაწერები, რომელთა შეგროვება ფართო საზოგადოებრიობის დაუხმარებლად შეუძლებელი იყო. ამიტომ გრ. ორბელიანმა „დროების“ ფურცლებიდან თხოვნით მიმართ ქართველ საზოგადოებას, მონაწილეობა მიეღო ამ საშვილიშვილო საქმეში და ხელნაწერთა მიწოდებით დახმარება გაეწია სარედაქციო კომისიის მუშაობისათვის²³.

ხელნაწერთა პატრონებს, ჩანს, უძნელდებოდათ სარედქციო კომისიისათვის ხელნაწერების თხოვება, ამიტომ „დროების“ თანამშრომლები თვითონ გებულობდნენ, თუ ვის ოჯახში ინახებოდა პოემის ხელნაწერები და ცნობებს ამის თაობაზე აქვეყნებდნენ გაზეთში. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო სტატია დაბეჭდა „დროებაში“ კოტიჩმა, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ მან ნამდვილად იცოდა, რომ პელაგია წერეთელს ჰქონდა პოემის უძველესი ხელნაწერი, რომელიც შესრულებული იყო სქელ პერგამენტზე და მასში მრავალი სურათი მოიპოვებოდა. თანაც ეს ხელნაწერი თავისი მოცულობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“ მეტი იყო.

მართალია, წერდა კოტიჩი, — ამ ხელნაწერის სურათები სუსტია, მაგრამ ისინი, როგორც არ უნდა იყოს, მაინც საინტერესოა, ვინაიდან მკითხველს იმ ეპოქის ტანსაცმელს გააცნობს და დაანახევებს, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ხელოვნება²⁴. ხელნაწერის პატრონი რომ წაახალისოს, კოტიჩი მის საყურადღებოდ შენიშნავს, რომ ამ ხელნაწერის დაბეჭდვა უთუოდ დიდი კეთილშობილურ საქმე იქნება, ვინაიდან ქართველი მკითხველი მიიღებს პოემის სურათებიან გამოცემას, რის გამო ხელნაწერის პატრონი საზოგადოების დიდ მადლობას დაიმსახურებსო.

როგორც კოტიჩის მსჯელობიდან ჩანს, იმ პერიოდში ქართველ ხალხში აღძრულა პოემის ძველი ხელნაწერების გაცნობის საკითხი. განსაკუთრებით აინტერესებდა მას პოემის მოცულობის საკითხი,

²² „დროება“, 1884, № 62.

²³ „დროება“, 1880, № 266.

²⁴ იქვე.

ენიდან იმდროინდელი გამოცემები პოემის სრულ გამოცემებს არ წარმოადგენდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული კოტი-
ჩის მიერ დასახელებულ პელაგია წერეთლის ნაქონი ხელნაწერის
ღირსება. იგი ცნობილია S—5006 ნომრით (მისი აღწერილობა მო-
ცემული აქვს ს. ცაიშვილს)²⁵.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მემკვიდრეობის შესწავლით
დაინტერესებული ყოფილა პ. კარბელაშვილი. მან საყურადღებო
ცნობა გამოაქვეყნა „დროებაში“ პოემის ერთი ვრცელი ვარიანტის
შესახებ, რომლითაც დაინტერესებული ყოფილან „ვეფხისტყაოს-
ნის“ გამომცემლები: ზ. ფალავანდიშვილი, მ. ბროსე და დ. ჩუბინ-
აშვილი. მათ სურდათ, რომ ამ ხელნაწერით ესარგებლათ პოემის
1846 წლის გამოცემისათვის, მაგრამ ხელნაწერის პატრონს დაკარ-
გვის შეშინებია და მათთვის იგი არ უთხოვებია. პ. კარბელაშვილს
აზრით, ამ ხელნაწერის ღირსება ის იყო, რომ იგი პოემის სრულ-
ეგზემპლარს წარმოადგენდა, და ისტორიკოსებისა და ლიტერატო-
რების წინაშე აყენებდა მისი საფუძვლიანი შესწავლის საჭიროებას,
რათა გარკვეულიყო პოემის დასასრული²⁶.

საყურადღებო ცნობებია დაცული „დროებაში“ პოემის უძვე-
ლესი ხელნაწერების შესახებ. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, პოე-
მის უძველესი ხელნაწერი, რომელიც ტყავზე იყო დაწერილი და არ-
შიები ყვითელი ყვავილებით ჰქონდა შემკული, ინახებოდა სოფ. ახ-
მეტაში რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში. ეს ხელნაწერი თავდაპირ-
ველად ეკუთვნოდა მეფე ერეკლეს, ხოლო შემდეგ ქაიხოსრო ჩო-
ლოყაშვილის საკუთრება გამხდარა²⁷.

„დროების“ თანამშრომლებს არც პლატონ იოსელიანის „კავ-
კაზში“ (1870) გამოქვეყნებული ცნობა დაუტოვებიათ უყურადღე-
ბოდ. „დროების“ რედაქცია სთხოვდა გრ. წერეთლისა და ნ. ელიო-
ზაშვილის მემკვიდრეებს იმ ხელნაწერების გამოგზავნას, რომლებიც
პლ. იოსელიანმა განსვენებული პირების ხელში იპოვა²⁸.

პოემის ხელნაწერების შესახებ „დროებაში“ გამოქვეყნებული
ზოგიერთი ცნობა ჯერ კიდევ დაზუსტებული არ არის, ამიტომ შემ-
დგომი კვლევა შექს მოჰფენს ამ ხელნაწერების ისტორიას.

როგორც სამართლიანად წერს ს. ცაიშვილი, „მწერალთა კომი-

25 ს. ცაიშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. 2, გვ. 38.

26 „დროება“, 1880, № 130.

27 „დროება“, 1880, № 7.

28 „დროება“, 1881, № 123.

სიის დიდი დამსახურება ისიც იყო, რომ ამ დროს პირველად თვე/ მოუყარეს პოემის ჯერ კიდევ აქა-იქ გადარჩენილ ნუსხებს, რაც შემდგომში გახდა საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შეკრება-აღრიცხვისათვის“²⁹.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადებამ ქართველ ხალხში დიდი მოწონება დაიმსახურა. ბევრი პატრიოტული გრძნობით შთაგონებული სტრიქონი დაიწერა ამ დიდი ეროვნული საქმიანობის შესახებ. „დროების“ რედაქცია პოემის ახალი გამოცემის ეროვნული მნიშვნელობის გაანალიზებით ცდილობდა გაეღვიძებინა პატივისცემა ქართული მწერლობისადმი. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ კარგი გამოცემა იყო ისეთი საქმე, რომელიც ერს ახალ იდეალებს აღმოუჩენდა და ენერგიას შემატებდა. მას პოემის ახალი გამოცემა, ხელნაწერ მემკვიდრეობასთან შეჯერების გზით, საზოგადო საქმედ მიაჩნდა და ყოველი ქართველის მოვალეობად თვლიდა რედაქციისათვის შეემსუბუქებინა ის ტვირთი, რომელიც მან იკისრა³⁰.

„ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის სხდომები იმართებოდა ბანკის შენობაში. ერთ-ერთ შეკრებაზე მოსკოვიდან ჩამოვიდა ქართველი მეცნიერი დ. ჩუბინაშვილი, რომელსაც სურდა მონაწილეობა მიეღო სარედაქციო კომისიის მუშაობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ბანკის მოსამსახურებმა კომისიის წევრებს კარები დაუკეტეს და შენობაში არ შეუშვეს. ამ ფაქტმა ქართველი საზოგადოებრიობის დიდი გულისწყრომა გამოიწვია: „დროების“ ფურცლებზე დაიბეჭდა ქაიხოსრო გელოვანის სტატია, რომელშიც ავტორი მომხდარ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ ზოგიერთ პირს ჯერ კიდევ არ ესმოდა ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ დატოვებული მატერიალური თუ სულიერი მემკვიდრეობის ფასი და ღირსება³¹.

პოემის ახალი გამოცემის დასურათების საქმე ქართველმა ინტელიგენციამ იმხანად საქართველოში მყოფ მიხაი ზიჩის დაავალა³². ზიჩიმ უსასყიდლოდ იკისრა ამ საპატიო საქმის შესრულება. ქართველ ხალხში შეარჩია პოემის ტიპაჟი და პოემის ილუსტრირება ცოცხალი სურათების დადგმით დაიწყო. ცოცხალი სურათები დაიდგა პეტერბურგში, თბილისში, ქუთაისში და საზოგადოების

29 ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, 1, გვ. 55.

30 „დროება“, 1880, № 242.

31 „დროება“, 1881, № 173.

32 დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ბენო გორდეზიანი, ზიჩი საქართველოში, თბ., 1966.

დიდი მოწონება დაიმსახურა. „დროების“ რედაქცია, რომელიც მუდ-
რადღებთ ადევნებდა თვალს ცოცხალი სურათების დადგმას, გა-
ზეთის ფურცლებზე მის შეფასებას იძლეოდა. ერთ-ერთ ^{ეროვნულ} ~~ეროვნულ~~
დადგმის შესახებ „დროება“ წერდა: „წარსულ კვირას კიდევ გაი-
მართა ეს სურათები და კიდევ ერთხელ აივსო გული წარსული ნე-
ტარების მოგონებით. იქამდისინ მშვენიერი იყვნენ ეს სურათები,
რომ მტერი და მოყვარე, ქართველი, რუსი, გერმანელი, თათარი —
ყველანი აღტაცებაში მოიყვანა“³³.

საქართველოში ორი წლის მუშაობის შემდეგ ზიჩიმ ცოცხალი
სურათებიდან უამრავი ჩანახატი გაამზადა და პეტერბურგში წაი-
ღო. მან „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიას, ტექსტის გაც-
ნობის მიზნით, მოსთხოვა პოემის თარგმანი. ზიჩიმ მიიღო რა პოემის
მეუნარგვიანეული ფრანგული თარგმანი, შეუდგა პოემის დასურა-
თებას. პოემის ახალ გამოცემას ქართველი მკითხველი მოუთმენ-
ლად მოელოდა და „დროების“ რედაქციას ხშირად ეკითხებოდა,
თუ როდის გამოვიდოდა „ვეფხისტყაოსანი“. მართლაც, ეს გამოცე-
მა, წინა გამოცემებთან შედარებით, ერთ-ერთ ლამაზ და მდიდარ
გამოცემას წარმოადგენდა, რომლის ტექსტი ხელნაწერ მემკვიდრე-
ობასთან შეჯერების გზით იყო დადგენილი.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებს, რო-
მელთაც რუსთველი მიაჩნდათ ქართველი ხალხის ეროვნული
კულტურის ნათელ გამოხატულებად, თავიანთ პუბლიცისტურ და
მეცნიერულ-კრიტიკულ წერილებში უხვად იყენებდნენ მის
ბრძნულ გამონათქვამებს, განმარტავდნენ მათ შემეცნებით მნიშვნე-
ლობას, საგანგებოდ ჩერდებოდნენ პოემის იდეურ მოტივებზე და
ამით ხელს უწყობდნენ ქართველ ხალხში ეროვნული გრძობის გაღ-
ვიძებას. რუსთველის სახელის პოპულარიზაციის საქმეში დიდი
წვლილი შეიტანეს აკაკის, ილიას, ნ. გულაკის, რ. ერისთავის საჯარო
ლექციებმა.

აკაკის ლექციები დიდ ეროვნულ ზეიმაღ გადაიქცა. „დროება“
ხშირად აღნიშნავდა როგორც ამ ლექციების ღირსებას, ისე იმ დიდ
ოვაციებს, რომელსაც ქართველი ხალხი უმართავდა აკაკის თბილის-
ში, ქუთაისსა და გორში. ასეთი აღფრთოვანება გამოწვეული იყო
იმით, რომ პოეტი ლექციებს კითხულობდა დიდი პატრიოტული
გრძობით. „სწორედ მოსწრებულ დროზე იყო წაკითხული ეს ჩი-
ნებული საკითხავნი, სწორედ დროზე გაისმა მილიონჯერ განმო-
რებული მოწოდება მამულიშვილთა ძმობისა და ერთობისადმი,

33 „დროება“, 1882, № 32.

მოწოდება, რათა დავივიწყოთ პიროვნული ინტერესები საზოგადო-
სარგებლობისათვის“³⁴, წერდა „დროება“.

აკაკი ცდილობდა პოემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას
შუქებიან ისე, რომ თანამედროვეებში გამოეწვია პატივისცემის
გრძნობა ჩვენი დიდებული წარსულისადმი, ეროვნული კულტური-
სადმი; პოემაში ხორცშესხმულ იდეებს აკავშირებდა თანამედრო-
ვეობასთან.

ლექციების ერთი ნაწილი, პატარა პუბლიცისტური სტატიის
სახით („ხასიათები“), კიდევ დაიბეჭდა „დროებაში“³⁵. „დროება-
შივე“ გამოქვეყნდა ამ სამი ლექციის პროგრამა, რომლიდანაც ნა-
თელი იყო, თუ რა საკითხებს გააშუქებდა აკაკი თავის ლექციებ-
ში³⁶.

მართალია, „დროებაში“ აღ. ყაზბეგმა გააკრიტიკა აკაკის ლექ-
ციების ძირითადი დებულებები, მაგრამ მისი მნიშვნელობაც შეაფა-
სა: „ეს ლექციები შეეხება „ვეფხისტყაოსანს“ და მაშასადამე დიდ
საინტერესო საგანს ჩვენის ლიტერატურისათვის, რომელსაც ისე
ესაჭიროება შემუშავება, კრიტიკული განხილვა და ცოცხალი
სიტყვა“³⁷.

მოჩხუბარიძის ფსევდონიმით დაბეჭდილმა აღ. ყაზბეგის სა-
პოლემიკო სტატიამ ააღელვა აკაკი. მან პროტესტის ნიშნად გაზეთ-
ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც წერდა: „თუ ჩემი შენიშვნე-
ბი „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ ოდესმე დაიბეჭდა, მაშინ,
რასაკვირველია, მკითხველები თავის-თავად დაინახავენ, რომ „დრო-
ების“ № 69-ში დაბეჭდილი ბ-ნი მოჩხუბარიძის სტატია ჩემი ლექ-
ციების შესახებ, თავიდან ბოლომდე ცილისწამებაა“³⁸.

ამ პერიოდში ილიაც ამზადებდა ლექციებს „ვეფხისტყაოსან-
ზე“. „დროებაში“ სინარულით აუწყა ეს ამბავი ქართველ ხალხს.
რედაქციის აზრით, ლექციები იმ მხრივაც იქნებოდა საინტერესო,
რომ ქართველ ხალხს საშუალება ექნებოდა აკაკისა და ილიას შე-
ხედულებების შედარებისა და შეფასებისა³⁹.

რუსთველისადმი ინტერესი გამოუჩენია არა მარტო ქართველი
ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს, არამედ საქართველოში მცხოვ-

34 „დროება“, 1881, № 89.

35 „დროება“, 1875, № 5, 6, 8.

36 „დროება“, 1881, № 65.

37 „დროება“, 1881, № 69.

38 „დროება“, 1881, № 70.

39 „დროება“, 1884, № 221.

რებ რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც. ნ. გულაკის მიერ წაკითხული ლექციებიც ამ ინტერესის ნათელი დადასტურებაცაა. „დროებაში“ ამ ლექციების თაობაზე დაიბეჭდა მიმოხილვები ხასიათის სტატია, რომელშიც მადლიერების გრძნობით იყო აღნიშნული ნ. გულაკის პატივისცემა რუსთველისადმი. გადმოცემული და შეფასებული იყო ლექციის ძირითადი დებულებებიც⁴⁰.

ნ. გულაკის ლექციებში ყველაზე ფასეული ის იყო, რომ წინა პლანზე იყო წამოწეული პოემის ორიგინალობის საკითხი.

მართალია, ნ. გულაკის ლექციების შინაარსი „დროებაში“ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ აქ დაბეჭდილი ლექციების პროგრამიდანაც კარგად ჩანს, თუ რა საკითხებზე ამხსვილებდა იგი ყურადღებას. საკითხთა სფერო კი, მართლაც, ფართო იყო. ნ. გულაკი ეხებოდა პოემასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებს (პოემის დაწერის თარიღი, ავტორის ბიოგრაფია, ბროსესეული გამოცემა, შესწორებანი და სხვ.).

„დროების“ რედაქციას შეუმჩნეველი არ დარჩენია ამ ლექციების ნაკლიც. იგი წერდა, რომ ლექციები კონსპექტური ხასიათისა იყო. ნ. გულაკმა გვერდი აუარა ბევრ ისეთ საკითხს, რომელიც წარმოაჩენდა პოემის ღირსებას. „დროება“ მართებულად შენიშნავდა, რომ ეს ლექციები რუს მკითხველს პოემის სიმშვენიერეზე ვერ შეუქმნიდა სრულ წარმოდგენას.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორიაში დიდი წვლილი შეიტანეს მე-19 საუკუნის 80-იან წლებში როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მთარგმნელებმა (ი. მეუნარგია, თხორჟევსკი, ბობრინსკი, ლაისტი), რომელთა დეაწლს „დროება“ დიდი პატივისცემით აფასებდა; აქვეყნებდა ცნობებს როგორც ამ მთარგმნელთა საქმიანობის შესახებ, ისე მათი თარგმანის ავ-კარგის შესახებ.

ილია ჭყონიამ „დროებაში“ პოემის ბობრინსკისეულ ფრანგულ თარგმანზე გამოაქვეყნა პატარა სტატია, რომელშიც შეაფასა ამ თარგმანის ღირსება და გადმოგვცა თვით მთარგმნელის აზრი იმ სიძნელეებზე, რომლებიც პოემის თარგმანთან იყო დაკავშირებული. ბობრინსკის აზრით, შეუძლებელია პოემის თარგმნა ისე, როგორც ის დედანშია, ვინაიდან პოეზიის იმ მწვერვალამდე, რომელზედაც ასულა შოთა რუსთველი, დღემდე მის მეტს ვერავის მიუღწევია⁴¹.

„დროების“ აზრით, ნ. ბარათაშვილის „მერანის“ მთარგმნელს თხორჟევსკის არ გაუძნელდებოდა რუსთველის პოემის აღქმა, ამი-

⁴⁰ „დროება“, 1884, № 58.

⁴¹ „დროება“, 1884, № 174.

ტომ მისი გადაწყვეტილება „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმანის თაობაზე, ქართველი საზოგადოებრიობის დიდ პატრიარქებს მას დაიმსახურებდა⁴².

„ვეფხისტყაოსნის“ მეუნარგისეულ ფრანგულ თარგმანს გამოეხმაურა ფრანგი მწერე, რომლის სტატია, ვიდრე იგი პარიზში დაიბეჭდებოდა, „დროების“ რედაქციამ გააცნო ქართველ მკითხველს.

როგორც ცნობილია, ი. მეუნარგიამ პოემის თარგმანზე მუშაობის დროს დახმარება სთხოვა მწერიეს. მართალია, მწერიემ ქართული ენა არ იცოდა, მაგრამ, მისი სიტყვით, საჭირო არ იყო ქართული ენის ცოდნა ამ პოემაზე საკუთარი აზრის გამოსათქმელად, ვინაიდან „ენა დიდის აზრებითა, დიდი გრძნობით, დიდის ვნებათა—ღელვით აღსავსე, საქვეყნოა და ყველასათვის გასაგები“⁴³.

მწერიეს ამ სტატიის მნიშვნელობა ის იყო, რომ მან ფრანგ მკითხველს გააცნო რუსთველის ტრადიციული ბიოგრაფია, ლეგენდა პოეტის ოჯახური ტრადიციის შესახებ. მან პოეტის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტების გადმოცემასთან ერთად, თავისი განწყობილებებიცა და აზრებიც გაუზიარა მკითხველს.

მწერიე შეეცადა აეხსნა რუსთველის თამარისადმი სიყვარულის მიზეზი. იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან დაკავშირებულ ისტორიას თამარის სიყვარულით ხსნიდა; პოეტმა ვერ გაუძლო ამ სიყვარულს და ბერად აღიკვეცა ჯვრის მონასტერში.

მწერიეს აზრით, რუსთველი უნდა ყოფილიყო მეჭურჭლეთუხუცესი თამარის კარზე. ეს თანამდებობა თამარმა მიტომ უბოძა, რომ „მდბალი კაცის შვილისათვის გაეადვილებია სასახლეში მისვლა“⁴⁴.

მწერიეს ამ სტატიას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსთველისა და მისი პოემის პოპულარიზაციისათვის. მან ფრანგ მკითხველს გააცნო რუსთველის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და საკუთარი თვალსაზრისიც წარმოაჩინა.

ერთ-ერთ წვეულებაზე, რომელიც საფრანგეთის კონსულის პატივსაცემად იყო გამართული, ილია ჭავჭავაძემ ქართველი ხალხის წინაშე საჯაროდ აღიარა „ვეფხისტყაოსნის“ ი. მეუნარგისეული ფრანგული თარგმანის ღირსება: „როცა პირველყოფილი კაცობრიობა, მისი ბრწყინვალეობით განცვიფრებული თაყვანს ჰსცემდა მზეს,

42 „დროება“, 1884, № 176.

43 „დროება“, 1881, № 256.

44 იქვე.

ვითარცა ღმერთს, იმავე დროს პატივს სცემდა მთვარესაც, რომელსაც მარტო მზის შუქი ანათებს. რაკი სამართლიანი თაყვანისცემით მოვიხსენიეთ რუსთველი, მაშინ უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენგან, დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგან ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისე რუსთველის შუქით იმნათობებს მეუნარგია დღეის იქით ჩვენი ერის მოღვაწეთა შორის. ღმერთმა აღდგარძელოს მეუნარგია“⁴⁵.

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხი დიდ ინტერესს იჩენდა პოეტის ბიოგრაფიისადმი. ეს ინტერესი მე-19 საუკუნეშიც გრძელდებოდა.

ინგილო ჯანაშვილის სტატიაში („საქართველოს ცხოვრებიდან“) გამოთქმული მოსაზრება ცდაა იმისა, რომ პოეტის ბიოგრაფიის ბნელი ადგილები რაიმე ახლით შეავსოს.

ინგილო ჯანაშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ გიორგი ბრწყინვალეს დროს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში მესხელებსა და თორელებს წინააღმდეგობას უწევდა რუსთველის მამა, რომელიც ამირსპარსალარი იყო. მისი აზრით, ავთანდილი თვით პოეტი, რუსთაველია. ამრიგად, ისტორიული ანალოგიების ძიება პოემაში, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა ჩაუყარეს, კვლავ გრძელდება ამ საუკუნეში. პოეტის ბიოგრაფიით დაინტერესებული პირები ცდილობენ პოემაში ისტორიული რეალობა დაინახონ⁴⁶.

საყურადღებო ცნობა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ დაცულია „დროებაში“ დაბეჭდილ ათანასე მაყაშვილის ასულის, ეკატერინე ჯორჯაძის წერილში. როგორც „დროება“ შენიშნავდა, ყოველი ცნობა, რომელიც პოეტის ბიოგრაფიას შეეხებოდა, საინტერესო იყო, ამიტომ მან საჭიროდ ცნო გაზეთის ფურცლებზე გამოეჭყეყნებინა ის ადგილები ეკატერინე ჯორჯაძის წერილიდან, რომლებიც რუსთველის ბიოგრაფიის ზოგიერთ მომენტს გააცნობდნენ მკითხველს.

ეკატერინეს თავის მამის, ათანასეს წიგნებში უპოვია ერთი რვეული, რომლითაც დაინტერესებულა პლატონ იოსელიანი. ეს რვეული საყურადღებო იყო საქართველოს ისტორიისათვის. ის რომ არ დაკარგულიყო, ამიტომ პლატონ იოსელიანს განუზრახავს დასაბეჭტად გაეგზავნა თეიმურაზ ბატონიშვილისათვის.

როგორც ეკატერინე იუწყება, ეს რვეული ათანასეს უთხოვე-

45 „დროება“, 1884, № 260.

46 „დროება“, 1881, № 253.

ბია პლატონ იოსელიანისათვის, მაგრამ შემდეგ თუ რა ბედი ეწვიო
მას, ეკატერინესათვის ცნობილი არ იყო.

მაგრამ ამ რვეულში ეკატერინეს რუსთველის შესახებ შემდეგი
ამოუკითხავს: ქ. გრემში საბერძნეთიდან ჩამოსული ოთხი ბერი
ასწავლიდა ახალგაზრდებს. აქ სამასი ყმაწვილი სწავლობდა: მათ
შორის იყო რუსთველი და ორბელიშვილი. 12 წლის რუსთველი აქ
თავის ბიძას მიუყვანია. ერთმა ბერმა, ამ ოთხ ბერთაგან, იკისრა
რუსთველის, ორბელიანისა და ორი სხვა ყმაწვილის საკუთრივ აღ-
ზრდა. მან ბავშვებს შეასწავლა ფილოსოფია. როდესაც რუსთველი
შესრულდა 16 წლის, სხვა ყმაწვილებთან ერთად, გადაიყვანეს
იყალთოს ღვთაების მონასტერში. შემდეგ იმავე ბერმა ეს ოთხი
ყმაწვილი წაიყვანა საბერძნეთში. 22 წლის რუსთველი, რომელმაც
საბერძნეთში კარგი განათლება მიიღო, დაბრუნდა სამშობლოში⁴⁷.

გასული საუკუნის მოღვაწეები ყურადღებას აქცევენ რუსთვე-
ლის კავშირს წინამორბედ პოეტებთან და მწერლებთან. ამ თვალ-
საზრისით საყურადღებოა ა. ჭიჭინაძის შეხედულება იმის თაობაზე,
რომ „ამირანდარეჯანიანს“ დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა „ვეფხის-
ტყაოსანზე“, რაც, მისი სიტყვით, უფრო ნათელი იქნებოდა ამ ძეგ-
ლის გამოცემის შემდეგ⁴⁸.

„დროებაში“ ყურადღება იყო გამახვილებული რუსთველის
ენისა და პოეტიკის საკითხებზეც, აღნიშნული იყო რუსთველის დი-
დი დამსახურება მშობლიური ენის წინაშე, წამოჭრილი იყო სა-
კითხი რუსთველის ადგილის შესახებ ქართული მწერლობის ის-
ტორიაში. ალ. ცაგარელი პირველობას რუსთველსა და ნ. ბარათა-
შვილს უთმობდა⁴⁹.

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული მასალიდანაც ჩანს, გა-
ზეთმა „დროებამ“ დიდი შრომა გასწია რუსთველის სახელის პო-
პულარიზაციისათვის.

47 „დროება“, 1881, № 3.

48 „დროება“, 1885, № 162.

49 „დროება“, 1870, № 7.

დოდო შანშიაშვილი

ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან

(გრ. ყიფშიძე — ლიტერატურის კრიტიკოსი ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებზე)

დატოვა რა გაზეთი „ივერია“ 1895 წელს, გრ. ყიფშიძემ მუშაობა დაიწყო ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში. ამავე ჟურნალში აგრძელებს იგი თავის კრიტიკულ-ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც. როგორც ჩანს, ჟურნალში მუშაობამ მას მეტი დრო მისცა წერისათვის. და არა მხოლოდ მოცულობითა და ოდენობით, არამედ პროფესიული ოსტატობითაც გამოირჩევა „მოამბეში“ გამოქვეყნებული მისი სტატიები. როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, შეიძლება ითქვას, გრ. ყიფშიძე საბოლოოდ ამ ჟურნალის ფურცლებზე ჩამოყალიბდა და გამოიკვთა.

ჟურნალ „მოამბეში“ გრ. ყიფშიძემ გამოაქვეყნა არა მხოლოდ ცალკეულ მწერალთა და ცალკეული ნაწარმოებების შესწავლისადმი მიძღვნილი კრიტიკული სტატიები („რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა“, „შ. არაგვისპირელის „ჩემო შვინდავ“, „ეკ. გაბაშვილის „საყმაწვილო მოთხრობანი“ და სხვ.), არამედ მისი თანამედროვე მწერლობის საერთო ტენდენციებისა და ხასიათის განმარტებელი მიმოხილვებიც („სალიტერატურო მიმოხილვის“ რუბრიკით).

გრ. ყიფშიძის ასეთი გაბედული ნაბიჯები სალიტერატურო კრიტიკის ასპარეზზე ზოგიერთმა მოულოდნელად და ავტორის ზედმეტ გამბედაობადაც კი მიიჩნია¹. ფიქრობდნენ, რომ კრიტიკის სფეროში მუშაობა მისი ამპლუა არ იყო. მაგრამ, როგორც სინამდვილემ აჩვენა, გრ. ყიფშიძე საკმაოდ იყო მომზადებული ამ დიდი და საპასუხისმგებლო საქმისათვის. ამაზე მეტყველებს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებული მისი პირველივე კრიტიკული წერი-

¹ გაზეთი „ივერია“, 1896, № 32.

ლი — „თ-დი რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა“², რომელიც დიდი პოეტის შემოქმედებისადმი მრავალ სტატიათა შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია.

1895 წლის ოქტომბერში ქართველმა ხალხმა პირველად იხილა პოეტის იუბილე. ეს საამაყო ხვედრი კი რაფიელ ერისთავს ხვდა წილად. ამ იუბილეს მოწყობის იდეა აკაკი წერეთელმა წამოაყენა³, ხოლო მას ხორცი შეასხა მთელმა ერმა. თითქოს საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ თოთხმეტი საუკუნის მანძილზე დიდი მწერლობის მაღლით დამშვენებული ერი პირველად უხდიდა იუბილეს თავის მწერალს მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში. ამგვარ „უყუარადღებობას“ ბევრი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ, ცხადია, არა ლიტერატურისადმი გულგრილობა, არა მხოლოდ ქართველი ხალხი იყო ყოველთვის კმაყოფილი თავისი მწერლობით, არამედ — მწერლებიც თავიანთი ერის ყურადღებით. და ამ დიდი ურთიერთსიყვარულის პირველ სერიოზულ დემონსტრაციად იქცა რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღეები. ფაქტიურად ეს იყო მთელი ქართული მწერლობის იუბილე, რომელმაც ეროვნული თვითშეგნების ზრდა და დიდი ძალა გამოავლინა.

გრ. ყიფშიძემაც ხაზი გაუსვა ამ გარემოებას და სიამოვნებით აღნიშნა, რომ მთაღწია იმ დრომ, როცა „ერი იმდენად მოიწიფა, იმდენად გაცნობიერდა, რომ დააფასა ღირსი დაფასებისა, პატივი სცა მწერლობას და იმ მუშაკს, რომლის ორმა მესამედმა სიცოცხლემ ისე განვლო, რომ თითქმის სულ ერის წარმატებისათვის, მისის სულისა და გონების აღორძინება-წარმატებისათვის ჰზრუნავდა. ჩვენმა მწერლობამა და ერმა იცნეს ერთმანეთი“.

გრ. ყიფშიძის შეხედულებით, ასეთი ურთიერთგაგების დამყარება საწინდარია ჩვენი ლიტერატურის შემდგომი წარმატების; მწერლობას უკვე გამოუჩნდა თავისი დიდი მოსარჩლე, — მთელი ერი.

გრ. ყიფშიძე საკმაოდ ოსტატურად მოუთხრობს და აცნობს მკითხველს საიუბილეო ღონისძიებათა ჩატარების მიმდინარეობას, ემოციის აღმძვრელად აღწერს დეპუტაციათა მონაწილეობასა და მათ წარმომადგენელთა გამოსვლებს, მომღერალთა გუნდებისა და მოცეკვავე ქალ-ვაჟთა მაღალ ხელოვნებას, რაც საბოლოოდ დაავიროგვინა ნადიმმა, „თეთრ-წითელ კახურისა და ორატორთა მჭევრმეტყველების მჩქეფარებამ ერთმანეთს ცილობა დაუწყეს“.

² უფრ. „მოამბე“, 1895, № 38.

³ აკ. წერეთელი. საყურადღებოთ. იხ. „კვალი“, 1895, № 22.

როგორც გრ. ყიფშიძე შენიშნავს, მსცოვანი პოეტის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავზე დაიბეჭდა ბევრი და მეტად საინტერესო რადღებო სტატია, რომლებშიც დახასიათებულია რაფიელ ერისთავის მაღალი მოქალაქეობრივი და სამწერლო ღირსებები. მათ წამკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა მიხვედრილიყო, „რა აზრისა ჩვენი ქვეყანა თავის საყვარელი პოეტის... ღვაწლის შესახებ“. მაგრამ კრიტიკოსს მიაჩნია, რომ საგანგებო ვითარებასა და გარკვეული მიზნით დაწერილ წერილებში მაინც ვერ ითქვა ამომწურავად და მთელი ობიექტურობით ბევრ ისეთ საკითხზე, რომელთა შესახებ თავისი აზრის გამოთქმას იგი სასურველად თვლის.

ნიშანდობლივია, რომ გრ. ყიფშიძე ქართული მწერლობის ისტორიაში რაფიელ ერისთავის ადგილის განსაზღვრისათვის საჭიროდ მიიჩნევს მოკლედ მაინც წარმოადგინოს ის სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები და კულტურულ-ლიტერატურული განვითარების ის ეტაპები, რომლებიც განვლო ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ და ლიტერატურამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან ამავე საუკუნის თითქმის მიწურულამდე.

რაფიელ ერისთავი, გრ. ყიფშიძის თქმით, დაიბადა იმ დროს (1824 წ.), როცა „თითქმის დასრულდა ჩვენს ღრმად შერყეულს და უეცრად შეცვლილ საზოგადო ცხოვრებაში დუღილი და ტოკვაბრძოლა ორგვარ უმთავრეს მიმდინარეობას შორის. ერთი ამ მიმდინარეობათაგანი წარსულისაკენ იყო პირმიქცეული, იქით იცქირებოდა და იქ ჰლამობდა უკვდავების მოპოვებას, ხოლო მეორე ახალ წეს-წყობილებას უღიმოდა, ახალ, შეცვლილ ცხოვრებას მომხრეობდა“... ის უკანასკნელი ნაპერწკალი, რომელსაც 1832 წელს უნდა ეფეთქა წარსულის სადიდებლად და გასახსენებლად „მაღე ჩაქრა, რაფიელის ბავშვობაშივე. ქვეყანა მიეცა ძილსა და მოსვენებას“... მართალია იყვნენ თითო-ოროლა ისეთებიც, რომლებიც არ ისვენებდნენ, შფოთავდნენ და გამოსავალს ეძებდნენ, მაგრამ „მაღე იმათაც გადაწყვიტეს გულში იმედი, დასდეს ფარხმალი, აღიარეს, ბრძოლა ამაო იქნებაო და მიეცნენ უფრო მწერლობას“... თვით მრავალრიცხოვანი და ნიჭიერი ბატონიშვილები სამეცნიერო და სამწერლო საქმიანობას ჰკიდებენ ხელს.

30—40-იანი წლებიდან, მოწინავე ქართველი მოღვაწეები მხოლოდ იმასლა ცდილობდნენ, რომ „თავისუფალი დრო შეეწირათ ქართული მწერლობისათვის და მით მოეკლათ გაურკვეველი ეინი, ბუნდოვანი ბუნებრივი გრძნობა მამულის სიყვარულისა“. ამგვარად, ის დრო, როცა რ. ერისთავს თავისი თანდაყოლილი ნიჭი უნ-

და „ევარჯიშებინა და განძლიერებინა“, იყო დრო „საშინელი ვი-
ნებრივი წყვდიადისა, სულისა და ხორცის... გათახსირებისა“
ტომ, საკვირველიც კია, როგორ შეინარჩუნა მან შრომისა და
ნის შეძენის სიყვარული. კიდევ უფრო საკვირველია ის, რომ „მო-
ხელობამ უფრო განამტკიცა ეს თვისებანი მისი ხასიათისა“.

გრ. ყიფშიძის შეხედულებით, ქართველი ხალხის სულიერ
ცხოვრებაში თავისებური გარდატეხა მოხდა მ. ს. ვორონცოვის
მმართველობის წლებში, როცა ცოტაოდენი შუქი მოეფინა ბნე-
ლით მოცულ გარემოს; „ერთი მკრთალი სხივი ამ შუქისა... ჩვენს
რაფიელსაც ჩაესვენა გულში და გაანათა, გაათბო მისი ყურე-კუნ-
ჭულნი“. რაფიელმაც ხელი მოჰკიდა ფანდურს და გაუბედავად ჩა-
მოჰკრა თითები მის სიმებს...

თავდაპირველად, — შენიშნავს გრ. ყიფშიძე, — რაფიელ
ერისთავის პოეზიის მთავარ მოტივს წარმოადგენდა ქალისა და
ლხინის სიყვარული, „ესეც სხვათა მელექსეთა გავლენითა და წაბად-
ვით ამოღებული ნიშანში“. მაგრამ შემდეგში „მის ლირიკასაც
ძალა და ღონე მიემატა, დამოუკიდებლობის ნიშანი დაედო, ჭეშმა-
რიტი გრძნობის ბეჭედი დაეკრა“.

არცერთი ქართველი კრიტიკოსისათვის ძნელი არ შეიძლება
ყოფილიყო იმის მიხვედრა, რომ სამწერლო ასპარეზზე 40-იან
წლებში გამოსული ახალგაზრდა პოეტი ვერ აცდებოდა დიდი ქარ-
თველი რომანტიკოსების გავლენას. ცხადია, გრ. ყიფშიძისთვისაც
არ ყოფილა ეს გარემოება შეუძინეველი, მაგრამ მის დამსახურე-
ბად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იმთავითვე შენიშნა და ხაზი გაუს-
ვა სწორედ იმ თავისებურებას, რომლითაც რაფ. ერისთავის ადრე-
ული პოეზიაც კი განსხვავდებოდა რომანტიკოსთა ლირიკისაგან.
„რაფიელის პოეზიის ჰანგი და მოწოდება, გზა და ბუნება, — წერს
ის, — სხვა იყო, ხოლო გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის
პოეზიისა კიდევ სხვა... გარემო ცხოვრება და მათი ავ-კარგი ჯერ
არ შეჰხებოდა იმ სიმებს რაფიელის ფანდურისას, რომელიც შემდეგ
აქდერდა... როცა დრომა და გარემოებამ ხელი შეუწყო“.

შემოქმედების პირველ პერიოდში, — გრ. ყიფშიძის შეხედუ-
ლებით, — რაფიელ ერისთავი ბევრს მუშაობდა ქართული ენისა
და საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა ეთნოგრაფიული, გეოგრა-
ფიული და ეკონომიური თავისებურებების შესწავლაზე. ამ მუშაო-
ბის შედეგად მან დაწერა რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა,
რომელთა უმეტესობა გაზეთ „კავკასის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა
1847—1860 წლებში. როგორც შემოქმედი კი იგი ავრძელებს ძიე-

ბას, „სცდის თავს ებოსშიაც, ლორიკაშიაც, დრამაშიაც, მაგრამ ვერა და ვერა, ვერ მიუგნია იმ სფეროსათვის, რომლის დასურათებაც ვაურკვევლად ჩასძახის იღუმალი ხმა; ვერ უპოვია ის ჰანგები, რომელმაც მელიც მზამზარეულ მასალად აწყვია მისი გულის სიღრმეში“.

გრ. ყიფშიძის შეხედულებით, შემოქმედს ხშირად უხდება რთული და ხანგრძლივი ძიების პერიოდის გავლა. და ეს შემთხვევითი არაა: „პოეტური ნაწარმოები იგივე ნაყოფია, მხოლოდ სულიერი, რომელსაც პოეტი, მუცლით კი არა, გულით ატარებს, ხან ძალიან დიდ ხანს, და ჰბადავს მაშინ, როცა ნაყოფს კარგად დაეტყობა ზრდა, განვითარება, დასრულება ფორმებისა“...

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ გრ. ყიფშიძეც კრიტიკოსთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მჭიდრო კავშირს ვერ ხედავდნენ რაფ. ერისთავის 50-იანი წლების დასასრულისა და ოთხმოციანი წლების პოეზიათა შორის. როგორც მართებულად იქნა შენიშნული ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ, რაფიელ ერისთავმა თავის სამოქალაქო მოტივს ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისს მიაგნო⁴. ამის უტყუარ საბუთად მიაჩნდათ მათ პოეტის ცნობილი ლექსები „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ და „მათხოვარა გლახაკი“. გრ. ყიფშიძის თქმით კი, „რაფიელმა დიდ ხანს ატარა გულით ნაყოფნი თვისის სამგოსნო შემოქმედებისა, ჩასახულნი 50-იან წლებიდან, იმ სიოს მობერვით, რომელსაც სარეფორმო ხანა ეწოდება რუსეთში; ეს ნაყოფნი ჰღვიოდნენ, იზრდებოდნენ და ივსებოდნენ მთელი ოცი წლის განმავლობაში და დაიბადნენ მარგალიტებივით მხოლოდ 80-იან წლებში“.

კრიტიკოსი უდავოდ მართალია იმაში, რომ სამოქალაქო მოტივზე, კერძოდ ქართველი გლეხის ცხოვრებაზე, შექმნილი რაფ. ერისთავის საუკეთესო ლექსები დაწერილი არიან მოგვიანებით, მაგრამ მწერლის შემოქმედებისათვის ეს მოტივი და ეს თემა არც ადრე ყოფილა უცხო. მართალია გრ. ყიფშიძე იმაშიც, რომ ამ თემაზე საუკეთესო ნაწარმოებთა შექმნისათვის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა 80-იანი წლები, მაგრამ რაფ. ერისთავის პოეზიის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან ადრევე შეისისხლხორცა „ტეტიათა“ სიყვარული, ადრევე შეიცნო მათი ჭირ-ვარამი. უდავოდ გადაჭარბებულად უნდა მივიჩნიოთ კრიტიკოსის ის შეხედულება, რომლის მიხედვით ოთხმოციანი წლებამდე „შესაძლებელი იყო შექ-

⁴ იხ. ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 222—223; აკ. წერეთელი. სიტყვა რ. ერისთავის საიუბილეო საღამოზე. იხ. გაზ. „კვალი“, 1895, № 46.

მნილიყო „ბედი ქართლისა“, „სადღეგრძელო“, „იარალის“^{ჩემს/} მერანს“, მაგრამ ვერ დაიბადებოდა ვერც „სამშობლო ხევსურისა“^{საქართველო} და ვერც სხვა მრავალი ლექსი, რომელიც ასურათებს და ცოცხლად თვალწინ გვიყენებს გლეხკაცსა მისის ცხოვრებითა და ავ-კარგი-თა“...

60—70-იანი წლების ქართული ლიტერატურა, კერძოდ პოეზია, ამ შეხედულების გადასინჯვის სრულ საფუძველს იძლევა.

სამაგიეროდ საესეებით გასაზიარებელია გრ. ყიფშიძის ის მოსაზრება, რომელიც რაფიელ ერისთავის მთავარ დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ „თავის საერო კილოზედ დაწერილს ლექსებში საოცარი კაცთმოყვარებით, სიყვარულითა და გულმტკიცეულობით ეკიდებოდა გლეხ-კაცობას, სოფლელ მდაბიო კაცს, ცხოვლად გვისურათებს მისი სულისა და გულის ვითარებას, მწუხარებას — სიხარულს და მით ჩვენც გვაყვარებს ამ ბუნების შვილთ, ჩვენს გულშიაც ჰბადავს სასურველს, კეთილ გრძნობას მდაბიოთა მიმართ თანავგრძნობისა და პატივისცემისას“.

რაფიელ ერისთავის პოეზიის შესწავლისადმი მიძღვნილ თავის კრიტიკულ წერილს გრ. ყიფშიძე, პირველ ყოვლისა, მიზნად უსახავს გვაჩვენოს ის „საიდუმლო“, რომლის წყალობითაც პოეტის მიერ 80—90-იან წლებში დაწერილი ლირიკული ლექსების უმეტესობა ქართული პოეზიის შედეგრებად შეიძლება ჩაითვალოს.

კრიტიკოსის თქმით, თავის პოეტურ დანიშნულებას რაფიელ ერისთავმა საბოლოოდ მხოლოდ 80-იან წლებში მიაგნო და მისი „სამგონო ნიჭიც თავის კალაპოტში ჩადვა“. პოეტის უდიდეს გამარჯვებად, ამ მიმართულებით, მას მიაჩნია „სამშობლო ხევსურისა“ (1881 წ.), რომელსაც იგი უწოდებს ნამდვილ Cef d'oeuvre-ს მის პოეზიაში.

გრ. ყიფშიძე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზეც, რომ სულ რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე „სამშობლო ხევსურისა“ დაიწერებოდა, რაფ. ერისთავმა თარგმნა იურკვეიჩის „სოფ. მელ-სას“, რომელიც მეტად უხეირო თარგმანს წარმოადგენდა. ხოლო ამ ბრწყინვალე ლექსის („სამშობლო ხევსურისა“) შექმნის რამდენიმე დღის შემდეგ მანვე დაწერა „ყოველ პოეტურ მშვენებას მოკლებული ლექსები „რად მითვალწუნებ“ და „ღმერთო, მაშორე“. მაგრამ გრ. ყიფშიძის ამ დაკვირვებაში კორექტივი უნდა შევიტანოთ: „სოფ. მელ-სას“, როგორც ავტოგრაფიდან ჩანს, თარგმნილია არა 1881, არამედ 1875 წელს. რაც შეეხება ლექსებს „რად მითვალწუნებ“ და „ღმერთო, მაშორე“, ისინი სრულიადაც არ არიან

მოკლებულნი მხატვრულ ღირსებებს. მართალია, მათ ვერ შეუძლებოდა რებთ „სამშობლო ხევსურისას“, მაგრამ ისინი სრულიად ცხრეხრეხი ლავენ ავტორის პოეტურ ავტორიტეტს. თუმცა ის ზოგადად „სასიკეთის დებულება, რომლის მეტი დამაჯერებლობისათვისაც კრიტიკოსი თავის ამ დაკვირვებას გვთავაზობს, მაინც უდავო და გასაზიარებელია: ყოველი პოეტი შედევრს ქმნის მხოლოდ მაშინ, როცა იგი იმ თემაზე წერს, რომელიც უფრო ახლოსაა მის პოეტურ სულთან, რომელიც მას უფრო ადევლებს და რომელიც უფრო შეესატყვისება მისი ნიჭის მოწოდებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შედევრის ავტორიც შეიძლება მოგვევლინოს სუსტი მხატვრული ქმნილების ავტორად.

მართებულად მიგვაჩნია გრ. ყიფშიძის ის მოსაზრებაც, რომ პოეტური ნაწარმოების ღირსების მთავარი განმსაზღვრელია არა თემა, არა იდეა თავისთავად, არამედ მისი მხატვრული ხორცშესხმა, მისი უზადო პოეტური სახეებითა და საღებავებით გადმოცემა. როგორც კრიტიკოსიც შენიშნავს, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით შექსპირის უკვდავი ტრაგედიებიც ვერავის გააოცებდა, ვინაიდან მათი თემა და მათში გატარებული იდეა არც ახალი და არც განსაკუთრებული არ ყოფილა.

რაფიელ ერისთავის დიდი ძალა და მნიშვნელობა, გრ. ყიფშიძის შეხედულებით, ემყარება იმ ლექსებს, რომლებშიც საოცარი გულთმზილველობითა და სიყვარულით არის დასურათებული ჩვენებური გლახაკის ყოველდღიური ცხოვრება, მისი ჭირი და ვარაზი; რაფიელი გლახაკის გულის მესაიდუმლეა, მისი სულისა და ფიქრების ღრმა მცოდნე, რომელიც, თავისი პოეზიის ხასიათით, უფრო მეტად ა. ვ. კოლცოვის (1809—1842) გვაგონებს, ვინემ ნ. ა. ნეკრასოვს (1821—1878).

ნ. ნეკრასოვი, გრ. ყიფშიძის თქმით, დიდი მწუხარებით დამღერის გლახაკათა მწარე ხვედრს, მაგრამ „ისა სწუხს და დარდობს იმისათვის, რაც, მისი აზრით, არის ღირსი მწუხარებისა გლახაკის ცხოვრებაში“. ა. კოლცოვი და რ. ერისთავი კი თვით გლახებს ალაპარაკებენ, უშუალოდ მათ სულში გვახედებენ; მათი სახით ჩვენს წინაშე დგანან ტიპური წარმომადგენლები ერის უმრავლესობისა, რომელთა სიტყვასა და ფიქრებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მართალია, ნ. ნეკრასოვსაც აქვს ამგვარი ნაწარმოებები, მაგალითად «Кому на Руси жить хорошо?», მაგრამ მაინც სულ სხვაა ა. კოლცოვი, რომელსაც „თითქმის საკუთარი არა გააჩნია-რა, ისე განუ-

ყოფლად ეკუთვნის გლახაკობას. სულ სხვაა რაფიელი. ესეც, რა
საკვირველია, ზოგიერთს ლექსებში, როგორც, მაგალითად, „ფინიქსის
მამითადი“, „ნეტა რას ტირი, დედილო“, „ქალი-აყვანა“, „ნიშნის
ლას დარდი“ და სხვ.“ ამგვარ პოეზიას კრიტიკოსი უწოდებს საერთო
კილოს, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებადაც ქართულ მწერ-
ლობაში თვლის იგი ბაჩანასა და ვაჟა-ფშაველას. „საერთო კილოს“
ნიშანდობლივ თვისებად გრ. ყიფშიძე მიიჩნევს ისეთი ილუზიის
შექმნას, რომლის დროსაც მკითხველს ავიწყდება, რომ მას პოეტი
ელაპარაკება და არა უშუალოდ მისი პერსონაჟები. ასეთ ილუზიას
კი კრიტიკოსი ადარებს კარგი დრამის წარმოდგენით მიღებულ
შთაბეჭდილებას.

ნიშანდობლივია, რომ გრ. ყიფშიძე საგანგებოდ მსჯელობს დრამის,
და საერთოდ დრამატიზმის, დიდ ემოციურ ზემოქმედებაზე.
მისი შეხედულებით, „დრამა იმიტომ არის გვირგვინი შემოქმედებისა,
რომ სხვა ყოველგვარ შემოქმედებას — სალირიკოსაც და საეპიკოსაც — ისა აქვს
იდეალად. ყოველი პატარა თუ დიდი ლექსი, პოემა, თუ პოეტური პროზა
იგივე დრამაა და იმდენად უფრო მეტის ღირსებისა, რამდენადაც
უფრო ძლიერია შიგ დრამა, ესე იგი მოქმედება სულისა, ძვრა
გრძნობისა, ტკივილი თუ სიამოვნება, ტირილი თუ სიცილი გულისა“...

სწორედ ამგვარი დრამატიზმის სიუხვეს ხედავს კრიტიკოსი
რაფიელ ერისთავის 80-იანი წლების ლირიკაში, რომელსაც ის უწოდებს
ჭეშმარიტ პოეზიას, რომლის „მარტო ერთი წაკითხვა კმარა, რომ
კაცი აღფრთოვანდეს“... პოეზიის ამ ჯადოსნურ ძალაში ხედავს,
იგი იმის საფუძველსაც, რომ თავის საამაყო პოეტებს ხალხი თვლის
ღვთით მოვლენილ ადამიანებად.

ამ საინტერესო კრიტიკულ სტატიაში, გრ. ყიფშიძე არ იზიარებს
იონა მეუნარგიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რაფ. ერისთავის
„სამშობლო ხევსურისამ“ ქართულ მწერლობაში შექმნა მთელი
სკოლა, რომელშიც პირველი ადგილი უჭირავთ ძმებს — რაზიკაშვილებს.
მისი თქმით, ეს შეხედულება შეუძლებელია გავიზიაროთ იმის
გამო, რომ „ის ჰანგები, რომელმაც გაუთქვა სახელი რაფიელს,
ის ხერხი წერისა, რომელიც საერთოა რაფიელისა და ძმათა
რაზიკაშვილების ნაწერებში, გაჩნდა თითქმის ერთსა და იმავე
დროს“. კიდევ უფრო უსაფუძვლოდ მიაჩნია მას ალ. ყაზბეგზე რაფ.
ერისთავის გავლენის შესახებ მსჯელობა, ვინაიდან „სამშობლო
ხევსურისა“ რომ დაიბეჭდა, „ელგუჯას“ ბეჭდვა უკვე მთავრდებო-

დაო. თავისი ეს შეხედულება გაიმეორა გრ. ყიფშიძემ შემდეგ „ნო-
ვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილ სტატიასშიც⁵.


გრ. ყიფშიძის ეს მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებლად მოგვსახსრებს,
ქრონოლოგიური მონაცემებიც თითქოსდა მას უმაგრებდა საფუძ-
ველს, მაგრამ გამოირკვა, რომ საქმის რეალური ვითარება მთლად
ასე არ ყოფილა. რაც მთავარია, ამას თვითონ ვაჟა-ფშაველამ მოკ-
ფინა შუქი.

გრ. ყიფშიძის სტატიების გაცნობამ ვაჟა-ფშაველას გადაწყვე-
ტინა გამოსულიყო პრესის ფურცლებზე და ზოგი რამ თვითონ ეთ-
ქვა მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ რამდენიმე სადავო სა-
კითხზე, ამ მიზნითა და ამ საბაბით დაიწერა სწორედ მისი ცნობილი
სტატია „Pro domo sua“ (გაზ. „ივერია“, 1896 წ. № 43), რომელშიც
ვკითხულობთ: „ამას წინათ „მომამბე“-ში იყო დაბეჭდილი წერილი
ჩვენის მსცოვანის და პატივცემულის მგოსნის რაფიელის იუბილეს
გამო, სადაც ბაჩანა და ვაჟა-ფშაველაც იყვნენ მოხსენებულნი. პა-
ტივცემული ავტორი ზემოხსენებულის წერილისა ბ-ნი გრ. ყიფში-
ძე ამავე აზრს ჩვენზე იმეორებს რუსულ გაზეთში (იხ. „ნოვ. ობოზ-
რენიე“, № 4139). ბ-ნს ყიფშიძეს ზოგი რამ შეცდომა მოსვლია და
ამ შეცდომის გასწორება ეხლავე საჭიროდ მიმაჩნია, რომ შემ-
დეგში ჩვენის ლიტერატურის ისტორიკოსს ავაცილო ეს შეცდომა...“

ვაჟა-ფშაველა საგანგებოდ ჩერდება კითხვაზე: ჰქონდა თუ არა
გავლენა ძმებ-რაზიკაშვილებზე რაფიელ ერისთავს? „რაკი ეს კით-
ხვა პირდაპირ დაგვიყენეს, — წერს ვაჟა, — მე პირადად სამარ-
ცხვინოდ მიმაჩნია, სიმართლით არ აღვიარო ჩემის მხრით საქმის
ყოველივე გარემოება...“

ჩემზე უნდა მოგახსენოთ, ყველაფერს, რაც კარგი და ხელოვ-
ნური რამ დაწერილა, ზემოქმედება, ძალა ჰქონია, აღტაცებაში
მოუყვანივარ, მომწონებია. რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა,
როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი,
სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი. ამას-
თანავე ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ თუმც მამინე შეგირდი გახლ-
დით, მაგრამ ხალხური, ფშავური, ხევსურული ლექსები ბევრი ვი-
ცოდით; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე
ეჭირა; თუმც მამინაც ლექსებს ვწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვით,
ვკლავნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რად-
გან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არა-
მედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე

⁵ გაზ. «Новое обозрение», 1896, № 4139.



ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მამოხ
 ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მცხოვრებელმა
 მგოსანმა რაკი საერო კილო დაუშკვიდრა ლექსებს და ქურხალ
 „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა“...

თავისი ეს შეხედულება ვაჟამ გაიმეორა რაფიელ ერისთავის
 გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსში და ავტორი
 „სამშობლო ხევსურისა“ კიდევ ერთხელ დიდი მადლიერებით მოი-
 გონა:

„კურთხეულმც ხარ სულითა,
 ღმერთმა გიკურთხა ჭადრა,
 მთა-ბარს გულს აუჩქროლებდა
 შენი ხმა, შენი ნაღარა,
 სამშობლოს ხევსურისამა
 ყველასიც გული დაღარა“.

რაფიელ ერისთავის პოეზიის გავლენის მადლს დიდად აფასებ-
 და ბაჩანაც, რომელიც ღვაწლმოსილ წინამორბედს თავის უშუალო
 მასწავლებლად თვლიდა. „ფშავ-ხევსურული ჰანგების შემცველი და
 გლუხკაცის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით გამთბარი რ. ერისთავის
 პოეზია, — შენიშნავს პროფ. დ. გამეზარდაშვილი, — ბაჩანასათვის
 უაღრესად მახლობელი და შთამაგონებელი იყო. ახალგაზრდა პო-
 ეტიც არ მალავს თავისი მადლიერების გრძნობას ღვაწლმოსილი შე-
 მოქმედებისადმი და მიმართავს:

— შენი ჭირიმე, მოხუცო.
 ია გესროლე, მამაო!
 ძილშიით გამომაღვიძა
 შენმა ფანდურის ხმამაო.
 შეერთო გრძნობის მორევსა,
 ჩემ გულიც ააჩქამაო“...⁶

ასევე მაღალი შეხედულებისა იყო რაფიელ ერისთავზე თედო
 რაზიკაშვილიც, რომელმაც თავისა და თავისი ძმების სახელით გულ-
 წრფელი მადლობის გამოხმატველი სიტყვები უძღვნა რაზიკაშვილ-
 თა საყვარელ პოეტ-მასწავლებელს:

„ხუთთავ ძმათ რაზიკაშვილთა
 მოკითხვა შამოგითვალეთ,
 შენ სადღეგრძელოც დავლიეთ,
 ყანწები გამოვიცალეთ,
 ისევ გვიყვარხარ და ისევ,
 გული არ გამოვიცვალეთ!“

⁶ დ. გამეზარდაშვილი. ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორი-
 იდან, ტ. 1, 1961, გვ. 500.

ამგვარად, საფუძველმოკლებული აღმოჩნდა გრ. ყიფშიძის ცდა, უარეყო რაფ. ერისთავის გავლენა რაზიკაშვილების პოეზიაზე, რაზეც ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში დამაჯერებლად მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ. ილიას შეხედულებით, რაფიელ ერისთავს „შესანიშნავი ალაგი უჭირავს ქართულ პოეზიაში. მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნობით. ის ღრმად შეეხო ჩვენი მუშა ხალხის ცხოვრებას და არის მომღერალი მის გულნადებისა. იმან შექმნა თავისი საკუთარი შკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმღევარი არიან ძმები რაზიკაშვილები“⁷.

რაფ. ერისთავის უკვდავსაყოფად, ცხადია, მისი ამგვარი აღიარებაც იკმარებდა! პატარა საქმე ხომ არ არის რაზიკაშვილთაგან ასეთი შეფასების დამსახურება? მაგრამ ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსთა საქმეა. ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ გრ. ყიფშიძის იმ დაკვირვებაზე, რომლითაც მას სურს ახსნას რაფიელ ერისთავის პოეზიის ნათესაობა რაზიკაშვილთა შემოქმედებასთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გრ. ყიფშიძე ამბობს: „ჩვენის ფიქრით, აქ გავლენა კი არ არის, დრომ მოიტანა და ერთბაშად, ერთსა და იმავე დროს, იფეთქა რამდენგანმე, როგორც ძლიერმა ეროვნულმა გრძნობამ, ისე ერის ჭეშმარიტ წარმომადგენელთა დასურათებისად მიმართულმა ბუნებითვე ნიჭიერ მგოსანთა გრძნობამ და გაჩნდა რაფიელიცა, ალ. ყაზბეგიც, ბაჩანაც, და ვაჟაცა. მართალია, საერო თვისება მათ შორის დიდია, გარნა განსხვავებაც დიდია. ერთ-ფერობა აიხსნება ნიჭის ნათესავობით, სულის თვისტომობით და არა ზედ-გავლენით, ერთმანეთის მიბაძვით, დამოწაფებით. თუ არა ვსცდებით, ბაჩანას მეტმა, ყველამ, ცოტას თუ ბევრს ხანს, იყოყმანა, უცბად ვერ მიაგნო თავის გზას, ვერ დაეწაფა იმ ჰანგებს, იმ კილოს, იმ სფეროს დასურათებას, რომელიც შეეფერებოდა მის ნიჭსა“.

გრ. ყიფშიძის ეს თვალსაზრისი, ძირითადად, მართებულია და სწორად გადმოცემს სინამდვილეს, მაგრამ უკიდურესობის ელფერიც აშკარად დაჰკრავს: გამორიცხავს ურთიერთგავლენას და ტრადიციისა და ნოვატორობის დიალექტიკურ კავშირს.

როგორც თვითონაც შენიშნავს, საჭურნალო სტატიაში გრ. ყიფშიძემ ვერ შეძლო დაეხასიათებინა რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის სხვა სფეროები, მაგრამ ხაზი გაუსვა მწერლის დიდ მოქა-

⁷ იხ. კრებული. „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“, 1899, გვ. 112.

ლაქობრივ ღირსებებს, რომელთა გამო იგი ყველას პატივისცემას იმსახურებდა.

გრ. ყიფშიძის თქმით, რ. ერისთავი იყო უაღრესად თავმდაბალი, ტკბილი და უპრეტენზიო; იგი თავისუფალი იყო პატივმოყვარეობისაგან როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე პოეტურ მოღვაწეობაში. ამასთან ერთად, იგი მუდამ ერიდებოდა დაჯგუფებებში მონაწილეობას, არასოდეს აპყობია შურსა და უსაფუძვლო კინკლაობას. „რაფიელი ყველასათვის მუდამ სასურველი იყო, ყველასათვის სასიამოვნო, ყველასათვის გულწრფელი, უბოროტო, მუდამ მხიარული, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი, სიტყვა წყლიანი თამადა სალიტერატურო ნადიმ-მეჯლისზედ, საუკეთესოდ მსმელი“, — დასძენს მწერლის ახლომცნობი კრიტიკოსი.

საქვეყნო საქმეებში ტკბილად დაბერებული მოხუცი და მწერალთა შორის პატრიარქი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. ისიც „ყოველს ქართულს საქმეს ყურს უგდებდა, ყოველს წმინდა ქართულს დაწესებულებაში მონაწილეობას იღებდა. ჟამი და ხანი აბერებდა მის ხორცს და არ სულს... ახალის ძაღლივით, ჭაბუკურის მხნეობით ამუშავებდა ჭკვა-გონებასა და მარჯვენას...“

გრ. ყიფშიძის მიერ რაფიელის ამგვარი დახასიათება სავსებით დასტურდება სხვა ბიოგრაფიული წყაროებითაც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანსა ხდის ჩვენი კრიტიკოსის ამაგს ქართველი ხალხის საყვარელი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში.

*

გრ. ყიფშიძის წერილებში აშკარად იგრძნობა კრიტიკოსის დიდი სიმპათიები ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსის შიო არაგვისპირელის სამწერლო მოღვაწეობისადმი.

გრ. ყიფშიძის ყურადღება იმთავითვე მიუქცევია შიო არაგვისპირელის გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე და, როგორც თვითონ ამბობს, იგი გამონაკლისი არ ყოფილა ამ მხრივ. მწერლებმა და, სულ მალე, მკითხველმაც ადვილად შენიშნეს თავისებური სტილისა და ჟანრის შემოქმედის გამოჩენა. ამასთან, ყველასათვის უდავო გახდა, რომ როგორც სიტყვის ოსტატი იგი თითქმის ყოველდღიურად იზრდებოდა.

უურნალ „მოამბის“ 1895 წლის მეთორმეტე ნომერში გრ. ყიფშიძემ საგანგებო წერილი უძღვნა შ. არაგვისპირელის ნოველას „ჩემო შვინდავ“ და შეეცადა ამ ერთი ნაწარმოების ფონზე ეჩვენებინა მისი ავტორის სამწერლო ნიჭის ღირსება. კრიტიკოსი თავის

სტატიას იწყებს სწორედ იმაზე მითითებით, რომ შ. არაგვისპირელი მუდამ ზრდის პროცესშია, რაც მისი დიდი შემოქმედებითი პერსპექტივების მაუწყებელია. „პირველი მისი ცდა, — წიგნის დასაწყისში, — საბელეტრისტო ასპარეზზედ იყო „აბრეშუმის ხელსახოცი“... იმ პირველ ცდასვე ეტყობოდა, რომ მის ავტორს ნიჭი აქვს ჩვენი ცხოვრების ხელოვნებით დასურათებისა და ცხოველ, სიცოცხლით სავსე სურათების დახატვისა. პირველ ცდას მოჰყვა მეორე, მესამე, ბევრად უკეთესი ნაწერები ჯერ ასევე სასწავლებელში მყოფი ახალგაზრდა ავტორისა“.

შ. არაგვისპირელისადმი საზოგადოების ამგვარ ყურადღებას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ პროზის სფერო შედარებით ღარიბად გამოიყურებოდა; „განსვენებულ ნინოშვილს მაშინ ჯერ სახელი არ მოეხვეჭა. ახალგაზრდა ბელეტრისტებში მხოლოდ დუტუ მეგრელი, იასონ ნიკოლაიშვილი და მელანია მოღვაწეობდნენ“...

შ. არაგვისპირელის შემოქმედებისადმი დიდი ინტერესი, — შენიშნავს გრ. ყიფშიძე, — იმითაც გამოიხატა, რომ მისი ნაწერები თითქმის გამოქვეყნებისთანავე ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა რუსულ პრესაში; „ჩვენი საუკეთესო მთარგმნელები, როგორც, მაგალითად, გრ. ვოლსკი, ი. ხონელი და ა. ნიკიტინი, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, დაიბეჭდებოდა თუ არა ახალი ნაწერი შ. არაგვისპირელისა ქართულად, თითქმის მაშინვე სთარგმნიდნენ რუსულად“.

„ჩემო შვინდავ“, კრიტიკოსის შეხედულებით, ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია შ. არაგვისპირელის გამოქვეყნებულ თხზულებათა შორის. მართალია, მასში გადმოცემული არაა სავანგებო და რთული ამბავი, მაგრამ საკმაოდ მარტივი ამბავი „ისეთი სიცხოველით არის მოთხრობილი, რომ ცოცხლებივით თვალწინ გიღვებათ გუთნის დედაც... ღამის მეხრენიცა და პატარა სოსოც“... პატარა სურათი სოფლის ცხოვრებისა თვალწინ გიყენებს თითქმის მთელს სოფლის ცხოვრებას, მის პატრიარქალურს წეს-წყობილებას, მშვიდობიანს მოღვაწეობას ბუნების დაახლოვებით, მასთან ცხოველის დაკავშირებით“.

გრ. ყიფშიძის შეხედულებით, შიო არაგვისპირელს ეხერხება ბუნების სურათების ოსტატური აღწერა და ბავშვის ფსიქოლოგიაში ჩაწვდომა, მისი სულის მოძრაობის გადმოცემა. ბავშვის, დაკერძოდ სოფლელი ბავშვის, ფსიქოლოგიის ზედმიწევნით მცოდნე მწერალი ადვილად ახერხებს მხატვრული დამაჯერებლობის მიღწე-

ვას. ფსიქოლოგიზმით გატაცება ეტყობა მწერალს თითქმის ყველა მოთხრობაში, კერძოდ მოთხრობა „და-ძმაშიც“, მაგრამ უფროსთა ფსიქოლოგიის გადმოცემისას ზოგჯერ ვერ დვას იმ სიმაღლეზე, რომელსაც ის აღწევს უმცროსთა სულის მოძრაობის ჩვენებისას. ამ „ხარვეზისაგან“ განთავისუფლებულად არ მიაჩნია მას არც „ჩემო შვინდავ!“ ამის საბუთად კი მიაჩნია, მაგალითად, გუთნის დედის მიერ პატარა სოსოს შექება დედასთან, რასაც თვითონ სოსოც ისმენს. გამოცდილი სოფლელი კაცი, — კრიტიკოსის თქმით, — ამას არ ჩაიდენდა. ასევე არადამაჯერებლად თვლის იგი გუთნისდედის თოთხმეტი წლის ქალიშვილის (თეკლეს) გადაჭარბებულ აღერსს სოსოსადმი. თუმცა იქვე შენიშნავს, რომ „შესაძლოა თეკლე ისეთის ექსპანსიურის ხასიათისაა, რომ არ შეუძლიან თავისი ალალი, უმანკო გრძნობა შეცოდებისა დაღონებულ და მშვიერ ბავშვის დანახვაზე არ გამოსთქვას გადაჭარბებით და ისეთი აღერსი არ დაუწყოს, როგორც საკუთარს ძმასა და ნათესავს“.

შესაძლოა სადავო იყოს გრ. ყიფშიძის ზოგიერთი შენიშვნა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მან — როგორც კრიტიკოსმა ადრევე და მართებულად შეიცნო შიო არაგვისპირელის პროზის ფსიქოლოგიური შინაარსი, მწერლის დაინტერესება გმირის ფსიქოლოგიით, მისი სულის მოძრაობით. მართებულია ის დასკვნაც, რომელსაც იგი ამ მოთხრობასთან („ჩემო შვინდავ!“) დაკავშირებით აკეთებს: „თვისის ხელოვნებით, სოფლის ცხოვრების ცხოველის დასურათებით ეს პატარა ამბავი დიდად ატკბობს მკითხველს და ჰბადავს მის გულში კეთილ კაცთმოყვარულს გრძნობას და აყვარებს, არამც თუ სოფელს, სოფლის მცხოვრებთ და სოფლის იდეალურს სურათებს, არამედ პირუტყვსაც კი“.

ამგვარად, როგორც შიო არაგვისპირელის შემოქმედების ერთ-ერთმა პირველმა შემფასებელმა, გრ. ყიფშიძემ საკმაოდ საინტერესო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება გამოთქვა ახალგაზრდა ნიჭიერი ნოველისტის შესახებ, რაც კიდევ უფრო გააღრმავა თავის შემდგომ კრიტიკულ წერილებში.

*

1896 წელს გრ. ყიფშიძემ პირველად გამოაქვეყნა განმაზოგადებელი შინაარსის კრიტიკული სტატია („სალიტერატურო მიმოხილვა“), რომელშიც შეეცადა პასუხი გაეცა იმ დროის მთელ რივ აქტუალურ საკითხებზე.

გრ. ყიფშიძემ, ამ სტატიაში, პირველ ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა იმ წინსვლასა და აღმავლობაზე, რომელიც ქარ-

თულმა ლიტერატურამ განიცადა ორმოცდაათიანი წლებიდან მო-
ყოლებული ოთხმოცდაათიან წლებამდე. მან ხაზგასმით იმაზე,
რომ „ჩვენი ლიტერატურა დღეს ის აღარ არის, ამ ოცისა და ოცდაათის წლის წინათ. ამ ხანში ეს ლიტერატურა
საკმაოდ, შესამჩნევად გაიზარდა, წინ წაიწია, შეივსო და ღრმად
გასდგა მან ფესვები“...

მისი შეხედულებით, როგორც ორმოცდაათიანი, სამოციანი და
სამოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურას ჰყავდა თავისი
გამოჩენილი წარმომადგენლები, რომლებმაც შეძლეს თავიანთი
ეპოქების მხატვრული ასახვა, ასევე 80-იანი და 90-იანი წლების
ქართულ მწერლობასაც ჰყავს რჩეული წინამძღოლნი, რამაც განა-
პირობა ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განუწყვეტელი აღმა-
ვლობა.

ის დიდი მხატვრული მონაპოვარი, რომელიც ქართულმა ლიტე-
რატურამ შეიძინა ორმოცდაათიან წლებში გ. ერისთავის, გრ. ორბე-
ლიანის, ლ. არდაზიანის, დ. ჭონქაძის, გრ. რჩეულიშვილის, ი. კე-
რესელიძის, ვ. ორბელიანის, რ. ერისთავისა და სხვათა წყალობით,
60-იან წლებში არნახულად გაიზარდა და გამრავალფეროვანდა ილია
ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის,
ანტონ ფურცელაძის და სერგი მესხის ბეჯითი პატრიოტული და სამ-
წერლო მოღვაწეობით. მაგრამ არც ოთხმოციანი წლები ჩამორჩა
წინა ეპოქებს და ქართველ მწერალთა რიგებს შეემატა არა ერთი
და ორი ნიჭიერი ბელეტრისტი, რომელთა შორის უპირველესი აღ-
გილი დაიჭირა ალ. ყაზბეგმა. როგორც ჩვენი კრიტიკოსი დასძენს,
„ალ. ყაზბეგის ნაწერებში ცხოვრება იხატება სავსებით, ჭეშმარიტის
სახელოვნობო შემოქმედებით, ისეთ-ისეთის კალმის მოსმით, რომ
ზოგიერთს ევროპელ მწერალ-მხატვარსაც გაუჭირდება“.

ამასთან ერთად, ალ. ყაზბეგი მარტო არ ყოფილა. მას მხარში
ედგნენ სხვა ბელეტრისტებიც, რომლებიც მართალია დაჯილდოვე-
ბულნი არ ყოფილან ისეთი დიდი ტალანტით, როგორც ეს მომად-
ლებული ჰქონდა ალ. ყაზბეგს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას ასურა-
თებდნენ „საკმაო სამხატვრო სიმართლითა და ზოგჯერ ჭეშმარიტის
შემოქმედებითა. ზოგი მათი ნაწერი აღბეჭდილია ნიჭითა და მად-
ლიანობით“. ამ მწერალთა შორის გრ. ყიფშიძე, პირველ ყოვლისა
გულისხმობს ნიკო ლომოურს, ეკატერინე გაბაშვილს და სოფრომ
მგალობლიშვილს.

კრიტიკოსის მართებული თქმით, ვის არ წაუკითხავს, და არ გა-
ნუცდია ჭეშმარიტი ესთეტიკური სიამოვნება, ისეთი მოთხრობებით,

როგორცაა: „ქაჯანა“, „ალი“, „ღვინია გადაიჩეხა“, „ყაყიტას/ქურდი“ და სხვ., რომელთა ავტორები სწორედ ახალმა დრომ დაპა-
ბადა? ოთხმოციანი წლების ქართული ლიტერატურის დროშა
პოვრად მიაჩნია მას, ავრეთვე, რაფ. ერისთავის იმდროინდელი
ბრწყინვალე ლირიკული ლექსები.

გრ. ყიფშიძის შეხედულება 80-იანი წლების ქართული მწერ-
ლობის ზრდა-განვითარების შესახებ მართალია ამომწურავი არაა,
მაგრამ უდავოდ მართებულად წარმოგვიდგენს მის მთავარ მონა-
პოვარს. პირველ ყოვლისა, ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ
არა ალ. ყაზბეგის, რაფიელ ერისთავისა და რაზიკაშვილთა შესახებ
მის მიერ გამოთქმულ შეხედულებებზე, არამედ იმ მწერალთა და-
ხასიათებაზე, რომლებიც ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ცნო-
ბილი არიან ხალხოსან მწერალთა სახელით. ეს მწერლები დღემდე
არ არიან სათანადოდ შესწავლილნი და დაფასებულნი. მათი ბევრი
ნაწარმოები კი, როგორც გრ. ყიფშიძეც შენიშნავს, შესულია ჩვენი
პროზის ოქროს ფონდში და წარმატებით ემსახურებიან ახალგაზრ-
დობის მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისა და იმდროინდელი სო-
ციალური სინამდვილის მხატვრული აღქმის საქმეს.

შეუძლებელია საგანგებო ყურადღებით არ მოვეკიდოთ გრ.
ყიფშიძის კიდევ ერთ საინტერესო მოსაზრებას ოთხმოციანი წლე-
ბის ქართული მწერლობის ძირითადი ტენდენციების შესახებ.

ოთხმოციანი წლებში, — შენიშნავს გრ. ყიფშიძე, — როგორც
მწერლობაში, ასევე საერთოდ საზოგადოებრივ აზრში, თავი იჩინა
ორმა განსხვავებულმა ტენდენციამ, რაც წარსულთან დამოკიდებუ-
ლებისა და მიმართების თავისებურებაში მდგომარეობდა. ამ პერი-
ოდის მწერალთა და სხვა მოღვაწეთა ერთი ნაწილი ძალიან გაიტაცა
ქვეყნის ისტორიულმა წარსულმა და მისმა მხატვრულმა თუ მეცნი-
ერულმა ასახვა-გაშუქებამ. წინა ეპოქებში უკვე საკმაოდ გამახვი-
ლებული მამულიშვილური გრძნობა, რომელიც მწერლობას და
მთელ საზოგადოებას მოუწოდებდა შეესწავლათ და აესახათ წარ-
სული, მოემარჯვებინათ იგი აწმყოს ჩამორჩენილობისა და მანკიე-
რების საჩვენებლად, რათა უფრო სწორად განეჭვრიტათ მომავლის
ინტერესები და უკეთ ეზრუნათ მათ ხორცშესახსმელად, კიდევ მე-
ტად გაძლიერდა და გაფართოვდა. ამ მიმართულებას თავისი წარ-
მომადგენლები ჰყავდა არა მხოლოდ მწერლობაში, არამედ პუბლი-
ცისტიკასა და მეცნიერებაშიც.

პარალელურად ამ მიმართულებისა, თავი იჩინა მეორე მიმდი-
ნარობამ, რომლის წარმომადგენლები, — როგორც გრ. ყიფშიძე

შენიშნავს, — „ეჭვით უცქეროდნენ წარსულს, იქ სიკეთეს ვერასა
ჰხედავდნენ, მის შესწავლასაც კი თითქმის უარს ჰყოფდნენ და სა-
ზოგადოებას უქადაგებდნენ, წინ იცქირებოდნენ, მერმისსა და
მომავლისათვის იზრუნეთ, იდეალი იქ უნდა ეძებოთ და არა საფ-
ლავთა შორის, წარსულში, საცა ვერას ვიპოვით ვერც ჭკუის სას-
წავლებელსა და ვერც გულისა და გრძნობის საწვრთნელსაო“.

გრ. ყიფშიძის ღრმა რწმენით, ამ ორი განსხვავებული ტენდენ-
ციის ხასიათის და მნიშვნელობის შესწავლას გვერდს ვერ აუვლიდა
ქართული ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსი, ვინაიდან მათი
გავლენა აშკარა და ნიშანდობლივი იყო. კერძოდ, იგი თავის შეხე-
დულებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ისტორიზმით გატაცებამ,
წარსულის გაცოცხლების გარკვეული მიზნით მომარჯვებამ, ბევრი
და კეთილი საქმე გააკეთა ჩვენი მწერლობის წინვლისათვის, საზო-
გადოებრივი აზრის შემუშავებისათვის; ამ მიმართულების მქონე
ბევრმა მწერალმა, მათ შორის ალ. ყაზბეგმა, უაღრესად საინ-
ტერესო ნაწარმოებები შექმნეს, მაგრამ, მიუხედავად ყოველი-
ვე ამისა, იგი ხშირად „ზარალს აძლევდა თვით შემოქმედე-
ბას, ხელოვნებას, სამხატვრო სიმართლეს“. საქმე ისაა, — ამბობს
გრ. ყიფშიძე, რომ ამ მიმართულებას ადგა არა მხოლოდ ისეთი
ნიჭიერი მწერლები, როგორც იყო, მაგალითად, ალ. ყაზბეგი, რო-
მელსაც შეეძლო ზომიერების გრძნობა არ დაეკარგა, არამედ ბევრი
სხვაც, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ამგვარ ნიჭს. „გადაათვალი-
ერეთ მაშინდელი მწერლობა, — შენიშნავს ჩვენი კრიტიკოსი, —
ორიგინალური და ნათარგმნი, მეტადრე პიესები, რომელიც იწერე-
ბოდა დაახლოვებით იმ ხანებში და დამეთანხმებით, რომ ეს ჩვენი
მოსაზრება სიმართლეს არ არის მოკლებული“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გრ. ყიფშიძის ეს შე-
ხედულება არა მხოლოდ ანგარიშგასაწევი, არამედ მართებული და
გასაზიარებელიცაა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ამ შეხედუ-
ლებას გვთავაზობს „ივერიის“ ყოფილი თანამშრომელი, რომელიც
ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში უკვე სხვა იდეურ სიტუაციაშია
მოხვედრილი, რის გამო უადვილდება ამგვარი კრიტიკული შენიშ-
ვნის გაკეთება. უდავო ფაქტია, რომ ახალი ისტორიული სიტუაციის
გამო 80—90-იან წლებში ისტორიული თემატიკით გატაცება და
წარსულის სურათების თუნდაც საგანგებო მიზნით მომარჯვება
მართლაც ზომიერების უტყუარ გრძნობას და დიდ სიფრთხილეს
მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეეძლო ხელი შეეშალა
სრულიად ახალი და მოწინავე იდეების გავრცელება-დამკვიდრე-

ბისათვის და ზიანი მოეტანა საზოგადოებრივი აზრის სასურველი მიმართულების წარმართვისათვის; მხატვრული ლიტერატურის შემეცნებითი მნიშვნელობა მხარს ვეღარ გაუხსნორებდა ცხოვრებასა და პუბლიცისტიკაში უკვე მძლავრად ფესვგადგმულ იდეურ სი-ახლეებს.

როგორც ვხედავთ, გრ. ყიფშიძე თანდათანობით მიუახლოვდა მისთვის უფრო საინტერესო კითხვებს: რა მოიტანა ოთხმოცდაათი-ანმა წლებმა? რა შემატა ჩვენს მწერლობას ამ პერიოდმა და რა მიმართულება მისცა მან ლიტერატურასა და ცხოვრებას?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მან საჭიროდ მიიჩნია წინას-წარვე მოკლედ შეხებოდა ბაჩანასა და ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას და თავისი შეხედულება გამოეთქვა მათი შემოქმედების იდეურ და მხატვრულ თავისებურებებზე.

გრ. ყიფშიძის თქმით, ბაჩანა და ვაჟა-ფშაველა ჩვენს მწერ-ლობას შეემატნენ 80-იანი წლების გასულსა და 90-იანი წლების დასაწყისში, „ამიტომ ისინი ეკუთვნიან ერთს ათეულსაცა და მეორესაცა“. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კრიტიკოსი ცდება ამგვარ ქრონოლოგიურ განსაზღვრაში, ისინი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ 80-იანი წლების დასაწყისშივე და 90-იანი წლებისათვის უკვე მათ მკითხველთა ყურადღება ჰქონდათ დამსახურებული. მაგრამ ეს არ არის არსებითი. მთავარია ის შეფასება, რომელსაც კრიტიკოსი აძლევს მათ შემოქმედებას, მათ შემოქმედებით ინდივიდუალობას.

გრ. ყიფშიძის თქმით, ორივე ამ პოეტის შემოქმედებაში ბატ-რიოტული კილოც სჩქეტს და ისტორიული თემატიკა და წარსულის სურათებიც საკმაოდაა წარმოდგენილი. მაგრამ მათი მნიშვნელობა სხვა არის; „მათ პოეზიას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, სხვა ფერი სდევს, სხვა წყალი და ჯავრი ემჩნევა, რაიცა ძლიერ აახლოვებს ერთმანეთთან ამ ორს მწერალსა და ალ. ყაზბეგს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ესენი ასცდნენ მის ნაკლსა, — ზოგჯერ გადაჭარბე-ბულს საპატრიოტო ტენდენციას, მდაბიოთა იდეალიზაციას და ერთ-ფეროვნებას“.

გრ. ყიფშიძეს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ბაჩანა და ვაჟა, მართალია, უბრალო ხალხის ფიქრებსა და განცდებს ვად-მოგვეცემენ, ხშირად მათ მათივე ენით ამეტყველებენ, მაგრამ მაინც საკუთარ პოეტურ ბრძმედში წმენდენ და ხვეწენ, რითაც უფრო საზოგადო და საკაცობრიო მნიშვნელობას მატებენ. კრიტიკოსის შეხედულებით, „ბაჩანამ თავისი ძლიერი ლირიკით გაგვაცნო

სული და გული, დარდი და მწუხარება ფშავ-ხევსურთა, ხან საკუთრად მათი, ხან საზოგადოდ მდაბიოთა, მაგრამ ისე კი რომ შეიძლება გაატარა თავის საკუთარ გულში, იქ დააწმინდა როლა, ევროპულს, საკაცობრიო გრძნობა-აზრის ბრძმედში გაატარა და ისე მოგვიძღვნა“.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას, მისი შემოქმედების შესახებ გრ. ყიფშიძეს თავისი გარკვეული შეხედულება აქვს საერთოდ. მან ჯერ კიდევ ადრე მიუთითა, რომ ვაჟა-ფშაველა „ნაკლებად არის ლირიკოსი. იგი ამ მხრივ პირველობას უთმობს რაფიელსაცა და თავის უმცროს ძმას ბაჩანასაც“. კრიტიკოსის თქმით, ვაჟას ნიჭის ძალა ვლინდება, პირველ ყოვლისა, ბუნების სურათების გაცოცხლებაში, „ამას გარდა, სახელი ვაჟა-ფშაველასი დამყარებულია მის ეპოსზედ. მისი პოემები ნამდვილი, დრამად გადაქცეული ამბებია“⁸... ცოტა ხნის შემდეგ, გრ. ყიფშიძეს კვლავ მიეცა შესაძლებლობა თავისი აზრი გამოეთქვა ვაჟაზე და მანაც მიუთითა, რომ „ვაჟა-ფშაველა... უფრო მგოსანია, მოლექსე, ვიდრე ბელეტრისტი“⁹.

ამკარაა, გრ. ყიფშიძეს თავდაპირველად სწორად არ ჰქონდა გაგებული ვაჟა-ფშაველას სამწერლო ნიჭის ხასიათი და შესაძლებლობა. მართალია, ვაჟას დიდი პოეტური სახელი, პირველ ყოვლისა, დაფუძნებულია მის უკვდავ პოემებზე, — პოეტურ ეპოსზე, მაგრამ იგი როგორც ლირიკოსი და ბელეტრისტიც არა მხოლოდ თავისებური, არამედ ბედნიერი მოვლენა იყო იმდროინდელ ჩვენს მწერლობაში. ეს გარემოება, ცხადია, არც გრ. ყიფშიძისთვისაა შეუმჩნეველი, მაგრამ თითქოსდა უძნელდება თავისი შეხედულების მწყობრად და ლოგიკურად ჩამოყალიბება, თავს ვერ აღწევს გარკვეულ წინააღმდეგობებს, რაც უკვე შენიშნულია ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში¹⁰.

თავის „სალიტერატურო მიმოხილვაშიც“ („მოამბე“, 1896, № 1) კრიტიკოსი ვერ ახერხებს ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭის განსაკუთრებული ძალის სრულყოფილად შეცნობასა და მის სათანადო შეფასებას, მაგრამ შედარებით უფრო სწორად ხედავს მისი შემოქმედებითი ჰორიზონტის მასშტაბებს. „ვაჟა-ფშაველამ, თავისის ძლიერი ეპიკით, გავვითვალისწინა თუშ-ფშავ-ხევსურნი და იმასაც სამხატვრობო ხერხად ისევ ის გზა აქვს, რაც ბაჩანას. მისი

⁸ უფრ. „მოამბე“, 1895, № 10.

⁹ იგივე, 1895, № 12.

¹⁰ იხ. კრებული — „ვაჟა ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, 1955, I (პროფ. ი. ბოცვაძის შესავალი წერილი, გვ. 16—17).

შემოქმედების საიდუმლოც ისევ ისეთია, რაც ბაჩანასი. ორისავე
ქმის შემოქმედება, უნარი წერისა იმაზეა დამყარებული, რომ ეო-
თიცა და მეორეც სასურველს, საყოველთაო-საკაცობრიო, ^{ეროვნული}
მოყვარულს აზრებს თვით მდაბიოთა გულშიაც ეძებენ... და როცა
ეს აზრები განსხვავებულს ფერს მიიღებენ ამ ოპერაციის გამო
(გულისხმობს საკუთარ პოეტურ მრწამსში გადამუშავებას — დ. შ.),
მხოლოდ მაშინ მოგვიძღვნიან ხოლმე უკვე თვისის გრძნობით დაწ-
მენდილს, დაბროლებულს“.

ძნელად შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ გრ. ყიფშიძე ბაჩანას,
თუ უფრო მაღლა არა, ვაჟა-ფშაველას გვერდით მაინც აყენებს. და
ეს შემთხვევითი არ არის. ამ პერიოდის ჩვენი ლიტერატურული
კრიტიკა თითქოსდა შეთანხმებულია იმაში, რომ ბაჩანა უფრო
ძლიერია ლირიკაში, ვაჟა კი — ეპოსში. ამგვარი შეხედულების მი-
ზეზი, პირველ ყოვლისა, იმაში იმალება, რომ ბაჩანას ამდროისათ-
ვის უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი საუკეთესო ლექსები, ვაჟას კი
არა. შემდეგში, ცხადია, უფრო აშკარა გახდა ვაჟა-ფშაველას პოე-
ტური ძალა და ინდივიდუალობა, რამაც გააადვილა დიდი პოეტის
შესწავლა და შეფასება.

მაგრამ საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ გრ. ყიფშიძემ —
როგორც კრიტიკოსმა უდავოდ კეთილი სამსახური გაუწია ბაჩანას
პოეტური ტალანტის დაფასებასა და მისდამი ყურადღების გამახვი-
ლებას. ბაჩანას პოეზია უდავოდ იმსახურებდა მოწონებას, „მუხ-
ხის“ ავტორი უთუოდ ნიჭიერი ლირიკოსი იყო, მაგრამ... მის გვერ-
დით მართლაც მუხასავით აღიმართა ვაჟა, რომელმაც, სხვებთან
ერთად, ისიც ჩრდილში მოაქცია. მაგრამ სადავო არ არის ისიც, რომ
ბაჩანას ჩვენი ლიტერატურის ისტორიამ თავისი უნდა მიუზღოს და
თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაუმკვიდროს.

ბაჩანას მიმართ სავსებით ობიექტური იყო გრ. ყიფშიძე, რო-
მელიც საგანგებოდ სწევდა წინა პლანზე ნიჭიერი პოეტის პატრი-
ოტული ლირიკის მაღალ მხატვრულ ღირსებებს, მისი ემოციური
შემოქმედების დიდ ძალას. მართებულია მისი შეხედულება იმის
შესახებაც, რომ ბაჩანამ, ერთ-ერთმა პირველმა ჩვენს მწერლობა-
ში, უნაკლო პოეტური სახეებით დაგვისურათა მტკიცე ხასიათის
ადამიანის იდეალი. ამის საბუთად მიაჩნია მას პოეტის საკმაოდ
ცნობილი ლექსი „მუხა“.

საგულისხმოა ისიც, რომ ამგვარი იდეალის მოთაყვანედ მიიჩ-
ნევს იგი ვაჟა-ფშაველასაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვაჟასთან
ლირიკა ადგილს უთმობს ეპოსს. ამასთან ერთად, ვაჟა დაინტერესე-

ბულია ისეთი პერსონაჟების დახატვით, რომელთა სიტყვასა და საქმეში ხალხის ძალა და ფიქრი გამოსჭვივის. ამ მხრივ ბოეტიუს პროეტურ სტილს განასხვავებს ნიკ. ბარათაშვილის ეპიკური ოსტანტობისაგან („ბედი ქართლისა“) და მაგალითად მოაქვს ერეკლეს ვაჟასეული დახასიათება:

„უხდება ბებერს არწივსა
შეჰმუხვნით შუბლი მკვახეა!“

გრ. ყიფშიძის თქმით, ვაჟასთვის ყოველთვის ისაა მთავარი, თუ რას ფიქრობს ერი ამა თუ იმ სიტუაციის დროს, როგორია მისი გრძნობა და სურვილი! ამიტომაც უწოდებს კრიტიკოსი ვაჟას და სხვათა პროეტურ კილოს — საერო კილოს და არა იმიტომ, თითქოს ხალხური ენით, ხალხური კილოთი წერდნენ ისინი, როგორც ამას ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს. როგორც პროფ. ი. ბოცვაძე შენიშნავს, „გრ. ყიფშიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა შენიშნა ვაჟას შემოქმედების ეს უდიდესი ღირსება და იგი ვაჟას დიდ დამსახურებად მიიჩნია“¹¹.

ამგვარი ექსკურსის შემდეგ გრ. ყიფშიძე სვამს კითხვას: რა სიახლე მოუტანა 90-იანმა წლებმა ქართულ მწერლობას?

90-იან წლებში, შენიშნავს კრიტიკოსი, ქართულ პოეზიაში შემოიჭრა ახალ-ახალი ჰანგები და ცხოვრების ახალი სიო, რომელიც ალ. ყაზბეგის, ვაჟასა და ბაჩანას შემოქმედებაში გამოვლინდა პირველად, მაგრამ საჭირო იყო გამოჩენა მათი მსგავსი მწერლებისა, რომლებიც ამ ახალ ტენდენციებს კვლავ გააღრმავებდნენ და დაამკვიდრებდნენ. „გაჩნდნენ კიდევ ასეთი მწერალნი, — ამბობს გრ. ყიფშიძე, — ესენი არიან: ეგ. ნინოშვილი (ინგოროყვა) და შ. არაგვისპირელი, რომელნიც მთლად და სავსებით ეკუთვნიან დღევანდელს ათეულს, 90-იან წლებს“.

ვერ ვიტყვი, რომ გრ. ყიფშიძემ სავსებით და ღრმად შეიმეცნა ის გარდატეხა ჩვენს მწერლობაში, რომელიც 90-იან წლებში იწყებოდა. ეს იქნებ იმდროისათვის არცთუ ადვილად აღსაქმელი ლიტერატურული მოვლენა იყო, მაგრამ ერთი რამ უდავოა: მან შეიგრძნო 90-იანი წლების განსხვავებული ბუნება და ჩვენს მწერლობაში ამ დროისათვის დაწყებული იდეურ-მხატვრული ძვრები. მან შენიშნა, რომ ეგნ. ნინოშვილის შემოქმედებით მთავრდებოდა, თუ იწყებოდა, გარკვეული ეპოქა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

¹¹ იხ. კრებული. „ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“, 1955, I (პროფ. ი. ბოცვაძის შესავალი წერილი, გვ. 18).

ეგნ. ნინოშვილი, — წერს კრიტიკოსი, — მალე დაჰკარგა ჩვენმა მწერლობამ, მაგრამ მან მოასწრო დაწერა ისეთი ნაწარმოებების რომელთა წყალობით იგი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ლიტერატურის ისტორიაში.

ეგნ. ნინოშვილისა და შ. არაგვისპირელის შემოქმედების მთავარ თავისებურებად გრ. ყიფშიძე მიიჩნევს ეროვნულ-პატრიოტული თემატიკისა და მოტივისაგან გვერდის ავლასა და ქვეყნის სოციალური მდგომარეობით დაინტერესებას, „ჩვენის მდაბიო ხალხის, გაუნათლებელი სოფლელი ხალხის დასურათებას“. ამგვარი ტენდენცია მას მიაჩნია კანონზომიერად და გამართლებულ მოვლენად, ვინაიდან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენთვის საჭირო იყო ჩვენის თავის დანახვა, ჩვენის თავის ცნობა, უნდა გვეცოდნოდა, და დღესაც დიდად საჭიროა ვიცოდეთ ჩვენი ავი და კარგი, ჩვენი ყოფა-ცხოვრება, უფრო კი სოფლად, რადგან ქართველობა, უმეტესობა მისი იქა ცხოვრობს“.

როგორც ვხედავთ, გრ. ყიფშიძე იმ შეხედულებიასაა, რომ ოთხმოცდაათიანი წლებისათვის უკვე მოძველებულად უნდა მივიჩნიოთ სამოციანი წლების მწერლობაში გაბატონებული ტრადიცია ეროვნული მოტივის წინ წამოწევისა და ყურადღების ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს ქვეყნის სოციალურ სინამდვილეზე. ამდენად იგი ეპოქის ტენდენციას გამოხატავს, მის გავლენას განიცდის.

გრ. ყიფშიძის მართებული დაკვირვებით, არა მხოლოდ ეგნ. ნინოშვილი და შ. არაგვისპირელი, არამედ სხვებიც, „რომელთა რიცხვს ეკუთვნიან დუტუ მეგრელიცა, „ბნელოს“ ავტორი მელანიაცა და სხვანიც, შეუდგნენ ამ ახალის საჭიროების დაკმაყოფილებას“. ამ ახალგაზრდა მწერლებს გზას უნათებენ ნინოშვილი და არაგვისპირელი, პირველმა ზედმიწევნით და ოსტატურად გაგვაცნო გურიის ცხოვრება, მეორემ — ქართლის სოფელი. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს ე. ნინოშვილის „ქრისტიანე“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, შ. არაგვისპირელის „ჩემო შვინდავ“, „ყველაი დავკარგე“, „ეს არის ჩემი ცხოვრება“ და ნიჭიერად დაწერილი მისივე ფსიქოლოგიური ეტიუდები. მათი ეს ნაწერები, კრიტიკოსის თქმით, „სამხატვრო გაღწევაა ჩვენის ცხოვრებისა. არც გადაჭარბება, არც ზომიერების დაუცველობა, არც იდეალიზაცია და რომანტიზმით გატაცება, რაიცა ასე უშლის ხელს, ეკ. გაბაშვილისას, არც ნამეტანი რეალისტობა და პროტოკოლისტობა, ამ ორ მწერალს არ ეტყობა. მათი მოთხრობა მიმდინარეობს საკვირველის ბუნებრივობით, სიმართლით, სამხატვრო სიმართლის

გვერდაუხვევლად, ხან დიდისა და ჭეშმარიტის დრამატიზმით, ხან ლმობიერებითა და მოქმედ გმირთა შებრალებითა, ავთა და მკვნი-ბელთა გადუჭარბებელის შეჩვენებითა და შერისხვითა“

ეგნ. ნინოშვილისა და შ. არაგვისპირელის ამგვარი დახასიათება არ იწვევს საგანგებო შენიშვნებს. იგი, ძირითადად, სწორად გამოხატავს რეალურ ვითარებას და კრიტიკოსის ფხიზელ ალღოზეც მიუთითებს, მაგრამ რამდენადაც დროული და მართებული იყო კრიტიკოსის ვალაშქრება ე. წ. წარსულის იდეალიზაციისა და რომანტიზმით გატაცების წინააღმდეგ, იმდენად საეჭვოდ მოჩანს მისი მოსაზრება სოფლის სოციალური სინამდვილის ასახვაზე სიმძიმის ცენტრის გადატანის თაობაზე. კრიტიკოსმა ვერ შეძლო შეემჩნია ის დიდი და ახალი ძვრები, რომლებიც სწორედ ქალაქსა და ქალაქურ ცხოვრებას უცვლიდა სახეს; ვერ შენიშნა ახალი კლასის, მუშათა კლასის დაბადება, მისი ორგანიზებულ ძალად გახდომა, რომლის დიდი პერსპექტივა ისტორიული კანონზომიერებით იყო გაპირობებული.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მწერალთა ის თაობა, რომლის წარმომადგენლებად გრ. ყიფშიძეს ე. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი, დ. მეგრელი, მელანია და სხვები მიაჩნია, მისი შეხედულებით ხალხოსან მწერალთა მიერ საფუძველჩაყრილ ტრადიციათა გამგრძელებელნი და გამღრმავებელნი არიან. ამ მხრივ შესაძლებელია არც ვედაოთ მას, ვინაიდან, პირველ ყოვლისა, მხედველობაში აქვს სოფლის ცხოვრებით დაინტერესება და საერთოდ ქვეყნის სოციალური ყოფის კლასობრივი წინააღმდეგობის ფონზე ჩვენება.

გრ. ყიფშიძის აღნიშნულ „ლიტერატურულ მიმოხილვაზე“ მსჯელობა შეუძლებელია ისე დავამთავროთ, რომ ყურადღება არ გავამახვილოთ კიდევ ერთ საყურადღებო შტრიხზე. ილაშქრებს რა მხატვრული ასახვის ტენდენციური მეთოდის წინააღმდეგ, რაც სრულიად გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ, იგი იდეალისა და იდეალური სახეების დასახვის წინააღმდეგია. მართალია, იგი ამას ხსნის იმით, რომ ასეთი ამოცანის გადაწყვეტა გენიალურ მწერლებსაც კი უძნელდებათ, მაგრამ 90-იანი წლებისათვის ამგვარი ტენდენციის წინააღმდეგ ამხედრება არცთუ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გავრცელება და მისი ძირითადი პრინციპების შემეცნება მწერლობას უკვე უქმნიდა შესაძლებლობას ამგვარი წინ გახედვისათვის, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

გრ. ყიფშიძე განსაკუთრებით აღუშფოთებია კრიტიკოს კიტა

აბაშიძის იმ მოწოდებას, რომელიც მწერლობას ურჩევდა ხელი მოეკიდა ქართველ ინტელიგენტთა სახეების ჩვენებისთვისაც. მისი თქმით, ქართველ ინტელიგენტთა წრე, ჯერ-ჯერობით, ისე მცირეა და ნარევია, რომ ასეთი მიზანი შედეგს ვერ გამოიღებს. იგი საერთოდ ვერ ხედავს დადებითი ტიპების ხატვის შესაძლებლობას და ამბობს: „საიდეალო ხასიათების ხატვა, ან ახალგაზრდათა, ან განათლებულთა, ან მოღვაწეთა სფეროდან ჯერ ჩვენში შეუძლებელია და ყველამ, ვინც ამისთანა საქმეს მოჰკიდა ხელი, ვერა მოახერხა... ვინც ესრედ წოდებულს „ოტრიცატელნი ტიპსა“ ჰხატავს ეს კიდევ ჰო, ცოტაოდენი გამოდის რამე, ხერხდება რამე, ხოლო ვინც საიდეალო კაცის თუ ქალის დახატვასა სცდილობს, იმას სულ უფუჭდება ნაწარმოები. ასეთებია ზოგიერთნი ნაწარმოებნი ეკ. გაბაშვილისა, დუტუ მეგრელისა და ზოგიერთის სხვებისაცა...“

გრ. ყიფშიძის ასეთი შეხედულება კრიტიკული რეალიზმის შედარებით მოძველებული პრინციპის განვითარებაა მხოლოდ და სწორად ვერ წარმოადგენს იმდროინდელი მწერლობის შესაძლებლობასა და მოვალეობას. ცალკეულ მწერალთა მხატვრულად სუსტ ნაწარმოებთა ანალიზიდან გამომდინარე დასკვნები მწერლობის საერთო შესაძლებლობისა და პერსპექტივის სურათს, ცხადია, ვერ ასახავდა. გრ. ყიფშიძის კრიტიკული ალღო უფრო მეტი შექების ღირსი იქნებოდა, მას რომ უფრო გაეღრმავებინა და განევითარებინა 90-იანი წლების მწერლობაში ახალი ჰანგებისა და ცხოვრების ახალი სიოს შემოჭრის შესახებ გამოთქმული თავისი შეხედულება. მაშინ იგი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, სოციალისტური რეალიზმის პრინციპთა ჩასახვის აღიარებამდე მივიდოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მიუხედავად პროგრესულ-დემოკრატიული იდეების ერთგულებისა, იგი მაინც ვერ ამალდა მესამე დასელთა იდეურ მრწამსამდე, რაც კრიტიკოსს შესაძლებლობას მისცემდა მისულიყო ეპოქის ახალ და წამყვან ტენდენციათა შეცნობამდე.

ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ამავე სტატიაში გრ. ყიფშიძემ მაღალი შეფასება მისცა ზოგიერთ იმ მწერალს, რომელიც ის-ის იყო გამოვიდა სამწერლო ამპარეზზე. მისი თქმით, მცირე იმედს არ იძლეოდნენ მომავლისათვის დ. კლდიაშვილი, ა. ერისთავი, ია ეკალაძე, ლალიონი, თ. რაზიკაშვილი, შ. მღვიმელი და სხვ. კრიტიკოსის ამგვარი შეხედულება თითქმის ყველა მათგანმა გაამართლა შემდეგში და ჩვენი მწერლობის სახელოვანი წარმომადგენლები გახდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ გრ. ყიფშიძე პოლემიკური ტონით იხსენიებს კიტა აბაშიძესა და მის წერილებს,

რომლებიც „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდნენ. ძველი „ივერიელი“ უკვე აღარ გაუბოდა „ივერიის“ მიმართულების ნამშრომლების გაკენწვლას. იგი მხარში ედგა „მოამბის“ მხედველობით, რომლებიც უფრო რადიკალურ პოზიციებზე დგომას ჩემულობდნენ.

ძნელი არაა იმის მიხედვრაც, რომ გრ. ყიფშიძემ თავის სტატიაში საკმაოდ ბევრი და საინტერესო საკითხი დასვა, თანაც, ზოგიერთი მათგანი მაინც, საკმაოდ დასაბუთებული არ იყო. კერძოდ, მას მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას და ალ. ყაზბეგის შესახებ გამოთქმული ის შეხედულებები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ბევრი კრიტიკოსისა და მკითხველის თვალსაზრისს. რაც მთავარია, თვით ამ მწერლებმაც, როგორც უკვე ვნახეთ, არ გაიზიარეს მისი ის მოსაზრება, რომელიც რაფ. ერისთავის შემოქმედებასთან მათ ურთიერთობას ეხებოდა.

გრ. ყიფშიძემ, ცხადია, იგრძნო და, ალბათ, აგრძნობინეს კიდევაც, რომ საჯაროდ გამოთქმულ არსებითი ხასიათის შეხედულებებს მეტი საბუთიანობა და ზუსტი რედაქცია ესაჭიროებოდა. ამიერიდან იყოს გამოწვეული ჟურნალ „მოამბის“ 1896 წლის პირველ ნომერში მოთავსებული „სალიტერატურო მიმოხილვის“ იძულებითი გაგრძელება ამავე ჟურნალის მეორე ნომერში¹². ვამბობთ „იძულებითი“, ვინაიდან ამჯერადაც იგი მსჯელობს კვლავ იმ საკითხებზე, რომლებიც თითქოსდა უკვე გააშუქა.

თავისი ეს სტატია გრ. ყიფშიძემ დაიწყო იმაზე მითითებით, რომ უაღრესად საინტერესო და საგულისხმო ისტორია მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ზრდა-განვითარებისა მეტად ზერელედ არის შესწავლილი; არ მოგვეპოვება ვრცელი და მტკიცე საბუთებზე დამყარებული ისეთი გამოკვლევები, რომლებიც შუქს მოჰყენდნენ ამ პრობლემას. უფრო მეტიც, შესწავლილი არ არის ამ საუკუნის მწერალთა ბიოგრაფიებიც კი. „ძალიან და ძალიან მცირე ცნობანი და გამოკვლევანი გვაქვს, — წერს ის, — ხელთ არა თუ 50-ეულ და ან მის წინა ათეულთა, არამედ 60-ეულ და 70-ეულ მწერალთა და მოღვაწეთა შესახებაც კი. ეს დიდი ნაკლია და ამ ნაკლის შევსება აუცილებლად საჭიროა“.

გრ. ყიფშიძის მიზანია მკითხველს აგრძნობინოს, თუ რაოდენ რთული პრობლემის წინაშე დგას ის კრიტიკოსი, რომელიც მიზნად დაისახავს ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების ცალკეული ეტაპების დახასიათებას. იგი არ მალავს არც იმას, რომ ასეთმა

¹² ჟურნ. „მოამბე“, 1896, № 2 („სალიტერატურო მიმოხილვა“).

მდგომარეობამ იგი აიძულა განზრახ მორიდებოდა არსებითი ხასიათის მსჯელობას წინა პერიოდის ქართულ მწერლობაზე და მხოლოდ ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების ლიტერატურას შეხებოდა. „აქაც ოდნავ შევეხეთ, — შენიშნავს იგი, — ამ ათეულთა ცხოვრების ხასიათს, საიდეო მიმართულებებსა და მათ გამომწვევს, მათ დამბადებელ მიზეზებს. დიდის ზოგადობით აღვნიშნეთ მხოლოდ უმთავრესი ღირსება და ნაკლუვანება ამ ორის ათეულის, უფრო კი 90-ეულ წელთა ბელეტრისტების ნიჭისა, შემოქმედებისა და საგანი, ასპარეზი მათის დაკვირვებისა, სამხატვრო შესწავლისა.

...ამ მიმოხილვაში კვლავ შევეხებით დღევანდელს ჩვენს შესამჩნევ, პირველი ხარისხის ბელეტრისტებს, 90-ეულ წელთა სიტყვაკაზმული მწერლობის უკეთეს წარმომადგენელთ“.

გრ. ყიფშიძე იქვე დასძენს, რომ ამ პერიოდის მწერალთა შორის, ნიჭის თავისებურებითა და სიძლიერით, პირველობა ძმათა რაზიკაშვილებს ეკუთვნით, მაგრამ ვინაიდან მათ შესახებ უკვე რამდენჯერმე გამოითქვა თავისი შეხედულება, ამიტომ სიტყვას აღარ გააგრძელებდა. მაგრამ კრიტიკოსი, ამ შემთხვევაში, პუბლიცისტურ დიპლომატიას მიმართავს. მას სწორედ მათ შესახებ გამოთქმული შეხედულებების დაზუსტება და შევსება აქვს მიზნად.

გრ. ყიფშიძე საკითხს აყენებს იმის შესახებ, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა გამოიყენოს კრებულები იმ მწერალთა ნაწერებისა, რომელთაც „დიდის აღტაცებით მიეგება და დღესაც გაცეცხილ შეტყერის და ყოვლადის პატივისცემით ეკიდება ისეთი გემოვნება-განვითარებული, მცოდნე ჩვენის პოეზიისა და სიტყვაკაზმული მწერლობისა, როგორიც არის ილია ჭავჭავაძე“...

ამ ფრაზით კრიტიკოსმა წინასწარვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ის არ კამათობს რაზიკაშვილთა, კერძოდ კი ვაჟა-ფშაველას, დიდი პოეტური ნიჭის ღირსებათა შესახებ. ეს მას უდავო ფაქტად მიაჩნია და, რაც მთავარია, ასე მიაჩნია ეს თვით დიდ ილიასაც. მაგრამ, შენიშნავს გრ. ყიფშიძე, მას სურს ყურადღება გაამახვილოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ შემოქმედებით ევოლუციანზე.

კრიტიკოსის შეხედულებით, ბაჩანამ თავისი ლირიკული ლექსებით თავიდანვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. რამდენიმე წლის მანძილზე მისი ნიჭი, თუ არ ძლიერდებოდა, ერთ დონეზე მაინც იყო და პოეტმა შექმნა ისეთი ძვირფასი ნაწარმოებები, როგორიცაა: „ფშაური ქალის ტირილი“, „ტყვის სიმღერა“, „მუხა“, „შემო-

ლაშქარსა და მგზავრისა“, „ვინა სთქვა საქართველოზედ“, „რაფიელ ერის-
თავს“, „სიმღერა“ და სხვ. მაგრამ შემდეგ, მთელი სამი-ოთხი წლის
მანძილზე, „მისი საოცარი სალირიკო ნიჭი თითქო ნელ-ნელა იშრებოდა“
მიღის: ლექსებიც მისი ნაკლებად იბეჭდება და, რაც იბეჭდება ისიც
თითქო დუნეა, ნაკლების აღფრთოვანებითა და ძლიერებითაა დაწე-
რილი, თითქო პოეტური კილო და აღმაფრენა დაბნელდა, პოეტური
ტემპერამენტი ცეცხლივით აღარა მგზნებარებს, ფერადები ხუნდება,
წინანდლები აღარ ელვარებს, ანკარა წყარო მისის პოეზიისა თით-
ქო სიცოცხლის ნიშნებს, სიცოცხლის ელფერსა ჰკარგავსო“.

ასეთი ვითარება, გრ. ყიფშიძის შეხედულებით, უნდა აიხსნას
როგორც გარემო ვითარებით, ასევე მწერლის სულიერი და მორა-
ლური განწყობილებით. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ ვიხი-
ლეთ ძველი ბაჩანა „წინანდელის აღმაფრენითა და ელვარებით“.
თავის მკითხველს იგი კვლავ ახარებს საუკეთესო ლექსებით; გან-
საკუთრებით დიდი და კეთილი გავლენა იქონია მასზე რაფიელ
ერისთავისა და კრწანისის ომის იუბილეთა დროს შექმნილმა გან-
წყობილებამ. ამით კრიტიკოსს იმის თქმაც სურს, რომ პოეტურ
ნიჭს გარეგანი ბიძგიც ჰქირდება თავისი ძალა და მომხიბვლელობა
რომ გამოავლინოს. ამგვარ შემთხვევებს კი ბაჩანა ხშირად მოკლე-
ბული იყო.

გრ. ყიფშიძე უფლებას აძლევს თავის თავს მკითხველს მთლი-
ანად მოაგონოს ბაჩანას ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „გზა-ბნელი“,
რომელიც „ივერიის“ 1895 წლის 281-ე ნომერში იყო გამოქვეყნე-
ბული. ამ საკმაოდ მოზრდილი ლექსის სრული ტექსტის მოტანა
კრიტიკულ წერილში იმით უნდა ავხსნათ, რომ კრიტიკოსი კვლავ
ბაჩანას ნიჭის დიდ პატივისმცემლად რჩებოდა. მას ღრმად სწამდა,
რომ ბაჩანა დიდი ლირიკოსი იყო და სათანადო დაფასებასაც იმსა-
ხურებდა. ამასთან ერთად, მიზნადა აქვს, შემოქმედებითი ევოლუ-
ციის თვალსაზრისით, პარალელი გაავლოს ბაჩანასა და ვაჟას შო-
რის. ეს უკანასკნელი, მისი თქმით, თითქოს სულ სხვა სურათს იძ-
ლეოდა.

გრ. ყიფშიძის შეხედულებით, ვაჟა-ფშაველას პირველი ლიტე-
რატურული დებიუტები (1881—1884 წწ.) „სუსტი იყო და მხოლოდ
შორსგამჭვრეტელს, დიდად ღრმად მცოდნეს პოეზიისა და სიტყვა-
კაზმულის მწერლობისას, დროგარემოების ამწონველს, მწერალთა
და გუნება-კილოს მიმხვედრს შეეძლო ეთქვა მაშინ, რომ ამ სუს-
ტის ნაწერების ავტორი შეიქმნება შემომქმედი ისეთი ჭეშმარიტის
სალიტერატურო მემკვიდრეობისა, როგორიც არის ვაჟა-ფშაველას

„გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“ და სხვ. მაგრამ ასე
კი მოხდა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1885 წლიდან, გრ. ყიფშიძის აზრით, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა; „ვაჟა-ფშაველას პოეტური აღფრთოვანება, მაღალი სამგოსნო კილო აღარ დამცხრალა, ძირს აღარ დაწეულა მთელი ათეული წლის განმავლობაში (1885—1893); პირიქით, თითქო თანდათან უფრო იფურჩქნებოდა ნიჭი მწერლისა, მრავალფერობდა, ნაყოფიერობდა, მეტ სიმტკიცესა და ძლიერებას იჩენდა პროზაშიაც და ლექსებშიაც“.

გრ. ყიფშიძის ამგვარი შეხედულება ზერელე და შემთხვევითი არაა. იგი დაფუძნებულია მწერლის შემოქმედების საკმაოდ ღრმა შესწავლაზე. 1881—1884 წლებში გამოქვეყნებული ვაჟა-ფშაველას ლექსები, რომლებიც უფრონაღ „იმედსა“ და გაზეთ „თეატრში“ დაიბეჭდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკლებად არიან ვაჟასეულნი. მკვლევართა შეხედულებით, „ამ ლექსების ავტორი ჩამოყალიბებულ პოეტად არ ჩანს... ფორმის მხრივაც ისინი არ არიან შემდეგი დროის ვაჟა-ფშაველასათვის დამახასიათებელნი“...¹³ თვითონ ვაჟას თქმით, „იმ ლექსებში ბევრი არა ყრია რა...“ ენა, კილო, პოეტური გააზრება, — იდეურ-მხატვრული აქსესუარი საერთოდ, ნაკლებად იძლევა იმის საფუძველს, რომ კრიტიკოსს ადვილად შეიძლებოდა განეჭვრიტა მათი ავტორის პოეტური ნიჭიერების ის სიძლიერე, რომელიც მან შემდეგ გამოავლინა. ისიც უდავოა, რომ ვაჟა-ფშაველა 1885 წლიდან უკვე შეუწინაღობელივ იზრდება და ქმნის ერთმანეთზე უფრო საინტერესო და სრულყოფილ ქმნილებებს. ამ მხრივ ბაჩანაძე და ვაჟამ თითქოსდა მართლაც განსხვავებული გზები განვლეს.

გრ. ყიფშიძე ყურადღების გარეშე არ ტოვებს არც იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე (1894—1895) ვაჟას აღარაფერი გამოუქვეყნებია მისი ნიჭის შესაფერისი, მაგრამ მას უკვე აღარ ეეჭვება, რომ ეს დროებითი მოვლენაა, „რაიმე კერძო მიზეზთაგან გამოწვეული“, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცა შეუძლებელია რაიმე დრუბელმა დაჩრდილოს, ახალგაზრდა და ნიჭით მომადლებული პოეტის მუზას ვერას დააკლებს „ფერისცვლილობა“ უმადური წუთისოფლისა. კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ

¹³ ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი. ვაჟა-ფშაველას სიჭაბუკის ლექსები. იხ. ურნ. „ჩვენი თაობა“, 1939, № 5, გვ. 59.

„დრომ მოვა, ცა დაიღვებს,
ბარად წამოვა ცვარია!
დაიხოშება ღრუბლები,
მოსკდება ნიავ-ღვარია!“



როგორც ვხედავთ, გრ. ყიფშიძე საკმაოდ ღრმად იყო ჩახედული დიდი პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიაში და თავს უფლებას აძლევდა გაბედულად გამოეთქვა თავისი შეხედულება მისი ავკარგიანობის შესახებ. რაც მთავარია, იგი არ იყო მოქცეული სხვა კრიტიკოსების გავლენაში. ამ გარემოებას შესაძლოა ხელს უწყობდა ისიც, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვაჟასთან და იცნობდა მის შეხედულებებს პოეზიაზე საერთოდ.

ნიშანდობლივია, რომ გრ. ყიფშიძე ამჯერადაც ეგნატე ნინო-შვილისა და შიო არაგვისპირელის დამსახურებაზე ჩერდება. მისი აზრით, ამ ორმა მწერალმა უაღრესად ბევრი შემატა ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობას; მათ საკუთარი და განსაკუთრებული სიტყვა თქვეს ჩვენი ბელეტრისტიკის ისტორიაში. ისინი ღირსნი არიან საგანგებო შესწავლის, რათა სრულად გამოჩნდეს ის ამაგი, რაც მათ დასდეს ჩვენს მწერლობას და გამოირკვეს მათი სალიტერატურო ფიზიონომია.

თავისი ამ „ლიტერატურული მიმოხილვის“ დასასრულს გრ. ყიფშიძე საგანგებოდ ჩერდება „ივერიის“ კრიტიკოსის კიტა აბაშიძის ის მოსაზრების შესახებ, რომელიც მან გამოთქვა ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი დაუმთავრებელი მოთხრობის („ვინ გავამტყუნოთ“) შესახებ.

გრ. ყიფშიძე, პირველ ყოვლისა, არ იზიარებს კ. აბაშიძის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ლიტერატურას ძალუძს გადაწყვიტოს ცხოვრების რომელიმე საგანი და ისიც მწვავე. ლიტერატურა, შენიშნავს ის, უფრო მეტად ადამიანის ემოციებზე მოქმედებს, ვინემ ინტელექტზე.

გრ. ყიფშიძე, ცხადია, მართალია იმაში, რომ ცხოვრებისეულ პრობლემებს წყვეტს არა ლიტერატურა, არამედ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონები, მაგრამ კიტა აბაშიძეს მხედველობაში ჰქონდა არა ასეთი პრობლემების გადაწყვეტა, არამედ მათი მხატვრული ასახვის შესაძლებლობა. ამასთან, ლიტერატურათუ, პირველ ყოვლისა, ემოციებზე მოქმედებს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნაკლებად ზემოქმედებს გონებაზე. პირიქით, სწორედ იმის წყალობით, რომ მხატვრული სახის აუცილებელი თვისებაა ემოციურობა, იგი განსაკუთრებული ძალით მოქმედ-

დებს გონებაზე და ხდება უფრო მეტად შთამბეჭდავი, ვინც ცხე-
ბებით გამოხატული აზრი.

გრ. ყიფშიძის თქმით, ალ. ყაზბეგის შემოქმედების ძალა მარეობს არა იმაში, რომ იგი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცხოვრების მწვავე პრობლემათა გადაწყვეტას, არამედ იმაში, რომ „ნათლად, ცხოვლად თვალ-წინ გვიყენებს, ცხოვლად გვისურათებს ამა თუ იმ გმირს, მისი სულის ვითარებას, ... მერე რთულს ფსიქოლოგიას ერისას, მდაბიოთა უმრავლესობისას, გვისურათებს ამა თუ იმ ხასიათს, ტიპს“...

ვიმეორებთ, გრ. ყიფშიძე არ არის მართალი, როცა კ. აბაშიძეს ბრალად სდებს, თითქოს იგი ამტკიცებდეს რომ ლიტერატურის დანიშნულება საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტა იყოს ამასთან, იგი სწორად ვერ განმარტავს ლიტერატურის ზემოქმედების ხასიათსა და თავისებურებას, როცა ფიქრობს, რომ მხატვრული ნაწარმოების გავლენის ობიექტი ადამიანის ემოციაა და არა ინტელექტი.

სამაგიეროდ, გასაზიარებლად მიგვაჩნია გრ. ყიფშიძის შეხედულება ალ. ყაზბეგის დაუმთავრებელ მოთხრობაზე, რომელსაც „ვინ გავამტყუნოთ“ ეწოდება. კიტა აბაშიძეს მართლაცაა გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს ამ მოთხრობის იდეურ-მხატვრულ ღირსებასა და მნიშვნელობაზე. იგი არა თუ განსაკუთრებული, არამედ საკმაოდ სუსტი ნაწარმოებია ნიჭიერი ბელეტრისტის შემოქმედებაში. როგორც გრ. ყიფშიძე ამბობს, „არც ვალერისა და არც მარის არაფერი ტიპიური არა ეტყობათრა და მთლად მოთხრობა „ვინ გავამტყუნოთ?“ ბასკვილს უფრო ჰგავს, რაღაც ნამდვილ კერძო ამბავს..., ვიდრე მოთხრობას, რომელშიაც მხატვრობის ძალით უნდა შეიმუშავოს, გადაასხვაფეროს და გადაადულოს ხელოვანმა ბელეტრისტმა ნამდვილი ცხოვრება“.

გრ. ყიფშიძის „სალიტერატურო მიმოხილვამ“, რომელიც ყურნალ „მოამბის“ 1896 წლის პირველ და მეორე ნომრებში დაიბეჭდა, საკმაოდ მკაცრი პოლემიკა გამოიწვია. „ივერიის“ თანამშრომელმა და მისმა ერთ-ერთმა ფელეტონისტმა ნიკო ხიზანაშვილმა, რომელიც Plebs-ის ფსევდონიმით აქვეყნებდა სტატიებს, იმჟამად რუბრიკით — „მასლაათი“, საგანგებო წერილი უძღვნა¹⁴ გრ. ყიფშიძის „სალიტერატურო მიმოხილვას“ (ყურნ. „მოამბე“, № 1).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნ. ხიზანაშვილმა თავიდანვე მეტად მკაცრი ტონი აირჩია და ნაკლებად გაუწია

14 გაზ. „ივერია“, 1896, № 32.

ანგარიში ასეთ შემთხვევებში მიღებულ ეთიკურ ნორმებს. მან წეს-
შანში ამოიღო არა სტატია „სალიტერატურო მიმოხილვებზე“ და
მედ მისი ავტორი — გიგა ყიფშიძე და შეუფერებელი ეპიტეტები
დაუწყო პაექრობა. ნ. ხიზანაშვილის მთელი ამ მოზრდილი წერი-
ლის შინაარსი სამი საკითხის გარეშე ტრიალებს: 1. გრ. ყიფშიძეს
არ უნდა ეტვირთა კრიტიკოსის მოვალეობა, არ უნდა ემსჯელა ქარ-
თული მწერლობის განვითარების პრობლემებზე, 2. შეცდომაა თაო-
ბათა პერიოდების გამოყოფა ათეული (60-იანი, 70-იანი, 80-იანი,
90-იანი) წლების მიხედვით, 3. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ
ისტორიულ-ეროვნული თემატიკით გატაცებამ თითქოს გარკვეული
ზიანიც კი მიაყენა ქართულ ლიტერატურას.

ნ. ხიზანაშვილს, ცხადია, არ ჰქონდა არც იურიდიული და არც
მორალური უფლება გრ. ყიფშიძისა და მისი ლიტერატურული შე-
საძლებლობის შესახებ ემსჯელა ისე, როგორც იგი ამას აკეთებს.
მისი მხრიდან ეს ყოვლად გაუმართლებელი კადნიერება იყო და,
რაც მთავარია, ობიექტური საფუძველი არ გააჩნდა. თაობათა შე-
სახებ მსჯელობისას კი ნ. ხიზანაშვილი თითქოს მართებულ შეხე-
დულებას გვთავაზობს, როცა ამბობს, რომ „სალიტერატურო სფე-
როში ახალს ხანას აზრთა და იდეათა მიმართულება ჰბადავს, საზ-
ნეო მისწრაფებათა სიახლე ჰქმნის, წლოვანება-სიბერე თუ სიყმაწ-
ვილე აქ არაფერს შუაშია“, მაგრამ ამ მართებულ აზრს არც გრ.
ყიფშიძე უარყოფდა. სწორედ ამგვარი მოსაზრებიდან ხელმძღვანე-
ლობდა გრ. ყიფშიძე და სწორედ ასეთ ვითარებას მიჰყავდა იგი იმ
დასკვნამდე, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის
ყველა ათეულმა დაიმსახურა ცალკე პერიოდის სახელი და შესატ-
ყვისად ამისა, თაობათა შემატებაც ხდებოდა, რასაც ნ. ხიზანაშვილი
პრინციპულად უარყოფდა, მაგრამ არ ასაბუთებდა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის
მეცნიერულმა შესწავლამ თითქმის მთლიანად გაამართლა გრ. ყიფ-
შიძის ის შეხედულება და მსჯელობა, რომელმაც თავის დროზე ნ.
ხიზანაშვილის კრიტიკა და ირონია დაიმსახურა. იგივე შეიძლება
ითქვას ისტორიული თემატიკით გატაცების შესახებაც. ამ სა-
კითხთან დაკავშირებით გ. ყიფშიძის მიერ განვითარებული შეხედუ-
ლება სავსებით შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას და სასარგებ-
ლოც იყო ჩვენი მწერლობის შემდგომი განვითარების ინტერესე-
ბისათვის.

გრ. ყიფშიძე, ცხადია, აღაშფოთა ნ. ხიზანაშვილის სტატიის
ტონმა, — ავტორის მიმართვის ფორმამ და თვით იმ შეხედულე-

ბებმაც, რომელთაც იგი იცავდა და ანვითარებდა. თავისი ეს უკმა-
ყოფილება მან საკმაოდ მკაცრად გამოთქვა საგანგებოდ დაწერილ
წერილში — „პასუხი ბატონს Plebs-ს“¹⁵.

გრ. ყიფშიძემ მკითხველის ყურადღება მიაქცია ნ. ხიზანაშვი-
ლის კალნიერ ტონსა და „მოწინააღმდეგის“ აბუჩად ავღების გაუ-
მართლებელ ტენდენციას, მაგრამ მსჯელობის სიმძიმე რეცენზენ-
ტის შეხედულებათა ავკარგიანობისა და საბუთიანობის გარკვევაზე
გადაიტანა. ამ კამათში მან უდავოდ დამაჯერებელი გახადა, რომ
ქართული ლიტერატურის ისტორიკოსს უფლება ჰქონდა ესაუბრა
ქართველ ორმოცდაათიანელებზე, სამოციანელებზე, სამოცდაათია-
ნელებსა და ოთხმოციანელებზე, ვინაიდან ყველა ამ ათეულმა ჩვენს
მწერლობაში განვითარების ახალი ეტაპი და საკმაოდ განსხვავებუ-
ლი კრედოს მქონე თაობები წარმოაჩინა. სრულიად სამართლიანად,
გრ. ყიფშიძემ განსაკუთრებული მსჯელობის საგნად აქცია 90-იანი
წლები და ის სიახლენი, რითაც ეს ათეული ხასიათდებოდა. ე. ნი-
ნოშვილის, შ. არაგვისპირელის, დ. მეგრელის, დ. კლდიაშვილის
და სხვათა გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე მან მიიჩნია ახალი თა-
ობის გამოჩენად ჩვენს სინამდვილეში. იგი ამ საკითხში დაუპირის-
პირდა „ივერიელთა“ კონცეპციას, რომელიც მეტად მტკივნეულად
განიცდიდა ქართველ სამოციანელთა უკვე წინა თაობად, თუ ძველ
თაობად, გამოცხადებას.

ნიშანდობლივია, რომ გრ. ყიფშიძე, ამ საკითხზე მსჯელობისას,
სრულიად არ ამცირებს წინა თაობათა დამსახურებას, მათ ისტორი-
ულ როლს ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის გან-
ვითარების ისტორიაში, მაგრამ აშკარად ხედავს იმ საყურადღებო
სოციალურ ცვლილებებსაც, რომლებმაც 90-იანი წლები და მისი
წარმომადგენლები განასხვავა წინა ათეულებისა და მათი მესვეუ-
რებისაგან. დღევანდელი ცხოვრება, დღევანდელი ურთიერთობა
სოფლელ მკვიდრთა შორის, — შენიშნავს იგი, — სრულიად განს-
ხვავებულია, ამიტომ „მოსე მწერალს, ტარიელ მკლავაძეს და სხვა
გმირებს ნინოშვილისას რა უნდოდათ მაშინ? ისინი მაშინ ჯერ ჩახე-
დულნიც არ იქნებოდნენ ჩვენს ცხოვრებაში. დიად, ნიქს გარდა, მი-
ზეზი დრო გახლავთ, დრო ნინოშვილის დაბადებისა, — აღზრდისა;
მისი სოციალური მდგომარეობა და ყოფაცხოვრება, იმავე დროსა-
გან წარმომდგარი“¹⁶.

გრ. ყიფშიძემ თავის კრიტიკოსს მოაგონა ისიც, რომ თაობებად

15 უტრნ. „მოამბე“, 1896, № 2.

16 იქვე.

დაყოფის დროს იგი მხოლოდ „მეტრიკული ამონაწერებით“ არ სარგებლობს, თორემ რაფიელ ერისთავს ოთხმოციანელად არ გამოაცხადებდა. დამაჯერებლად უარყო ის ბრალდებაც, რომლის მიხედვითაც იგი თითქოს უარყოფდა ორგანულ კავშირს ცალკეულ ათეულთა და მათ წარმომადგენელთა შორის. გრ. ყიფშიძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ნ. ხიზანაშვილის არც ის პუბლიცისტური დიპლომატია, რომლის მიზანი იყო კიტა აბაშიძის ამხედრება მის წინააღმდეგ და თავისი კრიტიკოსის მისამართით „ჩაილაპარაკა“: „რა საკადრისია მართებულის მწერლისათვის ეს შეგულიანება თანამეკალმესი, აბა შენ იცი, როგორც გაუსწორდებიო“...

თავისი სტატიის დასასრულს, გრ. ყიფშიძე მრავალმეტყველად აცხადებს: „სასიამოვნოა ისეთი კამათი და საპოლემიკო საუბარი, რომელსაც პირადობის ხასიათი არა აქვს. Plebs-ის პოლემიკას, მის გამოლაშქრებას კი ჩემ წინააღმდეგ ცხადად ეტყობა პირადობა“...

გრ. ყიფშიძის ამ პასუხს არ შეიძლება თავისი შთაბეჭდილება არ მოეხდინა მკითხველზე, რაც არა მხოლოდ ნ. ხიზანაშვილის არლიტერატურულ ეთიკაზე მეტყველებდა, არამედ ლამაზად არ წარმოადგენდა საერთოდ „ივერიის“ დამოკიდებულებას „მომამბესთან“. ცხადია, ეს იგრძნო ნ. ხიზანაშვილმაც, რომელმაც საგანგებო საპასუხო წერილი გამოაქვეყნა „ივერიის“ ფურცლებზე¹⁷.

ნ. ხიზანაშვილი ამჯერად თითქოს უფრო თავშეკავებულია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. იგი კვლავ ცდილობს გრ. ყიფშიძის ლიტერატურული შესაძლებლობის დამცირებას, მის მსჯელობას არამკითხველ ფილოსოფოსის ტიტინს უწოდებს და კადნიერად ამბობს: „ჩვენ ვიცით, რომ გრ. ყიფშიძე გვარიანი მუშაკია და ლიტერატურის სალაროში თავისი წვლილი შეაქვს. იგი კარგი კორექტორია, მარტად ასწორებს ხელნაწერებს, საფუძვლიანად იცის ქართული და მშვენიერი მთარგმნელია, სხვა მოღვაწე ამ ღირსებასაც იკმარებდა და თავის ქერქში დადგებოდა, მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზისა გამო, გრიგოლ ყიფშიძეს განდიდების ქავილი აქვს ატეხილი, საფილოსოფოსო საგნებს ეპოტინება, მაღალ ფარდებში ფრენას ეტრფიალებს... ეს მცირე მოღვაწე თავის ხვედრს არა სჯერდება და თითონვე სასაცილოდ იხდის თავს“.

კომენტარი ზედმეტია, ნ. ხიზანაშვილმა თვითონვე გასცა საკუთარი თავი, — გამოამჟღავნა, რომ გრ. ყიფშიძის წინააღმდეგ მას მართლაც პირადული, თუ რაღაც „ქვეტექსტი“, ამოძრავებს და ალა-

17 ვაზ. „ივერია“, 1896, № 62 („მასლაათი“).

პარაკებს, თორემ რა საფუძველი ჰქონდა ასე ეწერა გამომცემელი
ჟურნალისტი და განათლებული ლიტერატორის შესახებ? რა ამ-
ლევდა ამგვარი კადნიერების საფუძველს: საკუთარი თვალმეტყველ-
ნელი ნიჭი თუ გრ. ყიფშიძის უნიჭობა?

ნ. ხიზანაშვილმა, ამ საპასუხო წერილშიც, ვერ მოახერხა ეჩვე-
ნებინა თაობათა შესახებ გამოთქმულ გრ. ყიფშიძის შეხედულებათა
უსაფუძვლობა და თავისი აზრების, კვლავ დასაბუთების გარეშე,
განმეორების გზა აირჩია.

ამგვარმა გარემოებამ აიძულა, ალბათ, გამოჩენილი მოღვაწე
იაკობ გოგებაშვილი სპეციალური წერილით¹⁸ გამოსულიყო თვით
„ივერიის“ ფურცლებზე. როგორც სტატიიდან ჩანს, ი. გოგება-
შვილს საერთოდ არ მოსწონდა ის პოზიცია, რომელსაც „ივერია“
აღვა „მოამბის“ მიმართ და თავიანთ მკითხველს სწორ წარმოდგენას
არ აძლევდა ამ მეტად საინტერესო ჟურნალის შესახებ. იგი, პირ-
ველ ყოვლისა, „მოამბის“ ტიპის ჟურნალის მნიშვნელობასა და სა-
ჭიროებაზე ლაპარაკობს, შემდეგ თვით „მოამბის“ ღირსებებზე
ჩერდება და მისდამი მეტი ყურადღების გამოჩენის აუცილებლობა-
ზე მსჯელობს. „ორი წელიწადია, — წერს იგი, — „მოამბე“ გამო-
დის ყოველ თვე ვეებერთელა ტომებად და მთელი ოცდაათი წიგ-
ნი შესძღვნა ჩვენს საზოგადოებასაც. დიდი წილი ყოველის ნომრი-
სა შესდგება ნიჭით და ცოდნით დაწერილი წერილებისაგან, რო-
მელთა შორის ზოგნი მაინც დაამშვენებდნენ ევროპიულს საუკეთე-
სო ჟურნალებსაც — კი... ენა „მოამბისა“ უმეტესი ნაწილად ჩინე-
ბულია და ბევრათ კანონიერი და უკეთესი, ვიდრე სხვა ჩვენი პერი-
ოდული გამოცემებისა... როდესაც „ივერია“ და „კვალი“ თავის მუ-
შაკებს მეტ-ნაკლებობით აჯილდოებენ, „მოამბე“ ითხოვს თავის
რედაქციისაგან სრულიად უანგარო მოღვაწეობასა...

განა ყველა ქართველმა, ვისაც კი ცოტაოდნად გული შესტიკი-
ვა საზოგადო სიკეთისათვის, ვინც ჩვენში სერიოზული ლიტერატუ-
რის გაზრდას, წარმატებას და აყვავებას ნატრობს, ხელი არ უნდა
მოუშართოს „მოამბეს“, დაეხმაროს, რითაც კი შეუძლიან, ეცადოს
მის გავრცელებას ჩვენს საზოგადოებაში? მაგრამ ამის ნაცვლად რას
ვხედავთ? ზოგნი ჩვენგანი დაუძინებელი მტრობით ეკიდებიან, ყო-
ველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა სახელი გაუტეხონ... დაბადებიდ-
გან ჟურნალისა ერთი ღვთისწყალობა არ უთქვამთ მისთვის, სულ
ღვთისრისხვას ნატრულობენ. არც ერთი საქები წერილი არ მოუწო-
ნებიან, არც ერთი კეთილი სიტყვა არ გამოუმეტებიან. სანაცვა-

18 იაკობ სიმონიძე. შენიშვნა „მოამბეზედ“. იხ. გაზ. „ივერია“, 1896, № 67.

ლოდ, თუ რასმე კლანჭი გამოედებოდა, თუ რისამე დაწუნება შე-
საძლებელი იქნებოდა, ერთს დაღადას, ერთს ალიაქოთს ასტეხდ-
ნენ“.

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილმა საკმაოდ მისახვედრად
გაკენწლა „ივერიის“ ბელეტრისტი თვით „ივერიის“ ფურცლებზე.
ამასთან ერთად, მან საგანგებოდ, და სრულიად ობიექტურად, ხაზი
გაუსვა ჟურნალ „მომამბის“ ღირსებებს და მის თანამშრომელთა მი-
საბაძ პატრიოტულ და უაღრესად სასარგებლო ლიტერატურულ
საქმიანობას.

მიუხედავად ამისა, სულ რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „ივე-
რიაში“ დაიბეჭდა „ბიბლიოგრაფია“ 1896 წლის „მომამბის“ მეორე
და „ჯეჯილის“ მესამე ნომრებზე¹⁹. იგი ხელმოუწერელია, მაგრამ
შინაარსიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ნ. ხიზანა-
შვილს ეკუთვნის. წერილი იწყება ასეთი ფრაზით: „ჩვენდა სამწუ-
ხაროდ ეს ნომრები „მომამბისა“ და „ჯეჯილისა“ მოკლებულნი არიან
ინტერესს...“

ჯერ ერთი, დასახელებულ ჟურნალთა ეს ნომრები სრულებით
არ არიან მოკლებულნი ინტერესს. მაგრამ, ასეც რომ იყოს, ცხა-
დია, მოძმე ორგანოს ფურცლებზე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის
ასე დაწყება, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უტაქტობაა. ბიბლიოგრა-
ფიის ავტორს საერთოდ არ აქვს მიზნად რაიმე სერიოზული მსჯე-
ლობის წარმოება და მხოლოდ დაუსაბუთებელი ფრაზებით სურს
შთაბეჭდილების შექმნა. ის კი აშკარად ჩანს, რომ ცდილობს, გარეგ-
ნულად მაინც, უფრო ელეგანტური იყოს; სურვილი აქვს არ გავ-
დეს წინამორბედ ბიბლიოგრაფს და ადვილი არ იყოს მათი იგივე-
ობის გამოცნობა. მაგრამ გრ. ყიფშიძის „სალიტერატურო მიმოხილ-
ვის“ გვერდის ავლას მაინც ვერ ახერხებს და დასძინს: „გრ. ყიფში-
ძე სალიტერატურო მიმოხილვაში ისევ ძმათა რაზიკაშვილების ლი-
ტერატურულს მოღვაწეობას არჩევს. ხოლო რაიცა შეეხება ავტო-
რის აზრს საზოგადოდ მწერლობაზედ, რომ იგი ვერ გადასწყვეტს
ვერავითარს საგანს ცხოვრებისას და ისიც მწვავე საგანს, ამაზე ლა-
პარაკი შორს წაგვიყვანდა. რამდენადაც გავიგეთ ბ. ყიფშიძე იმ მოძ-
ღვრების მოსარჩლეა, რომელიც აღიარებს „წმინდა ხელოვნებასა“
და „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“...“

როცა ბიბლიოგრაფი შენიშნავს, რომ „...ამაზე ლაპარაკი შორს
წაგვიყვანდაო“, გასაგებია რას ერიდება: არ სურს გამოამჟღავნოს,
რომ წერილის ავტორი კვლავ იგია, ვინც ამ საკითხზე ადრეც მსჯე-

¹⁹ გაზ. „ივერია“, 1896, № 69.

ლობდა. მაგრამ ახლა კიდევ უფრო დიდ შეცდომას უშვებს: გრ. ყიფშიძეს წამებს წმინდა ხელოვნების ერთგულებას და თეორიის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ გაზიარებას. ძნელი საფუძველია, რომ იგი არ გრძნობდა ამგვარი ბრალდების უსაფუძვლობას, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენაზე მეტად, ჩანს, მოწინააღმდეგისათვის „ჭრილობის“ მიყენება აინტერესებდა.

გადის კიდევ რამდენიმე დღე და „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდება ნ. ხიზანაშვილის ხელმოწერილი წერილი „ბ. იაკ. სიმონიძეს“, თანაც სათაურ ქვეშ, ფრჩხილებში, ვკითხულობთ: „საკენკი“.

იაკობ გოგებაშვილისადმი მიმართული წერილისათვის ასეთი შენიშვნის გაკეთება ნ. ხიზანაშვილის მხრიდან, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, წონასწორობიდან გამოსვლა იყო.

ნ. ხიზანაშვილი საკმაოდ ნასიამოვნები ტონით იწყებს თავის სტატიას: „ბ. ი. სიმონიძე ძალიან გაუწიწმამტებია ჩვენს ბიბლიოგრაფიას...“ და მთელი პატარა წერილი ამ ამავდარი მოღვაწის შეურაცხმყოფელი ფრაზებითაა ავსებული. იგი იქამდეც კი მიდის, რომ რაღაც „დასმენასაც“ კი აბრალებს მას და ამაყად აცხადებს იმის შესახებაც, რომ „ივერიაში“ მისთვის წერილი არ დაუბეჭდიათ.

შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნ. ხიზანაშვილის ამგვარი ხელგახსნილად მოქმედება „ივერიის“ უტაქტობადაც კი უნდა მივიჩნიოთ საერთოდ.

უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ „ივერიის“ ამ პერიოდში აკლია მისი გამოცდილი რედაქტორის ხელი, ხოლო მის მიერ ნდობით აღჭურვილი ზოგიერთი თანამშრომელი ყოველთვის როდი იდგა თავისი მოწოდების სიმაღლეზე, გარდა ამისა, „ივერიის“ მიმართულება თითქოსდა „აჭრელდა“, თანაც ახლისა და პროგრესულის ერთგულებაში ხშირად ჩამორჩებოდა პრესის სხვა ორგანოებს.

ერთი რამ მაინც აშკარა გახდა: გრ. ყიფშიძე — კრიტიკოსმა ფართო მკითხველის ყურადღება მიიპყრო „მოამბის“ ფურცლებიდან, რამაც უდავო გახდა, რომ ე. წ. „შავი ჟურნალისტური სამუშაოების“ ბრწყინვალე მცოდნესა და შემსრულებელს ცოდნა და შესაძლებლობა არ აკლდა სხვაგვარი ლიტერატურული საქმიანობაც ეწარმოებინა. მან, როგორც კრიტიკოსმა, თვით მწერალთა ყურადღებაც მალე დაიმსახურა და მის შეხედულებებს საკმაო გამოცხადილი ჰქონდა. ამას მოწმობს თუნდაც დუტუ მეგრელის საკმაოდ საინტერესო სტატია „სალიტერატურო შენიშვნები“, რომელიც „კვალში“ გამოქვეყნდა 1896 წელს (№ 19).

დ. მეგრელმა ხაზი გაუსვა იმ ვითარებას, რომ ლიტერატურული კრიტიკა ისეთივე შემოქმედებითი პროცესის პროდუქტია, როგორც მხატვრული ლიტერატურა. კრიტიკოსი ზოგჯერ მეტად კოლეგების წინაშეა, ვინემ მწერალი, მაგრამ კრიტიკაცაა და კრიტიკაც: „თუ ერთნაირი კრიტიკა, — წერს ის, — უდრის პოეტურ შემოქმედებას; თუ იგი უფრო ძნელიც არის უკანასკნელზე ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან მარტო ბუნებით ნიჭი არ არის საკმარისი... არამედ საჭიროა თანამედროვე მეცნიერული და ფილოსოფიური განათლების მიღებაც“, მეორე სახის კრიტიკა, ძირითადად, მწერლისადმი სიმპათია-ანტიპათიას ემყარებაო.

ასეთი საერთო თეორიული ხასიათის მსჯელობის შემდეგ დ. მეგრელი გადადის ქართული კრიტიკის მდგომარეობის დახასიათებაზე და გამოთქვამს შეხედულებას, რომ „ჩვენ მწერლობაში დღეს ორი... კრიტიკოსი მოღვაწეობს: ბ. გ. ყიფშიძე, ყურნალ „მოამბის“ სალიტერატურო მიმომხილველი, და კიტა, გაზეთ „ივერიის“ კრიტიკოსი“.

დ. მეგრელის ეს სიტყვები მრავალმხრივია საგულისხმო და საყურადღებო. სრულიად საწინააღმდეგოდ ნ. ხიზანაშვილისა და მისი თანამოაზრეებისა, იგი გრ. ყიფშიძეს არა თუ ანგარიშვასაწევ კრიტიკოსად თვლის, არამედ მას კიტა აბაშიძის გვერდით აყენებს და, რაც მთავარია, ისინი მიაჩნია წამყვან კრიტიკოსებად.

მაგრამ დ. მეგრელს როგორც გრ. ყიფშიძესთან, ასევე კიტა აბაშიძესთან, გარკვეული პრეტენზიები აქვს; ბევრ რამეში უკმაყოფილოა მათი ლიტერატურული პოზიციებით.

კერძოდ, გრ. ყიფშიძეს იგი თვლის „ტეტიათა მოტრფიალე“ გუნდის წარმომადგენლად. ამიტომაც, — მბობს იგი, — „მის ყურადღებას იმსახურებენ მხოლოდ ის ქართველი მწერალნი, რომელნიც მთელ თავის ძალ-ღონეს ქართველი „ტეტის“ დასურათებას ანდომებენ... ჩვენ ცოტათი თუ ბევრათ ნიჭიერ მწერლებსაც იმდენად იხსენიებს კრიტიკოსი, რამდენადაც ეს უკანასკნელი აკმაყოფილებენ მის ერთად-ერთ მოთხოვნილებას ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურისაგან. ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა, ეგნ. ნინოშვილი და შ. არაგვისპირელი, აი ის მწერალნი, რომელთაც, ბ. გ. ყიფშიძის აზრით, არავითარი ნაკლულევანება არა აქვთ“...

დ. მეგრელის ამ შეხედულებას დაკვირვება და ანალიზი ესაჭიროება. პირველ ყოვლისა, გრ. ყიფშიძე არ ეკუთვნის ე. წ. ტეტიათა მოტრფიალეებს. მან, მართალია, ადრე განიცადა ხალხოსანთა გავლენა, მაგრამ მალე განთავისუფლდა ამ გავლენისაგან. რაც შე-

ენება მის — როგორც კრიტიკოსის პოზიციას, რომელიც მეტ გამართლებას აძლევდა სოფლის ცხოვრებისა და სოფლის მეურნეობის ცხოვრების აღწერას, დ. მეგრელს სწორად აქვს შემჩნეული. ყიფშიძემ მწერალთა ყურადღება სწორედ ამ თემების წინ წამოწევაზე გაამახვილა და ნაჩქარევად და შეუძლებლად მიიჩნია ინტელიგენტის დადებითი სახის შექმნის ცდაც კი. ამასთან ერთად, მან ვერ შენიშნა ქალაქის ცხოვრებაში მომხდარი არსებითი მნიშვნელობის ცვლილება, მუშათა კლასის თანდათანობითი გაძლიერება და მისი დიდი პერსპექტივა. რაც შეეხება ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანას, ეგნ. ნინოშვილისა და შ. არაგვისპირელის შემოქმედების მნიშვნელობის გამოკვეთილად წინ წამოწევას, ამისათვის გრ. ყიფშიძეს, ცხადია, საყვედური არ ეკუთვნის. ამ მწერალთა ღირსებათა და შესაძლებლობისთვის ხაზგასმა კრიტიკოსის უეჭველი დამსახურებაა. ასევე სუსტია დ. მეგრელის პოზიცია ალ. ყაზბეგის „ვინ ვავამტყუნოთ?“ შესახებ გრ. ყიფშიძის მიერ გამოთქმული შეხედულების კრიტიკის დროს.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენ გვინტერესებს ყურადღების გამახვილება ერთ გარემოებაზე: გრ. ყიფშიძის კრიტიკული წერილების ქმედითობაზე. ისინი არ დარჩენილან ხმად მალაღებლად უდაბნოსა შინა და თავიანთ როლს ასრულებდნენ ლიტერატურული და კრიტიკული აზრის შექმნის საქმეში.

ყურნალ „მოამბის“ 1896 წლის მესამე ნომერში გრ. ყიფშიძემ კვლავ გამოაქვეყნა თავისი მორიგი „სალიტერატურო მიმოხილვა“, რომელსაც აქვს საგანგებო ქვესათაურიც — „საკრიტიკო და საპოლემიკო შენიშვნები“. ამგვარი ქვესათაურით თავიდანვე აშკარა გახდა, რომ კრიტიკოსი, თავის კრიტიკულ შეხედულებებთან ერთად, მკითხველს სთავაზობდა განმარტებებს მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე და, ამდენად, იგი პოლემიკური შინაარსისაც იყო.

დასახელებული „სალიტერატურო მიმოხილვა“ კრიტიკოსმა დაიწყო ლალიონის (არსენ მამულაშვილის, 1866—1918) „ფირალი დავლაძის“ შეფასებით. მართალია, ეს მოთხრობა ერთი წლის წინათ დაიბეჭდა²⁰ და მის გამოქვეყნებას სათანადო გამოძახილიც მოჰყვა, მაგრამ საფუძვლიანი შეფასება მისთვის არავის მიუცია. ამიტომ გრ. ყიფშიძემ საჭიროდ ჩათვალა თავისი მოსაზრება გამოეთქვა მის შესახებ.

გრ. ყიფშიძემ, ძალიან მოკლედ, მკითხველს მოუაგონა „ფირალი“

²⁰ ჟურნ. „მოამბე“, 1895, №№ 4, 5.

ლი დავლაძის“ შინაარსი და აგრძნობინა, რომ მოთხრობის შინაარსი, მისი ქარგა მართალია განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ „საქმე ქარგა კი არ არის, საქმე ის არის, ამ ქარგანზე რა მოუქარგავს მწერალს, რა სახე—ხასიათის კაცნი აუფერადებია, რა დაუსურათებია ზედ“.

კრიტიკოსის შეხედულებით, „ფირალ დავლაძეში“ მწერალმა დასვა რამდენიმე საინტერესო საკითხი, რომელთა გაშუქებაც მას მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებს ჩვენი ბელეტრისტიკის ისტორიაში. კერძოდ, ვანოსა და მისი მშობლების ურთიერთობით ლალიონმა საკმაოდ დამაჯერებლად და შთამბეჭდავად გვაჩვენა აღზრდის ის მავნე მეთოდი, რომელსაც იმდროინდელი შემოდგომის აზნაურები იყენებდნენ თავიანთი შვილების აღზრდისას. ამგვარი აღზრდის წყალობით კი ერი ნაგვიანდებოდა უსარგებლო და მავნე ადამიანებით. გარდა ამისა, მოთხრობაში, ნიკოს სახით, დახატულია ახალი ცხოვრების მიერ წარმომოხილი ტიპი; „ნიკო ტიპია ჩვენებურის „კულაკისა“... რომელსაც ყველაფრის თავი და ბოლო ფული ჰგონია“.

გრ. ყიფშიძის თქმით, ნიკოს მსგავსი პერსონაჟები შეგვხვდებოდა გ. ნინოშვილისა და გ. წერეთლის მოთხრობებშიც, მაგრამ ნიკო მაინც „სულ ახალი ტიპია“. დავით დროიძე (ე. ნინოშვილის „სიმონა“) სოფლის ყვლეფითაა გამდიდრებული, მაგრამ მაინც „უფრო ფრთხილია, უფრო დინჯი, უფრო დარბაისელი“. ასევე, ბახვა ფულავა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“) მართალია ქალაქში „მოღვაწეობს“, მაგრამ თავხედი და უთავმოყვარეო არ არის. ასე რომ, კრიტიკოსის შეხედულებით ნიკო („ფირალი დავლაძე“) ახალი ტიპია. მისივე თქმით, მოთხრობაში „ვხედავთ ისეთს სფეროს, რომელიც ჯერ ჩვენს საბელეტრისტო მწერლობას არ დაუსურათებია, არ გაუხდია საგნად თვისის სამხატვრობო დაკვირვებისა, შესწავლისა. ასეთია სფერა ბავშვის აღზრდისა დღევანდელს ჩვენს ღარიბ თავად-აზნაურთა ოჯახში“.

ერთი სიტყვით, გრ. ყიფშიძე, სრულიად სამართლიანად, „ფირალ დავლაძეში“ ხედავს ახალ შტრიხებს როგორც პერსონაჟთა სახეების გამოკვეთისას, ასევე მათ გარშემო შექმნილ სათანადო სიტუაციებში. ამიტომაც, „თუმცა ფაბულა, ჩონჩხი მისი არ ახალია, ძველია და ბევრს სხვასაც გამოუყენებია თვისთა ქმნილებათა დასაწერად, მაინც მოთხრობას დიდის ხალისით კითხულობს ადამიანი იმ ადგილამდე, ვინემ ივანეს შეიპყრობენ და ნინოს მიათხოვებენ ნიკოს. ხოლო შემდეგ მოთხრობას, ცოტად თუ ბევრად, ხალისი ეკარ-

გება და მთლად ბოლოს მელოდრამატული ხასიათი სძევს. სატრაგედო სცენები, რომელიც ნამდვილად არავითარს ტრაგიზმს არ შეიცავს, ზედი-ზედ მოსდევს შემდეგ ერთმანეთს და მკითხველს ნაკლებადლა სძრავს“. ამ საერთო ნაკლს, — ერთიანი შთაბეჭდილების სისუსტეს, — კრიტიკოსი ხსნის იმით, რომ ავტორმა სათანადო პროპორცია ვერ დაიცვა მთავარ და მეორეხარისხოვან გმირთა სახეების გამოქანდაკებისას. „უპირველესი მოთხოვნა სამხატვრო შემოქმედებისა, — წერს იგი, — არის... დაცვა პერსპექტივისა, ჩრდილ-სინათლისა; გაშუქება და წინა პლანზედ დაყენება იმისი, რაც პირველ პლანზეა, — უკან დაყენება იმისი, რასაც ჩრდილი ეფინება, რაც უკან უნდა იდგეს. ეს არის მიზეზი, რომ ეს მოთხრობა, რომელშიც იმდენი საუკეთესო ადგილებია, ისეთი საუცხოვო ტიპებია... ძლიერად ვერ მოქმედებს ადამიანზედ...“

გრ. ყიფშიძის შეხედულებით, „ფირალი დავლაძე“ იმის მაუწყებელიცაა, რომ მის ავტორს აქვს დაკვირვების კარგი ალღო და მოსაწონი სამწერლო ნიჭი. მას ყველა მონაცემი აქვს გააგრძელოს ეგნ. ნინოშვილის დაწყებული საქმე, თუკი საზოგადოება გამოიჩენს საჭირო ყურადღებასა და თანაგრძნობას მისდამი. ასეთ რწმენას კრიტიკოსს უძლიერებს მწერლის სადებიუტო ნაწარმოების მშვენიერი ენაც, თუმცა, როგორც იტყვიან, უკან დასახვევ გზასაც იტოვებს და წინასწარვე აცხადებს, თუ მისი იმედი არ გაამართლა ლალიონმა, ამაში დამნაშავე იქნება ჩვენი საზოგადოებრიობა, რომელიც ჭერჯერობით კიდევ ვერ იჩენს სათანადო გულისხმიერებას მწერლობისადმი.

საგულისხმოა, რომ „ფირალი დავლაძით“ დაინტერესდა შემდეგში კარგად ცნობილი მარქსისტი კრიტიკოსი ალექსანდრე წულუკიძეც, რომელმაც გაზეთ „კვალში“ (1898, №№ 44, 45, 48) გამოაქვეყნა მეტად საინტერესო სტატია „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“.

მისი შეხედულებით, „ნიკო კაპიტალისტური წესწყობილების მომასწავებელია, იგი ახალი დროის მერცხალია, რომელიც ასე მშვენიერად დახატა „ფირალი დავლაძის“ ავტორმა“.

პროფ. ს. ჭილაია საგანგებოდ იმოწმებს გრ. ყიფშიძეს და დასკვნის, რომ „ლალიონმა ნინოშვილის, როგორც ახალი რევოლუციური დემოკრატიული მწერლების მეთაურის იდეები მიიღო და თავისებურად განაეითარა, თავისებურად შეუფარდა შემდგომ ეპოქას“²¹.

21 ს. ჭილაია. უახლესი ქართული მწერლობა, 1972, გვ. 99.

ამგვარად, გრ. ყიფშიძის მიერ ლალიონის შესახებ გამოთქმული შეხედულებები გაზიარებული და განვითარებული იქნა შემდეგი დროის მკვლევართა მიერ, რაც მათ მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს.

თავისი ამ „სალიტერატურო მიმოხილვის“ მეორე ნაწილი გრ. ყიფშიძემ კვლავ ნიკო ხიზანაშვილთან პოლემიკას დაუთმო.

ნ. ხიზანაშვილის ბოლო გამოსვლას მასზე ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ მის კრიტიკოსს ძველებური ზვიადობა დაკარგული აქვს, მაგრამ ობიექტურ და გულწრფელ განმარტებებს მაინც კვლავ თავს არიდებს, საკითხთან კავშირში არმყოფ ძველ ამბებს იგონებს და მკითხველის შეცდომაში შეყვანას ცდილობს. „ვსტყვათ,—შენიშნავს გრ. ყიფშიძე, — იმ სხვამ თხუთმეტის წლის წინათ მართლა საბუთიანად ამიგდო მასხრად (საკითხი ეხება ნ. ხუდადოვთან პოლემიკას— დ. შ.), ვსტყვით ისიცა, რომ მაშინდელი ჩემი ნაწერი სწორედ სასაცილო და სასტიკად გასაკიცხი იყო, განა ეს საბუთია იმისი, რომ დღევანდელი ნაწერიც სასაცილოდ ასაღებია და გასაკიცხი?“ თანაც იქვე მიუთითებს, რომ მისი ძველი კრიტიკოსი მაშინ არა მხოლოდ მას მისწვდა, არამედ ალ. ყაზბეგსა და ი. ჭავჭავაძესაც, რისთვისაც სათანადო პასუხი მიიღო როგორც ილიასაგან, ასევე მისგანაც.

შეიძლება ითქვას, რომ ნ. ხიზანაშვილთან პოლემიკაში გრ. ყიფშიძემ არა მარტო თავისი კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, არამედ განსწავლულობაც და ლიტერატურული ერთდირებაც გამოავლინა, რამაც მისი — როგორც კრიტიკოსის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა.

დასახელებულ „სალიტერატურო მიმოხილვაში“ გრ. ყიფშიძემ პასუხი გასცა აგრეთვე „ივერიაში“ გამოქვეყნებულ „მოამბისა“ და „ჭეჭილის“ მეორე ნომრების ბიბლიოგრაფიის („ივერია“, 1897, № 69) ავტორს, რომელმაც ხელმოუწერლად დაბეჭდა თავისი წერილი. როგორც უკვე მივუთითეთ, წერილის მთელი შინაარსი იმაზე მეტყველებს, რომ მისი ავტორიც ნ. ხიზანაშვილი იყო.

„ბიბლიოგრაფიის“ ავტორთან კამათის დროს გრ. ყიფშიძემ ყურადღება გაამახვილა ორ გარემოებაზე: 1. საზოგადოდ მწერლობისა და ლიტერატურის ცნებებში იგი გულისხმობს არა პოეზიასა და ბელეტრისტიკას, არამედ პუბლიცისტიკასა და სამეცნიერო ნაშრომებს. ამიტომ, მას მიაჩნია, რომ საზოგადოდ მწერლობა, ლიტერატურა მოწოდებულია საზოგადოებრივი საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ პოეზიას და ბელეტრისტიკას ამგვარი ძალა არ შეს-

წევს; 2. რეცენზენტს მეტად „გულუხვად“ დაუმახინჯებია მისი სიტყვები, რის გამო მკითხველს სწორ წარმოდგენას არ უქმნის ავტორის შეხედულებებზე. ამის ნათელსაყოფად გრ. ყიფშიძის სათანადო მაგალითები, რაც უფლებას აძლევს მას პატარა მორალიც წაუკითხოს თავის კრიტიკოსს.

ამ საინტერესო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გადის საკმაოდ რო და გრ. ყიფშიძის კრიტიკულ წერილებს ველარ ვხვდებით ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობა და მთარგმნელობითი საქმიანობით გატაცება მას დროს აღარ უტოვებდა კრიტიკის ასპარეზზე მოღვაწეობისათვის. მაგრამ ჟურნალ „მოამბის“ 1899 წლის მესამე ნომერში კვლავ დაიბეჭდა საინტერესო კრიტიკული წერილი ეკატერინე გაბაშვილის „საყმაწვილო მოთხრობანის“ გამოსვლასთან დაკავშირებით.

აღნიშნული სტატია ყურადღებას იპყრობს როგორც ეკ. გაბაშვილის მოთხრობების მაღალი მხატვრული გემოვნების პოზიციიდან შეფასებით, ასევე თეორიულ-ლიტერატურული ხასიათის მსჯელობებით. კრიტიკოსის თქმით, ეკ. გაბაშვილის ე. წ. საყმაწვილო მოთხრობები „ერთნაირად სახალისო და სასარგებლო საკითხავია, როგორც პატარებისათვის, ისე დიდებისთვისაც“. და ეს გარემოება მას სრულიად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, ვინაიდან, მისი შეხედულებით, „რაც კარგია და სახალისო, გასართობი და სასარგებლო ხელოვნებაში ყმაწვილებისათვის, ის შეუძლებელია იმავე დროს კარგი არ იყოს და გულსმოსახვედრი დიდებისთვისაც“. შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკოსის ეს დებულება ამჟამადაც ყველასათვის გასაზიარებელია. მის ჭეშმარიტებაზე, როგორც თვითონაც შენიშნავს, ლაპარაკობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისათვის კარგად ცნობილი ნაწარმოებები, ამასვე ადასტურებს ქართული მწერლობის ისეთი ნიმუშებიც, როგორცაა ნ. ლომოურის „ქაჯანა“, შ. არაგვისპირელის „ჩემო შვინდა“, ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, ვაჟა-ფშაველას „ეტიუდები“ და სხვ.

გრ. ყიფშიძის აზრით, „ოღონდ სამხატვრო თხზულება ნამდვილის გრძნობით იყოს გამოხარი, ნამდვილის ხელოვნებით იყოს დაწერილი, სინამდვილითა და ზედმიწევნით ჰხატავდეს ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას; ერთი სიტყვით, ოღონდ კი ნაწერი იყოს სავესტე ჭეშმარიტის შემოქმედობის მაღლითა და შინაარსით არ შეეხებოდეს ბავშვის გონებისათვის მიუწვდომელს რასმე საგნებსა და შეგიძლიათ დარწმუნებით ბრძანოთ, რომ იმ ნაწერს დიდივით ბავ-

შვიც ალტაცებით წაიკითხავს, დიდივით ისიც აღფრთოვანდება და
ნასიამოვნები, დამტკბარი, გატაცებით შეიყვარებს დამწერს
გორც დიდ ხელოვან ოსტატს, თავის დიდ მოძღვარს“.

კრიტიკოსის ამ შეხედულებას მართალია ჰყავს მოწინააღმდე-
გენი, მაგრამ მას დღესაც ბევრი იზიარებს და სრულიადაც არ არის
ადვილად უარსაყოფი. თუმცა, როგორც თვითონაც შენიშნავს, ასე-
თი მწერლები და ასეთი ნაწარმოებები მეტად ცოტანი არიან სა-
ერთოდ და მით უმეტეს ჩვენში. ქართული მწერლობის საკმაოდ
სუსტ ადგილს შეეხო კრიტიკოსი, როცა მიუთითა, რომ ბევრი ქარ-
თველი მწერალი ძალიან მერყეობდა თავის შემოქმედებით ევოლუ-
ციაში; ისინი „ერთ ნაწერს რომ შემოგვთავაზებენ კარგს, ხელოვ-
ნებით სრულს, ყოვლად უმანკოს, მეორეს ისეთს მოგვიძღვნიან, რომ
უთუოდ რამ სიდუხჭირე უნდა ეტყობოდეს... ჩვენებური მწერალი
ერთსა და ორს რომ დასწერს მართლა რიგიანს, უნაკლოსა, გულისა
და გრძნობის დამატებობელს, მერე ან სულ ჩაუქრება ღვთიური
ცეცხლი, ან მესამესა და მეოთხეს ისეთს შესთხზავს, რომ ექვობ და
ამბობ, ნუთუ ესეც იმ ხელოვანის სახელოსნოში მომზადდა, სადაც
ის ორი პირველი იმისი ნაწერიო“.

გრ. ყიფშიძის ეს მტკივნეული შენიშვნა ჩვენი მწერლების მი-
სამართით, სამწუხაროდ, დღემდე რჩება ძალაში, რასაც ხაზგასმა და
საფუძვლიანი ახსნა ესაჭიროება.

სარეცენზიო კრებულში მოთავსებული ეკ. გაბაშვილის თქ-
ვისმეტყვე მოთხრობა გრ. ყიფშიძემ, ძირითადად, მოიწონა, მაგრამ,
ცხადია, თავისი მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსებების გამო ზო-
გიერთი მათგანი გამოჰყო და ქართული ბელეტრისტიკის ოქროს
ფონდის კუთვნილებად გამოაცხადა. მისი თქმით, „ყველას ცხადად
ემჩნევა სამხატვრო ნიჭი ავტორისა, უნარი დაკვირვების, ფანტა-
ზია, — ეს დედა შემოქმედებისა, — გრძნობა ზომიერებისა და სიყ-
ვარული, ღვთიური სიყვარული ხელოვანი-ოსტატისა იმ ქვეყნისა
მიმართ, რომელსაც გვისურათებს, თვალ წინ გვიყენებს. თითო-
ოროლა ხომ ამ თექვსმეტში ისეთია, რომ ხელის-ხელ საგოგმანე-
ბელს მარგალიტსა ჰგავს; თითო-ოროლა ნაყოფია ნამდვილისა და
მაღალის შემოქმედებისა. ამ მხრივ კარგია მეტადრე „მაგდანას
ლურჯა“, რომელიც... არაფრით არ ჩამოუყვარდება... შედეგებს
ჩვენი სიტყვა კაზმულის მწერლობისა“.

„მაგდანას ლურჯას“, კრიტიკოსის აზრით, ვერ შეედრება ავ-
ტორის ვერც ერთი სხვა ეტიუდი. მასში სრულყოფილდაა გამომ-
ქვადნებული მწერლის მხატვრული ნიჭი და ტემპერამენტი; იგი

აღსავსეა დრამატიზმით მდიდარი ადგილებით, რომელთაც ისტორი-
ემოციური ზემოქმედების უნარი აქვთ, რომ მკითხველი ვერ იფიქ-
რებს მათ და თავს ვერ აღწევს მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ეკ. გაბაშვილის მოთხრობებით ასე აღფრთოვანებულ კრიტი-
კოსს შესაძლოა საჭიროდ აღარ ჩაეთვალა საყვარელი მწერლის
სუსტ მხარეებზე შეჩერება, მაგრამ გრ. ყიფშიძე შორსაა ამგვარი
ცდუნებისაგან. მას სურს სწორედ ასეთ ნიჭიერ მწერალს არ აპა-
ტიოს შემჩნეული ნაკლოვანებანი, რის გამო ხაზგასმით მიუთი-
თებს: „ერთი ძირითადი ნაკლი სჭირს ეკ. გაბაშვილის შემოქმედებას...
ძალას ატანს თავს, უთუოდ სიბრაღული, — ეს დიდი დიდებული და
მადლიანი გრძნობა ადამიანისა, — აღუძრას მკითხველს... ავტორს
ავიწყდება რომ ეგ აღძვრა, ეგ აღფრთოვანება ამ მადლიანი გრძნო-
ბისა ძალის-ძალად არ უნდა სწარმოებდეს, ან ღარიბისა და ჩაგრუ-
ლის მეტის-მეტად მუქის ფერადების დახატვითა და ან ადამიანის
უგულობისა და გულ-ქვაობის მეტის-მეტად გაზვიადებითა“.

გრ. ყიფშიძე არც ამ შემთხვევაში ლალატობს ჭეშმარიტებას.
მან მეტად მართებულად და პრინციპულად შენიშნა ნიჭიერ მწერალ
ქალს ის არსებითი ხასიათის ნაკლი, რომელიც მას ახასიათებდა.
მაგრამ იგი არ შეეცადა მისი მიზეზების გამორკვევას და მკითხველს
ვერ აჩვენა, რომ ეს ნაკლოვანება იყო არა მისი სამწერლო ნიჭიდან
გამომდინარე, არამედ ხალხოსანთა მსოფლმხედველობრივი კრედოს
უარყოფითი გავლენის შედეგი. ხალხოსნური იდეებით გატაცებულ
მწერალს არ შეეძლო ყოველმხრივ განთავისუფლებულიყო ამ მიმ-
დინარეობის დამახასიათებელი მცდარი კონცეფციისაგან, თუმცა იგი
არ ყოფილა ორთოდოქსი ნაროდნიკი.

გრ. ყიფშიძემ თავის სტატიაში ხაზგასმით მიუთითა, რომ მხატ-
ვრულ ნაწარმოებზე ცუდ გავლენას ახდენს მწერლის ტენდენციუ-
რობის აშკარა გამოვლენა; „წინდაწინვე აჩემებული ტენდენცია არ
უნდა აჰყვეს მწერალს, არ უნდა ეტყობოდეს ნაწერს, საით არის
თანაგრძნობა მწერლისა. სენტენცია, მორალი კარგია, როცა იგი
თავით თვისით გამომდინარეობს ნაწერებიდან, როცა იგი შექსოვილი
აქვს თვით დახატულ სურათს... მიტმასნებული ტენდენცია სიკვდი-
ლია ნაწარმოებისა“.

ცხადია, გრ. ყიფშიძე ორიგინალური არ არის ამ შემთხვევაში,
მაგრამ იგი სრულიად სამართლიანად იზიარებს „მიტმასნებული
ტენდენციის“ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას და, რაც მთა-
ვარია, სავსებით მართებულად საყვედურობს ეკ. გაბაშვილს ამგვა-
რი არასასიამოვნო რეციდივის გამო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გრ. ყიფშიძემ ეკ. გაბაშვილის მოთხოვნათა კრებულს უძღვნა ერთ-ერთი საუკეთესო რეცენზია, რომელშიც მოკლედ, მაგრამ დამაჯერებლად, წარმოადგინა მწერალი ქალის როგორც ნიჭიერება და მხატვრული ოსტატობა, ასევე მისი ჩრდილოვანი მხარე. ამასთან ერთად, კრიტიკოსმა მწერალს მისცა თავისი გულწრფელი რჩევა: „საზოგადოდ, ჩვენს დიდათ ნიჭიერს და ნაყოფიერს ბელეტრისტ ქალს. ვუსურვებთ მეტ ობიექტურობას, ნაკლებად ჩარევას მოთხოვნაში, ნაკლებად გამოჩენას თვისის სიმბათია-ანტიპათიისას და მეტ ხანს გულში ტარებას იმ სურათებისას, რომელსაც მერე მოთხოვნად აჰკინდავს და სამხატვრო ქმნილებად გარდაჰქმნის ხოლმე. ამ შემთხვევაში, შეიძლება, რიცხვით უფრო ნაკლები ნაწარმოები გვაჩუქოს, მაგრამ, სამაგიეროდ, იმედია ეს ნაწარმოები ისეთი იყოს, როგორიც არის მისი „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩეხა“, „ორ-ენა და ქუჩე“ და ორიოდ კიდევ სხვა“.

გრ. ყიფშიძის ეს წერილი ჩვენ მიგვაჩნია ეკ. გაბაშვილის შესახებ დაწერილ ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვან კრიტიკულ წერილად, რომელიც მკითხველსაც და ავტორსაც სწორ ორიენტაციას აძლევდა და უადვილებდა მათ წინაშე მდგომი კითხვების გადაწყვეტას.

ამგვარად, გრ. ყიფშიძემ ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ბევრი საინტერესო კრიტიკული სტატია, რომლებმაც სათანადო გამოძახილი და ყურადღება დაიმსახურეს. ამ სტატიებით იგი მხარში ამოუდგა ოთხმოცდაათიანი წლების გამოჩენილ ქართველ კრიტიკოსებს და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა მის თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედების კრიტიკული შესწავლის საქმეში.

ივანე მკვდლიშვილი

„კვალის“ პუბლიცისტიკის ძირითადი მოტივები
(1893—1896 წწ.)

„სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი“ „კვალი“ გამოსვლას იწყებს იმ პერიოდში (1893 წ.), როცა ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობა მტკიცედ დამკვიდრდა ცხოვრებაში და მან აშკარად გამოიჩინა ერთმანეთისაგან კაპიტალის მეპატრონე მდიდრები და არაფრისმქონე პროლეტარიატი.

ყოველივე ამას ამჩნევდნენ „კვალის“ თანამშრომლები და ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი ორგანო ახალი ცხოვრების სამსახურში ჩაეყენებინათ. ეპოქით ნაკარნახევ გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და დასახული მიზნის შესასრულებლად „კვალის“ დამაარსებლებმა (გ. წერეთელი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა) თანამშრომლებად მოიწვიეს ცნობილი ლიტერატორები, პუბლიცისტები, კრიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები.

„კვალის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1893 წლის 3 იანვარს. მისი არსებობის მთელ მანძილზე გამომცემლ-რედაქტორი იყო მწერალი ჟურნალისტი ა. თუმანიშვილი-წერეთლისა, — ჟურნალების „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ რედაქტორი. გაზეთს იდეურ ხელმძღვანელობას, და ხშირად ფაქტიურ რედაქტორობას, 1897 წლის ბოლომდე უწევდა გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი.

როგორც მთავრობისაგან ნებადართული ყველა ორგანოს, ასევე „კვალის“ პროგრამა შეზღუდული იყო. ამიტომ არსებობის პირველი წლის განმავლობაში რედაქცია ზედმეტად ფრთხილობდა გასაშუქებელი საკითხების შერჩევაში. გაზეთს არ ჰქონდა მტკიცედ შემუშავებული მიმართულება და სახე; იგი სისტემატურად ეძიებდა მაშინდელი სინამდვილის ასახვის ახალ ფორმებს, ცდილობდა ყოფილიყო ქართველი ხალხის წინსვლისა და ეკონომიკურ-კულტურული ცხოვრების განახლების მეკვლე და მეგზური.

„კვალის“ ღირსებასა და ისტორიულ მნიშვნელობას განსაზ-

დგრავს მისი მდიდარი პუბლიცისტიკა, რომელიც მას აძლევდა იდეურ მიმართულებას, ქმედითობას, პოლიტიკურ სიმამხილეს, როგორც

მოწინავე სტატიაში „ჩვენი გულის პასუხი“, რომელიც „კვანთის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა, რედაქცია კონკრეტულ ამოცანებს ისახავდა მიზნად. ეს ამოცანები „გამრავალფეროვანებული“ ცხოვრებისაგან იყო ნაკარნახევი. რედაქცია ამჩნევდა, რომ მაშინდელი საზოგადოება დღითი დღე ცდილობდა „წარმატებების გზაზედ დადგომას“, ამიტომ მას „მართლა ესაჭიროებოდა იმისთანა დროგამოშვებითი გამოცემა, რომელიც მარგებელს და საამო საკითხავს თავ-თავის დროზედ აწვდენს და კვალდაკვალ მისდევს ყოველსავე მოვლენას“.

სტატიაში განმარტებული იყო იმდროინდელ ცხოვრებაში გაზეთის საშუალებით „აზრთა შეჭიდების, საჯაროდ ხმის ამოღების“ საჭიროება. რედაქცია არწმუნებდა თავის მკითხველებს, რომ გაზეთი „საზოგადოების წადილს კვალში ჩაუდგებოდა“, მხარს მისცემდა და ცხოვრების წინსვლას მოემსახურებოდა, „მგრძნობიარე სიმებს“ გააბამდა რედაქციასა და მკითხველებს შორის, „ყოველსავე მოვლენაზედ უტყუარ საფუძვლიან სიტყვას“ წარმოთქვამდა, ცხოვრებას მეცნიერების მოშველიებით გააშუქებდა.

გაზეთი თავის საპროგრამო სტატიაში სახავდა მოღვაწეობის გეგმას — მომსახურებოდა ხალხს, დაეცვა მათი ინტერესები. რედაქცია მკითხველებს განუმარტავდა ცხოვრების მიერ წამოჭრილ ძირითად საკითხებს — თავად-აზნაურობის ზრუნვას სწავლა-განათლებლაზე, კახეთის რკინიგზის გაყვანის საქმეს, ვაზის წამლობას, ქოლერასთან ბრძოლას, ხიზნების საქმეზე ზრუნვას და სხვ.

ამ სტატიისათვის დამახასიათებელი მოკრძალებული ტონი და ძუნწად ჩამოთვლილი პრობლემები, ცხადია, სრულ და ნათელ წარმოდგენას არ იძლევა ამ ორგანოს მოღვაწეობაზე საერთოდ. ამგვარი შეზღუდული პროგრამის წარმოდგენის ობიექტური მიზეზები იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობით იყო პირობადებული. „კვალის“ პოლიტიკურად მახვილი, იდეურად მტკიცე, მიზანმიმსწრაფი, მებრძოლი პუბლიცისტიკა თვალს უხელდა საუკუნეობით მთვლემარე ხალხს, კვალში ედგა კაპიტალისტური განვითარებისა და აღმავლობის გზით მიმავალ საქართველოს საზოგადოებას, სწორად უჩვენებდა სწრაფგანვითარებადი ცხოვრების რთულ მოვლენებში გარკვევის გზებს, განამტკიცებდა ეროვნულ გრძნობას, ესარჩლებოდა თვითმპყრობელობის

უღელქვეშ მგმინავ ხალხს, მართებულად ხსნიდა კაპიტალისტური განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ კანონებს.

წერის მანერის, დასმული პრობლემის გაშუქების სიღრმისა და საჭიროების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სტატია გ. წერეთლის მიერ არის დაწერილი.

პროფ. ა. კიკვიძე თავის ნაშრომში „გაზეთი „კვალი“ ჩამოთვლის გაზეთის მიერ ორი-სამი წლის განმავლობაში გაშუქებულ მრავალ საკითხს და დაასკვნის: „როგორც უკვე დავრწმუნდით, „კვალს“ თავიდან არ ჰქონია გარკვეული სოციალური პროგრამა“.

მართლაც, თავდაპირველად „კვალის“ პროგრამა თითქოს ნაკლებად გამოკვეთილი იყო. ამიტომაც ლალი (გიორგი ლასხიშვილი) „ივერიის“ 1895 წლის მე-12 ნომერში შენიშნავდა, რომ „კვალი“ თავისი მიმართულების „კვლევადიებაშია... არ იქნა და არა, ვერ გამოარკვია თავისი მიმართულება“¹.

მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, გაზეთმა 1893—1896 წლებში უამრავი საჭირობოროტო საკითხი გააშუქა და „ივერიის“ გვერდით ერთ-ერთ პროგრესულ ორგანოდ გადაიქცა.

„კვალი“, „ივერიისა“ და „მოამბის“ მსგავსად, განსაკუთრებული კუთხით შეეხო საქართველოს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდისა და ხალხში ზოგადი განათლების შეტანის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გასარკვევადაც მან პოლემიკა გაუმართა „ივერიისა“ და „მოამბის“ პუბლიცისტებს და თავისი პოზიცია დაიკავა ამ საკითხთა გადაწყვეტაში.

გაზეთის მე-2, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 ნომერებში დაიბეჭდა სტატიების ციკლი „სწავლის საქმე ჩვენში“. აქ დასმული, გაშუქებული და დადასტურებულია საქართველოს მოზარდი თაობისათვის განათლებისა და, საერთოდ, სკოლების ფართო ქსელის აუცილებლობის მნიშვნელოვანი საკითხი. თუმცა აქა-იქ ავტორი ხარკს უხდის თავადაზნაურობას, აქებს და ადიდებს მას იმის გამო, რომ „ერის სათავეში ჩაყენებულმა... სათავადაზნაურო სკოლები დაასრულა“, მაგრამ სტატიაში პუბლიცისტმა წინ წამოსწია და საზოგადოების ყურადღება მიაქცია სწავლა-განათლების საკითხში ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობას. უცნობი პუბლიცისტი წერდა, რომ საქართველოში სწავლა-განათლება მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებდეს და დაწყებით კლასებში უპირველესი ადგილი ქართული ენის სწავლებას უნდა მიეკუთვნოსო. „თუ ბავშვის ჭეროვანი განვითარება გვსურს, — ნათქვამია სტა-

¹ „ივერია“, 1895, № 12.

ტიაში, — და არა თუთიყუშოვით გაწვრთნა, პირველად წყობით სწავლა ბავშვისათვის გასაგონარს დედაენაზედ უნდა სწარმოებდეს და ამ ენას მასუკანაც პირველ ადგილთაგანი უნდა ეჭირთოს^{საქართველოს} საგანთა შორის“^{საქართველოს} 2. ავტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მოსამზადებელი კლასების საქმიანობას სახალხო განათლების ფართო ქსელის შესაქმნელად და უსაყვედურებს იმათ, ვინც მოითხოვდა, რომ მოსამზადებელ კლასებს დაეჯერდეთ და მორჩენილი ფულებით სამეურნეო სკოლები გავხსნათო.

პუბლიცისტური დაპირისპირებისა და ისტორიული ექსკურსის გამოყენებით სტატიის ავტორი ეპაექრება „ივერიის“ თანამშრომელს, რომელიც აცხადებდა, რომ გიმნაზიების შენახვა უფრო ძვირი ჯდება და საზოგადო სასწავლებლებზე გაწეული ხარჯები ფუჭიაო და მოითხოვდა სამეურნეო და ტექნიკური სკოლების გახსნას. „ივერიაში“ გამოთქმული ასეთი შეხედულების საწინააღმდეგოდ „კვალის“ უცნობი პუბლიცისტი ხაზგასმით აღნიშნავდა გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების საჭიროებას ქართველი ახალგაზრდობის მიერ უმაღლესი განათლების მისაღებად, საშუალო სკოლების ქსელში უფრო მეტი ქართველის ჩაბმის პრობლემა^{საქართველოს}საც იგი ამ საკითხს უკავშირებდა.

„კვალის“ 1893 წლის მე-9 ნომერში დაბეჭდილია კონსტ. მამაცაშვილის სტატია „კიდევ სათავად-აზნაურო სკოლის გამო“, რომელშიც ავტორი განიხილავს გაზეთ „ივერიის“ 21-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ“, რომლის მთავარი აზრი ის იყო, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა თავისი კლასიკური პროგრამით ჩვენი ქვეყნისათვის უსარგებლოა და ამიტომ საჭიროა სხვა ტიპის სკოლის დაარსებაო. კონსტ. მამაცაშვილის სტატიაში დასაბუთებულია საზოგადო განათლების გავრცელების აუცილებლობა. ავტორის თქმით, საზოგადო სკოლები იყო „დედა სპეციალურისა“, ამგვარ სკოლებში უნდა ისწავლებოდეს მეცნიერებანი და იქ მიღებული განათლება წინ უნდა უსწრებდეს სპეციალურ განათლებას: საზოგადო სასწავლებლიდან ბევრი ახალგაზრდა ხომ უმაღლეს სასწავლებელშიც გააგრძელებს სწავლასო.

იგივე საკითხია განხილული ი. მ.—ს პოლემიკურ სტატიაში „სათავად-აზნაურო სკოლის მტერ-მოყვარენი“, რომელიც „კვალმა“ მე-16 ნომერში მოათავსა. სტატია გამომწვევი ტონით არის დაწერილი. იგი უმართებულოდ ესხმის თავს ნიკო ნიკოლაძეს „ობო-

2 „კვალი“, 1893, № 2.

ზრენიეში“ გამოქვეყნებული მისი იმ ფელეტონების გამო, რომელთა საერთო სათაურია „Со стороны“. სტატიის ავტორის თქმით, ამ ფელეტონებში ორი აზრია გატარებული: ნ. ნიკოლაძის მათში ცდილობს დაამტკიცოს სათავადაზნაურო სკოლების უწყობა და ამასთანავე გეთავაზობს ამ სკოლებზე დახარჯული ფულით ერთიასად მეტი ნაყოფის მიღებასო.

ფაქტიურად ნ. ნიკოლაძე თავის ფელეტონებში მიზანშეწონილად მიიჩნევდა იმას, რომ სათავადაზნაურო სკოლები გარდაქმნილიყო პირველდაწყებით სკოლებად, სადაც ბავშვები საზოგადო განათლებას მიიღებდნენ.

„კვალის“ სტატიის ავტორი მტკიცედ იცავს სათავადაზნაურო სკოლების არსებობას თითქოს იმიტომ, რომ მათ დიდი სარგებლობა მოჰქონდათ ქართველი ხალხისათვის. ამასთან იგი თავადაზნაურობის „მულმივობის“ პოზიციასზე დგას, მკაცრად ეკამათება ნ. ნიკოლაძეს, რომელმაც იმ დროისათვის პროგრესული და დიდად სასარგებლო არაერთი რჩევა გამოთქვა სათავადაზნაურო სკოლების გასაუმჯობესებლად. მოკამათე ირონიით მიმართავს ნ. ნიკოლაძესაც და „ივერიასაც“, რომელიც თანაუგრძნობდა და ხშირად ბეჭდავდა მის ნაწარმოებებს. „კვალის“ სკეპტიკურად განწყობილი ავტორი ღვარძლიან სიტყვებს არ ზოგავს ორივეს მიმართ. „ისიც ღრმად გვწამს, — წერს იგი, — რომ ბ-ნ ნიკოლაძის წერილები და მისნი ახლად მორჯულებულნი მიმბაძენი და თავყანის მცემელნი „ივერიაში“ დაბუდებულნი სათეატრო თვალის მოტყუების წყალობით საქმეს ვერ გაასწორებენ, გაჭირვებულ საზოგადოებას მალამოს ვერ მოსცხებენ“.³

ამჟამად, სტატიის ავტორი მოწიწებით ეპყრობა თავადაზნაურობას, ქედს იხრის ამ „ერის სათავეში მოქცეული“ წოდების წინაშე, მასვე ანდობს სწავლა-განათლების საქმეს, იწონებს სათავადაზნაურო სკოლების სისტემას და ხალხისათვის მალამოს მოცხებას მისგან მოეღის.

ვინმე კალმახელიძის სტატიაში „საჭირო განმარტება“ („კვალი“, 1893, № 16) მიმოხილულია სამრევლო სკოლებისათვის შედგენილი პროგრამა და იგი ქართულ ენაზე წერა-კითხვის შესწავლის კარგ საშუალებად არის მიჩნეული.

წყალტუბელის (გიორგი იოსელიანი) სტატია „ბედი ჩვენი ბავშვებისა“ („კვალი“, 1893, № 7, 22 და 41) ძირითადად რჩევა-დარიგებებს იძლევა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა თაობა ვერ

³ „კვალი“, 1893, № 16.

ოჯახში უნდა აღიზარდოს და შემდეგ მიიღოს სასკოლო სწავლა-განათლება, რომლისათვისაც ავტორი აუცილებელ პირობად თვლის ბავშვის სრულყოფასა და ჯანმრთელობას, აღზრდის პერიოდში მშობლებისა და მასწავლებლების მჭიდრო კავშირს, მშობელთა სულიერ სიფაქიზესა და ფიზიკურ სიძლიერეს. სტატიაში ბევრი საკითხია წამოჭრილი, მაგრამ ისინი განხილულია ზოგადად, ზერელედ და ცალმხრივად, ამასთან ავტორის ზოგიერთი დებულება მცდარი და მიუღებელია.

მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე თვითონ გ. წერეთელმაც გამოთქვა თავისი შეხედულება სტატიაში „სწავლის საქმე ჩვენში“ („კვალი“, 1893, № 41). ავტორი აღნიშნავს საქართველოს ყველა კუთხეში „გაურკვეველ მოძრაობას“ სკოლების თაობაზე, აქებს მთავრობასა და ადგილობრივ მმართველობას — სკოლების საქმიანობისადმი ყურადღებას იჩენს და საერო სკოლები დააარსაო.

პუბლიცისტური სტატიისათვის შესაფერისი, ბევრისმთქმელი დასკვნის გასაკეთებლად გ. წერეთელს მოჰყავს მოვლენის დამახასიათებელი შემდეგი ორი ფაქტი. გაზეთ „ივერიის“ ცნობის მიხედვით, ოზურგეთის ერთ-ერთ სოფელში სკოლის დასაარსებლად განაჩენზე ხელის მოწერა ხალხმა არ ისურვა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში „ქართული ენის სწავლა არ იქნებოდა“, თურმე „იგრიალა ხალხმა და დაიძახა: თუ მასწავლებელი წითლიძე ქართულს არ ასწავლის, იმ სკოლაში, ისე განაჩენს ხელს არ მოვაწერთ“. ახალ სენაკში კი ხალხი დახვედრია გუბერნატორს და უთხოვია შუამდგომლობა გაეწია კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის წინაშე, რათა სკოლაში ქართული ენა ესწავლებინათ; მრავალი საბუთით უმტკიცებდნენ მას, რომ „საჭიროა ქართულ ენაზე სწავლება, როგორც ჩვენი საკუთარი დედაენისა“.

აღნიშნული ორი ფაქტით გ. წერეთელმა მკაფიოდ წარმოადგინა ქართული სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნით შექმნილი მძიმე ვითარება, თანაც ამ ფაქტებს პუბლიცისტური დატვირთვა მისცა და ცხადყო, რომ პირველდაწყებით სკოლებსა და საერო სასწავლებლებში ბავშვები სწავლა-განათლებას მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა ღებულობდნენ. საერთოდ ავტორი საინტერესოდ აღწერს სწავლა-განათლების მდგომარეობას იმდროინდელ საქართველოში და საჭირობოროტო საკითხებზე ლოგიკური თანმიმდევრობით მსჯელობს.

1893 წლის 32-ე ნომერში დაიბეჭდა ეგნატე ნინოშვილის სტატია „ძველი დავა ახალ ქერქში“, რომლის ქვესათაურია „რა სწავ-

ლა-განათლება გვჭირია“? სტატიაში მთავარი ყურადღება ეთმობა თაობათა შორის საუკუნის მიწურულს ატეხილი ბრძოლის არსის გარკვევას, დახასიათებულია იმ წლებში რუსეთსა და საქართველოში მომხდარი სოციალური ძვრები. „ივერიის“ პუბლიცისტი მეველესთან (დათა მიქელაძე) კამათში ე. ნინოშვილი მოზარდი თაობის განათლების საკითხსაც შეეხო და იგი ხალხის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების კანონზომიერებას დაუკავშირა. მაშინ როცა მეველე ქადაგებდა განათლებული, მომზადებული, „საგნების მცოდნე“ ახალგაზრდობის საჭიროებას „ბუნებით მდიდარ საქართველოს ნიადაგში“ დაცული სიმდიდრის გამოსაყენებლად და მისი ბუნების შესასწავლად. ე. ნინოშვილმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ ერის ერთი ნაწილის სიმდიდრე მეორე ნაწილს არაფერს არგებს, რომ ერთი ნაწილის გამდიდრება აუცილებლად იწვევს მეორე ნაწილის გადატაკებას. ერის განათლებული ნაწილი იმაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, რომ ნიადაგიდან რაც შეიძლება მეტი ბუნებრივი სიმდიდრე ამოიღოს, რაც რამდენიმე კაცის გასამდიდრებლად იქნებოდა გამიზნულიო, არამედ იმისათვის, რომ „შეიქმნას ისეთი საპოლიტიკო-სოციალურ-ეკონომიური წეს-წყობილება, რომ ერის ყველა ნაწილს გამოუკლებლად და თანასწორად შეეძლოს ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად გაუმჯობესება“.⁴

ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის „პედაგოგიური წერილები“ გაზეთმა 1895 წლის 36-ე ნომერში მოათავსა. ავტორი ადამიანთა ცხოვრების წინსვლის, პროგრესის აუცილებელ პირობად აღიარებს ბავშვის გონებრივსა და ზნეობრივ აღზრდას, მის ძირითად იარაღად კი — მეტყველებასა და გონებას. მოზარდი თაობის ჯეროვანი აღზრდისათვის იგი აუცილებლად მიიჩნევს იმის ცოდნას, თუ რა არის მისთვის სასარგებლო და მავნებელი. პუბლიცისტი არც მაცხოვრის სწავლებას ივიწყებს, რადგანაც იმან გადაარჩინა ქართველი ერიო.

თუმცა ავტორი მკითხველს ჰპირდება, რომ ამგვარ თემებზე საუბარს იგი გააგრძელებდა, რაღაც მიზეზების გამო დაპირება დაპირებად დარჩა.

გ. წერეთელი კვლავ უბრუნდება კ. მამაცაშვილის მიერ განხილულ სათავადაზნაურო სკოლის საკითხს „კვალის“ 1896 წლის მე-2 ნომრის მოწინავე სტატიაში „ძველი მტრობა ახალ ქერქში“. იგი მკითხველებს შეახსენებს, რომ თავის დროზე „ივერიაში“ მხარი დაუჭირა ამ სკოლის სამეურნეო სკოლად გადაკეთებას. მაგ-

⁴ „კვალი“, 1893, № 33.

რამ სკოლის ტიპის დამდგენ კრებაზე გამოითქვა მისი გიმნაზი-
გადაკეთების აზრი, რასაც „ივერიელებიც“ მიემხრნენ, შემდგომში
ნაცვლად იმისა, რომ შესაფერის სამზადისს შესდგომოდა, „ივერი-
ამ საქმის წინააღმდეგ გამოვიდა. გ. წერეთელი აკრიტიკებს „ივე-
რიის“ ასეთ მოქმედებას და სათავადაზნაურო სკოლის შესანარჩუ-
ნებლად საჭიროდ მიიჩნევს ბანკიდან სათანადო ფონდის გამოყო-
ფას და თავადაზნაურობაში გაწერით თანხის მოგროვებას. გ. წე-
რეთელი ესარჩლება და იცავს სათავადაზნაურო სკოლას, მის ბედს
„ცნობიერებაში მოსულ“ თავადაზნაურობას ანდობს და შეუძ-
ლებლად მიიჩნევს სამეურნეო სკოლად მის გადაკეთებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ „ივერია“ უფრო სწორ პოზიციაზე
იღვა. იგი მოითხოვდა დაარსებულყო სამეურნეო სკოლა, რომ-
ლის ხარჯებსაც ბანკი გაიღებდა, ხოლო სათავადაზნაურო სკოლის
ხარჯები თავადაზნაურობას გაეღო იმ ფონდიდან, რომელიც უნდა
შექმნილიყო.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი
აქტიური წევრის ნინო ყიფიანის სტატიაში „დედა-ენა“, რომელიც
„კვალის“ 1896 წლის 34-ე ნომერშია მოთავსებული, ეროვნული
წინსვლისა და განახლების საფუძვლად მიჩნეულია ხალხის განა-
თლება, ხოლო ამის განსახორციელებლად — პირველდაწყებითი
სასწავლებლების დაარსება, მათთვის საანტერესო და შინაარსიანი
წიგნებისა და სურათებიანი გამოცემების დაბეჭდვა. ამგვარ სკო-
ლებში განათლებამიღებული ახალგაზრდები გონებრივად განვითარ-
დებიან და მხარს მისცემენ გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში
კურსდამთავრებულებსო. ავტორი დასძენს, რომ წერა-კითხვის
გამავრცელებელ საზოგადოებას ხალხმა ფონდი უნდა გაუზარდოს
შემოწირულებათა მოგროვებითო.

„კვალის“ 1896 წლის მე-5 ნომერში მოთავსებული ბიბლიო-
გრაფიული შენიშვნის ავტორი ჯერ განიხილავს „ივერიის“ პუბ-
ლიცისტის Plebs“-ის (ნიკო ხიზანიშვილი) მიერ გამოთქმულ
აზრს, რომ ჩვენი მოღვაწეების ნაწარმოებთა (ვთქვათ „დედაენის“)
კრიტიკული განხილვა დანაშაულიაო, შემდეგ კი 1895 წლის
„კვალის“ 48-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ავტორს
„NeNe“-საც ეკამათება, რომელმაც პუნქტობრივად განიხილა ი. როს-
ტომაშვილის მიერ შედგენილი „დედაენა“ და იგი სასარგებლო და
საჭირო წიგნად მიიჩნია.

„კვალის“ პუბლიცისტი თავის შენიშვნაში ასევე პუნქტობრი-
ვად განიხილავს NeNe-ის რეცენზიას და გზადაგზა ასაბუთებს წიგ-
ნისადმი ძალად მიწერილ ღირსებათა მცდარობას. შენიშვნა-რეცენ-

ზიას ხელს აწერს „პ-რე ს-ძე“. ეს პეტრე სურგულაძე უნდა იყოს, რასაც გვაფიქრებინებს ის, რომ მას 1905 წელს გამოუცია ორი წიგნი — „დაწყებითი განათლება“ და „ეროვნული ენა“. დეგ ფედერალისტი გამხდარა; 1917—1918 წლებში სტამბოლში მისი კიდევ სამი წიგნი გამოცემულა.

„კვალის“ 1896 წლის მე-7 და მე-10 ნომრების სარედაქციო წერილებში* უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალთა სკოლის დაარსების საკითხს. ამ წერილში შემოთავაზებული სკოლის პროფილი ითვალისწინებდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის სწავლებას ზედმიწევნით, ამასთანავე ქალებისათვის აუცილებლად იყო მიჩნეული მეფუტკრეობის, აბრეშუმის მოყვანის, ყველისა და ერბოს გაკეთების, მებოსტნეობის ცოდნა და სხვ.

ამგვარად, 1891 — 1892 წლებში რუსეთის სოფლის მეურნეობის დაცემამ და ამით იქ გამოწვეულმა შიმშილობამ, რამაც გავლენა იქონია საქართველოზეც, ბიძგი მისცა მოწინავე ქართველ პუბლიცისტებს ჟურნალ-გაზეთებში დაეწყოთ მსჯელობა სამეურნეო სკოლების დაარსების აუცილებლობაზე. მათი ფიქრით ეს სკოლები ხელს შეუწყობდნენ დაცემული მეურნეობის აღდგენას ჩვენში. ინტელიგენციის ერთი ნაწილი (ძირითადად „ივერიის“ ჯგუფი) იმ აზრისა იყო, რომ არსებული სათავადაზნაურო სკოლები სწრაფად გადაეკეთებინათ სამეურნეო სკოლებად. „კვალმა“ არ მოიწონა საკითხისადმი ამგვარი ცალმხრივი მიდგომა და იცავდა იმ აზრს, რომ ქართველ ერსო „ყოველმხრივ უნდა პატრონობა, თავის შემოვლა, გონების განვითარება“ (გ. წეტქელი). ამისათვის „კვალი“ საჭიროდ მიიჩნევდა ყოველმხრივ შეეწყობა ხელი ქვეყნის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური ღონისძიებებისათვის. ამგვარ ეკონომიკურ ღონისძიებებში „კვალი“ გულისხმობდა აღებმიცემობისა და მრეწველობის განვითარებას, ნაწარმი პროდუქციისათვის კრედიტისა და ბაზრის შექმნას. „კვალის“ პუბლიცისტები მიზანშეწონილად თვლიდნენ, რომ სამეურნეო სკოლები დაეარსებინათ არა სათავადაზნაურო სკოლების ნაცვლად, არამედ მათ გვერდით, რადგან სათავადაზნაურო სკოლებს „ერის ნიშნობლივი თავისებურებების დაცვა“ ჰქონდა დაკისრებული და ამიტომ ამგვარი სკოლები, პირიქით, უნდა გაუმჯობესებულიყო. მხოლოდ ასეთი პირობით დაუჭერდა „კვალი“ მხარს სამეურნეო სკოლების დაარსებას.

მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე მსჯელობისას

* ჩვენი აზრით, ეს წერილები ან. თუმანიშვილისა უნდა იყოს.

*

სწავლა-აღზრდის საკითხებზე კამათმა თანდათან სხვა სფეროში გადაინაცვლა. „ივერიის“, „მომამბისა“ და „კვალის“ პუბლიცისტებმა საქართველოს გამდიდრებისა და ერის აღორძინების საშუალებათა ძიება დაიწყეს. ამან გამოიწვია ცხოვრებისეული საკითხების გაღრმავება და ისტორიულ ასპექტში მათი განხილვა. კამათის ობიექტი ახლა ხალხის ეკონომიკური და სოციალური სფერო გახდა. ცხოვრების ასპარეზზე გამოსული მოწინავე თაობის ტრიბუნად „კვალი“ შეიქმნა. ამ თაობის ერთ-ერთმა წინამძღოლმა ე. ნინოშვილმა „კვალის“ 1893 წლის 32-ე ნომერში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოაქვეყნა სტატია „ძველი დავა ახალ ქერქში“, სადაც საქართველოს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხებს მთელი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებს უკავშირებდა. ამ სტატიაში ავტორი ებაექრებოდა მეველეს, რომელიც აცხადებდა, რომ საქართველოს ყოველი თაობის მოვალეობა იყო და არის შეისწავლოს თავისი ერის აწმყო და წარსული, იცავდეს და ავითარებდეს მშობლიურ ენას, იჩენდეს მოქალაქეობრივ მხნეობას და აღადგენდეს კეთილ ჩვეულებებს, აღამაღლებდეს მის ზნეობას, ზრდიდეს მის სიმდიდრესა და კმაყოფილებას; რომ ახალგაზრდა თაობამ უნდა შეიგნოს — უხვ ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად საქართველოს მცოდნე, მომზადებული და განვითარებული ადამიანები სჭირდებაო. მეველეს მიერ შემოთავაზებული დებულება საქართველოს საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილის ეკონომიკურ აღორძინებასა და მომძლავრებას გულისხმობდა. ყოველივე ამის საპასუხოდ ე. ნინოშვილი აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ერის ერთი ნაწილია მდიდარი და არა მთელი ერიო. „მერე რაში გამოადგა ერთი ნაწილის სიმდიდრე მეორე ნაწილს, პროლეტარიატს. — განაგრძობს ავტორი, — რომლებიც აქა-იქ ქუჩებზე შიმშილით იხოცებიან იმ დროს, როცა რომელიმე მდიდარი ან ლორდი ან ბურჟუა დღიურად თუმნობით ხარჯავს თავისი ძაღლის სარჩენად“. ამერიკაში, დასძენს იგი, სადაც ფულის დიდი მარაგი დაგროვდა, მისი მოსახლეობის „კარგა დიდ ნაწილს სიმშვილით კუჭი ეწვის და არაფერში გამოსდგომია ბურჟუაზიის სიმდიდრე“. ბოლოს კი დაასკვნის, რომ „საუკეთესო პოლიტიკო-ეკონომებმა მეცნიერულათ, ისტორიული ფაქტებით დაამტკიცეს, რომ იქ, სადაც კაპიტალიზმი

და მრეწველობა ეხლანდელი ეკონომიური და სოციალური წეს-
წყობილებით ფეხს გაიდგამს, ერის ერთი ნაწილი დატაკდება და
ვარდება მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონადო.⁵

ამავე სტატიაში ახსნილი და დასაბუთებულია საზოგადოების
ისტორიული განვითარებით განპირობებული აუცილებლობა თაო-
ბათა შორის ატეხილი ბრძოლისა, რომელიც რუსეთის საზოგადო-
ებრივი მოძრაობიდან გადმოვიდა ჩვენში. ე. ნინოშვილი სწორად
აფასებს სამოციანი წლების რუსეთის საზოგადოებრივ ვითარებას,
მის ისტორიულ მნიშვნელობას.

აღძრულ საკითხთა გასარკვევად და თავის დებულებათა ნა-
თელსაყოფად, ავტორი უხვად იყენებს ფაქტობრივ მასალას, იკვ-
ლევს და მეცნიერულად ანალიზებს საქართველოს სოციალურ-
ეკონომიკური ვითარების ცალკეულ მოვლენებს.

„ივერიის“ პუბლიცისტიან—მეველესთან პოლემიკაში ე. ნინო-
შვილი ამჟღავნებს მარქსისტული მოძღვრების საკმაო ცოდნას,
თავის ყოველ დებულებას აფუძვნებს ამ მოძღვრებაზე, რაც მას
საშუალებას აძლევს სწორად განჭვრიტოს საქართველოს საზოგა-
დოებრივ-ეკონომიკური განვითარების გზები. ამის ერთ-ერთი დამა-
დასტურებელია ე. ნინოშვილის ის შეხედულება, რომ იმდროინდელ
საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შეფერხება არა მარ-
ტო შეუძლებელი იყო, არამედ არასასურველიც.

თავისი მოსაზრებები ე. ნინოშვილმა გააღრმავა და დაასაბუთა
„კვალის“ იმავე წლის 39-ე და მე-40 ნომრებში გამოქვეყნებულ
სტატიაში „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“,
რომელშიც ეკამათება „ივერიის“ პუბლიცისტებს — მაჩხანელს,
იაკობ გოგებაშვილს, „Plebs“-სა და მეველეს. დასაწყისში ავტორი
ცხადყოფს, თუ რა უსაფუძვლოა დ. მაჩხანელის შეხედულება, რომ
საქართველოში „დებო-კასების“ შემოღება და გამრავლება თით-
ქოს „ნამდვილ სამოთხედ გადააქცევდა ჩვენს ქვეყანას“. „საბრა-
ლო ევროპელი პროლეტარები! — მწარედ შენიშნავს ე. ნინოშვი-
ლი, — რატო არ გამოუჩნდებათ იმათ ერთი კაცი, რომ დებო-კასე-
ბის გეგმა შეედგინა და უცბათ გაემდიდრებია“.⁵

ე. ნინოშვილი უარყოფს გაზეთ „ივერიის“ იმ მტკიცებასაც,
რომ საქართველოს გამდიდრება შეიძლებოდა სამეურნეო სკო-
ლების დაარსებით, და ნიკო ხიზანიშვილის შეხედულებასაც —
საქართველო გამდიდრდებოდა, ორი ათასი ტექნოლოგი და ამდე-
ნივე აგრონომი რომ გვეოლოდაო.

⁵ „კვალი“, 1893, № 39.

„ივერიის“ პუბლიცისტების მსგავს მოსაზრებას გამოთქამდა ი. გოგებაშვილიც, რომელიც სათავადაზნაურო სკოლის დახურვას დოგების წლიური კრების მონაწილეებს ურჩევდა, კარგად შეესაბამებინათ პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის რეალური სასწავლებლების მავგარი სკოლები დავაარსოთო. ამ სკოლის კურსდამთავრებულებად დოვლათს დაატრიალებდნენ ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაშიო. ე. ნინოშვილი კი შენიშნავდა, ამგვარი სკოლები მოამზადებენ განათლებულ მოურავებს მდიდარი მებატონეებისათვის.

ე. ნინოშვილი კიდევ უფრო შეუფერებლად მიიჩნევდა „Plebs“-ის მოწოდებას, რომ მეურნეობის აღორძინების გზით დავიბრუნოთ „მოსვენებული, მადარი, უპრეტენზიო ქართული ოჯახი“. ამგვარ ოჯახად ე. ნინოშვილი თვლიდა ილია ჭავჭავაძის მიერ მთელი სისრულით დახატულ ლუარსაბ თათქარიძის ოჯახს.

„Plebs“-მა და მეველემ სცადეს თავი დაეხსნათ ე. ნინოშვილის მკაცრი კრიტიკისაგან და დაიწყეს იმის ახსნა-განმარტება, რომ ქვეყნის ბურჯს შეადგენდა ყველა განათლებული პირი, რომლებიც შეგნებულად იბრძოდნენ თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ე. ნინოშვილს კი ბრალი დასდეს, სიმდიდრეს ბოროტებად მიიჩნევსო.

ე. ნინოშვილი დასმულ საკითხთა ანალიზისას მარჯვედ იყენებს მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიკის დებულებებს. იგი იშველიებს კ. მარქსის მიერ ინგლისის ეკონომიური ვითარების აღწერას და ხაზს უსვამს, რომ ამ კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყანაში უფრო მეტი დატაკია, ვიდრე კავკასიაში, რადგან აქ სიმდიდრე ჯერ კიდევ არ გამხდარა რამდენიმე კაცის საკუთრებად ამგვარი ვითარებისას ინტელიგენციისა და მწერლების მთავარ მოვალეობად ე. ნინოშვილი მიიჩნევდა ისე მოემზადებინათ ნიადაგი სიმდიდრისათვის, რომ „მუშას თავისი ნაშრომი რჩებოდეს, ქუჩაში ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს“.⁶

„კვალის“ 1893 წლის ნომრებში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ზოგადი ხასიათის გონებამახვილური იუმორისტული წერილები და შთამბეჭდავი მოგონებები, რომლებშიც ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება იყო აღწერილი; ქვეყნდებოდა გ. წერეთლის წერილები ისტორიულ-არქეოლოგიურ და სამეურნეო საკითხებზე, სხვადასხვა ავტორთა მიმოსილვითი სტატიები კაცობრიობის გამოჩენილი ადამიანების, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში მსოფლიო მიღწევების შესახებ, ხომლელის ლიტერატურულ-კრი-

⁶ „კვალი“, 1893, № 40.

ტიკული წერილები; თავსდებოდა მდარე პუბლიცისტური ნაწარმოებებიც, რომელთა ავტორები ქება-დიდებათ იხსენიებდნენ ვადაზნაურობას. ერთ-ერთი სტატიის ავტორი „რა სოფელს“ (1893, № 6) კაპიტალიზმის შემოჭრას ვერ ხედავდა და სოფლის მოსახლეობის სიდუხჭირეს თავადაზნაურთა მამულების გაუმიჯნაობითა და ქართლში ტყეების გაჩეხით ხსნიდა. გრ. გველესიანი კი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად, სოფლის მეურნეობის აღორძინების ქვაკუთხედად მიწის კერძომესაკუთრულ წარმოებას მიიჩნევდა, ხოლო სოფლის მეურნეობის დაცემის მთავარ მიზეზად — სოფელში კრედიტის უქონლობას. მას სოფლად კაპიტალიზმის შემოჭრა არაფრად ეჩვენებოდა და ყოველი საშუალებით ებლაუჭებოდა თავად-აზნაურთა მიერ მიწა-მამულის შენარჩუნებას მათი მეურნეობის განვითარების გზით

ამგვარი წვრილმანის და უმნიშვნელო საკითხების განხილვას გაზეთი ზოგჯერ საკმაო ადგილს უთმობდა. იქნებ ამის გამოც იყო, რომ სხვა ორგანოებში მოღვაწე პუბლიცისტები „კვალს“ უიღებოდას, მიმართულების უქონლობას სწამებდნენ. სინამდვილეში კი გაზეთის რედაქცია მთელი გულმოდგინებით ცდილობდა არ გამოჩენოდა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი წვრილმანი, კვალდაკვალ მიჰყოლოდა მოვლენებს, აესახა ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების პროგრესი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ დაეტყო „კვალს“ მისი არსებობის მეორე წელს, როდესაც რედაქციამ ფართოდ გაუღო კარი ჯერ ე. ნინოშვილის, ხოლო შემდეგ სილიბისტრო ჯიბლაძის, მიხა ცხაკაიასა და ფილიპე მახარაძის პუბლიცისტუკას, რომელიც ფაქტიურად „მესამე დასელთა“ ნებისა და მისწრაფების, მათი ახალი იდეების გამომხატველი იყო.

ე. ნინოშვილის ღრმა იდეური შინაარსისა და პოლიტიკური სიმახვილის მქონე სტატიების გამოქვეყნებით დაირღვა მდუმარება. ქვეყანამ დაინახა, რომ ცხოვრების ასპარეზზე გამოდიოდა ახალი თაობა, რომელსაც ახალი იდეები, შეხედულებები და ზნეობრივ-მორალური კანონები შემოჰქონდა.

1894 წელს გაზეთში დიდი ადგილი ეთმობოდა ცხოვრებაში შემოჭრილი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ასახვას. „კვალი“ იქცა ახალი ღროის, ახალი ეპოქის წარმომადგენელთა ტრიბუნად, მათი თვალსაზრისისა და შეხედულებათა გამომხატველად. გაზეთში საფუძვლიანად შეუქდებოდა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, მდიდართა და ღარიბთა წინააღმდეგობა, მათ შორის გაჩენილი ღრმა უფსკრული.

„კვალმა“ პირველმა დაუჭირა მხარი ახალი თაობის პუბლი-

ცისტურ შემართებას და პირველმა აღნიშნა მათ მიერ ცხოვრების განვითარების ფილოსოფიური შეცნობის სისწორე. „კვალის“ პუბლიცისტიკას პოლიტიკური სიმახვილე და მეცნიერულ-ფილოსოფიური სიღრმე ე. ნინოშვილმა მისცა. მის ირგვლივ შემოკრებილმა ჯგუფმა, რომელიც თავის თავს სოციალ-დემოკრატიას უწოდებდა, თავისი მოქმედების პროგრამა საქვეყნოდ გამოაცხადა. „კვალის“ პუბლიცისტებმა პირველებმა საქართველოში აღიარეს და დაიცვეს მარქსიზმის ცხოველყოფილი იდეები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ და გაბედულად დაიწყეს ამ იდეების პროპაგანდა. ეროვნული მთლიანობის იდეალებს, რომლებსაც სამოციანელები ეთაყვანებოდნენ, მათ გაბედულად დაუპირისპირეს კლასთა ბრძოლის, ინტერნაციონალიზმისა და ყველა დაჩაგრულთა სოლიდარობის დიადი იდეები.

*

1893—1896 წლებში „კვალმა“ პირველმა სცადა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ სამთაობას შორის ურთიერთობის საკითხის გარკვევა და ამ ურთიერთობის გამწვავების ახსნა, რაც თავისთავად ცხოვრების ასპარეზზე მესამე დასის გამოსვლასთან იყო დაკავშირებული.

ახალი დასის არსებობა პირველად გამოჩნდა ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე (1894 წლის 8 მაისი) მის თანამოაზრეთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებში. ამ დღეს „კვალმა“ საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობაში ახალი ისტორიული ხანის დასაწყისი უწოდა.

21-ე ნომერში „დამსწრის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში გ. წერეთელი ამაღლებულად მოუთხრობდა მკითხველს ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე ნახულს, გაგონილსა და განცდილს. ამ შესანიშნავ პუბლიცისტურ ნაწარმოებში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ გ. წერეთელმა პირველმა აღიარა ცხოვრების ასპარეზზე ახალი თაობის გამოსვლა და ის, რომ ამ თაობის წინამძღოლი ე. ნინოშვილი იყო. ავტორის თქმით, „რაზმად დაწყობილ“ ამ თაობას ხალხში უნდა შეეტანა „განათლების შუქი“, მეცნიერულად დადასტურებული ნათელი აზრები და თვალყური ეღვენებინა მსოფლიოს ცხოვრების მიმდინარეობისათვის.

გ. წერეთელს პირველ დასად მიაჩნდა ილია ჭავჭავაძის ირგვლივ შემოკრებილი სამოციანელთა ბრწყინვალე პლეადა, ხოლო მეორე დასად — გაზეთ „დროების“ ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე.

ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოქმულ სიტყვებში სილიბისტრო ჯიბლაძემ და ლადო დარჩიაშვილმა მარქსისტული მოძღვრების მოშველიებით მართებულად გააშუქეს საზოგადოებრივი მოძრაობის თავისებურებანი 90-იანი წლების საქართველოში და წარმოადგინეს თავიანთი მოქმედების პროგრამა.

ე. ნინოშვილის დასაფლავების შესახებ დაწვრილებითი ანგარიშის გარდა, 21-ე ნომერში „ამხანაგის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა მიხა ცხაკაიას მოგონება „უდროოდ დაკარგულის ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) სახელს“, რომელიც დამაჯერებლად მოგვითხრობს მწერლის მწარე ცხოვრების გზაზე, მის დიდ ნიჭსა და შრომისმოყვარეობაზე, კეთილშობილებასა და ჰუმანიზმზე, მის მოწინავე მსოფლმხედველობასა და ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. მოგონებაში მიხა ცხაკაია უსაყვედურებდა „ივერიის“ რედაქციას იმის გამო, რომ უხვად სარგებლობდა მწერლის თხზულებებით და სილატაკეში მყოფს არავითარ ჰონორარს არ უხდიდა. მიხა ცხაკაიას ეს წერილი და 26-ე და 28-ე ნომერებში მოთავსებული მისივე „პასუხი გრ. ყიფშიძეს“ წარმოადგენენ მაშინდელი საზოგადოებრივი წეს-წყობილების წინააღმდეგ მიმართულ პამფლეტებს. მასში ნაჩვენებია, რომ გრ. ყიფშიძე ამაოდ იმართლებდა თავს და უარყოფდა მიხა ცხაკაიას მიერ „ივერიის“ რედაქციისადმი წაყენებულ ბრალდებას. ავტორის მკაცრი ტონი გამოწვეულია 90-იან წლებში ერთმანეთის საწინააღმდეგო, ძველი და ახალი თვალსაზრისის უკომპრომისო შეჯახებით.

მიხა ცხაკაიამ ამ წერილში მართებულად შეაფასა და საზოგადოებას თვალნათლივ დაანახვა ე. ნინოშვილის პუბლიცისტურ ნაწარმოებთა უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-შემეცნებითი მნიშვნელობა, მათი პოლიტიკური და სოციალური სიმახვილე.

„კვალის“ 1893 — 1894 წლების პუბლიცისტის თავისებურებისა და პოლიტიკური მიმართულების გასარკვევად საყურადღებოა 1894 წლის პირველ ნომერში მოთავსებული მიმოხილვა „ერთი წლის „კვალი“. მასში აღნიშნულია, რომ „ივერიის“ სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად გაზეთმა „კვალმა“ დაიცვა თავისი მეობა და ამ დაცვაში მისი იმედი იყო „ნორჩი, ახალი, ქვეყნის სარგებლობის გულისათვის თავდადებული მომავალი თაობა“⁷. ამ ახალი თაობისაგან, მესამედსეულებისაგან ელოდა გაზეთი „კვალი“ ახალ წყაროს აზროვნებისა და საზოგადო თავგანწირულებისა“.

⁷ „კვალი“, 1894, № 1.

1894 წელს „კვალში“ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ ნაწილ-
მოებთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყარბის (ბ. გელეი-
შვილის) პოლემიკურ-პამფლეტური ხასიათის სტატია „მოამბე“ და მესამე დასი“, რომელიც 47-ე და 48-ე ნომრებშია
მოთავსებული. იგი მიმართულია „ივერიის“ და „მოამბის“ პუბლი-
ცისტების კონცეფციათა წინააღმდეგ. საქმე ის იყო, რომ „კვალის“
მიერ შენიშნული და აღიარებული ახალი დასი „ივერიამ“ და
„მოამბემ“ არარაობად გამოაცხადეს, „კვალს“ უღლეურობა უწი-
ნასწარმეტყველეს და უარყვეს როგორც ახალი დასის ცხოვრების
ასპარეზზე გამოსვლა, ასევე საქართველოში კაპიტალიზმის არსე-
ბობაც.

3. გელეიშვილი „ივერიისა“ და „მოამბის“ პუბლიცისტებთან
პოლემიკაში ამტკიცებს, რომ 90-იანი წლებისათვის ხიდი ჩატეხი-
ლია არა მხოლოდ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, არა-
მედ მდიდრებსა და ღარიბებს შორის საერთოდ; რომ წოდებრივ
უპირატესობას „ანდერძი და წესი აეგო“; რომ დღეს წოდებათა
ნაცვლად არიან „მდიდარი და ღარიბი“, ხოლო ცხოვრება იმ-
დაგვარად ვითარდება, რომ მათ შორის იზადება წინააღმდეგობა და
ბრძოლა. ავტორის თქმით, ღარიბთა უმრავლესობის დამცველად
უკვე გამოსული იყო ახალი თაობა — მესამე დასი რომელიც ამ
უმრავლესობის მიმხრობაში ხედავდა „საქართველოს ბედნიერების
ნიშანწყალს“.

48-ე ნომერში გამოქვეყნებულ ამავე სტატიის მეორე ნაწილში
პ. გელეიშვილი კრიტიკულად განიხილავს ნ-ლის კონცეფციას, რო-
მელიც ამ უკანასკნელმა წარმოადგინა „სალიტერატურო შენიშვ-
ნებში“ („მოამბე“, 1894, № 10). ნ-ლის აზრით, ს. ჯიბლაძის მიერ
საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრისა და განვითარების აღია-
რება მცდარი იყო, რადგან არ გვქონდა ფაბრიკა-ქარხნები და
წარმოებაში არ გამოიყენებოდა მანქანა-იარაღები. პ. გელეიშვილმა
სათანადო ფაქტებით დაადასტურა, რომ უქონელთა ჩავვრა უფრო
გაძლიერდა, რომ კაპიტალიზმის აღმავლობისათვის მოქმედი ფაქტო-
რი ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი კი არ არის, არამედ ჩავვრის ხასია-
თი, შრომის ყიდვა-გაყიდვის, ადამიანთა გაღატაკების პროცესი.

ამავე საკითხებს ეხებოდა ფხა (იაკობ-ფანცხავა) თავის ვრცელ
სტატიაში „ფაქტორები ისტორიის პროცესისა“, რომელიც „კვა-
ლის“ 1894 წლის ოთხ ნომერში (49—52) გამოქვეყნდა. იგი ძირი-
თადად მიმართულია ნ. ჟორდანიას წერილის „ეკონომიური წარმა-
ტება და ეროვნება“ წინააღმდეგ, რომელიც „მოამბის“ ამავე წლის
მე-5 და მე-6 ნომრებში გამოქვეყნდა.

როგორც ვხედავთ, მესამე დასის წარმომადგენლები საქართველოს ისტორიული განვითარების მეცნიერულ-ფილოსოფიური ანალიზით ცხადყოფდნენ იმ დროს ჩვენში კაპიტალიზმის მომქვედრებას, ამასთან ორი მოწინააღმდეგე ბანაკის — მდიდრებისა და ღარიბების კლასობრივ დაპირისპირებას.

ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე ს. ჯიბლაძის მიერ საჯაროდ წარმოთქმულმა სიტყვამ, მესამედასელთა პროგრამის გამოცხადებამ და „დამსწრის“ ფსევდონიმით „კვალში“ ვრცელი წერილის გამოქვეყნებამ, რაც ე. ნინოშვილის დაკრძალვის ამბებს მიეძღვნა, ხალხოსნური და ლიბერალური მიმართულებების პუბლიცისტები მესამედასელთა წინააღმდეგ განაწყობ და ამოძრავა. ამ ბრძოლაში ყველაზე აქტიურად ჩაებნენ „ნალი“ (ნანეიშვილი), „ლალი“ (ლასხიშვილი) და „ვ. წ.“ (ვასილ წერეთელი). 1895 წელს გამოქვეყნდა წერილები: ნალისა — „სალიტერატურო შენიშვნები“ („მომბე“, № 10), ვ. წ.-სი — „არსებობს თუ არა ჩვენში კლასთა ბრძოლა?“ („ივერია“, № 73), ლალისა — „ჟურნალი „კვალი“ ისევ თავის მშობართულების კვლევაშია“ („ივერია“, 1895. № 15, 19, 69). მათი ავტორები მტკიცედ ეჭიდებოდნენ ძველს, დრომოქმულს და არ სურდათ დაენახათ, რომ ქართველი ხალხის ცხოვრება ბურჟუაზიულ ლიანდაგზე იყო შემდგარი და ობიექტური კანონების ზემოქმედებით მიექანებოდა წინ.

განსაკუთრებული პუბლიცისტური შეხლა-შემოხლა გამოიწვია ს. ჯიბლაძის პოლემიკურმა სტატიამ „კვალი“ და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილუზია)“, რომელიც „კვალის“ 1895 წლის რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა (№№ 8, 9, 10, 13, 14). სტატიაში მოცემულია საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ღრმა ისტორიული ანალიზი მარქსისტული დებულებების მომარჯვებით. ავტორი მხარს უჭერს ე. ნინოშვილის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს და იძლევა მათს შემდგომ განვითარებას. სტატიაში, სათანადო ისტორიული ფაქტების ანალიზით, მეცნიერულად დადასტურებულია კაპიტალიზმის შემოჭრა და დამკვიდრება საქართველოში, რაც იწვევდა ორი ანტაგონისტური კლასის საბოლოო ჩამოყალიბებასა და მათ შორის გარდუვალ ბრძოლას; ვზადავზა წარმოდგენილია მესამე დასის შემდგომი მოქმედებისა და მოღვაწეობის პროგრამა, ნაჩვენებია მისი ისტორიული მისიის საერთო მნიშვნელობა.

ს. ჯიბლაძეს დიდ ისტორიულ მოვლენად მიაჩნია „დამსწრის“ ფსევდონიმით ვაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილში გაშუქებული ე. ნინოშვილის დაკრძალვისას მომხდარი ფაქტები. ვაზე-

თის იმავე წლის მე-13 ნომერში მოთავსებული სტატიის ნაწილს, რუსულ და ქართულ ენებზე, წამდვარებული აქვს კ. მარქსის ცნობილი სიტყვები „კაპიტალის“ პირველი ტომის გერმანულ ედიციონის წინასიტყვაობიდან: „ინდუსტრიულად უფრო განვითარებული ქვეყანა ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას მხოლოდ მისი მომავლის სურათს უჩვენებს“.

ს. ჯიბლაძეს მთელი სიგრძე-სიგანით აქვს დასმული საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრისა და განვითარების საკითხი. პუბლიცისტი ცხოვრებისეული ფაქტების მოშველიებით ადასტურებს, რომ სავაზმო და სამრეწველო კაპიტალიზმის დამკვიდრებით ჩვენში იქმნებოდა პირობები კაპიტალიზმის უმაღლესი ფაზისათვის, ავტორი იძლევა მაშინდელი საქართველოს სოციალური ვითარებისა და დასებს შორის ურთიერთობის საკმაოდ რეალურ შეფასებას.

90-იანი წლების ინტელიგენციის პრაქტიკულ მოქმედებასა და თეორიულ შეხედულებებზე თავისი აზრი ჩამოაყალიბა არჩილ ჯორჯაძემ სტატიის „ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი“, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირა ფხას, გ. ლასხიშვილის, ალ. ნანეიშვილის, ნ. ჟორდანიასა და ს. ჯიბლაძის შეხედულებები და აღიარა, რომ ამ კამათში სიმართლე ს. ჯიბლაძისა და მისი ამხანაგების მხარეზე იყო.

ვ. წერეთელმა „ივერიის“ 1895 წლის 73-ე ნომერში ს. ჯიბლაძეს უმაღლესი უბასუხა წერილით „არსებობს ჩვენში კლასთა ბრძოლა თუ არა?“ მასში ავტორი აღნიშნავდა, რომ, მართალია, კაპიტალიზმი მძლავრად შემოიჭრა და მან შეცვალა საქართველოს ეკონომიკური, ზნეობრივი და გონებრივი ვითარება, მაგრამ ჩვენი ხალხის საარსებო წყარო ჯერჯერობით ნატურალური მეურნეობაა.

ვ. წერეთლისა და ლალის წინააღმდეგ მიმართული წერილი „გაკვრითი პასუხი“, რომელიც „კვალის“ იმავე წლის რამდენიმე ნომერში (№ 20—23) გამოქვეყნდა, ლიტერატურულ სარბიელზე ახალგაზრდა პუბლიცისტის ფ. მახარაძის პირველ გამოსვლად ითვლება და მას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტაც, რომ ავტორი მარქსიზმის პოზიციებიდან შეებრძოლა სახელმძღვანელო პუბლიცისტებს და სწორად გააშუქა 90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ვითარება.

ვ. წერეთლისა და ლალის სტატიებიდან მოყვანილი ადგილები, რომლებშიც საქართველოში კაპიტალიზმის დამკვიდრება და მდიდარსა და ღარიბს შორის არსებული წინააღმდეგობაა უარყოფილი, ფ. მახარაძის აზრით, გადმოგვცემენ ავტორთა მთავარ იდეას, მათს მცდარ შეხედულებებს. ამ ადგილების მოყვანით ფ. მახარაძემ

მკითხველს ნათლად დაანახვა საკამათო საკითხების არსი, ხოლო შემდეგ წარმოადგინა თავისი შეხედულება, დაკვირვება და მსჯელობა. ავტორი მკაცრად შენიშნავს, რომ მოწინააღმდეგეების ცისტების „ზღიპინი და გოდება აწინდელი საზოგადოებრივი კლასთა შუა განხეთქილების ჩამოვარდნის თაობაზე მარტო იმათ უმეცრებას, მარტო იმათ ცხოვრების არ ცოდნას მოასწავებენ“⁸.

ფ. მახარაძე ავითარებს იმ აზრს, რომ „ვ. წ.“, „ნა-ლი“ და „ლა-ლი“ თითქოსდა მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიასაც იყენებდნენ, მაგრამ მისი ანბანიც ვერ უსწავლიათო. ავტორი უმართებულოდ მიიჩნევს იმას, რომ „ივერიის“ პუბლიცისტებს ნატურალური წარმოების არსის გაურკვეველად გამოჰქონდათ დასკვნა, თითქოს ქართველი ერის ხსნა მესაკუთრეთა არსებობაში მდგომარეობდა და წვრილი მიწათმფლობელობა იქნებოდა ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო ფორმა. ფ. მახარაძე მარქსისტული დებულებების მოშველიებით ამტკიცებს, რომ წვრილი მესაკუთრენი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შემფრხებლები არიან, რადგანაც წვრილი მესაკუთრე ძველი, დახავსებული წესწყობილების მომხრე და დამცველია; მათ არ შეუძლიათ ისტორიული განვითარების პროცესის პირუკუ შეტრიალება და მხოლოდ აგვიანებენ ან აფერხებენ ამ მოძრაობასო.

ფ. მახარაძე მეცნიერ-ისტორიკოსის თვალთახედვით ამტკიცებს, რომ რუსეთი კარგა ხანია დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას და, რადგანაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილია, კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება აქაც გარდაუვალია. შემდეგ ავტორი განსაზღვრავს ნატურალური წარმოებისა და კაპიტალისტური წარმოების თავისებურებებს, ხსნის, თუ რა განაპირობებს იმას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ერთდროულად არსებობს ორივე ამ სახის წარმოება.

ფ. მახარაძის ამ სტატიაში ერთმანეთს ორგანულად ერწყმის ავტორის ერუდიცია და რწმენა, მეცნიერული დაკვირვება და მსჯელობის სწორი ლოგიკა.

1893 — 1896 წლებში „ივერიის“, „მომამისა“ და „კვალის“ პუბლიცისტების საკამათო საგნებად ა. ჯორჯაძე მიიჩნევს ინტელიგენციის გაკვირვებას იმის გამო, რომ ძველი თაობის მოღვაწე გ. წერეთელი ახალი მიმართულების ბელადად გამოდიოდა, გაურკვევლობას დასთა კლასიფიკაციის პრინციპში და საქართველოში კაპიტალისტური წყობილებისა და კლასთა ბრძოლის არსებობას.

⁸ „კვალი“, 1895, № 20.

ცხარე ლიტერატურული ბრძოლა ამ უკანასკნელი საკითხის ორგანიზაციულ გეგმად. დანარჩენი საკითხები მისგან ორგანიზაციულად გამომდინარეობდნენ.

„ლალი“ თავის ფელეტონში ამტკიცებდა სოციალ-დემოკრატიული პრინციპების უადვილობასა და უნიადაგობას ჩვენში, ცდილობდა გამოენახა გზები საქართველოს კაპიტალისტური განვითარების თავიდან ასაცილებლად, უარყოფდა „უცხო თეორიის“ ბრძოლად გადმოღებას და მის ნაცვლად საჭიროდ თვლიდა ადგილობრივი ფაქტების ღრმად შესწავლასა და დასკვნის ამ გზით გაკეთებას.

ფსევდონიმს („ქართველი მკითხველი“) ამოფარებული პუბლიცისტი მარქსიზმის პოზიციებიდან უმართავს „ლალს“ ლიტერატურულ ბრძოლას, უნარიანად პოულობს მისსავე აზრებში საპირისპირო დებულებებს და საამჟამოზე გამოაქვს ისინი, რითაც განსაკუთრებულ ცხოველყოფილებას ანიჭებს საკუთარ მოსაზრებებსა და დებულებებს.

„ქართველმა მკითხველმა“, „ლალის“ საპირისპიროდ, დაამტკიცა, რომ სოციალ-დემოკრატიული პრინციპები ახალია, ისინი საზოგადოებაში არიან ფესვგადგმული და მათი პროპაგანდით „კვალმა“ ახალი სიტყვა თქვა; რომ ჩვენი ქვეყანა კარგა ხანია დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას და მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია; რომ ერის კულტურული წარმატება აუცილებლად დამოკიდებულია ეკონომიკურ წარმატებაზე და ეს უკანასკნელი უბრძოლველად არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. რაც შეეხება წოდებათა შორის ურთიერთობის საკითხს, „ქართველი მკითხველი“ იმ აზრისაა, რომ 1861 წლის რეფორმის შემდეგ ჩვენი ერის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო: თავადაზნაურობა და გლეხობა ცხოვრების განსხვავებულ გზას დაადგნენ და ისინი სხვადასხვა საშუალებებით იბრძვიან ერთმანეთის წინააღმდეგ; ამ წოდებებს შორის ბრძოლაში ჩაერია ფულის მქონებელთა კლასი.

1894 წლის „მომამის“ მე-5 და მე-6 ნომერებში გამოქვეყნდა ნ. ჟორდანიას „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რომლის პასუხსაც წარმოადგენდა „ფხას“ ფსევდონიმით დაბეჭდილი ი. ფანცხავას სტატია „ფაქტორები ისტორიული პროცესისა“ („კვალი“, 1894, № 49—52). „ფხას“ ამ გამოსვლას ნ. ჟორდანიამ უპასუხა სტატიით „კრიტიკის კრიტიკა“ („კვალი“, 1895, № 19—23), რომელსაც მოჰყვა „ს-ნის“ ხელმოწერით, „ივერიის“ იმავე წლის 110-ე ნომერში, გამოქვეყნებული „მცირე შენიშვნა“.

„ქართველი მკითხველის“ წერილი „შესანიშნავი შენიშვნის

ავტორს“ მიმართულია სილ. ხუნდაძის წინააღმდეგ და მიზნად ის-
ხავს ნ. ჟორდანიას მოსაზრებათა დაცვას. ეს უცნობი ავტორი, მიეც-
ნიერულად ამტკიცებს, რომ მარქსისტულ დიალექტიკურ მატერია-
ლიზმს შეცდომით უწოდებენ ეკონომიკურ ან ისტორიულ მატე-
რიალიზმს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი არის მეცნიერული
კვლევის მეთოდი, რომელიც მარქსისა და ენგელსის მეოხებით
დამკვიდრდა მეცნიერებაში; რომ ამ მეთოდის დამკვიდრების გამო
მეცნიერებას სათავეში უდგანან მარქსისტები. ავტორი შეახსენებს
„ს—ნ“-ს, რომ კ. მარქსის „კაპიტალი“ დიალექტიკური მატერია-
ლიზმის ბრწყინვალე დადასტურებაა და არა მეცნიერულად დაუმტ-
კიცებელი ჰიპოთეზა, როგორც ამას „ს—ნ“ ფიქრობს.

„ქართველი მკითხველის“ სტატია „ვინ ვის სწამებს ცილს“
(„კვალი“, 1895, № 38 და 39) ასევე პოლემიკური ხასიათის ნაწარ-
მოებია და მიმართულია მეველეს 1893 წლის „ივერიის“ მე-15
ნომერში გამოქვეყნებული მეთაური წერილის წინააღმდეგ. თავის
სტატიაში „ქართველი მკითხველი“ მხარს უჭერს რუსეთისა და
საქართველოს ახალგაზრდობის შეთანხმებულ მოღვაწეობას, ურომ-
ლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა დიადი მიზნისათვის ბრძოლა.
მეველისა და „შრომანის“ პოზიცია ამ საკითხში ბუნდოვნად მო-
ჩანდა, ისინი არ ითვალისწინებდნენ ამ ორი ქვეყნის ახალგაზრ-
დობის დაახლოებას.

„კვალისა“ და „ივერია“-„მოამბის“ პუბლიცისტების ლიტერა-
ტურული პაექრობა და ბრძოლა გრძელდებოდა 1896 წელსაც. ეს
ბრძოლა ისტორიული აუცილებლობით იყო გამოწვეული. „კვა-
ლის“ პუბლიცისტები, იმაში დარწმუნებულნი რომ ისტორიული
სიმართლე მათ მხარეზე იყო, ფართოდ ეხმაურებოდნენ მოწინა-
აღმდეგე ბანაკის პუბლიცისტთა მიერ სოციალურ-ეკონომიკურ სა-
კითხთა განხილვისას წამოჭრილ პრობლემებს.

რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურა
ცხოვრების განვითარებაში წლითიწლობით სულ უფრო აშკარად
შეიმჩნეოდა აღმავალი მდინარება. იზრდებოდა მუშათა კლასის
რიცხვი, ფართოვდებოდა მათი რევოლუციური მოძრაობა. ეს
საშუალებას აძლევდა მესამე დასის პუბლიცისტებს სულ უფრო
ღრმად განეხილათ ისტორიული სინამდვილით წამოჭრილი საკი-
თხები, ემხილებინათ მოწინააღმდეგეთა მცდარი შეხედულებანი,
დაესახათ თავიანთი მოქმედების ხელსაყრელი პერსპექტივა. ისინი
თავგამოდებით იცავდნენ მარქსისტულ თვალსაზრისს კლასთა
ბრძოლის შესახებ და ცხადყოფდნენ „ივერიისა“ და „მოამბის“
ირგვლივ შემოკრებილი ინტელიგენციის მტკიცებათა უსაფუძვ-

ლობას ჩვენი მეურნეობის თავისებური ხასიათის შესახებ, ამასთან ერთად „კვალის“ ფურცლებზე ისინი კვლავ აქტიურად მუშაობდნენ მარქსისტული მოძღვრების ფართო პროპაგანდას.

„ივერიის“ 1896 წლის მე-40 და 43-ე ნომრებში გამოქვეყნდა კიტა აბაშიძის სტატია „ცხოვრება და ხელოვნება“, რომელშიც ავტორი იცავდა ბრიუნეტიერის მოძღვრებას და თვითონაც ამ მოძღვრების მიმდევრად გამოდიოდა. ფ. მახარაძის პოლემიკურ სტატიაში „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა?“ განხილული, შეფასებული და გაკრიტიკებულია, ერთი მხრით, ბრიუნეტიერის შეხედულებები, როგორც მეცნიერ-ფილოსოფოსისა და, მეორე მხრით, მოსაზრებები კიტა აბაშიძისა, როგორც ბრიუნეტიერის ევოლუციური თეორიის მიმდევარისა და დამცველისა. ფ. მახარაძემ მეცნიერულად გამოიკვლია ევოლუციური თეორიის არსი საერთოდ და ბრიუნეტიერის მოძღვრება კერძოდ. მან ჯერ დაასაბუთა ბრიუნეტიერის ევოლუციური მოძღვრების მცდარობა, მისი გამოიჯვნა მარქსისტული ევოლუციური მოძღვრებისაგან, შემდეგ კი თვალსაჩინო გახადა კ. აბაშიძის მცდარი და მიუღებელი პოზიცია.

როგორც ვხედავთ, 1893 — 1896 წლების „კვალში“ ძირითადი ადგილი უკავია ახალი დასის — მესამე დასის წარმომადგენელთა მოწინავე, მებრძოლ პუბლიცისტიკას, რომელიც აღიარებს კაპიტალისტური წყობილების დამკვიდრებას, კლასთა ბრძოლის გამძაფრებასა და პროლეტარიატის ზრდა-განვითარებას და ამ კლასს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ამგვარი ძლიერი პუბლიცისტიკის გვერდით მოსალოდნელი იყო მუშათა კლასის აუტანელი ჩაგვრისა და არაადამიანური ცხოვრების, მათი რევოლუციური მოძრაობის ამსახველი მასალების ხშირად გამოქვეყნება, მაგრამ გაზეთში ამგვარი მასალები იშვიათად თუ თავსდებოდა.

1895 წელს „საყურადღებო ამბებში“ გამოქვეყნდა კორესპონდენცია ფოთიდან. მასში მოთხრობილია ფოთელ მუშათა აუტანელ მდგომარეობაზე, იმაზე, რომ ცეცხლის გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე ისინი 18 საათს მუშაობდნენ დღე-ღამეში.

ამავე წლის „კვალის“ მეორე და მეთერთმეტე ნომრებში დაიბეჭდა „აბისელის“ კორესპონდენცია „ჩვენი მუშებისა და ნოქრების მდგომარეობა“. ავტორი შენიშნავს, რომ მუშებზე ჩვენში არა-ეინ ფიქრობს, — სამუშაო დროს, შემცირების ნაცვლად, კიდევ უფრო ზრდიანო.

მას შემდეგ, რაც ფ. მახარაძემ დაბეჭდვით მოითხოვა საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობის შესწავლა, მოსალოდნელი

იყო, რომ „კვალი“ ფართო გზას მისცემდა ამ ხასიათის მასალებს, მაგრამ ვერც ამ მხრივ გამოიჩინა თავი გაზეთმა.

ქართული
ენის
საზოგადოებრივი
საბჭო

ამრიგად, „კვალის“ პუბლიცისტებმა გაბედულად აღიარეს იმდროინდელ საზოგადოებაში გააფთრებული კლასთა ბრძოლის არსებობა, მაგრამ თავიანთ ნაწერებში ვერ შეძლეს აესახათ ის, თუ როგორი იყო ამ ბრძოლის გამოვლენის კონკრეტული ფორმები, რა თავისებურებები ახასიათებდა მას.

გაზეთის არსებობის პირველი წლები ეს ის პერიოდია, როცა საზოგადოების განათლებული, საუკეთესო და მოწინავე ნაწილი მთელი მონდომებით ეძებდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ხალხის ხსნის გზებსა და რევოლუციური ბრძოლის ფორმებს „კვალის“ პუბლიცისტები ძირითადად მარქსიზმის ფართო პროპაგანდის საპატიო ამოცანას ასრულებდნენ, მაგრამ ბევრ პუბლიცისტურ ნაწარმოებში, ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისას, თავს იჩენდა სხვადასხვაგვარი შეცდომებიც.

გარდა ამ ძირითადი მოტივებისა, 1893—1896 წლებში „კვალი“ ზოგჯერ ადვილს უთმობდა სხვა ხასიათის სტატიებსა და ილუსტრაციებს, ქებით იხსენებდა თავად-აზნაურთა მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე, მათ ზრუნვას მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდაზე. გაზეთში იბეჭდებოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის მეცნიერული წერილები, ზოგიერთ სტატიასა და წერილში ნაჩვენებია და შეფასებული იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. ბიოგრაფიულ წერილებში გაზეთი მკითხველებს აცნობდა ბურჟუაზიული სახელმწიფოების პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს. იგი აშუქებდა ლიტერატურისა და თეატრის საკითხებს, სისტემატურად მიმოიხილავდა კვირის ამბებს. გაზეთმა თავისი სიტყვა თქვა ქართველთა და სომეხთა ურთიერთობაზე. საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება. სხვადასხვა ხასიათის სტატიებსა და წერილებში მთელი სიგრძე-სიგანით იყო წარმოდგენილი მაშინდელი საზოგადოებრივი ვითარების ახალი ეტაპი და თავისებურებები.

1894 წლიდან ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, ეგრეთ წოდებული მესამე დასი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების გაშუქებისას ხელმძღვანელობდა მარქსისტული დებულებებით და რადიკალურად უპირისპირდებოდა ბურჟუაზიულ-მემამულური ინტერესების დამცველებს. ამ და მომდევნო, 1895 წელს „კვალმა“ აშკარად და გაბედულად გამოავლინა თავისი სახე და მიმართულება, შეიმუშავა მოქმედების პროგრამა და გადაიქცა საქართველოში პირველი მარქსისტული ჯგუფის — მესამე

დასის პუბლიცისტთა ტრიბუნად. მარქსიზმის მოძღვრებით შეიარაღებული პუბლიცისტებმა მეცნიერულად გამოიკვლიეს, შეისწავლეს და გააანალიზეს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური-ეკონომიკური და სოციალური ვითარება და, „ივერია“—„მომამბის“ პუბლიცისტებისაგან განსხვავებით, თავიანთი მოღვაწეობის მთავარ მიზნად დაისახეს ცხოვრების სინამდვილის ობიექტურ კანონზომიერებათა გაშუქება. მათ პირველებმა მოიმარჯვეს მარქსისტული მოძღვრება და მიუყენეს იგი საქართველოს სინამდვილეს. „კვალის“ პუბლიცისტებმა პროგრესული და საპატიო როლი შეასრულეს. აშკარად იგრძნობოდა, რომ მათ დაჯაბნეს „ივერიისა“ და „მომამბის“ პუბლიცისტები ეპოქის მიერ ნაკარნახევი საკითხებისა და პრობლემების ახლებურად, მარქსისტულად გაშუქება-განხილვით.⁹

სამოციანელთა სათაყვანებელ ეროვნული ერთიანობის იდეას მესამე დასის პუბლიცისტებმა გვერდით ამოუყენეს კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ საქართველოში არსებული კლასთა ბრძოლის გამძაფრების იდეა.

„კვალში“ საკმაო ადგილი დაეთმო მოზარდი თაობის სწავლალზრდის, ხალხში განათლების შეტანის, ქართველი ხალხის კულტურული აღორძინებისა და წინსვლის აქტუალურ საკითხებს.

„კვალის“ პუბლიცისტიკის ქმედითობა და მებრძოლურობა გაპირობებული იყო ახალი ცხოვრების სწორად შეცნობით, მისი საფუძვლიანი მეცნიერული ანალიზით.

ისტევე როგორც „ივერიაში“, „კვალში“ მოღვაწეობდნენ სხვადასხვა მიმართულების პუბლიცისტები, რომლებსაც განსხვავებული პოზიციები ეჭირათ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. „კვალის“ პუბლიცისტთა განსხვავებულ პოზიციებზე დგომა კიდევ უფრო აშკარა გახდა მომდევნო წლებში.

მე-19 საუკუნის დამლევს „კვალი“ ერთადერთი ორგანო იყო, რომელიც მზარდი კლასის — პროლეტარიატის ბრწყინვალე მომავლის იდეებს ქადაგებდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული არალეგალური პრესის მებრძოლი პუბლიცისტიკა სათავეს „კვალიდან“ იღებდა.

⁹ ამ საკითხზე დაწერილებით იხ. პროფ. ლ. გორგილაძის გამოკვლევა — „მარქსისტული მიმდინარეობის წარმოშობა საქართველოში“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, 1970, ტ. V, გვ. 727—743.

მზია ბოზაძე

აკაკი წერეთლისა და სოციალისტური კოლამიკური ურთიერთობის ისტორიიდან

„ივერიის“ 1886 წლის 21 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა აკ. წერეთლის ფელეტონი „ლაყბობა“, რომელიც წარმოადგენს აკაკისებურ სხარტ და მამხილებელი შინაარსის ფელეტონს, რომელშიც გაკილულია ადამიანისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანი მხარეები.

თავისი ტალანტის შემწეობით აკაკიმ ადვილად შეძლო ფელეტონში დასმული საკითხი (ადამიანის როლის შესახებ ცხოვრებასა და საზოგადოებაში) პრობლემატური გაეხადა.

ფელეტონი იწყება სოკრატეს სიტყვებით: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი-რა“, რასაც აკაკი ზოგიერთთა დასაცინად იყენებს და ამბობს: „ჩვენ ყველაფერი ვიცი, მაგრამ სხვები არ გვიჯერებენ!“ ამის შემდეგ აკაკი ურთიერთს უპირისპირებს გონიერ და უმეცარ ადამიანებს. „როგორც პირველი, ისე მეორეებიც, — ამბობს აკაკი, — ცხადია, გულ-წრფელად აღიარებენ იმას, რასაც გრძნობენ და რაცა ჰგონიათ, მაგრამ რა არის მათი „ჰგონიაობის“ მიზეზი? ის რომ სულელი ყოველთვის ჭიანჭველას ადარებს თავის თავს და ცოტა უპირატესობას რომ იგრძნობს, მართლა ჰგონია, თუ დიდი ვინმე ვარო და იბერება. ჭკვიანი კი ცდილობს გამოჩენილ დიდებულებს მიეტოლოს და ზომა-წონაში რომ ჩამოურჩება, თავი აღარაფრად მიაჩნია. ამით აიხსნება ის მოვლინება, რომ ჭკუანაკლებ კაცებს დიდად მოაქვსთ თავი, თავის ქერქში ვედარ ეტევიან და გაბერილები დაიარებიან, მაშინ როდესაც ნამდვილი ჭკვიანები კი უბრალოდ კაცობენ“.

აკაკის რწმენით, ხალხს სწამს ის, რასაც თვითონ ხედავს და აღიარებს იმას, რაც მას სწამს. „ნათქვამია, — წერს აკაკი — „ერთი ფარა ცხვარი რომ ხეს შეჰბლავლებს, ხე გახმებაო!“ ვაი მას, ვინც ხალხს ჩაუვარდება ყბაში!.. ვინ მოსთვლის რამდენი იჩაგრება უსამართლოდ და რამდენი კეთილ-დღეობაში ვარდება უღირსად,

მხოლოდ ხალხის ხმით! ... ვისაც პირადი კეთილდღეობა ^{სურს,}
ვისაც უნდა, რომ ხალხმა შეიყვაროს, პატივი სცეს და დააფასოს,
ის მხოლოდ სცენიდან უნდა ეჩვენებოდეს ხოლმე ხანდახან ^{მაყუ-}
რებლებს“...

აკაკი წერეთლის გამოთქმით, ქვეყანა თეატრია, ხოლო ხალხი
იმ თეატრში მოქმედი გმირი. სცენა შორიდან მშვენიერი სანახავია:
მთა, კლდე, მიწა-წყალი, ტყე და ველი! მაგრამ მიუხედავად იმისა,
რომ ყველაფერი მოჩვენებითია და თვალსა სჭრის მხოლოდ, ადა-
მიანი მაინც სიამოვნებით შეჰყურებს მას.

ჭკვიანი კაცი, თავისი უპრეტენზიო ბუნებით, ხშირად ნაკლებად
შესამჩნევია; მასთან გამოლაპარაკება ადამიანს ზოგჯერ აღი-
ზიანებს კიდევ და ეს მაშინ, როცა მოჩვენებითი მხარე ძალიან გვი-
ზიდავს. „დიახ, სწორედ რომ ახირებულია ცხოვრება და მისი
წამიერი კანონი, — დაასკვნის აკაკი. — ნამდვილს მოჩვენებულ
გვიჩვენია და ამის ბრალია, რომ ნამდვილ გრძნობა-გონებას ისეთი
ფასი არა აქვს ცხოვრებაში, როგორც თვალთ-მაქცურს... მოჩვე-
ნებითს“.

აკაკის უკვირს, თუ რატომ არის ადამიანის ბუნება იმდენად
უცნაური, რომ მისთვის მხოლოდ ის არის საინტერესო, რაც იშვი-
ათობას წარმოადგენს.

მწერლის შენიშვნით, ადამიანი შეიცნობა მხოლოდ უშუალო
ურთიერთობაში. ხშირად სახელოვანი უცნობი ჩვენი სურვილისა-
მებრ წარმოგვიდგება, მაგრამ გაცნობის შემდეგ სულ სხვა პიროვ-
ნებასთან გვაქვს ხოლმე საქმე; ჩვენი ფანტაზიით შექმნილთან.
შედარებით უფრო უარესთან ან უკეთესთან. „ასეთ დროს, — წერს
აკაკი, — ასეთ პიროვნებაზე გული ეცვლებათ, თითქოს მართლა
რამ დანაშაული ჰქონდეთ იმ სახელოვნებს, და ადრინდელ მოწყა-
ლებას რისხვად შეუცვლიან ხოლმე. — და თუ რისხვით არა, აგდე-
ბით მაინც აიგდებენ და აღარად ჩააგდებენ, — ეს მოვლინებაც
საზოგადო კანონია ადამიანისათვის“.

აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ
სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ამ მოვლენებს ჭკვიანი და პატარა
გონების ადამიანები: „პატარა კაცები, ანუ კაცუნები, კუჭითა
ჰგრძნობენ, და მთელი ქვეყანა მსხვერპლადაც რომ შეიწირონ, არ
ენაღვლებათ! ნამდვილის ჭკვიანების გრძნობა უფრო მაღალის სუ-
ლის მოთხოვნილებაა. თუ სხვებს მშიერსა ხედავენ, მაშინ ყოველი
ლუკმა მათ პირში შხამად ჩადის, ისინი სხვებზე უფრო მეტსა ჰფიქ-
რობენ, ვიდრე თავის თავზედ და მზად არიან თავი ქვეყანას შეს-
წირონ“. თუ კი ამგვარი ადამიანები თავის პირად ცხოვრებას ისე

ვერ მოაგვარებენ, როგორც საჭიროა, გასაკვირი სულაც არ არის,
„მაგრამ ხალხს მაინც არა თუ უკვირს, მეტიც ემართება. უნდა ვთქვათ,
ერება, სიგიჟე და ახირებულობა ჰგონია ნამდვილ ჭკვიანებში“
მედება და სდევნის დაუზოგავად, სადამდისაც კი ძალი და ღონე
მიუწვდება“. ანალიზებს რა ყოველივე ამას, აკაკი რჩევას იძლევა:
ბედნიერი რომ იყო ამ ქვეყნად, ნაწილობრივ მაინც უნდა გაითვა-
ლისწინო ხალხის მრწამსი, შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, და
თავი ისე უნდა დაიჭირო, „როგორც ხალხის გრძნობა-გონება მო-
ითხოვს“.

საუკუნეების მიღმა თუ გადავავლებთ თვალს, — წერს აკაკი, —
უამრავი მაგალითის მოძებნა შეიძლება იმისა, რომ ხალხისათვის,
საზოგადოებისათვის თავდადებული ბევრი ადამიანი უწყალებიათ,
თუმცა შემდეგ მიმხვდარან თავის შეცდომას და სინანულის გრძნო-
ბა დაუფლებიათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჭკუა მაინც ვერ
უსწავლიათ და ანალოგიური შეცდომა კვლავ გაუიმეორებიათ. ასეა
დღესაც, საკუთარ ნაკლს ვერასოდეს ვამჩნევთ. „ზოგად რაც ჩვენ-
თან უფრო ახლოა, იმას ვერა ვხედავთ და სხვისას კი ძალა-უნებუ-
რად შევყურებთ. კაცი თავის საკუთარ სახეს ვერა ვხედავს და
სხვისას კი ძალა-უნებურად მისჩერებია“.

ადამიანი, რომელიც მზადაა თავისი თავი მსხვერპლად შესწი-
როს ერის მომავლის საქმეს, მზად უნდა იყოს, რომ ყოველგვარი
უსამართლო დევნა თუ გაკილვა მოთმინებით აიტანოს და თავი
მხოლოდ შემდეგი სიტყვებით ინუგეშოს: „არა უწყიან რასა იქმა-
ნან!“ ჭკვიანი ადამიანები არასოდეს არ იღწვიან იმისათვის, რომ
ხალხში სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურონ. მათი მთავარი
მიზანი ისაა, სხვებსაც შეაყვარონ ის კეთილი საქმე, რომელსაც
თვითონ ასე უმწიკვლოდ ემსახურებიან; „გაიყვანონ სხვებიც
სამუშაოდ იმ გზაზედ, რომელზეც თვითონ დგანან! მათთვის არ
არსებობს წამიერი აწმყო!.. იმათ სწამთ მხოლოდ ხანგრძლივი მო-
მავალი!“.

ამ საკითხის უკეთ ნათელსაყოფად აკაკის მოჰყავს მაგალითი
თავისი პირადი ცხოვრებიდან: „სასწავლებელში რომ ვიზღებოდი,
სხვათა შორის ორი მასწავლებელი გვყავდა. ერთი სასტიკი რამე
იყო, მიუკარებელი, მუდამ იზღვირებოდა და მით გვაშინებდა.
მართალია, მისი არც დანახვა გვიამებოდა, მაგრამ შიშით ხათრი
და პატივისცემა მომეტებული გვქონდა. მართლა დიდ ვინმეთა და
დიდ რამეთ მიგვაჩნდა, ასე რომ არჩევანში რომ შევდიოდით ხოლ-
მე, მისი ტოლი და ღირსი არავინ გვეგონა!.. მეორე მასწავლებელი
კი საკვირველი უბრალო კაცი რამ იყო!.. იმიტომ, რომ ჩვენთან

იყო, ჩვენში გამოჩენილი! ჩვენთან ხუმრობდა და ჩვენთანვე თამაშობდა. ერთი დღე რომ არ გვენახა, მოვისაკლისებდით. მაგონებდა საზოგადოდ არაფრად კი არ მიგვაჩნდა!.. არც შიში გქონდა, არც ხათრი და პატივისცემა. როდესაც გავიზარდენით, დავეჭვიანდით, ავისა და კარგის გაგება შევიძელით, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ პირველის გაბერვას და თავის დაჭერას ჩვენთვის არაფერი კეთილი ნაყოფი არ მოუტანია!“

აკაკი, ამჯერად, ხალხს მოსწავლე ახალგაზრდობას აღარებს, ნამდვილად ჭკვიან კაცს კი იმ კეთილ-მასწავლებელს, რომელმაც მათ ცხოვრება ასე შეაყვარა და შეასწავლა.

რადგან ბევრი რამ გვაქვს სათქმელი ჩვენს ახალთაობაზე, — დასძენს ბოლოს აკაკი, — ამიტომ ეს ჩვენი ლაყბობა საწინასიტყვაობო იყოს და ცოტა ბუნდოვანი თუ გამოვიდა, ნურას უჟაცრავად.

აკაკის ამ ფელეტონმა, გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა. ამ გარემოებამ განაპირობა ხომლეღის საპასუხო წერილიც, რომელიც „ივერიაში“ (1887, №№ 81, 82) გამოქვეყნდა სათაურით „აკაკის ფელეტონის გამო“.

როგორც ცნობილია, ხომლეღს ქართული კრიტიკის ასპარეზზე მოღვაწეობა უხდებოდა ისეთ გამოჩენილ ქართველ კრიტიკოსებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ნ. ნიკოლაძე, კ. აბაშიძე, სტ. ჭრელაშვილი და სხვები. ცნობილია ისიც, რომ მას მეტად ორიგინალური შეხედულებები გააჩნდა ზოგიერთი ქართველი მოღვაწის შესახებ.

როგორც პროფ. დ. გამეზარდაშვილი შენიშნავს, „ხომლეღი აღიარებს რა თერგდალეულთა დიდ ისტორიულ დამსახურებას, მათ სახელთან აკავშირებს ქართული მწერლობის აღორძინებას და სრულიად ახალი ეპოქის დაწყებას ჩვენს ლიტერატურაში“.¹

თვით ხომლეღი, თავის წერილში „აკაკი — დიდი ეროვნული მგოსანი“, წერს: „თერგდალეულები იყვნენ ჩვენში პირველი პიონერნი, პირველი შერცხლები, რომელნიც ბედნიერად და სასიხარულოდ მოველინენ ქართველთა ახალ ცხოვრებას და ლიტერატურას. ღრმად, ნიჭიერად ჩაიხედეს ქართველი კაცის გულში, მშვენიერი სიტყვებით აღწერეს მისი ცხოვრება, სურვილები და სამერმისო მისწრაფებანი“.² კერძოდ, აკაკის იგი ასე ახასიათებს: „არ

¹ ხომლეღი. რჩეული ნაწერები, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შესავალი წერილით. თბილისი, 1963 წ., გვ. 35.

² ხომლეღი. რჩეული ნაწერები, „აკაკი — როგორც დიდი ეროვნული მგოსანი“, გვ. 257 — 258.

არის ლიტერატურის არც ერთი დარგი, საცა აკაკის თავისი წვლილი არ შეეტანოს. თავისი დიდი ნიჭის შესაფერისი ლირიკის გარდა, სადაც იგი მეფეთა მეფის ტახტზე ზის, პუბლიცისტიკა, ფელეტონი, დიდად მახვილი, სარკასტული, ცოცხალი, ძლიერი ტალანტით აღსავსე „ცხელ-ცხელი ამბები“, იმისი ბელეტრისტიკა და დრამა, კომედიები, მეცნიერული ნაშრომები და ლექციები; პედაგოგიური და ისტორიული ნაწერები — ყველა ამ ნაწარმოებით გამდიდრებულია ქართული ლიტერატურის საღარო, რომელიც ერთ უდიდეს, უმდიდრეს განძს წარმოადგენს ქართველთა გონების განვითარების ისტორიაში...

... აკაკის მომადლებული აქვს რაღაც განსაკუთრებული, იუმორისტული ტალანტი. მგონის ცოცხალი, მგზნებარე გრძობა-გონება ძალიან ადვილად იწვევს მკითხველში და მკითხველში სიამის, დიდი ნეტარების მომგვრელ სიცილს და თან ნაზს, მეტად მწარე სიცილსაც. ამგვარი განსაკუთრებული, მარტო და მხოლოდ მისი ტალანტის თვისება მთელ მის თაობაში და ამხანაგობაში მარტო იმას, ერთს ხვდა საჩუქრად ბუნებისაგან და ამან უფრო შეაყვარა ქართველობას ეს საოცარი ჩვენი ქვეყნის მუდამ შუბლგაშლილი და საოცნებოდ მომდიმარი შვილი“. ³

ეს ვრცელი ამონაწერები იმიტომ მოვიტანეთ, რომ მკითხველს ჭეშმარიტი შთაბეჭდილება ჰქონდეს აკაკისა და ხომლეღის ურთიერთდამოკიდებულებაზე საერთოდ. ამჯერად კი ხომლეღი თავის წერილის დასაწყისშივე არ იზიარებს აკაკის მიერ ფელეტონის შესავალში მოტანილ სოკრატისეულ მოსაზრებას („მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი რაო“), რომელსაც აკაკი თავისებურად იყენებს („ჩვენ ყველაფერი ვიცი, მაგრამ სხვები არ გვიჯერებენ“).

აკაკის საწინააღმდეგოდ, სოკრატეს ამ გამოთქმას ხომლეღი ასე აფასებს: „ამით ფილოსოფოსმა გულწრფელად აღიარა სიმართლე. ფილოსოფოსის პირით წარმოთქმული სიტყვები მთელი ძველი ქვეყნის გულწრფელი აღსარებაა და მეტი არაფერი“... ძველი ქვეყნის ფილოსოფოსებს მტკიცე მეცნიერული ცოდნა არ გააჩნდათ. ისინი მხოლოდ ინსტიქტურად გრძობდნენ, რომ „ცოდნა არის სიკეთე“ და ისინი ამ ცოდნის მიწვდომას ცდილობდნენ შემოქმედებითი ძალითა და ფანტაზიის შემწეობით. ფილოსოფოსის მიერ წარმოთქმული სიტყვები სწორედ შეეფერებოდა იმ

³ იქვე.

დროის გონების განვითარებას და სწავლა-ცოდნას⁴. ავტორის აზრით, იგივე სიტყვები დღეს უკვე ანახრონიზმს წარმოადგენს; და თავისი ამ მოსაზრების დასადასტურებლად იგი თვით აკაკის იმოწმებს.

ხომლელი წერს, რომ „ჭკვიანი კაცი, რომელსაც სურს მიეტოლოს „გამოჩენილს და დიდებულს“, რა აზრისა და რწმენისაც არ უნდა იყოს იგი, ბოლოს მაინც ერთს რომელსამე აზრსა და შეხედულებას მიიჩნევს ჭეშმარიტებად“.

გონიერთაგან ხომლელი მოითხოვს, დახმარების ხელი გაუწოდონ ნივთიერად გალატაკებულთ, შეაიარაღონ ცოდნით უსწავლელნი, რათა მათ ბუნების კანონიერი მოთხოვნებიანი დაიკმაყოფილონ. მისი აზრით, ეს კეთილშობილი მოვალეობა მოაზროვნე კაცს ყოველთვის ესმოდა და ესმის. „ამიტომ, — წერს ის, — ჭკვიან ადამიანს რომ თავისი თანამედროვე საზოგადოების წინაშე წარმოეთქვა: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი-რაო“ — ხომ სისულელედ ჩათვლიდა შემდეგი თაობა იმ კაცის სიტყვებს. თანამედროვე განსწავლულ ადამიანს თავისი აზრი და მსოფლიოზე შეხედულება სრულიად ჭეშმარიტებად მიაჩნია, რადგან იგი თავისი საკუთარი გონებით, ცდით და ჯაფით შეძენილი ჭეშმარიტებაა“.⁵

აკაკიმ, როგორც ვიცით, ქვეყანა თეატრს შეადარა, ხოლო ხალხი ამ თეატრში მოქმედ გმირებს. ხომლელი სპეციალურად ჩერდება აკაკის ამ შეხედულებაზე ქვეყნისა და ხალხის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. აკაკის ეს თვალსაზრისი მას გაზვიადებულად მიაჩნია, რის გამოც შენიშნავს: „სად თეატრი და სად ქვეყანა. თეატრი ხელოვნების ტაძარიაო — ამბობენ, რომელიც არა თუ მთელი ქვეყნის, არამედ ადამიანის ცხოვრების ზოგიერთი მხარეების მკრთალი და ბნელი გამომხატველიც ძლივს არის. თვითონ ხელოვნებაც მხოლოდ ნაწილია იმ რთული აგებულებისა, რომელსაც სახელად ცხოვრება ჰქვია. ხელოვნება სრულიად ვერ გამოხატავს ცხოვრებას და თეატრი, როგორც ტაძარი ხელოვნებისა, მხოლოდ აჩრდილია ქვეყნისა. რას ემგვანება ცოცხალი ადამიანი თავის აჩრდილს რომ შეადაროთ“⁶. ამ განმარტების შემდეგ იგი ასკვნის: „სადი გონების პატრონს და ხალხს, არა გვგონია, რომ ნამდვილს მოჩვენებული ერჩიოს... თუმცა არიან ზოგიერთე-

4 ხომლელი. რჩეული ნაწერები. „აკაკის ფელეტონის გამო“, გვ. 29.

5 იქვე, გვ. 31.

6 იქვე, გვ. 32.

ბი, რომელთაც ნამდვილს მოჩვენებული ურჩევნიათ, მაგრამ ისინი/ ხომ ერთეულები არიან და მათი საზომით ხომ არ შეიძლება/ იზომოს ყველას შეხედულება ცხოვრებაზე საზოგადოდ. ბუნების ბუნებრივ სილამაზეს შეედრება ხელოვნურად დახატული სურათები — რომელიც რაღაც უსულო და უღონო აჩრდილია ცხოვრებისა, ხოლო პირველი კი თვით განხორციელებული სი- ცოცხლე? ⁷

აკაკის თქმით, ის, რაც სულ თვალწინ გვიდგას, არაფრად მიგვაჩნია, და მოგვწონს ის, რაც მხოლოდ ხანდახან მოგვეჩვენება; ამიტომ ვისაც კეთილდღეობა უნდა, მან ყოველივე ეს კარგად უნდა იცოდეს და ხალხში თავი ისე უნდა დაიჭიროს, როგორც ხალხის გრძნობა-გონება მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით ხომ- ლელი შენიშნავს: „ვინც ცხოვრების შემუშავებულ გარემოებათა ზნესა და ჩვეულებას, ე. ი. კულტურას შორდება, იგი უნდა მო- ისპოს, და, ვიტყვით ბიოლოგების სიტყვით, მოკვდეს, გადაშენ- დეს“ ⁸

იშველიებს რა დარვინის მოძღვრებას, ხომლელი აღნიშნავს: „ერთი რიგი მსწავლულებისა მხოლოდ დარვინის მოძღვრების შეხედულებით ხელმძღვანელობს ადამიანთა საზოგადოების, ცხოვ- რების გასაგებად და თავის ნიჭსა და გონებას ახმარს იმის შესწავ- ლას, მხოლოდ რაც არსებობს, რასაც მტკიცე კავშირი აქვს სინა- მდვილესთან, ხოლო ახალი იდეების წამოყენებაზე ხელს იღებენ. მეორე რიგი მსწავლულებისა, თუმც დარვინისაგან დამტკიცებულ კანონს ჭეშმარიტებად სთვლიან, ბუნებასა და ცხოვრებაში, მაგ- რამ ცნობიერ არსებათა საზოგადოების ცხოვრების გასაგებად კი თავიანთ კრიტიკის დასაწყისს თვითონ ადამიანის პიროვნებაში ეძებენ და ამტკიცებენ, რომ საზოგადოების წესწყობილებას და ცივილიზაციას თავისთავად ფასი არა აქვს, თუ ერთიც და მეორეც ადამიანის ბუნების კანონიერ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს“ ⁹.

ავითარებს რა ამ აზრს, ხომლელი თვლის, რომ აკაკი წერეთე- ლი „მთელი თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით და საკვირველი ნი- ჭის ნაწარმოებებით სრულიად ამართლებს მეორე რიგი მსწავლუ- ლების მსოფლიოზე შეხედულებას და ამ უკანასკნელი წერილით კი პირველი რიგი მსწავლულების აზრსა ჰრაცხს აუცილებელ ჭეშ- მარიტებად“ ¹⁰

⁷ ხომლელი. რჩული ნაწერები. „აკაკის ფელეტონის გამო“, გვ. 33.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 34.

¹⁰ იქვე, გვ. 35.

აკაკის შეხედულებით, დიდი ჭკუის პატრონები ყურადღებას არ აქცევენ ზემოთ მითითებულ ჭეშმარიტებას, რის გამოც ცხოვრებას იმწარებენ; ამის მიზეზი კი — გრძნობაა.

ხომლედი სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს მიზეზი ძალიან მკრთალად ხსნის ამ მოვლენას. მისი აზრით, „გრძნობა არის ცოცხალი არსების ისეთი თვისება, ანუ ძალა, რომელიც შეიძლება ქარიშხალსავით უკუღმაც დატრიალდეს და წალმაც“¹¹. გრძნობა ვერ მისცემს ადამიანის ცხოვრებას აზრსა და მიმართულებას. აქ საჭიროა რაღაც სხვა, და ეს სხვა გახლავთ გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ადამიანისა. ისტორიას თუ გადავხედავთ, უამრავ გრძნობიერ ადამიანს ვნახავთ, რომლებიც თავიანთ თვალწინ ხედავდნენ თავისუფლებას მოკლებულ და გადატაკებულ ხალხს, მაგრამ თვით ისინი „ნეტარების ზღვის ნათელში ყვინთავდნენ“.

ამგვარ ადამიანთა წყებას აკუთვნებს იგი გრ. ორბელიანსაც და წერს: „ვინ იტყვის, რომ გრ. ორბელიანი დიდის გრძნობის პატრონი არ იყო. მისთანა დიდი გრძნობისა და ფანტაზიის პატრონს ევროპაშიც ვერ პოულობენ, მაგრამ რას ვხედავთ. მის დროს ჩვენში ბატონყმობა იყო, ხალხს ეს უღელი, მძიმე ტვირთად აწვა კისერზე და რატომ ერთხელ მაინც არ აღიმალა ხმა ამ მაღალის გრძნობის პატრონმა? რომ ადამიანის ღირსება შეგინებულია და ამ ღირსებას აღდგენა უნდა? ჩვენ ისიც ვიცით, თუ როგორ და რა პასუხით შეეგება 60-იან წლებში რუსეთიდან ჩამოსულ სახელოვან ჭაბუკებს?“¹²

ხომლედი არ უარყოფს არც გრძნობის მნიშვნელობას, მაგრამ, მისი აზრით, გრძნობას მხოლოდ მაშინა აქვს ცხოვრებაში მნიშვნელობა, როდესაც იგი ადამიანის გონებასა და ზნეობას ემორჩილება. მხოლოდ გონებით განვითარებულ ადამიანს შეუძლია დახანწილოს ცხოვრების რთული მოვლენანი, გაარჩიოს ცოდვა-მადლისაგან და შავი — თეთრისაგან. ხომლედი არ იზიარებს აკაკის აზრს იმის შესახებ, რომ ხალხს სიგიჟე ჰგონია გონიერ ადამიანთა მოქმედება და სდევნის მას დაუზოგველად. ამიტომ იგი ეკითხება აკაკის: „ვის უწოდებს იგი ხალხს? განა ბისმარკი ხალხის სახელით არ ატრიალებდა თავის დიპლომატიურ ნიჭს და მოხერხებულ პოლიტიკას და განა თვითონ მისი მოწინააღმდეგე იყო ხალხის სახელით არ მოქმედებენ დღეს გერმანიაში“.¹³ მისი აზრით, საჭიროა

11 ხომლედი. რჩეული ნაწერები. „აკაკის ფელეტონის გამო“, გვ. 35.

12 იქვე, გვ. 36.

13 იქვე, გვ. 37.

გავერკვეთ იმაში, თუ ვინ მოქმედებს ხალხის სახელით, და ვინ არის საიდუმლოებით მოცული ეს უშველებელი ძალა? იგი აკაკის, რომ თავისი ნათელი გონება მიაპყროს ამ საკითხს.

დასასრულ ხომლელი კონკრეტულად მსჯელობს საზოგადო-ადამიანის ბუნებაზე. მისი შეხედულებით, ადამიანისათვის საჭი-როა, როგორც გონებრივი, ისე ზნეობრივი განვითარება, მაგრამ, გარკვეულ სიტუაციასა და ვითარებაში, გადამწყვეტ მნიშვნელო-ბას იძენს არა დიდი გონებრივი უპირატესობა, ფართო განათლება, არამედ მიხვედრილობისა და დაკვირვების ნიჭი, რომელიც „გა-ახნიათ როგორც გონება-განვითარებულ და დიდი ჭკუის პატრო-ნებს, ასევე პატარა კაცებსაც“¹⁴. ეს უკანასკნელი ანგარიშს უწე-ვენ საზოგადო ცხოვრების მოთხოვნებს და ისე ირჩებიან, როგორც ამას მოითხოვს საზოგადო აზრი და მიმართულება. შეიძლება სხვებს მათზე მეტი ცოდნა და განათლება ჰქონდეთ, მაგრამ აკლ-დეთ ის გამჭრიახობა, რომელიც ადამიანს უადვილებს საზოგადო-ებრივი მოვლენების გაგებას: „ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ხშირად მეცნიერი და დიდად განვითარებული ადამიანი ისეთ გავ-ლენას და ძალას ვერ იძენს თავის თანამედროვეთა შორის, რო-გორც საშუალოდ განათლებული კაცი“.¹⁵

ხომლელის თქმით, ცოდნა და ფილოსოფიური ტალანტი დიდ-როს მეტი ჰქონდა, ვიდრე ვოლტერს, მაგრამ „დიდროს აკლდა ის ხერხი და საქმიანობის მიხვედრილობის ნიჭი, რომელიც ასე უხ-ვად ქონდა მინიჭებული ვოლტერს, ამიტომ დიდრომ თავისი ცოდნა და მოძღვრება ისე ვერ შეუფერა და შეუწონა საზოგადო აზრსა და მოთხოვნილებას“.¹⁶

ხომლელი სვამს კითხვას: ვინ ქმნის ისტორიას? „გამოჩენილ-ნი, დიდებულნი კაცნი, თუ ხალხი? ე. წ. მასა?“, და იქვე პასუხობს: „საზოგადო მოღვაწეობისათვის საჭიროა როგორც ხალხი, ასევე მეთაურნი. ეს მეთაურნი უხვად არიან დაჯილდოებულნი ღრმა-ჭკუითა და მტკიცე ნებისყოფით, ისინი თავის ბედს უკავშირებენ ხალხის ბედს და მასთან ერთად ეწევიან ცხოვრების უღელს. ასეთი დრო ყოველი ერის ისტორიაში ბედნიერ დროს წარმოადგენს“¹⁷.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში პიროვნებისა და ხალხის როლის ხომლელისეული შეფასება, როგორც ვხედავთ, ეთანხმება ამ საკითხის მარქსისტულ გაგებას. „არც ერთ კლასს

14 ხომლელი. რჩეული ნაწერები. „აკაკის ფელეტონის გამო“, გვ. 38—39.

15 იქვე, გვ. 39.

16 იქვე.

17 იქვე, გვ. 40.

ისტორიაში არ მიუღწევია ბატონობისათვის ისე, — წერს გ. ი. ლენინი, — რომ არ წამოეყენებინოს თავისი პოლიტიკური ბელადები, თავისი მოწინავე წარმომადგენლები, რომელთაც მომხარობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უნარი შესწევთ“. 18

ისტორიის მსვლელობას კლასთა ბრძოლა განსაზღვრავს, და დიდი ადამიანების ჭეშმარიტი როლიც ისტორიაში მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გავიგოთ, თუ მათ მოღვაწეობას ამ ბრძოლასთან დაკავშირებით განვიხილავთ. გამოჩენილი მოღვაწენი იმით არიან დიდნი, რომ ისინი სხვებზე უფრო ადრე შეიცნობენ, თუ რა ესაჭიროება საზოგადოებას.

თავის სტატიის დასასრულს ხომლელი დასძენს: „ჩვენც ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მაგრამ აკაკის დაპირებას ვუცდიდით ამდენ ხანს და ამიტომ დავაგვიანეთ წერილი, დავუცადეთ შემდეგისათვის აკაკის ნათელ აზრს ამ საგანზედ, რადგან საჭიროა ამის შესახებ გონიერი და პირუთენელი მსჯელობა გამოთქმულ იქნას“.

მაგრამ აკაკის ხომლელისათვის პასუხი არ გაუცია, ვინაიდან ამ უკანასკნელმა სწორად ვერ გაუგო დიდ პოეტს, რომელმაც, მისთვის ჩვეული პუბლიცისტური ოსტატობით, განგებ გაამუქა და გააუკიდურესა ზოგიერთი ის მოსაზრება, რომელიც მასაც სხვაგვარად ჯეროდა, აკაკის სწორად ესმოდა ხალხის როლი ისტორიაში. კარგად ჰქონდა გათვალისწინებული პიროვნების შესაძლებლობაც, მაგრამ მან მიზნად დაისახა ეჩვენებინა იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილობა საზოგადო მოღვაწეთა მიმართ, რაც შესაძლებლობას აძლევდა შემთხვევით ადამიანებს თავისი თავი ჭეშმარიტი მოღვაწეების გვერდით დაეყენებიათ.

ნათელა იმედაძე

პრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი აკისტორაული მემკვიდრეობის შესწავლისათვის

„დიდი ხანია დავეხეტები ქვეყნად. ბევრი შესანიშნავი ქართველი კაცი გამიცვნია, ბევრი კი არა, თითქმის ყველა ჩვენი საჩინო მწერლების, თუ არ მეგობარი, ახლო ნაცნობი მაინც ვარ და გულზე ხელდადებით შემოძლია ვთქვა: გრიგოლ ორბელიანისებრ გონიერი ქართველის მნახველი არა ვარ“¹. ასეთ შეფასებას აძლევს დიდ ქართველ პოეტს მისი თანამედროვე მოღვაწე იონა მეუნარგია.

ბევრმა მეცნიერმა განიხილა და შეისწავლა გრ. ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება, მრავალი საინტერესო დეტალებითა და შტრიხებით შეავსო მისი ცხოვრებისეული სურათები, მაგრამ პოეტის დიდსულოვნების, სათნო და მზრუნველი ბუნების, პატრიოტიზმის, ზოგჯერ სევდა-კაეშნით შეფერილი, ზოგჯერ კი იუმორითა და სიცოცხლით აღსავსე განწყობილებების ყველაზე ზუსტი გამომხატველი მაინც ის ბარათებია, რომლებიც, პროფ. ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, არქივების თაროებს ამძიმებენ.

ამ ბარათების ადრესატთა სიაში ვხვდავთ იმდროინდელი საზოგადოების თითქმის ყველა გამოჩენილ წარმომადგენელს, რადგანაც გრ. ორბელიანი იყო ამ საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ღერძი; მრავალი საზოგადო თუ პირადი საქმე მისი უშუალო ჩარევით წყდებოდა: „იმას არ ჰქონდა ჩვეულება ლაპარაკისა საქმის უცოდინარობით და თუ იტყოდა რასმე, იტყოდა ჭეშმარიტებას, რომლის მიუღებლობა ხშირად სანანებლად ურჩებოდა იმ საზოგადოებას და მთავრობას, რომელთადმი მიმართული იყო მისი სიტყვა. გონიერ თავს მოციქულად ტკბილი ენა ჰყვანდა პოეტისა და ეს უფრო საამოდ ხდიდა მის სიტყვას, რომელსაც, ამის გამო, — სიტბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა. რა საგანზედაც უნდა ყოფილიყო სჯა, თუნდა ეს საგანი, ასჯერ თქმული და გაგონილი

¹ იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1941, გვ. 151.

ყოფილიყო, ასჯერ მიწაში დამარხული, რაკი ორბელიანის ენა-
კალამი მოხვდებოდა იმას, იგი ხელახლა ცოცხლდებოდა“².
ჩვენს მიერ შერჩეული ბარათები გრ. ორბელიანის ცხოვრების
ბოლო პერიოდს განეკუთვნება.

თუ თვალს გადავაკვლებთ პოეტის ამ პერიოდის ცხოვრებასა და
შემოქმედებას, მათ შორის გარკვეულ კავშირს დავინახავთ; ზოგიერ-
თი წერილი პირდაპირ მისი ლექსის ადექვატურია. ვაოცებთ მათი
იდეისა და აზრის ერთიანობა და მთლიანობა, რაც კიდევ ერთხელ
გვარწმუნებს იმაში, რომ გრიგოლ ორბელიანი—პიროვნება და გრი-
გოლ ორბელიანი — პოეტი ერთი მთლიანი იყო. რა უყოთ თუ პოე-
ტი ვითომდა შეეგუა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას,
ვითომდა ქედი მოიხარა მეფის რუსეთის წინაშე და თავისი ცხოვრე-
ბის ყველაზე დიდი პერიოდი რუსეთის ბრძოლებსა და მისი ძლიერე-
ბის განმტკიცებას შეაღია. „პოეტს განსაკუთრებულს ისტორიულ
სიტუაციაში მოუხდა მოღვაწეობა და ამ გარემოებამ კავკასიური
არმიის ოფიცრის ეროვნულ შეგნებას წარუშლელი დადი დაასვა:
გრ. ორბელიანი ჩინებულად ხედავდა, რომ ბნელი, აგრესიულად
განწყობილი აზიური ხალხებით გარშემორტყმული ხალხის ფიზიკუ-
რი და სულიერი გადარჩენა შესაძლებელი იყო მხოლოდ ძლიერი
რუსეთისა და მისი ხალხის მაღალი კულტურის დახმარებით“³.

აი რას წერს პოეტი 1878 წელს ალექსანდრე ორბელიანს: „გან-
თავისუფლდნენ მილიონნი ქრისტიანენნი ოთხასის წლის ტყვეობი-
დამ, ძველი ქართველნი, ჩვენი ძმები, აჭარა, ლიკანი, ქობულეთი, ბა-
თუმით შეუერთდნენ დედა საქართველოსა და უძლიერესის მართლ-
მადიდებლის ხელმწიფის მფარველობასა ქვეშეთ აწ იმყოფება მთლად
თამარ მეფის სამეფო. დიდება მაღალთაშინა ღმერთსა! დიდება ჩვენ-
სა ხელმწიფესა ქრისტიანობის გამომხსნელსა!“ ლევან მელიქიშვილი-
სადმი იმავე წლის 5 სექტემბერს გაგზავნილ წერილში კი ვკითხუ-
ლობთ: „ძველნი ქართველნი შეერთდენ ისევ ძველს დედა საქარ-
თველოს და აწ თამარ მეფის სამეფო მთლად აღმოჩნდა დიდის იმ-
პერატორის ძლიერების ქვეშე. დიდება ღმერთსა! დიდება დიდსა
იმპერატორსა ქრისტიანობის მფარველსა!“ ეს სიტყვები თითქოს
მეფის მთავრობისადმი პოეტის კეთილგანწყობილების მაუწყებე-
ლია, მაგრამ თუ წერილს ბოლომდე ჩავიკითხავთ და განსაკუთრებით
დავაკვირდებით იმ ადგილს, სადაც ნათქვამია — „დიდად მეშინიან,

² იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1941, გვ. 151.

³ გრ. ორბელიანი, თხულებათა სრული კრებული, I, 1951, აკ. გაწე-
რელის შესავალი წერილი, გვ. X—XI.

რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვიის სუდიები და არა აღინ-
დეს ახალს შეუჩვეველს ხალხში მეუფება ჩინოვნიკობისა, რო-
გორც აფხაზეთში, სადაცა დაამტკიცეს, რომ მიწა ეკუთვნის გუშინ-
დელს იქ შესულს ხაზინას, და არა იმ ხალხსა, რომელიც იქა მკვიდ-
რობს ნოეს დაბადებიდამ“, — დავრწმუნდებით, რომ გრიგოლ ორ-
ბელიანს ქრისტიანული სახელმწიფოს ბატონობა ურჩევნია მუსულ-
მანური სახელმწიფოს ბატონობას, რომ იგი კმაყოფილია საქართვე-
ლოს გაერთიანებით და არა მეფის რუსეთის ჩინოვნიკური აპარა-
ტით და იმ პოლიტიკით, რომელსაც ის ატარებდა საქართველოში.

ამრიგად, ეს ბარათები თუ, ერთი მხრივ, იმპერიის ქება-დიდებას
წარმოადგენენ, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ გვიჩვენებენ პოეტის
შეურივებლობას მეფის რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის მი-
მართ.

პოეტი იმედოვნებდა, უფრო სწორად უნდოდა იმის იმედი ჰქო-
ნოდა, რომ ერთმორწმუნე ქრისტიანული ქვეყანა არ დაუშვებდა სა-
ქართველოს გადაგვარებას. ამიტომ იყო, რომ ის საქართველოს
დიდ რუსეთს ავედრებდა და სურდა საქართველოსათვის დი-
დი სახელმწიფოს მზრუნველი ხელი გადაეფარებინა. სწორედ ეს
ამოქმედებდა პოეტს, როდესაც „სადღეგრძელოში“ ხელმწიფისადმი
საგანგებო მიმართვა შეიტანა:

„ძველი ივერი,

შენი ივერი.

შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა;

შენგან მოელის,

რომ ლამპარს ჰსწავლის

კვალად აღუნთებ ძველად გამქრალსა!“

ამ იმედს პოეტი სისოცხლის ბოლო წლებამდე ატარებდა. მრავ-
ალი წლის მანძილზე სწამდა და სჯეროდა, რომ საქართველო კვლავ
აღდგებოდა თავისი ძლიერებითა და სიდიადით.

საქართველოს წარსული დიდების აღდგენის სურვილი, კაცთ-
მოყვარეობისა და ჰუმანიზმის მაღალი იდეალები გრ. ორბელიანის
ცხოვრებისა და შემოქმედების მესამე პერიოდისათვის ძირითადი მა-
მოძრავებელი მოტივები იყო, თუმცა მან, „თავისი ცხოვრების მესა-
მე პერიოდში, განსაკუთრებით იგრძნო ყაფლანიანთა გვარის აგონია.
70-იანი და 80-იანი წლების ბარათები სავსეა გოდებით ქართველი
არისტოკრატიის დაკარგულ დიდებზე, მის გადაგვარებასა და თბი-
ლისის იერის შეცვლაზე. ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება
მეორე მწერალი, რომელსაც ასეთი სიმძაფრით ეგრძნოს მოახლოე-

ბული კატასტროფა და ასეთი მოუსვენრობით მოეთხროს ამ კატასტროფით გამოწვეული შიშის შესახებ“ 4.

ეროვნული
საქართველო

მოხუცი პოეტის სევდამორეული განწყობილება და სადმი ჩივილი ისმის სოფიო ორბელიანისადმი მიწერილი წერილიდანაც, რომელიც 1873 წლითაა დათარიღებული: „ან მე ვინ მინდა, ან მე ვის უნდევარ? ვინცა იყვნენ ჩემთვის სასიხარულოდ, ისინი აღარ არიან; ზოგნი შორს ვლენენ ოხვრით, ზოგნი უდროდ განვიდნენ სოფლის ღვინით. ყველას თავისი დრო ჰქონია ამ სოფელში და ამა ზენარსის დაწესებასა მორჩილებენ ყოველნი და მეცა მათ შორის“.

ასეთი მელანქოლიური განწყობილება მარტო გრიგოლ ორბელიანისათვის არ იყო დამახასიათებელი. ქართველმა მალაქმა წოდებამ მკვეთრად იგრძნო კარზე მომდგარი ბედისწერა: ეკონომიური ნიდაგის გამოცლა, პოლიტიკური როლის დაკარგვა, ცხოვრებიდან თანდათან გარიყვის აუცილებლობა; იგრძნო, რომ ის განწირულია და მომავალი მას კარგს არაფერს მოუტანს.

თუ ადრე პოეტი დროდადრო მაინც მხნედ და იმედიანად შეპყურებდა ცხოვრებას და ფიქრობდა, რომ რალაცა მაინც შეიცვლებოდა („აჰა ცისკარიც, მზის წინამსროლი, მოჰფენს ვარდის ზღვას აღმოსავლეთით; ღამე ილევა მისი ნათელით და განიღვიძებს დღე სიხარულით“, 1832 წ.) ბოლოს ეს იმედიც დაკარგა. წლები მიდიოდნენ და საქართველოს მდგომარეობა არავითარ სასიხარულოს, სანუგეშოს არ აძლევდა რომანტიკოს პოეტს. თუ ადრე მის ნუგეშს ახლობელ-მეგობრები და ნაცნობები მაინც წარმოადგენდნენ, რომლებთანაც იგი გულს იოხებდა, დაგროვილ სიმწარესა და ვაებას ამჟღავნებდა, დღეს ისინიც შემოეცალნენ. ამიტომაც, მარტოობის და ცხოვრებით უკმაყოფილების გრძნობა, სოფლის წარმავლობით გამოწვეული სევდა იგრძნობა მის პირად ბარათებში: „...წელიწადები მიდიან, ჩვენცა ვბერდებით და ეხლავე ვიღუპებით!“, (სოფიო ორბელიანისადმი, 1873 წ. სექტ.); „...მომიგონე მე, ობოლი, ოხერ-ტოალი, ცოლი არა, შვილი არა, უბედური წავკისში გადავარდნილი, გადაყრუებული.“ „...[ქეთევან ორბელიანისადმი, 1875 წ. 15 აგვისტო]; „...ავადმყოფობით დასუსტებულსა ღონე სრულებით მომეშვა, ვაი ჩემს საბრალო თავსა, რომ ამ სოფელში დავჰშითი მარტოდ-ობლად; ყოველთა მათგან, ვინცა მიყუარდნენ სულით, გულით!...“ (რევაზ ერისთავისადმი, 1877 წ. 28 დეკემ.).

4 გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936, აკ. გაწერელის შესავალი წერილი, გვ. 23—24.

სწორედ ეს გულისტკივილია გადმოცემული მის პოეტურ სიტყვებშიც:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„აწ სად არიან ივინი, მას ეამსა ლხინში ვინც იყვნენ?
ძმანი და ტოლნი, ვაჟაცანი, რომელნი ხილვით გვალხენდნენ?...
განგვზორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ,
თვალთ მიგვეფარნენ... წავიდნენ... ძველთაგან დავშით მე' და შენ!“

მეგობართ, ახლობელთ მოკლებული პოეტი წუხს, გრძნობა ერევა, მასში იღვიძებს მოხუცი თავისი გულისტკივილითა და მარტობის მწარე განცდით: „ეჰ, ასე ყოფილა თურმე: ჯერ ერთი მოგვაკლდება, მერე მეორე; ხან იმას ვჰსჩივით, ხან იმას მივტირით, და ასე ნელინელა, ნელ-ნელა ვეჩვევით მოშორებასა ყოვლისა მისგან, რაც უწინ ან გვასიამოვნებდა, ან გვახარებდა. ან გვაბედნიერებდა; და ბოლოს, ასე ვჰრჩებით მარტო, ასე უცნობ გარემოთათვის, რომ როცა გადავალთ საიქიოს, ერთი ფოთოლიც არ შეიჩყვება, საეჭოს...“ (სოფიო ორბელიანისადმი, 1874 წ. მარტი).

სამხედრო თავგადასავლებითა და ბობოქარი ცხოვრებით დაღლილი პოეტი, მოცილილობის ეამს ღრმად უფიქრდება ადამიანის სიცოცხლეს და მის არსს, ამ სოფლის ამაოებასა და დაუნდობლობას, რაც უფრო მეტად უღრმავებს იმ მელანქოლიას, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო მისი ცხოვრების ბოლო პერიოდისათვის. თუმცა ასეთ მწუხარებასაც „არ ემორჩილება“ და მოთმინების მოშველიებით სურს გაუმკლავდეს მას: „უბედურება, მოვლენილი ღვთისაგან უნდა მოვითმინოთ მხურვალეს ლოცვითა და მოთმინებითა და უნდა მივანდოთ თავი ჩვენი ისევ იმ უზენაესსა ღმერთსა, რომლისა ნება უეჭველად უნდა აღსრულდეს!“.. (ელისაბედ ორბელიანისადმი, 1878 წ. 24 აგვისტო).

მაგრამ ეროვნული თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ ცვლილებებს სოციალური ძვრებით გამოწვეული ტრაგედიაც თან დართვია, რაც მოსვენებას უკარგავს ყაფლანიანთა სახელოვან შვილს. „... იყიდება მამუკას შვილის კოტეს მამული; იყიდება დავით ჭავჭ. სახლ-კარი, ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი, და ერთის სიტყვით იყიდება თითქმის მთლად საქართველო!..“, — წერს პოეტი ივანე ორბელიანს 1878 წ. 7 თებერვალს.

იგივე აზრია გამოთქმული სოფიო ორბელიანისადმი 1874 წ. მარტში გაგზავნილ წერილშიც: „თითქმის მთლად საქართველო გაიყიდება. შენ წარმოიდგინე, რა ვაება, გოდება, მოელის ჩვენ ქვეყანასა!... და საკურველი ეს არის, რომ მაინც კიდევ ვერა ვჰხედავთ დაბრმავებულნი იმ ბნელს უფსკრულსა, რომელშიაცა უთუოდ უნდა ჩავჰსცივდეთ...“

მიუხედავად ასეთი მძიმე განცდებისა, პოეტი მაინც არ ეძლევა უმოქმედობას. 1878 წ. 7 თებერვალს იგი წერილს უგზავნის პეტერბურგში მყოფ ივანე ორბელიანს, რომელშიც აღწერს საქართველოს მდგომარეობას და სთხოვს მას ყოველივე დიდ მთავარს მოახსენოს, რათა მისი შემწეობით ხელმწიფემ შეიტყოს. იქნებ რაღაც მაინც შეიცვალოსო, იმედოვნებს პოეტი. „...მოთმინება აღარ შეიძლება: თუ დროზე არ მოგვეშველნენ მერე ველარაფერი ვერ აღგვადგენს ჩვენს საფლავში ჩასულთა!“

მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე და პოეტს ისლა დარჩა ეთქვა:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“...

(1883 წ.)

„გრ. ორბელიანის ეს თვითგამოტირილი იმავე დროს მთელი ქართული რომანტიკული პოეზიის უკანასკნელი მნიშვნელოვანი პოეტური სიტყვაა, აღსავე არა მარტო ბიოგრაფიული, არამედ ღრმა საზოგადოებრივი და ისტორიული შინაარსით“⁵.

ინტერესს არაა მოკლებული პოეტის წერილები სალომე მიურატისადმი. ამ ბარათებში ჩვენ წინ კიდევ ერთხელ აღიმართება თავისი ქვეყნის, თავისი წოდების ერთგული დამცველი და მისი ბედით შეწუხებული ადამიანი. მათში კარგად ჩანს ის დაცინვა და გესლი, რომლითაც გრიგოლი უმასპინძლდება მის თანამედროვე მეშჩან საზოგადოებას, და განსაკუთრებით ქართველ ქალებს, რომლებსაც ქართულ ენაზე ლაპარაკი სასირცხვილოდ მიაჩნიათ და ივიწყებენ ყოველგვარ ქართულს: „... საქართველოში კი ქართველი ქალები უარს-ყოფენ ქართულს ენასა და შეურაცხებით, ტუჩებ-აშვერით, ამბობენ, „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა“! ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენს აწინდელის საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა; მის უმეცრებას, გზის დაკარგვასა. ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპარნიცა, თავისი მამულიცა. ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორიისა. თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს ვინ იყვნენ იმის მამა-პაპები, როგორ სცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდნენ?“

⁵ ა. კ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, 1965, გვ. 95.

ამ სიტყვებში კარგად ვგრძნობთ პოეტ გრ. ორბელიანს:



„ერის ცხოვრება
მისი დიდება
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!...“

სალომე მიურატისადმი მიწერილ წერილში გრიგოლი იძლევა საქართველოს ისტორიის მოკლე დახასიათებასაც: „...ათასის წლის განმავლობაში როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაც აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა? — რომელი ისტორია მოგვითხრობს ესრეთსა უმაღლესსა სარწმუნოებასა და მამულის სიყვარულსა, როგორიც გამოაჩინეს საქართველოს უკანასკნელთა მეფეთა, ირაკლიმ და გიორგიმ, რომელთაც თავისი ნებით, თავისი სურვილით, დაჰსთმეს თავის სამეფო ტახტი, თავის შვილები და მისცეს თავის სამეფო რუსთ ხელმწიფესა, ოღონდ კი იცხოვროს საქართველომ მშვიდობიანად? სპარსელებმა ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს, და არ უარპყო მან ქრისტიანობა! ვანა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებისაგან?“

ამავე წერილში პოეტი ამათრახებს მეტიჩარა არისტოკრატ ქალებს, რომლებმაც „არც კი იციან, თუ ვისის მადლით და წყალობით ასე გულმოსვენებით, კეკლუცობით, სეირნობენ გოლოვინის პროსპექტზე, შლეიფებ გაშლილნი! საფლავი მეფისა ირაკლისა და გიორგისა აღარ იციან სად არის! უბადრუკებმა აღარ იციან, რომ იმათი დედები იყვნენ დედუფლები ზრდილობისა, სილამაზისა, მაღალ გონებისა და ამასთან ხასიათით მამაცნი, თავგანწირულნი მამულისათვის!“.

ამ წერილში გრიგოლ ორბელიანი გვაცნობს სამშობლო ქვეყნისადმი თავის განუზომელ სიყვარულს და შექმნილი მდგომარეობით გამოწვეულ აუწერელ გულისტკივილს, რომელიც გვეხმარება მისი პიროვნების დასახასიათებლად; იმის გასათვალისწინებლად, თუ ვინ იყო გრიგოლ ორბელიანი პოეტი და მოქალაქე, რა შეადგენდა მისი ცხოვრების აზრს, რისთვის ცხოვრობდა, ანდა რა შთაავგონებდა რომ ეთქვა:

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ქამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!

რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?“

თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?“



მეცხრამეტე საუკუნის ლირიკულ შედეგებს შორის მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია გრ. ორბელიანის ბრწყინვალე ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

„მიხარის—გიშერ,
ვწუხვარ—და გიშერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვპკრძნობდე,
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!...“

ეს ლალადისი მაშინ აღმოხდა პოეტს, როდესაც ბეთანიის მიუვალ ტყეში, ეკლესიის კედელზე, საქართველოს წარსული დიდებისა და სიამაყის, მეფეთა-მეფის ნათელმოსილი სახე იხილა. პოეტმა მას შეაგედრა სამშობლო, სამშობლო ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განადგურებული.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ლექსის დაწერის თარიღად დღემდე 1877 წელია მიჩნეული, რადგან იგი პირველად გაზეთ „ივერიაში“, „ქსნისხეველის“ ფსევდონიმით, 1877 წელს დაიბეჭდა უთარილოდ.

მაგრამ პოეტის რამდენიმე პირადი ბარათი იმის საფუძველს იძლევა, რომ იგი რამდენიმე წლით ადრე დაწერილად ვივარაუდოთ.

1860 წლის 25 ივლისს გრიგოლ ორბელიანი ბაბაღე საგინაშვილს სწერს: „ერთი ამოდით, რა დაგემართათ?—წავიდეთ და ვნახოთ ბეთანიის მონასტერი, განთქმული საქართველოში შენობითა და თამარ მეფას სურათითა“.

მისადმი გაგზავნილ მეორე წერილში, რომელსაც წელი არ აწერია, მაგრამ დათარიღებულია 17 აგვისტოთი და უდავოა, რომ იმავე წელს ეკუთვნის, პოეტი წერს: „გუშინწინ, ესე იგი ღვთაებობას, ვიყავ ბეთანიას. ოჰ რა მშვენიერი, დიდებული ყოვლის ხელოვნებით შემკული ეკლესია არს! სურათები თამარ მეფასი, მის მამისა და შვილისა მდიდრად გამოსახულნი, მღუმარებით და თითქოს განკვირვებით გვიყურებენ ჩვენ მოსულთა თაყვანისაცემად! რა ვჰსთქვა? თუმცა გზა საძაგელია, მაგრამ ჰღირს, რომ კაცი, მეტადრე ქართველი, წავიდეს ამ მონასტრის სანახავად არა ერთხელ“.

ვფიქრობთ, რომ ეს ლექსი ამ პირველი ნახვით გამოწვეული აღფრთოვანების შედეგად არის შექმნილი და არა ჩვიდმეტი წლის

„შემდეგ, მით უმეტეს, რომ 1877 წ. 12 აგვისტოს, სალომე მიუჩატი-
საღმისადმი გაგზავნილ წერილში, იგი წერს: „ძალიან მეამა, რომ თამარ
მეფის სახე ბეთანიში, მოგწონებიათ ეკატერინასაცა და უმეტესად
ცა, რადგან უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვახლავარ იმ ლექსის დამ-
წერი და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭდვა არ იქნება, და აი
სწორე, ნამდვილი მომირთმევია ჩემს სახსოვრად“.

ეს წერილები, რომლებიც საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკე-
ლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის გრ. ორბელიანის საქმეთა
ფონდშია (№ 6, საქმე № 66) დატული, საფუძველს გვაძლევს ვი-
ფიქროთ, რომ ეს ლექსი გაცილებით ადრეა დაწერილი, დაახლოე-
ბით 60-იან წლებში, შესაძლოა სწორედ იმ წელს, როდესაც პირ-
ველად იხილა პოეტმა თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში.

თუ პოეტს სიბერის უამს სევდა მოერია, გრძნობამ აიყოლია,
მარტოობითა და უმოქმედობით მოწყენილი წარსულს იხსენებდა,
მასზე ოცნებობდა და თავს დასტრიალებდა თავის ქვეყნის ისტო-
რიულ და გმირულ წარსულს, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ,
რომ იგი იყო თავისი ეპოქის, თავისი კლასის ღვიძლი შვილი, რომ-
ლის იდეალები წარსულის კუთვნილებას ვერ სცილდებოდა.

გრ. ორბელიანი თავისი წოდებისა და ქვეყნის ბედს ერთმანე-
თისაგან არ თიშავდა, ამიტომაც ასე მწარედ განიცდიდა ძველი სა-
ქართველოს დაცემას:

„ვაჰ, თუ რაც წახდეს
ველარა აღჰსდგეს,
ველარ აყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა
ის წარიტაცა
შავმა ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!“

მიუხედავად ამისა, თავის თანამედროვეობაზე გულაცრუებულ
პოეტს გულის სიღრმეში მაინც სწამდა, რომ თუ დღევანდელი დღე
არა, ხვალინდელი დღე მაინც იქნებოდა საქართველოსათვის ბედნი-
ერების მომტანი; ის, რაც ვერ შეძლეს მისმა თანამედროვეებმა,
შეძლებდა ცოდნითა და ნიჭით შეიარაღებული ახალგაზრდობა:
„მაგრამ მაინც კიდევ ის გვანუგეშებს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა
გულსმოდგინედ მეცადინეობს, შრომობს, და გვაქვს იმედიცა, რომ
მეცადინეობა მათი არ დაჰშთება უნაყოფოდ და ერთხელ ჩვენცა
გაგვითენდება დილა სიხარულისა...“

...მომავალი ეკუთვნის ყმაწვილკაცობასა, და ყმაწვილკაცობა
არის დიდი იგი ძალა, რომლისა შემწეობით შეიმუსრება და განჰქრე-



ბა ყოველივე მოვლენილი დაბრკოლება;“ (წერილი ალ. კეცელიძისადმი).

ამგვარი განწყობილება შთააგონებდა პოეტს რჩევა მიეცა ყველასათვის:

„მინამ ხარ ცოცხალ უნდა იზრუნვო სიცოცხლისათვის“.

გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ეპისტოლარული მემკვიდრეობა უაღრესად მდიდარი და საინტერესოა ავტორის იდეური სამყაროსა და პოეტური იდეალების შესწავლისათვის საჭირო მასალებით. ამიტომ მისი მკითხველისათვის მიწოდება მეტად საშური საქმეა.

Н. Г. ДРОЗДОВ.

ИЗ ОБЩЕСТВЕННО-ПУБЛИЦИСТИЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ МАМИЯ ОРАХЕЛАШВИЛИ

Журналиста, подписывающегося под статьями в газетах псевдонимами «М. Амиа», «Николоз», «М. Каспиели», «Н. Гектор», звали Мамия Орахелашвили.

... Мамия Орахелашвили родился в 1883 г. в селе Сакара бывшего Шоропанского уезда, в бедной крестьянской семье.

Образование получил в Кутаисской классической гимназии, по окончании которой поступил в Харьковский университет, а оттуда перешел в Петербургскую Военно-медицинскую академию.

В годы учебы в гимназии он становится убежденным социал-демократом. Находясь в Харькове, выполнял различные поручения социал-демократической группы и руководил кружком студентов, с которыми вел занятия по вопросам исторического материализма.

Раскол партии застал М. Орахелашвили в Петербурге. Он немедленно примкнул к большевистскому крылу. Летом 1903 года был привлечен к ответственности перед военным судом за беспорядки в лагерях под Ярославлем.

В 1906 году М. Орахелашвили был арестован, просидел в предварительном заключении 8 месяцев и отправлен был по этапу в Тифлис, где судился по делу Авлабарской типографии Кавказского союза социал-демократов большевиков... Прямых улик не было и суду пришлось оправдать его. Мамия, не теряя времени, вернулся к своим занятиям в медицинской академии и к работе в подпольной организации — в Петербурге он вел пропаганду в рабочих кружках за Невской заставой.

Военно-медицинскую академию М. Орахелашвили окончил в 1908 году и, как стипендиат, был отправлен в качестве военного врача в Закаспийскую область и Персию.

В 1913 году он возвратился в Грузию, где снова включился в партийную работу.

В годы первой мировой войны М. Орахелашвили находился на Румынском фронте, где его и застала Февральская революция.

Весной 1917 года, возвратившись в гор. Владикавказ, Мамия Орахелашвили вместе с Ноем Буачидзе, Сергеем Кирпичевым и другими большевиками становится во главе борьбы трудящихся Терской области за победу Советской власти. Он принимал активное участие в расколе объединенной социал-демократической организации и создании большевистской. В сентябре 1917 года на выборах во Владикавказский Совет рабочих и солдатских депутатов большевики получили большинство голосов. Председателем президиума Совета был избран М. Орахелашвили.

В октябре же Мамия Орахелашвили участвовал в работе I съезда кавказских большевистских организаций, который проходил в Тифлисе. Наряду с М. Цхакая, Ф. Махарадзе, С. Шаумяном, А. Джапаридзе и другими видными большевиками Кавказа М. Орахелашвили был избран в состав Кавказского краевого комитета РСДРП(б).

Победа Октябрьской революции вызвала ожесточенное сопротивление контрреволюционных сил на Кавказе. 31 декабря 1917 года банды белогвардейцев напали на Владикавказский Совет рабочих и солдатских депутатов и арестовали М. Орахелашвили вместе с другими руководящими деятелями Совета. В числе других он был приговорен к смерти разъяренным офицерством «дикой дивизии»... Вмешательство оставшихся на свободе товарищей спасло положение, но пребывание Мамия в городе стало невозможным. По решению парторганизации, он нелегально переехал в Тифлис. М. Орахелашвили переходит на работу в Западную Грузию. Здесь он избирается в состав Кутаисского губернского комитета и руководит работой губернской партийной организации. Вскоре он оказался в Кутаисской тюрьме меньшевиков, где провёл 14 месяцев. Из тюрьмы он руководил большевистской организацией города.

После своего освобождения М. Орахелашвили был снова избран членом Кав. бюро ЦК РКП(б) и должен был ехать на Северный Кавказ, но, по просьбе коммунистов Грузии, был оставлен в Тифлисе председателем президиума ЦК Компартии Грузии.

В результате преследований меньшевиков М. Орахелашвили вынужден был уйти в подполье, откуда руководил партийной газетой. Активизация деятельности коммунистических организаций вызвала новую волну репрессий со стороны меньшевистского правительства. Пребывание М. Орахелашвили в Грузии стало невозможным, и он в январе 1921 года нелегально переехал в Баку.

В феврале 1921 года восставшие трудящиеся Грузии с братской помощью Красной Армии свергли меньшевистское

правление. Мамия Орахелашвили вошел в Тифлис вместе с частями Красной Армии.

С 25 февраля 1921 года Мамия Орахелашвили на ряде ответственных постов: занимал должность зам. пред. ревкома, затем — зам. пред. совнаркома Советской Грузии. С момента образования ЗСФСР (1922 г.) состоял председателем Заксовнаркома, одновременно работая по партийной линии в качестве секретаря ЦК КП(б) Грузии и секретаря ЗКК ВКП(б).

Нас, в первую очередь, интересует его редакторско-публицистическая деятельность, поэтому вновь обратимся к биографии и остановим внимание на нескольких, уже известных, ее моментах.

В период революции 1905 — 1907 годов, будучи членом Невской партийной организации Петербурга, М. Орахелашвили, как известно, ведет революционную работу. По поручению газеты «Кавказский рабочий листок» он пишет статью о декабрьских революционных днях в Петербурге, в которой с глубокой верой в силы пролетариата, в неизбежную победу революции, призывает революционный пролетариат России к решающим боям за свержение царского режима.¹

Однако, статья эта, пересланная в Тифлис², не была опубликована, так как 14 декабря 1905 года по распоряжению царского правительства газета «Кавказский рабочий листок» была закрыта. Рукопись статьи за подписью И. Орахелашвили с адресом «СПБ, Эртелев пер., д. 5, кв. 5» 15 апреля 1906 года попала в руки охранки во время провала Авлабарской нелегальной типографии большевиков в г. Тифлисе. М. Орахелашвили был привлечен к судебной ответственности. За неимением улик суд не смог упрятать Мамия за решетку. Но во избежание такового и в будущем, Мамия отныне не будет подписывать свои статьи настоящей фамилией.

В 1908 — 1912 гг. М. Орахелашвили, в качестве военного врача, работает в Закаспийской области и Персии. За это время он активно сотрудничал в местной прогрессивной и столичной большевистской прессе³.

Как уже отмечалось выше, весной 1917 года Мамия Орахелашвили вернулся с действующего фронта во Владикавказ, где в мае 1917 года был основан советский орган «Красное знамя».

¹ Центральный государственный архив Грузинской ССР, ф. 31, ед. хр. 140, т. I, л. 19.

² Там же, л. 26.

³ «Заря Востока» № 29, 1931 год, 30 января.

Т. М. Резакова, старый член партии, вспоминает: «Непосредственное участие в организации этой газеты, кроме С. М. (С. М. Кирова. — Н. Д.), принимали: М. Д. Орахелашвили, Т. Н. Ильин (убит). Я также работала корреспондентом в редакции «Красное знамя». Наша редакция тогда была подлинным революционным центром. Часто бывали у нас в редакции Мамия Дмитриевич и Мария Платоновна Орахелашвили. Они неумоимо и много выступали с Сергеем Мироновичем на митингах у железнодорожников, в казармах, на серебро-свинцовом заводе и др...»⁴

С февраля 1918 года М. Орахелашвили на работе в Кутаисе; он руководит губернской партийной организацией, вместе с членами губернского комитета — Сашей Гегечкори, Василием Канделаки, Мариам Орахелашвили, Бароном Бибинойшвили и другими стоит во главе готовящегося большевиками вооруженного восстания крестьян против меньшевистской власти по всей Западной Грузии; одновременно он руководит большевистскими газетами Кутаиса: «Наша борьба» (совместно с Филиппом Махарадзе) и «Борьба рабочего»⁵ — редактирует, направляет, сам много пишет...

В июне 1919 года меньшевистское правительство вновь арестовало М. Орахелашвили. После своего освобождения он избирается членом Кавказского бюро ЦК РКП(б) и председателем президиума ЦК Компартии Грузии, а также редактором партийной газеты «Комунисти», при столкновениях с цензурными рифами, то и дело менявшей свое название то на «Сакартвелос комунисти», то на «Ахали комунисти». «Лишь для видимости легализации меньшевистское правительство оставило газету «Комунисти», которая выходила под строгой цензурой. Но, несмотря на все, со страниц этой полулегальной газеты сыпались на голову обескураженных лидеров меньшевистской идеологии неумолимые передовицы неуловимого Мамия...

После объявления легализации КП, по выходе из тюрьмы, М. Орахелашвили, учитывая сущность этой «легализации», иначе говоря — ловушки, сейчас же засел в одной конспиративной квартире и оттуда руководил как прессой, так и всем партийным движением. Большевики поставили весь особый отряд на ноги, везде разыскивая его, но все старания их были тщетны. Т. Мамия, придерживаясь строго конспиративных правил, в продолжение 5-ти месяцев ни

⁴ Партархив Института истории партии при ЦК КП Грузии, ф. 8, оп. 5, ед. хр. 333, л. 145.

⁵ Там же, ф. 14, оп. 5, ед. хр. 45, л. 268.

разу не выходил из своей квартиры; его местопребывание /
знал очень ограниченный круг товарищей»⁶.

И, наконец, с июня 1922 года, со дня выхода в свет первого номера газеты «Заря Востока», органа ЗКК ВКП(б), Мамия Орахелашвили являлся ответственным ее редактором.

Мы хотим представить здесь несколько фрагментов из публицистического творчества М. Орахелашвили на страницах редактируемой им газеты.

Как известно, к середине 1922 года, активизировавшимся антисоветским силам был дан бескомпромиссный бой со стороны Компартии и рабоче-крестьянской власти Грузии. Среди методов борьбы с антисоветскими силами (в первую очередь, грузинскими меньшевиками), одним из самых эффективных и действенных был метод разоблачения, посредством прессы разъясняющий сущность антисоветских выступлений меньшевиков и их политики.

Примером такой разоблачающей публицистики может служить опубликованное в «Заре Востока» (№№ 101 — 104 за 1922 г.) письмо М. Орахелашвили за подписью М. Амиа «Их тезисы», отрывок из которого мы приводим:

...«Центральным пунктом в тезисах меньшевиков является вопрос о взаимоотношениях между двумя суверенными государствами — Россией и Грузией после Советского переворота в последней. Никакой Советской власти, оказывается, в Грузии нет, а есть лишь оккупация, при чем Советы и коммунизм служат оккупантам ширмой для империалистического поглощения Грузии. А как это происходит — тому следуют пункты исторической и социологической справки меньшевиков. «В истории, — вещают тезисы, — всякое великое завоевательное движение облекается, кроме действительно реальных и расчетливых соображений, приспособленным к условиям времени, вспомогательного характера, с виду как будто бескорыстным идеологическим обличением, то религиозного, то политического и социального порядка». Христианство, ислам, крестовые походы, наполеоновские завоевательные прогулки и вообще империалистическая политика — все укрывалось под маску цивилизации и прогресса. Вот и российский коммунизм, принужденный отыгрываться после жестоких поражений в области социальных утопий и в политике на арене национально-государственной, превратился в русский национализм и империализм. Ленин продолжает ныне дело Рюриковичей-Романовых, православия и славяно-

⁶ С. Лекишвили. В застенках у белых и желтых, Закннига, 1931, стр. 27.

филов. Объектом этого «дела» собирания и расширения русской земли сделалась и Грузия — жертва империализма, облаченного в ризы коммунизма.

Что грузинский коммунизм, у которого в феврале 1921 г. захрустел идеологический, политический и др. хребет, имеет право кричать «караул», мы это признаем вполне. Но зачем же кричат так неумно? Особенно после того, как грузинские меньшевики со дня насильственного, кровавой операцией над рабочими и крестьянами проведенного, отрыва Грузии от России, а затем от остального Закавказья, и до последних дней своего господства твердили и повторяли, что они вновь войдут в состав России, если там восторжествует демократия, т. е. Советская власть будет ликвидирована, и воссияет звезда Антантовской демократии.

Коммунисты Грузии и всего Закавказья вместе со всеми трудящимися рассуждают и делают приблизительно то же самое, с той только поправкой, что не ликвидации Советской России они хотят, а ее укрепления; и в эту крепнущую Россию рабочих и крестьян они собираются войти не в качестве составной части, а на договорных началах, в качестве равноправного члена Союза Социалистических Советских Республик.

Или меньшевики надеются кого-либо подцепить на свою — увы, давно и не раз разоблаченную — удочку реакционного национализма воплями о Федерации Закавказских республик? Пустопорожнее занятие, господа: ведь добрая половина вашей энергии за время вашего господства над Грузией ушла — наряду со скрытой, но теперь обнаруженной вашими архивами борьбой против Советской власти, как внутри у себя, так и в России — на совершенно открытые старания образовать федерацию вашей Грузии, муссаватского Азербайджана, Северного Кавказа и Дагестана помещиков и даже дашнакской Армении! Дважды собирались вы на конференции с целью возрождения федерации, похороненной под развалинами вашего сейма в 1918 г., но ничего не вышло — конференции сменялись или им предшествовали кровавая грызния и войны по указке генералов то турецко-германской коалиции, то Антанты. Не сталкивались, когда вы все были владельцами душ и телес рабочих и крестьян Закавказья. Но сталкивались, когда рабочие и крестьяне «ушли» от вас, когда «Законные правительства» ваши, де-юре признанные Антантой, де-факто бежали во владения своей благодетельницы под свист трудящихся и поощрение штыка красноармейца: летом прошлого года вы объявили федерацию республик Закавказья в Париже; правда, без хозяина, без народа и территории; но разрешите и нам, с ведома и согласия хозяев — рабочих и крестьян Закавказья — на ре-

альной территории власти Советов объявить государственный союз, направленный против вашего союза, рассчитанный лишь на чуткость обоняния демократических капиталистов Запада к запаху бакинской нефти и чиатурского марганца.

Вы вновь жуете мочалку об оккупации, исходя из факта пребывания здесь Красной Армии. К кому вы обращаете свои вопли? Если к Лиге Наций и второму Интернационалу, то усмешка авгуров была и будет ответом вам, слезами или принципиальными тезисами о недопустимости оккупации вы не заставите шевельнуть даже бровью сих оккупационных дел мастеров.

Или поддаете жару себе? Но не вы ли слали благодарственное послание в Бюро Желтого Интернационала о сладости для Грузии германской оккупации? Не вы ли, вместе с муссаватистами и дашнаками, коленипреклоненно умоляли английского генерала Томсона ходатайствовать пред английским королем об оставлении в Грузии и Закавказье оккупационных войск?

Или свои лицемерные вопли вы обращаете к международному революционному рабочему классу? Но тут отзвуком на ваши исторические справки будет старый лозунг угнетенных: «Мир хижинам, война дворцам».

Красная Армия принесла хижинам Закавказья небывалый в истории мир, дворцы же она освободила от господ и предоставила трудящимся, и вместе с этими последними она охраняет завоевания революции черных мозолистых рук от изгнанных или новых претендентов. И вы надрываетесь, чтобы фальшивой исторической справкой или цитатой из учебника государственного права показать «неправомерность» пребывания здесь интернациональной Красной Армии? Бросьте. И знайте, что срок пребывания у нас российской Красной Армии зависит от ваших правозаступников из Антанты и желтого Интернационала: откажутся они (и вы с ними) от лязгания челюстей в сторону Советских республик, решат они мирно сожительствовать и экономически сотрудничать с нами — мы не замедлим вернуть красноармейца к плугу и молоту, а казармы превратить в фабрики и школы.

А пока лязг челюстей продолжается, пока продолжают ваши пакости против рабоче-крестьянской власти, мы будем готовиться к обороне и... смеяться над вашими справками из буржуазного государственного права, противопоставляя им живой государственный союз трудовых республик...⁷

30 декабря 1922 года в Москве открылся I Всесоюзный съезд Советов, который провозгласил образование Союза ССР. Объединение независимых союзных республик в Союз

⁷ Газета «Заря Востока», № 102, 18 октября 1922 год.

ССР было не только могучим фактором укрепления мощи страны против возможной империалистической интервенции, но и важнейшим средством экономического и культурного преобразования всех республик.

Однако в сложных условиях строительства новой жизни не все в Грузии смогли объективно оценить значение данного объединения. Одна из главных причин «национальных шероховатостей» заключалась в том, что Советская власть в Грузии получила в наследство от недалекого прошлого тяжелые пережитки национализма и шовинизма. Поэтому постановка такого вопроса, как — все ли специфические интересы наций и народностей смогут удовлетворяться органами централизованной политической власти — была в то время весьма актуальной.

Из многочисленных примеров известно, что В. И. Ленин не оставлял без внимания и всегда подчеркивал необходимость самого внимательного отношения к национальным особенностям и интересам народов нашей страны, строго осуждая любое нарушение национального равноправия. Ленинский взгляд на решение национального вопроса стал критерием в работе государственного аппарата.

Но пока что, спустя всего лишь несколько месяцев после образования Союза ССР, вокруг национального вопроса по-прежнему бушуют страсти и не утихают споры.

Точка зрения М. Орахелашвили-публициста по данному вопросу такова: он считает, что объединение республик в Союз ССР только расчищает область межнациональных отношений для дальнейшего эволюционного развития, и что не в тот же день пролетарский интернационализм делается нормальным чувством народных масс; но это точка зрения и публициста, уверенного в том, что народности, слившиеся вместе, возводят величественное здание Союза всех Советских республик, здание, которое не освобождено еще от лесов, скрывающих его окончательные прекрасные очертания.

В статье «Испытанной дорогой к окончательной победе», опубликованной в № 71 за 1923 год за подписью М. Амиа в редактируемой им газете, он пишет:

... «Съезд Компартии Грузии и Съезд Коморганизаций Закавказья самым тщательным образом обсудили очередные вопросы нашей практики в национальном вопросе и решили: в целях обеспечения за каждой нацией и каждой народностью, входящих в Союз, максимума прав и возможности удовлетворения специальных нужд и потребностей их, как наций, необходимо создать наряду с Союзным ЦИК и Совнаркомом, — этими специфическими политическими органами классовой диктатуры, — представительный орган национальностей, нечто вроде второй палаты (вернее: нижней).

Кое-кто, особенно же националисты из газеты «Трибуна» (орган левых социал-федералистов) расценивают это решение наших съездов как полную ревизию первоначального решения об образовании Союза Советских Республик; расценивают и радуются, самодовольно считая это своей «моральной» победой.

Мы можем обещать им наперед немало еще таких моральных побед: при построении крепчайшей цитадели трудящихся нам не раз придется перестраивать или строить заново башни и бойницы.

Но не в этом суть.

Националисты заблуждаются, или делают вид, что заблуждаются. Из-за чего шумели витии национализма? О чем вожделем газета «Трибуна» и ее партия?

Долой закавказскую федерацию! — вот первый, основной лозунг их, провозглашавшийся, в зависимости от обстановки, то шопотом, то октавой, но всегда смачно, решительно, безоговорочно.

Союз республик, поскольку он был в их представлении неотвратим, поскольку он являлся для них «печальной необходимостью», принимался ими на условиях точно-формального, арифметического равенства: ЦИК Союза должен быть составлен на основе равного представительства от каждой союзной республики.

Национальные курии в верховном органе классовой диктатуры в 1923 году, в год Генуи-Гааги-Лозанны, в год мирового фашизма и рурской оккупации — вот смысл этого требования. Ясно, что оно было утопично и реакционно, поскольку сводило на нет значение Октябрьской революции, приведшей к победе пролетариата, поведшего за собой крестьянство и угнетаемые ранее народности, а не давшего себя одурачить псалмопевцам равенства и формальной демократии.

Вот где пролегла линия (и даже глубокий ров) расхождения.

Изменилось ли что-либо в этом отношении после съездов нашей партии? Закавказская федерация в лице ЗСФСР признана завоеванной и прочно укрепленной позицией в деле сближения народов Закавказья на почве совместной работы и борьбы против внутренних и внешних врагов; Закавказская федерация не только подтверждена, но и усилена всем авторитетом единодушного вотума всех республиканских и общезакавказского съездов партии.

Союз Социалистических Советских республик во главе с союзным ЦИК и Совнаркомом признан средоточием единой воли трудящихся всех республик к совместному строитель-

ству на основе классовой диктатуры, на основе военной и хозяйственной централизации.

Создание второй палаты (национальностей) на основе равного представительства лишь усилит центральные органы диктатуры и хозяйственного единства, поскольку устраняются лишние межнациональные трения народов, входящих в Союз, поскольку обширная область вопросов, связанных с национально-обособленным бытием и национально-культурным развитием народов выделяется и вручается непосредственно представительству нации.

Догматикам и метафизикам национализма не понять живой диалектики революционной эпохи, не только допускающей, но и делающей необходимым процесс полной децентрализации и самостоятельности национально-культурной жизни народов, при централизации их хозяйственных, военных и т. п. усилий. Им не одолеть мысли о том, что в наше раскаленное время национальная независимость не есть и не может быть всецело независимостью государственной.

Советские республики добровольно отчуждают некоторые свои права и передают общему органу Союза. Это необходимо, это — веление истории, без этого и вне этого нас ждет на завтра поражение, гибель, возвращение классовых врагов, возвращение врагов мелких наций.

Одновременно народы, образующие союз и тем кладущие основание советскому человечеству, создают специальный орган, вроде расширенного народного комиссариата по делам национальностей, для врачевания национальных недугов, для строительства национальной культуры трудящихся. Это шаг вперед, в сторону еще более тесного и полного единства»...⁸

Еще одно письмо М. Орахелашвили, отрывок из которого мы печатаем ниже — пример его чисто журналистского дарования. Не говоря уже о прекрасном стиле и языке, соответствующим настроению данного репортажа, писанного в приподнято-шутливом стиле, мы хотим обратить внимание на долю юмора, пущенную как в адрес своей персоны, так и других «высокопоставленных» товарищей: при обилии столь важных партийных и государственных дел, на первый взгляд кажется даже странным появление подобного репортажа в Закавказской партийной газете. Но и «необычность», «неординарность», равно как и его «непоседливость» — все это в характере Мамия, характере разностороннем, впитывающем в себя все заботы, все проблемы, весьма серьезном и строгом в решениях и действиях, но немислимом без неожиданной улыбки.

⁸ Газета «Заря Востока», № 71, 30 марта 1923 г.

Итак, репортаж этот под названием «С высоты 1100 метров», опубликован в № 217 за 1923 год на первой полосе «Зари Востока» с подзаголовком «Воздушное письмо товарищам по редакции»:

«Начато на уровне ст. Акстафа, 19-го сентября. И пишу вам письмо. Письмо не простое, воздушное. А воздушное оно потому, что пишу в кабине «Юнкерса» № 306, на высоте 1100 метров — клянусь, не преувеличиваю ни на один сантиметр. А как я попал на такую высоту, видно из нижеследующего.

Мне казалось, что мой советский и партийный пост позволяет мне и даже обязывает назначать докладчиками на различных собраниях, конференциях, съездах и т. п. — других. А тут вышло, что т. Кахиани меня назначил двойным докладчиком на 6-ом Съезде комсомола Грузии. 16 сентября я отбарабанил первый доклад о международном положении — за неимением внутреннего «мальчика для битья» в виде меньшевиков Грузии, недавно самоликвидировавшихся, я очень рьяно таскал за волосы меньшевиков германских — и поскольку первый мой доклад удался — никто не захотел выступить за Шейдемана, следовательно — никто мне не возражал, т. е. не понадобилось заключительного моего слова и даже резолюции взялись составлять т. т. Девдариани и Чаплин.

Со вторым докладом дело обстояло посерьезнее: «Очередные задачи комсомола Грузии». Здесь никакой «мальчик для битья» — ни отечественный, ни заморский выручить не мог бы.

Народ в комсомоле теперь пошел пресерьезный и придирчивый к нашему брату — старому партийцу.

Но не быть бы счастьем, да помог т. Мирзоян из Баку. Оказывается, он распорядился в 5 часов вечера 19 сентября созвать расширенное заседание Бакинского совета совместно со всеми парт-проф-советскими организациями Баку и окрестностей и вместо того, чтобы самому выступить докладчиком на этом многочисленном и торжественном заседании, посвященном памяти 26 коммунаров, очень мило, чисто побакински, назначил докладчиком меня. Но чтобы я не мог увернуться от повинности, он взял да и прилетел на «Юнкерсе» за мною. Чтобы попасть на заседание Баксовета к 5 часам, из Тифлиса мы должны были вылететь не позже 1 часу дня. Доклад свой я начал в половине одиннадцатого утра с хвастливым предисловием о том, что я намерение имел говорить много и хорошо, но вот злой разлучник Мирзоян стоит тут же в зале и торопит на аэродром, чтобы лететь на другое заседание. Сделав, таким образом, из нужды добродетель, я с быстротой пулемета Кольта выпалил потребное количество слов, непрестанно посматривая, и готов был сойти с

эстрады «без возражений и заключительного слова», но высыпались записки с вопросами довольно ехидного свойства вроде, например, следующего: «Вы сказали, что комсомольцу нельзя пить вино. А, ведь, крестьянин пьет вино, буржуй же — лимонад. С кем же быть комсомольцу? С кем иметь смычку?»

Вот в эту критическую минуту и подоспел мне на помощь т. Мирзоян: вышел на трибуну, произнес приветствие «от бакинского пролетариата и всего вообще Азербайджана» и кончил заявлением, что должен похитить меня. Гора свалилась с моих плеч. Избавился от комсомольских тумачков, а, ведь, они драчуны первостатейные, избавился от многих других конфузов, заработал даже «гром продолжительных, долго несмолкающих аплодисментов», (не знаю, отметили ли это товарищи стенографически в своих записках?) и эдаким лордом-победителем двинулся к выходу, с ужасом думая о том, что какой-либо бесенок запротестует и потребует моего оставления на трибуне еще на некоторое время.

Но ничего, сошло благополучно. Направляясь к аэродрому, я думал, что при посадке буду походить на мокрую курицу, решившую полететь в высь, но оказалось иначе: и я и тов. Ваню Стурюа, тоже пожелавший полететь от хорошей жизни, выдержали соответств. позу и настроение и сейчас летим невозмутимо и спокойно через горы и доли, Куру и болота. Оставил я вас коптеть в редакции, мучиться в поисках статейного материала, гореть на медленном огне при «чтении» иероглифов и клинообразных надписей на палимпсестах, именуемых «бюллетенями Закроста». Жаль мне вас с высочайшего моего места и только потому пишу это письмо.

Впечатления мои? О, великолепны. По почерку моему вы можете судить о том, что в кабине аэроплана нет никакой тряски. Впервые сегодня ощутил в себе «чувство пространства» и впервые же познал прелесть науки, именуемой география.

Не скрою от вас и другого чувства, которым я преисполнился при виде около Навтлуга пассажирского поезда: в высокой степени пожалел я т. т. Элиава и Поздеева, которые кичатся своей Закжелдорогой и количеством салон-вагонов в ее вагонном парке: мы будем садиться в Баку, когда «их» скорый поезд, тронувшийся одновременно, будет ужом ползти всего в районе Пойди или Акстафы!

Не пройдет и пяти лет, как им останется только грузы возить по своей дороге, если только верблюды и вообще вьючный транспорт не выйдут победителями из конкурентной борьбы с Закавказской (и всякой иной советской) желдоргогой.

Впрочем, даром предсказания я обладал всегда в достаточно минимальной степени, а в воздухе, на высоте с версту,

я вообще не обладаю уже никакими способностями умозрительного порядка.

Но нельзя отказываться и от массовой технической информации как жанра. Значительная часть аудитории, особенно среднего и старшего возраста, не требует и не ждет никаких объяснений от краткой информации. Эта часть аудитории хочет знать, что открыто, какой новый материал получен. В этих группах существует психологическая установка на узнавание нового факта, а не на понимание существа дела, и с ней должны считаться практические работники. В данном случае еще труднее, но и важнее, учесть уровень знаний аудитории, определить, какими понятиями и терминами журналист имеет право оперировать.

Таким образом, выполняя свою роль популяризатора науки, телевидение должно давать и краткую научную ин-

¹¹ В. И. Ленин. Собр. соч., т. 45, стр. 26.

формацию и обстоятельные передачи, объясняющие сущность открытия и обязательно раскрывать практическое его значение.

И наконец, седьмое место по количеству людей, назвавших ее в числе основных, занимает обязанность «помогать людям участвовать в обсуждении общественно важных вопросов».

Всенародное обсуждение общественно важных вопросов оказывает большое влияние как на их своевременное, оптимальное решение, так и на самих участников обсуждений. Выступив по телевидению, люди чувствуют общественную значимость своего мнения, причастность к непосредственному управлению государственными делами.

В конечном счете, массовое обсуждение различных вопросов общественной жизни в передачах телевидения способствует достижению единства мнений и единства действий. Вот почему В. И. Ленин писал, что «без свободы обсуждения и критики пролетариат не признает единства действий»¹².

Вот почему, отвечая на вопрос «В чем должна заключаться помощь людям участвовать в обсуждении важных вопросов общественной жизни?» — 58% аудитории сказало: «Должны давать возможность людям высказать свое мнение по обсуждаемым вопросам».

Но высказывая свое мнение, критикуя недостатки, внося предложения, выступая по самым различным вопросам, рабочие, колхозники, представители интеллигенции ждут, что в результате их обращения в телевидении будут приняты какие-то конкретные меры. Вот почему большинство опрошенных ответило, что телевидение должно добиваться, чтобы мнение людей учитывалось при окончательном решении вопроса, и что они ждут от телевидения конкретных действий по реализации их предложений.

Ответы сельской аудитории на вопрос: «Если работники телевидения хотят оказать влияние на поведение людей или на работу различных организаций, каким путем они быстрее всего добьются успеха?» — показывают, что люди очень высоко оценивают ленинский принцип гласности.

Большинство ответило, что телевидение быстрее добьется успеха, если будет рассказывать о жизни и работе людей и различных организаций всем своим зрителям. Большинство телезрителей считает, что журналист должен не только выступать с критикой замеченных недостатков в передачах телевидения, но обязан также на месте вмешиваться в работу людей, организаций и учреждений.

¹² В. И. Ленин. Собр. соч., т. 14, стр. 126.

Телевидение одинаково широко должно пользоваться острым оружием критики и рассказом о том лучшем, что есть в нашей жизни. И наконец, 45% опрошенных отдадут предпочтение таким материалам, которые не просто дают новую информацию, сообщают о том, как живут и работают люди, предлагая использовать полученные сведения каждому по своему усмотрению, но еще и содержат вполне определенные выводы, указания, требования поступать так, а не иначе. Таким образом, подчеркивая действенность, активное влияние на работу различных организаций и поведение людей, материалов, переданных по телевидению, аудитория относит эти качества в первую очередь к тем публикациям, которые не просто констатируют факты, описывают события, а делают конкретные предложения и обладают внешними признаками управленческого воздействия.

Телевидение недостаточно внимания уделяет действенности своих выступлений положительного характера, не следит за тем, как реализуются на практике приведенные в них примеры и предложения, не сообщает об откликах на них и принятых мерах, хотя на этот счет есть прямые указания партии. Так, в постановлении ЦК КПСС «О повышении действенности выступлений советской печати» (это относится и к телевидению) — подчеркивается, что партийные комитеты, руководители ведомств и учреждений должны также внимательно относиться к таким выступлениям печати, в которых вскрываются дополнительные резервы производства, популяризируются передовые приемы труда и т. д.¹³

В заключение следует сказать, что важную роль в политико-воспитательной и культурно-просветительной работе среди населения сел играет телевидение, которое прочно вошло в быт сельских жителей. Ныне даже в самых отдаленных уголках Грузии появились телевизоры.

Телевидение создает условия для дальнейшего развития культуры и науки, распространяет и пропагандирует их достижения среди народных масс, оказывает помощь деревне в строительстве материально-технической базы культуры. При помощи телевидения постоянно преодолевается мелкобуржуазная идеология и частнособственническая психология сельского населения путем приобщения его к социалистической культуре и быту.

Популярным среди всех слоев населения стали телепередачи, содействующие развитию эстетических вкусов, нравственному воспитанию и духовному обогащению трудящихся. Сельские жители имеют возможность ознакомиться с

¹³ Журн. «Партийная жизнь», 1962, IV 19, стр. 34.

произведениями живописи, скульптуры, архитектуры, с классической музыкой и лучшими работами театров, кинематографии.

Телевидению впервые удалось столь широко распахнуть двери домов людей, стремящихся к культуре и профессиональному искусству, предлагая им классические и современные пьесы, фильмы, спектакли, дискуссии специалистов, рассказы о дальних странах и т. д. Никогда еще не было столь благоприятных условий для приобщения широких народных масс и особенно людей, находящихся на периферии, к культурной жизни, к культуре, как с появлением и распространением телевидения на селе.

Телевидение на селе имеет большую и в то же время самую однородную аудиторию. Телевизионная аудитория становится более однородной за счет повышения уровня образования зрителей.

Телевидение является настоящим «окном в мир» для людей, стремящихся к познанию этого мира.

И. А. НАТРОШВИЛИ

О СУЩНОСТИ И РОЛИ ПУБЛИЦИСТИКИ В НАШЕЙ ОБЩЕСТВЕННОЙ ЖИЗНИ *

Творческая дискуссия по вопросам публицистики, которая развернулась на страницах журнала «Журналист», является нужным и важным делом. Эта проблема заслуживает того, чтобы журнал вновь предоставил место отзывам ученых и практиков, работающих в этой области, и тем самым способствовал исчерпывающему рассмотрению данного вопроса.

Статья видного советского писателя и публициста Н. Грибачева заслуживает определенного внимания, но в то же время в ней много спорного и устаревшего. Н. Грибачева мы прежде всего знаем как писателя, и потому его взгляды на публицистику, естественно, вытекают из позиции именно писателя. В частности, мнения, что публицистика—это жанр литературы и журналистики, литераторы ошибочно придерживались 25 — 30 лет тому назад. (Вызывает сожаления то, что того же мнения придерживается и редакция «Журналиста», называя в своем вступлении к статье писателя публицистику просто жанром). Однако с развитием научной мысли публицистике было отведено свое место.

Когда мы говорим о литературе в широком смысле слова, имеется в виду интеллектуальная деятельность человека, выраженная в письменности. Отсюда выделяют: художественную литературу, науку и публицистику. По этому вопросу довольно точно высказался М. Черепახов, и мы не будем повторять его довода. С самого начала заняв неверную позицию в определении сущности публицистики и ее жанрового многообразия, Н. Грибачев несправедливо критикует ученых, работающих в теории публицистики. Его мнение, что: «Основные виды публицистики — статья, памфлет, родствен-

* Статья была написана в феврале 1977 г. для журнала «Журналист», но редакция журнала сообщила: «Ваш материал готовился к публикации. Однако своевременно опубликовать его не удалось». Автор.

ные,—очерк, фельетон», а также такие жанры, как передовая статья, информация, репортаж, корреспонденция, зарисовка, письмо, обозрение и др. — всего лишь простое «сообщение для публики» — вносит путаницу в теорию публицистики.

Соглашаясь по этому вопросу с Н. Грибачевым, М. Смирнов в своем отклике пишет, что Ленин как публицист никогда не писал ни фельетона, ни очерка, ни обозрения. Если М. Смирнов внимательно пересмотрит собрание сочинений Ленина, то обнаружит в них, наряду со статьями и памфлетами, и рецензии на книги, и обозрения, и письма, и фельетоны, а также обзор печати и заметки. В. И. Ленин хорошо знал значение этих жанров публицистики и умело использовал их в своей политической деятельности. Интересно, отнесут ли Н. Грибачев и М. Смирнов эти произведения Ленина к публицистике?..

Как видно, Н. Грибачев не проявляет компетентности в вопросах теории публицистики. Подобные ошибочные мысли были высказаны им и ранее в статье, опубликованной в «Литературной газете» от 13 февраля 1974 года. Тогда откликов на эту статью не последовало. В некоторых же откликах на новую статью Н. Грибачева, опубликованных в «Журналисте» (доц. М. Черепанов, Н. Зайцев, Н. Уваров и др.), отчасти дана критика этих ошибочных взглядов на публицистику.

Мы считаем ошибочным рассмотрение советской публицистики отдельно, в отрыве от прессы. Свое произведение публицист печатает именно в прессе, которая наряду с радио, телевидением является оружием и трибуной публицистики. И поэтому при определении содержания и функции публицистики надо всегда исходить из классической ленинской характеристики роли и назначения прессы — быть коллективным агитатором, пропагандистом и организатором масс.

Эти функции пресса выполняет путем эффективного использования жанров публицистики, так же как и публицистика, выполняя эти функции, опирается на прессу. Они взаимосвязаны и определяют друг друга.

Главная же задача публицистики — постановка и разрешение актуальных политических и социальных проблем современности. Для осуществления этих благородных целей советские публицисты используют разные жанры, которые определились с течением времени и заняли свое место в арсенале публицистики, одни — как жанры больших масштабов и возможностей, другие же — более скромных. Таковыми являются информация (или информационная заметка, как ее называют некоторые авторы), отчет, интервью, репортаж, корреспонденция, статья, письмо, обозрение, обзор печати,

рецензия, очерк, а также сатирические жанры публицистики: фельетон, памфлет и др.

Вышесказанное уже не является спорным для работающих в теории и практике журналистики и публицистики. Вызывает недоумение одно: когда речь идет о литературном произведении, в счет не берется, где оно было напечатано — в книге, газете или журнале. Во всех случаях это произведение причисляют к тому или иному жанру литературы. Но мы не видим такого же отношения некоторых авторов к произведениям различных жанров публицистики — для них это газетные жанры! Эти авторы своим книгам дают заголовки — «газетные жанры»; но, раскрыв книгу, мы находим общий подзаголовок «Жанры публицистики»; (мы имеем в виду книгу «Газетные жанры», Библиотека журналиста, 1971; «Жанры советской газеты», «Учебное пособие» М., 1972); еще немало подобных высказываний можно найти у Н. Богданова и М. Вяземского, Л. Варустина, М. Черепанова, Е. Прохорова, В. Ученовой и др.

Таким образом, заголовки «Газетные жанры» или «Жанры советской газеты» вносят путаницу в теорию публицистики, так как не может быть «газетных» жанров или «журнальных» жанров, а есть жанры публицистики.

Кроме того, встречается и еще более серьезная путаница. Авторы, работавшие по вопросам теории советской журналистики лет 25—30 тому назад, (а некоторые и сейчас) делили жанры публицистики, наподобие теории литературы, сначала на роды, а затем на виды. В публицистике они выделяли четыре рода: I. информационные жанры (имеются в виду информационная заметка, отчет, интервью, репортаж); II. аналитическо-обобщающие жанры (корреспонденция и статья); III. жанры вторичного отражения (обзор печати, рецензия, критико-библиографический материал); IV. художественно-публицистические жанры (очерк, фельетон, памфлет, басня, пародия и др.). Согласиться с таким разделением жанров, — значит признать, что к публицистике относятся фактически только статья и корреспонденция! Если раньше можно было еще как-то мириться с этим, то в настоящее время это суждение лишено оснований. С течением времени жанры получили новое развитие, обоснование. Несмотря на это, определенная часть авторов приписывает информационную функцию не только коротким и расширенным информационным (информационным заметкам), но и репортажу, интервью, отчету. Из их суждений можно заключить, что благодаря своей «информационности» эти жанры не обладают публицистической нагрузкой.

Во-первых, информация по ленинской лаконичной характеристике — это агитация фактами, она наряду с другими жанрами является одним из самых распространенных жанров публицистики. Было время, когда и репортаж, и интервью, и отчет носили только информационную нагрузку. Главным в них были только фиксация и подача факта. Но с развитием советской журналистики и ее основного арсенала — публицистики, развивались и принимали новые черты те или иные из ее жанров. Поэтому прежние понятия устарели. Фиксация и сообщение общественно-значимых фактов — агитация фактами — хорошо удается как в короткой, так и в расширенной информации. Но в хорошо подготовленном отчете, интервью, репортаже, которые публикуются в газетах, передаются по радио и телевидению, мы имеем дело не только с фиксацией фактов, но и с их анализом и обобщением, и, более того, постановкой новых вопросов и проблем.

Таким образом и репортаж, и интервью, и отчет не являются информационными жанрами, как продолжают упрощенно утверждать некоторые авторы.

Совершенно непонятно деление корреспонденции некоторыми авторами на следующие виды: информационная, аналитическая, критическая, позитивная и постановочная. Подобное подразделение искусственно и вносит неясность в определение понятия корреспонденции. Надо помнить, что позитивный и критический анализ и разбор фактов, обобщение и постановка новых задач или проблем — характерные черты корреспонденции, и выделять отдельные виды корреспонденции по этим чертам — это непонятный и бесплодный труд.

Искусственным является и признание рецензии, обзора печати и критико-библиографического материала жанрами «вторичного отражения». Рецензия или критико-библиографический материал, написанные на книгу или театральную постановку, кинофильм или же на выставку произведений искусств, имеют дело не просто с отражением какого-нибудь факта, а с плодами творческого труда, с самостоятельным жизненным фактом, который связан с интеллектуальной деятельностью человека. Поэтому, признание этого творческого плода первичным отражением какого-нибудь факта или явления, а рецензии — вторичным отражением, представляется нам гносеологически неверным упрощением вопроса и полной недооценкой интеллектуальной деятельности человека.

К сожалению, критикуемую точку зрения поддерживает московская группа авторов в учебном пособии — «Жанры советской газеты», 1972 г.

То же самое можно сказать и об обзоре печати. Следует отметить, что обзор печати является не только одним из видных жанров публицистики, но и также — одной из значительных форм руководства печатью.

Неверным является причисление очерка, фельетона, памфлета к сфере художественно-публицистического жанра. Некоторые авторы и раньше рассматривали очерк по своей форме, так сказать, полулитературой, полупублицистикой. Эта мысль, в основном, принадлежала ученым, работающим в области теории литературы. Но с тех пор, как изучение теории и практики журналистики, теории и проблематики публицистики встало на твердую основу, выдвижение старого тезиса и утверждение того, что очерк относится наполовину к литературе, а наполовину к публицистике, как это делает Н. Грибачев и с этим соглашается в своем отклике М. Черпахов, показывает поверхностное отношение к пониманию этого важного жанра. Хотя очеркист формой своего произведения использует методы художественного мышления (образный рассказ, показ характера и использование способов типизации), все это он делает для достижения своей публицистической цели. Для анализа материала, его оценки и обобщения очеркист опирается на средства публицистики. Материал, на котором пишется очерк, — фактический и конкретный. Люди и явления действуют в реальной среде и времени, у них точный адрес. Для очеркиста характерна чистая публицистичность — суждение, анализ (имеется в виду и критический анализ), обобщение — заключение. Все это означает, что причисление очерка к жанрам публицистики является бесспорным и не должно вызывать никаких сомнений.

Неверно также отнесение к полулитературному и полупублицистическому жанру таких произведений, как фельетон и памфлет. Они всегда выполняли функции боевых жанров публицистики, и непонятно, о чем тут спор?

Таким образом, информация и отчет, интервью и репортаж, корреспонденция и статья, письмо и обзор печати, фельетон и памфлет, очерк и рецензия... во всем своем многообразии являются жанрами публицистики. Все они разными путями и способами, характерными для них формами и специфическими средствами отражают нашу действительность во всем ее многообразии. Используя эти публицистические жанры, наша печать, радио и телевидение вместе со своим боевым «личным составом» — профессиональными и непро-

фессиональными публицистами, — служат партии и правительству в создании и мобилизации общественного мнения для осуществления великих целей.

Любой жанр независимо от его объема и масштаба, выполняет свою функцию. Короткая, на первый взгляд незначительная информация, и та играет свою роль в совокупности публицистических жанров, так как она агитирует фактами, и, таким образом, создает общественное мнение.

Излишне говорить о жанрах большого масштаба, таких, как статья и корреспонденция, репортаж и очерк, письмо и интервью, фельетон и памфлет... Ведь их функции и диапазон гораздо обширнее.

Основу жизнеспособности и действенности жанров советской публицистики составляют их злободневность, высокая идейность и партийная позиция. Советские публицисты, творчески используя классическое наследие марксизма-ленинизма, все глубже проникают в экономическую жизнь страны, в деятельность государственных и общественных организаций, в науку и культуру, и своим правдивым, партийным словом способствуют решению стоящих перед народом великих задач и проблем, исполняют большую организаторскую роль в деле их осуществления. Ведь именно эта большая роль и назначение публицистики подчеркивались в передовой статье газеты «Правда» от 8 июня 1976 г.: «Сфера публицистики уже давно не ограничивается только печатным словом. Это — и выступление литератора по телевидению, радио, это — и документальный фильм, в котором осмысливаются явления жизни. Располагая столь обширной аудиторией, публицистика становится действенным инструментом формирования общественного мнения, важным средством разъяснения и пропаганды политики Коммунистической партии, мобилизации сил на борьбу за торжество наших великих идеалов».

Думаю, что этими словами все сказано и к ним нечего добавить.

ჯუანხერ ვათიუხვილი

მეცნიერული ჰუმანიტაზისა და პაეპრობის ეთიკის დასაცავად

მეცნიერული პაეპრობის ლოგიკურ შედეგს ჰუმანიტების დადგენა უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, გახშირდა შემთხვევები, როდესაც ასეთი სასურველი შედეგის ნაცვლად ხელთ გვრჩება მოპაეპრეთა შორის ურთიერთობის გამწვავება და, რაც უფრო სავალალოა, ჰუმანიტების მიჩქმალვა.

ამის მაგალითია ჟურნალ „მნათობის“ 1976 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნებული ოთარ კასრადის კრიტიკული წერილი „ერთი უმართებულო რეცენზიის გამო“. იგი პასუხია ამავე ჟურნალის 1975 წლის მეთერთმეტე ნომერში მოთავსებული ჩვენი რეცენზიისა, რომელშიც მოცემულია ო. კასრადის ნაშრომის „ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნის“ შეფასება¹. პაეპრობაში ხელმეორედ ჩაბმისაგან იქნებ თავიც შეგვეკავებინა, რომ ო. კასრადის ეს საპასუხო წერილი კამათის ეთიკის სავალდებულო, ელემენტარული ნორმების უგულებელყოფას არ წარმოადგენდეს.

რადგან ო. კასრადის კრიტიკულ წერილში ერთობ გაკვრითაა ნათქვამი საკუთარი ნაშრომისა და მასთან დაკავშირებული ჩვენი რეცენზიის გამოქვეყნების წინაპირობებზე, ჩვენ სწორედ ამით დავიწყებთ, რათა ნათელვყოთ ის უტყუარი ფაქტი, რომ ო. კასრადის მიმართ კეთილი განზრახვის გარდა (რასაც იგი, სამწუხაროდ, ექვემდებარება), არაფერი გვამოძრავებდა.

1972 წლის ბოლოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დავალებით, რეცენზია დავწერეთ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ თანამშრომლის ო. კასრადის ზემოდასახელებული ნაშრომის ხელნაწერზე. რეცენზიაში გამოთქმული გვქონდა მრავალი ისეთი კრიტიკული

1 ო. კასრადე. ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი. „საბჭოთა საქართველო“, 1973.

შენიშვნა, რომელთა გათვალისწინება ნაშრომის გამოქვეყნების აუცილებელ პირობად მიგვაჩნდა. მაგრამ ხელნაწერი ძირითადად უცვლელი სახით გამოქვეყნდა, ასე რომ მასში კვლავ დარჩა სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები, მათ შორის იმგვარიც, რომელთა თავიდან აცილებას არცთუ ისე დიდი დრო დასჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, ო. კასრაძის ნაშრომის წიგნად გამოცემას არ გამოვეხმაურეთ. შესაძლოა, ჩვენი რეცენზია საერთოდ არ დაგვებეჭდა (იგი ორი წლის შემდეგ გამოვაქვეყნეთ), ერთი გარემოება რომ არა.

1974 წლის ივნისში ინსტიტუტის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების თხოვნით დასკვნის დაწერა მოგვიხდა ო. კასრაძის სადოქტორო დისერტაციაზე. დასკვნაში ჩვენ სავსებით მართებულად ვწერდით, რომ ო. კასრაძემ, სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერის სახით, ინსტიტუტს წარუდგინა არსებითად იმავე შინაარსის ნაშრომი, რომელიც იდენტური სახელწოდებით 1973 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. აღმოჩნდა, რომ სხვაობა ამ ორ, ერთმანეთისაგან თითქოსდა დამოუკიდებელ ნაშრომს შორის სინამდვილეში პირობითი იყო. ჩვენს დასკვნაში ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ „ავტორი თავისი ნაშრომის როგორც გამოცემის, ისე სადოქტორო დისერტაციად წარდგენის საქმეს სრული გულისყურით და პასუხისმგებლობით არ მოეკიდა“. ჩვენი დასკვნის საფუძველზე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ წინადადება მისცა ო. კასრაძეს გადაემუშაებინა თავისი დისერტაცია და ხელმეორედ წარმოედგინა იგი დასაცავად. ამ ფაქტმა, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო მითქმა-მოთქმას ო. კასრაძის „დაუმსახურებლად დაჩაგვრის“ შესახებ. სწორედ ამან გვაიძულა 1975 წლის ბოლოს გამოგვექვეყნებინა ადრე დაწერილი რეცენზია ო. კასრაძის წიგნად გამოცემულ ნაშრომზე, რასაც მოჰყვა მისი პასუხი ჟურნალ „მნათობში“.

რადგან ტრადიციული „პასუხის პასუხი“ ამჯერადაც გარდაუვალი გახდა, უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: ო. კასრაძის სადოქტორო დისერტაციის შესავალ ნაწილში ხაზგასმულია ჩვენი დამსახურება მისი საკვალიფიკაციო ნაშრომის სრულყოფასა და დახვეწაში, რაც გულსხმობს ჩვენს მიერ ამ ნაშრომის გამოუქვეყნებელ რეცენზირებას. მაგრამ როდესაც ჩვენი, არსებითად იმავე შინაარსის, რეცენზია „მნათობში“ გამოქვეყნდა, ო. კასრაძემ გაილაშქრა მის წინააღმდეგ და „უმართებულოც“ კი უწოდა მას.

თუ რამდენად გულწრფელი და, რაც მთავარია, ობიექტური /
თვით ამ ორი ურთიერთგამომრიცხველი შეფასების ავტორის ^{კონდალი}
მოკიდებულება ჩვენი რეცენზიისადმი, ეს განსაკუთრებით ^{შეკრიფა}
ოლ ჩანს ო. კასრაძის საპასუხო წერილის მეტერთმეტე განაკვეთი-
დან (ჩვენს მოპაექრეს ამ წერილში 15 განაკვეთად აქვს ჩამოყალი-
ბებული თავისი პასუხები). ეს განაკვეთი შეეხება ჩვენს რეცენზი-
აში გამოთქმულ იმ ძირითად შენიშვნას, რომ ო. კასრაძის ნაშრომ-
ში თვალნათლივ შეინიშნება ახალი ფაქტობრივი მასალის სიმცირე,
განსაკუთრებით კი საარქივო მასალისა.

„ამ გარემოებამ, — ნათქვამია ჩვენს რეცენზიაში, — ავტორი
აიძულა კვლევა-ძიება გარკვეული ჩარჩოებით შემოეფარგლა და
წინამორბედთა ცალკეულ მოსაზრებათა გაზიარება-უარყოფაზე
აეგო. მაშინ როდესაც ძირითადი ყურადღება, ჩვენი აზრით, ახალი
დოკუმენტური მასალის გამოვლენაზე უნდა გამახვილებულიყო,
რადგან საისტორიო მეცნიერების ამა თუ იმ უბანზე კვლევის წინ-
სვლა სწორედ ასეთი მეთოდით ხელმძღვანელობის შედეგად არის
მოსალოდნელი. საპირისპირო მეთოდის ნაკლებ საიმედოობაზე
ო. კასრაძის წიგნის ის ადგილები მეტყველებენ, სადაც ავტორის
პაექრობა, დოკუმენტურად დადგენილი ახალი ფაქტების ნაცვლად,
საკუთარი მსჯელობის „ლოგიკურობას“ ან ზოგიერთ მოძველებულ
დებულებათა ახლებურად „წაკითხვას“ და დასაბუთებას ემყა-
რება“².

ო. კასრაძის წერილის მეტვრამეტე განაკვეთში მისი წიგნის
მიმართ ჩვენი ძირითადი კრიტიკული შენიშვნის ეს ნაწილი, სამწუხა-
როდ, გამოტოვებულია და მოყვანილია მისი მომდევნო ნაწილი, სა-
დაც ნათქვამი გვაქვს, რომ ავტორის „დასკვნები ზოგ შემთხვევაში
ორიგინალური ხასიათისაა, უფრო ხშირად კი რომელიმე მკვლევა-
რის მიერ აღრე გამოთქმული მოსაზრების მოდერნიზაციას წარმო-
ადგენს, მოსაზრებისა, რომელმაც გარკვეული მიზეზის გამო ფეხი
ვერ მოიკიდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ასეთად გვეჩვენება,
მაგალითად, პ. კარბელაშვილის საგულისხმო, მაგრამ სათანადოდ
დაუსაბუთებელი ვერსია იმის შესახებ, რომ თბილისში პირველ-
სტამბა ვახტანგ VI ძმამ, კათალიკოსმა დომენტიმ დააარსა“³. ამ
შენიშვნაზე ო. კასრაძე შემდეგ პასუხს იძლევა: „სარეცენზიო წიგნ-
ში პ. კარბელაშვილის ვერსიის მოდერნიზაციას კი არ ვახდენ, რო-
გორც ეს რეცენზენტს „ეჩვენება“, არამედ ვცდილობ ჩემ მიერ მიგ-

² „მნათობი“, 1975, № 11, გვ. 184.

³ იქვე.

ნებული ახალი სავარაუდო არგუმენტაციით ვახტანგ VI-ზე უფრო ადრე დომენტი კათალიკოსის სტამბის არსებობის პ. კარბუცაშვილისეული ვერსია განვამტკიცო და დავასაბუთო“⁴. თუ გავითვალისწინებთ ზემომოყვანილ ჩვენს ძირითად შენიშვნას ო. კასრაძის ნაშრომის მიმართ, მისი პასუხი დომენტი კათალიკოსის სტამბის თაობაზე ერთობ დამახასიათებელი ჩანს: წინამორბედი მკვლევარის საინტერესო მოსაზრების სარწმუნო დოკუმენტური მასალით შემაგრების ნაცვლად ო. კასრაძე გვთავაზობს მის მიერ „მიგნებულ(!) ახალ სავარაუდო არგუმენტაციას(!)“.

როგორც ჩანს, ეს თავისი პასუხი ო. კასრაძეს იმდენად „უკბილო“ მოეჩვენა, რომ მომდევნო ფრაზებში ჩვენი „გამოაშკარავება“ განიზრახა, ოღონდ დასაგმობი საშუალებით. აქ ნათქვამია: „ამა თუ იმ ვერსიის, დებულება-მოსაზრების, გამონათქვამის მოდერნიზაცია სხვას ნიშნავს და მას მეორენაირად სხვა სახელიც ეწოდება. აი მისი ნათელი შესატყვისი მაგალითი. მე ვწერ: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა. ცალკეული საკითხები მონოგრაფიულადაც არის გამოკვლეული, მაგრამ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრების ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი მაინც საჭიროებს შემდგომ კვლევა-ძიებას“ (იხ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 3). რეცენზიაში ვკითხულობთ: „გვიანფეოდალური ხანის ქართული წიგნთბეჭდობის ისტორიას არაერთი საყურადღებო გამოკვლევა მიეძღვნა. ცალკეული საკითხები მონოგრაფიულადაც ამუშავებული. მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს“⁵.

ეჭვი არ არის, რომ აქ პლაგიატზეა ლაპარაკი. ეჭვგარეშეა ისიც, რომ ორივე ამონაწერი თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, თანაც პირველი მათგანი წარმოადგენს ო. კასრაძის 1973 წელს გამოქვეყნებული წიგნის შესავალი ნაწილის („წინათქმის“) პირველ ორ ფრაზას, ხოლო მეორე — 1975 წელს „მნათობის“ მე-11 ნომერში მოთავსებული ჩვენი რეცენზიის ასევე დასაწყის ორ ფრაზას. ქრონოლოგიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ყველაფერი ნათელია: როგორც ჩანს, „შესცოდაო“, — იტყოდა

1 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 185.

5 იქვე.

ჩვენზე ო. კასრაძის კრიტიკული წერილის მკითხველი. მაგრამ, საბედნიეროდ, არის შესაძლებლობა ამ ყოველად წარმოუდგენელი ცილისმწამებლური ბრალდების სრული გაბათილებისა. ჩვენი რეცენზია ო. კასრაძის წიგნად გამოსაცემ ხელნაწერზე, რომელიც დათარიღებულია 1972 წლის 17 დეკემბრით, იმავე ორი ფრაზით იწყება, კასრაძისეულ „კრამოლურ“ ამონაწერში რომ არის დამოწმებული. ერთი ცალი ამ რეცენზიისა, თვით ო. კასრაძის რწმუნებით, „ინახება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ არქივში“⁶ და, ამდენად, მისთვის კარგად არის ცნობილი (ჩვენ გვაქვს ასლი აღნიშნული რეცენზიისა). ო. კასრაძისათვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს აგრეთვე იმის გახსენება, რომ 1972 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წარდგენილი მისი ხელნაწერის „წინათქმა“ სრულიად განსხვავებულია „წინათქმისაგან“, რომელიც 1973 წელს გამოცემულ მის წიგნს წარემძღვარა. ხელნაწერის „წინათქმა“, რომლის ასლი ჩვენ აგრეთვე ხელთა გვაქვს, შემდეგი ფრაზით იწყება: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია ოთხ ძირითად პერიოდად იყოფა“. ამ ფრაზას მოსდევს აღნიშნული ოთხი პერიოდის ქრონოლოგიური გამიჯვნა და ზოგადი მიმოხილვა. დაბოლოს, ო. კასრაძის მიერ ჩვენ მიმართ წამოყენებული ბრალდების უსაფუძვლობაზე, უფრო სწორად კი მის მიერ ჩადენილ ორმაგ „ცოდვაზე“, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მის წერილში ჩვენი რეცენზიიდან ციტირებული პირველი ორი ფრაზა ამ რეცენზიის კონტექსტის ორგანული ნაწილია, მაშინ როდესაც წიგნის „წინათქმიდან“ ციტირებული პირველი ორი ფრაზა აზრობრივად მოწყვეტილი ჩანს ამ „წინათქმის“ მომდევნო ტექსტიდან⁷.

როგორც ვხედავთ, მოპაექრე აქ არღვევს მეცნიერული დავის ელემენტარულ წესებს და ხელმძღვანელობს სავალალო პრინციპით, რომლის შინაარსს ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს ცნობილი ქართული ანდაზა: „გაღმით გაედავე, გამოღმა შეგრჩებაო“.

რაც შეეხება ო. კასრაძის კრიტიკული წერილის დანარჩენ 14 განაკვეთ-შენიშვნას, შევეცდებით კიდევ ერთი გამონაკლისის გარდა, ყოველ მათგანს თანმიმდევრობით ვუპასუხოთ, ამასთან შეძლებისდაგვარად — მოკლედ.

ო. კასრაძის პირველი ორი პასუხი ჩვენს შენიშვნებზე ეხება იმ საკითხს, არსებობდა თუ არა დამოუკიდებელი ქართული სტამბები

⁶ „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 187.

⁷ იქვე, 1975, № 11, გვ. 193; შტრ.: ო. კასრაძის დასახ. წიგნი, გვ. 3.

რომსა (1629 წ.) და მოსკოვში (1705 წ.). ჩვენს რეცენზიაში ვწერდით, რომ სადღეისოდ ეს საკითხი ასე თუ ისე გარკვეულად რთულდება. თუმცა იტალიის ზოგიერთ არქივში დაცული სათანადო სალის მონაცემების უქონლობა აფერხებს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების ისტორიის სრულფასოვან შესწავლას, მაინც ცნობილია, რომ ეს წიგნები დაიბეჭდა რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების სტამბაში. საკმაოდ ვრცელი საუბარი ამის შესახებ ო. კასრაძის წიგნში გაუმართლებელია იმიტომაც, რომ ავტორი შესავალ ნაწილში იხსნის ამ საკითხზე მსჯელობის ყოველგვარ ვალდებულებას⁸.

რაც შეეხება არჩილ II-ის მიერ მოსკოვში სტამბის დაარსებისათვის დაუარსებლობის საკითხს, ჩვენს რეცენზიაში შევნიშნავდით დავიმეორებთ, რომ მისი გარკვევა, ჩვენი აზრით, უშუალოდ არის დაკავშირებული არა იმდენად ადრინდელ ავტორთა მკვლევარ მოსაზრებათა გამოაშკარავებასთან, რამდენადაც სათანადო დოკუმენტური მასალის მოძიების აუცილებლობასთან. პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი მასალა მეტ-ნაკლები სისრულით გამოჩენურდა ფ. სიხარულიძის საკანდიდატო დისერტაციაში (1967 წ.)⁹ და ჩვენს მონოგრაფიაში (1973 წ.)¹⁰. ეს მასალა ძველ საბუთთა ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებშია მიკვლეული. იგი მოწმობს არა მარტო იმას, რომ რუსეთში პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი არჩილ მეფის თათნობით მოსკოვის სახაზინო, ანუ სინოდალურ სტამბაში გამოქვეყნდა, არამედ იმასაც, თუ რა კონკრეტული ღონისძიებები უსწრებდა მას წინ, სახელდობრ, როდის და რა თანხა გამოიყო ამ მიზნისათვის პეტრე I-ის ბრძანებით, სად და როგორ დამზადდა ქართული სასულიერო წიგნების დასაბეჭდად განკუთვნილი დაზგა, რუს მესტამბეთაგან ვინ იყო მონაწილე „დავითნის“ გამოქვეყნებისა და სხვ. ეს მასალა არათუ არ არის გათვალისწინებული ო. კასრაძის ნაშრომში, არამედ სამეცნიერო მიმოქცევაში მისი შემოტანის თვით ფაქტიც არ არის დამოწმებული. ამდენად, კურონოზულად გვეჩვენება ჩვენს წინააღმდეგ მისი პათეტიკური განცხადება: „განა შეიძლება XVIII ს. დასაწყისში მოსკოვში ქარ-

8 ო. კასრაძე. დასახ. წიგნი, გვ. 8.

9 ფ. სიხარულიძე. რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე (მოსკოვის ქართული ახალშენი). თბ., 1967. ამ ნაშრომს ო. კასრაძე არც კი იხსენიებს.

10 გ. ვათეიშვილი. რუსული საზოგადოებრივი აზრი და ბეჭდვითი სიტყვა XIX საუკუნის პირველი მესამედის კავკასიაში (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1973.

თული სტამბის არ არსებობა „ექვმიუტანლად“ და „ცნობილ ფაქტად“ ჩაითვალოს, როგორც ამას რეცენზენტი ფიქრობს? არა“¹¹.

როგორც ჩვენს რეცენზიაშია აღნიშნული, ო. კასრაძე შედარებით კარგად იცნობს საკითხის შესახებ არსებულ ქართულ ლიტერატურას, განსაკუთრებით აღრინდელი პერიოდის მკვლევართა ნაშრომებს. რაც შეეხება რუსულ ენაზე არსებული სათანადო ლიტერატურის ცოდნას, იმ ლიტერატურისა, რომელიც საკვლევ პრობლემებს უშუალოდ ეხმიანება, იგი რატომღაც ხელაღებით უგულვებლყოფს. ვფიქრობთ, ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიის ისეთ ცნობილ მკვლევარებს, როგორიც ალ. ხახანაშვილი და ქრ. შარაშიძე იყვნენ, ო. კასრაძე უცოდინარობას უკიჟინებს. იგი წერს: „1705 წ. „დავითნის“ გამოცემის თაობაზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გავრცელებულია კიდევ უფრო მცდარი ვერსია. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ აღნიშნული წიგნი დაიბეჭდა არა არჩილ II-ის სტამბაში (!), არამედ სინოდალურში. ეს მოსაზრება პირველად პროფ. ალ. ხახანაშვილმა წამოაყენა. შემდეგ მას მხარი დაუჭირეს 1941 წ. გამოცემული „ქართული წიგნის“ შემდგენლებმა. იგივე გაიმეორა 1955 წ. ქრ. შარაშიძემ და ამასვე იცავს თავად რეცენზენტიც“¹². ამის შემდეგ იერიში ო. კასრაძეს უშუალოდ ჩვენზე მოაქვს. იგი იმოწმებს სათანადო ადგილებს ჩვენი მონოგრაფიიდან და ამბობს: „რეცენზენტს... ნამდვილად სჯერა, რომ 1705 წელს „დავითნი“ მართლა სინოდალურ სტამბაში დაიბეჭდა“¹³. არათუ გვჯერა, დარწმუნებული ვართ, რადგან, ო. კასრაძისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველნაირად ცდილობს გაემიჯნოს ამ „მცდარ ვერსიას“ ვიცით, რომ რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრებული ცნება „სინოდალური სტამბისა“, მიუხედავად მისი ქრონოლოგიური შეუსაბამობისა, ისტორიულად მოიცავს რუსეთის სამეფო, ანუ სახაზინო სტამბის ცნებასაც. ეს გარემოება, შესაძლოა, იმითაც აიხსნება, რომ სინოდის დაარსებამდე (1721 წ.) ეს სტამბა სამონასტრო უწყების გამგებლობაში იყო. ამ ორი ცნების („სახაზინო“ და „სინოდალური“ სტამბა), როგორც არსებითად ტოლფასოვანი ტერმინების მონაცვლეობა ჩვენს მონოგრაფიასა და რეცენზიაში, ისევე როგორც ალ. ხახანაშვილისა და

¹¹ „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 180.

¹² „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 180—181.

¹³ იქვე, გვ. 181.

ქრ. შარაშიძის ნაშრომებში, ემყარება რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში მათ თანაბარ „მოქალაქეობრივ“ უფლებამოსილებას. ამდენად, მიზანს აცდენილად უნდა ჩაითვალოს ო. კასრაძის შიგნით ჩვენს წინააღმდეგ შემზადებული არგუმენტი, სადაც ნათქვამია: „სინოდი 1721 წ. პეტრე I ცნობილი რეფორმების განხორციელების შედეგად შეიქმნა და იმ დროს, როცა „დავითნი“ გამოიცა — 1705 წელს, არ არსებობდა. ცხადია, მით უფრო არ იარსებებდა სინოდალური სტამბა“¹⁴.

არჩილ II-ის სასტამბო მოღვაწეობას მოსკოვში უშუალოდ უკავშირდება ჩვენი შენიშვნა მის მიერ იქ 1705 წელს გამოქვეყნებული „დავითნის“ შესახებ. ო. კასრაძე ამ შენიშვნას თავისი წერილის მეექვსე ნაკვეთში განიხილავს, მაგრამ ჩვენ ერთხელ კიდევ გადაუხვევთ კასრაძისეულ პუნქტობრივ თანმიმდევრობას და ამთავითვე ცხადვყოფთ, თუ რამდენად უსაფუძვლოა მისი პასუხი ამ შენიშვნაზე. მასში ჩვენ სინანულს გამოვთქვამდით იმის გამო, „რომ „დავითნის“ 1705 წელს მოსკოვში გამოქვეყნების ფაქტთან დაკავშირებით ო. კასრაძე სათანადო ყურადღებას არ უთმობს ისეთ ბოლომდე გაუშიფრავ ამოცანას, როგორცაა ამსტერდამიდან სტოკჰოლმს გადაგზავნილი არჩილის მიერ დაკვეთილი შრიფტის შეუსაბამობა მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფტთან“¹⁵. ცხადია, ჩვენი ეს შენიშვნა გულისხმობდა ქრ. შარაშიძის მიერ ქართული წიგნის მეცნიერული ისტორიის წინაშე დასმულ პრობლემას, კერძოდ, საზღვარგარეთ დამზადებული ქართული შრიფტის მოსკოვში გამოცემული არჩილისეული „დავითნის“ შრიფტთან შეუსაბამობას¹⁶ და ო. კასრაძის ნაშრომში ამ პრობლემის უფრო საფუძვლიანად წარმოჩენის სასურველობას. მიუხედავად ამისა, ო. კასრაძე ჩვენი შენიშვნის შინაარსს ტენდენციურად აღიქვამს და რიხიანად აცხადებს: „ამკარა ცილისწამებაა“. ო. კასრაძის ასეთი კატეგორიული განცხადება ცილისწამებაზე ლოგიკურად იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დასახელებული სამეცნიერო პრობლემა მის ნაშრომში სათანადოდ არის შესწავლილი და გადაჭრილი. სინამდვილეში კი თავის კრიტიკულ წერილში იგი ჩვენს შენიშვნას იმავე ოთხიოდე მომცრო ფრაზით უპასუხებს, რითაც მის წიგნში არსე-

14 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 181.

15 იქვე, 1975, № 11, გვ. 185.

16 ქრ. შარაშიძე. ქართული შრიფტი ამსტერდამში 1686—1687 წწ. — კ. მარქსის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის „შრომები“, ტ. III, 1937, გვ. 21.

ბითად ამოიწურება მსჯელობა აღნიშნულ სამეცნიერო პრობლე-
მასთან დაკავშირებით. კონტექსტში ო. კასრაძის პასუხი ასე
იყურება: „ამკარა ცილისწამება. მე-18 გვერდზე (წიგნისა...
ვწერ: „ექვმიუტანლად ირკვევა, რომ 1705 წლის „დავითნი“ სტოკ-
ჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ანაბექდისეული შრიფ-
ტით აწყობილი არ არის. ეს აზრი უფრო ადრე პირადი დაკვირვების
შედეგად ქრ. შარაშიძემ გამოთქვა. მისი მოსაზრების სისწორე
ცხადყო ჩვენი თხოვნით იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის,
პროფ. ბ. ხარაზიშვილის მიერ სპეციალურად ჩატარებულმა კრიმი-
ნალურ-ლაბორატორიულმა გამოკვლევამ. აღსანიშნავია, რომ იგივე
დაგვიდასტურა აკად. ა. შანიძემ“¹⁷. განა ეს არის სათანადო შეს-
წავლა არსებული სამეცნიერო პრობლემისა, ან ასეთი პასუხი შეესა-
ბამება ჩვენს შენიშვნას? ზემოხსენებული ქართული შრიფტების შე-
უსაბამობის ფაქტი დადგენილად ჯერ კიდევ 1937 წლიდან ითვლე-
ბოდა და მის ხელმეორედ დასადგენად ო. კასრაძეს, როგორც ვხე-
დავთ, დროც უქმად დაუტარგავს და ორი მეცნიერიც ამაოდ შეუ-
წუხებია.

ჩვენს შენიშვნაში გამოთქმულია სურვილი, რომ ო. კასრაძის
ნაშრომში სათანადოდ იყოს შესწავლილი და გაშუქებული ზემოხსე-
ნებული პრობლემა, და არა საყვედური იმის გამო, თითქოს ამ ნაშ-
რომში ეს პრობლემა უგულვებელყოფილი იყოს. ეტყობა, ჩვენი შე-
ნიშვნა მოპაექრეს სწორედ ასეთ საყვედურად მიუჩნევია და ამ შე-
ნიშვნის „უსაფუძვლობის“ მხილება განუზრახავს. ამას მოწმობს
მისი კრიტიკული წერილის შემდეგი ადგილი: „ზემოხსენებული
შენიშვნიდან ჩანს, რომ იგი (რეცენზენტი) ფიქრობს, თითქოს სტოკ-
ჰოლმში დღემდე დაცული ქართული შრიფტის ანაბექდი არჩილ
II-ის შეკვეთით ამსტერდამში დამზადებული შრიფტის ნიმუშს წარ-
მოადგენს. სინამდვილეში სტოკჰოლმში დღემდე დაცული ანაბექ-
დი არის ამსტერდამში დამზადებულისაგან აბსოლუტურად განსხვა-
ვებული, ალექსანდრე არჩილის ძის შეკვეთით სტოკჰოლმშივე დამ-
ზადებული სრულიად ახალი ქართული შრიფტის ნიმუში. რეცენ-
ზენტს სარეცენზიო წიგნის მე-16—19 გვერდები გულისყურით რომ
წაეკითხა, ამ შენიშვნას არ მომცემდა“¹⁸.

თუკი გვმართებდა თავშეკავება ჩვენი შენიშვნისაგან, როგორც
ჩანს, სულ სხვა მიზეზით: ო. კასრაძის ზემომოყვანილი დებულება
რომ არა, ალბათ, გაგვიძნელებოდა დავექვებულებოდა დასახე-

17 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 184.

18 იქვე.

ლებული სამეცნიერო პრობლემის მიმართ მის კომპეტენტურობაში. თუ რაოდენ მართებულია ეს დაეჭვება, ამაზე ქვემოთ ვიტყვი. ახლა კი, ვიდრე ამ დებულების არსებით მხარეს შევეხებოდეთ, გვინდა მის შინაარსში დაშვებული ერთი უზუსტობა აღვნიშნოთ: რადგან 1686—1687 წლებში ამსტერდამში მოღვაწე ცნობილი უნგრელი მესტამბის (და არა „რუმინელი ოსტატის“, როგორც ო. კასრაძის წიგნშია მითითებული¹⁹) კიშ მიკლოშ ტოტფოლუშის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტის იქვე გაკეთებული ანაბეჭდი მეცნიერებას არ შემორჩა, როგორ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არსებული ამსტერდამული ქართული ანაბეჭდი არის „სტოკჰოლმში დღემდე დაცული ანაბეჭდისაგან... აბსოლუტურად განსხვავებული“? რაც შეეხება მეორე მტკიცებას, რომ ეს უკანასკნელი არის „ალექსანდრე არჩილის ძის შეკვეთით სტოკჰოლმშივე დამზადებული სრულიად ახალი ქართული შრიფტის ნიმუში“, იგი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მცდარია²⁰. ავტორს, ყოველ შემთხვევაში, უნდა მიეთითებინა წყარო, რომელიც ამ მტკიცების საფუძვლიანობას დაადასტურებდა და ამით, შესაძლოა, ქართულ ისტორიოგრაფიას წინ წასწევდა.

ო. კასრაძის ზემომოყვანილი დებულებისაგან განსხვავებით, ჩვენი ზოგადი შენიშვნა არავითარ მტკიცებას არ შეიცავს: მასში მოხსენებული ორივე ფაქტი — ამსტერდამში ჩამოსხმული ქართული შრიფტის სტოკჰოლმს გადაგზავნა და ამ შრიფტის, ისევე როგორც ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით შედეთვის დედაქალაქში გაკეთებული ანაბეჭდის, 1705 წლის „დავითნის“ შრიფტთან შეუსაბამობა — სპეციალურ ლიტერატურაში, ო. კასრაძის წიგნის გამოკლებით, დამოწმებულად და გაზიარებულად ითვლება²¹.

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად მართებულია ამ ორი ფაქტის მიმართ ო. კასრაძის დამოკიდებულება.

სარეცენზიო წიგნის მე-17—მე-18 გვერდებზე (ეს ის გვერდებია, რომელთა „გულისყურით“ გაცნობას დაჟინებით გვირჩევენ ავტორი)

19 ო. კასრაძე. დასახ. წიგნი, გვ. 17.

20 ეს არასწორი მტკიცება ეკუთვნის ა. აბრამიშვილს, რომელსაც ო. კასრაძე ემყარება, მაგრამ რატომღაც არ იმოწმებს (იხ. А. З. Абрамишвили. Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии. — в сб.: «Книга. Исследования и материалы», III, М., 1960, стр. 273—274).

21 საკმარისია გავეცნოთ კ. ბიორკბომის გამოკვლევას „ჰაინრიხ III კაიზერის ქართული შრიფტის ნიმუში“ (იხ. Nordisk Tidskrift för Bok-och Bibliideksväsen“ სტოკჰოლმი, 1935, გვ. (93 — 102) და ქრ. შარაშიძის დასახ. ნაშრომს.

გვითხულობთ: „ახლა კონკრეტულად გავცეთ პასუხი კითხვას, თუ რა ბედი ეწია ამსტერდამულ ქართულ შრიფტს. ამისათვის გავიხსენოთ 1687 წ. 17 იანვარს ნ. კისის²² მიერ მოსკოვში გადაგზავნილი წერილი. მასში იგი ი. შპანვერფელდსა (Sic!) და არჩილს ატყობინებს, რომ წვრილი ზომის ნუსხური შრიფტი მხოლოდ ნახევარი აქვს დამზადებული. ჩანს, ისე გაემგზავრა (კიშ მიკლოშ ტოტფოლუში. — ჯ. ვ.) სამშობლოში, რომ წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვეღარ მოასწრო და შრიფტის ის ნაწილი, რომელიც მზად ჰქონდა, ამსტერდამში დარჩა“. წიგნის მე-17 გვერდზე ო. კასრაძის ეს მოსაზრება უფრო მკაფიოდაა ჩამოყალიბებული: „ნ. კისის სტოკჰოლმში ი. შპანვერფელდისათვის (Sic!) არც შრიფტი გაუგზავნია და არც ანაბეჭდი“. ამ ნაჩქარევ და საფუძველს მოკლებულ დასკვნას ო. კასრაძე უშუალოდ უკავშირებს ამსტერდამული ქართული შრიფტისა და სტოკჰოლმის ჰაინრიხ III კაიზერის სტამბაში დამზადებული ქართული ანაბეჭდის ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემას. იგი დარწმუნებულია იმაში, რომ მისი ვერსიის სისწორეს „მოწმობს ერთი დოკუმენტი — (შვედეთის) კანცელარიის კოლეგიუმის 1703 წ. 29 ოქტომბრის სხდომის ოქმი, რომელშიაც ნათქვამია: „თარჯიმანმა ლინდმა (უნდა იყოს: „ლინდმანმა“. — ჯ. ვ.) წარუდგინა კოლეგიუმს ერთი შეკვრა ტიპები, რომელიც ტყვე პრინცმა, მილეთელმა (უნდა იყოს: „მელითელმა“. — ჯ. ვ.), ქართული ენის ზოგიერთი ასოსთვის დაამზადებინა. წარმოდგენილია აგრეთვე მათი გადმონაბეჭდი — მოსკოვში გადაგზავნის ნებართვის მიღების სურვილით“²³.

იმაში დასარწმუნებლად, რომ დამოწმებული ცნობა ჩვენ მიერ აღნიშნული კასრაძისეული მცდარი ვერსიის სასარგებლოდ არ მეტყველებს, საკმარისია მიემართოთ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ დოკუმენტის პირველი შემომტანის, ცნობილი შვედი მკვლევარისა და საბიბლიოთეკო მოღვაწის კ. ბიორკბომის ზემომოხსენებულ გამოკვლევას, რომელსაც მნიშვნელოვანწილად ემყარება აგრეთვე ქრ. შარაშიძის დასახელებული ნაშრომიც. ო. კასრაძისაგან განსხვავებით, კ. ბიორკბომი ერთი წუთითაც არ აყენებს ეჭვქვეშ ამსტერდამული ქართული შრიფტის სტოკჰოლმს გადაგზავნის ფაქტს. იგი ფიქრობს, რომ ეს შრიფტი უკვე 1687 წელს იყო მზად, „მაგრამ

²² გაუგებარი და გაუმართლებელია, ჩვენი აზრით, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში XVII საუკუნის ცნობილი ამსტერდამელი უნგრელი მესტამპის კიშ მიკლოშ ტოტფოლუშის ზოგ შემთხვევაში ნ. კისად მოხსენიება.

²³ ო. კასრაძე. დასახ. წიგნი, გვ. 18.

არსებობდა გარკვეული სიძნელები ფულადი ანაზღაურების მხრივ“²⁴. კ. ბიორკბომი იმოწმებს შექმნილ ისტორიულ ვენტურას, რომელმაც განაპირობა XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში ი. გ. სპარვენფელდის გადასვლა რუსეთიდან შვედეთს, ხოლო არჩილის ხანგრძლივი დროით (8 წლით) მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავრება, და დაასკვნის: „მაშინ ნათელი ხდება, თუ რამ განაპირობა შრიფტების (ამსტერდამში ჩამოსხმული ქართული შრიფტის ნაირსახეობათა — ჯ. ვ.) რუსეთს გადაგზავნის ნაცვლად მათი სტოკჰოლმს დარჩენა“²⁵. მეტად საინტერესოა კ. ბიორკბომის კომენტარი შვედური წარმომავლობის იმ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელსაც თ. კასრაძე ეყრდნობა თავის წიგნში საკუთარი მცდარი ვერსიის თითქოსდა შესამაგრებლად. აი, ეს კომენტარიც: „ის შრიფტები, რომლებიც რუსული ენის თარჯიმანმა ლინდმანმა საკანცელარიო კოლეგიას წარუდგინა, როგორც ჩანს, იგივეა, კისმა ამსტერდამში რომ ჩამოასხა. საეჭვოა მართებული იყოს ლინდმანის მტკიცება თითქოსდა პრინცმა (ალექსანდრე ბატონიშვილმა. — ჯ. ვ.) თვით ითავა შრიფტების ჩამოსხმა (სტოკჰოლმში. — ჯ. ვ.). XVII საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, როდესაც მოღვაწეობა დაიწყო ვან სელოვმა, ვიდრე 1739 წლამდე, როცა პ. მომამ შრიფტების ჩამოსასხმელი სახელოსნო გახსნა, სტოკჰოლმში შრიფტის ჩამოსხმელი არც ერთი ხელოსანი არ მოღვაწეობდა. ამდენად ლინდმანის გამონათქვამი ისე უნდა გავიგოთ, რომ პრინცი, როგორც არჩილ მეფის შვილი, ამ შრიფტების ნამდვილი მფლობელი იყო“²⁶.

მოყვანილი კომენტარის მიხედვით, ამსტერდამთან ტერიტორიულ სიახლოვეს ხელი არ შეუწყვია შვედეთის დედაქალაქში ბეჭდვითი სიტყვის, განსაკუთრებით კი შრიფტის ჩამოსხმის განვითარებისათვის. ირკვევა, რომ შვედეთში ეს საქმე ჩამორჩენილი ყოფილა არა მარტო ალექსანდრე ბატონიშვილის აქ ტყვედ ყოფნისას, არამედ უფრო გვიანაც. კ. ბიორკბომის სათანადო განმარტებიდან ჩანს, რომ ქართული ანაბეჭდი ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით ნამდვილად სტოკჰოლმში დამზადდა, უფრო უხუსტად — მაშინ უკვე გარდაცვლილი ცნობილი შვედი მესტამბის ჰაინრიხ კაიზერის შვილის ჰაინრიხ III კაიზერის სტამბაში. რადგან ბიორკბომი სტოკჰოლმში იმჟამად ქართული შრიფტის ჩამოსხმის ყოველგვარ შესაძლებლობას გამოირიცხავს, უნდა ვიფიქროთ, რომ კაიზე-

21 კ. ბიორკბომი. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

25 იქვე.

26 იქვე, გვ. 101.

რის სტამბაში გაკეთებული ქართული ანაბეჭდი დამზადდა იმ „ქართი შეკერა ტიპების“ საფუძველზე, რომლებიც, შვედი მეკლერების აზრით, კ. მ. ტოტფოლუსის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტის ნიმუშები იყო და ტყვედქმნილი ქართველი მეფისწულის საკუთრებას წარმოადგენდა. კ. ბიორკბომი თავისი გამოკვლევის რეზიუმეში, რომელიც ქრ. შარაშიძის დასახელებულ ნაშრომშია გამოქვეყნებული, ამის შესახებ პირდაპირ ამბობს: „ჩვენთვის სრულიად ნათელია (ხსენებული) გადმონაბეჭდისა (სტოკჰოლმის ქართული ანაბეჭდისა — ჯ. ვ.) და სასინჯი ტიპების (ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტის — ჯ. ვ.) იდენტურობა²⁷. სადღეისოდ სხვა, უფრო სარწმუნო, ფაქტობრივი მასალის უქონლობის გამო არავითარი საფუძველი არა გვაქვს კ. ბიორკბომის ეს მოსაზრება არ გავიზიაროთ.

გამოდის, რომ ჩვენს შენიშვნაში მოხსენიებული ამსტერდამის ქართული შრიფტის (რომელთანაც, მიუხედავად ო. კასრაძის მტკიცებისა, უშუალოდ არის დაკავშირებული სტოკჰოლმის ქართული ანაბეჭდი) 1705 წლის „დავითნის“ შრიფტთან შეუსაბამობის ფაქტი უსაფუძვლო არ ყოფილა, როგორც ეს ჩვენს მოპაექრეს მოსჩვენებია. ამდენად, მის მიერ ჩვენი „მხილების“ კიდევ ერთი ცდა უშედეგო გამოდგა.

ჩვენს მესამე (ო. კასრაძის ნუმერაციით) შენიშვნაში ლაპარაკია თბილისის სტამბის დაარსებაში ანთიმოზ ივერიელისა და მისი მოწადის მ. იშტვანოვიჩის დამსახურების უფრო კონკრეტულად და საფუძვლიანად წარმოჩენის აუცილებლობაზე, ვიდრე ეს სარეცენზიო ნაშრომშია მოცემული. ამ შენიშვნაში ჩვენ, კერძოდ, იმას ვგულისხმობთ, რომ სადღეისოდ ანთიმოზ ივერიელისა და ვახტანგ VI-ს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ ვარაუდებით მსჯელობა, მით უმეტეს ისეთ თემაზე დაწერილ სამეცნიერო ნაშრომში, როგორც ო. კასრაძის ეს წიგნია, სხვა არა იყოს რა, უხერხულია.

ამ საკითხის მეცნიერული გარკვევისათვის, როგორც ჩანს, საკმაო არ არის მხოლოდ „ქების ლექსის“ შინაარსის ირგვლივ ო. კასრაძის პოლემიკა გ. ლეონიძესთან. გარკვეული აზრით, ამის შედეგია ის, რომ წიგნში ანთიმოზ ივერიელისა და მ. იშტვანოვიჩის ერთგვარი დაპირისპირება, მაშინ როდესაც ორივე მათგანს ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის ქართული ეროვნული კულტურის დიდმნიშვნელოვანი დარგის — წიგნის ბეჭდვის განვითარებაში და მათი ეს მოღვაწეობა ურთიერთშემავსებელია. ამ გარემოებას, ჩვენი აზრით, ვერ ამართლებს ო. კასრაძის ინტერნაციონალისტური სულისკვე-

თებით გამსჭვალული პასუხი, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ მ. იმტანოვიჩის დამსახურების აღზვასმა „მოითხოვს დღეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობა რუმინელ, უნგრულ და საერთოდ სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან... აბა რა ხასიათზე დავდგებით, რომ რუმინელმა მკვლევარებმა ერთი წუთით ჩრდილი მიაყენონ ანთიმოზ ივერელის ღვაწლსა და დამსახურებას მათ ეროვნულ კულტურის განვითარებაში“²⁸. რაღა თქმა უნდა, ო. კასრაძის ეს მოსაზრება უდავოდ ანგარიშგასაწევია, მაგრამ იგი ჩვენი შენიშვნის საფუძვლიანობას, ვფიქრობთ, მაინც ვერ გამორიცხავს.

ჩვენს მეოთხე შენიშვნასთან დაკავშირებით კრიტიკული წერილის ავტორს სრულიად უსაფუძვლოდ შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ ჩვენ არა მარტო ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივის სინოდის ფონდში დაცულ 185-ე საქმეს არ ვიცნობთ, არამედ ს. ყუბანეიშვილის სათანადო პუბლიკაციასაც, რომელიც ამ საქმის აღწერას და საინტერესო დაკვირვებებს შეიცავს²⁹. ჩვენი ეს შენიშვნა ითვალისწინებდა იმ ორი საპირისპირო შინაარსის დოკუმენტური მონაცემების ახსნის აუცილებლობას, რომლებიც მოსკოვში 1743 წელს დასტამბულ ქართულ „ბიბლიას“ შეეხებიან. დასახელებულ პუბლიკაციაში დამოწმებულ საარქივო მასალაზე დაყრდნობით ო. კასრაძე ს. ყუბანეიშვილის კვალობაზე დაასკვნის, რომ აღნიშნული გამოცემა ქართული „ბიბლიისა“ სინოდის ნებართვის („სანქციის“) გარეშე განხორციელდა. საპირისპირო შინაარსის ცნობას შეიცავს ფ. გუმილევსკის ვრცელი ნაშრომი³⁰, იქ ხაზგასმითაა აღნიშნული: ბაქარის თხოვნა სასულიერო წიგნებისა და, კერძოდ, „ბიბლიის“ ქართულ ენაზე გამოცემის თაობაზე სინოდმა ჯერ კიდევ 1737 წელს დააკმაყოფილა იმ პირობით, რომ ამ წიგნების შინაარსი წინასწარ, დასტამბვამდე განხილულიყო. ფ. გუმილევსკის ცნობის მართებულობა ჩანს არა მარტო 1743 წელს გამოცემული ქართული „ბიბლიის“ თავფურცელიდან, სადაც ნათქვამია, რომ ეს წიგნი გამოქვეყნდა „შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მმართველთა სინოდთათა“³¹, არამედ ნაწილობრივ თვით იმ საარქივო საქმეში დაცული მასალიდან, რომელსაც ს. ყუბანეიშვილი და

28 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 182.

29 ს. ყუბანეიშვილი. რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში („ლიტერატურული ძიებანი“, ტ. X, 1956, გვ. 219—233).

30 Ф. Гумилевский. История русской церкви. СПб., 1894, стр. 698.

31 ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 44.

ო. კასრაძე ემყარებიან. ეს უკანასკნელი კი ცდილობს დაგვარწმუნოს, თითქოს ფ. გუმბელის ცნობა მის „გასამტყუნებელ გამოდგება“³². ამ აშკარა გაუგებრობას თავი რომ დააღწიოს, ო. კასრაძე წყაროზე მიუთითებლად შემდეგ თეზისს გვთავაზობს: ქართული „ბიბლიის“ უშუალოდ გამოცემის წინ მის გამოქვეყნებაზე არ ყოფილა მიღებული სინოდის (განმეორებითი?) ნებართვა (სანქცია), რადგან „გამოცემამდე დედანი წინასწარ არ ყოფილა შემოწმებულ-გაკონტროლებული“³³. გარდა იმისა, რომ ავტორი საარქივო წყაროს არ უთითებს, არც იმის მიზეზს გვამცნობს, თუ ამ წიგნის გამომცემელთ რატომ უნდა შეეკავებინათ თავი მისი შინაარსის სინოდის მიერ „შემოწმება-გაკონტროლებისაგან“. ო. კასრაძის ზემომოყვანილი დებულების უზუსტობაზე, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი მეტყველებს, რომ 1743 წელს გამოცემული ქართული „ბიბლია“ ავად თუ კარგად სლავური „ბიბლიის“ საფუძველზე შესწორდა და შეივსო³⁴. ძირითადი პირობა, რომელიც სინოდმა რუსეთში მოღვაწე ქართული წიგნის გამომცემლებს დაუთქვა, კერძოდ, „ბიბლიის“ ქართულ ენაზე გამოქვეყნებისას, დარღვეული არ ყოფილა და, ამდენად, ო. კასრაძის ზემომოყვანილი მოსაზრება არადამაჯერებლად გამოიყურება. მაგრამ უტყუარია ის ფაქტიც, რომ ქართული „ბიბლიის“ მოსკოვში გამოცემამ არა მარტო საცენზურო, არამედ მკაცრი პოლიტიკური ხასიათის დევნა განიცადა (მხედველობაში გვაქვს ამ წიგნის ეგზემპლარების კონფისკაცია ასტრახანში და სხვ.). ამ ფაქტს მეცნიერული ახსნა სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, არ არის მოცემული ო. კასრაძის განსახილველ ნაშრომში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აშკარა „აღმოფოთება და გულისწყრომა“, მოურიდებელი ტენდენციურობა და, პირველი შეხედვით, საფუძველს მოკლებული სისასტიკე, რომელიც სინოდმა ქართული „ბიბლიის“ დაბეჭდვის ფაქტის მიმართ გამოამყდავნა, რუსეთის მთავრობის გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით იყო შეპირობებული.

მოსკოვში ქართული „ბიბლიის“ გამოსაცემად მომზადება და მისი გამოქვეყნება მეტად რთულსა და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა უშვილო იმპერატორმა ანა იოანეს ასულმა, მასთან დაახლოებული ოფიციალური პირის, რუსეთის სამეფო კარზე ცნობილი პოლიტიკური მოღვა-

32 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 183.

33 იქვე.

34 ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 46—47.

წის ანდრია იოანეს ძე ოსტერმანის რჩევით, ტახტის მემკვიდრედ თავისი უფროსი დის (ეკატერინე იოანეს ასულის) მცირეწლოვანი შვილიშვილი იოანე ანტონის ძე ბრაუნშვაიგ-ლიუნებურგელი³⁵ გამოაცხადა. ეს გადაწყვეტილება რუსეთის ტახტის პირდაპირი, კანონიერი მემკვიდრის ელისაბედ პეტრეს ასულის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული და, როგორც ცნობილია, საბაბი გახდა რუსეთის სამეფო კარზე მოკლე დროში (1740—1741 წწ.) მომხდარი გადატრიალებებისა და ინტრიგებისა (ბირონის გადაყენება რეგენტობიდან, რუსეთის იმპერიის მმართველად იოანე ბრაუნშვაიგ-ლიუნებურგელის დედის ანა ლეოპოლდის ასულის გამოცხადება, ფელდმარშალ მინიხის აღზევება და დამხობა, დაბოლოს, რუსეთის ტახტზე გვარდიის მხარდაჭერით ელისაბედ პეტრეს ასულის გამეფება). ამ პოლიტიკურ მოვლენათა გათვალისწინების გარდა, რომელთაც გარკვეული გავლენა იქონიეს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაზე და, კერძოდ, ბეჭდვითი სიტყვის განვითარებაზე, ჩვენთვის საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა ვითარებაში და როგორ განხორციელდა მოსკოვში გამოქვეყნებული ქართული „ბიბლიის“ ტექსტის სლავური ტექსტის საფუძველზე გამართვა.

ბაქარის „ბიბლიის“ გამოცემა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც რუსეთის სამღვდელოების, პირველ ყოვლისა კი სინოდის, ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სრულფასოვანი რუსული ნაბეჭდი „ბიბლიის“ შექმნა იყო. ეს პრობლემა პეტრეს დროინდელ დიდმნიშვნელოვან კულტურულ წამოწყებათა იმ რიგს განეკუთვნებოდა, რომელთა სრული განხორციელება მის სიცოცხლეშივე ვერ მოესწო. პეტრე I-ის 1712 წლის 14 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე ჩამოყალიბებულმა კომისიამ ს. ლიხუდისა და ლოპატინსკის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია ბერძნული და ლათინური ტექსტების მიხედვით სლავური „ბიბლიის“ შესწორებისა და შევსებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი სლავური „ბიბლიისა“ ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ორივე წინანდელი გამოცემისა, რომლებიც 1581³⁶ და 1663

³⁵ ს. ყუბანეიშვილის დასახელებულ ნაშრომში იოანე ანტონის ძე ბრაუნშვაიგ-ლიუნებურგელი შეცდომითაა მითითებული, როგორც „დისშვილი რუსეთის დედოფლის ანა იოანეს ასულისა“ (იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. X, 1956, გვ. 225).

³⁶ ს. ყუბანეიშვილის დასახელებულ ნაშრომში კორექტურული უზუსტობაა დაშვებული: სლავური „ბიბლიის“ პირველი გამოცემის თარიღად 1581 წლის ნაცვლად მითითებულია 1481 წელი.

წლებში განხორციელდა, იგი დროულად მაინც ვერ გამოქვეყნდა კომისიის მიერ დადგენილი სლავური „ბიბლიის“ ხელნაწერი ტექსტი სინოდის არქივში ინახებოდა, სანამ ელისაბედ პეტრეს ასულის 1747 წლის საგანგებო ბრძანებულების საფუძველზე მოსკოვისა და კიევის სასულიერო აკადემიათა თანამშრომლებმა ი. ბლონიცკიმ და ვ. ლიაშჩევსკიმ იგი განმეორებით არ შეასწორეს და შეავსეს. მხოლოდ ამის შემდეგ, 1751 წელს, იხილა სინათლე ე. წ. ელისაბედი-სეულმა „ბიბლიამ“.

ს. ყუბანეიშვილის დასახელებულ ნაშრომში მართებულად არის გამახვილებული ყურადღება იმ კონკრეტულ საკითხზე, თუ სლავური „ბიბლიის“ არსებული სამი ტექსტიდან (ორი ნაბეჭდი და ერთი ხელნაწერი) რომელი დაედო საფუძვლად ბაქარის „ბიბლიის“ სლავურის მიხედვით გამართვას. მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ვახუშტის, ეტყობა, ხელთ ჰქონდა ლოპოტინსკის ხელნაწერი ტექსტი, რომელიც დაყოფილია თავებად და მუხლებად ისე, როგორც ბაქარის ბიბლია“³⁷. ეს დასკვნა უშუალოდ უკავშირდება ქართული „ბიბლიის“ ვახუშტისეული „ბოლოსიტყვაობის“ იმ ადგილს, სადაც საუბარია მრავალ, პირველ ყოვლისა, ტექსტუალურ სირთულეზე, რომელიც თან ახლდა ქართული „ბიბლიის“ სლავურთან შეჯერება-შევსებას. იქ აღნიშნულია იმ ქართველ მოღვაწეთა დამსახურება, რომელთაც ვახუშტისთან ერთად მეტ-ნაკლები ღვაწლი დასდეს „ბიბლიის“ ქართული ტექსტის გამართვას სლავურის მიხედვით (არჩილ II, ბაქარი, იოსებ სამებელი). იქვე ხაზგასმულია, რომ დიდი ეროვნული საქმის „ხელყოფა“ რუსეთში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა მიერ შესაძლებელი გახდა „თანაშეწევებით განმმართველისა საბეჭდველის სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის ზეჩინებულის ანდრია იოვანის ძისათი“³⁸.

ეს „ანდრია იოვანის ძე“ დღემდე არ შეიძლება ჩაითვალოს ბოლომდე გაშიფრულ პიროვნებად. ს. ყუბანეიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ვინ არის ეს ანდრია იოვანის ძე, გაურკვეველია, ვახტანგის ამალის არც 1724 წ. და არც 1737 წ. ნუსხებში ასეთი პირი არ ჩანს“⁴⁰. ჩვენი აზრით, უდავოდ მართებულია თ.

37 პეტრე I-ის მიერ დანიშნულმა სლავური „ბიბლიის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ მუშაობა 1723 წელს დაასრულა.

38 „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. X, 1956, გვ. 229; შდრ.: თ. ყო რ დ ა ნ ი ა. არქივბისკოპოსი იოსებ სამებელი, — „ივერია“, 1884, № 4, გვ. 63—65.

39 ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 47.

40 ს. ყუბანეიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

ქორდანის ის მოსაზრება, რომ ამ პიროვნებაში ვახუშტი ანდრია ივანეს ძე ოსტერმანს გულისხმობს. სამწუხაროდ, ქორდანის ხელნაწილი ეს ვერსია სათანადოდ არ არის დასაბუთებული, რის გამოც ს. ყუბანიევილი მის შესახებ შემდეგ კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამს: „თ. ქორდანია ფიქრობდა, რომ ეს პირი უნდა ყოფილიყო ანდრია ივანეს ძე ოსტერმანი, რომელიც ვახუშტის ეხმარებოდა ქართული ტექსტის გამართვაშიო („ივერია“, 1184, № 3, გვ. 72), მაგრამ ეს მოსაზრება საეჭვოა. საქმე ისაა, რომ ვახუშტის ცნობით, ანდრია ივანეს ძე (იოანეს ძე) ყოფილა გამმართველი „საბეჭდველის სამეუფოსა ქალაქის მოსკოვს“. ჩანს ეს პირი ქართველებს ეხმარებოდა სტამბის გამართვაში და არა ბიბლიის ტექსტის გასწორებაში. რომ ეს ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ თვით თ. ქორდანის ცნობით, ანდრია ოსტერმანსა ჯერ ერთი „არ ჰქონია მიღებული ღვთისმეტყველური განათლება“ და მეორეც — ისტორიკოსების ცნობით — „არ იღვა მკვიდრად თვით სარწმუნოებაზედ და ქრისტიანობაზედ ბევრს არ ზრუნავდა“ (გვ. 73)“⁴¹. ს. ყუბანიევილის ეს შენიშვნა მართებულია. თუ გამოვირიცხავთ მის დაეჭვებას იმაში, რომ „ანდრია იოვანეს ძის“ ქვეშ ა. ი. ოსტერმანი იგულისხმება, რომელმაც, როგორც ირკვევა, ჭეშმარიტად გაუწია ქართველ ემიგრანტებს დახმარება არა „ბიბლიის ტექსტის გასწორებაში“ და არც „საბეჭდველის“ (სტამბის) ტექნიკურად გამართვაში, არამედ მის დაფუძნებაში⁴². ჩვენი აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ ვახუშტის „ბოლოსიტყვაობის“ კონტექსტი, სადაც მოხსენიებულია „ანდრია იოვანის ძე“, რომლის მიმართ ავტორი ცდილობს მაღლიერების გულწრფელი გრძნობა გამოხატოს იმ დახმარების გამო, მას რომ ქართველი მოღვაწეებისათვის მოსკოვში (ვსენსვიატსკოეში) ქართული სტამბის დაარსების საქმეში გაუწევია. იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს მაღლიერება სწორედ ა. ი. ოსტერმანს ეკუთვნოდა და არა ვინმე სხვას, საკმარისია გავიხსენოთ, რომ სამეფო კაბინეტის გადაწყვეტილებას (რეზოლუციას) იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილებული ყოფილიყო ბეჟარის შუამდგომლობა მოსკოვში ქართული სასულიერო წიგნების დასაბეჭდად ნებართვის მიღებაზე, ცნობილ რუს მოღვა-

41 ს. ყუბანიევილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 228—229.

42 ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, რომ ა. ი. ოსტერმანი ემიგრანტ ქართველ მოღვაწეებს დაეხმარა ესარგებლათ თ. ლობათინსკისეული სლავური „ბიბლიის“ ხელნაწერი ტექსტით, რათა დასასტამბად შემზადებული ქართული „ბიბლიის“ ტექსტი იმის მიხედვით შეევისოთ და შეესწორებინათ.

წე „თ(ავად) ალექსი ჩერკასსკისთან“ ერთად პირველი სწორედ ან-
დრია ოსტერმანი აწერდა ხელს⁴³.

ა. ი. ოსტერმანი რუსეთის სამეფო კარზე დიდად დაფასებული პიროვნება იყო, რომელმაც თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა პეტრე I-ის მდივნის თანამდებობიდან დაიწყო და უმაღლესი რანგის თანამდებობებს მიაღწია. გარკვეულ პერიოდში იგი რუსეთის იმპერიის მთელ საგარეო პოლიტიკას განაგებდა და, ამდენად, კარგად იყო გაცნობილი ემიგრანტი ქართველი მოღვაწეების პოლიტიკურ ინტერესებსა და მისწრაფებებს. ირკვევა, რომ ის ყურადღებით ეკიდებოდა და მფარველობდა კიდევ მათ კულტურულ საქმიანობას რუსეთში, რითაც, შესაძლოა, ცდილობდა გაექარწყლებინა უსიამოვნო შთაბეჭდილება წარუმატებელი „აღმოსავლური პოლიტიკისაგან“, რომელსაც რუსეთი იმხანად აწარმოებდა. 40-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც რუსეთის ტახტი ელისაბედ პეტრეს ასულმა დაიკავა, ა. ი. ოსტერმანის მდგომარეობა სამეფო კარზე ძირეულად შეიცვალა: ელისაბედმა არ აპატია მამამისის მიერ დაწინაურებულ ა. ი. ოსტერმანს ანა იოანეს ასულისადმი და მისი ახლო ნათესავებისადმი ერთგულება, რაც, სხვათა შორის, გამოიხატა იმით, რომ ოსტერმანი მხარს უჭერდა ანა ლეოპოლდის ასულის ვაჟის იოანე ბრაუნშვაიგ-ლიუნებურგელის ასვლას რუსეთის სამეფო ტახტზე ნაცვლად ტახტის კანონიერი მემკვიდრისა — თვით ელისაბედ პეტრეს ასულისა. ა. ი. ოსტერმანი დააპატიმრეს და გაასამართლეს: მას სიკვდილით დასჯა მიესაჯა, რაც ელისაბედმა ბერეზოვში მუდმივი გადასახლებით შეუცვალა.

ამრიგად, ჩვენ მიგუახლოვდით იმ მიზეზის ახსნას, რამაც სინოდის მხრივ მოსკოვში 1743 წელს დასტამბული ქართული „ბიბლიის“ დევნა გამოიწვია. ეს, ჩვენი აზრით, შემდეგი გარემოებით აიხსნება: ბუნებრივია, რომ ქართული „ბიბლიის“ შინაარსში, კერძოდ, მის სატიტულო მონაცემებსა და შესავალ ნაწილში წიგნის გამომცემელი, წესისამებრ, ქებადიდებას ასხამდნენ იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულსა და მის მემკვიდრე პეტრე თევდორეს ძეს, მაგრამ სრულიად დაუშვებელი და წარმოუდგენელი იყო იმ დროისათვის, რომ ამავე წიგნის „ბოლოსიტყვაობაში“ რუსეთის ეკლესიის მიერ „სატანად“ შერისხული ა. ი. ოსტერმანიც დადებით კონტექსტში ყოფილიყო მოხსენიებული. ეს ფაქტი არანაკლებ „კრამოლური“ შინაარსისა იყო იმჟამად, ვიდრე ამა თუ იმ წიგნში ნე-

⁴³ სსრკ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (ლენინგრადი), ფონდი 796, აღწ. 18, საქმე 285, გვ. 5.

ბით თუ უნებლიეთ იოანე ბრაუნშვაიგ-ლიუნებურგელის მოხსენიება, რაც ასე მკაცრად იყო ხაზგასმული სინოდის მიერ შედგენილ დოკუმენტში⁴⁴.

იქნებ ამავე ფაქტს უკავშირდებოდეს არა მარტო ის „წაყრუება“, რომელსაც ი. სამებელი სინოდის ოფიციალურ მომართვებზე პასუხის გაცემისას იჩენდა, არამედ თვით სინოდის, ჩვენი აზრით, არაგულწრფელი განცხადება (1745 წლის 13 სექტემბერი), თითქოს ქართული „ბიბლიის“ დაბეჭდვის ფაქტი მისთვის უცხო იყო, რაც, ვფიქრობთ, ერთგვარ ფანდს წარმოადგენდა ამ წიგნში დაშვებული „პოლიტიკური შეცდომის“ გამო ყოველგვარი პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნის მიზნით.

დაბოლოს, ეს ფაქტი და, ჩვენი აზრით, მასთან დაკავშირებული სინოდის სიმკაცრე და არაგულწრფელობა ხომ არ შეიძლება აიხსნას რუსეთის ამ უმაღლესი სასულიერო დაწესებულების პატივმოყვარეობითა და მისი პრესტიჟის (რენომეს) დაცვის სურვილითაც? ქართული ეკლესიის ტრადიციული დამოუკიდებლობა, მისი ავტორიტეტი და სიახლოვე აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველ წრეებთან ხომ არ იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სინოდს, შესაძლოა, ჩვენ მიერ აღნიშნული მიზეზის გარეშეც მკაცრი მომთხოვნელობა გამოეჩინა და მტრულადაც კი მოჰკიდებოდა პირველ ნაბეჭდ ქართულ „ბიბლიას“, რომლის გამოცემამ თითქმის რვა წლით დაასწრო სლავური „ბიბლიის“ ასე თუ ისე სრულფასოვანი ტექსტის გამოქვეყნებას?

ეს ვრცელი კომენტარი არა მარტო იმისათვის წარმოვადგინეთ, რომ შეძლებისდაგვარად შუქი მოგვეფინა ისტორიული სინამდვილისათვის, არამედ იძულებულიც შევიქენით, ასე მოვქცეულიყავით: წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, თავს ვერ დავალწევდით იმ „ესოდენ უხერხულ მდგომარეობას“, რომელშიც, თურმე ჩვენი მობაექრის მტკიცებით, თავი ჩაგვიყენებია მისი ნაშრომის მიმართ გამოთქმული მეოთხე შენიშვნით. ჩვენი აზრით, ი. კასრაძე, თვითონ უნდა გრძნობდეს თავს უხერხულ მდგომარეობაში, რადგან თავის კრიტიკულ წერილში იძლევა არა მარტო ფ. გუმბელის ნაშრომიდან ჩვენ მიერ დამოწმებული ცნობის არასწორ ინტერპრეტაციას, არამედ ასევე არასწორ კომენტარს უკეთებს ს. ყუბანეიშვილის დასახელებული ნაშრომიდან მოყვანილ იმ ამონაწერსაც, სადაც ქარ-

44 სსრკ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (ლენინგრადი), ფონდი 796, აღწ. 18, საქმე 285, ფურც. 30.

თული „ბიბლიის“ 1743 წლის გამოცემასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ სინოდს არავითარი ცნობა ამ საქმის შესახებ არაქონია“⁴⁵. ო. კასრაძე კი ამ ადგილს ისე განმარტავს, თითქოს ქართული „ბიბლიის“ დაბეჭდვისა და გამოცემის შესახებ არა მარტო სინოდმა, არამედ „ამ საქმის“ ერთ-ერთმა მთავარმა მონაწილემ და სულისჩამდგმელმა ი. სამებელმაც არაფერი იცოდოდ⁴⁶. დამატებითი განმარტებისაგან აქ თავს შევიკავებთ. მკითხველს მხოლოდ იმას შევასხენებთ, რომ ო. კასრაძე ჩვენ გვდებდა ბრალს, ს. ყუბანეიშვილის ნაშრომი არ წაუკითხავსო.

ო. კასრაძე ყოველნაირად ცდილობს „აიციდინოს“ ჩვენი მეხუთე შენიშვნა, რომელიც შეეხება მის წიგნში მოცემულ იმ არასწორ მტკიცებას, რომ თითქოს მოსკოვის პირველი მუდმივი მკვიდრი ქართველები 1696 წელს გადასახლებული არჩილ II-ის ოჯახის და მისი ამაღლის წევრები იყვნენ“⁴⁷. ო. კასრაძე განმარტავს: „აქ დაშვებულია კორექტურული შეცდომა, უნდა იყოს 1686 წელი“⁴⁸. ვთქვათ, მართლაც ასეა (საანალიზო წიგნში ხომ მრავალი კორექტორული შეცდომაც არის დაშვებული⁴⁹), მაგრამ 1696 წლის ნაცვ-

45 ს. ყუბანეიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

46 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 183. ცნობილია, რომ ი. სამებელი ქართული „ბიბლიის“ ტექსტის გამართვას ჯერ კიდევ ნოვგოროდში ყოფნისას შეუდგა. „ჩვენამდის მოღწეულ მაკაბელთა და ისო ზირაქის წიგნებს, რომელიც არჩილ მეფის მიერ უნდა იყოს თარგმნილი, მიწერილი აქვს იოსებ სამებელის შემდეგი ცნობა: „ქრისტეს აქეთ ჩლვ იანვარსა და ივ ნოვგოროთს ვიჯე და იქ ვამართე ეს წიგნი მე მიწა კაც ჰქმნილმა ბერმა იოსებ“... სინოდის მიწერ-მოწერიდანაც ჩანს, რომ სამებელი თურმე მთავარ ფიგურას წარმოადგენდა ბიბლიის გამოცემის საქმეში“ (იხ. ს. ყუბანეიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 229).

47 ო. კასრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

48 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 183.

49 საკმარისია აღინიშნოს, რომ ო. კასრაძის წიგნში გვხვდება როგორც რუსული ტექსტის დამახინჯებულად ციტირება, ასევე ქართულ ენაზე სპეციალური ლიტერატურიდან დამოწმებული ადგილების არაზუსტი ვადმოცემაც. მაგალითად, „ბიბლიისათვის“ დართული ვახუშტისეული „ბოლოსიტყვაობიდან“ ო. კასრაძის წიგნში მოყვანილი ერთი ადგილი ასე იკითხება: „პირმშომან, ძემან მეფის ვახტანგისამან, მეფემან ვახტანგ“ (უნდა იყოს: „ბაქარა“—ჯ. ვ.) (იხ. გვ. 55—57). წიგნში აღრეულია თარიღები: ვახტანგ VI-ის გარდაცვალების თარიღად 1737 წლის ნაცვლად მითითებულია 1732 წელი (გვ. 57); ბაქარის მიერ სინოდისადმი წარდგენილი თხოვნა (ქართული სასულიერო წიგნების მოსკოვში დაბეჭდვის თაობაზე) 1737 წლის ნაცვლად 1730 წლითაა დათარიღებული (გვ. 50); ამავე თხოვნის გამო სამეფო კაბინეტის გადაწყვეტილების სინოდის საერთო კრებაზე განხილვის თარიღად, 1737 წლის ნაცვლად, აგრეთვე 1730 წელია მითითებული (გვ. 51) და სხვა.

ლად 1686 წლის მითითება საქმეს რომ არ შველის? ჩვენს დოკუმენტში ადვინიშნავდით, რომ „მოსკოვის პირველ მუდმივ მკვიდრ ქართველებად მართებულია მივიჩნიოთ XVII საუკუნის შერეულ ხევრიდან იქ დამკვიდრებული თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, რუსეთში ნიკოლოზად წოდებული, ერეკლე I დავითის ძე, დედამისი ელენე ლევანის ასული და მათი ამაღლის წარმომადგენელი, რომელთა შორის საარქივო დოკუმენტებში შედარებით ხშირად დავითიშვილები იხსენიებიან“⁵⁰. მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულად ითვლება⁵¹, ო. კასრაძე მას „უმართებულს“ უწოდებს და მის ნაცვლად აშკარად მცდარ ვერსიას გვათავაზობს. იგი წერს: „წიგნში ყურადღება გამახვილებულია „მოსკოვის პირველ მუდმივ მკვიდრ ქართველობაზე“ და არა დროებით ჩასულებზე. ერეკლე I, ელენე და მათი ამაღლის წევრები კი მოსკოვში დროებით ჩასულ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ერეკლე, მაგალითად, 1654 წელს ჩავიდა მოსკოვს დედამისთან ერთად და 1662 წელს კვლავ საქართველოში დაბრუნდა, ასევე ითქმის ელენესა და მათი ამაღლის სხვა წევრებზეც“⁵².

ო. კასრაძე, სამწუხაროდ, იძულებულს გვხდის ცნობილი ფაქტები მას ხელმეორედ და შედარებით უფრო ვრცლად განვუმართოთ. უწინარეს ყოვლისა, დაზუსტებას საჭიროებს მისი მტკიცების ფაქტობრივი მხარე: ერეკლე I თავისი ამალით მოსკოვს პირველად 1654 წელს კი არა 1653 წლის დამლევს ჩავიდა, ხოლო აქედან საქართველოში (თუშეთში) არა 1662 წელს, არამედ 1660 წლის ივნისში დაბრუნდა⁵³. ამრიგად, მან რუსეთში შვიდი წელი დაჰყო. მაგრამ ეს არ ყოფილა მისი ერთადერთი „დროებითი“ სტუმრობა რუსეთს: 1666 წლის დეკემბერში იგი კვლავ ბრუნდება მოსკოვს⁵⁴, სადაც 1674 წლის თებერვლამდე დარჩა, — საქართველოში საბო-

50 „მნათობი“, 1975, № 11, გვ. 187.

51 ვ. ტატიშვილი. ქართველები მოსკოვში (1653—1722) (რუსულ ენაზე). თბ., 1959, გვ. 6; ლ. მენაბდე. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, ტ. 96, 1963, გვ. 185; გ. პაიჭაძე, ქართული კოლონიის ისტორიისათვის რუსეთში. „ლიტერატურნაია გრუზია“, 1967, № 8, გვ. 89.

52 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 184.

53 გ. პაიჭაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ.). — „სისტორიო მოამბე“, № 23—24, 1970, გვ. 151.

54 იქვე, გვ. 160.

ლოოდ გამომგზავრებამდე⁵⁵. მარტივი არითმეტიკული გაანგარიშების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ ერეკლემ დედამისთან და თავისი ამაღლის ცალკეულ წევრებთან ერთად, რომლებიც მუდამ თან ახლდნენ, რუსეთში თითქმის 16 წელიწადი იცხოვრა. ახლა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: არჩილ II-მ 1685 წელს მოსკოვს პირველი ჩასვლიდან⁵⁶ 1713 წლამდე (ამ წელს იგი აქვე გარდაიცვალა) რუსეთში 20 წელი დაყო, 8 წელი კი (1688—1696) იმერეთის ტახტის მამიებლობას მონაღმობა, საქართველოში გაატარა. გამოდის, რომ არჩილს რუსეთში ოთხიოდე წლით მეტხანს უცხოვრია, ვიდრე ერეკლე I-ს. თავისთავად ცხადია, ეს ფაქტი არავითარ საფუძველს არ იძლევა საიმისოდ, რომ ერეკლე I და მისი ახლობლები „მოსკოვში დროებით ჩასულ ქართველთა რიცხვს“ მივაკუთვნოთ. ასეთი მტკიცება მით უფრო უმართებულოა ერეკლეს ამაღლის იმ წევრთა მიმართ, რომლებიც მუდმივად დასახლდნენ მოსკოვში და მას შემდეგ საქართველოში აღარ უცხოვრიათ. მათ რიცხვში, როგორც აღნიშნულია ჩვენს რეცენზიაში, პირველ ყოვლისა, დავითიშვილები იგულისხმებიან, რომლებიც წლების განმავლობაში საკმაოდ დაწინაურდნენ რუსეთის სამეფო კარზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ხშირად „დავიდოვებად“ იწერებოდნენ და რუსებთან ოჯახურ-ნათესაობრივი კავშირის ზემოქმედებით მათი ნაწილი შემდგომ გარუსდა კიდევც, XVII საუკუნის 50—70-იან წლებში ისინი მოსკოვში უკვე არსე-

55 გ. პ ა ი ქ ა ძ ე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1680 წწ.) — „საისტორიო მოამბე“, № 23—24, 1970, გვ. 166.

56 იმ მიზნით, რომ გაამართლოს თავის წიგნში დაშვებული თითქოსდა კორექტურული უზუსტობა (1686 წლის ნაცვლად 1696 წლის მითითება), ო. კასრაძე ყოველნაირად ცდილობს, სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი თვალსაზრისის საპირისპიროდ, არჩილ II-ის მოსკოვს პირველი ჩასვლა 1685 წლის მაგივრად „1686 წლის დამდეგით“ დაათარილოს (იხ. „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 183). ამ მცდარი მტკიცების შესამაგრებლად იგი სქოლიოში იმოწმებს ცნობას, რომ „არჩილი 1685 წ. ოქტომბერში ნიჟნი-ნოვგოროდშია“ (იქვე). ეს ცნობა სარწმუნოა, მაგრამ 1685 წლის ოქტომბერში მოსკოვს მიმავალი არჩილისა და მისი ამაღლის ნიჟნი-ნოვგოროდში გზად შეჩერება როდი ნიშნავს, იმას, რომ ამ შედარებით უმნიშვნელო მანძილის გავლას ორ თვეზე მეტი დრო უნდა დასჭირებოდა! ხომ ცნობილია, რომ არჩილის ვაჟიშვილებმა ალექსანდრემ და მამუკამ საგრძნობლად უფრო დიდი მანძილი ასტრახანიდან მოსკოვამდე (ყაზანსა, სიმბირსკსა და ვლადიმირზე გავლით) სამ თვეში გაიარეს (იხ. «Материалы по истории русско-грузинских отношений (80—90-е годы XVII века)», თბ., 1974, გვ. 271—303).

ბული ქართული კოლონიის ჩანასახის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკვეთად გვევლინებიან.

ჩვენს რეცენზიაში გამოთქმულ დანარჩენ შენიშვნებზე უკვე ვსაუბრობდით. რადის კრიტიკულ წერილში გაცემული პასუხები აშკარად მოწმობენ, რომ მისი პაექრობის ამოსავალი პრინციპია „დავა დავისა წილ“. პირადად ჩვენ ამავე პრინციპით ვერ ვიხელმძღვანელებთ, თუნდაც იმიტომ, რომ მკითხველს აქ თავი არ მოვაბეზროთ ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიასთან დაკავშირებული მრავალი დეტალისა და ეპიზოდის დაწვრილებითი განხილვით, უფრო კი იმიტომ, რომ ჩვენი რეცენზიის შენიშვნებზე ო. კასრაძის კრიტიკული წერილის მომდევნო განაკვეთებში (VII—X და XII—XV) წარმოდგენილი პასუხები შედარებით ნაკლებ „შემტევი“ ხასიათისაა. ზოგიერთ მათგანში მოპაექრე ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ თავისი წიგნის შესაბამის ადგილებში მას იგივე აზრი აქვს გამოთქმული (ან უფრო სწორად — იმავე აზრის გამოთქმის სურვილი ჰქონდა), რასაც ჩვენს რეცენზიაში მოვითხოვდით⁵⁷, ან არადა ისევ და ისევ არასწორად აღიქვამს რეცენზიაში მიცემულ რჩევას, რომ საჭირო იყო წიგნში სათანადოდ ყოფილიყო განხილული და შესწავლილი ესა თუ ის საკითხი⁵⁸. ზოგ შემთხვევაში კი იგი, სამწუხაროდ, ცდილობს თავი იმართლოს იქაც, სადაც, ჩვენი აზრით, საამისოდ არავითარი საფუძველი არ არსებობს. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, კრიტიკული წერილის XIII და XIV განაკვეთები, სადაც ო. კასრაძე უშედეგოდ ცდილა პასუხი გაეცა ჩვენს შენიშვნებზე მის წიგნში რუსული ტექსტის დამახინჯებულად ციტირებისა და ცნობილი შვედი დიპლომატის ი. გ. სპარვენფელდის გვარის არასწორად (შპანვერფელდი) მოხსენების გამო⁵⁹. პირველ შემთხვევაში ო. კასრაძის პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ მის წიგნში დაშვებული დამახინჯებანი და უზუსტობანი რუსული ტექსტის გადმოცემისას გამოწვეულია არა მარტო ავტორის უყურადღებობით, არამედ აგრეთვე იმით, რომ იგი არ იცავს საარქივო დოკუმენტებიდან ციტირების ელემენტარულ წესებს, სახელდობრ, არ ერიდება ცალკეულ ასოთა შესწორებასა და სიტყვების „გრამატიკულად“ შელამაზებას. ეს ყოველად შეუწყნარებელი ფაქტია. ავტორის უკიდურეს უყურადღებობაზე, სხვათა შორის, ისიც მეტყველებს, რომ რუსული ტექსტი მის კრი-

57 „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 184 (იხ. კრიტიკული წერილის VII — VIII პასუხები).

58 იქვე, გვ. 184—185 (იხ. IX—X პასუხები).

59 იქვე, გვ. 186.

ტიკულ წერილშიც დამახინჯებულად არის ციტირებული⁶⁰. ეს გარემოება, ვფიქრობთ, გვათავისუფლებს სარეცენზიო წიგნში მხრივ მრავლად დაშვებულ უზუსტობათა აქ მოყვანა-განსაჯვარების აუცილებლობისაგან.

კურიოზულად გვეჩვენება ო. კასრაძის XIV პასუხში გამოთქმული შემდეგი სურვილი: „რეცენზენტი... შვედი დიპლომატის გვარის უცოდინარობას მიიქონებს, რადგანაც სპარვენფელდის ნაცვლად შპანვერფელდად ვიხსენიებ... ვინ არის ჩვენს შორის მართალი, დაე ეს სპეციალისტებმა განსაჯონ“⁶¹.

აქვე ო. კასრაძე იმოწმებს ჩვენს რეცენზიაში დაშვებულ ზოგიერთ კორექტურულ უზუსტობას და გვთავაზობს ცალკეულ გამოთქმათა „რედაქტირებული“ ვარიანტების გათვალისწინებას, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ბოლო, XV განაკვეთი კრიტიკული წერილისა შეიცავს პასუხს ჩვენი რეცენზიის ერთ-ერთ ძირითად შენიშვნაზე, სადაც ნათქვამია: „ო. კასრაძის ნაშრომში თვალნათლივ შეინიშნება, რომ ქართული წიგნთმბეჭდაობის ისტორია ერთგვარად მოწყვეტილად, განყენებულადაა განხილული იმ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისაგან, რომელთაც თითქმის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განაპირობებს ამა თუ იმ ქართული სტამბის დაარსება ან სასულიერო თუ საერო შინაარსის ქართული წიგნის დაბეჭდვა“⁶². ეს შენიშვნა რეცენზიაში შემდგომ უფრო კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული: მითითებულია არაერთი ისტორიული ფაქტი თუ მოვლენა, რომელთა გათვალისწინება ო. კასრაძის ნაშრომში, ჩვენი აზრით, არა მარტო სასურველი იყო, არამედ აუცილებელიც. მაგრამ ამჯერად ისაა საინტერესო, თუ რა ორიგინალურად უბასუხებს ჩვენს ამ შენიშვნას ო. კასრაძე თავის კრიტიკულ წერილში. იგი იხსენებს 1972 წელს დაწერილ ჩვენს დასკვნას მის წიგნად გამოსაცემ ხელნაწერზე და

60 ო. კასრაძეს თავის კრიტიკულ წერილში მოჰყავს სამი პატარა ამონაწერი ჩვენი ზემოხსენებული მონოგრაფიიდან, ამათგან ორ შემთხვევაში — არაუხსტად: «Стремление Арчила создать очаг грузинской культуры за рубежом своей страны, каким в действительности стала грузинская книгопечатания...», უნდა იყოს: «книгопечатня»), (იხ. იქვე, გვ. 181). მეორე შემთხვევაში ნათქვამია: «Петра I» (უნდა იყოს: («Петром I») было выделено 200 руб. на изготовление... (იქვე). უზუსტობაა დაშვებული ა. აბრამიშვილის ნაშრომიდან ციტირებისასაც: «Царевич Бакар... совместно с Иосифом»... უნდა იყოს «Иосифом Самобели»... (იქვე, გვ. 180).

61 „მნათობა“, 1976, № 2, გვ. 186.

62 იქვე, 1975, № 11, გვ. 186.

შენიშნავს: „რეცენზენტს რომ ყოველივე ამაზე დროულად და პრინციპულად (1) მიეთითებინა, იქნებ დამხმარებოდა წიგნის იმ მხატვრობით გამოცემაში, რამდენ თაბახთა რაოდენობასაც ვითხოვდით ჩემს განცხადებაში. აღნიშნულის გამო ნაშრომმა დაბეჭდვამდე საგრძნობი შემცირება განიცადა, რამაც განაპირობა კიდევ რეცენზენტის შემოციტირებული შენიშვნა-სურვილების გაუთვალისწინებლობა“³³.

ო. კასრაძის ეს პასუხი ორიგინალური ჩანს არა იმდენად „დახვეწილი“ სტილის გამო, რამდენადაც შინაარსობრივი მიზანდასახულობით. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ატორს ჩვენი შენიშვნის არსებითი (მეცნიერული) მხარე ნაკლებ აინტერესებს. გარდა ამისა, ო. კასრაძის შემომოყვანილი პასუხიდან ისე გამოდის, თითქოს ჩვენ (და მხოლოდ ჩვენ) მიგვიძღვის ბრალი იმაში, რომ წიგნი შედარებით მცირე მოცულობით გამოქვეყნდა, რასაც თურმე, თავის მხრივ, გამოუწვევია ის, რომ სათანადო სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გასაშუქებლად ავტორს ადგილი აღარ დარჩენია. მეტად მოხერხებული პასუხია. მაგრამ თავისთავად იბადება კითხვა: თუ წიგნისათვის განკუთვნილმა მოცულობამ განაპირობა აღნიშნული ხარვეზი მისი შინაარსისა, შემდეგ (სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერ ტექსტში) ხომ ჰქონდა ავტორს შესაძლებლობა შეევესო იგი? რატომ არ გამოიყენა მან ეს შესაძლებლობა?

დასასრულ, ო. კასრაძეს უნდა შევახსენოთ, რომ საზოგადოებისათვის, მეცნიერებისათვის ის კი არ არის მთავარი, ესა თუ ის პიროვნება, მით უმეტეს ნაშრომის (წიგნის, დისერტაციის) ავტორი, რას ფიქრობს თავის თავზე ან თავის ნაშრომზე, არამედ ის, თუ მასზე ან მის ნაშრომზე რას ფიქრობენ სხვები, მეტადრე — კონკრეტული დარგის სპეციალისტები. სწორედ ამ აქსიომის უგულებელყოფის შედეგია ო. კასრაძის პოლემიკის გაუმართლებელი სიმწვავე, პოლემიკისა, რომლის შედეგების განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია.

ნოდარ ტაბიძე

პირველი ქართული გაზეთის მაცნებარული შესწავლისათვის

პირველი ქართული გაზეთის შესწავლას კარგა ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ზოგიერთი საკითხი ჯერაც გაურკვეველია. ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს ის ნარკვევები თუ წერილები, რომლებიც მას ეძღვნება.

1976 წელს გამოქვეყნდა აკაკი კენჭოშვილის წერილი „საქართველოს გაზეთის“ („ქართული გაზეთის“) პროფილისა და პოზიციის საკითხი“¹. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი შენიშნავს: „საქართველოს გაზეთის“ „... გამოსვლა, რაგინდ ოფიციალის სახეც არ უნდა ჰქონოდა მას, დღეს მართებულად ფასდება ჩვენი მკვლევარების მიერ ხალხის მოწინავე ძალების საღათას ძილისაგან გამოღვიძების ერთგვარ გამოხატულებად. მაგრამ ამ გაზეთის პროფილისა და იდეურ-პოლიტიკური მიმართულების, პოზიციის, მრწამსის შეფასებაში უნებლიეთ დაშვებულია მცირედი უზუსტობანიც, რაზეც ღირს მკითხველის ყურადღების შეჩერება“².

აღბათ, ეს „მცირედი უზუსტობანი“ ძალზე მნიშვნელოვანია, თორემ ცნობილი ფილოლოგი მათ გასარკვევად კალამს არ აიღებდა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ „მცირედ უზუსტობათა“ გამო, რომლებიც თურმე მაინც ყოფილა „ყურადღების ღირსი“, ა. კენჭოშვილი ორ ავტორს ეკამათება: პ. გუგუშვილსა და მე, თანაც ამათგან პირველს არ ასახელებს. ახლა ვნახოთ, თუ რაზე დავობს ჩვენი კრიტიკოსი.

1. ჩვენ ვწერდით: „საქართველოს გაზეთი“ რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ერთ-ერთი პირველი ეროვნული გაზეთია“³. ა. კენ-

1 ა. კენჭოშვილი. „საქართველოს გაზეთის“ („ქართული გაზეთის“) პროფილისა და პოზიციის საკითხი. — კრებულში: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, წიგნი VII, 1976.

2 იქვე, გვ. 3.

3 ნ. ტაბიძე. პირველი ქართული გაზეთი. 1969, გვ. 30.

ჭოშვილს მიუღებლად მიაჩნია ეს დებულება, აქაოდა, „საქართველოს გაზეთი“ ოფიციალური იყო. ჩვენს წიგნში ნათლად არის ნახსენები, რომ პირველი ქართული გაზეთი ცარიზმის ინტერესების დამცველია. აი, რამდენიმე ამონაწერი: „საქართველოს გაზეთი“ ხელისუფლების მისწრაფებათა გამომხატველ-დამცველია“⁴, „გაზეთი გულით ცდილობს თვითმპყრობელური რუსეთის განდიდებას“⁵, რედაქციის თანამშრომლები „... მხარს უჭერენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, აბსოლუტურ მონარქიზმსა და ფეოდალურ ინსტიტუტს. ეს კონსერვატორული ტენდენციები აპრობებენ სხვა ნაკლოვანებებს“⁶ და სხვ. ამასთანავე წიგნში ხაზგასმულია პირველი ქართული გაზეთის დამსახურება ერის წინაშე, მისი პროგრესული როლი. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „საქართველოს გაზეთით“ საფუძველი ჩაეყარა არა მარტო ქართულ, არამედ კავკასიურ პრესას; რომ XIX საუკუნის ათიან წლებში მეტროპოლიასთან უფრო დაახლოებულ ბევრ გაზეთთანაა კი არ გამოდიოდა პერიოდული ორგანო, მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ ვთვლით „საქართველოს გაზეთს“ რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ერთ-ერთ პირველ ეროვნულ გაზეთად.

2. პირველი ქართული გაზეთის შედარებამ „სანქტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტას“ და „სევერნაია პჩელასთან“ დაგვარწმუნა, რომ ქართულ გაზეთში გაცილებით მცირე ადგილი ეთმობა იმპერატორისა და მისი მახლობლების სახობო მასალებს, ვიდრე რუსულ პრესაში. ეს გარემოება, ვწერდით ჩვენ, „...აიხსნება არა ეურნალისტთა რადიკალური თვალსაზრისით, არამედ ორგანოს დანიშნულების თავისებური გავებით. რედაქციის აზრით, „საქართველოს გაზეთს“ ძირითადად ადგილობრივ ამბებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება“⁷.

ჩვენ არ გვითქვამს, რომ „საქართველოს გაზეთი“ საერთოდ იკავებდა თავს გვირგვინოსანთა ქებისაგან. პირიქით, წიგნში საკმაოდ დიდ ადგილს ვუთმობთ იმის ჩვენებას, თუ როგორი თავგამოდებით უკმევდა გუნდრუკს „საქართველოს გაზეთი“ რუსეთის მმართველებს. ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ ამ მხრივ იგი მაინც უფრო ზომიერად გამოიყურება რუსულ პრესასთან შედარებით. ა.

4 ნ. ტ ა ბ ი ძ ე. დასახ. წიგნი, გვ. 22.

5 ი ქ ვ ე, გვ. 48.

6 ი ქ ვ ე, გვ. 103.

7 ი ქ ვ ე, გვ. 33.

კენჭოშვილის აზრით, „...ეს აიხსნება ჩვენი გაზეთის ფორმატის სიპატარავით...“⁸ ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ფორმატის ამგვარი შეზღუდვა და გაზეთის კონკრეტული დანიშნულების დავიწყება სწორი არ უნდა იყოს.

3. პირველი ქართული გაზეთის შესახებ ჩვენ ვწერდით: „ძნელია დავასახელოთ მაშინდელ საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი მეორე უფრო მნიშვნელოვანი კათედრა“⁹. ამ ფრაზამ ა. კენჭოშვილის აღშფოთება გამოიწვია. „ნამდვილად კი ამდენხანს ასე ვიცოდით და არ შევცდებით თუ ახლაც და ყოველთვის გავიმეორებთ: შეუძლებელია XIX საუკუნის პირველ ნახევარში დავასახელოთ საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი მეორე უფრო მნიშვნელოვანი კათედრა, როგორც ქართული მწერლობა იყო“¹⁰. რა შუაშია აქ „XIX საუკუნის პირველი ნახევარი“, როცა ჩვენ გარკვევით ვწერთ. „მაშინდელ საქართველოში“, რაც, ცხადია, გულისხმობს 1819—1821 წლებს, როდესაც „საქართველოს გაზეთი“ გამოდიოდა, და არა „XIX საუკუნის პირველ ნახევარს“.

ახლა ვნახოთ, 1819—1821 წლების საქართველოში არის თუ არა გაზეთი მთავარი კათედრა. ამ დროს საქართველოში მცხოვრებ ქართველ მწერალთაგან სახელმოხვეჭილი მხოლოდ ა. ჭავჭავაძეა, მაგრამ ჩვენთვის უცნობია 1819—1821 წლებში რამდენი ლექსი დაწერა მან. რა მდგომარეობაა წიგნის გამოცემის მხრივ? სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნუსხულია ამ პერიოდის 12 გამოცემა (ამათგან მხოლოდ 5 დაიბეჭდა საქართველოში), თანაც 6 სასულიერო ხასიათისაა. მათ ემატება „შეკრება რუსულთა უბნობათა...“, გ. ფირალოვის „თვთ მასწავლებელი...“ და „საზოგადო მდივნობა“, დ. ბაგრატიონის „წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა...“, ოთხგვერდიანი „დადებულება...“ და ორგვერდიანი „საე-როო განცხადება მცხოვრებთადმი იმერეთისათა“¹¹. აშკარაა, თუ რამდენად მცირეა ნაბეჭდი პროდუქცია.

1819—1821 წლების საქართველოში არ არსებობდა თეატრი, არ იყო მძლავრი ლიტერატურული საკრებულო... და აი, ამ დროს რამდენიმე ასეულ ეგზემპლარად გამოდის ყოველკვირეული გაზე-

8 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 10.

9 ნ. ტაბიძე. დასახ. წიგნი, გვ. 105.

10 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 16.

11 იხ. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1941, გვ. 90—94.

თი, რომელიც მთელ ქვეყანაში ვრცელდება. ფაქტი ჭიუტია და თეტიკური განცხადებით მისი უკუგდება შეუძლებელია.

აქ ერთი ჭეშმარიტებაც უნდა გავიხსენოთ. საზოგადოებრივი აზრი დამოკიდებულია მატერიალური მდგომარეობით განსაზღვრულ საზოგადოებრივ შეგნებაზე. ამიტომაც ანტაგონისტურ კლასებად და ფენებად დაყოფილ საზოგადოებაში ერთსა და იმავე საკითხზე შეიძლება საპირისპირო საზოგადოებრივი აზრი არსებობდეს. ვ. ი. ლენინი ერთმანეთისაგან განასხვავებს რევოლუციური ფენების საზოგადოებრივ აზრსა და ბურჟუაზიის საზოგადოებრივ აზრს. ასე რომ, საზოგადოებრივი აზრი მხოლოდ და მხოლოდ ერთსაზოგად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ოფიციალსაც შეუძლია შექმნას გარკვეული საზოგადოებრივი აზრი.

ა. კენჭოშვილს წერილის მერვე გვერდზე მოჰყავს „გამოცხადების“ ნაწყვეტი: „ბ. საკუთარი მმართველობის განწესებანი, ბრძანებანი და დადგენილებანი, რომელნიცა ეკუთვნიან ამ ქვეყნის დაპყრობასა და კეთილმდგომარეობასა“¹². სიტყვას „დაპყრობა“ სქოლიოს მანიშნებელი ციფრი უზის, სქოლიოში კი ვკითხულობთ: „ნ. ტაბიძის გასწორება: „დამყარებასა“¹³. გამოდის, რომ „ვენ შეგნებულად ვცვლით დოკუმენტის უმნიშვნელოვანეს ადგილს, რათა საკუთარი დებულება გავამართლოთ. ციტატების გაყალბება ნამდვილად დაუშვებელია. ამგვარ საქციელს ანტიმეცნიერულიც შეიძლება ვუწოდოთ და უფრო უარესიც. მაგრამ, თუ ვინ ცვლის ფრაზას, ამაში „გამოცხადების“ ყველა წამკითხველი ადვილად დარწმუნდება. იქ შავით თეთრზე წერია „დამყარება“ და არა „დაპყრობა“.

ამრიგად, ჩვენ კი არ გაგვიყალბებია ციტატა, არამედ ა. კენჭოშვილს!

როგორც ვხედავთ, „ზოგიერთი უზუსტობანი“ არ აღმოჩნდა უზუსტობა: ჩვენი მოკამათის გასწორებები უსაფუძვლოა. მამ რას გვაძლევს ა. კენჭოშვილის წერილი? იქნებ კარდინალურ საკითხზე ავტორმა ახალი თვალსაზრისი განავითარა? იქნებ ახალი დოკუმენტები გამოამუშეურა? იქნებ ორიგინალური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა? აღნიშნულ წერილში ჩვენ ამის მსგავსი ვერაფერი ვიპოვეთ. ა. კენჭოშვილი ეყრდნობა სხვა მკვლევარებს და ეს დაყრდნობა ზოგჯერ მეტისმეტად თვალში საცემია. აი, ერთი მაგალითი:

12 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 8.

13 იქვე.

გაზეთის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით ვითვალისწინებდით წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებებს და

ქართული
ენათმეცნიერება

ჩვენ ვწერდით:

„მეტამორფოზა განაპირობა არა ორგანოს პროგრამისა თუ ხასიათის შეცვლამ, არამედ დედნისა და თარგმანის დაახლოების ტენდენციამ“ 14.

ა. კენჭოშვილი წერს:

„...მეტამორფოზა: „საქართველოს გაზეთი“, — „ქართული გაზეთი“ განაპირობა მხოლოდ დედნისა და თარგმანის დაახლოების ტენდენციამ...“ 15

ა. კენჭოშვილის სტატიაში ძალზე ბევრი შეცდომაა. მოვიყვანთ ზოგიერთს. მკვლევარი წერს: „სწორად არის შენიშნული, რომ ქართულ ენაზე პირველი გაზეთის დაარსება განაპირობა მაშინდელი ქართველი და მაშინ საქართველოში მყოფი მოწინავე რუსი ინტელიგენციისა (ა. ჭავჭავაძე, თ. ი. ჭილაშვილი, დ. ზ. ორბელიანი, ა. ორბელიანი, გ. ავალიშვილი, დ. რექტორი, ა. გრიბოედოვი, ვ. ა. კიუხელბეკერი, ნ. ნ. მურავიოვი, დ. დავიდოვი...) და კავკასიის ცარისტული სამხედრო მმართველობის ინტერესთა აშკარა დამთხვევამ...“ 16.

პირველი ქართული გაზეთის დაარსების პერიოდში ვ. კიუხელბეკერი საქართველოში არ ყოფილა (ჩამოვიდა 1821 წლის დეკემბერში). არც დ. დავიდოვი მოღვაწეობდა მაშინ კავკასიაში (ჩამოვიდა 1826 წელს).

ა. კენჭოშვილი წერს: „...მალე აღადგინეს აღა-მაჰმად-ხანის მიერ დარბეული ვახტანგ VI-ისეული ქართული სტამბა და იწყეს ახლადდაარსებული გაზეთის გამოშვება“ 17. არც ეს შეეფერება სინამდვილეს. პირველი ქართული გაზეთი ვახტანგისეულ სტამბაში არ იბეჭდებოდა 18.

ა. კენჭოშვილი აღნიშნავს, რომ „1820 წლიდან „ქართული გაზეთის“ ფორმატი საკმაოდ გაზრდილია“ 19. მიემართოთ ფაქტებს. 1819 წლის ნომრებში სვეტის სიგანე 5 კვადრატია, სიმაღლე კი 15—16 კვადრატი. გვხვდება ისეთი გვერდებიც, სადაც სვეტის სიმაღლე 14,5 კვადრატია (მაგალითად, № 43, გვ. II, III). 1920 წლის № 46-ში სვეტის სიგანე 4,5 კვადრატია, სიმაღლე კი 14,5 კვადრატი. 1821

14 ნ. ტაბიძე. დასახ. წიგნი, გვ. 15—16.

15 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 6.

16 იქვე, გვ. 3—4.

17 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 4.

18 მ. გოცაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, 1954, გვ. 108—109.

19 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 9.

წლის № 12-ში (გვ. 2) სვეტის სიგანე 4,5 კვადრატია, სიმაღლე კი 14,5 კვადრატი. როგორც ვხედავთ, ა. კენჭოშვილის ნათქვამი აქ დასტურდება.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ა. კენჭოშვილი ერთი მკვლევარის აზრს მეორეს მიაწერს, მეორისას — მესამეს და ა. შ. დავი-მოწმობთ მაგალითები. წერილის მეხუთე გვერდზე მას მოჰყავს შემდეგი ციტატა: „ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული გაზეთისათვის“, რომლის ავტორად იქვე ნ. ტაბიძეს ასახელებს, სინამდვილეში კი ეს სიტყვები პ. გუგუშვილს ეკუთვნის. პ. გუგუშვილს თავის გამოკვლევაში მომარჯვებული აქვს ვ. ი. ლენინის დებულება და წყაროზეც მიუთითებს — ლენინის თხზულებათა სათანადო ტომსა და გვერდს²⁰, ხოლო ა. კენჭოშვილი ამ დებულების ავტორად პ. გუგუშვილს ასახელებს²¹.

წერილში დამახინჯებულია გვარები, სახელები, სახელწოდებანი: დიმიტრი (ზურაბ) ორბელიანის ნაცვლად წერია დიმიტრი ზურაბის ძე ორბელიანი, ოანეხას ნაცვლად — ანეხა. ვალახიის ნაცვლად — მალახია და ა. შ. ცხადია, ყველას კორექტურულ შეცდომად ვერ მივიჩნევთ.

სამწუხაროდ, ა. კენჭოშვილის წერილში თითქმის ვერ ნახავთ სწორად მოყვანილ ციტატას. რაც მთავარია, ციტატების ამ დამახინჯებით მახინჯდება აზრიც. მაგალითად,

დედანში წერია:

ა. კენჭოშვილის ციტირებულში:

ა) გამომჟღავნდება ადგილობრივ მცხოვრებთა წადილი „დაახლოვონ თავნი თვისნი ჩვეულებათა შინა ერთა თანა ადრით უამითგან განათლებულთა“²².

ბ) „აპა მთიებამან დღისამან ხუთგზის განაცისკროვნა ღორიზონტი ძველისა სასაყდროსა ქალაქისა ბაგრატიონისა, რომელ...“²⁴

„დაახლოვონ ერთა თანა ადრით უამითგან ცნობილთაო“²³.

„აპა, მოგებამან დღისამან ხუთგზის განაცისკროვნა ღორიზონტი ძველისა სასაყდროისა ქალაქისა ბაგრატიონისაო“²⁵.

სიზუსტეს მოკლებულია სქოლიოებიც. არცთუ იშვიათად გაზეთის ნომერი არასწორად არის მითითებული. ზოგჯერ გვერდი შეცდომითაა დასახელებული (მაგალითად, № 21 სქოლიოს მიხედვით,

20 პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა, ტ. 1, 1941, გვ. 62.

21 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 5.

22 „გამოცხადება“.

23 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 8.

24 „საქართველოს გაზეთი“, 1819, № 19.

25 ა. კენჭოშვილი. დასახ. წერილი, გვ. 9.

ციტატა ამოდებულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეერთე / ტომის 114-ე გვერდიდან, ამ გვერდზე კი მსგავსი არაფერია. საქართველოს
ბიბლიოთეკა

კაცს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ა. კენჭო-
შვილს დაკვირვებით არც პირველი ქართული გაზეთი გადაუკით-
ხავს და არც მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ასეთ ეჭვს აღ-
ძრავს, მაგალითად, შემდეგი საგულისხმო ფაქტი. წერილის მეორე
გვერდზე მოყვანილია „გამოცხადების“ ტექსტი: „საკუთარნი მმარ-
თველობის განწესებანი, ბრძანებანი და დადგენილებანი...“ დედანში
სიტყვა „ბრძანებანი“ არ არის, მაშ საიდან გაჩნდა იგი? საქმე ის
არის, რომ ა. კენჭოშვილი სარგებლობს არა უშუალოდ პირველ-
წყაროთი, არამედ პ. გუგუშვილის მიერ მოყვანილი ციტატით. პ.
გუგუშვილმა სიტყვა „განწესებანი“ განმარტა და განმარტება —
„ბრძანებანი“ — ფრჩხილებში ჩასვა. ა. კენჭოშვილს ფრჩხილები
მოუხსნია და მივიღეთ წარყვნილი ტექსტი.

ჩვენ გულდასმით გადავათვალიერეთ ა. კენჭოშვილის წერილი
და 14 გვერდზე 114 შეცდომა დავთვალეთ. სამწუხაროდ, „მცირედ
უზუსტობათა“ „გასწორებას“ არამცირედი უზუსტობანი მოჰყოლია.

სხვა ხასიათისაა შ. რატიანის წერილი „ქართული ჟურნალისტი-
კის საწყისებთან“²⁶. მკვლევარს კეთილი მიზანი ამოძრავებს—ხელი
შეუწყოს იმის დადგენას, თუ ვინ იყო „ქართული გაზეთის“
„მთარგმნელი და რედაქტორი“. შ. რატიანი გულდასმით ვაცნობია
უხვ მასალას და ორიგინალურ ჰიპოთეზას ვეთავაზობს.

როგორც ცნობილია, პირველი ქართული გაზეთის ნომრები
რუსულად მზადდებოდა და შემდეგ ითარგმნებოდა. ქართული ჟურ-
ნალისტიკის ისტორიკოსები პ. გუგუშვილი, მ. გოცაძე თუ სხვები
პირდაპირ აღნიშნავენ, რომ რედაქციის წევრთა, მთარგმნელთა
ვინაობა დაუზუსტებელია. ჩვენ შევეცადეთ რამდენადმე წინ წაგ-
ვეწია ძიება. თვით გაზეთის ნომრებისა და საარქივო მასალების შეს-
წავლის საფუძველზე გამოვთქვით ვარაუდი: „საფიქრებელია, რე-
დაქციის ერთ-ერთი ძირითადი წევრი ნაზარიშვილი (ნაზაროვი)
ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ამაგრებს შემდეგი გარემოება: გაზეთს
საქართველოს კორპუსის შტაბი გამოსცემდა, ხოლო კორპუსში
მთარგმნელად მუშაობდა კაპიტანი ნაზარიშვილი“²⁷.

შ. რატიანი წერს: „...ძნელად სარწმუნოა, რომ კორპუსის შტა-
ბის მთარგმნელს იმის დრო ჰქონდა, რომ მთელი გაზეთი ეთარგმნა

²⁶ შ. რატიანი, ქართული ჟურნალისტიკის საწყისებთან. — კრებულში:
„ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I. 1977.

²⁷ ნ. ტაბიძე, დასახ. წიგნი, გვ. 78.

ქართულ ენაზე. ამასთან, შეძლებდა კი ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემას?! თუმცა, რაკილა კონკრეტული საბუთები არ მოგვეპოვებოდა, გამოორიცხული არაფერი არ არის და არც, ცხადია, ის რომ ნაზაროვი ყოფილიყო გაზეთის ქართულ ენაზე მთარგმნელი პირველ ხანებში მაინც“²⁸.

მკვლევარი არ უარყოფს ჩვენს ვარაუდს, თუმცა ძნელად სარწმუნოდ მიიჩნევს მას: კორპუსის შტაბის მთარგმნელს დრო არ ექნებოდა, მთელი გაზეთი ეთარგმნაო.

ჯერ ერთი, ჩვენ არსად გვითქვამს, რომ მხოლოდ ნაზარიშვილს უნდა ეთარგმნა მთელი ნომრები: ვარაუდი გამოვთქვით, რომ შეიძლება იგი რედაქციის ერთ-ერთი წევრი ყოფილიყო. მეორეც, დავუშვათ, რომ მხოლოდ მას ეკისრებოდა თარგმნა. ნუთუ პროფესიით თარჯიმანი მთელი კვირის განმავლობაში (შეთავსებით) ვერ შეძლებდა საწერი თაბახის ოთხი-ხუთი გვერდის შესავსები მასალის თარგმნას? (პირველი ქართული გაზეთი მცირეფორმატიანი იყო; მის ერთ ნომერს დაახლოებით 18-ჯერ ნაკლები მასალა სჭირდებოდა, ვიდრე დღევანდელ „კომუნისტს“).

შ. რატიანის წერილიდან ყურადღებას იპყრობს ნაზარიშვილის შესახებ ნათქვამი შემდეგი ფრაზაც: „ამასთან, შეძლებდა კი ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემას?!“.

ჩვენ არსად გვიწერია, თითქოს ნაზარიშვილს გაზეთის გამოცემა ეკისრებოდა. ამას ვერც ვიტყოდით, რადგან ამგვარი ჰიპოთეზისათვის ხელჩასაჭიდი მასალა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

შ. რატიანის „... ვარაუდით, „ქართული გაზეთის“ მთარგმნელი და რედაქტორი უნდა ყოფილიყო თავის დროისათვის დრმად განსწავლული, მრავალი ენის მცოდნე... ერუდირებული და მოუღალავი მოღვაწე — ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი)“²⁹. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, ვინ იყო ნ. ჩუბინაშვილი — მხოლოდ მთარგმნელი, თუ რედაქტორიც? ეს პრინციპული საკითხია. როგორც ცნობილია, გაზეთის გამოცემას ხელმძღვანელობდა სამხედრო შტაბი. ის ზრუნავდა თანამშრომელთა მოზიდვისათვის, მასალათა მოპოვებისათვის, გაზეთის გავრცელებისათვის და, რაც მთავარია, ნომერთა რუსული პირის შედგენისათვის. მაშ რა ეკისრებოდა „მთარგმნელ-რედაქტორს“? მას არ ხელუწიფებოდა ახალი მასალების მოპოვება და ნომერში ჩართვა, არც რუსული პი-

28 შ. რატიანი. დასახ. წერილი, გვ. 207.

29 იქვე, გვ. 211.

რის შემოკლება, არც კომენტარების დართვა. მაშ რაში გამოიხატებოდა მისი რედაქტორობა? მკვლევარი ფიქრობს, რომ „მთარგმნელ რედაქტორს“ ცვლილებები შეჰქონდა მასალათა განლაგებაში. ჯერ ერთი, საიდან ჩანს, რომ რუსულ პირში სხვაგვარად იყო მასალები დალაგებული და ქართულში — სხვაგვარად? ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არსებობს. მეორეც, თუნდაც დადგინდეს, რომ მთარგმნელს ცვლილებები შეჰქონდა მასალათა განლაგებაში, ეს მაინც საკმარისი არ არის რედაქტორად მისი გამოცხადებისათვის.

როგორც ვხედავთ, ნ. ჩუბინაშვილის რედაქტორობა არ მტკიცდება.

ახლა ვნახოთ, იყო თუ არა იგი აღნიშნულ გაზეთში მთარგმნელი. შ. რატიანს თავისი ვარაუდის გასამაგრებელ მთავარ საბუთად ის მიაჩნია, რომ ნ. ჩუბინაშვილი განათლებული, ენების ბრწყინვალე მცოდნე, ნიჭიერი მთარგმნელი და ამასთანავე საზოგადო მოღვაწეთაგან თუ სახელმწიფო მოხელეთაგან დაფასებული პიროვნება იყო. ვფიქრობთ, ასეთი ვარაუდი ამით ვერ დასაბუთდება, საამისოდ უფრო ხელშესახები, კონკრეტული არგუმენტებია საჭირო.

აქვე იხადება შემდეგი კითხვა: რამდენად ბუნებრივია, რომ შტაბის ხელმძღვანელობას სამხედრო უწყებაში მომუშავე მთარგმნელებისათვის, რომელთა გამოყენება ზედმეტი ხარჯის გარეშე შეიძლებოდა, გვერდი აეველო, სამოქალაქო უწყებიდან მოეწვია პიროვნება და მისთვის ჯამაგირიც ეძლია, მაშინ, როცა გაზეთის ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელო იყო?

განვიხილოთ მეორე საბუთიც. 1821 წელს „ქართული გაზეთის“ (№ 12) ფურცლებზე დაიბეჭდა შენიშვნა: „კორპუსის სამხედრო ტიპოგრაფიაში დაიბეჭდა რუსული და ქართულები უბნობა, წოდებით: თვთ მასწავლებელი რუსულის ენისა, თვთო წიგნი ამა უბნობათა ისყიდების მასვე ტიპოგრაფიაში ექვს შაურ თეთრ ფულად. ამ წიგნში რუსულნი ლექსნი დაწერილ არიან ქართულის ასოებით და ამისთჳს იგი უსარგებლეს არს რუსულის კითხვის უცოდინართათჳს“. ამ ინფორმაციის გამო, შ. რატიანი წერს: „აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ სხვა შემთხვევაში ამ ტიპის განცხადება-რეკლამები გაზეთში საერთოდ არ დაბეჭდილა. იმ ხანებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ათასგვარი „რაზღავორები“ და სხვ. გამოდიოდა. მათ შორის ზოგი პრემირებულიც, მაგრამ გაზეთს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. აშკარაა, რომ ამ განცხადება-რეკლამის უკან დაინტერესებული პირი უნდა იდგეს. ამავე დროს, ეს პიროვნება რედაქციისა და შტაბის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული უნდა

იყოს. სხვაგვარად შეუძლებელია გაზეთის ფურცლებზე „შემთხვე-
ვით“ მოხვედრილიყო რაიმე მასალა“³⁰.

შ. რატიანის აზრით, შესაძლებელია შენიშვნის უკან იდგეს თვით ნ. ჩუბინაშვილი — ავტორი ინფორმაციაში მოხსენებული წიგნისა. ამრიგად, გამოდის, რომ ნ. ჩუბინაშვილის პირველ წიგნზე, რომელიც 1819 წელს დაიბეჭდა, გაზეთს ხმა არ ამოუღია, მეორისათვის კი ინფორმაცია მიუძღვნია. ეს თურმე იმით უნდა აიხსნას, რომ 1819 წელს ნ. ჩუბინაშვილს გაზეთთან კავშირი არ ჰქონია, ხოლო 1820 წლის მეორე ნახევრიდან რედაქციის თანამშრომელი გამხდარა და საკუთარი წიგნის რეკლამირებაც შეეძლო.

უპირველეს ყოვლისა გასარკვევია, „თვითმასწავლებელი“ ნ. ჩუბინაშვილმა შეადგინა, თუ არა. ამასთან, მართლაც „ჩვეული გულმოდგინებით“³¹ იმუშავა მის შედგენაზე?

უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი ნ. ჩუბინაშვილს სხვებმაც მიაკუთვნეს. მაგალითად, ჯ. ვათეიშვილი მას თვლის „უბნობანის“ მეორე გამოცემად“³². ეს შეხედულება გაიზიარა შ. რატიანმაც, რომელიც აცხადებს: „რუსული ენის თვითმასწავლებელი“ არსებითად „შეკრება რუსულთა უბნობათა“-ს მე-2, გადამუშავებული გამოცემაა“³³.

ახლა მოვუსმინოთ ნ. ჩუბინაშვილის ბიოგრაფს ა. ცაგარელს, რომელსაც მის შესახებ ხელთ ჰქონდა უამრავი დოკუმენტი. სინოდის ობერპროკურორ გოლიცინისათვის 1827 წელს ნ. ჩუბინაშვილს მიუმართავს განცხადებით, რომელშიც ის წერდა: საქართველოს ეგზარქოსის დავალებით მე შევადგინე რუსულ-ქართული სასაუბრო, ხოლო ჩემმა ძმამ იასემ — ქართული გრამატიკაო, წიგნები თბილისში დაიბეჭდა და ჰონორარიც მივიღეთო. ეს სახელმძღვანელოები მეორეჯერაც (1826 წ.) დაიბეჭდა მოსკოვში და გთხოვთ გაცეთ განკარგულება, რათა წიგნებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი ჩემს ძმისწვილებს დავითსა და ევგენის მიეცესო“³⁴.

მაშასადამე, „უბნობანი“ პირველად 1819 წელს გამოსულა, მეორედ კი 1826 წელს. ამას წერს თვით ნ. ჩუბინაშვილი და შეცდომა გამორიცხებულია. თუ ეს ასეა, 1821 წელს დაბეჭდილი „თვითმასწავლებელი“ არ ყოფილა „უბნობათა“ მეორე გამოცემა.

30 შ. რატიანი. დასახ. წერილი, გვ. 211.

31 იქვე, გვ. 215.

32 Д. Ватейшвили. Русская общественная мысль и печать на Кавказе, М., 1973, стр. 107.

33 შ. რატიანი. დასახ. წერილი, გვ. 215.

34 А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, выпуск III, 1894, стр. LX.

დაეუშვათ, რომ ეს საბუთი ანგარიშგასაწევი არ არის, და სხვა მხრივ წარმართოთ კვლევა, შევუპირისპიროთ ერთმანეთს 1819 წლის „უბნობანი“ და 1820—1821 წლების მიჯნაზე გამოსული „თვითმასწავლებელი“. ეს უკანასკნელი ნამდვილად ეყრდნობა „უბნობანს“. უფრო მეტიც, მის მასალას იყენებს, მაგრამ რამდენადმე ემიჯნება კიდევ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ განსხვავებებმა, რომლებიც ამ ორ წიგნს შორის იგრძნობა. დავიმოწმებთ ერთი და იმავე ფრაზების განსხვავებულ თარგმანებს:

	„უბნობანი“:	„თვითმასწავლებელი“:
Пасмурная погода	მოდრუბლული ტაროსია (გვ. 60)	მოდრუბლული დღეა (გვ. 10)
Сырая погода	ნოტიო ტაროსია (გვ. 60)	ნოტიო ჰაერია (გვ. 10)
Весьма нездоровая погода	ძრიელ მაწყინარი ტაროსია (გვ. 63)	ძლიერ მაწყინარი ჰაერია (გვ. 10)
Дай белые салфетки	მაიტა თეთრი კელსახოცები (გვ. 118)	მაიტა თეთრი სალფეტკები (გვ. 18)
Стол уже накрыт	სტოლი კიდევ გაშლილია (გვ. 119)	სტოლი კიდევ დადგმულია (გვ. 19)
Покорнейше благодарим за хлеб, за соль	უმორჩილესად გმადლობთ პურ მარილისათვის (გვ. 124)	უმდაბლესად გმადლობთ პურმარილისათვის (გვ. 21)
Дайте нам вина хорошего	მოგვართვით ჩვენ კარგის ღვინისა (გვ. 141)	მოგვიტანე ჩვენ კარგის ღვინისა (გვ. 23)
Сними со свечи	მოუღუნე სანთელს (გვ. 144)	სანთელს ცხვირი მოსჭერ (გვ. 24).

ორივე წიგნს დართული აქვს ლექსიკონი და ზოგიერთი სიტყვა აქაც განსხვავებულად არის თარგმნილი. მოვიყვანოთ ორიოდ მაგალითი:

	„უბნობანი“:	„თვითმასწავლებელი“:
Рюмка	სირჩა (გვ. 150)	რუმკა (გვ. 29)
Пол	იატაკი (გვ. 157)	პოლი (გვ. 31).

განა დასაჯერებელია, რომ ნ. ჩუბინაშვილმა 1819 წელს სწორად თარგმნა ეს სიტყვები, ხოლო 1820 წელს მცდარად? ან იქნებ თვალსაზრისი შეიცვალა? ეს გამორიცხებულია, რადგან „უბნობანის“ მეორე გამოცემაში (1826 წ.) ჩვენ მიერ ციტირებული ყველა მაგალითი უცვლელად არის დატოვებული. უფრო მეტიც, ზოგიერთი ფრაზა „თვითმასწავლებელში“ უკეთესადაც კია თარგმნილი, ვიდ-

რე „უბნობანში“, მაგრამ ნ. ჩუბინაშვილი არ ცნობს ამ გასწორებებს და წიგნის მეორე გამოცემაში ხელუხლებლად ტოვებს წიგნის პირველი გამოცემის ტექსტს. მაგალითები:

„უბნობანი“: „თვითმასწავლებელი“:

Делаете ли вы движение?	ხომ ეწყობით მოძრაობას? (გვ. 104)	ხომ მოძრაობთ? (გვ. 13)
У нас самый простой обед	ჩვენ გვაქვს თუთ დაბალი (გვ. 117)	მე მაქვს უბრალო სადილი (გვ. 16).

ხაზგასასმელია შემდეგიც: „უბნობანში“ და „თვითმასწავლებელში“ ერთი და იმავე სიტყვების ორთოგრაფია განსხვავებულია. მაგალითები:

„უბნობანი“: „თვითმასწავლებელი“:

თქვენ ძალიან გამხდარი ლები გაქუსთ (გვ. 9).	მაგალითად	თვალეზი გაქუსთ (გვ. 1).
მე თვითონ არ ვიცი (გვ. 9).		მე თვითონ არ ვიცი (გვ. 1).
წვამ, წვამა მოდის (გვ. 60).		წვიმს, წვიმა მოდის (გვ. 10).

ამჯერად არსებითი ის კი არ არის, თუ რამდენად ზედმიწევნით იცავს ნ. ჩუბინაშვილი მართლწერას (გადახრები ნამდვილად გვხვდება), არამედ ის, თუ რამდენად განსხვავდებიან ამ მხრივ ერთმანეთისაგან „უბნობანი“ და „თვითმასწავლებელი“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „თვითმასწავლებელში“ ბევრი კორექტურული შეცდომაა. არცთუ იშვიათად თავებიც არ არის შესაფერისად გამიჯნული (მაგალითად, წინა თავიდან მომდევნოში გადმოდის თემატურად განსხვავებული ორი-სამი ფრაზა და ა. შ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ „თვითმასწავლებელზე“ ნ. ჩუბინაშვილის გულმოდგინედ მუშაობის რაიმე კვალი არ ჩანს და, საერთოდ, ამ წიგნს მისი ხელი არ ეტყობა.

როგორც ვხედავთ, შ. რატიანის მეორე საბუთიც საეჭვო ხდება.

დასასრულს ერთ გარემოებაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. შ. რატიანი წერს, რომ გაზეთს ორი მთარგმნელი უნდა ჰყოლოდაო: „ერთი — ვიდრე ეწოდებოდა „საქართველოს გაზეთი“, ხოლო მეორე, როცა სახელწოდება „საქართველოს გაზეთი“ შეიკვალა სახელწოდებით — „ქართული გაზეთი“³⁵. აქედან გამომდინარეობს, რომ 1821 წლის მეთორმეტე ნომრის მთარგმელადაც ნ. ჩუბინაშვილი უნდა მივიჩნიოთ. ეს კი შეუძლებელია. განა ისეთი

35 შ. რატიანი. დასახ. წერილი, გვ. 211.

ბრწყინვალე მთარგმნელი, როგორც ნ. ჩუბინაშვილი იყო, ერთსა და იმავე გვერდზე იხმარდა შემდეგ ფორმებს: „მინგრელია“^{არქივის} „მინგრელო“, ან კიდევ, განა ის დაწერდა: „ლორდქიფანიძე“, „ჩიკოანი“, „ჩუმბურაძე“ და მისთანათ? ^{გვ. 111-112} 36.

ეს ფაქტები პირდაპირ ღალატებენ, რომ ნ. ჩუბინაშვილი არ არის 1821 წლის მეთორმეტე ნომრის მთარგმნელი.

ამრიგად, პირველი ქართული გაზეთის რედაქციის შემადგენლობა და მთარგმნელთა ვინაობა კვლავ ბურუსითაა მოცული. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შეიძლება არ იზიარებდნენ მეცნიერის ვარაუდს, მაგრამ ეს ჩრდილს როდი აყენებს მის პრესტიჟს. შ. რატიანის სწრაფვა უთუოდ მხარდასაჭერია. კვლევა უნდა გაგრძელდეს.

თეიოშრაჲ დიდამიოზილი, გიორგი ჯავახიშვილი

ზოგირთი ჟურნალისტური ცნების მართებული გაგებისათვის

ცხოვრების მძაფრი განვითარება ჟურნალისტთა წინაშე ახალ-ახალ პრობლემებს აყენებს. მკითხველმა — კომუნისტური საზოგადოების აქტიურმა მშენებელმა — დღეს გაცილებით მეტი იცის, ვიდრე გუშინ იცოდა. იზრდება მისი ინტერესები და მოთხოვნილებები. მას სურს იცოს იმ მოვლენათა კურსში, რომლებიც ხდება როგორც მის ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც. ვ. ი. ლენინი წერდა: «Наше государство сильно сознательностью масс. Оно сильно тогда, когда массы все знают, обо всем могут судить и идут на все сознательно»¹.

დრო, რომელიც სწრაფად მიედინება და მაქსიმალურად გადატვირთულია სხვადასხვაგვარი ინფორმაციით, უკუაგდებს მოსაუბრესთან — მკითხველთან დიდაქტიკური მიდგომის წინანდელ პრინციპებს. თვით ცნება თანამოსაუბრისა უკვე ვარაუდობს მკითხველის იმ მოთხოვნას, რომ მასთან თანასწორუფლებიან საუბარს უნდა ეწეოდნენ. მიუხედავად ამისა, მკითხველი მაინც რჩება რეციპიენტად, — ინფორმაციის მიმღებად.

პუბლიცისტიკის ძირითადი სოციალური დანიშნულება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაა². ამ დებულებაზე ყურადღების გამახვილებამ აზრთა სხვადასხვაობაც კი გამოიწვია პუბლიცისტიკის თეორიაში, თუმცა იგი პრინციპულად ახალ სრულიად არ არის. ჯერ კიდევ 1850 წელს კ. მარქსი და ფ. ენგელსი პუბლიცისტიკას ყველაზე მარჯვე სფეროდ მიიჩნევდნენ საიმისოდ, რომ «Оказывать постоянное и глубокое влияние на общественное мнение»³.

¹ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 35, стр. 21.

² Е. П. Прохоров. Публицистика в жизни общества, м., 1968, стр. 6.

³ К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., изд. 2, т. 7, стр. 546.

ყოველგვარ საზოგადოებას ესაჭიროება ინფორმაციისა და პროპაგანდის ისეთი საშუალებანი, რომლებიც სახელმწიფო აპარატს დახმარებას გაუწევენ გაავრცელოს თავისი გავლენა ხალხის თოეს მასებზე. სოციალისტურ საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი ეხმარებიან პარტიას მიიზიდოს მშრომელები კომუნისტურ მშენებლობაში შეგნებული მონაწილეობისათვის, აღზარდოს ისინი კომუნისტური მსოფლმხედველობით, მოახდინოს ახალი ადამიანის ფორმირება.

სოციალისტურ მშენებლობაში პრესის აქტიური მონაწილეობის ტრადიციებს ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში ჩაეყარა საფუძველი. თანამედროვე პუბლიცისტიკა ღირსეულად და ეპოქის შესატყვისად განაგრძობს ამ ტრადიციებს, სრულად ასახავს ჩვენი ხალხის შრომით გმირობას. მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე მრავალი ისეთი მეტად საჭირო რუბრიკა, როგორცაა, მაგალითად, „ახალგაზრდობა და ხუთწლელი“, „ადამიანი და მისი საქმენი“ და სხვ.

პუბლიცისტიკა ყოველთვის დგას იდეოლოგიური მუშაობის წინა ხაზზე. იგი უნივერსალურია იმ გაგებით, რომ ედრთდროულად წარმოდგენს როგორც აგიტაციის, ასევე პროპაგანდის საშუალებას. მისი მხედველობის არეში მოქცეულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე: პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა, მორალი და ა. შ.

ადამიანის სულიერ მოთხოვნილებად გადაიქცა თუნდაც მინიმალური, დილექტანტური კომპეტენტურობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. როგორც ე. პრონინი შენიშნავს, „თანამედროვე ადამიანისათვის რაიმე საკითხის, მოვლენის ცოდნა-არცოდნა არის საკითხი თავისი პიროვნების სრულფასოვნად ან არასრულფასოვნად აღქმისა“⁴.

ჟურნალისტების უმთავრესი ამოცანაა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რაც მრავალფეროვან რთულ პრობლემებთან და საზოგადოებრივ მექანიზმთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამჟერად ჩვენ მიზნად ვისახავთ შესაძლებლობისდაგვარად განვიხილოთ ცნებები „საზოგადოებრივი აზრი“ და „მკითხველის ინტერესი“, რომელთაღმი დაინტერესებას იჩენენ სხვადასხვა სპეციალობათა წარმომადგენლები. ეს ინტერესი, პირველ ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ ჯერჯერობით არა გვაქვს მათი არსის დამაჯერებელი განმარტება.

⁴ Е. И. Пронин. Печать и общественное мнение, М., 1971, стр. 15.

მკითხველი მიზანმართული ზემოქმედების ობიექტია; პარტიის წარმართავს ინფორმაციის საშუალებათა მუშაობას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის მეთოდები უზრუნველყოფენ მკითხველთა (მსმენელთა) ინფორმირებას. იქმნება დამაკავშირებელი ჯაჭვი: პარტია (მთავრობა) — მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი — მკითხველი (მსმენელი). ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ამ ჯაჭვის ერთი რგოლი, კერძოდ, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი — მსმენელი (მკითხველი). ბევრი სოციოლოგი და ჟურნალისტიკის თეორეტიკოსი ასე განმარტავს ამ რგოლს: „მასობრივი ინფორმაცია, პროპაგანდა — საზოგადოებრივი აზრი“.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის სისტემა ერთიანი კომუნიკაციური სისტემაა. იგი ეყრდნობა მართვის მეცნიერულ პრინციპებს და ემსახურება ერთადერთ მიზანდასახულობას — გეგმაზომიერად, სისტემატურად იქონიოს ზეგავლენა მასობრივ აუდიტორიაზე, გაავრცელოს და განამტკიცოს კლასობრივი იდეოლოგია. ჟურნალისტიკური ინფორმაცია (სისტემის ფუძე) გამტარებელია აზრებისა, რომლებსაც „ნებაყოფლობით იზიარებენ ერთიანი სოციალური ინტერესებით განმტკიცებული საზოგადოების წევრები“⁵.

აღსანიშნავია ამ სისტემის კიდევ ერთი თვისება — მისი „შემეცნებითი ენერგია“⁶. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი გვაწვდის ცოდნას საგნებზე, მოვლენებზე, ადამიანებზე. დამაკავშირებელი რგოლის როლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აკისრებს იმას, რომ მიაწოდოს ხალხს პარტიისა და მთავრობის ღირებულებები, დადგენილებები და სხვა. სწორედ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი წარმოადგენენ საბჭოური ცხოვრების საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ რეგულატორს.

ქვეშარიტი ჟურნალისტი, რომელსაც ნათლად აქვს წარმოდგენილი თავისი სოციალური დანიშნულება, ესმის თავისი მკითხველის სურვილები და უნარი შესწევს უხელმძღვანელოს საზოგადოებრივი აზრის საჭირო კალაპოტში ჩაყენებას, ყოველთვის ჭეშორონად გაართმევს თავს მის უმთავრეს მოვალეობას: „მარქსიზ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, შეურიგებელ შეტევით ბრძოლას ბურჟუაზი-

5 Р. А. Борецкий. Проблемы информации в печати, М., 1971, стр. 281.

6 М. С. Черепахов. Проблемы информации в печати, М., 1966, стр. 93—94.

ული და რევიზიონისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ“⁷. რაღა თქმა უნდა, მთავარი ფაქტორთაგანია წერის უნარიც. «Брать нелитераторов (в журналистику) я считаю прямо развратом и неоправданным перед партией делом»,⁸ — აღნიშნავდა ლენინი.

ბეჭდვითი სიტყვის წინაშე მდგარი ახალი პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალი ჟურნალისტების ძალით შეუძლებელია. ნებისმიერი გაზეთის ზემოქმედების, მისი გამოსვლების კომპეტენტურობის და, საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვის ეფექტიანობის ზრდა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რაოდენ ფართო და მყარია მისი კავშირი მკითხველთან, ვინ არიან მის მიერ მოწვეული ავტორები, — აქტივი და რამდენად სისხლსავსედ და ზუსტად გამოსახავს იგი საზოგადოებრივ აზრს.

ჟურნალისტური საშუალებანი და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება უწყვეტ დიალექტიკურ კავშირში არიან ურთიერთთან. ამ ცნობილი ფაქტის შესახებ ლაპარაკი იმიტომ არის საჭირო, რომ, როგორც უკვე შენიშნულია, მათი დიალექტიკური ურთიერთკავშირი ხშირად ჯეროვნად არ არის შეფასებული. ზოგიერთი მკვლევარის ინტერესი და ყურადღება გამახვილებულია მარტოოდენ ფორმებზე, პირობებზე, აუდიტორიაზე, მასების შეგნებაზე ზემოქმედების მეთოდებზე. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა იყო და რჩება საერთო პარტიულ-სახალხო ტრიბუნად, მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცების, მათი პრაქტიკული გამოცდილების შესწავლის ერთ-ერთ იარაღად, სახელმწიფო, საზოგადოებრივი საქმეების, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, მართვაში მასების სულ უფრო ფართოდ ჩასაბმელ საშუალებად⁹.

შევეცადოთ გავერკვეთ საზოგადოებრივი აზრის წარმოქმნის მექანიზმში. გამოვდივართ ფორმულიდან: ინფორმაციის საშუალებათა კომპლექსი — ინფორმაციის პროცესი — მასებზე ზემოქმედება (აზრის ფორმირება).

საზოგადოებრივი აზრი სოციოლოგიას გამოყავს საზოგადოებრივი შეგნების სტრუქტურრიდან. ე. პრონინის თქმით, „ძნელად თუ შეიძლება საზოგადოებრივი აზრის მიკუთვნება საზოგადოებრივი შეგნების რომელიმე ფორმისათვის“¹⁰; იგი საზოგადოებრივი აზრის თვითშეგნებასთან გაიგივების წინააღმდეგია. მაგრამ თითქმის საპი-

⁷ სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 256.

⁸ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 44, стр. 169.

⁹ Г. М. Кондратенко. Идеино-теоретическая основа газетного поиска, «Вестник МГУ», серия XI (журналистика), 1972, № 2, стр. 10—11.

რისპირო შეხედულებას გვთავაზობს ა. ულედოვი¹¹, რომლის პროგნოზისადაც ჩვენ არ ვიზიარებთ. თუკი არის რაიმე კავშირი მასობრივ შეგნებასა და აზრს შორის, მხოლოდ ის, თუ როგორ მოქმედებს ერთი მეორეზე. საზოგადოებრივ აზრში, გარდა შეგნების ამორჩევი ელემენტებისა (მომხმარებელთა მოთხოვნა, მკითხველთა ინტერესები, პროფესიული ორიენტაცია, ასაკობრივი თავისებურება), ვლინდება ადამიანთა სოციალური დამოკიდებულება მათი სულიერი და მატერიალური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი. სწორედ ეს არის „არსებითი ნიშანი მისი ფუნქციონირებისა, როგორც სოციალური მართვის ფაქტორისა“¹². საზოგადოებრივი აზრისა და მასობრივი ინფორმაციის არხებს შორის თანამოქმედებისას, კომუნიკატორის თვალსაზრისით, მთავარია საზოგადოებრივი აზრის მისთვის საჭირო მიმართულებით მიმართვის ანუ პროპაგანდის ფორმირების ფუნქცია¹³. საინტერესოა რ. ბორეცკის მიერ კომუნიკაციის როგორც თანმიმდევრული პროცესის გარკვეული სქემით გამოსახვა: ობიექტური სამყარო (ბუნება, საზოგადოება) რეალურ კლასობრივ სტრუქტურაში როგორც სიგნალების მატარებელი—საზოგადოებრივი აზრი როგორც ასიმილატორი—იდეოლოგია, როგორც საზოგადოებრივი შეგნების სფერო, გამორჩევის შედეგი—კომუნიკატორი, რომელიც თავისი იდეური და პარტიული პოზიციის შესაბამისად არჩევს, აყალიბებს და აფორმებს მიღებულ ცნობათა ნაკადს—არხი, როგორც ფაქტორი ინფორმაციის სპეციფიური მიწოდებისა, მისი ჩამოყალიბებისა და, ამას გარდა, აუდიტორიის დიფერენციაციისა—არხით ინფორმაციის სვლა—რეციფიენტი¹⁴.

ამ სქემის გაზეთისადმი დაქვემდებარებით მივიღებთ შემდეგს: მკითხველმა იცის ცხოვრება, აღიქვამს მას (სუბიექტურად), მას ყველაფერზე თავისი აზრი აქვს, თავისი პოზიციიდან უდგება ამა თუ იმ ცნობის გამორჩევას. და თუ ყურნალისტი კარგად, მარჯვედ შეადგენს და მიაწვდის მას ტექსტს, მაშინ მკითხველი აღიქვამს იმ ინფორმაციასაც, რომელსაც უხეიროდ შედგენის შემთხვევაში გამოტოვებდა.

რ. ბორეცკის ეს სქემა არ ტოვებს ადგილს საკუთრივ „საზოგა-

¹⁰ Е. И. Пронин. Печать и общественное мнение, М., 1971, стр. 108.

¹¹ А. К. Уледов. Общественное мнение советского общества, М., 1963, стр. 102.

¹² А. И. Прокожин. Методологические проблемы исследования общественного мнения, «Вопросы философии», 1969, № 2, стр. 66.

¹³ См. указ. статью Р. Борещкого, стр. 290.

¹⁴ См. указ. статью Р. Борещкого, стр. 309.

დღებრივი აზრისათვის“, არ გვიჩვენებს, როდის ყალიბდება გაზეთის მიერ საზოგადოებრივი აზრი, არ უპასუხებს კითხვებზე: „ჩვენს თუ არა გაზეთი რაიმე ახალს საზოგადოებრივ აზრში, მკითხველს მოქმედებაში? მიჰყავს თუ არა მკითხველი სოციალური არსებობის იმ გზებით, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მიერ არის დასახული? თუ იგი თვითონ მიჰყვება მკითხველს, რომელმაც ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის და ყველაფრის შესახებ აქვს თავისი აზრი? რ. ბორეცკის ამ სქემის გაურკვევლობას ვერ შველის იმის მტკიცება, რომ არსებობს „უკუკავშირი“ (ანუ ჯაჭვი: მკითხველი — გაზეთი), რადგან საზოგადოებრივი აზრის ცნების არსის გაგება მასში მაინც ღიად რჩება.

ამ ცნების ჭეშმარიტი არსი იმალება მართვის უსაზღვროდ მართვ ფორმულირებაში: სწრაფვა—ჩამოაყალიბოს აუდიტორიის შეგნება მისი დონის გათვალისწინებით და მასზე სხვა წყაროების ზემოქმედების ცოდნით. ხოლო მართვა მთლიანად დამოკიდებულია კომუნიკაციური კავშირის საწყისი პოზიციისაგან (გაზეთი-მკითხველი); როგორც იქნება მასობრივი ინფორმაციის და პროპაგანდის ამ საშუალების ფუნქციონირება, ისეთივე იქნება კომუნიკაციური ექო—საზოგადოებრივი (მკითხველთა) აზრი.

მასობრივ მკითხველზე გაზეთის ზემოქმედების ფორმებისა და მეთოდების შესწავლისას, ჩვენი აზრით, საჭიროა დიდი ყურადღება დაეთმოს მკითხველთა ინტერესებს.

გაზეთის ყველა ნომერში მოთავსებული უამრავი ინფორმაციიდან მკითხველი, რა თქმა უნდა, ყველაფერს არ კითხულობს, ბევრ მათგანს უყურადღებოდ ტოვებს. ამასთან ერთად, საბჭოთა ჟურნალისტიკის უმთავრესი ამოცანა ისაა, რომ შეუქმნას მკითხველს მყარი ინტერესი სწორედ იმ ინფორმაციისადმი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს ძირითადი მიზანი, — მოხდეს პიროვნების ორიენტირება საზოგადოებისათვის საჭირო მიმართულებით. ამაშია ბეჭდვითი სიტყვის ეფექტურობის არსი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ინტერესი“ ასეა განმარტებული: „1. რისამე ვაგების, გაცნობის, შესწავლის სურვილი; 2. მიზანი, მისწრაფება, მოთხოვნილება“ (ტომი IV, 1955, გვ. 756).

„ინტერესი“ როგორც კატეგორია, საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ეკონომისტებისა და ფსიქოლოგების მიერ, უფრო ნაკლებად კი — ჟურნალისტიკის თეორეტიკოსთა მიერ.

ამ უკანასკნელთაგან „ინტერესი“ როგორც კატეგორია, შეიძ-

ლება ითქვას, ყველაზე საფუძვლიანად ე. პრონინს აქვს შესწავლილი. მისი შეხედულებით, „ინტერესი“ ყოველთვის თავსდება სუბიექტურსა და ობიექტურს შორის არსებულ მიჯნაზე. ის არის ინტერესი, რომელიც სუბიექტურისა და ობიექტურის და ამიტომ ყოველთვის რჩება ადამიანის მოქმედების ღრმა რეგულატორად მის ყოველგვარ გამოვლინებაში“¹⁵.

სოციოლოგი ა. ზღრავომისლოვი „ინტერესის“ სტრუქტურაში გამოყოფს ოთხ ძირითად მომენტს: 1. სუბიექტის სოციალური მდგომარეობა, 2. მდგომარეობის აღქმის დონე, 3. ინტერესის საფუძვლით განსაზღვრული ობიექტისადმი მიმართული მოქმედების მოტივები, 4. მოქმედება, რომელიც თვითონ წარმოადგენს სუბიექტის განმტკიცებას, მის დამკვიდრებას ობიექტურ სამყაროში¹⁶. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ინტერესის“ არსს შეადგენს, პირველ ყოვლისა, სუბიექტის მიერ თავისი მდგომარეობის, მოთხოვნილებათა, და მათი დაკმაყოფილების საშუალებების შეგნების ხარისხი, სუბიექტისადმი მიმართული საინფორმაციო ზეგავლენა. ინდივიდს, რა თქმა უნდა, შეუძლია ამოიჩიოს ან უკუაგდოს ესა თუ ის ინფორმაცია, მაგრამ ინფორმაციის აღქმის არჩევითობა, ძირითადად, განისაზღვრება ინდივიდის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა და სოციალური გამოცდილების დადგენისას მიღებული შესწორებებით, ანუ იმ თვისებებით, რომლებითაც ი. პავლოვი განმარტავდა ინტერესს, — როგორც ტვინის ქერქის ქმედითი მდგომარეობის მატონირებელს, გამომწვევს.

„ინტერესის“, როგორც კატეგორიის შესახებ, მსჯელობისას ჩვენთვის აუცილებელია ნათლად განვსაზღვროთ „მკითხველის ინტერესის“ ცნება. ფაქტურად „მკითხველის ინტერესი“, ე. პრონინის თქმით, მხოლოდ კერძო გამოვლინებაა სუბიექტის შინაგანი აქტიურობისა ძიებისას, აღქმისას და ინფორმაციის გადამუშავებისას. ის წარმოადგენს აღქმის არჩევითი ხასიათის და ადამიანის მიერ ინფორმაციის შეთვისების ქმედით გამოვლინებას. ამას გარდა, «Читательский интерес не может быть ни чем иным, как специфическим выражением установки, опосредующей взаимодействие мотива деятельности и объекта интереса»¹⁷. აქვე შევნიშნავთ, რომ „მკითხველის ინტერესი“ არ შეიძლება გავაიგივოთ

¹⁵ Е. И. Пронин. Печать и общественное мнение, М., стр. 57.

¹⁶ А. Г. Здравемыслов. Проблема интереса в социологической теории, Л—д, 1964, стр. 29—30.

¹⁷ Е. И. Пронин. Печать и общественное мнение, М., 1971, стр. 60, 61—62.

„საერთოდ ინტერესთან“. „მკითხველის ინტერესი“ ეფარდება მხოლოდ გაზეთს (ჟურნალს) და წარმოიქმნება მხოლოდ მის მიერ. მინ, როდესაც ინდივიდი იწყებს გაზეთის ნომრის გადათვალიერებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მკითხველის ინტერესი“ განსაზღვრული მხარეა „ინტერესის“ — როგორც კატეგორიისა, მთლიანის ერთი ნაწილია. ამ პოზიციებიდან სავსებით გასაგებია ე.პრონინის მტკიცება იმის შესახებ, რომ მკითხველის აზრი არის სპეციფიკური გამოსახვა მიზანდასახულობისა. ქართველი ფსიქოლოგი ი. ბჟალავა წერს, რომ — «Установка более широкое понятие, чем информация, установка без участия информации не формируется. Информация от установки получает упорядоченность»¹⁸. ამ დროს მეტადნდება „მკითხველის ინტერესის“ წმინდა ფსიქოლოგიური მექანიზმი მის უნარში სწრაფად დაკონცენტრირდეს ინტერესის ობიექტზე და შეინარჩუნოს აღქმის ინტენსიურობა.

ამ თეორიული მსჯელობიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: მკითხველის ინტერესის მართვა შესაძლებელია. რა თქმა უნდა, ეს მართვა ემყარება საკუთრივ ინტერესის საფუძვლებს (მნიშვნელოვანი, მიმზიდველი, საჭირო მოთხოვნილებანი). მაგრამ მისა რეგულირება შესაძლებელია, რასაც კიდევაც აღწევენ ჟურნალისტები.

კერძოდ, ჟურნალისტმა მიღებული ინფორმაცია სწორად უნდა წარუდგინოს მკითხველს და, ამასთანავე, აღუძრას მისდამი ინტერესი; ერთი შეხედვით არასაინტერესო ცნობით, ამბით მიწოდებულ მასალაში უნდა იგრძნობოდეს შემეცნებითი ინტერესი, რომლის მისაღწევად სხვადასხვა საშუალებები არსებობს: მიმზიდველი სახელწოდება, სათაური, საინტერესო დასაწყისი, ანდა „ახალი რამ ცნობილში“, რაც განსაკუთრებით იზიდავს მკითხველს. ამ მხრივ ძალიან მიზანშეწონილია გაზეთ „იზვესტიის“ რუბრიკა «Неизвестное из известном», რომელიც იზიდავს მკითხველის ყურადღებას, იწვევს მის მძაფრ ინტერესს, წარმოიქმნება გარკვეული ემოცია ჯერ კიდევ მასალის წაკითხვამდე.

პირადი აზრის გამოთქმელადაც, ამა თუ იმ მასალის მიწოდებით ჟურნალისტი თავისთავად ქმნის საზოგადოებრივ აზრს გარკვეულ დონეზე.

ბეჭდვითი სიტყვის ამა თუ იმ ორგანოს მუშაობის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია გამოქვეყნებული მასალების

¹⁸ И. Т. Б ж а л а в а. Психология установки и кибернетика, М., 1966, стр. 106.

ქმედითობა. დღევანდელი მკითხველი სოციალურად აქტიური
ცა პრობლემურ-კრიტიკულ მასალას გაეცნობა, იგი რამდენიმე
შემდეგ აუცილებლად დასვამს კითხვას: რა გაკეთდა გაზეთის
მოსვლის შემდეგ? გამოსწორდა თუ არა ის ნაკლოვანებები, რომელ-
თა შესახებაც იყო ლაპარაკი? თავის მხრივ, რედაქციის თანამშრომ-
ლები ამავე კითხვებით მიმართავენ იმ დაწესებულებათა ხელმძღვა-
ნელებს, რომლებზეც დამოკიდებულია სათანადო ზომების მიღება.
და აი, გაზეთის ფურცლებზე ჩნდება რუბრიკები: „თბილისის“ კრი-
ტიკა მიზანში“, «Газета—читатель—газета», «Официальный
ответ», «Правда» выступила, что сделано» და სხვა.

არცთუ ისე ხშირად მიიღება გაზეთის ყველა გამოსვლის გამო
სასწრაფო და ეფექტიანი ზომები. შენელებული რეაგირებისა და
მისი საერთოდ არარსებობის მიზეზები სხვადასხვაა. ზოგიერთ შემ-
თხვევაში ეს აშკარა უყურადღებობაა პრესის კრიტიკული გამოსვ-
ლებისადმი. ამის შესახებ სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ბრეჟ-
ნევმა თქვა: „სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან მუშაკები, რომ-
ლებიც სათანადოდ არ აფასებენ პრესის საზოგადოებრივ მნიშვნე-
ლობას. არიან ისეთები, რომლებსაც ეამებათ, როცა აქებენ ხოლმე,
მაგრამ არ იციან კრიტიკის მოსმენა და ამ კრიტიკიდან სწორი დასკ-
ვნების გამოტანა“¹⁹. მაგრამ ხდება ისიც, რომ პრობლემის სირთუ-
ლე თხოულობს მის ხანგრძლივ შესწავლას, კონსტრუქციული ზო-
მების გულმოდგინე დამუშავებას. არის თემები, რომელთა გადაწყ-
ვეტა სადირექტივო ორგანოების დადგენილებითა და განკარგულე-
ბებით შეუძლებელია. ეს თემები ადამიანის სულიერ ცხოვრებას
ეხება. ამ თემებზე დაწერილი მასალების განხილვისა და დისკუსიე-
ბის ეფექტიანობა განიზომება საზოგადოების ინტერესების თვალ-
საზრისით, მოწინავე შეხედულებათა დამკვიდრებით. მაგრამ იქ,
სადაც საზოგადოებრივი აზრი უკვე ჩამოყალიბდა და რაიმე გარ-
კვეთილი გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, გაზეთი ვალდებულია
იყოს მტკიცე, პრინციპული თავისი გამოსვლების ქმედითობისათვის
ბრძოლაში.

¹⁹ სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976, გვ. 107.

იოსებ ლორთქიფანიძე

ვის ეკუთვნის ფსევდონიმი — „სფირიდონ ჩიტორელიძის“?

ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ., №№ 5, 6, 7, 8) და გაზეთ „ივერიაში“ (1886 — 1890 წწ.) იბეჭდებოდა კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები სფირიდონ ჩიტორელიძის ხელმოწერით. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს ამ „საჭოჭმანო“ საკითხმა თავისი ლოგიკური დასასრული ჰპოვა, მაგრამ 60-იანი წლებიდან კვლავ დადგა დღის წესრიგში (იხ. ალ. კალანდაძე. „საქართველოს მოამბე“, 1963 წ.) და ამ ბოლო ხანს დისკუსიის საკითხი გახდა (იხ. დ. გამეზარდაშვილი. ილია ჭავჭავაძის ორი სადავო ფსევდონიმის შესახებ, „განთიადი“, 1977, № 3, გვ. 104 — 122; ალ. კალანდაძე. გავუფრთხილდეთ ძვირფას მემკვიდრეობას, „ლიტერატურული საქართველო“, 1977, № 35).

ავტორობის დადგენა-ატრიბუცია — ტექსტოლოგიის ერთ-ერთი მეტად რთული და, ამასთანავე, უაღრესად საინტერესო პრობლემათაგანია, რომლის მართებული გადაწყვეტა მრავალი საკითხის სკრუპულოზურ შესწავლას მოითხოვს.

ატრიბუცია ერთ-საერთო კანონზომიერებას ემსახურება. ის ემყარება დოკუმენტურ წყაროებს და მისი გადაწყვეტა წარმართება ორი მიმართულებით: ა. ავტორის განსაზღვრა, თუ ნაწარმოები ანონიმურია და ბ. დასაბუთება მიკუთვნებისა, თუ ნაწარმოები ფსევდონიმით ან კრიპტონიმით არის ხელმოწერილი. ვსწავლობთ რა ხერხებს, რომლებითაც მკვლევარები ცდილობენ ამა თუ იმ პირის ავტორობის დასაბუთებას, ისინი არსებითად დაიყვანება სამ კატეგორიამდე: 1. ატრიბუცია დოკუმენტური წყაროების საფუძველზე, 2. ატრიბუცია ნაწარმოების იდეური ანალიზის საფუძველზე (რომლის დროს ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებად გვევლინება რედაქტურა) და 3. ატრიბუცია ნაწარმოების

ენისა და სტილის საფუძველზე. სამივე კატეგორიის კომპლექსური გამოყენება წარმოადგენს ატრიბუციის უტყუარ საწინდარს. ამ ზოგადი თეორიული მითითებების გახსენება გამოიწვევა გარემოებამ, რომ ზოგჯერ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ესა თუ ის მკვლევარი აიკვირებს აზრს, რომ გინდა თუ არა ეს ნაწარმოები ამა და ამ მწერლის კუთვნილებათა და ყოველნაირად ცდილობს თავისი ამ მოსაზრების სხვებისათვის თავზე მოხვევას. მაგალითად, აკად. ვ. ს. ნეჩინა მრავალი წლის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ მოთხრობა — „კაცი სავსებით ჩვეულებრივი“ („ტელესკოპი“, 1833 წ.) ეკუთვნოდა ბესარიონ ბელინსკის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მოთხრობა, რომელიც ფსევდონიმით იყო გამოქვეყნებული ჟურნალში, 1836 წელს თავის მოთხრობების კრებულში ჰქონდა შეტანილი ალექსანდრე ტეპლიაკოვს (იხ. „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1951, № 63). „ძალმომრეობით ატრიბუციას“ ყოველთვის არასასურველი შედეგი მოაქვს. ამის მაგალითია მკვლევარ ალ. კალანდაძის ცდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ.) „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილების (ალ. კალანდაძის დახასიათებით, „ბრწყინვალე კრიტიკული ფელეტონების“) ავტორად მიიჩნიოს ილია ჭავჭავაძე. იგი არა ერთხელ და არა ერთ ადგილას დიდი მეცნიერული მონდობებით გვიმტკიცებს, რომ „1962 წელს ჩვენ დავადგინეთ, რომ ბრწყინვალე კრიტიკული ფელეტონები — „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ილია ჭავჭავაძისაა“. მისი ღრმა რწმენით „ყველას უფლება აქვს თავისი საკუთრება გულუხვად გასცეს, მაგრამ ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობა ეროვნული საუნჯეა, მისი გასაჩუქრების ნებას არავინ მოგვცემს“, — წერს აღშფოთებული მკვლევარი წერილში — „გავუფრთხილდეთ ძვირფას მემკვიდრეობას“. („ლიტერატურულ საქართველო“, 1977, № 35).

1927 წელს პავლე ინგოროყვამ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ეს წერილები ილია ჭავჭავაძისეულად მიიჩნია და ისინი მწერლის თხზულებათა პირველი ანთომეულის IV ტომში შეიტანა, მაგრამ საღი კრიტიკული აზრის წყალობითა და საკითხის კარგად მცოდნეთა (ი. გრიშაშვილი, ს. ხუნდაძე, ვ. ყიფიანი და სხვ.) საქმეში ჩარევით 1927 წელს დაშვებული შეცდომა გამოსწორებულ იქნა.

ჩიტორელიძის ვინაობის დასადგენად პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გაზეთ „ივერიის“ 1891 წლის ხუთი და ათი მარტის ნომრებში (№№ 48 და 53) გამოქვეყნებულ ნეკროლოგებს, რის გამოც საჭიროდ მივიჩნიეთ, მათი სრული სახით მოტანა.

1891 წლის ხუთ მარტს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში („მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი“) იკითხება:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სიკვდილი აღარ გვეშვება და თითო-თითოდ გვაკლებს რჩეულს შვილებს. ამ ხანად კიდევ მოგვტაცა ერთი ასეთი მამულიშვილი. ორ მარტს ვარდაიცვალა კავკავში მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, გამგებელი გამოჩენის საქმისა თერგის მხარეში.

დიდი დანაქარგია ჩვენთვის მისი დაქარგვა. განსვენებული მიხეილ ზაალის ძის ხანგრძლივმა სიცოცხლემ სამშობლო ქვეყნის ზრუნვასა და მისთვის გულმტკიანეულობაში განვლო. მიხეილ ზაალის ძე იყო სული და გული კავკავში დაარსებულის ქართული სკოლისა. ამ ბოლო დროს საქართველოდან შორს იყო, მაგრამ სული მისი მაინც ჩვენ შორის ტრიალებდა, ზრუნვა მისი ჩვენს ქვეყანას არ შორდებოდა.

მოღვაწეობა მიხეილ ზაალის ძისა დაიწყო ამ 30 წლის წინათ და მას უკან აღარ შეწყვეტილა სიკვდილამდე. სწორედ სიკვდილამდე არ დაუტოვებია განსვენებულს ზრუნვა და ფიქრი იმ ქვეყნისათვის, რომლის შვილიც იყო და რომელმაც მიანიჭა სიცოცხლე.

და აი, როცა მისი სული განძლიერდა, გონება გამოიცადა, ცოდნით მოირთო და დაბრძენდა, ნატვრა-სურვილი საზოგადო სიკეთისა განუმტკიცდა და განსვენებულმა მიაღწია იმ ხანს, როცა კაცისათვის ბევრად უფრო ადვილია ყოველი თავისი კეთილი და ქვეყნისათვის გამოსადეგი ფიქრი შეასრულოს, როცა მოძმენი და თანამედროვენი გულნდობით შესცქეროდნენ იმის ჰკვიანსა და გონიერსახეს, იმის ჭაღარა შერეულს თმასა და წვერს, და მრავალს სიკეთეს კიდევ მოელოდნენ მისგან, სწორედ მაშინ იმსხვერპლა სიკვდილმა ეს ჩვენ მიერ ძნელად გასამეტებელი და ძნელად დასათმობი კაცი, ჩვენი ძვირფასი მიხეილ ზაალის ძე.

სიკვდილმა სწორედ იმ დროს გამოგვაცალა ხელიდამ ეს დაუღალავი მუშაკი, როცა განსვენებული დიდის მხნეობითა და ხალისით ზრუნავდა საზოგადო საქმისათვის. სიკვდილამდე სულ რამდენიმე დღის წინ მოუვიდა იმის წიგნი ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომელსაც ატყობინებდა, რომ სტუდენტური დაწესებულების სკოლის გამართვასაო იქაურ ყმაწვილებისათვის, თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხვეწილი. ჯერ დღესაც იბეჭდება ტფილისში და ამ მოკლე ხანში მზად იქნება განსვენებულის ქართული სახელმძღვანელო გეომეტრიისა, რომელიც შეიცავს სტერეომეტრიას, მცირე გეოდეზიას და ტრიგონომეტრიას. უკანასკნელ ხანებში განსვენებული სცდილობდა ლოგარითმების დაბეჭდვას კავკავში და უზრუნველყოფას იმ სკოლისას, რომელიც თავისი მეოხებით დააარსა იქაურ ქართველ ყმაწვილებისათვის და რომლისთვისაც 400 თუმანამდე თანხა შეადგინა ფულად.

ჩამოვთვალოდ მოკლედ ნაღვაწი და ნაჭირნახულები განსვენებულისა.

1862 წელს მიხეილ ზაალის ძემ ბ-ნ ვ. თულაშვილთან ერთად შეადგინა და დაბეჭდა პირველად პირველი ქართული არეთმეტიკა; 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა წერილები ჩიტორელიძის (დაყოფა „ივერიის“ რედაქციისაა — ი. ლ.) სახელით ხელმოწერილი, თარგმნა ლერმონტოვის მოთხრობა — „გმირი ჩვენი დროისა“ და ზოგიერთი წერილები ბელინსკისა. 1864 წელს შეადგინა სტ. მელიქოვის სტამბისათვის ეგრედწოდებული

ვენის შრიფტი, რომლითაცვე იბეჭდება ეს წერილი*. 1865—66 წწ. სთავგანმანათლებელი და დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ ტრავედია შექსპირისა „იულიუს ცეზარისა“ შუადგინა საქართველოს რუკა ხუთ ვერსიანის მასშტაბისა.

1870 წლიდამ მიხეილ ზაალის ძე მიეცა ზრუნვას სამათემატიკო სახელმძღვანელოების შედგენისას ქართულად. განსვენებულმა ბევრი შრომა გასწია სამათემატიკო ტერმინების მოსაზრებლად. ამ აზრით გადაათვალიერა, თუ რამ სამათემატიკო შინაარსის ძველი ხელნაწერები მოიპოვებოდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავში და იქილამ ამოკრიბა გამოსადეგი ტერმინები. ამ შრომის ნაყოფი იყო ვრცელი ქართული არეთმეტიკა, რომელიც დაიბეჭდა ტფილისს 1886 წელს. იმ წელსვე შეადგინა რუკა ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და შემოსწირა გაზეთ „ივერიას“ ხელისმომწერთათვის დასარიგებლად. 1887 წელს დაიბეჭდა ქართულად გეომეტრიის პირველი ნაწილი, პლანიმეტრია და ეხლა იბეჭდება, როგორც ზემოთაც მოვახსენეთ, მეორე ნაწილი გეომეტრიისა, გეოდეზია-ტრიგონომეტრიითურთ. 1886 წლიდამ იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში მისი წერილები თადეოზთან, ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა საქირბოროტო საგნების შესახებ, ზემოხსენებული ფსევდონიმიტვე* (დაყოფა ჩვენია — ი. ლ.) ხელმოწერილები.

შარშან განსვენებულის ყურადღება მიიქცია ჩვენს შორის ვაჭრობისა და მრეწველობის ფრთაგაუშლელობამ, ეკონომიურმა უღონობამ. ვაჭრობისა და მრეწველობის გასაძლიერებლად და აგრეთვე მათ რიგიანად წარმოებისათვის განსვენებულმა განიზრახა დაეარსა ტფილისში დიდის ქართველთა საქციონერო სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოება, პროექტი წესდებისა თვით შეადგინა ბ-ნ მაჭავარიანთან ერთად და შარშან დაჰბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ბევრი რამ კეთილი ფიქრი და აზრი კიდევ სხვა ჰქონდა განსვენებულს თავისი ქვეყნის სასარგებლოდ, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა საქმედ გადაეჭცია და განეხორციელებინა. ყოველივე ეს ფიქრი და აზრი თან წაიღო საფლავში და დასტოვა ობლად და მგლოვიარედ იქ თავის დიდად ნამაგვეი კავკავის ქართული სკოლა და აქ ის მცირე დასი ქართველ მოღვაწეთა, რომლის მხნე და დაუღალავი წევრი იყო განსვენებული.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

გ—გ“.

კითხულობ ამ ნეკროლოგს, რომლის ავტორად ზოგიერთს გრიგოლ ყიფშიძე მიაჩნია, და გებადება აზრი, რამ უნდა გაიძულოს მკვლევარი, რომ არ ირწმუნო, არ გაიზიარო მასში რედაქციის მიერ ხაზგასმული და საგულდაგულოდ განმეორებული მტკიცება, რომ 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ ჩიტორელი ი-

* ეს არის შემთხვევითი დეტალი, რომელსაც ატრიბუციის დროს შეუძლია გადამწვევტი სიტყვა თქვას. რედაქტორს — ილია ჭავჭავაძეს — სპეციალურად მიხეილ ყიფიანისეული ვენური შრიფტით აუწყია და დაუბეჭდავს ნეკროლოგი. აი, რა წვრილმანები ააშკარავენ ზოგჯერ უსაფუძვლო მტკიცებებს, ცალკეულ მკვლევართა აკვირებებს — ი. ლ.

* ნეკროლოგში მახვილდება ყურადღება იმაზე, რომ ჩიტორელიძე მ. ზ. ყიფიანის ფსევდონიმა, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, ი. ლ.

ძის ფსევდონიმით იბეჭდებოდა მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, რომელი იმავე ხელმოწერით სარგებლობდა გაზეთ „ივერიაში“ 1886 — 1890 წლებში?!

იმ მოტივით, რომ აქაოდა თითქოს ი. ჭავჭავაძე 1890 — 1894 წლებში „თითქმის მთლიანად, სახლის მშენებლობის გამო“ იმყოფებოდა საგურამოში (?!), რის გამოც „ილია მოკლებული იყო შესაძლებლობას თვალყური ედევნებინა „ივერიაში“ 1890 — 1894 წლებში დაბეჭდილ წერილებისათვის“. მათ შორის მ. ზ. ყიფიანის ნეკროლოგისათვის (იხ. ალ. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, 1963 წ., გვ. 46), განა შეიძლება ასეთი ისტორიული საბუთისათვის გვერდის ავლა და მისი ეჭვის ქვეშ დაყენება? რა თქმა უნდა არა! ალ. კალანდაძის ეს „მოსაზრება“ სხვა არაფერია თუ არა ილია ჭავჭავაძის, როგორც პიროვნებისა და როგორც რედაქტორის, შეუფასებლობა. ილია ჭავჭავაძეს „ივერიაში“ ეკუთვნის არა ერთი ნეკროლოგი თუ გამოსათხოვარი სიტყვა (ბ. ლოლობერიძე, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ნ. ბაგრატიონი, ი. ანდრონიკაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, იოსებ დავითაშვილი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე როინიშვილი), რომლებშიც ასევე დეტალურად არის აღნუსხული ამა თუ იმ მოღვაწის დამსახურება. თუ გავიზიარებთ ალ. კალანდაძის შეხედულებას, მაშინ ილიას სხვა (ისე როგორც საერთოდ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ) ნეკროლოგებსაც უნდობლობა უნდა გამოეცხადოს, რაც აშკარა თვითნებობაა.

სადავო საკითხის გაშუქებაში მეტი სიცხადე შეაქვს „ივერიის“ 1891 წლის 10 მარტის ნომერში (№ 53) გამოქვეყნებულ მეთაურ წერილს: „ტფილისი 9 მარტი“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ღნე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. უფულობა და უქონლობა კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა უღონოდაო, ამბობს ვოლტერი, — და აი, ერთი ამისთანა საქვეყნოდ გამრჯელი და მხნე კაცი დღეს ჩვენ წინ გულხელ-დაკრეფილი ასვენია კუბოში და, ჩვენდა საუბედუროდ, ანდერძს ვუგებთ, რომ სამუდამოდ მივაბაროთ შავ მიწასა. მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთა მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოიკებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილს ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი რა ღონისა და ძლიერების პატრონია, ყოველთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოუთვლიან ხოლმე, როგორც მიხეილ ყიფიანი იყო. აი, ვინ დავკარგეთ დღეს, აი დღეს ვისა ვმარხავთ, აი, ვინ დააკლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს. ამისთანა კაცის დაკარგვა სწორედ კლებაა ერისა და ქვეყნისათვის.

ბევრმა არ იცის, რა კაცი იყო განსვენებული, რა ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე. არც ჩვენ ჩამოვთვლით ყოველს მას, რაც სიცოცხლეში მას ასულდგმარებდა, რაც ამოქმედებდა და რაც უსაქმია და უკეთებია. მან იგი სიკეთე ჰქმნა, რის შემძლებელიც იყო და „ყველა კაცმა რომ

იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ქვეყნიერობაზე უბედურნი არა იქნებიან“.

იგი საქმობდა, ირჯებოდა, მხნობდა თავის პატარა ქვეყნისათვის და სპეცპიროდა-კი ამას დაფითა და ნაღართა. იგი არ ეძებდა სხვის ქებას და დიდებას. იგი ნიაღვარს — კი არა ჰგავდა „მღელვარეს, კლდესა მცემელსა“, იგი „მღუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელი“ იყო, და სწორედ ამისთანა კაცია მართლა ღირსი ქებისა და დიდებისა. იმიტომ, რომ „მარტო „ცუდ-მედიდობა ეძებს სხვის ქებას და ჭეშმარიტი საქმიანობა-კი — ჩუმს მოწმობას სინდისისას“. აი სად არის მიზეზი, რომ ბევრ კარგ საქმეთა მოქმედი მიხეილ ყიფიანი ისე ცნობილი არ არის ყველასათვის, როგორც სასურველია.

„რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, — ამბობს ერთი ჰქვიანი კაცი, — პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავსო“, — და აი, ჩვენდა საუბედუროდ, წუთის-სოფელმა კუბოთი მოგვიყვანა კარ-წინ ის პატიოსანი კაცი, რომლის პატიოსან გულშიც ჩვენს პატარა სამშობლოს არამც თუ დიდი, მთელი ადგილი ეჭირა. სიყვარული ჩვენი ქვეყნისა, ჩვენი ერისა, მისთვის ცარიელი სიტყვა-კი არ იყო, როგორც დღეს ბევრისათვის არის, არამედ იგი იყო დაუღალავი ღონე გარჯისა და მხნობისა. იგი აღამებდა დღეს და ათენებდა ღამეს იმ უანგარო ზრუნვით, იმ სიყვარულიან გულის ტკივილით, რომ რითიმე გვარგოს, რაიმე შეგვიძინოს. ამისი მოწმე მის მრავალ-გვარი დეაწლია სხვადასხვა ასპარეზზედ, საცა კი მისი პატიოსანი გული მიაწვდენდა ხოლმე მის პატიოსანს ხელსა.

სულ ორი დღისწინათ, მინამ სიკვდილი სამუდამოდ დაადუმებდა ამ დაუღუმებელს, ქვეყნისათვის პატიოსან კაცს, იგი იწერებოდა თბილისში „სტეფან-წმინდასივც ვახერხებთ სკოლის გამართვასაო, იქაურ ყმაწვილებისათვის თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გვახარეთ პატარა მოხევენიო“. „დიდად გვახარენით პატარა მოხევენიო!“ — სიტყვა აქ იმაში — კი არ არის, რომ თვით ვახარებია ბავშვების სიხარული, იმიტომ, რომ ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერ შეამცნევს, ვერც აღბეჭდავს. ნუ გგონიათ, რომ იგი წმინდა მადლი სხვის სიხარულით ვახარებისა და, მასასადამე, სხვის მწუხარებით მწუხარებისაც, ცოტა რამ იყოს. იგია პირველი ნიშანი დიდ-ბუნებოვანებისა, დიდაცობისა და მარტო რჩეულთა ამა ქვეყნისა მაგ მადლს ღმერთი კურთხევით უწყალობებს ხოლმე.

იგი იყო იმისთანა კაცი, რომელსაც, ინდოელებისა არ იყოს, დაბადების დღესვე ბედი ასე აკურთხებს და დალოცავს ხოლმე: „პაწია ყრმავ, ეხლა როცა პირველად მოსდინარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო-კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის? იყავნ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს“.

მშვიდობით! ვინც იცის შენი საქმენი, ყველანი სტირიან დღეს და მარტო შენ-კი, როცა ეთხოვებოდი ქვეყანას, ღიმილი უნდა მოგვსლოდა, რადგანაც მამულს მამულის-შვილობა გაუწიე და შენი ვალი შეასრულე“.

„ივერიის“ ეს მეთაური წერილი ილია ჭავჭავაძის გამოსათხოვარი სიტყვა იყო, წარმოთქმული დიდუბის ეკლესიაში მიხეილ ყიფიანის დაკრძალვის დღეს (იხ. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ IV, 1955 წ., გვ. 248 — 250). საკმარისია ამ სიტყვის წაკითხვა, რომ

ყოველგვარ მითქმა-მოთქმას 1891 წლის 5 მარტის „ივერიაში“ „გ—გ“-ს ხელმოწერილი ნეკროლოგის წაუკითხველ ოჯახში საფუძველი გამოეცალოს. ვინც ოდნავ ერკვევა ატრიბუციის რთული საკითხების გადაწყვეტის ელემენტარულ საკითხებში, მისთვის ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი იქნება, რომ ამ ნეკროლოგს ილია ჭავჭავაძე ზედმიწევნით კარგად იცნობდა, მას, როგორც რედაქტორს, თავისი წვლილიც აქვს შეტანილი ნეკროლოგის სრულყოფაში (თუ რომ მთლიანად მას არ ეკუთვნის). ნეკროლოგების ტექსტუალური შედარება ნათელყოფს, რომ ილია საგულდაგულოდ იცნობდა № 48-ში დაბეჭდილ ტექსტს, იგი პირდაპირ, სიტყვასიტყვით იმეორებს მთელ პასაჟს თავის სიტყვაში: „რამდენიმე დღის წინ მოუვიდა იმისი წიგნი ჩვენს „წერაკითხვის“ საზოგადოებას“, რომელსაც ატყობინებდა, რომ სტეფანწმინდაშიც ვახერხებთ სკოლის გამართვასაოქაუთრ ყმაწვილებისათვის, თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“. ილიამ იცოდა, რომ „გ—გ“-ს ხელმოწერილი ნეკროლოგით ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო განსვენებულის ღვაწლი და დამსახურება, რის გამოც მან მიზანშეწონილად არ ჩათვალა თავის სიტყვაში მასზე შეჩერება („არც ჩვენ ჩამოვთვლით ყოველს მასო“).

ილიას გამოსათხოვარ სიტყვაში, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, იგრძნობა დიდი პატივისცემა განსვენებულისადმი, იგი ისწრაფვის ღირსეულად წარმოაჩინოს მ. ზ. ყიფიანის ღვაწლი და ამაგი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ილიამ, როგორც „საქართველოს მოამბის“ რედაქტორმა და გამოსათხოვარი სიტყვის ავტორმა ზედმიწევნით იცის, რომ „სფირიდონ ჩიტორელიძე“ მიხეილ ყიფიანის ფსევდონიმია, რომ იგი იმავე ფსევდონიმით თანამშრომლობდა მის გაზეთ „ივერიაში“. მიხეილ ყიფიანმა 1886 წლიდან „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით გამოაქვეყნა: „წერილები გადმოღმიდგან“ (1886 წ., №№ 260 და 261), „წერილები სხვადასხვა რაგინდარაზე“ (1889 წ., №№ 85 და 88); „წიგნი გადმოღმიდგან“ (1889 წ., № 273) და „წერილი მეგობართან“ (1890 წ., № 178). ყველა ამ წერილს მიწერილი აქვს დაწერის და გამოგზავნის ადგილი — „ძაუჯი-ყაუ“ (დღევანდელი ქ. ორჯონიკიძე), სადაც წარსული საუკუნის 70-იანი წლებიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მიხ. ყიფიანი.

„ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ შემდგომ დგენლებს 1963 წელს (ალ. კალანდაძის შრომის გამოქვეყნების ერთი წლის შემდეგ) სფირიდონ ჩიტორელიძე განსწავლული აქვთ: მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (ტ. III, ნაკ. I, 1963 წ., გვ. 168, 186, 192, 194 და 465).

1886 წელს „ივერიაში“ (№ 260) დაბეჭდილ წერილში ჩიტორელიძე წერდა: „ჩემო თადეოზ! კარგა ხანია მე შენთან საუბარი შევწყვიტე. მე მაშინ, როდესაც მიცვალებულ „ცისკარსა“ ვკითხულობდი ხოლმე სიხარბითა და სიამოვნებით, შენ მეტყობდი ხოლმე, ნეტავი ქართულის ყურნალის ბეჭდვა არ შესწყდესო და რაც უნდა სწერონო“ (დაყოფა ჩვენია — ი. ლ.). „საქართველოს მოამბის“ რედაქტორისეულ სქოლიოში კი იკითხება: „ოღონდ ქართული ყურნალი კი იბეჭდებოდესო და როგორც უნდა იყოს“ („საქ. მოამბე“, № 7, გვ. 71). წერილის ავტორი საქვეყნოდ აცხადებს, რომ „ქარგა ხანია მე შენთან საუბარი შევწყვიტეო.“ მართლაც, 23 წელმა განვლო ვიდრე „სფირიდონ ჩიტორელიძე“ კვლავ მოევილინა ქართულ პრესას როგორც კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების ავტორი.

როგორც „საქართველოს მოამბეში“, ისე „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილებში გვხვდება ისეთი ინდივიდუალური თვისების მატარებელი გამოთქმები, რომლებიც მ. ზ. ყიფიანმა დაამკვიდრა ქართულ ენაში თავისი მათემატიკური სახელმძღვანელოებით და პირადად მისთვის, როგორც გეოდეზისტისათვის, იყო დამახასიათებელი. მაგალითად, „ქვემო ხაზი“ („საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 7, გვ. 64. მკითხველისათვის რომ გასაგები ყოფილიყო ეს ცნება, რედაქტორს მისი შესატყვისი რუსული ფრჩხილებში მოუთავსებია (Параллельная линия). „ის სტერომეტრიული საწყაოთი ჰზომავს დარდაკოვის სიმღერის ღირსებას“ („ივერია“, 1889 წ., № 88). ამ სპეციფიურ გამოთქმებს, როგორც სტილისტურად დამახასიათებელს, ატრიბუციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება (ილიას ლექსიკაში მსგავსი ცნებების ხმარება არ გვხვდება).

ილია თავის თავზე, რა გინდ მისტიფიკაციისათვის არ მიემართა, არ დასწერდა: „წინ დამხვდა ორი ჩინებული ლექსი, რომლების გადმოთარგმნა მე არ შემოძლიან, რადგანაც მე და ლექსთ-თხზულების ნიჭი გამწყრალები ვართ“-ო („საქართველოს მოამბე“, № 7, გვ.

ერეკლეტი
ნიკ. იოსელიანი

66); ანდა კიდევ: „აი ეხლა ჭავჭავაძემ დასწავლა/
ერისთავის ნათარგმნხედა კრიტიკული ჩევა, კილო-კავად გაჰკენწლა კნ. ბარბარე ჯორ-
ჯაძე“ (იქვე, გვ. 33), ან „ამისათვის ბაასი მივანდოთ
თვით ილია ჭავჭავაძეს“-ო (გვ. 40. დაყოფა ჩვენია —
ი. ლ.).

თავისთავად მრავლისმეტყველი დასაწყისი — „ჩემო თა-
დეოზ...“ იმდენად სპეციფიურია, რომ ეჭვის შეტანაც კი არ
შეიძლება, რომ მათი ავტორი ერთი და იგივე პირია. განა
„ივერიის“ 1886—1890 წლებში „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ხელ-
მოწერით გამოქვეყნებული წერილები იმავე ხასიათისა და ღირსე-
ბის მატარებელი არ არიან როგორისაც „საქართველოს მოამბეში“
მოთავსებული წერილები? ეჟურნალში აქა-იქ თვალში საცემია რე-
დაქტორისეული ჩარევები*, გაზეთში — არა. ჩიტორელიძისეული
წერილების ყოველი სახის ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი
ერთი ავტორის შემოქმედების ნაყოფია, და ეს ავტორია მიხეილ
ზაალის ძე ყიფიანი.

ისეთი წყაროები (წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი) — ამან
ეს თქვა, იმან ის (იქნება ეს ა. ფურცელაძე, გ. თუმანიშვილი, გრ.
ყიფშიძე, მ. გედევანიშვილი თუ სხვა), სანდო საბუთი არ არის.
ლოგიკური ძალის მქონე საბუთია მხოლოდ ის, რომ ე-
ლიც მომდინარეობს პირველ წყაროდან. ასეთად
კი „ივერიაში“ 1891 წლის ხუთ და ათ მარტს (№№ 48 და 53) გამო-
ქვეყნებული ნეკროლოგები და მათი ავტორების დამარწმუნებელი
და სავსებით სანდო ცნობებია ჩიტორელიძის ვინაობაზე. „საქართ-
ველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ხელ-
მოწერით გამოქვეყნებული წერილების ენობრივი და სტილისტური
ანალიზის მონაცემები ეჭვმიუტანლად ადასტურებენ, რომ მათი
ავტორი არის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტუ-
რული ცხოვრების „საქვეყნოდ გამრჯელი და მხნე“ მოღვაწე, თა-
ვისი ერის დიდი ქომავი და უანგარო მამულიშვილი მიხეილ
ზაალის ძე ყიფიანი.

აღსანიშნავია, რომ „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ყიფიანისეუ-
ლობას ყოველთვის თავგამოდებით იცავდა საქართველოს სახალხო
პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი, რომლის გამოქვეყნებულ

* ნ. ნეკრასოვს არ უნდოდა თავისად ჩაეთვალა „მეგობრული მიმოწერა
მოსკოვისა პეტერბურგთან“ იმ მიზეზის გამო, რომ პირველი რედაქციის რამ-
დენიმე აბზაცი ნ. დობროლუბოვის მიერ იყო რედაქტირებული. — ი. ლ.

თუ გამოუქვეყნებელ წერილებში ამ ფსევდონიმის სწორ გახსნას
საგანგებო ყურადღება ექცევა.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

1965 წელს პროფ. მ. ზ. ზანდუკელმა მიუთითა, რომ კრიპტონიმი „გ-გ“ უნდა გაიხსნას როგორც „გულადი გრიგოლის ძე“.

ისმის კითხვა: ამ კრიპტონიმს ხომ არ არის ამოფარებული ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე?

დავით გამეზარდაშვილი

„... ზოგჯერ თქმითაც დასავდების“

(დაგვიანებული პასუხი პროფ. ტ. კვანჭილაშვილს)

გაზეთ „თბილისის“ 1971 წლის 7 აპრილის ნომერში გამოვაქვეყნეთ სტატია „პრესა და ჟანრები (მცირე განმარტება)“, რომელმაც სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ეს არ იყო მოულოდნელი, ვინაიდან ჟურნალისტიკის თეორიაში, იმ დროისათვის მაინც, ბევრი საჭირობოროტო საკითხი სრულიად გაურკვეველი იყო, ანდა მათ უმეტესობას ბუნდოვანი პასუხი ჰქონდა გაცემული. ინტერესი კი ამ საკითხებისადმი უდავოდ დიდი იყო.

ამ სტატიით ჩვენი გამოსვლაც იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ზოგიერთი ავტორი იოლად და არამეცნიერულად ეკიდებოდა ჟურნალისტიკის რთული პრობლემების განმარტებას და შეცდომაში შეჰყავდა საერთოდ მკითხველი, კერძოდ კი — ჟურნალისტიკის სპეციალობის სტრუქტურა.

აღნიშნულ საგაზეთო სტატიას არ ჰქონია ამ სადავო ჟურნალისტური საკითხების ამომწურავი მეცნიერული გაშუქების პრეტენზია. მასში მიზნად ვისახავდით ყურადღება გაგვემახვილებინა ზოგიერთ იმ ჟურნალისტურ ცნებაზე, რომელთა არასწორი გამოყენება, ჩვენი აზრით, გაუგებრობასა და დაბნეულობას იწვევდა მკითხველთა შორის. ამიტომაც, რომ ქვესათაურად მას მივეციტ „მცირე განმარტება“. აი, ეს წერილიც:

„ჟურნალისტიკის თეორიის საკითხებზე დაწერილ გამოკვლევათა ავტორები ამ უკანასკნელ დროს იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორც არის „საგაზეთო ჟანრები“ და „ჟურნალისტური ჟანრები“. ამგვარი ტერმინები ზოგიერთი ავტორის გავლენით დამკვიდრდა ჩვენს ნაშრომებშიც, რომლებიც სტრუქტურა და მხარე სახელმძღვანელოების სახით გამოიცა. რაც მთავარია, ამ ტერმინების გამოყენებას შემთხვევითი ხასიათი და პირობითი შინაარსი კი არა აქვს, არამედ საგანგებო საკვლევ პრობლემად არის გამოცხადებული. ასეთი ვითარება გვაი-

ძულელებ ჩვენი შეხედულება გამოვთქვათ ამ საკითხზე და შევეცადოთ ვაჩვენოთ მათი დამკვიდრების უსაფუძვლობა.

სადავო არ არის, რომ ენა აზროვნების იარაღი და ურთიერთგამაზიარებელი საშუალებაა; ენა და აზროვნება ერთმანეთისაგან მოწყვეტილად წარმოუდგენელია. გარკვეულია ის გარემოებაც, რომ ადამიანის შემოქმედებითი აზრის ნაყოფი, რომელიც სიტყვის საშუალებით გამოიხატება, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ სამ სფეროს ქმნის: მხატვრულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკასა და მეცნიერებას. აქედან გამომდინარე, წერილობით (თუ ზეპირსიტყვიერად) გაფორმებული შემოქმედებითი ნააზრვეი რომელიმე ამ სფეროთაგანს უნდა განეკუთვნებოდეს. ამიტომ უანრებიც მხოლოდ მათ (მხატვრული ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება) აქვთ. მართალია, მეცნიერული გამოკვლევების უანრობრივ დაყოფას არ ვახდენთ, მაგრამ გამოკვლევათა სხვადასხვა სახეობად (მონოგრაფია, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თეორიული სტატია და სხვა) წარმოდგენა ანალოგიურ პრინციპებს ემყარება.

ცნობილია ისიც, რომ როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე პუბლიცისტიკა და მეცნიერებაც მიზნად ისახავენ ხინამდივლის ახახვასა და შეცნობას, რისთვისაც პირველი მხატვრულ სახეებს იყენებს, უკანასკნელი კი — ცნებებს (ამ შემთხვევაში „ცნების“ შეცვლა „სილოგიზმით“, როგორც ამას ზოგიერთი აკეთებს, შეცდომაა). ამასთან მათ შორის ჩინური კედელი არ არსებობს არც ფორმისა და არც შინაარსის მიხედვით, თუმცა განსხვავება ისე საგრძნობია, რომ ცალ-ცალკე სფეროებად წარმოგვიდგებიან. კერძოდ, წარმოუდგენელია მხატვრული ლიტერატურა პუბლიცისტური (ხშირად კი მეცნიერული) ხერხებისა და საშუალებების გამოუყენებლად; ასევე პუბლიცისტიკა (და ხშირად მეცნიერებაც) — მხატვრული სახეებისა და გამოთქმების გვერდის ავლით. მაგრამ ამოსავალი ამ შემთხვევაში ის არის, რომ მხატვრული ლიტერატურა იდეურ მიზანდასახულობას მხატვრული სახეებით აღწევს, ხოლო პუბლიცისტიკა და მეცნიერება — ცნებებზე დაყრდნობით მსჯელობით. ე. ი. ავტორის ნიჭისა და უანრის ხასიათის შესატყვისად, მწერალი, პუბლიცისტი და მეცნიერი ურთიერთს ესესხებიან. მაგრამ ამგვარი „ნახესხები“ მხოლოდ „საკაზმია“ (დამხმარე საშუალება) და არა მთავარი ამოსავალი. ნიჭიერი მწერალი, მაგალითად, ნაკლებად მიმართავს პუბლიცისტურ მსჯელობას, ნაკლებად ნიჭიერი კი — მეტად; ნიჭიერი პუბლიცისტი და მეცნიერი მეტად იყენებენ მხატვრულ სახეებს, უნიჭონი კი — ნაკლებად. მაგრამ ეს გარემოება ყოველთვის ნიჭით როდი აიხსნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასში გარკვეული „დანაშაული“ მიუძღვის უანრის ბუნებას. ლექსში პუბლიცისტური ელემენტი მეტად იშვიათი მოვლენაა, პროზაში — შედარებით ხშირი; რეპორტაჟში მხატვრული სახე და მხატვრული გამოთქმა იშვიათია, ფელეტონში კი უფრო უხვად გვხვდება. მეტიც, ფელეტონი სხვაგვარად წარმოუდგენელიც არის, რადგან იგი უიუმოროდ არ არსებობს, იუმორი კი თავისთავად მოითხოვს მხატვრულ ამღლებას. ამის მიუხედავად, ფელეტონი პუბლიცისტური უანრია, იდეური აზრის მიტანა მკითხველამდე მასში ყოველთვის ცნებებზე აგებულ მსჯელობას აქვს „დავალებული“ და არა გამოყენებულ მხატვრულ სახეებს (უკანასკნელი მხოლოდ ხელს უწყობს პირველის გამოკვეთას).

ახლა შევეხოთ შურნალ-გაზეთებს და შურნალისტიკას საერთოდ.

მ. ი. ლენინმა გარკვევით გვიჩვენა, რომ შურნალ-გაზეთების წინაშე დგას სამი მოვალეობა: კოლექტიური პროპაგანდისტის, კოლექტიური აგიტატორის და კოლექტიური ორგანიზატორისა. ამასთან „შურნალი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს“.

ხურებოდეს პროპაგანდას, გაზეთი — უმთავრესად აგიტაციას“. ამ მოვალეობათა შესრულებისათვის კი ისინი მიმართავენ და იყენებენ მხატვრულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკას, მეცნიერებას. ასე რომ სამივე ამ სფეროსათვის სიათბელო ყველა უნარი შეიძლება გამოიყენოს ჟურნალშიც და გაზეთშიც, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რომელ ტიპს ეკუთვნის, რა მოცულობისა და პერიოდულობისაა. მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი“ და ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და ჟურნალი „მნათობი“, ჟურნალები „მაცნე“ და „მეცნიერება და ტექნიკა“ მეტ-ნაკლებად, პროფილისა და მოცულობის შესატყვისად, იყენებენ თითქმის ყველა უნარს.

ამგვარად, უნარები გაზეთს ან ჟურნალს კი არ გააჩნია, არამედ მხატვრულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკასა და მეცნიერულ გამოკვლევებს. უდავოა ისიც, რომ, მოვალეობებიდან გამომდინარე, გაზეთების უმრავლესობა ძირითადად პუბლიცისტიკურ უნარებს იყენებს; ამ მხრივ მხოლოდ წმინდა ლიტერატურული მოხვედრილი ზოგიერთი ავტორი „პუბლიცისტიკური უნარების“ ნაცვლად შეცდომით ხმარობს ტერმინებს „საგაზეთო უნარებს“ და „ჟურნალისტურ უნარებს“.

ერთ-ერთი ასეთი ავტორის აზრით, მაგალითად, პროფესიული ჟურნალისტური შემოქმედებისათვის უმჯობესია ვხმარობდეთ ტერმინს „ჟურნალისტური უნარები“, რადგან აქ სადავო და საყოყმანო არაფერი რჩება, ეს ტერმინი ზუსტად და ნათლად განსაზღვრავს ცნების არსს; აქედან გამოირიცხება მხატვრულ-ლიტერატურული უნარები, სამეცნიერო ხასიათის მასალები და ა. შ., რომლებიც გაზეთებსა და ჟურნალებში შეიძლება იბეჭდებოდეს, მაგრამ დაწერის თვალსაზრისით ჟურნალისტის პროფესიასთან საერთო არაფერი ჰქონდეს.

მისივე შეხედულებით, მეორე მხრივ, შეიძლება არსებობის უფლება დავუტოვოთ ტერმინს „საგაზეთო უნარები“, რომელიც გულისხმობს ჟურნალისტურ უნარებსაც და სხვა მასალებსაც, რომლებიც რაიმე მოსაზრებით გაზეთში ქვეყნდება. ასეთები შეიძლება იყოს მხატვრული ნაწარმოებებიც, სამეცნიერო ნაშრომებიც და სხვა.

აქ ძნელი როდია შევამჩნიოთ არა მარტო წინააღმდეგობა, არამედ ისიც, რომ მხატვრული ლიტერატურისა და მეცნიერული გამოკვლევების გვერდით ავტორი „ვერ ამჩნევს“ პუბლიცისტიკის არსებობას, მის უნარობრივ თავისებურებას და მათზე მსჯელობის ნაცვლად, მსჯელობს საგაზეთო თუ ჟურნალისტურ უნარებზე, რის გამოც, ცხადია, წინააღმდეგობებსა და გაუგებრობებს თავს ვერ აღწევს.

უნდა ისიც გვახსოვდეს, რომ გაზეთის (თუ ჟურნალის) ფურცლებზე დაბეჭდილი ყოველი მასალა არ შეიძლება მივაკუთვნოთ ლიტერატურის, მეცნიერების თუ პუბლიცისტიკის ამა თუ იმ უნარს. უნარული გამორჩევის პრეტენზია აქვს მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი აზრის ნაყოფს, როგორც ეს ხაზგასმით გვაქვს აღნიშნული. რაც შეეხება სხვადასხვა ხასიათის განცხადებებს, „მშრალ“ ინფორმაციულ ცნობებს, სტატისტიკურ ცხრილებს ანდა „ნარევის“, „შემთხვევის“, „ქრონიკის“ თუ სხვა ამგვარი რუბრიკებით მოთავსებულ მასალას, რომელთაც მხოლოდ ფაქტების შეტყობინება აქვთ მიზნად და მოკლებული არიან საგანგებო კომენტარს, პუბლიცისტიკურ გააზრებასა და ავტორის დამოკიდებულების გამოვლენას, ე. ი. არ გააჩნიათ პუბლიცისტიკური დანიშნულება, ცხადია, ისინი არც ერთ შემოქმედებით უნარს არ მიეკუთვნებიან.

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ჟურნალი და აღმანახი: ჟურნალი შეუძლებელია „განსაზღვრული ვადის უქონლად“. სელოვსურად, რაც

მთავარია, გაუმართლებლად მიგვაჩინა ტერმინი „მეორადი ასახვის უანრები“, რომელიც ზოგიერთ ავტორს რეცენზიისა და პრესის მიმოხილვის გამოსაყოფად შემოაქვს.


სადავო არ არის, რომ ჟურნალისტიკა დავალებულია მხატვრული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერებისაგან, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჟურნალისტიკა ძირითადად ეყრდნობა პუბლიცისტიკას, რომელიც ისევე ძველია, როგორც მხატვრული ლიტერატურა. ამასთან უძველესია არა მარტო მხატვრული ზეპირსიტყვიერება, არამედ ზეპირსიტყვიერი პუბლიცისტიკაც, რომელიც მისთვის საგანგებოდ განკუთვნილ „ტრიბუნებზე“ იხვეწებოდა და ვრცელდებოდა ხალხში.

ჟურნალისტიკის თეორიაში მუშაობა საკმაოდ რთული საქმეა, რომელიც არა მარტო ფართო განათლებას მოითხოვს, არამედ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასაც. ამიტომ ყველა, ვინც ეჭიდება ამგვარი საკითხების გაშუქებას, ფრთხილად უნდა მოეკიდოს ყველა დასკვნის გაკეთებას და არ გაიტაცოს არასასურველმა «ნოვატორობამ».

როგორც ვხედავთ, ამ პატარა საგანგებო წერილში საკმაოდ გარკვევით არის გამოხატული ჩვენი პოზიცია ზოგიერთი იმ არამეცნიერული მოსაზრების მიმართ, რომლებმაც თავი იჩინეს ჟურნალისტიკის თეორიის სფეროში, მაგრამ მასში განზრახ არ დაგვისახელებია რომელიმე ავტორის გვარი და მისი ნაშრომის სათაური. ასე მოვიქცეთ, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ ჩვენი შენიშვნები, სამწუხაროდ, ეხებოდა არა მხოლოდ ერთი რომელიმე მკვლევარის, არამედ სხვადასხვა ავტორების გამოკვლევებს. თუმცა შეუმჩნეველი არ დარჩენილა არც ის გარემოება, რომ ჩვენი წერილის კონკრეტული საბაზი ვახდა პროფ. ტ. კვანჭილაშვილის წიგნი „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები“, რომელიც გამოცემილია „განათლებამ“ გამოსცა 1970 წელს. ამას მოწმობს, მაგალითად, გაზეთ „თბილისის“ 1971 წლის 2 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული გრ. იარალოვის წერილი „ცხოვრება გვკარნახობს“, რომელშიც ვკითხულობთ: „საქმეში ჩახედული ჟურნალისტი მიხვდება, რომელ „ავტორსა“ და „დამხმარე სახელმძღვანელოზე“ ლაპარაკი წერილში (მხედველობაში აქვს ჩვენი წერილი „პრესა და უანრები“. — დ. გ.). რეცენზენტი პირველ რიგში აკრიტიკებს პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილის წიგნს „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები“, რომელიც „განათლებამ“ გამოსცა“.

ცხადია, არც პროფ. ტ. კვანჭილაშვილისათვის დარჩენილა გამოუცნობი, თუ ვინ იყო ჩვენი წერილის ერთ-ერთი უშუალო ადრესატი. მან მაშინვე მოამზადა საპასუხო წერილიც, („ზოგჯერ თქმა სჯობს...“), რომელიც მოგვიანებით გამოაქვეყნა — შეიტანა 1974 წელს გამოცემულ წიგნში („ლიტერატურული წერილები და პორტრეტები“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, გვ. 145 — 154)

და გარკვევით მიუთითა ისიც, რომ მისი ეს პასუხი 1971 დაიწერა.



ტ. კვანჭილაშვილის ამ წერილის მიზანია გააბათილოს ჩვენსა და გრ. იარალოვის წერილებში გამოთქმული შენიშვნები. ამიტომ თავს შეეიკავებთ ამ წერილის საერთო ღირებულების შეფასებისაგან და ვკმაყოფილდებით მხოლოდ ჩვენი მისამართით გაკეთებული შენიშვნების განხილვით.

ნიშანდობლივია, რომ ტ. კვანჭილაშვილი თავის საპასუხო წერილს იწყებს „დიპლომატიური“ შესავლით: აკრიტიკებს გრ. იარალოვს იმის გამო, რომ მან ჩვენი წერილის აღრესატად იგი მიიჩნია! თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გარემოება არც ტ. კვანჭილაშვილისათვის ყოფილა შეუმჩნეველი. მამ რატომ დასჭირდა მას იმის „დაბეჯითებით“ მტკიცება, რომ ჩვენ მის წიგნს არ გავაკრიტიკებდით? ცხადია, ამით იმის თქმა უნდა, რომ ჩვენ არ ვიყავით პრინციპული და ობიექტური მის მიმართ, თორემ როგორ მოხდა, რომ ჯერ მისი წიგნის გამოცემა ვიშუამდგომლეთ გამომცემლობა „განათლების“ წინაშე, შემდეგ კი შენიშვნები გამოვთქვით ამ წიგნის შესახებ?

ეს ორი გარემოება ტ. კვანჭილაშვილს ისეთ ურთიერთ შეუთავსებელ რამეებად მიაჩნია, რომ წერილში მთლიანად მოჰყავს მის მიერ შედგენილი და ჩვენ მიერ ხელმოწერილი ის შუამდგომლობა, რომელიც 1968 წლის 15 თებერვალს გაეგზავნა გამომცემლობა „განათლებას“, თანაც იქვე დასძენს: „... დასახელებული წიგნი „განათლებამ“ გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის შუამდგომლობით, რომელზეც ხელს აწერს თვითონ პროფ. დ. გამეზარდაშვილი. განა წარმოსადგენია, კაცს „პირველ რიგში“ გაეკრიტიკების ის წიგნი, რომლის გამოცემაც თვითონვე მოითხოვა?“

უწინარეს ყოვლისა, ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის, თუ რატომ მიაჩნია წარმოდგენლად პროფ. ტ. კვანჭილაშვილს ის, რომ შეიძლება შენიშვნები გამოვთქვათ იმ წიგნზე, რომლის გამოსაცემად შუამდგომლობა აღვძარიეთ? როდესაც ჩვენ როგორც კათედრის გამგე გვეცანით პროფ. ტ. კვანჭილაშვილის განცხადებას მისი ნაშრომის „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხებზე“ გამოცემის შესახებ და ორი სპეციალისტის (პროფ. ი. ნატროშვილისა და დოც. ნ. ტაბიძის) დადებით დასკვნებს ამ ნაშრომზე, შესაძლებლად ჩავთვალეთ ხელი მოგვეწერა ზემოაღნიშნულ შუამდგომლობაზე, მით უმეტეს, რომ როგორც ეს თვითონ ამ შუამდგომლობაშია

ნათქვამი, ჟურნალისტის თეორიაში ქართულ ენაზე მაშინ არაფერი
თარი ლიტერატურა არ არსებობდა.

კიდევ კარგი, რომ ტ. კვანჭილაშვილი თავის წერილში იმეორებს
სათანადო ადგილებს რეცენზენტთა დასკვნებიდან. ასეთი დასკვნე-
ბის შემდეგ ჩვენ განა შეგვეძლო, თავი შეგვეკავებინა ხსენებული
ნაშრომის გამოსაცემად შუამდგომლობის აღძვრისაგან? მით უმე-
ტეს, რომ ამ ნაშრომის ავტორი იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი და პროფესორი. მაგრამ ჩვენ ასევე არ შეგვეძლო თავი
შეგვეკავებინა და არ დაგვეგმო ჟურნალისტის თეორიაში გამო-
თქმული ზოგიერთი მცდარი მოსაზრება მხოლოდ იმის გამო, რომ
ეს მოსაზრებანი გადმოტანილი იყო ტ. კვანჭილაშვილის წიგნშიც,
რომლის გამოცემის შესახებ შუამდგომლობას ხელი ჩვენ მოვი-
წერეთ.

ასე რომ არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში ჩვენ ოდნა-
ვადაც არ დაგვირღვევია ეთიკის ნორმები და არ შეგვიბღალავს
საკითხისადმი პრინციპული და ობიექტური დამოკიდებულების
პრაქტიკა. ჩვენ სწორედ ისე მოვიქცეთ, როგორც უნდა მოვქცე-
ულიყავით ჭერ როგორც კათედრის გამგე, ხოლო შემდეგ როგორც
სპეციალისტი.

სხვადასხვა დროს ჩვენ რედაქტორობაც კი გაგვიწევია ისეთი
წიგნებისათვის, რომლებშიც გამოთქმულ არაერთ შეხედულებას
არ ვიზიარებდით. დავასახელებთ ერთ მაგალითს. დ. რამიშვილის
წიგნს „კიტა აბაშიძე“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქარ-
თველომ“ 1964 წელს გამოსცა, წამძღვარებული აქვს ჩვენი პატარა
წერილი „რედაქტორისაგან“, სადაც ნათქვამია: „შესწავლის ამ
ხტაპზე, ცხადია, მოსალოდნელია აზრთა გარკვეული სხვადასხვაო-
ბაც კ. აბაშიძის ესთეტიკურ შეხედულებათა და კონკრეტულა ლი-
ტერატურული მასალის ანალიზის შეფასების საქმეში. ამიტომ
ბუნებრივად გვეჩვენება, რომ მთელ რიგ საკითხებში განსხვავებუ-
ლი შეხედულებები გვაქვს ავტორსა და რედაქტორს“. და ამით
ჩვენ განა ვუღალატეთ პრინციპული და ობიექტური დამოკიდებუ-
ლების პოზიციას? ვფიქრობთ, რომ არა.

იმის „დასამტკიცებლად“, რომ ჩვენი წერილი მის ნაშრომს
არ ეხებოდა, პროფ. ტ. კვანჭილაშვილს აქვს მეორე საბუთიც. იგი
წერს: „პროფ. დ. გამეზარდაშვილი თვის წერილში არც ჩვენ
გვარს, არც წიგნს არ მიუთითებს. მაშასადამე, მას საერთოდ პუბ-
ლიცისტიკისა და ჟანრების პრობლემები აინტერესებდა. ამის
უფლებაც მას, ცხადია, აქვს. რა ვუყოთ, რომ ეს პრობ-
ლემები ჩვენს წიგნშიც არის. აი, რატომ უარვყოფთ პატ. გრ. იარა-

ლოვის ვარაუდს, თუმც აქვე დავძენთ, რომ პროფ. დ. გამეხარდა შვილის ზოგი განმარტება ჩვენს წიგნში გატარებულ თვალსაზრის-საც ეხება“ (დაყოფა ჩვენია, — დ. გ.).

ქართული
ენების
ინსტიტუტი

როგორც ვხედავთ, პატივცემული ოპონენტი კვლავ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენ თითქოს უფლება არ გვქონდა მის წიგნს შევხებოდით; ჩვენ თურმე მხოლოდ იმის უფლება გვქონია, რომ პუბლიცისტიკისა და ჟანრების პრობლემებზე გვემსჯელა ზოგადად. და თუ ჩვენ ასე არ მოვქცეულვართ, მაშასადამე, შეგვიბღალავს მეცნიერული ეთიკა, ვერ ვმდგარვართ პრინციპულ და ობიექტურ პოზიციაზე! ჩვენ ზემოთ ნაჩვენები გვაქვს, თუ რამდენად უსაფუძვლოა ტ. კვანჭილაშვილის ეს შეხედულებანი, და აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება მის სიტყვებს, რომ ჩვენ „საერთოდ პუბლიცისტიკისა და ჟანრების პრობლემები გვიანტერესებდა“ და ჩვენს წერილში გამოთქმული შენიშვნები მის „წიგნში გატარებულ თვალსაზრისსაც ეხება“, — ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა. და თუ ჩვენ პროფ. ტ. კვანჭილაშვილის წიგნზე არ მივუთითეთ, ასე მოვიქცით მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენთვის საინტერესო დებულებები თუ შეხედულებანი ამ წიგნში მექანიკურადაა გადმოტანილი რუსულ ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურიდან და მათ ავტორად პროფ. ტ. კვანჭილაშვილი არ მიგვაჩნია. ამ უკანასკნელს მხოლოდ და მხოლოდ ის შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ უფრო კრიტიკულად უნდა მოჰკიდებოდა თავისი კოლეგების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და ხელაღებით არ გაეზიარებინა ისინი. და თუ გაიზიარა, ვალდებული იყო ეჩვენებინა, თუ რა საფუძველზე მოიმოქმედა ეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესახებ ტ. კვანჭილაშვილს თავის წიგნში სრულებით არაფერი აქვს ნათქვამი, მხედველობაში თუ არ მივიღებთ წინასიტყვაობაში გაკეთებულ ზოგად განცხადებას: „ცნობილია, რომ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში თავმოყრილია ის მასალა, რაც ცალკეულ ნაშრომებსა და მონოგრაფიებში მოუპოვებიათ მკვლევარებს. თითქმის არც ერთი სახელმძღვანელო არ ემყარება მხოლოდ მისი ავტორის კვლევის შედეგებს. ამ მხრივ არც ჩვენი წიგნი წარმოადგენს გამონაკლისს“.

დიახ, როდესაც პროფ. ტ. კვანჭილაშვილის აღნიშნულ ნაშრომს გავეცანით, მართლაც ღრმად დავრწმუნდით იმაში, რომ ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ზოგადი პრობლემების გაშუქებისას ავტორს თითქმის არც ერთი საკუთარი შეხედულება არა აქვს გამოთქმული. მართალია, ცალკეულ დეტალებთან დაკავშირებით ავტორს წამოყენებული აქვს თავისი მოსაზრებანიც,

რომელთაც ჩვენ არ ვიზიარებთ, მაგრამ ჩვენს მიზანს სრულიადაც არ წარმოადგენდა ამ წიგნზე რეცენზიის დაწერა. ამიტომაც ასეთ დეტალებზე მსჯელობისაგან თავი შევიკავეთ.

თავისი საპასუხო წერილის მეორე ნაწილში პროფ. ტ. კვანჭილაშვილი თავიდანვე აცხადებს: „ჩვენ არ ვიზიარებთ პროფ. დ. გამეზარდაშვილის ბევრ მოსაზრებასაც. ამათგან მხოლოდ ზოგიერთს შევეხებით“ (დაყოფა ჩვენია — დ. გ.). ამგვარი განცხადებით იგი ორი კურდღლის ერთად დაჭერას ვარაუდობს: ჯერ ერთი, ეჭვქვეშ დააყენოს ჩვენი სტატიის მეცნიერული ღირებულება (აქაოდა არ ვიზიარებ მასში გამოთქმულ ბევრ მოსაზრებას!) და, მეორეც, გვერდი აუაროს მათ კრიტიკას (შეეხოს მხოლოდ ზოგიერთს!). მაგრამ ჩვენ გვანუგეშებს ის რწმენა, რომ ეს „ზოგიერთი“, ალბათ, უფრო მთავარი და ძირითადი საკითხები იქნება.

პატივცემული ოპონენტის პირველი შენიშვნა ეხება პუბლიცისტიკის რაობის განსაზღვრას. იგი ცდილობს „ახლებური“ განმარტება მოუნახოს პუბლიცისტიკას და, სამწუხაროდ, მეტად უხერხულ მდგომარეობაში იყენებს თავს — პრობლემის გარკვევის ნაცვლად არასახარბიელო ცოდნას ამქლავნებს თეორიის ელემენტარულ საკითხებში.

იმაზე რომ მიუთითებს, თითქოს არ იზიარებდეს ჩვენს ბევრ მოსაზრებას, პროფ. ტ. კვანჭილაშვილი დასძენს: „აქ ერთ-ერთი საკვანძო საკითხია პუბლიცისტიკის რაობის განსაზღვრა. ამაზე სხვაგანაც დავობენ. ტრადიციულად აღიარებულია, რომ სინამდვილე აისახება მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის მიერ. მათგან პირველი ორის სპეციფიკა თითქოს ურყევად არის დადგენილი — მეცნიერება იყენებს ცნებებს, ხელოვნება — სახეებს. მაგრამ რა სპეციფიკა გააჩნია პუბლიცისტიკას? ტრადიციულ განსაზღვრებაში, რომ პუბლიცისტიკა არის თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საჭირო-როტო საკითხების ამსახველი ლიტერატურა, მისი სპეციფიკა მინიშნებული არ არის. ღიად დავტოვოთ ეს საკითხი? რატომ, განა ეს გამოსავალია? ხომ არ დავადგეთ იმ აზრს, რომ პუბლიცისტიკის სპეციფიკად მივიჩნით მეცნიერებიდან რკვევის, ანალიზის წამოღება, ხოლო ხელოვნებიდან, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურიდან, გარკვეული დოზით — სახეებით აზროვნების ხერხის გამოყენება? იქნებ ვირწმუნოთ, რომ ამ სინთეზით, ნაერთით ვიღებთ თვისობრივად

ახალ რამეს, პუბლიცისტიკას? მართალია, პუბლიცისტიკის სხვადასხვა ჟანრში ცნებები და სახეები სხვადასხვა ზოთ შემოდის, მაგრამ საერთოდ ხომ შემოდის? ამას უნდა ვამჩნევდეთ“ (დაყოფა ჩვენია. — დ. გ.).

პირველ ყოვლისა, ჩვენ არსად არ გვიცდია პუბლიცისტიკის რაობის განსაზღვრა, ვინაიდან იგი საკმაო სიღრმითა და სისრულით არის გარკვეული მეცნიერულ ლიტერატურაში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით.

ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ ნაშრომში „რევოლუციური დღეები“ (1905 წ.) სავსებით გასაგებად მიუთითა პუბლიცისტიკისა და პუბლიცისტთა მთავარ დანიშნულებაზე: „ჩვენ უნდა ვაკეთოთ პუბლიცისტების მუდმივი საქმე — ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია...“¹ (ხაზი ჩვენია. — დ. გ.).

ვ. ი. ლენინის ამ განმარტებას ემყარება პუბლიცისტიკის ყველა თეორეტიკოსი, როცა ისინი პუბლიცისტიკის რაობაზე მსჯელობენ, და, ცხადია, სწორადაც იქცევა. ამიტომ სრულიად გაუგებარია რატომ უწოდებს პუბლიცისტიკის ამგვარ განმარტებას პროფ. ტ. კვანჭილაშვილი „ტრადიციულს“ და რატომ ფიქრობს, რომ მასში „მინიმუმებული არ არის“ მისი სპეციფიკა?

მართალია, პუბლიცისტიკის თეორიის ბევრი საკითხი ჯერ კიდევ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს, ამ მიმართულებით უადრესად სერიოზული კვლევა-ძიება ჩასატარებელი, მაგრამ მთავარი მაინც გარკვეულია. კერძოდ, სადავო აღარაა, რომ პუბლიცისტიკა არის თანამედროვეობის ისტორია მთელი მისი სისრულით; იგი ემყარება ცნებებით აზროვნებას და, განსხვავებით მეცნიერებისაგან, განკუთვნილია მასობრივი მკითხველისათვის.

პროფ. ტ. კვანჭილაშვილმა იქნებ მართლაც მონახა უფრო არსებითი ხასიათის ნიშან-თვისებები პუბლიცისტიკის სპეციფიკის საჩვენებლად? კეთილი და პატიოსანი. მაგრამ რა მიაჩნია მას პუბლიცისტიკისთვისებრივად განსხვავებულ სპეციფიკად? თუ მის სიტყვებს ვერწმუნებით, პუბლიცისტიკის სპეციფიკად უნდა მივიჩნიოთ „მეცნიერებიდან რკვევის, ანალიზის წამოღება, ხოლო ხელოვნებიდან, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურიდან, გარკვეული დოზით — სახეებით აზროვნების ხერხის გამოყენება“.

¹ ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 108.

დიახ, მისი თქმით, სწორედ „ამ სინთეზით, ნარევით ვიღებთ თვე-
სობრივად ახალ რამეს, პუბლიცისტიკას“.

როგორც ვხედავთ, პროფ. ტ. კვანჭილაშვილმა არათუ მოუ-
ნახა სპეციფიკა პუბლიცისტიკას, არამედ მთლად მოუსპო იგი და
დაიყვანა რაღაც ისეთ „ნარევამდე“, რომელიც აზროვნების სხვა
სფეროთაგან „მოპარული“ ხერხებისა და საშუალებების მექანი-
კურ ნაერთს წარმოადგენს. ამით მან პუბლიცისტიკას დაუქარგა
თვითმყოფი ბუნება და აზროვნების სისტემაში იგი გამოაცხადა
რაღაც ჰიბრიდულ მოვლენად.

ამგვარად, პროფ. ტ. კვანჭილაშვილი სრულიად უსაფუძვლოდ
გვისაყვედურებს, თითქოს პუბლიცისტიკის რაობის გარკვევაში
შეცდომა დაგვეშვას. პუბლიცისტიკის რაობა დიდი ხანია გარკვეუ-
ლია და ის არც ვაგვიხდია საკამათოდ. რაც შეეხება მხატვრული
ლიტერატურის, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების ურთიერთმი-
მართებას, ამის შესახებ საგვებით გასაგებად არის ჩვენს წერილში
ნათქვამი: „...როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე პუბლი-
ცისტიკა და მეცნიერებაც მიზნად ისახავენ სინამდვილის ასახვასა
და შეცნობას, რისთვისაც პირველი მხატვრულ სახეებს იყენებს,
უკანასკნელნი კი ცნებებს (ამ შემთხვევაში „ცნების“ შეცვლა „სი-
ლოგიზმით“, როგორც ამას ზოგიერთი* აკეთებს, შეცდომაა). ამას-
თან მათ შორის ჩინური კედელი არ არსებობს არც ფორმისა და
არც შინაარსის მიხედვით, თუმცა განსხვავება ისე საგრძნობია,
რომ ცალ-ცალკე სფეროებად წარმოგვიდგებიან. კერძოდ, წარმო-
უდგენელია მხატვრული ლიტერატურა პუბლიცისტური (ხშირად
კი მეცნიერული) ხერხებისა და საშუალებების გამოუყენებლად;
ასევე პუბლიცისტიკა (და ხშირად მეცნიერებაც) — მხატვრული
სახეებისა და გამოთქმების გვერდის ავლით. მაგრამ ამოსავალი ამ
შემთხვევაში ის არის, რომ მხატვრული ლიტერატურა იდეურ მი-
ზანდასახულობას მხატვრული სახეებით აღწევს, ხოლო პუბლი-
ცისტიკა და მეცნიერება — ცნებებზე დაყრდნობილი მსჯელობით.
ე. ი. ავტორის ნიჭისა და ჟანრის ხასიათის შესატყვისად, მწერალი,
პუბლიცისტი და მეცნიერი ურთერთს ესესხებიან, მაგრამ ამგვარი
„ნასესხები“ მხოლოდ „საკაზმია“ (დამხმარე საშუალება) და არა
მთავარი ამოსავალი“.

პატივცემული ოპონენტი რომ სათანადოდ გარკვეულიყო

* ჩვენ მხედველობაში გვქონდა ტ. კვანჭილაშვილის შემდეგი სიტყვები:
„ჟურნალისტიკაში დომინანტური ადგილი სილოგიზმებით აზროვნე-
ბას ეთმობა“ (იხ. მისი „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები“, 1970,
გვ. 19).

ჩვენს ამ ნათქვამში, ვფიქრობთ, მას სადავო აღარაფერო ექნებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, იგი აღაშფოთდა იმ წყებად ღია კარის მტვრევას და გამარჯვებულის პოზიციით დააყენებდა კითხვას: „მართალია, პუბლიცისტის სხვადასხვა ჟანრში ცნებები და სახეები სხვადასხვა დოზით შემოდის, მაგრამ საერთოდ ხომ შემოდის?“

გაუგებარია, ვის ეკამათება პროფ. ტ. კვანჭილაშვილი. ჩვენც ხომ საგანგებოდ გვაქვს ხაზი გასმული ამ გარემოებისათვის? მაგრამ იგი მიგვაჩნია პუბლიცისტის არა არსებით და სპეციფიკურ მხარედ, არამედ მისი ბუნების ერთ-ერთ ნიშან-თვისებად, ისევე როგორც მხატვრულ ლიტერატურაში პუბლიცისტური ელემენტის არსებობა.

პროფ. ტ. კვანჭილაშვილის მეორე შენიშვნაში კვითხულობთ: „გაუგებარია პროფ. დ. გამეზარდაშვილის ასეთი მსჯელობა: „ნიჭიერი პუბლიცისტი და მეცნიერი მეტად იყენებენ მხატვრულ სახეებს, უნიჭონი კი — უფრო ნაკლებად“. ეს არ არის სწორი, რადგან მეცნიერს ეს არ ეხება. აქ პიროვნების ნიჭი კი არ არის განმსაზღვრელი, არამედ სინამდვილის ამსახველი დარგის თავისებურება. როდის აქეთ ხდება, რომ ნიჭიერი მეცნიერი „მეტად იყენებს მხატვრულ სახეებს?“ მეცნიერს მომარჯვებული აქვს თანმიმდევრული, მკაცრი, ლოგიკური დასაბუთების ხერხი და მას „სახეები“ არ სჭირდება. ყოფილა შემთხვევა, როცა ზოგ მეცნიერს ნაშრომის „გამხატვრულებისათვის“ საყვედურიც დაუმსახურებია“.

პატივცემული ოპონენტის ეს შენიშვნა, თუნდაც მასზე ჩვენი წერილიდან მის მიერ უხეიროდ ამოგლეჯილი ფრაზის მიხედვითაც რომ ვიმსჯელოთ, უსაფუძვლოა და გაუგებრობაზეა აგებული. მაგრამ, სანამ ამას კონკრეტულად ნათელგყოფდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს მოვავალოთ, თუ როგორ კონტექსტში გვაქვს ეს ფრაზა მოცემული. „ნიჭიერი მწერალი, — ვწერთ ჩვენ, ... ნაკლებად მიმართავს პუბლიცისტურ მსჯელობას, ნაკლებად ნიჭიერი კი მეტად; ნიჭიერი პუბლიცისტი და მეცნიერი მეტად იყენებენ მხატვრულ სახეებს, უნიჭონი კი — უფრო ნაკლებად. მაგრამ ეს გარემოება ყოველთვის ნიჭით როდი აიხსნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასში გარკვეული „დანაშაული“ მიუძღვის ჟანრის ბუნებას. ლექსში პუბლიცისტური მეტად იშვიათი მოვლენაა, პროზაში — შედარებით ხშირი; რეპორტაჟში მხატვრული სახე და მხატვრული გამოთქმა იშვიათია, ფელეტონში კი უფრო უხვად გვხვდება. მეტიც, ფელეტონი სხვაგვარად წარმოუდგენელიც არის,

რადგან იგი უიუმოროდ არ არსებობს, იუმორი კი თავისთავად მოითხოვს მხატვრულ ამალღებას. ამის მიუხედავად, ფელეტონი პუბლიცისტური ჟანრია, იდეური აზრის მიტანა მკითხველამდე მასში ყოველთვის ცნებებზე აგებულ მსჯელობას აქვს „დავალე-ბული“... და არა გამოყენებულ მხატვრულ სახეებს (ეს უკანასკნელი მხოლოდ ხელს უწყობს პირველის გამოკვეთას)“.

ვფიქრობთ, ჩვენი ეს სიტყვები და ეს თვალსაზრისი მართე-ბულია. თუმცა არც იმას დავმაღავთ, რომ ჯობდა გაზეთში დაბეჭდ-ვისას რედაქციული ცვლილება არ განეცადა ტ. კვანჭილაშვილის მიერ ციტირებულ ფრაზას და დარჩენილიყო ისე, როგორც იყო: „ნიჭი-ერი პუბლიცისტი და მეცნიერი მეტად იყენებენ მხატვრულ სახეებსა და მხატვრულ გამოთქმებს“. „მხატვრული გამოთქმების“ გამოკლებამ მართლაც რომ დააკლო სიზუსტე წამოყენებულ შეხე-დულებას, თუმცა აზრი მაინც სწორი დარჩა. მხატვრული სახე-ების (და მით უმეტეს მხატვრული გამოთქმების) მომარჯვება სწო-რედ ნიჭიერ და ერუდირებულ მეცნიერებს ძალუძთ და ამგვარი შემთხვევები სრულიადაც არ წარმოადგენენ იშვიათობას. ცხადია, გარკვეულ როლს ასრულებს ის გარემოებაც, მეცნიერების თუ რომელ სფეროს ეხება საკითხი. ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ცხადია, მეტად იყენებს მხატვრულ სახე-ებსა და მხატვრულ გამოთქმებს, ქიმიკოსი, ბიოლოგი, მათემატი-კოსი — უფრო ნაკლებად. მაგრამ ტ. კვანჭილაშვილის კატეგორი-ული მტკიცება თითქოს მეცნიერს მხატვრული სახეები არ სჭირ-დებოდეს, ყოველნაირად მცდარია. საკითხი ეხება მეცნიერის მიერ მხატვრული სახეების არა შექმნას, არამედ მის გამოყენებას. რაც შეეხება იმას, რომ „ზოგ მეცნიერს ნაშრომის „გამხატვრულები-სათვის“ საყვედურიც დაუშსახურებია“, ეს მხოლოდ იმაზე მეტყვე-ლებს, რომ მხატვრული სახეებისა და მხატვრული გამოთქმების გამოყენება უცხო არ ყოფილა მეცნიერებისათვის, მაგრამ ზომიე-რება ხომ ყველგან და ყველაფერში საჭიროა (და თუ ამ ჭეშმარი-ტებას ჩვენი ოპონენტიც მეტ ანგარიშს გაუწევდა, ცუდი არ იქ-ნებოდა!).

პატივცემული ოპონენტის მესამე შენიშვნა „დაუშსახურებია“ ჩვენს შემდეგ სიტყვებს: „გაუგებრობაში მოხვედრილი ზოგიერთი ავტორი «პუბლიცისტური ჟანრების» ნაცვლად, შეცდომით ხმარობს ტერმინს «საგაზეთო ჟანრებს», «ჟურნალისტურ ჟანრებს»...“ პროფ. ტ. კვანჭილაშვილი გაკვირვებული კითხულობს: «რა შეც-დომაზეა აქ ლაპარაკი? ცხადია, არსებობს ტერმინი „პუბლიცის-ტური ჟანრები“, მაგრამ ვანა ეს გამოორიცხავს შესაძლებლობას,

რომ არსებობდეს ტერმინი „ჟურნალისტური ჟანრები“? არა, არ გამორიცხავს და აი რატომ. ჯერ ერთი, გაზეთში იბეჭდება მრავალი ისეთი მასალა, რომელიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ პუბლიცისტიკას. ასეთთა რიცხვში შეიძლება მოექცეს ზოგიერთი ინფორმაციული მასალა. მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის. წინათ ჟურნალისტიკა შედგებოდა მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებისაგან, რომლებიც უმეტესად პუბლიცისტიკას იყენებდნენ. მაგრამ ვითარება შეიცვალა. ჟურნალ-გაზეთებს მხარში ამოუდგა რადიომალწიფებლობა, ტელევიზია, კინოჟურნალისტიკა, ფოტოჟურნალისტიკა. ყველა ამათი ერთობლიობა ქმნის თანამედროვე ჟურნალისტიკას. მათ კი სინამდვილის ასახვის მრავალი ფორმა და ჟანრი გააჩნიათ, მხოლოდ პუბლიცისტიკური ჟანრები მათ აღარ ჰყოფნით. გაჩნდა იმისი საჭიროება, რომ შექმნილიყო უფრო ტევადი ტერმინი, რომელიც თანამედროვე ჟურნალისტიკის ყველა ჟანრს მოიცავდა. ასეთი ტერმინია „ჟურნალისტური ჟანრები“. ასე რომ, „პუბლიცისტურ ჟანრებს“ თავისი შინაარსი აქვს, „ჟურნალისტურ ჟანრებს“ კი — თავისი. გარკვეული აზრით ორივეს არსებობა გამართლებულია. რაც შეეხება ტერმინს „საგაზეთო ჟანრები“, მას პირობითად იყენებენ. მაგალითად, ასე ეწოდება მოსკოვის უნივერსიტეტის დიდი სპეციალისტების კრებულს ჟურნალისტიკის თეორიაში („გაზეთნიე ჟანრი“, 1955 წ., „საბჭოთა გაზეთის ჟანრები“, მ., 1959 წ. ორივე რუსულ ენაზე) და ზოგ სხვა წიგნსაც.

თუმცა ამონაწერი მოზრდილი გამოგვივიდა, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ამონაწერის ყოველი ფრაზა გაკვირვებას იწვევს და მათი კრიტიკა დღეისათვის ანაქრონიზმიც კი არის! პატივცემული ოპონენტი ამჟამად, ალბათ, თვითონაც აღარ იზიარებს თავის ამ შეხედულებებს, მაგრამ მაინც იძულებული ვართ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მათ მიმართ ჩვენი დამოკიდებულების შესახებ.

პირველ ყოვლისა, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჟურნალისტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობაა. ამიტომ მას ჟანრები არ შეიძლება ჰქონდეს. მას აქვს თავისი ფორმები და მეთოდები, რომელთა შესწავლა, ცხადია, არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია ცნების „ჟურნალისტური ჟანრების“ შემოტანა და მისი გამართლება. ეგვე ითქმის „საგაზეთო ჟანრების“, მით უმეტეს „საბჭოთა გაზეთის ჟანრების“ შესახებაც. ჟანრებზე არ შეიძ-

ლება იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ როგორი იდეური შინაარსის მასალაა მიწოდებული მისი საშუალებით. რეპორტაჟი, ტერმინი, ნარკვევი, ჩანახატი თუ სხვა ჟანრები, როგორც საბჭოთა, ასევე, ბურჟუაზიულ პრესაშიც თავიანთ ჟანრობრივ თავისებურებებს ინარჩუნებენ. სხვა საქმეა, რა მიზანს ისახავენ და ვის ინტერესებს ემსახურებიან ისინი. ამ მხრივ, ცხადია, არსებითი განსხვავებაა, ისევე როგორც, მაგალითად, საბჭოთა და ბურჟუაზიულ მწერალთა მიერ დაწერილ სონეტებს შორის. მაგრამ სონეტი ხომ მაინც სონეტია!

მთავარი კი მაინც ისაა, რომ ცნება „საგაზეთო ჟანრები“ მოკლებულია რეალურ საფუძველს. გაზეთი და, საერთოდ, ჟურნალისტიკა იყენებს ყველა იმ ჟანრს, რომლებიც პუბლიცისტიკას, მხატვრულ ლიტერატურას, მეცნიერულ გამოკვლევებს მოეპოვებათ. ჟურნალისტიკას სხვა ჟანრები არ გააჩნია. მაშასადამე, უნდა ვილაპარაკოთ არა საგაზეთო ჟანრებზე, არამედ პუბლიცისტიკის, მხატვრული ლიტერატურისა და მეცნიერული გამოკვლევების ჟანრთა გამოყენებაზე პრესაში, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში. ასეც იქცევა ყველა, ვინც საფუძვლიანად ერკვევა ასახვის თეორიის პრინციპებში.

მართალი არ არის პატივცემული ოპონენტი, როცა „გვარწმუნებს“, რომ ტერმინი „საგაზეთო ჟანრები“ თითქოს პირობითად გამოიყენებოდა. სინამდვილეში როგორც „ჟურნალისტური ჟანრები“, ისე „საგაზეთო ჟანრები“ თვითონ მასაც და ზოგ-ზოგ სხვასაც, სამწუხაროდ, ყოველთვის „პუბლიცისტური ჟანრების“ სინონიმად აქვთ ნახმარი. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, თუ ტერმინი „პუბლიცისტური ჟანრები“ თითქმის გამჭრალია მათ ლექსიკონში.

პატივცემულ ოპონენტს სურს, რომ ამ შეცდომა-უზუსტობათა გამო მთელი პასუხისმგებლობა რუს ავტორებს „გადაულოცოს“, მაგრამ სხვისი შეცდომების ასე უკრიტიკოდ გაზიარებაც განაშინა? საქმეს ვერც ის შველის, რომ „საგაზეთო ჟანრები“ და „საბჭოთა გაზეთის ჟანრები“ ეწოდება იმ კრებულებს, რომლებიც, პატივცემული ოპონენტის თქმით, მოსკოვის უნივერსიტეტის „დიდსაპეციალისტებს“ გამოუციათ. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიაში ინტენსიური კვლევა-ძიება მხოლოდ ორმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. დასამალი არც ის არის, რომ ამ დარგის მკვლევართა პირველი თაობის უმეტესობას შეადგენდნენ პრაქტიკულ ჟურნალისტურ საქმიანობაში ანდა ჰუმანიტარული მეცნიერების ზოგიერთ დარგში ხელმოცარული

ადამიანები. ამიტომაც, რომ ჟურნალისტიკის თეორიის თანამედროვე მკვლევართ საგანგებო მუშაობა სჭირდებათ მათ მიერ დანტვირთული გზის გასაწმენდად...

მაგრამ პატივცემული ოპონენტი ვერც იმას მალავს, რომ წშირად იგი შეცდომაში შეჰყავთ არა სხვა ავტორებს, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს! მაგალითად, იგი ჟურნალისტიკის თეორიას სთავაზობს სრულიად ახალ „აღმოჩენას“, რომლის „დასაბუთება“ პირადად მას ეკუთვნის. კერძოდ, იგი „გვარწმუნებს“, რომ მას შემდეგ, რაც ჟურნალ-გაზეთების გვერდით გაჩნდა მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა რადიომუწყებლობა და ტელევიზია (პლუს ამას ფოტოჟურნალისტიკა და კინოჟურნალისტიკა), წარმოიშვა რაღაც ისეთი ჟანრები, რომლებიც ვერც პუბლიცისტიკის, ვერც ლიტერატურის, ვერც ხელოვნებისა და ვერც მეცნიერების სფეროში ვერ თავსდებათ, ამიტომაც საჭირო ხდება შეიქმნას უფრო ტევადი ტერმინი — „ჟურნალისტური ჟანრები“. მაგრამ რომელია ეს ჟანრები? ამის შესახებ პროფ. ტ. კვანჭილაშვილი არსებითად ვერაფერს ამბობს და ვერც იტყვის, ვინაიდან არ გაჩენილა არც ერთი ისეთი ჟანრი, რომელიც პუბლიცისტიკის, მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების ან მეცნიერების სფეროს არ განეკუთვნებოდეს. და მაინც მოვუსმინოთ რას ამბობს იგი: „გაზეთში იბეჭდება ბევრი ისეთი მასალა, რომელიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ პუბლიცისტიკას. ასეთთა რიცხვში შეიძლება მოექცეს ზოგიერთი ინფორმაციული მასალა“. რას ნიშნავს ეს? გაზეთში რომ ბევრი ისეთი მასალა იბეჭდება, რომელიც არ შეიძლება პუბლიცისტიკას მიეკუთვნოს, ვფიქრობთ, ყველასათვის ცნობილი ამბავია. მაგრამ გაუგებარია რის თქმა უნდა მას, როცა წერს: „ასეთთა რიცხვში შეიძლება მოექცეს ზოგიერთი ინფორმაციული მასალა“. ბუნებრივად ისმის კითხვა: რომელ ინფორმაციულ მასალაზეა მსჯელობა? თუ ინფორმაციაა, რატომ არ განეკუთვნება იგი პუბლიცისტიკას? ამის შესახებ ჩვენი ოპონენტი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერს გვეუბნება (ქვემოთ საგანგებოდ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას იმაზე, თუ რა „ინფორმაცია“ აქვს მას მხედველობაში).

ამგვარად, პროფ. ტ. კვანჭილაშვილის არც მესამე შენიშვნა ამბობს რაიმეს მის სასარგებლოდ. ამიტომ დაბეჯითებით ვურჩევთ მას უფრო დაკვირვებით წაიკითხოს ჩვენი წერილის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ადამიანის შემოქმედებითი აზრის ნაყოფი, რომელიც სიტყვის საშუალებით გა-

მოხატება, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ სამ სფეროს/ქმნის: მხატვრულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკასა და მეცნიერებას. აქედან გამომდინარე, წერილობით (თუ ზეპირსიტყვიერად) გაფორმებული შემოქმედებითი ნაზრევი რომელიმე ამ სფერო-თავანს უნდა განეკუთვნებოდეს. ამიტომ ქანრებიც მხოლოდ მათ (მხატვრული ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება) აქვთ. მართალია, მეცნიერული გამოკვლევების ქანრობრივ დაყოფას არ ვახდენთ, მაგრამ გამოკვლევათა სხვადასხვა სახეებად (მონოგრაფია, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თეორიული სტატია და სხვა) დაყოფა ანალოგიურ პრინციპებს ემყარება“.

თავისი მეოთხე შენიშვნა პროფ. ტ. კვანჭილაშვილს ასე აქვს ჩამოყალიბებული: „გაკვირვებას იწვევს „პრესა და ქანრების“ ის ადგილი, სადაც ავტორი აცხადებს, რომ საჭირო არ არის ყველა საგანეთო მასალას დაეძებნოს თავისი ადგილი. ამისი გაზიარება გაჭირდება. თეორია და მეცნიერება იმისათვის არის, რომ კონკრეტულ დარგში ყველაფერს შეისწავლიდეს. წარმოვიდგინოთ, ზოგად ენათმეცნიერებაში ვინმემ თქვას, რომ ინგლისურს, რუსულს, გერმანულს, ფრანგულს... უნდა შევისწავლიდეთ, მოვაქცევდეთ მათ ენათა რომელიმე ოჯახში, რადგან ისინი „დიდი ენებია“, ხოლო ე. წ. „პატარა ენებს“ უყურადღებოდ უნდა ვტოვებდეთ? ანდა განა შეიძლება წარმოვიდგინოთ გეოგრაფიულ მეცნიერებაში მომუშავე კაცი, რომელიც დაიწყებს მტკიცებას, უნდა შევისწავლოთ ოკეანეები, რადგან ისინი დიდებია, ხოლო ტბების შესწავლა საჭირო არ არის, რადგან ისინი პატარებია? ამას არავინ იზამს. ასევეა საქმე ყურნალისტიკის თეორიაშიც. ნარკვევი იქნება თუ სტატია ან სხვა „დიდი“ ქანრი, ისევე უნდა შევისწავლოთ, როგორც მცირე მასალები — „ცნობები“, „ცხრილები“, „შემთხვევა“, „ქრონიკა“ და სხვ., რადგან მათ გაზეთში ადგილი უკავია. ან რა არის აქ სადავო? ეს საკითხები სპეციალისტების მიერ დიდი ხნის გადაწყვეტილია, მათ ეწოდება «ინფორმაციის მცირე ფორმები»“.

ეს ამონაწერი თვითონ ახასიათებს ავტორის ლოგიკასა და ერუდიციას. ამიტომ მკითხველისათვის შეიძლება საჭიროც არ იყოს რაიმე განმარტება, მაგრამ ამჯერად საკუთრივ პატივცემულ ოპონენტს გვინდა ვაგრძნობინოთ (თუ შეეძელით!), რომ იგი ამოდ მიმართავს მთელ ამ დემაგოგიურ ტირადას.

პირველ ყოვლისა, პროფ. ტ. კვანჭილაშვილი მკითხველს სრულიად დამახინჯებულად აცნობს ჩვენს შეხედულებას და, ეს რომ ჩაიღინოს, განზრახ არ მოჰყავს სათანადო ამონაწერი ჩვენი წერილიდან: მაშინ ხომ ჩვენთან საკამათო თითქმის აღარაფერი დარ-

ჩებოდა და თავსაც ველარ გამოიჩინდა როგორც ჟურნალისტიკის „თეორეტიკოსი“.

აი, ჩვენი წერილის ის ადგილი, რომელსაც პროფ. ტ. კვანჭილაშვილი ასე ირონიულად დასცინის და მის ავტორს ადარებს იმ „გეოგრაფთა“, თუ იმ „ენათმეცნიერთ“, რომლებიც იტყოდნენ, რომ ოკეანეები შევისწავლოთ ვინაიდან ისინი დიდები არიან, ტბებს კი თავი დავანებოთ, რადგან პატარებიან; დიდი ენები შევისწავლოთ, ხოლო პატარები — არაო (თუმცა ენათა ამგვარ დაყოფას ენათმეცნიერება არ იცნობს!).

„უნდა ისიც გვახსოვდეს, — ვწერთ ჩვენ, — რომ გაზეთის (თუ ჟურნალის) ფურცლებზე დაბეჭდილი ყოველი მასალა არ შეიძლება მივაკუთვნოთ ლიტერატურის, მეცნიერების, თუ პუბლიცისტიკის ამა თუ იმ ჟანრს. ჟანრული გამორჩევის პრეტენზია აქვს მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი აზრის ნაყოფს, როგორც ეს ხაზგასმით გვაქვს აღნიშნული. რაც შეეხება სხვადასხვა ხასიათის განცხადებებს, „მშრალ“ ინფორმაციულ ცნობებს, სტატისტიკურ ცხრილებს, ანდა „ნარევს“, „შემთხვევის“, „ქრონიკის“ თუ სხვა ამგვარი რუბრიკებით მოთავსებულ მასალას, რომელთაც მხოლოდ ფაქტების შეტყობინება აქვთ მიზნად და მოკლებულნი არიან საგანგებო კომენტარს, პუბლიცისტურ გააზრებასა და ავტორის დამოკიდებულების გამოვლენას, ე. ი. არ გააჩნიათ სპეციფიკური მხატვრულ-პუბლიცისტური საფუძველი, ცხადია, ისინი არც ერთ შემოქმედებით ჟანრს არ მიეკუთვნებიან“.

ამგვარად, ჩვენ არსად არ გვითქვამს, რომ „საჭირო არ არის ყველა საგაზეთო მასალას დაეძებნოს თავისი ადგილი“. ჩვენ მხოლოდ იმაზე მივუთითეთ, რომ გაზეთისა თუ ჟურნალის ფურცლებზე მოთავსებული ყველა მასალა არ შეიძლება ჩაითვალოს შემოქმედებითი აზრის ნაყოფად და არ შეიძლება გამოცხადდეს მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის ან მეცნიერული გამოკვლევის ჟანრად და სახედ.

რა არის ამ შეხედულებაში მცდარი? განა სამგლოვიარო და სხვა მრავალი სხვადასხვა სახის განცხადებები, ლატარიის მოგებათა ცხრილები, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემათა პროგრამები და სხვა ამგვარი მასალა, რაც კი გაზეთებში იბეჭდება, პუბლიცისტურ ჟანრებს უნდა მივაკუთვნოთ?

დიახ, თუ პროფ. ტ. კვანჭილაშვილს ვერწმუნებით, ისინი დიდი ხანია სპეციალისტებს თურმე პუბლიცისტიკისათვის მიუკუთვნებიან და მათთვის „ინფორმაციის მცირე ფორმები“ უწოდებიან. მაგრამ ეს ასე არ არის. ინფორმაციის მცირე ფორმებში, პირდა-

პირ თუ არაპირდაპირ, გამოვლენილია მოყვანილი ფაქტის პუბ-
ლიცისტური დანიშნულება, ამასთან ავტორისა თუ საზოგადოებ-
რივი აზრის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. და ეს რომ ასეა,
ამისათვის დავიმოწმებთ თვით პროფ. ტ. კვანჭილაშვილის მიერ
„მოკლე ინფორმაციული შენიშვნის“ საილუსტრაციოდ მოხმობილ
მასალას.

„მოკლე ინფორმაციული შენიშვნა, — წერს
პროფ. ტ. კვანჭილაშვილი, — ყოველგვარი კომენტარის გარეშე
გვატყობინებს მხოლოდ ფაქტს, რომელსაც, ცხადია, უნდა ჰქონდეს
საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მაგალითად:

„შესრულებულია ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.
მოკრეფილია 201.600 ტონა ჩაის ფოთოლი. კრეფა გრძელდება“
(„კომუნისტი“, 19 აგვისტო, 1966 წ.)²“.

ამაზე იტყვიან, ტყეში არის და ხეს ვერ ხედავსო! თორემ
განა შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ვაზეთ „კომუნისტიდან“ პროფ.
ტ. კვანჭილაშვილის მიერ ციტირებული მასალა მხოლოდ ფაქტს
გვატყობინებს ყოველგვარი კომენტარის გარეშე? პირიქით, სამი
ფრაზისაგან შემდგარ ამ ინფორმაციაში ორი ფრაზა („შესრულე-
ბულია ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა“, „კრეფა გრძელდე-
ბა“) წარმოადგენს მრავლისმეტყველ კომენტარს, ხოლო ერთად
(„მოკრეფილია 201.600 ტონა ჩაის ფოთოლი“) — ფაქტის შეტყო-
ბინებას.

ასე რომ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოკამათესთან, რომელსაც
არასწორად ესმის თვით ცნებები, რის გამოც ხშირად წინააღმდე-
გობაშია „საკუთარ“ თავთანაც. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ დამა-
ტებით მოვიშველიებთ პატივცემული ოპონენტის „მოსაზრებას“
თვით საპასუხო წერილიდან („ზოგჯერ თქმა სჯობს“...).

ჩანს, ამ საკითხზე გამოთქმული ჩვენი შეხედულების გაცნობის
შემდეგ პროფ. ტ. კვანჭილაშვილს გაუზიარებია ეს შეხედულება
და, როცა „პუბლიცისტური ჟანრების“ პარალელურად „ჟურნა-
ლისტური ჟანრების“ არსებობის საჭიროებას „ამტყიცებს“, გარკ-
ვევით წერს: „ვაზეთში იბეჭდება ბევრი ისეთი მასალა, რომელიც
არ შეიძლება მივაკუთვნოთ პუბლიცისტიკას. ასეთთა რიცხვში შე-
იძლება მოექცეს ზოგიერთი ინფორმაციული მასალა“.³

² ტ. კვანჭილაშვილი. საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხე-
ბი. 1970, გვ. 32.

³ ტ. კვანჭილაშვილი. ლიტერატურული წერილები და პორტრე-
ტები. 1974, გვ. 151.

ისმება კითხვა: ამ სიტყვების ავტორს რაღა აქვს ჩვენთან სა-
დავო? ეს ხომ არსებობდა ჩვენი შეხედულების გამეორება? კვლევის
1933
ეს ასეა, მაგრამ მეორე საკითხზე დავის დროს, როგორც ვნახეთ,
პატივცემულ ოპონენტს დასჭირდა „დავიწყებოდა“ რამდენიმე
აბზაცით ადრე ნათქვამი ეს სიტყვები და ამგვარი „ზოგიერთი
ინფორმაციული მასალა“ კატეგორიული ტონით გამოეცხადებინა
პუბლიცისტიკის ჟანრად („ინფორმაციის მცირე ფორმად“), თანაც
ამის გამო ჩვენ ისეთ გეოგრაფებსა და ენათმეცნიერებს შეგვადარა,
რომელთა მსგავსნი ბუნებაში არ არსებობენ.

დასასრულ, პატივცემულ ოპონენტს გვინდა მოვავაგონოთ
შემდეგი: „დიახ, მეცნიერება (და არა თეორია და მეცნიერება! —
დ. გ.) იმისათვის არის კონკრეტულ დარგში ყველაფერს შეისწავ-
ლიდეს“, მაგრამ მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენს
ესა თუ ის მოვლენა. ჩვენ ის კი არ გვითქვამს, რომ გახეთის ფურ-
ცლებზე დაბეჭდილ ყველა მასალას შესწავლა არ უნდა, როგორც
ამას პატივცემული ოპონენტი მოგვაწერს, არამედ ის, რომ ყველა
მათგანის მიკუთვნება მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტი-
კის ან მეცნიერულ გამოკვლევათა ჟანრებისა თუ სახეებისათვის
შეუძლებელია. და ამ შემთხვევაში, როგორც უკვე ვნახეთ, ჩვენ
მხედველობაში გვაქვს ის მასალა, რომელიც ჩვეულებრივი გაგებით
ინფორმაციულია, მაგრამ ვერ წარმოადგენს პუბლიცისტიკის იმ
ჟანრს, რომელსაც „ინფორმაციას“ ვუწოდებთ. ამიტომაცაა, რომ
ასეთი მასალა ხშირად რედაქტორის ხელმოწერის ქვემოთ იბეჭ-
დება ხოლმე.

მეხუთე შენიშვნა ჟურნალისტიკის თეორიაში ერთი ფეხმოუ-
კიდებელი ტერმინის უფლებამოსილების საკითხს ეხება. პატივ-
ცემული ოპონენტი გვისაყვედურებს: „პროფ. დ. გამეზარდაშვილი
თავის სტატიაში წერს: „ხელოვნურად, რაც მთავარია, გაუმართ-
ლებლად მიგვაჩნია ტერმინი „მეორადი ასახვის ჟანრები“, რომე-
ლიც ზოგიერთ ავტორს „რეცენზიისა და პრესის მიმოხილვის
გამოსაყოფად შემოაქვს“. საკითხავია, რატომაა იგი ხელოვნური
და გაუმართლებელი? ამაზე პასუხი არ არის, მხოლოდ განცხადე-
ბაა. ჩვენს წიგნში განმარტებულია ამ ტერმინის არსი, მაგრამ იძუ-
ლებული ვართ, მოკლედ აქაც გავიმეოროთ. საქმე ისაა, რომ ყველა
სხვა ჟურნალისტიკური ჟანრით (გარდა რეცენზიისა და პრესის მიმო-
ხილვისა) უშუალოდ აისახება საზოგადოებრივი სინამდვილე, ხო-
ლო დასახელებული ორი ჟანრი ახდენს ერთხელ სხვის მიერ ასა-
ხულის შეფასებას, ე. ი. მეორად ასახვას. მაგალითად, რომანში
აისახება ცხოვრებისეული სინამდვილე, ხოლო მასზე დაწერილ

რეცენზიაში შეფასებულია ეს რომანი, ე. ი. აქ საქმე გვაქვს მეორად ასახვასთან, ასევე პრესის მიმოხილვაშიც, რომელიც ამომავალ რომელიმე გაზეთს. ამ ქანრების სპეციფიკა ესაა — მეორადი ასახვა.“

პროფ. ტ. კვანჭილაშვილი სწორად შეგვნიშნავს, რომ ჩვენ არ მოგვიცია იმის დასაბუთება, თუ რატომ ვიწუნებთ ტერმინს „მეორადი ასახვის ქანრები“, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველ ყოვლისა, სალამოს გაზეთის („თბილისის“) ფურცლებზე მოთავსებულ პატარა წერილში შეუძლებელი იყო ჟურნალისტიკის თეორიის ყველა სადავო საკითხი გაგვეშუქებინა. რაც მთავარია, ამგვარი განცხადებით დაგვკაყოფილდით იმიტომ, რომ მიზნად ვისახავდით მხოლოდ ყურადღება გავგვემახვილებინა ამ ტერმინის უმართებულობაზე. ვფიქრობთ, ჩვენს ასეთ დამოკიდებულებას ამ ტერმინის მიმართ სწორად გადმოსცემს სიტყვა „მიგვაჩინა“, რომელიც არ გულისხმობს იმის პრეტენზიას, რომ სხვებმაც ასე მიიჩნიონ. თუმცა იგი არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საბუთი არ გვქონდა ჩვენი შეხედულების გასამართლებლად.

საქმე ის არის, რომ ის ავტორები, რომელთა ნაშრომებზე დაყრდნობითაც პატივცემული ოპონენტი ამ ტერმინს („მეორადი ასახვის ქანრები“) იმეორებს, ისევე როგორც პროფ. ტ. კვანჭილაშვილი, უშეგებენ არსებითი ხასიათის შეცდომას. პირველ ყოვლისა, მათ „საზოგადოებრივი სინამდვილის“ ნაწილად არ მიაჩნიათ მხატვრული ლიტერატურა, მეცნიერული გამოკვლევები, ხელოვნების ნაწარმოებები და პრესა (ჟურნალ-გაზეთები). ამასთან ერთად ისინი მხედველობიდან უშეგებენ იმ გარემოებას, რომ კრიტიკა (რეცენზია, პრესის მიმოხილვა) ასახულის ასახვას, თუ შეფასებას ახდენს არა უბრალოდ, ზერელედ, სინამდვილისაგან მოწყვეტილად, არამედ სინამდვილის ღრმა ანალიზისა და მისი შეფასების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქნება დამაჯერებელი და ჰეშმარიტი კრიტიკა. განა იშვიათად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა რეცენზიებში უფრო სწორად წარმოჩენილა სინამდვილე და მისი თავისებურება, ვინემ სარტყენზიო ნაწარმოებსა თუ ობიექტში? ნუთუ რეცენზენტთა მოვალეობაში არ შედის შეაფასოს ესა თუ ის ნაწარმოები სწორედ სინამდვილის მართებული ასახვის ინტერესიდან გამომდინარე? და ამ მიზანს იგი მიაღწევს სინამდვილესთან თავისი უშუალო დამოკიდებულების გამოვლენის გარეშე?

ანალოგიების მოყვარულ პატივცემულ ოპონენტს უნდა მოვავლოთ ისიც, რომ, თუ ამგვარი გზით წავალთ, საჭირო გახდება

კორექტივი შევიტანოთ ტერმინ „მეცნიერის“ გაგებაშიც: სახელი უნდა ეწოდოს მათ, ვინც ბუნებას სწავლობს, და სახელი მათ, ვინც ადამიანის აზრითა და ხელით შექმნილ ვილეს სწავლობს. გარდა ამისა, ველარ დავკმაყოფილდებოდით მხოლოდ „მეორეული (და არა მეორადი, როგორც ამ სიტყვას უმართებულოდ ხმარობს პროფ. ტ. კვანჭილაშვილი, — დ. გ.) ასახვის ქანრებით“, ვინაიდან არსებობს კრიტიკის კრიტიკაც და რეცენზიის რეცენზიაც, რის გამო საჭირო იქნებოდა დამატებითი ტერმინები: „მესამეული, მეოთხეული და ა. შ. ასახვის ქანრები“.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პროფ. ტ. კვანჭილაშვილი თვითონაც ვერ მალავს, რომ მის მიერ პუბლიცისტური ქანრების „გვარებად“ დაყოფას არ უდევს ერთიანი საფუძველი⁴. ასეთი საფუძველის გარეშე კი რომელი კლასიფიკაცია შეიძლება იყოს გასაზიარებელი?

არა გვგონია კეთილ სამსახურს უწევდეს პროფ. ტ. კვანჭილაშვილი პუბლიცისტიკის თეორიის შესწავლას მაშინაც, როცა თავის კოლეგებს ურჩევს: „ყველაზე უფრო გამართლებულად მიგვაჩნია, ჟურნალისტიკის თეორეტიკოსებმა ანალოგიისათვის მიმართონ მონათესავე დარგს — ლიტერატურის თეორიას. იქ მრავალი ქანრი დაჯგუფებულია მსხვილ ერთეულებად, რომელთაც გვარები ეწოდება“.

ამასთან დაკავშირებით პატივცემულ მკვლევარს უნდა მოვახსენოთ, რომ ჟურნალისტიკის თეორეტიკოსებმა პუბლიცისტიკის თეორია უნდა შეისწავლონ არა ლიტერატურის თეორიის ანალოგიით, არამედ როგორც განსხვავებული და თვითმყოფი სფერო. ამის შემდეგ კი შეუძლიათ იმსჯელონ იმ საერთოსა და ანალოგიურზე, რომელიც მათ შორის აღმოჩნდება და დადასტურდება.

თავის წერილს („ზოგჯერ თქმა სჯობს“...) პროფ. ტ. კვანჭილაშვილი ასეთი შენიშვნით ამთავრებს: „სინანულის გრძნობით უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ოპონენტები არ ითვალისწინებენ წიგნის წინასიტყვაობაში განცხადებულს იმის თაობაზე, რომ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში ავტორები მხოლოდ საკუთარს კი არ ემყარებიან, არამედ ეყრდნობიან და იყენებენ საერთოდ ამ დარგში მიღწეულ შედეგებს. ასეთი ვითარება ჩვენს წიგნშიც არის“.

„სინანულის გრძნობით“ ნათქვამ ამ სიტყვებს თუ ჩვენზეც

⁴ ტ. კვანჭილაშვილი. საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები. 1970, გვ. 32—33.


ავრცელებს, მაშინ პროფ. ტ. კვანჭილაშვილი აშკარად არაობიერ-
ტურია. ჩვენს წერილში მისი გვარი და სახელი საერთოდ არ გვხვებო-
ს. სენებია სწორედ იმის გამო, რომ იგი მიგვაჩნია ჩვენ მიერ შეკრულ
ტიკებულ შეხედულებათა არა ავტორად, არამედ მათ უკრიტიკოდ
გამზიარებლად. სახელმძღვანელოებისა თუ დამხმარე სახელმძღვა-
ნელოების ავტორებს კი მოეთხოვებათ დაეყარდნონ და გა-
მოიყენონ არა საეჭვო, დაუსაბუთებელი და მცდარი დებუ-
ლებები, არამედ უეჭველი და ნაკლებ სადავო განმარტებანი და
ცნებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა განაცხადონ ამის შესახებ
და მკითხველს თავიანთ დებულებად არ მოაჩვენონ ისინი.

პატივცემული კოლეგის საყურადღებოდ ამჯერად ვიტყვით
იმასაც, რომ თავის დამხმარე სახელმძღვანელოში იგი სიფრთხი-
ლესა და ზომიერებას კიდევ უფრო აშკარად ღალატობს მაშინ,
როცა საკუთარ დაკვირვებებსა და დასკვნებს სთავაზობს მკითხ-
ველს. ამ მხრივ თვალში საცემია მის მიერ სხვადასხვა ქანრთა
სახეებად დანაწილების გაუმართლებელი მეთოდი და ქანრთა გენე-
ზისის საქმეში გამოვლენილი „გამბედაობა“, რამაც იგი იქამდეც კი
მიიყვანა, რომ ტელეინფორმაციის წინამორბედად მიიჩნია მტრის
შემოსვენის შესატყობინებლად მთის წვერზე ცეცხლის დანთების
ძველი ტრადიცია.⁵

დასასრულ სათაურის („ზოგჯერ თქმა სჯობს...“) შესახებ.

მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება იმაში, რომ უყურადღებოდ
და პასუხის გარეშე არ დაგვიტოვებია პროფ. ტ. კვანჭილაშვილის
წერილის არც ტექსტი და არც ქვეტექსტი, მაგრამ, უნდა გულწრ-
ფელად ვაღიაროთ, ვერ გავერკვიეთ სათაურის შერჩევის პრინციპ-
სა და საბაბში. ამგვარი სათაური შეიძლებოდა ჰქონოდა კრიტიკოს-
თაგან უსამართლოდ გამწარებული და მოთმინებიდან გამოყვანილი
ავტორის წერილს. ასეთ მდგომარეობაში კი იგი არავის ჩაუყენებია.
პირიქით, არა მარტო საგანგებოდ ავარიდეთ თავი მისი გვარის ხსე-
ნებას, არამედ არც ერთი მკვახე ფრაზა არ გვიხმარია საერთოდ
ჩვენს წერილში. რაც მთავარია, როგორც ეს უკვე აშკარა გახდა,
მას სათქმელი არაფერი აქვს! ამიტომ გაკვირვებას იწვევს: რატომ
შეიყვანა იგი ცდუნებაში დიდებული აფორიზმის პირველმა ნაწილ-
მა („ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა“) და სრულიად უყურადღე-
ბოდ დატოვა მისთვის უდავოდ უფრო საჭირო მეორე ნაწილი
(„ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“)?

⁵ ტ. კვანჭილაშვილი. საბჭოთა ურნალისტიკის თეორიის საკი-
თები. 1970, გვ. 25.



რედაქციის აგაბ 5

ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები

Вопросы теории и практики журналистики

გ. ჯავახიშვილი. საზოგადოებრივი აზრის სტერეოტიპიზაცია ბექდ-
ვით სიტყვაში 9

А. Ш. Иоселiani. Некоторые жанровые и качественные
особенности молодежной публицистики как фактора фор-
мирования личности 29

И. В. Бичикашвили. «Заря Востока» — организатор литератур-
ных взаимосвязей Закавказья и России (1922—1932 гг.) . . . 55

В. С. Соколов. «Табль Ронд» — круглый стол антикомму-
нистов от литературы 88

Н. В. Габашвили. Газета «Унита» в период движения со-
противления Италии (1942—1945 гг.) 128

М. И. Шостак. Образный строй публицистического произве-
дения (понятийность и эмоциональность) 149

М. А. Микадзе. К вопросу о причинах зарождения «нового
журнализма» в США 162

ბ. ლეონიძე. სატელევიზიო კომუნიკაციის ზოგიერთი თავისებუ-
ლება 175

ჟურნალისტიკის ისტორიიდან

Из истории журналистики

დ. ჩიკვილაძე. ჟურნალი „გუთნის-დედა“ (1861—1876 წწ.) . . 197

ნ. ბოცვაძე. ალ. ცაგარელი — კრიტიკოსი გაზეთ „დროების“ ფურ-
ცლებზე 218

ვ. ყავლაშვილი გაზეთ „Kaukasische post“-ის უცნობი ნომერი . . 243

ლ. ჭუმბურიძე. რუსთველოლოგიური საკითხები გაზეთ „დროე-
ბაში“ 247

დ. შანშიაშვილი. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტო-
რიიდან 262

ი. მჭედლიშვილი. „კვალის“ პუბლიცისტიკის ძირითადი მოტივე-
ბი (1893 — 1896 წწ.) 307

მ. გოშაძე. აკაკი წერეთლისა და ხომლელის პოლემიკური ურთი-
ერთობის ისტორიიდან 331

ბ. იმედაძე. გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ეპისტოლარული მე-
მკვიდრეობის შესწავლისათვის 341

Н. Г. Дроздов. Из общественно-публицистической деятельнос-
ти Мамия Орахелашвили 351

Н. Л. Поракишвили. Руствелологические взгляды Н. И. Гу-
лака в оценке периодической печати Грузии 364

ტელეჟურნალისტიკის პრობლემები
Проблемы тележурналистики

Т. В. Паперашвили. Динамика изображения	387
Л. З. Кавиладзе. Роль телевидения в сближении культурного уровня города и деревни (по материалам сельских районов Грузинской ССР)	412

დისკუსია, პოლემიკა, გამომხმარებელი
Дискуссии, полемика, отзывы

И. А. Натрошвили. О сущности и роли публицистики в нашей общественной жизни	433
ჯ. ვათეიშვილი. მეცნიერული ქეშმარიტებისა და პაექრობის ეთიკის დასაცავად	439
ბ. ტაბიძე. პირველი ქართული გაზეთის მეცნიერული შესწავლისათვის	465
თ. დიდმამიშვილი, გ. ჯავახიშვილი. ზოგიერთი ჟურნალისტური ცნების მართებული გაგებისათვის	478
ი. ლორთქიფანიძე. ვის ეკუთვნის ფსევდონიმი — „სფირიდონ ჩიტორელიძე“?	487
დ. გამეზარდაშვილი. „... ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.	497

გამომცემლობის რედაქტორი ი. მჭედლიძე
ტექნორედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ა. შაქარიაანი

გადაეცა წარმოებას 15.05.78.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.08.78.
ჟე 01678. საბეჭდო ქაღალდი № 1 60×90¹/₁₆.
პირ. ნაბეჭდი თაბახი 32, 5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 31,08. ტირაჟი 800. შეკვეთის № 791.

ფასი 3 მან. 37 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 380028,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета, 380028,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, 380028, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета, 380028,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.



86-78

78-618 
36135340
2025110633